


ქღენება აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის  
დაბადების 150 წლისთავს



**Dedicated to the 150<sup>th</sup> anniversary of the birth of  
Academician Ekvtime Takaishvili**



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2013

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology**

**ISSN 1512-3154**

# **Studies in Modern and Contemporary History**

## **2(13)**



**Publishing House „UNIVERSAL“**

**Tbilisi 2013**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

## 2(13)



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2013

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“  
ა-984

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი გაბისონია  
ზურაბ გამეზარდაშვილი  
გია გელაშვილი  
ოთარ გოგოლიშვილი  
შოთა ვადაჭკორია  
ნუგზარ ზოსიძე  
ვასილ კაჭარავა  
იგორ კვესელავა  
ვაჟა კიკნაძე  
ლუიჯი მაგაროტო  
(ვენეციის უნივერსიტეტი)  
ვოიციხ მატერსკი  
(პოლონეთის მეცნიერებათა  
აკადემია)  
გელა საითიძე  
(რედაქტორის მოადგილე)  
ავთანდილ სონლულაშვილი  
(რედაქტორი)  
ხათუნა ქოქრაშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
ავთანდილ ლელალუტაშვილი  
დოდო ჭუმბურაძე  
(რედაქტორის მოადგილე)  
ნიკო ჯავახიშვილი

EDITORIAL BOARD:

**Irakli Gabisonia**  
**Zurab Gamezardashvili**  
**Gia Gelashvili**  
**Otar gogolishvili**  
**Shota Vadachkoria**  
**Nugzar Zosidze**  
**Vasil Kacharava**  
**Igor Kveselava**  
**Vazha Kiknadze**  
**Luiji Magaroto**  
(Venice University)  
**Wojciech Materski**  
(Academy  
of sciences of Poland)  
**Gela Saitidze**  
(Deputy editor)  
**Avtandil Songulashvili**  
(Editor)  
**Khatuna Kokrashvili**  
(Executive secretary)  
**Avtandil Gelagutashvili**  
**Dodo Chumburidze**  
(Deputy editor)  
**Niko Javakhishvili**

საგამომცემლო საბჭო:

ირინა არაბიძე, ლელა მიქიაშვილი, შორენა მურუსიძე, მზია ტყავაშვილი.

PUBLISHING COUNCIL:

**Irina Arabidze, Lela Mikiashvili, Shorena Murusidze, Mzia Tkavashvili.**

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013

თბილისი, 0179, ი. შაჰსაჰაძის რაზმ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი  
Contents

ს ა ქ ა ზ თ ე კ ე ლ თ ს ი ს ტ თ ზ ი ა  
The History of the Georgia

თეიმურაზ ახალმოსულიშვილი.....	12
მეფე ერეკლე II უცხოელთა შეფასებით <b>Teimuraz Akhalmosulishvili</b> <i>The King Erekle II – with the Estimation of Foreign Diplomats and Travelers</i>	
Давид Джавахишвили .....	20
ВОСТОЧНОГРУЗИНСКИЙ ЦАРСКИЙ ДОМ В ПЕРИОД ЦАРСТВОВАНИЯ ИРАКЛИЯ II И ГЕОРГИЯ XII <b>David Javakhishvili</b> <i>The Royal Family of East Georgian Kingdom</i>	
დოდო ჭუმბურიძე.....	28
რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ახალი საგანმანათლებლო სისტემა XIX საუკუნეში <b>Dodo Chumburidze</b> <i>Conquest of Georgia by Russia and the New Educational System in the 19<sup>th</sup> Century</i>	
ეკა ჯავახიშვილი.....	43
იაკობ გოგებაშვილი და აფხაზეთის საკითხი <b>Eka Javakhishvili</b> <b>Iakob Gogebashvili and Abkhazia</b>	
გელა საითიძე.....	51
წერილი, რომელსაც არა მარტო ისტორიული ღირებულება აქვს... <b>Gela Saitidze</b> <i>The Publication that has not only Historical Value</i>	
შოთა ვადაჭკორია.....	58
ქართული პოლიტიკური აზრი „სამხრეთი ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სასაზღვრო დავისა და	

„ერთიანი ოსური სახელმწიფოს“ შექმნის  
მცდელობის შესახებ (1923- 1925 წწ.)

ს ა ქ ა ნ თ ე ე ლ თ ღ ა მ ს თ ფ ლ ი თ  
**Georgia and the World**

**ლელა სარალიძე**.....85

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და  
ინგლის-ამერიკის გეგმები (1918-1920 წწ.)

**Lela Saralidze**

Georgian Democratic Republic and plans of England  
and the USA (1918-1921)

კ ა ე კ ა ს ი ი ს ი ს ტ თ ნ ი ა  
**The History of the Caucasus**

**Николай Джавахишвили**.....96

*ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ОСЕТИНСКОГО ВОЕННОГО  
СОТРУДНИЧЕСТВА*

**Nikolai Javakhishvili**

*From The History of Georgian-Ossetian  
Military Collaboration*

**ლელა მიქიაშვილი** ..... 111

რუსეთის მიერ კავკასიის მთიელთა დამორჩილების  
მიზნით შემუშავებული ეკონომიკური პროექტი

**Lela Mikiashvili**

The Economic Project Developed in Order to Subdue the  
Mountaineers of the Caucasus

**მზია ტყავაშვილი** ..... 126

ნოღაელთა მუჰაჯირობა (1858-1860 წლები)

**Mzia Tkavashvili**

Noghayans' Resettlement (1858-1860)

ქსოფლოისტიკა  
The History of the World

**Пшемислав Адамчевски.....134**  
**Екатерина Кузавлева-Адамчевска**  
Завещание Витольда Згленицкого для Кассы им.  
Иосифа Мьяновского  
**Pshemislav Adamchevski**  
**Ekaterina Kuznecova-adamchevskaja**  
The Testament of Vitold Zgleniski for Joseph Mjanovski Till

**ედიშერ გვენეტაძე, ეკა ბუხრაშვილი ..... 162**  
1941 წლის 13 აპრილის ნეიტრალიტეტის პაქტი  
სსრკ-იაპონიას შორის  
**Edisher Gvenetadze, Eka Bukhrashvili**  
The Pact of Neutrality of the 13<sup>th</sup> of 1941 between the  
USSR and Japan

**ნანა ხარაძე..... 174**  
შეფასების სისტემები საზღვარგარეთის  
ქვეყნების საჯარო სამსახურში  
**Nana Kharadze**  
Systems of Evaluation in the Public Service of Foreign Countries

საქმედებისტიკა  
Military History

**არჩილ ჩაჩხიანი.....187**  
ქართველი იუნკრები — ეტიმოლოგია, სასწავლო  
პროცესი და პირადი შემადგენლობა საარქივო  
დოკუმენტებში  
**Archil Chachkhiani**  
Georgian Junkers (Officer-Cadets) – Etymology of the Term,  
the Learning process and the Personnel according the Archival  
Documents

ბ ლ ი ტ ო ლ ო გ ი ა

Political Science

ავთანდილ სონღულაშვილი .....224

პოლიტიკა და სპორტი

**Avtandil Songulashvili**

Politics and Sport

იგორ კვესელავა .....241

საქართველო რუსულ, ევროპულ და ამერიკულ

პოლიტიკურ განზომილებაში

**Igor Kveselava**

Georgia and Russia in European and American

Political Dimension

რ ე ლ ი გ ი ა . ე კ ლ ე ს ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა

Religion. Church History

მზია მაისურაძე..... 260

ქალთა სასულიერო და პროფესიული სკოლები

კახეთში XIX საუკუნის II ნახევარში

**Mzia Maisuradze**

Professional and Religious Schools of Women in the

Second Half of the 19<sup>th</sup> Century Kakheti

მზია მაისურაძე..... 270

თელავისა და სიღნაღის მაზრის სასულიერო

სასწავლებლები XIX საუკუნის 80-90-იან წლებში

**Mzia Maisuradze**

The 19<sup>th</sup> Century Second Half Religious Schools

of the Telavi and Sighnaghi District

ნატო სონღულაშვილი..... 278

ქართველი სამღვდელთა (1900-1917)

**Nato Songulashvili**

Georgian clergy in 1900-1917

ირინა არაბიძე..... 291

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა

და ეკლესიოლოგიური საფუძველი



**Irina Arabidze**

The Structure of the World Council of Churches  
and the Ecclesiological Basis

წყაზთთქთღწეთბა

**Source Study**

**დოდო ჭუმბურიძე**.....302

ბენერალ-მაიორ გოტლიბ ტოტლეზენისა  
და მის თანმხლებ ოფიცერთა შეთქმულებითი  
გაგამები ერეკლე II—ის წინააღმდეგ (წერილობითი  
წყაროებისა და XIX საუკუნის პრესის მიხედვით)

**Dodo Chumburidze**

The Plans of Major General Gotlib Totleben  
and his Attendants against Erekle II

**გია გელაშვილი**.....322

ინგლისელი მოგზაური ედმუნდ სპენსერი  
აფხაზეთის შესახებ

**Gia Gelashvili**

English traveller Edmund Spencer about Abhasien

**არჩილ ჩაჩხიანი** .....342

კიდევე ერთხელ სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ —  
ახალქალაქის მაზრაში მიმდინარე საბრძოლო  
მოქმედებები საარქივო დოკუმენტებში

**Archil Chachkhiani**

Once more on the Armenia-Georgia War – Combat Activities  
in Akhalkalaki District in the Archival Documents

**ლელა სარალიძე** .....363

საქართველო-ინგლისის ურთიერთობის  
ისტორიიდან (1920 წ.)

**Lela Saralidze**

From the History of Georgian-English Relation (1920)

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**Criticism and Bibliography**

**შოთა ვადაჭკორია** .....380

მასე არაბა, თაყაო!

**Shota Vadachkoria**

It Is Not As You Think (Reply to A. Kokhreidze)

**ქეთი ჯიჯეიშვილი.....390**

ახალი სახელმძღვანელო პოლიტიკურ მეცნიერებაში

**Ketevan JiJeishvili**

New Text-Book in Political Science

**დოდო ჭუმბურიძე.....394**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის  
ნარკვევების (აჭარა) ოთხტომეული

**Dodo Chumburidze**

South-Western Georgian History Essais — Adjara

ქ ი ლ თ ტ ე ა

**The Congratulation**

**Николай Джавахишвили.....398**

Академик Янис Страдиньш Глазами

Грузинского Ученого

Georgian Scientist about Academician Janis Stradinish

ი ნ ფ თ მ ქ ა ტ ი ა

**The Information**

პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის

სამეცნიერო მისიონება ლატვიასა და ლიტვაში .....402

The Scientific mission of Professor Niko Javakhishvili in

Latvia and Lithuania

გ ა ხ ს კ ე ბ ა

**In the Memory of Our Colleague**

**ცაცა ჩხარტიშვილის გახსენება.....404**

The Memory of Tsatsa Chkhartishvili

**ლევან ურუშაძის გახსენება .....407**

The Memory of Levan Urushadze

კრებული გამოდის წელიწადში ორჯერ

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,  
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, პეტრე მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული  
ტელეფონი: 2 93 41 37

# ს ა ქ ა რ თ ე კ ლ თ ს ი ს ტ ო რ ი ა

## თეიმურაზ ახალმოსულიშვილი

*ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის  
სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

## მეფე ერეკლე II — უცხოელ დიპლომატთა და მოგზაურთა შეფასებით

მეფე ერეკლე II-ის (1720-1798) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი საისტორიო წყარო და გამოკვლევა არსებობს. მათი გარკვეული ნაწილი უცხოენოვანია.

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია, თუ როგორ შეაფასა ერეკლე II-ის მოღვაწეობა მისმა თანამედროვე ან ოდნავ მოგვიანებით მოღვაწე რამდენიმე უცხოელმა დიპლომატმა და მოგზაურმა.

\* \* \*

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენლებს, გვირგვინოსან მამა-შვილს — თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს მოღვაწეობა ძირითადად მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში მოუწიათ.

სპარსეთის მბრძანებლის ნადირ-შაჰის მოკვლის (1747 წ.) შემდეგ, მისი ბატონობისაგან განთავისუფლებულ სამხრეთ კავკასიაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად ხანგრძლივი ბრძოლა გაჩაღდა. მისი მიმდინარეობისას გამოიკვეთა უპირატესობა ქართლისა და კახეთის სამეფოებისა, რომლებსაც მამა-შვილი ურთიერთშეთანხმებით მართავდნენ და თან ჩრდილოკავკასიელთა სამხედრო ძალასაც დიდი წარმატებით იყენებდნენ [11, 92-120].

1762 წლის 8 იანვარს, სანკტ-პეტერბურგში მყოფი ქართლის მეფე თეიმურაზ II გარდაიცვალა [8, 116]. ამის შემდეგ მისმა ვაჟმა, კახეთის მეფე ერეკლე II-მ, ქართლიც შეიერთა. ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს იგი გარდაცვალებამდე განაგებდა.

ერეკლე II თავდაუზოგავად ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში მოპოვებული ჰეგემონობის შენარჩუნებას, რასაც გარკვეულ პერი-

ოდში ახერხებდა კიდევ. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ საქართველოსაგან დაშორებულ სახელმწიფოებშიც კი.

1754 წელს პარიზში გამოიცა შარლ დე პეისონელის წიგნი „მოთხრობა ახლანდელ არეულობაზე სპარსეთსა და საქართველოში“, სადაც ერეკლე II-ის შესახებ საუბარს საკმაოდ მოზრდილი ადგილი დაეთმო [14]. მომდევნო წელს ეს წიგნი მაინის ფრანკფურტში გერმანულადაც დაიბეჭდა. მისი სახელწოდება იყო: „სპარსეთისა და საქართველოს მღელვარებათა ამბავი, რომელიც ამავე დროს შეიცავს პრინც ჰერაკლიუსის მართალ გენეალოგიას და მისსავე უმნიშვნელოვანეს საქმეებს“ [1, 14].

ქართლ-კახეთის სამეფოსთან დიპლომატიური კავშირის დამყარებით დასავლეთ ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწენიც დაინტერესდნენ.

1763 წელს ფრანგი კონსული ბერანჟე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ჰერცოგ შუაზელს წერდა, რომ საქირო იყო რუსეთის შეფერხება აზიის საზღვრებთან, რაც მას იძულებულს გახდიდა ევროპის საქმეებს ჩამოსცილებოდა. ამისათვის იგი აუცილებლად მიიჩნევდა კავშირის შეკვრას ერეკლე II-სთან [3, 632].

1766 წელს, ლისაბონში, პორტუგალიურ ენაზე გამოიცა ორი ბროშურა ერეკლე II-ის შესახებ. პირველის სათაურია „ახალი ცნობები სახელოვან ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებაზე, რომელიც სახელგანთქმულმა ქართველთა მეფემ ერეკლემ მოიპოვა თავხედი სულთნის საშინელი ჯარის წინააღმდეგ“, ხოლო მეორისა — „ახალი ცნობები წარმატებით გამარჯვებაზე, რომელიც მეფე ერეკლეს ჯარებმა 1766 წლის 16 ივლისს მოიპოვეს ქალაქ ტრაპიზონის აღების დროს“. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ბროშურებში გადმოცემული ფაქტების ნაწილი (მაგალითად, ტრაპიზონის აღება), შორს არის ქვეყნარტებისაგან. როგორც ჩანს, მათ ავტორს სურდა, რომ ევროპისათვის ქართველი მეფის მოღვაწეობა გაცნობოდა [9, 58-59].

რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II ქართლ-კახეთის მეფეს მოიხსენიებდა სიტყვებით: „Знатнейший из всех Грузинских владетелей“ [6, 16].

კანცლერი ვორონცოვი ერეკლე II-სადმი გაგზავნილ წერილში მას ასე მიმართავდა: „Светлейшему царю грузинскому и кахетинскому Ираклию“ [3, 630].

1769 წელს ერეკლე II დაჯილდოვდა რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი — წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენით [8, 124].

ქართლ-კახეთში 1783-1787 წლებში მყოფი რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი სტეფანე ბურნაშოვი თავის თხზულებაში წერდა, რომ მეფე ერეკლე იყო: „გამორჩეული ინტელექტით დაჯილდოებული, არაჩვეულებრივ მოთმინებასთან და ღვთისმოსაობასთან ერთად... გასაოცრად აქტიური. იგი დილამდე თვალმოუხუჭავად ზრუნავს სახელმწიფო საქმეებზე. მცირე ხანს სძინავს. ნაშუადღევს, მთიელთა ტომების წარმომადგენლებსა და სპარსელი ხანების ელჩებს ლებულობს. მოსამართლეობს ქვეშევრდომთა უმნიშვნელო დავის გადაწყვეტის დროსაც. დიდი გამოცდილების წყალობით, კარგად იცნობს აზიელ ხალხთა პოლიტიკურ თავისებურებებს, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნადირ-შაჰს თან ახლდა ინდოეთში ლაშქრობისას. იგი არაფერს ესწრაფვის ისე, როგორც თავისი სახელმწიფოს ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნას“ [12, 9-10].

ერეკლე II-მ მოახერხა დაემორჩილებინა კავკასიაში მდებარე სახანოთა უმეტესობა. ერევნის, განჯის, შაქის, შამახიის, ნახჭევანისა და ყარაბაღის სახანოთა მფლობელებმა ქართველი მონარქის უზენაესობა აღიარეს. ამან კიდევ უფრო განამტკიცა ძალაუფლება ერეკლე მეფისა, რაც ცნობილი გახდა რუსეთის მთავრობისათვისაც [5, 126].

ქართლ-კახეთის მეფეს მისი ვასალი სამხრეთ კავკასიელი ხანები ყოველწლიურად უხდიდნენ განსაზღვრულ თანხას და მდიდრულ საჩუქრებსაც უგზავნიდნენ. ამის სანაცვლოდ, ისინი ერეკლე II-ს სთხოვდნენ ხანის თანამდებობაზე დამტკიცებას. შემორჩენილია სახანოთა მფლობელების მიერ ქართველი მეფისადმი გაგზავნილი წერილები, სადაც ისინი თავიანთ მბრძანებელს მორჩილებას აღუთქვამდნენ [10].

ქართველი მეფისადმი სიმპათია განსაკუთრებით შესამჩნევი იყო გერმანულენოვან სახელმწიფოებში [13, 110-119].

ავსტრიის ელჩი რუსეთში, გრაფი იოჰან ლუდვიგ იოსებ კობენცლი პეტერბურგიდან ვენაში, იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში 1783 წელს მიუთითებდა, რომ ერეკლე II-მ „ყველა თავისი ვასალი დაიმორჩილა და ამ მხარეების უძლიერესი ხელმწიფეა. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია 40 ათასი კაცის გამოყვანა“ [9, 74-75].

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი (1795-1876) თავის გამოკვლევაში აღნიშნავდა, რომ ნადირ-შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეებს „ყაზახისა და ბორჩალოს პროვინციები გადასცა, მაგრამ ინდოეთში საბრძოლველად ქართველ აზნაურთა თითქმის საუკეთესო ნაწილი თან წაიყვანა. შაჰ ნადირის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი და მისი ვაჟი ერეკლე მამაცად იცავდნენ თავს სპარსელებისა და ლეკების შემოსევებისაგან. პირველი... გარდაიცვალა 1762 წელს. მეფე ერეკლე კი, პირიქით, უფრო გაძლიერდა და თავისი მტრებისათვის მრისხანე გახდა“ [4, 61-62].

სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახანოთა ერთი ნაწილის მესვეურები თავიანთ ქართველ მბრძანებელთან საკმაოდ კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ.

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ი. გიულდენშტედტი (1745-1781) ერეკლე II-ის ერთგულ ხანთა შორის ასახელებდა განჯის ხანს. მის თხზულებაში ვკითხულობთ: „მეფე და ხანი კარგ დამოკიდებულებაში არიან... გასულ ზამთარში, ხანი ცოტა ხნით ესტუმრა ერეკლეს თბილისში“ [2, 247].

რასაკვირველია, ქართველი გვირგვინოსნისადმი მისი ვასლების ერთგულებას მეფის სიძლიერე განაპირობებდა. ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავდა ი. გიულდენშტედტი, რომ ერეკლე II-ის ვასალი ხანები „მეფის ქვეშევრდომობაში არიან, მაგრამ, გარემოებათა გამო, ხან ყარსის თურქების, ხან ერევნის ხანის მხარეზე დგებიან... არიან არასაიმედო ქვეშევრდომები“ [2, 243].

ყოველივე ამის გამო, ქვეშევრდომ სახანოთა დამორჩილება ქართველი მონარქისაგან მოითხოვდა დიდ ძალისხმევას და მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას, რასაც ერეკლე II თავისი ნახევარსაუკუნოვანი მეფობის განმავლობაში საკმაოდ წარმატებით ახერხებდა.

გიულდენშტედტი მიუთითებდა, რომ ერეკლე II-მ „სხვადასხვა უბედური შემთხვევებისა და გაჭირვების მიუხედავად, თავის მმართველობის დროს, მან არა თუ არც სამფლობელო და არც ერთი პროვინცია არ დაკარგა, არამედ ხელიდან გაუშვებლად, თუმცა ხანდახან საკმაო გაჭირვებით, შეინარჩუნა ტახტი“ [2, 197-201].

გამოკვლევაში შექებულია ქართველი მეფის სტუმართმოყვარეობა, რის თაობაზეც ვკითხულობთ: „ერეკლე მეფე მოვიდა ბანაკში თავისი ამალით [1771 წლის] 14 ოქტომბერს და მეორე დღეს დადინიშნა მე ოფიციალური აუდიენცია. მან გამოთქვა დიდი კმა-

ყოფილება ჩემი მოსვლის გამო და დამპირდა ყოველგვარ დახმარებას, რაც კი დასჭირდებოდა ჩემს ექსპედიციას. ეს დაპირება მე ამომწურავად გამოვიყენე... ყოველდღიურად მიწევდა აქ მფარველობას, ზრუნავდა და ხელს უწყობდა ყველა ჩემი გეგმის განხორციელებას, სამეფო კარი და დიდებულები იჩენდნენ მეტად სანაქებო მზადყოფნას — დამხმარებოდნენ მე. მთელს ექსპედიციას ჰქონდა ქალაქში კარგი ბინები... ერეკლე მეფემ ბრძანა ჩემთვის დაეჭირათ ნადირები, მოეტანათ მინერალები და ხშირად დიდხანს და არაჩვეულებრივად თავაზიანად მესაუბრებოდა მე. 15 ნოემბერს მეფემ მიმიწვია და მელაპარაკა ძალიან თავაზიანად ჩემს გეგმებსა და მიზნებზე, თავისი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, პრუსიის ომზე და ა. შ. ამის შემდეგ ის მე ხშირად მიხმობდა კარზე, მაჩვენებდა ხოლმე მინერალებს, ეცნობოდა მათი დამუშავების ხერხებს; იგი დამპირდა ნება დაერთო მემოგზაურა მის ქვეყანაში, სადაც მოვისურვებდი; დამეთვალყურებინა და შემესწავლა ყველაფერი“ [2, 5-7].

გერმანელმა მოგზაურმა და ექიმმა იაკობ რაინეგსმა ანუ ქრისტიან-რუდოლფ ელიხმა (1744-1793), რომელმაც 1778-1784 წლებში კავკასიაში რამდენჯერმე იმოგზაურა, თავის ნაშრომში „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ ქართლ-კახეთის მეფე გონიერ, მამაც და გულუხვ ადამიანად წარმოაჩინა.

ი. რაინეგსის შეფასებით, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებისაგან განსხვავებით, „სულ სხვა მდგომარეობაშია საქართველოს ის მოსახლეობა, რომელიც მეფე ერეკლეს ხელქვეით ცხოვრობს“ [7, 180].

მისივე ცნობით, „ინდოეთში ლაშქრობამ, სადაც ეს ბატონი ნადირ-შაჰს ახლდა, ერეკლეს დაანახვა და ასწავლა ამოერჩია საშუალებანი ცხოვრების წესების სირბილესა და უხემ სიმკაცრეს შორის. მუდმივი ურთიერთობა მეზობელ მფლანგველ სპარსეთის მმართველებთან და თურქეთის ფაშებთან, მათი ელჩების გაუთავებელი სტუმრობა, ყოველივე ამან აიძულა ის, საჭიროებისამებრ უფრო მდიდარი ყოფილიყო და ეფიქრა საშუალებებზე, რათა, სულ ცოტა, სათანადო სიმყუდროვე მაინც მოეპოვებინა, რასაც მას მისი ქვეყანა სთავაზობს და რასაც მას მისი მდგომარეობა და გვარი ავალბენ. ყველა სარგებელი გამოცხადებულ იქნა კანონიერად;



ექებდნენ ყოველ შესაძლო საშუალებას, რათა ებრწყინათ და გარკვეული დანაკლისის შევსება ვაჭრებს მიანდო“ [7, 180].

1780 წელს ი. რაინეგსი თბილისიდან ლაიბახში, პროფესორ ჰაკეტისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „მეფე ერეკლეში მე ვნახე ღირსეული კაცი, როგორც კი ბუნებას შეუძლია შექმნას; მე ის შევიყვარე და ჩვენი მეგობრობა ისე გაღრმავდა, რომ მას მამასაც კი ვეძახდი. ბედმა ამ მეფის მონყალევა კიდევ უფრო მეტი ძალით მომანიჭა. მეფის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე გიორგი ხანი ძალზე მძიმედ გახდა ავად. ჩემმა ევროპულმა პრაქტიკულმა ცოდნამ ის კვლავ ფეხზე დააყენა. ერეკლემ არ დაიშურა ჩემთვის თავისი წყალობა: მეფური ტანსაცმელი, საუკეთესო ქსოვილები, ძვირფასი ბუნვეული, მნიშვნელოვანი ფულადი თანხა ჩემსკენ ნიაღვრად წამოვიდა. გარდა ამისა, ნება მომეცა სუფრასთან ყოველთვის მეფის გვერდით ვმჯდარიყავი და მისი ვაჟების საზოგადოებაში დაუბრკოლებლად გამოვჩენილიყავი. მან მე მიბოძა ბეგის ტიტული — ამ ქვეყანაში აზნაურთა უმაღლესი ხარისხი, აგრეთვე მიწყალობა 7 სოფელი — 500 კომლით“ [7, 89].

გამუდმებული ომების შედეგად, ქართული ჯარის რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. ამის გამო, დაქირავებული ლაშქრის სახით, მეფე ერეკლე II იყენებდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თითქმის ყველა ხალხს: ჩერქეზებს, ყაზარდოელებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ოსებს და სხვებს [11, 92-120]. ერეკლე II ახერხებდა ასევე, სომხების, ქურთების, ასირიელებისა და თურქმანული წარმომავლობის ხალხების მიმხრობასაც [6, 32-33].

ერეკლე II-ის ერთგულ ქვეშევრდომთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაჰმადიანი იყო, მათ შორის — ყაზახის რეგიონის (ამჟამად მდებარეობს აზერბაიჯანში) მოსახლეობაც.

ი. რაინეგსი წერდა: „მართალია, ყაზახელები მაჰმადიანები არიან, მაინც ყველაზე მამაცი და ერთგული ჯარისკაცები არიან ერეკლესი... ყაზახს ეძახიან კიდევ ხალხს, რომელიც, როგორც მათ მიერ დასახელებული ქვეყანა, იწოდება შამშადილად. მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტნი არიან აგრეთვე მაჰმადიანები“ [7, 161].

ამრიგად, მეფე ერეკლე II დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საქართველოს მეზობელ კავკასიისა და აზიის ქვეყნებში, ასევე ევროპაშიც. ამ მეფის საქმიანობას საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მისი თანამედროვე და ოდნავ მოგვიანებით მოღვაწე ევროპელი დიპლომატები და მოგზაურები [11, 121-137].

XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ერეკლე II-ის საერთაშორისო ავტორიტეტი იმდენად შესამჩნევი იყო, რომ მის სამხედრო წარმატებებს ევროპაში გამომავალ წიგნებსა და პრესაში ზოგჯერ გადაჭარბებულადაც კი წარმოადგენდნენ.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ბაბუნაშვილი ზაურ, კულტურის ორი ტაძარი, თბილისი, 1981.
2. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962.
3. დუმბაძე მამია, ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII საუკუნის 60-იან წლებში, წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. IV, თბილისი, 1973.
4. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 2005.
5. მაჭარაძე ვალერიან, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი II, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში, თბილისი, 1968.
6. მაჭარაძე ვალერიან, მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვეთი II, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბილისი, 1997.
7. რაინეგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 2002.
8. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ა. იოსელიანმა, თბილისი, 1980.
9. ტაბალუა ილია, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის), თბილისი, 1979.
10. ჭეიშვილი ანდრეაფარ, ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები (XVIII საუკუნისმეორე ნახევარი), თბილისი, 1982.

11. ჯავახიშვილი ნიკო, ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2005.

12. БурнашевС., Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, Тифлис, 1896.

13. Kaufhold H., Die Kreige des Konigs Heraklius II. von Georgien und ihr Echo in einer zeitgenossichen deutschen Zeitung, „Caucasica“, The Journal of Caucasian Studies, vol. 2, Tbilisi, 1998.

14. Peyssonel Ch. C. de, Essai sur les troubles actuels de Perse et de Georgie, Paris, 1754.

*Teimuraz Akhalmosulihvili*

*Doctor of History, Asistant-Professor  
of Jakob Gogebashvili Telavi State  
University*

### **The King Erekle II – with the estimation of foreign diplomats and travelers**

#### **Summary**

The article studies how the foreign diplomats and travelers estimated the activities of the King of Kartalino-Kakhetia/Kartl-Kakheti (East Georgia) – Erekle the II (1720-1798).

In the 60-70-ties of the XVIII century, King Erekle the II was internationally so well known, that sometimes his military successes were exaggerated in the articles of the foreign press.

**Давид Джавахишвили**

*Доктор исторических наук, Телавский государственный университет имени Якова Гогобашвили*

## **ВОСТОЧНОГРУЗИНСКИЙ ЦАРСКИЙ ДОМ В ПЕРИОД ЦАРСТВОВАНИЯ ИРАКЛИЯ II И ГЕОРГИЯ XII**

С IX до начала XIX века в Грузии правила тысячелетняя царская династия Багратионов (на грузинском языке – „Багратиони“), которая дала нашей родине многих знаменитых монархов.

Во второй половине XV века единое царство Грузии распалось на три части: царство Кахетии (на грузинском языке – „Кахети“), царство Карталинии („Картли“) и царство Имеретии („Имерети“), которые возглавили представители трёх основных ветвей упомянутой выше династии.

В 1466 году последний царь единого Грузинского царства Георгий VIII (ц. в 1446-1466 гг.) перебрался в Кахетию и царствовал там десять лет (1466-1476 гг.). Он положил начало кахетинской ветви Багратионов, представители которой в течение трех веков царствовали сначала в Кахети (временами и в Картли), а с 1762 года – в едином Картлийско-Кахетинском (Восточногрузинском) царстве.

Представители кахетинской ветви царской династии Багратионов брали в жены в основном девушек из знатных грузинских родов, среди коих были как представительницы различных ветвей этой же династии, так и дочери наследных владетельных князей (на грузинском языке – „мтавари“) отдельных княжеств, существующих на территории Грузии, как то: Даддани (Самегрело/Мегрелия), Гуриели (Гурия), Джакели (Месхети), а также других князей.

Одновременно довольно распространенным явлением были династические браки между представителями царских домов Кахети (как и Картли) и Персии, что в основном происходило по требованию шахиншахов. Это имело большое политическое значение и было залогом и основанием союза между упомянутыми государствами.

Грузинские цари полностью осознавали политическое значение добрососедских отношений с кавказскими народами, чему служили

династические браки. Грузинские цари и царицы иногда женились на представительницах знатных дагестанских, кабардинских и других родов. Эти браки укрепляли между ними союз и в основном играли позитивную роль [8].

Брачным союзам между представителями кахетинской ветви Багратионов и знатных иностранных родов мы посвятили несколько статей, которые были изданы как в Грузии [7, 372-374], так и в Азербайджане (г. Гянджа) [5, 105-108] и Дагестане (г. Махачкала) [6, 44-45].

В настоящей статье изучен Картлийско-Кахетинский Царский Дом в период царствования Ираклия II и Георгия XII, в частности, повествуется об их браках, женах и детях. Статья состоит из двух частей.

## **1. Царь Ираклий II**

Ираклий II (1720-1798), царствовавший с 1744 года в Кахети, а с 1762 года – в объединенном Картлийско-Кахетинском царстве, принадлежит к той малочисленной группе венценосцев, вышедшей из тысячелетней царской династии Багратионов, которая правила в стране более полувека.

Царь Ираклий II царствовал в общей сложности 54 года, уступив в продолжительности правления лишь своему непосредственному предку – Левану I, правившему в Кахети в 1518-1574 годах, т. е. 56 лет. Отметим, что этот срок правления является самым долгим среди царей, вышедших из всех ветвей династии Багратионов. Здесь же отметим, что история демографического развития кахетинской ветви царской династии Багратионов монографически изучена нами [8].

Первой женой Ираклия II стала княжна Кетеван Зааловна Мхеидзе (скончалась в 1744 году) [10, 107], второй – княжна Анна Зааловна Абашидзе (1730-1749), третьей – княжна Дареджан Кациевна Дадиани (1734-1807) [4, 447-448].

Кетеван Мхеидзе была дочерью имеретинского князя Заала Мхеидзе.

Ираклий II, должно быть, в свой первый брак вступил приблизительно в 20 лет, в 1740-1741 годах, будучи еще наследным цесаревичем. Основанием для подобного предположения служит тот факт, что первый ребенок царицы – царевна Русудан родилась до

рождения первого сына и наследника престола царевича Вахтанга (1742-1760).

Смерть матери двух малолетних детей глубоко опечалила семью царя Теймураза II [12, 88-89] – ведь Кетеван была первой женой их единственного сына и наследника престола.

В 1744 году, уже будучи царем, Ираклий II вступил во второй брак. Главную роль в женитьбе царя сыграла его тетья – царевна Анна (Анука), которая состояла в браке с князем Вахушти Абашидзе, жившим в Квишхети. Эта ветвь рода князей Абашидзе переселилась в Картли из Имерети. Царевна Анна женила своего овдовевшего племянника на дочери своего деверя Заала Абашидзе – Анне.

В историческом источнике по поводу этого брака сказано: „Ираклий забрал Анну из Квишхети в Тбилиси, в дом своего отца. Справили славную свадьбу“ [14, 93-95].

Царица Анна родила троих детей: Георгия (будущий царь Георгий XII), Тамар (1749-1789) и еще одну дочь, скончавшуюся в малолетнем возрасте.

Царский двор с ликованием встретил рождение царевича Георгия [12, 3-4].

7 декабря 1749 года в Тбилиси скончалась царица Анна, которой в ту пору было всего 19 лет. Царицу с подобающим почетом похоронили в Мцхетском кафедральном соборе Светицховели [14, 164], где покоятся многие представители кахетинской и картлийской ветвей династии Багратионов, а в ряде случаев – и супруги некоторых из них.

Третьей и последней супругой вторично овдовевшего царя Ираклия II стала Дареджан Кациевна Дадиани (1734-1807), брак с которой состоялся в 1750 году [3, 138].

Царица Дареджан оставила после себя многочисленное потомство, она была матерью 23 детей: царевны Елены (1753-1786), царевны Мариам (1755-1828), царевича Левана (1756-1781), царевича Юлона (1760-1816), царевича Вахтанга/Алмасхана (1761-1814), царевича Бери (1761/2-?), царевича Теймураза (будущий католикос-патриарх Антон II) (1762-1827), царевны Анастасии (1763-1838), царевны Кетеван (1764-1840), царевича Соломона (?-1765), царевича Мириана (1767-1834), царевича Александра (1770-1844), царевича Луарсаба (1772-?), царевны Екатерины (1774-1818), царевны Фёкла

(Текла) (1776-1846), царевича Парнаоза (1777-1852) и царевича Арчила (1780-?).

Помимо перечисленных выше детей, даты рождения которых известны, царица Дареджан в разное время родила еще шестерых: царевну Софию, царевича Иоанна, царевну Саломе, царевича Сослана-Давида, царевну Хорешан и одного ребенка (имя неизвестно), которые скончались в малолетнем возрасте [1].

Царица Дареджан скончалась 8 января 1807 году, будучи в ссылке в Санкт-Петербурге. Похоронена она в Благовещенской церкви Александро-Невской Лавры [2, 205].

Таким образом, царь Ираклий II вступал в брак три раза. Супругами его были представительницы знатных грузинских родов, в частности Имеретинского и Мегрельского княжеского домов – Мхеидзе, Абашидзе и Дадиани. От этих трёх браков у царя было 28 детей, из них 15 сыновей и 13 дочерей [9, 128-131].

## **2. Царь Георгий XII**

Георгий XII (1746-1800), с 11 января 1798 года до своей кончины (28 декабря 1800 года) царствовал в объединенном Картлийско-Кахетинском царстве.

Первой женой Георгия XII была княжна Кетеван Папуновна Андроникашвили (1753-1782), второй – княжна Мариам Георгиевна Цицишвили (1768-1850) [4, 448].

В 1766 году наследник Картлийско-Кахетинского престола царевич Георгий (в будущем царь Георгий XII) в возрасте 20 лет вступил в первый брак [12, 8].

Кетеван Андроникашвили была дочерью кахетинского князя Папуны Андроникашвили.

Супруга наследника престола княжна Кетеван стала матерью 12 детей: царевича Давида (1767-1819), царевича Иоанна (1768-1830), царевны Варвары (1769-1801), царевны Софии (1770-1840), царевича Луарсаба (1771-?), царевны Нины (1772-1847), царевича Баграта (1776-1841), царевны Рипсиме (1779-1847), царевича Соломона (1780-?), царевны Гаяне (1780-1820), царевича Теймураза (1782-1846). Помимо перечисленных выше детей, даты рождения которых известны, княжна

Кетеван в разное время родила еще царевну Саломе, которая скончалась в малолетнем возрасте [1].

Добавим здесь же, что сын вышеупомянутого царевича Иоанна Георгиевича (1768-1830) – царевич Григорий/Григол (1789-1830) позже стал последним царём Восточной Грузии. В начале 1812 года, когда в Кахетии вспыхнуло народное восстание, в него включился царевич Григорий, которого повстанцы приняли своим предводителем и провозгласили царем Карталино-Кахетии. Царь Григорий (Григол) I царствовал в Восточной Грузии с 20 февраля до 6 марта 1812 года, до подавления в крови первого этапа этого восстания [11].

3 июня 1782 года при родах в возрасте 28 лет скончалась княжна Кетеван Андроникашвили [12, 10], родив последнего ребенка, царевича Теймураза, в будущем известного ученого.

В том же году наследник престола царевич Георгий вступил во второй брак.

Вторая супруга царевича Георгия княжна Мариам Цицишвили была дочерью картлийского князя Георгия Цицишвили.

Мариам (с 1798 года – царица) стала матерью 11 детей: царевича Михаила (1783-1862), царевича Джибраила (1788-1812), царевны Тамары (1789-1851), царевны Анны (1789-1796), царевича Ильи (1790-1854), царевича Окропира (1795-1857), царевича Свимона (1796-?), царевны Анны (1800-1850). Помимо перечисленных выше детей, даты рождения которых известны, княжна Мариам в разное время родила еще царевичей Иосифа и Спиридона, которые скончались в малолетнем возрасте [1].

Таким образом, царь Георгий XII вступал в брак два раза. Супругами его были представительницы знатных грузинских родов, в частности кахетинского и картлийского княжеского домов – Андроникашвили и Цицишвили.

От первой жены у Георгия XII было 12 детей, в том числе наследник престола царевич Давид, а от второй жены – 11 детей. Общее количество детей царя от этих двух браков равнялось 23, из них 14 сыновей и 9 дочерей [10, 55-62].

Современные потомки (по мужской линии) кахетинской (и одновременно картлийско-кахетинской) ветви Багратионов являются прямыми потомками Ираклия II и Георгия XII.



Из них старшинство в роду принадлежит прямому потомку царевича Баграта (сына Георгия XII) – Нугзару Петровичу Багратиону-Грузинскому (род. в 1950 г.).

### **Указанные источники и литература:**

1. Багратионы (научно-культурное наследие). Сборник статей с генеалогическими таблицами, Тбилиси, 2003, таблица 6 (на груз. яз.).

2. Бердзнишвили М., Материалы к истории грузинской общественности первой половины XIX века, т. I, Тбилиси, 1980 (на груз. яз.).

3. Дадиани Н., Жизнь грузин, текст издал, предисловием, исследованием, комментариями, указателями и словарем снабдил Ш. Бурджанадзе, Тбилиси, 1962 (на груз. яз.).

4. Джавахишвили Д., Супруги грузинских царей (кахетинская ветвь династии Багратионов), сборник «Вопросы новой и новейшей истории», т. IV, Тбилиси, 2008 (на груз. яз.).

5. Джавахишвили Д., Из истории династических браков кахетинских Багратионов с представителями мусульманской знати (XVI-XVIII вв.), сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки“, Гянджа, 2010, № 2.

6. Джавахишвили Д., Династические браки между кахетинскими Багратионами и представителями кавказской и персидской знати, общественно-политический и культурно-исторический научный журнал „Ахульго“, № 12, Махачкала, 2010.

7. Джавахишвили Д., Династические браки на службе дипломатии (на примере кахетинской ветви царской династии Багратионов), материалы международной научной конференции: „Археология, этнология, фольклористика Кавказа“ (Тбилиси, 27-30. IX. 2010 г.). Организаторы конференции: „Фонд Кавказа“, „Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа“ Национальной Академии Наук Грузии, Центр археологии им. О. Лорткипанидзе Национального Музея Грузии, Тбилиси, 2011.

8. Джавахишвили Д., Из истории демографического развития кахетинской ветви царской династии Багратионов (XV-XX вв.). Диссертация, представленная на соискание академической степени доктора истории (на правах рукописи), 2011 (на груз. яз.).

9. Джавахишвили Д., Семья царя Ираклия II, сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки“, Гянджа, 2013, № 1.

10. Джавахишвили Д., Родители и семья царя Георгия XII, сборник „Вопросы новой и новейшей истории“, т. XII, Тбилиси, 2013 (на груз. яз.).

11. Джавахишвили Н., Григорий I – последний грузинский царь, Тбилиси, 2008 (на груз. яз.).

12. Иоселиани П., Жизнь Георгия XII, введение, редакция и примечания А. Гацерелия, Тифлис, 1936 (на груз. яз.).

13. Орбелиани А., Сочинения, составила Н. Вахания, Тбилиси, 1999 (на груз. яз.).

14. Орбелиани П., История Грузии („Амбавни Картлисани“), текст установила, снабдила введением, словарем и указателями Е. Цагарейшвили, Тбилиси, 1981 (на груз. яз.).

**David Javakhishvili**

*Doctor of History, Jakob Gogebashvili Telavi State University*

### **The Royal Family of East Georgian Kingdom**

**(in the period of reigning of Erekle the II and George the XII)**

#### **Summary**

The work consecutively narrates about East Georgian (Kartli-Kakhetian) Kings – Erekle the II's (1720-1798) and his son – George (Giorgi) the XII's (1746-1800) family, marriages, wives and children.

Erekle the II's first wife was prince Zaal Mkheidze's daughter – Ketevan (died in 1744), the second – prince Zaal Abashidze's daughter – Anna (1730-1749), the third – prince Katsia Dadiani's daughter – Darejan (1734-1807).

He first married at the age of 20, when he was still a royal heir to the throne. With his first wife, who died in 1744, he had a daughter – Rusudan and son – Vakhtang (1742-1760).

That same year, already on the throne of Kakheti, King Erekle II married a second time. His second wife gave birth to 3 children: George (the future King George XII), Tamar (1749-1789) and another daughter

who died in early childhood. Queen Anne died in 1749, when she was just 19 years old.

Widower for the second time, Erekle II married for the third and last time in 1750, with Darejen, daughter of Katsia Dadiani (1734-1807). She gave birth to 23 children: Elene (1753-1786), Maryam (1755-1828), Levan (1756-1781), Yulon (1760-1816), Vakhtang/Almaskhan (1761-1814), Beri (1761/2-?), Teimuraz (the future Catholicos-Patriarch Anton II) (1762-1827), Anastasia (1763-1838), Ketevan (1764-1840), Solomon (?-1765), Mirian (1767-1834), Alexander (1770-1844), Luarsab (1772-?), Catherine (1774-1818), Tekle (1776-1846), Pharnaoz (1777-1852) and Archil (1780 - ?). Apart from these, she gave birth to 6 more children who died in early childhood: Sophie, Yoan, Salome, Soslan-David, Khoreshan and another son (name unknown). Darejan died in 1807.

Thus, King Erekle II married three times, with the females – representatives of the Georgian noble families – Mkheidze, Abashidze and Dadiani. All of his three marriages resulted in birth to 28 children, including 15 sons and 13 daughters.

Crown Prince Georges (the future King George XII) first wife was prince Papua Andronikashvili's daughter – Ketevan (1754-1782), the second – prince Giorgi Tsitsishvili's daughter – Mariam (1768-1850).

He first married at the age of 20, when he was still a royal heir to the throne. With his first wife, he had a 12 children: David (1767-1819), Ioane (1768-1830), Barbare (1769-1801), Sofio (177-1840), Luarsab (1771-?), Nino (1772-1847), Bagrat (1776-1841), Ripsime (1779-1847), Solomon (1780-?), Gaiane (1780-1820) and Teimuraz (1782-1846). Apart from these, she gave birth to 1 more children – Salome, who died in early childhood. Ketevan Andronikashvili died in 1782, when she was just 28 years old.

That same year, Crown Prince Giorgi married a second time. His second wife gave birth to 11 children: Mikheil (1783-1862), Jibrail (1788-1812), Tamar (1789-1851), Ana (1789-1796), Ilia (1790-1854), Oqropir (1795-1857), Simon (1796-?), Erekle (1797-1859), Ana (1800-1850). Apart from these, she gave birth to 2 children who died in early childhood – Josef and Spiridon. Queen Mariam died in 1850, when she was just 82 years old.

Thus, King George XII married two times, with the females – representatives of the Georgian noble families – Andronikashvili and Tsitsishvili. All of his two marriages resulted in birth to 23 children, including 14 sons and 9 daughters.

## დოდო ქუმბურიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

### **რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ახალი საგანმანათლებლო სისტემა XIX საუკუნეში**

1803 წლამდე რუსეთის განათლების სისტემა მუშაობდა 1786 წლის „სახალხო სასწავლებელთა წესდების“ მიხედვით, რომელიც სწავლების ავსტრიულ სისტემას წარმოადგენდა და სკოლის ორ ტიპს ითვალისწინებდა: მცირე — ორკლასიანი და მთავარი — ოთხკლასიანი სასწავლებელი. მასში არ იყო გათვალისწინებული სოფლის სკოლები, უარყოფილი იყო საყოველთაო განათლების პრინციპი, ქალთა განათლების საკითხი და ა. შ. ამ წესდებით სასწავლებლები არ ფინანსდებოდნენ სახელმწიფოს მიერ.

1803 წელს შედგა „სახალხო განათლების წინასწარი წესები“, 1804 წელს კი — სასწავლო წესდება, რომელიც არ გავრცელდა კავკასიისა და საქართველოს სასწავლებლებზე.

ამ სისტემის გადმოტანა საქართველოს სკოლებში ხელოვნური იყო და არაბუნებრივი თუნდაც იმიტომ, რომ სოფლის მოსახლეობას, რომელიც ერის უმრავლესობას წარმოადგენდა, არ გააჩნდა საკუთარი სახსრებით სკოლის გახსნის საშუალება, ქალთა განათლებასაც საქართველოში XVIII საუკუნეში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. 1819 წლის ცირკულარით მთელი იმპერიის სკოლებზე და მათ შორის კეთილშობილთა სასწავლებელზე გავრცელდა „სალეთო წერილის კითხვა“, პროგრამიდან ამოიღეს საბუნებისმეტყველო საგნები,

1829 წლის 2 აგვისტოს სასწავლო დებულება არ ეხებოდა დაწყებით სასწავლებლებს, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო. 1848 წლის დებულებით გაიხსნა რამდენიმე ასეთი სახაზინო სასწავლებელი, ისიც ქალაქებსა და დაბებში და ძირითადად თავადაზნაურთა შვილებისათვის [1,32-43].

ყველა სასწავლო დებულება, რომელიც XIX საუკუნეში მოქმედებდა, იყო ქართველი ერის, მისი კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციების სანინაალმდეგო [2, 227, 231, 259].

1805 წლის 28 ნოემბერს რუსეთის განათლების მინისტრს — ზავადოვსკის საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი მოახსენებდა, რომ „ქართველები ჯერ არ სარგებლობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტში ბავშვების გაგზავნის უფლებით, ვინაიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი არ იძლევა უნივერსიტეტში შესასვლელად საჭირო საშუალო საგიმნაზიო განათლებას. რაც შეეხება მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ გიმნაზიაში ბავშვების გაგზავნას, ამაზე მშობლები უარს ამბობენ ბავშვთა მცირე ასაკის გამო მათ მიერ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრებისას“ [3, 201]. ამგვარი იყო კეთილშობილთა სასწავლებლის პროგრამები 1830 წლამდე, სანამ ის გიმნაზიად არ გადაკეთდა. არც თბილისის I გიმნაზიას ჰქონდა საუნივერსიტეტო პროგრამა, რადგან ის 5 კლასისგან დაკომპლექტდა, ნაცვლად 7-ისა, როგორც ეს რუსეთის გიმნაზიებში იყო. მიზეზად დასახელდა მოსწავლეთა დაბალი დონე. სასწავლებლის დირექტორის აზრით, V—VI კლასის მოსწავლეები მხოლოდ V კლასის მოსმენას შეძლებდნენ [4, 77-78].

თბილისის გიმნაზიას მხოლოდ მოგვიანებით დაემატა საჭირო კლასები და უნივერსიტეტში შემსვლელთათვის აუცილებელი სასწავლო საგნები.

„1814 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, იმ დროისათვის მთავრობის ერთადერთი სასწავლებელი, მინერული იქნა ყაზანის სასწავლო ოლქზე და დაქვემდებარებული ყაზანის უნივერსიტეტის რექტორისადმი. ეს იყო ფორმალური აქტი. ოლქის სიშორისა და მისი ხელმძღვანელების მხრივ თბილისის სასწავლებლისადმი ინტერესის უქონლობის გამო ამ უკანასკნელის მართვის პრაქტიკაში არაფერი შეცვლილა“ [2, 227].

„1819 წლის შემდეგ, როდესაც ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა ცნობილი რელიგიური ფანატიკოსი და მანიაკი მ. ლ. მაგნიცკი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი არათუ სარგებლობდა მისი მხრივ რაიმე ხელმძღვანელობით, არამედ აწყდებოდა აშკარა დაბრკოლებას თავის სასწავლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო განვითარების საქმეში. მაგნიცკი ზედმეტად თვლიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს და ეძებდა შესაფერის მომენტს, რომ დაეხურა იგი.“

მაგნიცკის პიროვნებას კარგად ახასიათებს ეს ფაქტი: 1819 წლის 9 აპრილს მან იმპერატორს მისწერა წერილი ყაზანის უნივერსიტეტის შესახებ, უმტკიცებდა მას, რომ უნივერსიტეტი ღმერთის წინააღმდეგ მიმართული დანესებულებაა, სადაც უღმერთო მასწავლებლები ასწავლიანო (ასეთებად ის საბუნებისმეტყველო საგნების პროფესორებს მიიჩნევდა). მაგნიცკი უნივერსიტეტის დახურვას ან დაანგრევას ითხოვდა. მისი აზრით, უნივერსიტეტის საჯაროდ დაანგრევა „აიძულებდა ევროპის მთავრობებს, გადაესინჯათ თავიანთი ხმალ-ამონვდილი განათლების სისტემები“ [5, 437].

ასეთი შოვინისტი ადამიანები ატარებდნენ საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში, რომლის არც ტრადიციები იცოდნენ, არც ხალხის ენა და საჭიროება ესმოდათ. რუსული განათლების სისტემისათვის მიღებული დებულებები ჩვენში ან არ ხორციელდებოდა, ანდა იმდენად დამახინჯებულად, რომ მას პროგრესი და განათლების დარგის წინსვლა არ მოსდევდა.

არ დაარსებულა დებულებით გათვალისწინებული ყველა სკოლა (საუბარია 1829 წლის დებულებაზე), სასწავლებლის რიცხვი სრულიად არ შეესაბამებოდა სწავლის მსურველთა რიცხვს.

ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1829 წლის დებულებით ერთი გიმნაზია დაარსდებოდა თბილისში, სამაზრო სასწავლებლები დაარსდებოდა გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში და სხვ. [6, 3060; 232].

1829 წლის 2 აგვისტოს გამოვიდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებლების შესახებ, სადაც „სამრევლო სკოლები ნაგულისხმევი არ იყო [7, 21].

1835 წელს ახალი სასწავლო დებულება იმიტომ შედგა, რომ 1829 წლის დებულებამ ვერ იმუშავა. ის ადგილობრივ ინტერესებს ვერ პასუხობდა. მისი, ვითომდა სპეციფიკურობა ამიერკავკასიის პირობებისადმი შეფარდების თვალსაზრისით, ფიქცია აღმოჩნდა. ის არ უწევდა ანგარიშს ადგილობრივი მოსახლეობის ნაციონალურ თავისებურებებს, არც ტერიტორიულ ფაქტორს სასწავლებელთა განაწილების საქმეში, არც ერთიანობასა და თანმიდევრობას სასკოლო განათლების სისტემაში და არც მოსწავლეთა მომზადებას ადგილობრივი პრაქტიკული ცხოვრებისათვის“ [2, 260].

სენატორ განის კომისია 1841 წელს აღნიშნავდა: „ამიერკავკასიის მხარის მოსახლეთა სურვილი, მიაბარონ თავიანთი შვილები სასწავლებელში, იმდენად ძლიერია, რომ შორეული მთიელებიც კი გამუდმებით თხოვენ ამის შესახებ მმართველობას“ [8, 426-427].

საქართველოში განათლების დონე იმდენად დაეცა, რომ ქართული სასწავლებლები აღარ დარჩა, ამასთანავე, ეს დონე ჩამორჩებოდა რუსეთის ცენტრალური გუბერნიების დონეს და სკოლების რაოდენობა ვერ პასუხობდა სწავლის მსურველთა ოდენობას. ამის მაგალითად გამოდგება 1832 წლის შეთქმულების მონაწილე სოლომონ დოდაშვილისა და ზაალ ავთანდილაშვილის დაკითხვის ოქმები. ზაალ ავთანდილაშვილი: „...გაშალეს სადილი, რომლის დროსაც ილაპარაკეს სასწავლებლების სიმცირის შესახებ საქართველოში და რომ ქართველი ახალგაზრდობის წარმატებით და სწრაფად განათლებისათვის მთავრობამ ტფილისში უნდა დააარსოს უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსები და სხვა სასწავლებლები“... [9, 140, 177].

პრუსიის მაგალითით, 1817 წელს დაარსდა „სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების ერთიანი სამინისტრო“ — გოლიცინის მეთაურობით. გოლიცინის მოღვაწეობა არ მოეწონა არც მეფეს და არც სინოდს, ის მოხსნეს არამართლმადიდებლობის ბრალდებით და მის ადგილზე დაინიშნა ა. შიშკოვი, რომელიც 1824 წლის წესდებით ცდილობდა გაეტარებინა ახალი ღონისძიებანი, რასაც „შიშკოვის ძირითადი საწყისები“ ერქვა. I საწყისი იყო: **„აღზრდა ხალხისა მთელს ჩვენს იმპერიაში, მიუხედავად სარწმუნოებათა და ენათა სხვადასხვაობისა, უნდა იყოს რუსული“**. მე-8-ე საწყისში ნათქვამი იყო: „ხელმწიფე და მამულის სარგებლობა აღზრდისგან მოითხოვს ეკლესიის ერთგულ შვილებსა და ერთგულ ქვეშევრდომებს, ღმერთისა და მეფისათვის თავდადებულ ადამიანებს“.

1828 წლის 2 აგვისტოს დებულებამ ნება დართო როზგის შემოღებას სკოლებში. მოსწავლეები ისჯებოდნენ ჯგუფური შეკრებისათვის, რაიმე თემაზე ქართულად საუბრისათვის, კამათის, წიგნის კითხვისათვის, და სხვ. ამგვარ შემთხვევაში საქმეში პოლიცია ერეოდა, აპატიმრებდნენ, კარცერში სვამდნენ, ან „მგლის ბილეთით“ აგდებდნენ მოსწავლეებს სკოლიდან [10, 448, 485].

1883 წელს გაზეთ „შრომაში“ დაიწერა წერილი 20 წლის გიმნაზიელის თავის მონამვლით თვითმკვლელობაზე. „ამ დღეებში თავი მოინამლა გიმნაზიელმა ახალგაზრდა 20 წლის ჭაბუკმა. მიზეზი გამოურკვეველია, მაგრამ ყველანი გაიძახიან: განა ასატანია, ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ეზიზღება თავისი მონაფე, არა მარტო პირადად, ისე წარმოშობისთვისაც და შეურაცხყოფს მის ეროვნებას. ვინ ურიგებს ასეთ პირებს მოძღვრის ადგილს და რა ჯილდოს ღირსნი არიან ასეთი მასწავლებლები. მაზე ჩვენ ვუპასუ-

ხებთ, რომ ასეთ ბატონებს ყველაზე უფრო კარგი როზგი ეკადრება“. ეს წერილი საცენზურო კომიტეტმა გადაუგზავნა კავკასიაში განათლების მზრუნველს—იანოვსკის, რომელმაც არ სცადა გაეგო მოსწავლის თვითმკვლელობაზე ხალხში გავრცელებული აზრის სისწორე, არამედ წერილის შეჩერება ურჩია საცენზურო კომიტეტს, რადგან ის ქადაგებს მასწავლებელთან როზგით გასწორებასო [11, 32-34; 86].

ცნობილი ქართველი მეცნიერი ქიმიკოსი —პეტრე მელიქიშვილი „მოგონებებში“წერდა: საზოგადოდ გიმნაზიებში ძალიან გავრცელებული იყო ცემა-ტყევა. ერთხელ, მეორე კლასში მასწავლებელი მეკითხებოდა, თუ როგორ ამზადებდნენ ფარაონების მუმიას. ე მოვუყევი, მაგრამ მალე შევჩერდი, რადგან არ ვიცოდი რუსულად შიგნეულების სახელები და ავერ ვუპასუხებდი. მის გამო მასწავლებელმა ისე მძლავრად გამარტყა მუშტი სახეში, რომ სისხლი თქრიალით წამსკდა ცხვირიდან. ე დასისხლიანებული ტირილით მივედი შინ და მშობლებს განვუცხადე, რომ სწავლას თავს ვანებებ, მაგრამ როგორც იყო დამანყნარეს და ისევ დავინყე გიმნაზიაში სიარული გასივებული ცხვირით. “

პოეტი აკაკი წერეთელი: „იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფია. გიმნაზიაშიც, რასაკვირველია, მას პირველი ადგილი ეჭირა. დღე არ იქნებოდა, რომ ყმანვილების ნივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ გაროზგილიყოს სხვადასხვა უფროსისგან“. აკაკი წერეთელი ასახელებს მოსწავლე კრიჟანოვსკის, რომელიც სამჯერ გაროზგილა ერთ დღეს და რიონში გადავარდნილა თავის დასახრჩობად. ასევე იგონებს კირილე ლორთქიფანიძე: „ერთი მოწაფე იყო ჩვენს კლასში კ. ლ. (კირილე ლორთქიფანიძე, შემგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ნიკოლაძის განუყრელი მეგობარი), სამაგალითო რამ, აჩქარება არ უყვარდა, საპეგა კი (რუსული ენის მასწავლებელი) როცა გაკვეთილს კითხავდა ვინმეს, ამბობდა: ნუ ფიქრობ, ისე მითხარიო. . . ის გაუყვანია, დაფაზე რაღაც დაუნერინებვია და ახსნას უცდის. კ. ლ. ფიქრობს, რომ კარგად მიუგოს. სულწასული პედაგოგი მიეპარა უკნიდან, კრა თავში ხელი და ცხვირ-პირი დაფაზე მიახლევინა: „რას უცდიო?!“ შეშინებულილა და გაბრუებულს მონაფეს ცხვირიდან სისხლი წასკდა“.



„ერთ ყმანვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა (ეს ზედამხედველი ინსპექტორი იყო, ივ. ანგესოვი, მეტად სასტიკი ადამიანი. ტ.ხ.) შუამდი აახლიჩა ყური: გაუსივდა და მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუნყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცებას! სტაცებდნენ ხელს და ხელახლა აგლეჯდნენ... ასე რომ, გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს — პირით დაჰკრა შუბლზე „ლინეიკა“ და თავთხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავშვი შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.“ თვითონ აკაკი გაროზგვას გადაურჩა შინ გაქცევით და დამუქრებით, რომ თავს დაიხრჩობდა [12,62; 61, 82-83].

ნიკო ნიკოლაძე: „I კლასის ბავშვებს, მაშინდელი რუსული მეთოდით ედგა „სტარში“ და წკებლას სცემდა, თუკი რამე შეეშლებოდა. ეს სისტემა ბავშვს ფსიქოლოგიურად თრგუნავდა. შეშინებული ბავშვი მიზანს ველარ აღწევდა. მხოლოდ ისინი სწავლობდნენ კარგად, რომელთა მშობლები რუს პედაგოგებს იქირავებდნენ. მაშინდელ ქართულ არისტოკრატიას კი, დაბალ ფენებზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან უჭირდა და ამგვარი ფულის გადახდას ვერ ახერხებდა.

იგივე ნიკო ნიკოლაძე წერს: ერთხელ მასწავლებელ სერებრიაკოვს მივმართე კითხვით: რა განსხვავებაა მათემატიკასა და ალგებრას შორის. პასუხის მაგიერ მან ხელში რომ უშველებელი სარსი ეჭირა, საშინელი რისხვით მესროლა, თავი დროზედ რომ არ დამეღუნა, სარსი შუბლში მომხვდებოდა და მომკლავდა მე ამცილდა და ქვიტკირის კედელში ორი თითის დადებაზე ჩაერჭო, ისეთი დაუზოგველი ძალით იყო ნასროლი. ხლამდისაც კი ვერ ამიხსნია, რად გააბრაზა სერებრიაკოვი ჩემმა უმანკო კითხვამ, იმ დღის აქეთ მე მისი გაკვეთილები აღარ დამიმზადებია, არც მას უკითხავს ჩემთვის რამე“ [13,31-32].

რუსული ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ ქართველი ახალგაზრდები ნიჭიერები და სწავლასმონყურებულნი იყვნენ, მაგრამ ზოგიერთ საგანს, ანუ სრულ საგიმნაზიო თუ სხვა ტიპის სკოლების პროგრამას (რასაც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ასწავლიდნენ), ქართველ ბავშვებს არ აძლევდნენ. ამით კი მათ უფლება ერთმეოდან შესულიყვნენ რუსეთის უნივერსიტეტებში, მაგალითად:

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ნევეროვი ფიქრობდა, ბერძნული ენის სწავლას თუ მიამატებდა ქუთაისის გიმნაზიაში

(ურომლისოდაც უნივერსიტეტში შესვლა არ შეიძლებოდა), მაშინ ზიანს მიაყენებდა რუსული ენის სწავლებას, ამ ორ ენას კი მოსწავლეები ვერ ისწავლიან, რადგან გიმნაზიაში ძირითადად „ტუზემცები“ (ადგილობრივები) სწავლობენო. „ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც თითქმის სავსებით ტუზემცებისაგან შედგება, რუსული ენის სწავლება მეტად ძნელია. ბერძნული ენის შემოღება სავსებით დაამძიმებს მოწაფეებს. ამავე დროს, სამწუხარო იქნებოდა, ნაგვერთმია უნივერსიტეტში შესვლის შესაძლებლობა ისეთი ხალხისათვის, რომელნიც მთელს მხარეში, შესაძლოა, ყველაზე ნიჭიერნი და უნარიანები არიან“ — წერდა ნევეროვი [1, 385-103]. გაკვეთილების ცხრილი ქუთაისის გუბერნიის სოფლის დაწყებით სკოლაში. 32 კვირეულ საათში, უმცროს ჯგუფში ქართულ ენას დათმობილი ჰქონდა მხოლოდ 4 საათი, ისიც მხოლოდ ბოლო გაკვეთილები, საშუალო და უფროსი ჯგუფებიდან კი ის სულ განდევნილი იყო. ასევე იყო თბილისის გუბერნიის სკოლებშიც [14,5404-62; 160].

გარუსების მიზნით, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი მშობლებს ავალდებულებდა ბავშვები რუსთა ოჯახებში მიეზარებინათ. 60-იანი წლებიდან კი ქუთაისის გიმნაზიასთან საერთო საცხოვრებელი აშენდა, რომელიც იყენებდა უკრაინასა და ბელორუსიაში დამკვიდრებულ პრაქტიკოსს, არარუსების გასარუსებლად მოწაფეთათვის დაქირავებულ ბინებს რუს მასწავლებელთა ზედამხედველობით [15, 614, 615].

ქართულ ენას რუსულ ენაზე ორჯერ ან სამჯერ ნაკლები საათები ეთმობოდა ყველა ტიპის სასწავლებელში, მაგალითისთვის გამოდგება 1825 წლის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გაკვეთილების ცხრილი [16, 101-103].

1873 წლის 22 ნოემბრის დებულებით ადგილობრივი ენები კავკასიის საშუალო სასწავლებელში მხოლოდ პირველ 4 კლასში რჩებოდა, ისიც როგორც არასავალდებულო საგანი მსურველთათვის, რომლებიც ფულს იხდიდნენ საგნის მასწავლებლებისთვის.

1871 წლის დეკემბერში სასწავლო ოლქის მზრუნველის — ნევეროვის მიერ თბილისში მოწვეული იქნა საშუალო სასწავლებელთა და სახალხო სკოლების დირექტორთა და ინსპექტორთა ყრილობა, სადაც ოლქის ინსპექტორმა ილიაშენკომ გაილაშქრა ადგილობრივი ენების სწავლების წინააღმდეგ [1,385,70-75].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებულ კერძო სკოლებში ქართული ენის სწავლების პირველი კლა-

სიდან დანერგვის გამო ილია ჭავჭავაძეს და საზოგადოების სხვა წევრებს კამათი ჰქონდათ იანოვსკისთან. იანოვსკი არ იძლეოდა სკოლის გახსნის უფლებას, თუ სწავლა რუსულ ენაზე არ დაიწყებოდა I კლასიდანვე.

ქუთაისის გიმნაზიის სასწავლებელთა დირექტორი 1857 წელს ავალებდა ყველა მასწავლებელს, რომ წლის I თვეებში ყურადღება მიექციათ რუსული ენისათვის და ამის შემდეგ შედგომოდნენ თავიანთი საგნების სწავლებას [1, 123,42].

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ჟელიხოვსკი 1871 წელს წინადადებას იძლეოდა, რათა გიმნაზიის I კლასში შემსვლელი ბავშვი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, რუსულ ენას იმგვარადვე უნდა ყოფილიყო დაუფლებული, როგორც იმავე ასაკის რუსის ბავშვი [1, 406, 596-597].

განათლების მიღების სიძნელეს სწავლის რუსულ ენაზე დანყებაც განაპირობებდა. აკაკი წერეთელთან მოსამზადებელ კლასში შესული 181 მოწაფიდან მე-7-ე კლასამდე მხოლოდ 6-მა მიაღწია. ისეთი ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც შემდეგ მწერლები და აღიარებული სწავლულები (მათ შორის მრავალი ენის მცოდნენიც) გახდნენ, რამდენიმე წელი ისხდნენ მოსამზადებელ და I კლასებში: კირილე ლორთქიფანიძე ორი წელი, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი კი — სამ-სამი წელი. ხოლოს მესამე — მეთხუთსე კლასიდან დაიწყეს წარმატებით სწავლა, როდესაც რუსული ენის დაუფლება შეძლეს [17, 49, 87, 108, 121].

საქართველოს სასწავლებლების პრობლემები ისე რთული იყო, რომ სასწავლებლებს შემსვლელთაგან ძალიან ცოტა მოსწავლეს ასრულებდა. ეს პრობლემა ერთნაირად იდგა სოფლისა და ქალაქის, აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთის სკოლებში. გიმნაზიის კურსს ქუთაისის გიმნაზიაში შესული მოსწავლეების მხოლოდ 1,1 % ასრულებდა, რაც მცირე ასაკში რუსული ენის სიძნელით იყო გამოწვეული. მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორის — სტოიანოვის ცნობით, 1850 წლიდან 1977-1878 სასწავლო წლამდე, გიმნაზიაში შესული 12 078 მოსწავლიდან კურსი მხოლოდ 265 კაცს დაუსრულებია [1, 1176-2].

ქართული ენა შეზღუდულად ისწავლებოდა ყველა ტიპის სასწავლებელში, სხვა საგნები, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვა, ისწავლებოდა რუსულ ენაზე.

რუსეთის იმპერიული საგანმანათლებლო პოლიტიკა ეროვნულ სულს იმითაც ასახიჩრებდა, რომ ქართველებს ჰყოფდა იმერ-

ლებად, კახელებად, მეგრელებად, თუშებად, სვანებად და ასე შემდეგ. განსაკუთრებით ისარგებლეს შოვინისტმა ბიუროკრატებმა საქართველოში, სხვა დიალექტების არსებობით და გადაწყვიტეს ქართულის ნაცვლად სწავლება მეგრულ და სვანურ „ენაზე“ ყოფილიყო. 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარი სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლებას კრძალავდა. ცირკულარი ეყრდნობოდა 1881 წლის სამოსწავლო გეგმას, რომლის მიხედვით რუსული ენის სწავლება უნდა მომხდარიყო ადგილობრივი ენის საშუალებით. ჩირკულარი ამტკიცებდა, რომ სამეგრელოში ადგილობრივი ენა არის მეგრული და რუსული ენის სწავლება ამ ენის საშუალებით უნდა მოხდესო. ქართული ენის ნაცვლად უნდა შესწავლილიყო მეგრული ენა, უნდა შექმნილიყო მეგრული ანბანი რუსული ანბანის დახმარებით [18, 59; 53-64].

ცირკულარში, რომელიც იანოვსკის სურვილით ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიტსკიმ დაგზავნა, ეწერა:

1. თანახმად 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებული გეგმისა, პირველდანიყებით სკოლებში სწავლა სამშობლო ენებზე უნდა იწყებოდეს;
2. სამეგრელოს სკოლებში კი სწავლა იწყება არა მეგრულ ენაზე, არამედ ქართულზე, „მეგრელებისთვის სრულიად გაუგებარზე“;
3. რუსული ენა ისწავლება ქართულის და არა მეგრულის დახმარებით;
4. ამრიგად, მეგრულ ბავშვებს ორი ახალი ენის შესწავლა უხდებათ — რუსულისა და ქართულის, ამიტომ რუსული ენის შესწავლა ფერხდება;
5. ამგვარი წესის გამო, რასაკვირველია, ვნება ეძლევა არა მარტო რუსული ენის შესწავლას, არამედ მთელ სწავლას სკოლაში;
6. რუსული სიტყვები ქართულის მეშვეობით უაზროდ და უნაყოფოდ ისწავლება;
7. სწავლის საქმის ცუდ გარემოებას სამეგრელოში მოჰყვა მეგრელების უკან ჩამორჩენა განათლებისა და საზოგადო მდგომარეობის მხრივ ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით;
8. რუსული ენის სწავლება აუცილებლად იწყებოდეს მეგრული ენის სწავლების შემდეგ, თანახმად 1881 წლის პლანისა და ისწავლებოდეს მეგრული ენის საშუალებით;

9. რადგან მეგრულ ენაზე მწერლობა არ არსებობს, მეგრული სიტყვები გამოიხატოს რუსული ანბანით;

10. საჭირო ლოცვანი და საღმრთო ისტორია შეიძლება შესწავლილი იქნას რუსულ ენაზე, დედაენაზე (მეგრულზე) თარგმნით და ახსნით [19].

1886 წლის 18 თებერვალს იანოვსკი მიმართავდა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრს: „აქაურ ხალხებს, რომლებიც განმსჭვალულნი არიან განათლებისკენ მისწრაფებით, განსაკუთრებით რუსული განათლებისაკენ, ეკუთვნიან მეგრელები, მოლაპარაკე მეგრულ ენაზე, სავსებით განსხვავებული ქართული ენისაგან და სრულიად გაუგებარი ქართველებისთვის, ისე, როგორც ქართული გაუგებარია მეგრელთათვის.... სწავლება შეიძლება დანყებული იქნას მეგრული წერა-კითხვით და არა ქართულით, რაც ადგილობრივ მეგრულ სკოლებში მიღებული იყო მონაფეთათვის რუსული ენის შეთვისების საზიანოდ. მე აუცილებლად ვთვლი, ამ ენისათვის შედგენილი იქნას საკუთარი ანბანი, მეგრული ანბანი, ჩემი მტკიცე რწმენით, რუსულ ალფაბეტზე უნდა იქნას დაფუძნებული“ [1, 1746-1].

1888 წელს ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ შეადგენინა აფხაზური ანბანი. ამ ანბანით შედგენილი იყო პირველდანწყებითი სკოლების სახელმძღვანელოები, გადაითარგმნა აფხაზურ და სვანურ ენებზე ლოცვები და ეს მასალები გაეგზავნა კავკასიის ოლქის მზრუნველს განსახილველად და დასამტკიცებლად. [20,263].

1903 წელს ლეჩხუმის თავადაზნაურობის კრებაზე თავად ლევან ბექირბეის ძე დადეშქელიანმა დააყენა საკითხი, რომ სვანეთის სკოლებში არ ასწავლიდნენ ქართულ ენას. კრებამ დაადგინა, რომ მთავრობისათვის ეთხოვა სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების აღდგენა, რაც მთავრობამ არ გაითვალისწინა [21, 1903-79]. ხელისუფლება, პირიქით, სვანეთის სკოლებისათვის ახალი „სვანური ანბანის“, ე. წ. „ლუშნუ ანბანის“ შემოღებას გეგმავდა.

ბათუმში, სამუსლიმანო საქართველოს ცენტრში, ქართული ენა არ ისწავლებოდა, აჭარა-ქობულეთში ქართული სკოლა არ არსებობდა, სოფლად სკოლები ხოჯების ხელში იყო, ქალაქად კი, — თვითმპყრობელობის ერთგული მოხელეების განმგებლობაში.

იანოვსკიმ სთხოვა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრს მეგრული ანბანის შესადგენად წარმოეგზავნა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის კანდიდატი ალექსი ნიკოლოზის ძე გრენი, რომელიც ქართულ ენას სწავ-

ლობდა და მეცნიერული მუშაობა ეწადა აკადემიკოს რადლოვის მეთაურობით.

აკადემიკოსმა რადლოვმა შეადგინა ინსტრუქცია და გრენი ამ ინსტრუქციით აღჭურვილი 1886 წლის 29 აპრილს საქართველოში გამოგზავნეს. „გარდა ტექსტების შესწავლისა, ბ. გრენმა მეგრელების დახმარებით, უნდა შეადგინოს ბავშვთა საკითხავად პატარ-პატარა წერილები რუსულიდან ნათარგმნი, განსაკუთრებით უშინსკის „როდნოე სლოვოდან“ და „აღმოსავლეთის თათრებისათვის შედგენილი I საკითხავი წიგნიდან“, აგრეთვე სახარებისა და სხვა საღვთო წიგნებიდან ნათარგმნი ზოგი თავი“ [1, 1746, 8-10].

გრენმა რუსული ანბანი საოცრი სისწრაფით, 5-6 კვირის მანძილზე შეადგინა და 1886 წლის 25 აგვისტოს მზად ჰქონდა. გრენს დიდი წინააღმდეგობა გაუწია არა მარტო სამეგრელოს ჩვეულებრივმა მოსახლეობამ და საზოგადოების მოწინავე ნაწილმა, არამედ მათაც, რომლებიც თადა აშორდიას მეთაურობით მომხრე იყო მეგრული ანბანის შექმნისა.

ამ მოვლენის პოლიტიკურ საფუძველზე მიუთითებს გრენის მოხსენებიდან ამონაწერი: „ამ ანბანის გამოცემისას მე მხედველობაში მქონდა, თუმცა არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამომენვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისგან ითვლებიან. და მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური აღფაბეტიც ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში, ქართველი. და ბოლოს, უაღფაბეტოდ შეუძლებელია რამე მეცნიერება, ცივილიზაციის რაიმე ნაპერწკალიც კი“ [1, 1746, 24-25].

1894 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიციკიმ დაწერა და გამოსცა რუსული ენის სახელმძღვანელო, სადაც უარყოფილი იყო რუსული ენის შესწავლა ქართულად თარგმნით და საამისო „ნატურალური“ ანუ მუნჯური მეთოდის გამოყენება იქნა დასაბუთებული. იუხედავად იმისა, რომ ლევიციკის წიგნი გააკრიტიკეს იაკობ გოგებაშვილმა, რუსმა რეცენზენტებმაც კი, დაიწუნეს ყველა სემინარიის და სხვა სასწავლებლების პედაგოგებმა საქართველოსა და რუსეთშიც, წიგნი მაინც იქცა სავალდებულო სახელმძღვანელოდ. ის იანოვსკის რეკომენდაციით, კავკასიის სასწავლო ოლქის ფინანსებით გამოიცა და ამ ოლქის ხელმძღვანელობამ ქართული ენის სკოლებიდან გამოსაღვენად და ქართველების გასარუსებლად დატოვა სკოლებში. ასწავლებელს

გაკვეთილზე მიჰქონდა თვალსაჩინო მასალა — შაქარი, ლიმონი, პილპილი, გემოს გასინჯვით ასწავლიდა შესაბამის რუსულ სიტყვებს. სიტყვა — ცურვის შესასწავლად იატაკზე წვებოდა, ხელებს და ფეხებს ასავსავებდა და ცურვის იმიტაციას ქმნიდა. ბავშვს მუნჯურად უნდა გაეგო რას ნიშნავდა ესა თუ ის რუსული სიტყვა. გოგებაშვილი წერდა: „ლევიტსკის გაკვეთილზე მასწავლებლები და მოსწავლეები აუცილებლად ჭამენ, სვამენ, ასხამენ წყალს, ადუღებენ მას, ყვირიან, ღრიალებენ, ხმაურობენ, აფურთხებენ, ძინავთ, იღვიძებენ, იბანენ, რბიან, ხტუნავენ, იკოცნებიან, ეხვევიან, ხვრიწავენ, ყეფენ, კნავიან, კაკანობენ, სურდოთი ავაღდებიან, ცრუობენ. მას „ბუნებრივ მეთოდს უწოდებს. ამ მეთოდს მხოლოდ ერთი შედეგის მოცემა შეუძლია: სასაცილო გახადოს სახელმწიფო ენა ქართველი მოსახლეობის, ბავშვებისა და მოზრდილთა თვალში. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვების მშობლიურ ენას არ ჰქონოდა ადგილი სკოლაში, რომ მშობლიური ენიდან ბავშვები რუსული ენით აზროვნებაზე გადაეყვანათ“ [ 22,462].

გარდა იმისა, რომ ქართული ენა დისკრედიტებული იყო იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკის მიერ, მასწავლებლებიც ამ ენისა დაჩაგრულნი და დამდაბლებულნი იყვნენ. „ქართული ენის მასწავლებლები სხვა საგნის მასწავლებლებზე მცირე ხელფასს იღებდნენ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ქართული ენის სწავლების ცუდად დაყენებას სკოლაში კადრების სიმცირითა და სათანადო სახსრების უქონლობით ხსნიდა... სინამდვილეში ადგილობრივი ენის მასწავლებელთა უთანასწორობა სხვა საგნის მასწავლებლებთან ( როგორც ეკონომიკურად, ასევე უფლებრივად), არა სახელმწიფოს სიღარიბით და უსახსრობით იყო გამოწვეული, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ქართული ენა განედევნათ სკოლებიდან, იძულებული გაეხადათ მასწავლებლობა ხელი აეღოთ მშობლიური ენის სწავლებაზე“. [23,5; 17-18].

„საქართველოს საბოლოო გარუსების პოლიტიკისათვის იმპერია იყენებდა სკოლას, სადაც სწავლა-განათლება რუსულ ენაზე წარმოებდა, ხოლო სამშობლო ენა, ისტორია და გეოგრაფია, რაც ახალთაობას შეაგნებინებდა თავის ეროვნებას, სკოლიდან განდევნილი იყო“ [20,276].

იანოვსკი, ზავადსკი, ლევიტსკი ქართული ენის სწავლებას ეწინააღმდეგებოდნენ მთელი თავიანთი საქმიანობის მანძილზე, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი კატკოვი კი ქართული თეატრის სცენაზე გამოტანილ საქართველოს ისტორიულ

დროშას „მჩვარს“ უწოდებდა და ურჩევდა ქართულ საზოგადოებას— ჩაებარებინა იგი გოფრუას ცირკისათვის [24, 562].

ხელისშეშლა სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური და სამეურნეო სკოლების დაარსებაში იმ საბაბით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა ჯერ არ იყო ჯეროვან დონეზე, მთავრობის მიერ კოლონიის განვითარებისათვის სახსრების გაუმეტებლობა, უამრავი დისკრიმინაციისა და ეროვნული დამდაბლების მაგალითი, საქართველოს ხსენების აკრძალვისა და ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის დაცინვის ფონზე — ანტიქართული, ერის საბოლოოდ წაშლისა და მისი ეთოისტორიული და კულტურული ტრადიციების საბოლოოდ გამაქრობელი საგანმანათლებლო პოლიტიკა ტარდებოდა ცარიზმის ხანის საქართველოს გუბერნიების სოფლებსა და დაბა-ქალაქებში.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 107, საქმე 187.

2. გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიური ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1974; რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული, IV, 571, 3060.

3. Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, под ред. А. Берже, т. II, Тифлис, 1868.

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2, საქმე 2013;

5. რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილებათა კრებული I. გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიური ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1974.

6. რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული, IV, 571, 3060.; გ. თავზიშვილი, რჩეული პედაგოგიური ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1874.

7. ტრიფონ ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), თბილისი, 1951.

8. VIII. Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, под ред. А. Берже, т. VIII, Тифлис, 18.

9. 1832 წლის შეთქმულება, I, 140, 177.

10. Циркуляр попечительского Кавказского учебного округа, №66 1905 г.



11. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 107, საქმე 983; ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბილისი, 1940.
12. ტრიფონ ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბილისი, 1940; აკაკი წერეთელი: „ჩემი თავგადასავალი“, თხზ. ხუთ ტომად, ტ. III, 1990.
13. ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1954.
14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 107, საქმე 5404, ფ. 62; ტრიფონ ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები), თბილისი, 1940.
15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 521, საქმე 614, 615.
16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 16, საქმე 327, ფურც. 101-103].
17. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 321, საქმე 49, 87, 108, 121.
18. ჟურნალი „მოამბე“, 1881 წ. 59; „მოამბე“, 1886, 53-64.
19. გაზეთი „დროება“, 1885, 59.
20. გრიგოლ გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში (1864-1905), თბილისი, 1927; სცსსა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საქმეები, 153; გაზეთი „ივერია“, 1889, 3.
21. გაზეთი „ივერია“, 1903 წ., 79.
22. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1940; Левитский, «Курс русского языка начальних училищ Закавказия», 1894.
23. ტ. სარიშვილი, სკოლა და პედაგოგიური მიმდინარეობანი რევოლუციამდელ საქართველოში (1901-1921 წ. წ. ), თბილისი, 1956; Отчет о состоянии учебных заведений Кавказского учебного округа за 1906 года.
24. ილია ჭავჭავაძე, „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“, თხზულებანი ერთ ტომად, თბილისი, 1984.

**Dodo Chumburidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhsishvili Tbilisi State University, Ivane Javakhsishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist researcher of the Department of modern and Contemporary History*

## **Conquest of Georgia by Russia and the New Educational System in the 19<sup>th</sup> Century**

### **Summary**

The educational system of Russia till 1803 was working according to the „Plural Regulations of the People’s Schools“ of 1786, which was an Austrian system of education and meant schools of two types: two years minor and four years major schools. In this system rural schools were not taken into consideration, the principle of universal education was neglected as well as the issue of women’s education and etc. According to this regulation the schools were not funded by government.

In 1803 „Preliminary Rules of the People’s Education“ and in 1804 the plural regulations of education were written, but they were not distributed in the schools of the Caucasus and Georgia. The plural regulations that were written by the government during the 19<sup>th</sup> century often were against the national interests of Georgian people. The article deals in details with this problem. The educational policy of Russia and its role for solving colonial interests of Russia is evaluated as well.

## ეკა ჯავახიშვილი

*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს  
ისტორიის კათედრის დოქტორანტი*

### იაკობ გოგებაშვილი და აფხაზეთის საკითხი

დიდ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს — იაკობ გოგებაშვილს განსაკუთრებული დამსახურება აქვს ქართველი ერის წინაშე. ის არნახული გამბედაობით შეებრძოლა რუსულ საიმპერიო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ერის ასიმილაციას, მისი ეროვნული იდენტობის ნაშლას, სულიერად მის მოკვდინებას. ორთაბრძოლა ამ ადამიანსა და იმპერიას შორის, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გოგებაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვების მთავარი შედეგი ქართული სკოლის ჩამოყალიბება, ქართული სულის მთავარი ჩამდგმელის — „დედაენის“ შექმნა იყო.

მწერალი აქტიურად ერეოდა ყველა იმ საკითხში, რაც ეროვნულ საფრთხეს ქმნიდა, ყველაფერ იმას ებრძოდა, რაც ქართველი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ერთ-ერთი ამდაგვარი თემა აფხაზეთის კოლონიზაციას ეხებოდა. რუსეთი აქედან ქართველების საბოლოოდ განდევნასა და მხარის რუსული მოსახლეობით დასახლებას გეგმავდა.

1877 წელს გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკ“-ში გამოქვეყნდა იაკობ გოგებაშვილის წერილების სერია — „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“. ეს წერილები გაზეთის თორმეტ ნომერში იბეჭდებოდა. როგორც პუბლიცისტური ნაშრომი, იგი შეტანილია იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა I ტომში [1, 9-120].

წერილი იმდროისათვის აქტუალურ თემას — აფხაზეთის კოლონიზაციას ეხებოდა. იმ პერიოდისათვის აფხაზეთის მოსახლეობამ მძიმე დარტყმა გადაიტანა რუსული ხელისუფლებისაგან. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ებრძოდა იმპერიის სამხედრო ძალადობას, აყარეს და საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნილი ეს ხალხი ოსმალეთს შეეხიზნა. პროცესმა, რომელიც „მუჰაჯირობის“ სახელითაა ცნობილი, მართლაც სასტიკი და სისხლიანი კვალი გაავლო მშვიდობიანი აფხაზი მოსახლეობის ცხოვრებაზე. აფხაზეთის დიდი ნაწილი გაუდაბურდა. რუსეთის ხელისუფლება

აპირებდა ამ მხარის კოლონიზაციას რუსი ან იმ ეროვნების ადამიანებით, რომლებიც მისი უერთგულესი ქვეშევრდომები იქნებოდნენ და არ ექნებოდათ ხელისუფლებასთან დაპირისპირების რაიმე სურვილი. სავარაუდო ჩამოსასახლებელი მოსახლეობის რიცხვში არ იგულისხმებოდნენ ქართველები. არადა, როდესაც კოლონიზაციის პროცესი წარიმართა და აფხაზეთში რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან ჩამოსასახლეს ოჯახები, სახელმწიფოს ყოველგვარი დახმარების მიუხედავად, ამ ოჯახების დამაგრება გაჭირდა. ამის მიზეზი გახდა ჰავასთან, განსხვავებულ და უცხო სამეურნეო პირობებთან, ადგილობრივ ეთნოკულტურულ ტრადიციებთან ჩამოსახლებულთა შეუგუებლობა. გარდა იმისა, რომ აფხაზეთში ჩასახლების უპირველესი უფლება ქართველებს ჰქონდათ, რადგან ისინი უძველესი დროიდან აფხაზეთთან ერთად ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე, ქართველებს ადგილობრივი კლიმატური პირობები და სამეურნეო ტრადიციები ბუნებრივად გაათავისებული ჰქონდათ. აფხაზეთსა და ქართველებს შორის მუდამ კეთილი და ნათესაური დამოკიდებულება იყო. რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ამ ურთიერთობის საძირკვლების დასანგრევად იყენებდა კოლონიზაციის ახალ გეგმას, რომლითაც ქართველების ნაცვლად, აფხაზეთში სხვა ერების ჩამოსახლება უნდა მომხდარიყო. ამ ფაქტს აღნიშნავდნენ და თავიანთ გულისტკივილს გამოხატავდნენ ცნობილი ქართველი და აფხაზი მწერლები და მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, გიორგი შერვაშიძე და სხვები.

„დიდ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, არაერთხელ გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება ქართველ-აფხაზთა ურთიერთობისადმი. ქართველი ხალხის გასაგონად იგი ყოველთვის ხმამაღლა აცხადებდა, რომ აფხაზები, მათი ენა, კულტურა და ფოლკლორი თვითმყოფადია და რომ ჩვენი ერის მოვალეობა იყო ხელი შეეწყო და დახმარებოდა მათ თვითშეგნების ჩამოყალიბებაში“ [2, 56]. ასეთი ცნობიერების ადამიანი არ შეიძლება აფხაზების მტერი და ავისმოსურნე ყოფილიყო. ზოგადად დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი საოცრად ჰუმანური და ჩაგრულთა უფლებების დამცველი იყო. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება მის მიერ ირლანდიელი ხალხის ინტერესთა დაცვა, ინგლისის კოლონიური პოლიტიკის მხილება, ზანგთა უფლებების დაცვა მაშინ, როდესაც ამას ევროპისა და ამერიკის ბევრი ცნობილი მოღვაწე ვერ

ახერხებდა. ასეთი პიროვნების შესახებ აფხაზეთის ისტორიის X—XI კლასების სახელმძღვანელოში, რომლის ავტორები არიან ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა, მოსწავლეებს სპეციალური პარაგრაფით აცნობენ გოგებაშვილის მოღვაწეობას, როგორც ანტიაფხაზურს, ანტიჰუმანურსა და შოვინისტურს [3, 66].

გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკ“-ის თორმეტ ნომერში გამოქვეყნებულმა გოგებაშვილის სტატიამ მაშინვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება: მან, როგორც მოსალოდნელი იყო, გააღიზიანა რუსი მოხელეები, ქართველები კი დააინტერესა იმ ისტორიული ნიაღვრების გამო, რასაც პუბლიცისტი მიმართავდა. პირველივე წერილს გამოეხმაურა სოხუმის ოლქის მაშინდელი უფროსი — ვედენსკი. მან გააკრიტიკა გოგებაშვილი, რაზეც პასუხიც მიიღო. დიდი პედაგოგი და მამულიშვილი თავის მოსაზრებებს ისტორიული ფაქტებით ადასტურებდა, ხსნიდა, თუ რატომ ჰქონდათ ქართველებს აფხაზეთში ჩასახლების უპირატესი უფლება იმპერიის სხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებულ უცხო ერების წარმომადგენლებთან შედარებით.

კრიტიკული წერილი მოთავსებული იყო გაზეთ „კავკაზის“ 207-ე ნომერში. გოგებაშვილმა თავისი მოსაზრების ნათელსაყოფად ღრმა ნიაღვრები გააკეთა და ოპონენტი საბოლოოდ განაიარაღა. ვედენსკი ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ მისულა რედაქციაში და ყველაფერი, რასაც გოგებაშვილი წერდა, სავსებით სარწმუნოდ და სამართლიანად უღიარებია [2, 57].

იაკობ გოგებაშვილის სტატიაში მოტანილი მონაცემებით ისარგებლა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სტაროსელსკიმ, როდესაც პეტერბურგში ამ საკითხზე გასაგზავნი ბარათი შეადგინა. საქმე უნდა გადაწყვეტილიყო ქართველთა და აფხაზთა სასარგებლოდ. მაგრამ ამ საკითხზე კამათში ჩაერთო მოსკოვის შავრაზმული გაზეთი „მოსკოვსკი ვედომოსტი“, დუმის შავრაზმელი დეპუტატები, რომელთა დაჟინებულმა მოთხოვნებმა განაპირობა ამ მხარეში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან აყრილი მოსახლეობის ჩამოსახლება. ქართველებს არა მარტო უარს ეუბნებოდნენ აქაურ თავისუფალ ადგილებში ჩასახლებაზე, არამედ დიდი ხნის დასახლებულებს, აყვავებული ბალ-ვენახების და კარგად განწყობილი მეურნეობის პატრონებსაც ყრიდნენ საკუთარი სახლებიდან. მთელს იმპერიაში ცნობილი გახდა სოხუმთან ახლოს მდებარე ქართული დასახლების — პარნაუთის — ისტორია. რუსული პრესა თუ დუმის დეპუტატების არაქართველი წევრები, რომ არაფერი ვთქვათ ქარ-

თულ პრესასა და ქართველ დეპუტატებზე, ამ ტრაგედიას განიხილავდნენ, აქაურ, მართლაც დაჩაგრულ მოსახლეობას პრესის ფურცლებზე და საკანონმდებლო ორგანოშიც თანაგრძნობას უცხადებდნენ [4, 429-442].

გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რამ გააბრაზა ვედენსკი. „ასეთი შეხედულება და საკითხის ასეთნაირად გადაჭრა ძალზე არ მოენონა ჩემს მოწინააღმდეგეს, — წერდა გოგებაშვილი. — მას შეეშინდა, რომ ეს აზრი პრაქტიკაში არ გატარებულიყო და შეეცადა თავის სტატიაში მეგრელებისთვის ყოველგვარი ნაკლი მიენებებია და გამოეყვანა ისინი თურქეთში გადასახლებული აფხაზების შეცვლის ყოვლადუფარგის კანდიდატებად... ამასთან ერთად, ის ცდილობს მიაწიოს თავის მოსაზრებას ერთგვარი ავტორიტეტულობა მით, რომ ვითომც თორმეტ წელიწადს უცხოვრია აფხაზეთსა და სამეგრელოში. ჩვენ იმედი გვაქვს, სათანადო სიცხადითა და დამაჯერებლობით დავამტკიცოთ, რომ ის ან სულ არ იცნობს მეგრელებსა და სამეგრელოს, ან თუ ცნობს, განზრახ სცხებს მათ ჩირქს...“ [1, 96].

„რაც შეეხება ნიჭსა და გონებრივ თვისებებს, რომლებიც განსაზღვრავენ თითოეული ერის კულტურულ განვითარებას, მეგრელებს გააჩნიათ ეს იმ ზომამდე, რომ განცვიფრებაში მოჰყავთ მიუდგომელი მეთვალყურე თავისი სწრაფი საზრიანობით, იშვიათი მიხვედრილობით და ათვისების განსაცვიფრებელი ნიჭით. ასე, მაგალითად, ბოროზდინმა, რომელიც დანვრილებით გაეცნო სამეგრელოსა და მეგრელებს, მეტად მოსწრებულად დაახასიათა ისინი, როდესაც მათ ამიერკავკასიის ფრანგები უწოდა. „ძნელი წარმოსადგენია ისეთი ტომი, რომელსაც ჰქონდეს ნიჭი სწავლისა, იყოს უფრო ამთვისებელი, ვიდრე მეგრელებია, — ისინი ამიერკავკასიის ფრანგები არიან თავიანთი გულღიანობით და ხასიათის მოქნილობით, ამბობს ის თავის ღირსშესანიშნავ სტატიაში, სადაც იხილავს საკითხს სამეგრელოში ბატონყმობის მდგომარეობის შესახებ“.

„ამის შემდეგ არ შეიძლება არ ჩავთვალოთ უსამართლოდ განაჩენი ჩემი მოწინააღმდეგისა, რომელიც ამტკიცებს, ვითომც მეგრელები უნიჭო, აფხაზებზე დაბლა მდგომი ტომია. და თუ, მიუხედავად თავისი ბუნებრივი ნიჭისა და იშვიათი გონებრივი თვისებებისა, მეგრელებმა ვერ მოასწრეს თავისი კულტურის განვითარება, ეს იმიტომ მოხდა, რომ საუკუნეთა მანძილზე ამას წინ ეღობებოდა დაუძლეველი მიზეზები: საშინელი ათასწლოვანი არეულობა, განუწყვეტელი ოები თურქებთან, ხოლო უმთავრესად კი,

ცხოვრების დესპოტური ნყობილება, გამონვეული მეტად არახელსაყრელი ისტორიული გარემოებებით, რამაც შებოჭა სამეფრელოში ხალხური ცხოვრების ყოველგვარი განვითარება ბატონყმობის უღლიდან ხალხის განთავისუფლებამდე. უნდა ვიცოდეთ, რომ არსად და არცერთ ქვეყანაში არ მოჰყოლია ბატონყმობას გლესთა ისეთი აბსოლუტური უუფლებობა და ისეთი განუსაზღვრელი თვითნებობა მემამულეების მხრივ, როგორც ამ მხარეში... [1, 99].

გოგებაშვილის აზრით, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სამეგრელოს გლესობამ არნახულ განვითარებას მიაღწია: გაორკეცდა მათი შრომისმოყვარეობა, გაიზარდა მომჭირნეობა და „ვაჭრული თავგზიანობა“, ამას ნათლად ადასტურებდა ის ფაქტი, რომ მიუხედავად სხვადასხვა გადასახადებით დამძიმებისა, მეგრელებმა განთავისუფლებიდან ათი წლის განმავლობაში თავიანთ მემამულეთაგან უამრავი მინა შეისყიდეს მთავრობის დახმარების გარეშე [1, 109]. ვედენსკი კი ამტკიცებდა, რომ მეგრელები დაბალ საფეხურზე იდგნენ და მხოლოდ მონებად გამოდგებოდნენ. ასეთ მსჯელობას, — ამტკიცებს გოგებაშვილი, — მკაცრი ამერიკელი პლანტატორიც კი არ იკადრებს ზანგების შესახებო. „რად დასჭირდა მას ასეთი მკაცრი აზრის გამოთქმა? მეორე, კიდევ უფრო ნაკლებ ჰუმანური აზრის გასატარებლად. მისი აზრით, აფხაზეთის კოლონიზაციის მიზანი, სხვათა შორის, უნდა იყოს ზნეობრივი დამონება და გარუსება მეზობელი ტომებისა“.

პუბლიკაციის ავტორი ისტორიულ სინამდვილეს გადმოსცემდა, როდესაც ამტკიცებდა, რომ რუსი და სხვა ეროვნების გადმოსახლებულები ხშირად მალარიით ავადდებოდნენ, ბევრი იღუპებოდა, ბევრი უკან ბრუნდებოდა და ეს მოვლენა ტრაგედიად იქცეოდა უბრალო რუსი გლესობისათვის. მთავრობა, ამ შემთხვევაში, მარტო ქართველ გლესებს კი არა, რუს გლესებსაც დევნიდა და აზარალებდა თავი უგუნური პოლიტიკით.

ავტორი აკრიტიკებდა რუს მოხელეს და ეჭვს გამოთქვამდა, რომ ის ბიუროკრატიისთვის იღწვოდა, სურდა ცარიელ ზღვისპირა მიწებზე ხელისუფლების წარმომადგენლები დასახლებულიყვნენ. მეორეც, გოგებაშვილს უკანონობად მიაჩნდა, რომ მთავრობა რუს კოლონისტებს აფინანსებდა ქართულ მიწებზე ჩამოსასახლებლად, ქართველებს კი, მათ შორის სამეგრელოს მცხოვრებლებს, აიძულებდა მალალი ფასები გადაეხადათ შავიზღვისპირეთის მიწაზე დასახლებისათვის. მითუმეტეს, რუსეთიდან ჩამოსახლებულები მშობლიურ მხარეში არ განიცდიდნენ მიწის ნაკლებობას, ქართვე-

ლი გლეხები კი იმდენად მცირემიწიანები იყვნენ, საარსებო მინიმუმითაც ვერ უზრუნველყოფდათ თავიანთი მამულები.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან კავკასიის დასახლება რუსი მართლმადიდებელი გლეხებით გააქტიურდა. მას ორგანიზებას უწევდა კანონი გადასახლების შესახებ. მთავრობამ მოიმიზეზა ხალხის მოთხოვნა ამ რეგიონში დასახლებაზე, ევროპული ნაწილის გადატვირთვა მოსახლეობით. ვინაიდან მთავარმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა (1882-1890) უარი თქვა კავკასიაში რუსი გლეხების გადმოსახლებაზე, რადგან იქ უკვე კაზაკები ცხოვრობდნენ, მათი სახით რუსეთს დასაყრდენი ჰქონდა, კაზაკების წყენინება კი ხელისუფლებას აღარ უნდოდა [6, 79-80].

პროცესი გაფართოვდა გოლიცინის მთავარმართებლობის დროს (1896-1907). მან დაგზავნა ცირკულარები ამიერკავკასიის გუბერნატორებთან და დაავალა მათ შეედგინათ „ჭარბი მიწების სიები“ და დაეწყოთ მზადება რუსული სოფლების დასაარსებლად, მათ შორის აფხაზეთში [7, 1]. აფხაზეთის კოლონიზაციაზე ბევრი ინერებოდა როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში. პუბლიცისტებთან ერთად, ამ საკითხს მწერლები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც ეხებოდნენ. გოგებაშვილის სტატიებიც აფხაზეთზე არსებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია.

მწერალი მის მიერ წამოყენებული პრობლემის — აფხაზეთის ქართველებით, კერძოდ მეგრელებით, დასახლების ისტორიულ სამართლიანობასაც ეხებოდა და წერდა: „მეგრელები ისტორიული უფლების თვალსაზრისითაც უფრო კანონიერი მემკვიდრენი არიან გასახლებული აფხაზებისა. ცნობილია, წინათ არც ისე შორეულ წარსულში, აფხაზეთის აღმოსავლეთის ნაწილი მეგრელებს ეჭირათ და სასაზღვრო მდინარე არა ენგურის, არამედ კოდორის იყო“. ის კონსტანტინოპოლის ალექსანდრე და თურქების შავ ზღვაზე გაბატონებას მიიჩნევდა იქიდან მეგრელების გამოდევნის მიზეზად. აფხაზებმა განდევნეს ისინი ენგურს გაღმა და მაშინდელი სამეგრელოს ტერიტორიის ნაწილი დაიკავეს. ამჟამად თურქეთი დასუსტებულია და დამარცხებული რუსების მიერ და ამას უნდა მოჰყვეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და მეგრელების ძველ ტერიტორიაზე დაბრუნებაო [1, 120].

1907 წლის ნოემბერში იაკობ გოგებაშვილმა ამავე საკითხზე წერილი გამოაქვეყნა სოციალ-დემოკრატიულ ყოველდღიურ გაზეთში — „წყარო“. სტატიას ერქვა — „პოლიტიკანობა აფხაზეთში“. წერილი გოგებაშვილმა თავის სიცოცხლეშივე გამოცემულ



შრომების I ტომში შეიტანა, შემდეგ კი, ნაშრომი საბჭოთა პერიოდში გამოცემულ თხზულებათა IV ტომში შევიდა [5, 200].

წერილში გოგებაშვილი ვრცლად ეხებოდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას, ამბობდა, რომ აფხაზებს უნდა ჰქონოდა საკუთარი ანბანით დაბეჭდილი წიგნები, ეკლესიებში უნდა შექმნილიყო აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულების შესაძლებლობა. ახალი წიგნების გამოცემაში, ეროვნული სკოლების შექმნაში მათ მხარს დაუჭერდნენ ქართველი სპეციალისტები. „ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება, გამდიდრება. მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისთვისაც, მათ შორის აფხაზებისათვის“, — წერდა დიდი ქართველი პედაგოგი. ასეთი ჰუმანური აზრების მატარებელი ადამიანი არ შეიძლებოდა აფხაზთა დისკრიმინაციას, მათ სამშობლოდან გადახვეწას მიმხრობოდა. ჩვენ მიერ განხილული გოგებაშვილის სტატიებიც სხვა არაფერია, თუ არა პედაგოგი-ჰუმანისტის მიდგომა საკამათო საკითხის სამართლიანად გადაჭრისაკენ.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1952.
2. გიორგი (გელა) საითიძე, „ასე იყო მუდამ! (იაკობ გოგებაშვილი და აფხაზეთის საკითხი), წიგნში: ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები, თბილისი, 2013.
3. ო. ბლაჟბა, ს. ლაკობა, აფხაზეთის ისტორია (რუსულ ენაზე), X—XI კლასების სახელმძღვანელო, სოხუმი, 2006.
4. დოდო ჭუმბურიძე, რუსული კოლონიზაცია აფხაზეთში და დასახლება პარნაუთი, წიგნში: ისტორიული პორტრეტები, წერილები, თბილისი, 2012.
5. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1955.
6. დოდო ჭუმბურიძე, რუსული დასახლებები საქართველოში (XIX—XX ს.ს.) და „გადასახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“, წიგნში: „საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 2007.
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწერა 3, საქმე 1.

## **Eka Javakhishvili**

*Doctoral student of Telavi Iakob  
Gogebashvili State University,  
The Department of the History of  
Georgia, Faculty of Humanities*

### **Iakob Gogebashvili and Abkhazia**

#### **Summary**

Great Georgia pedagogue and public figure – Iakob Gogebashvili - have done a great service to Georgian nation. He, with unprecedented courage, was fighting against Russian imperial policy, which aimed the assimilation of the Georgian nation, erasing of the national identity. It might be strange, but Gogebashvili won the battle. The main result of this victory was founding of the Georgian school and writing „Deda-Ena“ („Mother Tongue“, ABC manual), main carrier of the Georgian soul.

The writer used to interfere actively in all affairs that were against the interests of Georgian people that possessed a threat to the nation. One of them was an issue of the colonization of Abkhazia. Russia wanted to banish Georgians finally from this region and settled Russians instead.

In 1877, „Tbiliski Vestnik“ ( newspaper: „Messenger of Tbilisi“) published series of Iakob Gogebashvili’s articles: „Who Should be Settled in Abkhazia“. The publication deals with the position of Gogebashvili about the issue of Abkhazia. The Great Georgian pedagogue and humanist could not join the discrimination of Abkhazians and their resettlement, exile from motherland. The opinion of Gogebashvili about the issue of Abkhazia is nothing more than the attitude of a pedagogue and a humanist to solve a problematic issue justly.

## გელა საითიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი*

### **წერილი, რომელსაც არა მარტო ისტორიული ღირებულება აქვს...**

ისტორია, თუ კარგად შევისწავლით და გულდასმით გავისიგრძეგანებთ მასში აღბეჭდილ ფაქტებსა და მოვლენებს, საოცარი ანალოგიებით განგვაცვიფრებს. მასში ხშირად ისეთ მოსაზრებებს, დასკვნებს და შეხედულებებსაც წავაწყდებით, რომლებიც სავსებით შეესატყვისება ჩვენს დღევანდელობას და ამომწურავ პასუხს იძლევა არაერთ საჭირობოროტო კითხვაზე.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვი, რომ ამგვარ მასალათა რიცხვს განეკუთვნება ცნობილი ქართველი ებრაელი მოღვაწის იოსებს ხანანაშვილის ვრცელი და დასაბუთებული წერილი, რომელიც ცხრა ათეულზე მეტი წლის წინათ, ერთ-ერთ ავტორიტეტულ ქართულ პერიოდულ გამოცემაშია დასტამებული. იგი რუსულ-ქართული ურთიერთობების საკითხისადმი მიძღვნილი და მასში გამოთქმული მოსაზრებანი დღესაც უდიდეს აქტუალობას იძენს...

ავტორის მთავარი სათქმელი წერილის სათაურშივეა გაცხადებული („ჩვენი დაუძინებელი მტერი“). მასში საუბარია 1920 წლის დასაწყისისათვის დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოსა და სოციალისტურ (ბოლშევიკურ) რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობებსა და იმ საშიშროებებზე, რაც მოსალოდნელი იყო ამ ახლო მეზობლის მხრიდან, რომელსაც „საქართველოს მტერთა რიცხვში“ მუდამ, „პირველი ადგილი ეჭირა, უჭირავს და მუდამ ეჭირება...“.

ტექსტის დანარჩენი ნაწილის კომენტირებას აქ შევწყვეტთ და შესაძლებლობას მივცემთ ჩვენს დღევანდელ მკითხველს, რათა თვითონ განსაჯოს ჩვენი ებრაელი თანამოქმედის ნაზრევი და წარმოდგენა შეიქმნას მასზე, როგორც საქართველოს მოჭირნახულესა და მამულიშვილური გრძნობით გულანთებულ პიროვნებაზე. აქ მხოლოდ იმაზე მივუთითებთ, რომ იოსებ ხანანაშვილის მსგავს

ერისშვილებს მიუძღვით უდიდესი ღვაწლი საქართველოსა და ისრაელს შორის 26 საუკუნოვანი ძმური სიყვარულით დაწერილი ისტორიის შექმნაში. ამიტომ, ყოველი მომდევნო თაობის მეისტორიეთა უპირველესი ვალი უნდა იყოს მათი ნაკეთები საქმეების მოძიება და საზოგადოებისათვის გაცნობა. ახლა კი იოსებ ხანანაშვილს მოვუსმინოთ:

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს მტერთა რიცხვში რუსეთს პირველი ადგილი ეჭირა, უჭირავს და მუდამ ეჭირება. ამას ვამბობდით მაშინაც, როდესაც რუსული ხიშტი ჯერ კიდევ საქართველოს გულში იყო ჩარჭობილი; ამას ვამბობდით მაშინაც, როდესაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების პირველმა სხივმა უშუალოდ გამოანათა საქართველოს ჯერ კიდევ შუბლ-შეკრულ არე-მარეზე; ამას გავიძახოდით ყოველ დროისთვის, მიუხედავად იმისა, იქნებოდა რუსეთში მონარქიული წყობილება, დემოკრატიული თუ სოციალისტური. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენს თვალწინ სამივე კატეგორიის რუსეთმა გაიარა და ვერც ერთ მათთაგანთან საქართველომ მეგობრული ენა ვერ გამოხანა.

ჩვენ შევძელით შეთანხმება და ძმური კავშირი ისეთ ერებთან, რომლებთანაც, ობიექტური მდგომარეობის მიხედვით, ეს ძნელი წარმოსადგენი იყო, — იმდენად მწვავეს და სასიცოცხლო საგანს შეეხებოდა, ჩვენსა და მათ შორის არსებული ანტაგონიზმი... ჩვენსა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ჩამოვარდა ერთგვარი წესიერი ურთიერთობა. ოსმალეთთან არც თუ ისეთ ცუდ განწყობილებაში ვართ... ევროპას არა თუ თავი გავაცანით, არამედ თავიც კი ვაცნობიეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მთელი განათლებული კაცობრიობა დღეს სიმპათიის გარდა არაფრით არის განმსჭვალული საქართველოსადმი და შესაძლებლობის ფარგლებში ყველანი დახმარებას აღგვითქვამენ და გვეხმარებიან კიდევ.

მაგრამ სწორედ ის რუსეთი, რომელთანაც ჩვენ არც ეროვნულ, არც გეოგრაფიული, არც ეკონომიური არც სულიერი და არც ფიზიკური მომენტი არ გვაერთებს — აი ეს რუსეთი იყო, არის და იქნება შეურიგებელი მტერი ჩვენი თავისუფალი არსებობისა. მონარქიულმა რუსეთმა უსინდისოდ იტყუა და ფეხით გასთელა ჩვენი სუვერენობა. რევოლუციური რუსეთი თავად ლვოვისა და სოციალისტ კერენსკის პრემიერობის დროს, არამც თუ ჩვენი ეროვნული უფლებების პრინციპს, არამედ საეკლესიო, წმინდა სარწმუნოებრივ, სრულიად უდავო ავტოკეფალიის პრინციპსაც კი შეებრძო-

ლა. ეს რუსეთიც დაეცა და წინ არხი-სოციალისტების ლენინისა და ტროცკის რუსეთი დადგა. ლენინ-ტროცკის ბატონობის აქეთ მესამე წელიწადი მიდის და ამ ხნის განმავლობაში ერთი მომენტიც არ ყოფილა, რომ ჩვენი უმწვავესი ურთიერთობა განელეზულიყო. ცხადია, საკითხის სასურველი გადაჭრა იმაზე არ ყოფილა დამოკიდებული, თუ როგორი სიტუაცია გამეფდება რუსეთში. ერთნაირად არ გუობდნენ ჩვენს დამოუკიდებლობას ნიკოლოზიც, კერენსკიცა და ლენინიც. საქართველოს მოსასპობი სულისკვეთება ერთნაირად ბობოქრობს ყოველი სახის რუსეთში. ფაქტები ყველაზე ძლიერად მეტყველებენ და ნურც ანი მოვიტყუებთ თავს მენშევიკური ლათაიებით, რომ „ჭეშმარიტი“ დემოკრატიული რუსეთი კეთილად განენყოფა საქართველოს სუვერენობის მიმართ. გავიხსენოთ იმ რუსი მენშევიკების ყოველ კულტურულ ელფერსმოკლებული უმადურობა, რომელიც მათ გამოიჩინეს არა მარტო მაშინ, როდესაც საქართველოს სუვერენობას პირველი აგური ჩაეყარა, არამედ ეხლაც, როდესაც მათ რუსეთში თავისივე ერთ სისხლი მუჟიკისაგან ნაჯახით თავის გაპობა მოელისთ, ხოლო თავისი იდეური თანამებრძოლისაგან ციხეში ჩაღპობა და „ჩრეზვიჩიკაში“ წამება. ეს პირები დღეს საქართველოში უშიშრად, თავისუფლად დაბრძანდებიან და დღესაც პრესაშიც პრინციპულ კამათს ჰბედავენ თუ რატომ ვერ იარსებებს (sic) საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ისინი ახდილად ებრძვიან ჩვენ ეროვნულ სახელმწიფოებრივ სუნთქვას.

მაშ რაშია საქმე? ნუთუ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ კაციჭამიობა რუსული ეროვნული თვისებაა და სხივმფენი კულტურის გავლენა რუსზე ვერ იმოქმედებს? ნუთუ ეს სამარცხვინო ლაქა ისტორიაში ფაქტიურად უნდა აღინიშნოს და რუსის ხალხი მას არ მოირეცხს? დიალ! სამწუხაროდ ეს ასეა და ამას მონმობს რუსეთის ამალღება-დაქვეითების ისტორია, ამას მონმობს ის საუკუნეები, რომელნიც რიურიკების ეპოქით დაიწყო და ლენინით უნდა გათავდეს. რა იმედი უნდა გქონდეს იმ ერისა, იმ სახელმწიფოსა, რომელმაც შექმნა ისეთი ისტორიული ტიპები მმართველებად, როგორიც არიან გრიშკა ოტრეპიევი, მეჯინიბე ბარონი, შუბლზე ძარღვგანყვეტილი (უშუბლო) ეკატერინე II, პუგაჩოვი, სტენკა რაზინი და რომელთა კალეიდოსკოპი გრიშკა რასპუტინით დასრულდა? ნუთუ ის ერი, რომელის არსებობა შინაგანი ძალების ამოძრავებით კი არ დაიწყო არამედ იმით, რომ უცხოეთიდან მოიწვიეს რიურიკე-

ბი „княжить и владеть“-ის „порядок“-ის გულისთვის — ოდესმე შესძლებს ჩასწვდეს ეროვნული არსებობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეოლოგიას და პატივისცემას? ნუ თუ ის ერი, რომელმაც მონობით დაიწყო, მონობით გასტანა და დღემდე მონობითვე მოაღწია ისე, რომ ორიგინალური საკაცობრიო ხასიათის არაფერი შეუქმნია და, რომელსაც არც კი ნაჰკარებია მის მეზობლად უაღრეს ნერტილამდე ამალღებულ კულტურის კალთა, შესძლებს იმის გაგებას, თუ რა არის ერის თავისუფლება და მისი მაღალი იდეალები? ნუ თუ მე-60 წლების (გულისხმობს XIX ს-ის 60-იან წლებს — გ. ს.) „იდეალებმა“ გაიარა ამ ვეება სხეულზე ისე, რომ კვალიც კი არ დასტოვა? თორემ რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჯაჭვგანყვეტილმა მანამ ვერც თავი ჩაიყენა კალაპოტში და ვერც გამოიხსნა თავისივე არსებაში ისეთი შემოქმედებითი ძალები, რომ „უბატონოდ“ ემართა თავის თავი. ჩვენ ბევრი გვსმენია რუსის ხალხის ეგრედ წოდებულ სულიერ, ფიზიკურ და გონებრივი რესურსებით დაუმრეტებლობაზე, იმაზე, რომ ყველაფრის ნაქცევა და აღგვა შეიძლება, მხოლოდ ამ რუსის ხალხისა კი არა. მაგრამ ეს მესიანიზმი არ გამართლდა, რასაც მარტივად ამტკიცებს ამ ხალხის სრული უმწეობა, თავი დააღწიოს ოჯახურ სირცხვილს სწორედ ისეთ მომენტში, როდესაც ყველაზე უფრო უნდა სჩანდეს ეს შემოქმედებითი ძალებით, ნასახში მაინც. ევროპამ დაუფასებელი სამსახური გაუწია დენიკინს, მაგრამ ამ უკანასკნელის ნაცოდვილარი საქმე ისევე უნათელოდ ჩაინგრა, როგორც ბნელით დაიწყო. მაშასადამე, გაჭირვების დროს რუსის ხალხმა არა თუ საკუთარი ძალებით, მთელი კაცობრიობის დახმარებითაც ვერ მოახერხა სახელმწიფო საქმეების დალაგება და საკუთარი თავის მოწყობა. ეს წარუხოცელი სკანდალია რუსის ერისა და არც ერთი ერის ისტორიაში ბადალი არ მოეპოება.

და აი, ეს უკულტურო ხალხი, საუკუნოებით ნაზელი და კვლავაც მოუზელავი ცომი, ნაპოლეონის თქმით: „თეთრკანიანი ზანგები“, სტიქიურად მიიწვა კულტურულ ევროპას და ირაზმავს რა მის გარშემო უკულტურო აზიის უკულტურო ხალხებს, მიზნად ქვეყნის გარდაქმნას ისახავს.

ეს პარადოქსია და ცხადია, როგორც ასეთი, უნაყოფოდ ჩაივლის, მაგრამ აქ იშლება უდიდესი საფრთხე და საშიშროება იმ დიდი იდეალებისათვის, რომელიც შექმნა კულტურამ, განათლებამ, მეცნიერებამ და რომელთაც დღეს ხორცი შეესხათ და ძარღვებში სის-

ხლი აუმოდრავდათ. მსოფლიო კულტურის ულამაზეს მიღწევას - ეროვნულ თავისუფლებას — რუსეთისა და მისი ამდროინდელი მოკავშირეთა უხეში მოძრაობით — წარხოცვა მოელისთ, თუ თავის დროზე არ იქნა მიღებული ზომები.

ცხადია ევროპას არ სძინავს და ტყიდან შარა გზაზე გამოვარდნილ ნადირებს უთუოდ ჩაამწყვდევს შესაფერ გალიაში.

ხოლო საქმე ისაა, თუ რა გზით უნდა დააღწიონ თავი ამ საშინელებას ახლად აღორძინებულმა ერებმა. ეს გზა არის შეუჩერებელი და სისტემატური მოკრება ეროვნული ძალებისა, ძლიერი სამხედრო ჯარის შექმნა, მათი მოწყობა, განვრთნა და თავით ფეხებამდე თანადროულად შეიარაღება.

საქართველოს ამ შემთხვევაში ყველაზე მეტი თადარიგი მართებს, ვინაიდან იმის გარდა, რომ ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით, პირველ ბრძოლას ჩვენ მივსცემთ რუსის ხალხს, ამჟამად ბოლშევიკების წარმომადგენელს, - არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხალხი ჩვენდამი საშინელის შურისძიებით არის გაჟღენთილი და ჩვენი ისტორიული მტერია. ჩვენ გვწამს, რომ ევროპა მოგვეშველება რითაც კი შეუძლია, მაგრამ შესაძლოა მის მოსვლამდე დიდი ტრაგედია დატრიალდეს. კალაპოტიდან ამოხეთქილი რუსული ზვავი სწრაფად მოგორავს ჩვენი საზღვრებისაკენ. ევროპის რეალურ დახმარებამდე ჩვენ მოგვიხდება საკუთარის ძალებით ვანარმოთ თავდაცვის საქმე.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვალდებული ვართ ხალხს სიმართლე ვუთხრათ და შევასმინოთ, რომ რუსეთი აუცილებელი ჩვენი მტერია. ჩვენ გვსმენია ჯარისა და მისი ახალი ხელმძღვანელების აზრი ამ შემთხვევაზე, თუ ვინიცობა ბოლშევიკებმა შესძლეს დროებით ჩვენი მიწაწლის ნაწილობრივი ოკუპაცია, ჯარიც, გვარდია და მასთან ერთად მთელი ერიც გარდანწყვეტით უნდა დადგეს მომავალ მტარვალთა შეურიგებლად ბრძოლის წარმოების გზაზე. ეს სულისკვეთება პირდაპირი ნაყოფია საშიშროების შეგნებისა, მაგრამ ამ გადანწყვეტილებასა და შეგნებას გაღრმავება და გაფართოება სჭირია. ეს საჭიროა იცოდეს თვით ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა - რუსეთმაც და ახსოვდეს, რომ საქართველოს კედლებთან მრავალი ვეშაპი დაცემულა და საქართველოს კედლებზედვე დაიღვეა რუსული უკულტურო იმპერიალიზმის უკანასკნელი სუნთქვაც.

ი. ხანანაშვილი“.

(გაზ. „საქართველო“, 35, 1920 წლის 17 თებერვალი, გვ. 2).

P.S. ამ წერილის გამოქვეყნებამდე ზუსტად ერთი თვით ადრე, ერთა ლიგის მიერ საქართველოს დე იურე აღიარებით გამოწვეული სიხარული იყო გაცხადებული მეორე ქართველი ებრაელის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის მიხეილ დავარაშვილის მიერ იმავე გაზეთში დასტამბულ მისალმებაში, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო:

„ქართველი ისრაელების სახელით მე ვესალმები დამფუძნებელ კრებას და მხურვალედ ვულოცავთ ქართველ ერს იმ ისტორიულ აქტს, რომელიც გამოიხატება ევროპის მიერ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ცნობაში.

ეს ხორცშესხმა ჩვენი დამოუკიდებლობისა გვახარებს ჩვენ, ქართველ ისრაელებს იმ თავდადებულ და საამაყო წარსულისთვისაც, რომელსაც წარმოადგენს ისრაელთა ცხოვრება საქართველოში.

ქართველი ერის ისტორიაში ისრაელთა ცხოვრება არის ჭეშმარიტი „**ბრწყინვალე წერტილი**“.

ამ უმაგალითო ფაქტით შეუძლია იამაყოს ქართველმა ერმა მთელი კაცობრიობის წინაშე!

საქართველოს ისტორიის დასაბამიდანვე ქართველებთან თანაბრად მცხოვრებნი, დღეს განუყრელ ძმებათ ქცეულნი, ჩვენ, ისრაელები, თანაბრადვე ვზეიმობთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ისტორიულად აღდგომას და მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განთავისუფლებას...

დიდება ჩვენს მომავალს! გამარჯვება და დღეგრძელობა მთელ ქართველ ერს!“

(გაზ. „ერთობა“, 11, 1920 წლის 16 იანვარი, გვ. 2-3).

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „საქართველო“ 35, 1920 წლის 17 თებერვალი.
2. გაზეთი „ერთობა“ 11, 1920 წლის 16 იანვარი.



**Gela Saitidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Ivane Javakhishvili Institute of History  
and Ethnology Chief Research scientist  
of the Department of Modern and Contemporary History*

**The Publication that has not only Historical Value**

**Summary**

In January, 1920 newspaper „Sakartvelo“ (Georgia) published an article of a young Georgian Jew – Ioseb Khananashvili – „Our Archenemy“. The article is dedicated to the relations of Russia and Georgia. The viewpoints and conclusions of the author put forward in the article are so topical and modern that we decided to put them on readers' display as they were published in those days.

## შოთა ვადაჭკორია

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

### **ქართული პოლიტიკური აზრი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სასაზღვრო დავისა და „ართიანი ოსური სახელმწიფოს“ შექმნის მცდელობის შესახებ (1923-1925 წწ.) (ნაწილი IV)**

საქართველოს გასაბჭოებული ხელისუფლების მიერ გამოცემული დეკრეტი 2-ის საფუძველზე გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებზე ჩამოჭრილი ტერიტორიების ბაზაზე შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრებთან მიმართებაში, აღნიშნული მაზრების მოსახლეობას განსაკუთრებული პრეტენზიები გააჩნდა. ამ საკითხთან მიმართებაში, საქართველოს ხელისუფლების მესვეურთა მხრიდან თუ რა ფორმით ხდებოდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნების მიზანმიმართულად იგნორირება, ამის უკეთ წარმოჩენის მიზნით, აუცილებლობას იმ საარქივო დოკუმენტური მასალების წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენს, რომლებიც ჩემ მიერ არქივსაცავებში იქნა მოპოვებული.

ჩემ მიერ დასმული პრობლემის უკეთ წარმოჩენის მიზნით, არსებული საარქივო მასალებიდან, პირველ რიგში ყურადღებას რაჭის სამაზრო კომიტეტის პლენუმის 1923 წლის 19 ივნისის სხდომის საოქმო ჩანაწერზე შევაჩერებ. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ რაჭის სამაზრო კომიტეტის ინიციატივით, საზღვრის საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო კომისიის მიერ სპეციალური დასკვნა და შესაბამისი რუკა მომზადდა. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით, ალ. გოცირიძის მიერ იმავე პლენუმის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში, რაჭის ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე, სახნავ-სათესი ფართობების, სათიბების, საძოვრებისა და ხე-ტყის მასივების კუთვნილების საკითხი წინა პლანზე იქნა წამოწეული. მის მოხსენებაში მოტანილი ფაქტობრივი მასალის მიხედვით, გლოლისა და წედისის სოფლების მცხოვრებთა სახნავი და საძოვარი ტერი-

ტორიები, დეკრეტი 2-ის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრებში უკანონოდ იყო მოქცეული. ამ ფაქტს ოსები ქართველთა სანიწა-ალმდეგოდ შესანიშნავად იყენებდნენ და აღნიშნული ტერიტორიით სარგებლობისათვის მოსახლეობას საგანგებო იჯარას ახდევინებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, იმავე პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „გამოქვეყნებული იქნას კომისიის მიერ წარდგენილი ოქმი, რომელიც გაეგზავნოს ცეკას და ეთხოვოს, რომ ამ ოქმში ნაჩვენები საძოვარი ადგილები, რომელიც შედის სამხრეთ ოსეთის საზღვრებში და ნამდვილად ამ ადგილებით სარგებლობს 600 კომლი რაჭის მცხოვრებლებისა... მდგომარეობა რაჭის მცხოვრებლებსა და ოსებს შორის რომ არ გამწვავდეს და... შუღლი არ ჩამოვარდეს,... აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ოქმში ნაჩვენები ადგილების რაჭის მამზრისადმი მიკუთვნება“. ეს დოკუმენტი რაჭის სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივანმა, მეორე დღესვე რაჭის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს შესაბამისი რეზოლუციით გადაუგზავნა; „გეგზავნებათ ცნობად და სახელმძღვანელოდ“.

ჩემს ხელთ არსებული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ რაჭის მამზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიერ აღნიშნული ოქმი იმავე დღეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შესაბამისი წერილისა და რუკის დართვით გადაეგზავნა. მასში ხაზგასმით იყო მითითებული: 1) დეკრეტი 2-ის მიხედვით „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრებში მოქცეული რაჭის მამზრის კუთვნილი 10700 დესეტინა ტყისა და სხვა ადგილების შესახებ, რომლითაც რაჭის მცხოვრებთა 85% სარგებლობდა; 2) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრის დაკანონებამდე, აღნიშნული ტერიტორიის სათიბების, საძოვრების და ხე-ტყის სარგებლობის ნებართვას რაჭის მოსახლეობა ადგილზე იღებდა და დაწესებულ გადასახადს რაჭის მამზრის შესაბამის ადგილობრივ სათემო უწყებებში იხდიდა. ავტონომიური ოლქის შექმნის დღიდან ამ საქმის განკარგვის უფლებას „სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფლება დაეპატრონა, რაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილების მიზეზი გახდა; 3) საძოვრებზე, სათიბებზე და ხე-ტყეზე საბაჟო გადასახადების აკრეფის დროს, ნებისმიერი გაუგებრობის აცილების მიზნით, რაჭის სამაზრო კომიტეტი ხელისუფლებას შემდეგი სახის რეკომენდაციას სთავაზობდა: „რაჭის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი — ვკითხულობთ წერილში — აუცილებელ საჭიროებად სთვლის შეცვლილი იქნეს საზღვრები

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და რაჭის მაზრას შორის, თანახმად... თანდართული ოქმისა და რუკის [მიხედვით შ.ვ.]... რისთვისაც გთხოვთ სათანადო ზომები მიიღოთ“. რაც შეეხება ოქმს, მასში რაჭის სოფლების (ირის, წედისის, ქვედის, ღარის, გლოლის) კუთვნილი სახნავ-სათესის, საძოვარების, სათიბების და ტყის მასივების საზღვარი მდინარეების, მთებისა და სიმაღლეების ჩვენებით იყო მოცემული. ამის საილუსტრაციოდ იმავე დოკუმენტიდან დასახელებული სოფლების საზღვრის გამავალი ხაზის შესახებ შესაბამის მონაცემებს მოვიტან.

**სოფელი ირი.** ამ სოფლის მცხოვრებლების კუთვნილი ტერიტორიის საზღვრი იწყებოდა მდინარე ჯეჯორის შენაკადის — „დაღვარულას“ სათავიდან და მთავრდებოდა „დაღვარულას“ ჯეჯორთან შესართავში. დაღვარულას მხოლოდ მარჯვენა მხარეს იყო ჩასავლის რაიონის ოსების ადგილები. მარცხნივ კი — სოფელი ირის მცხოვრებლების.

**სოფელი წედისი.** საზღვარი იწყებოდა მდინარე ჯეჯორისა და დაღვარულას შესართავიდან. ჩრდილოეთისკენ საზღვარი გადაჭრიდა „ქვედა მთას“, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ „უკივლეთის“ კალთებს და მთა „კლდე-ბოძალს“.

**სოფელი ქვედი.** საზღვრის ხაზი იწყებოდა „კლდე ბოძალის“ მთის წვერზე, რაღებიდან მიემართებოდა ჩრდილო — აღმოსავლეთის მთის წვერებზე, გადაჭრიდა სიმაღლეს — 3036მ, გადადიოდა მთა ლესარის წვერზე და გრძელდებოდა მთის ზურგებზე მდინარე ქვედრულას სათავის — ბოჟისკარამდე, გადაჭრიდა მთა „გორმაღალას“ სიმაღლეს — 1498, მიდიოდა მთის ქედებზე ჩრდილო ოსეთის საზღვრამდე, გრძელდებოდა ავერშენჯი — ბირზონის უღელტეხილამდე. აქედან საზღვარი ბრუნდებოდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მიყვებოდა მდინარე კოზინდონოს (იგივე ღარულას) იქამდე, სადაც შენაკადი „ურსიდონი“ უერთდება მდინარე კოზინდონოს (ღარულას).

**სოფლები ღარი და გლოლი.** საზღვარი იწყებოდა იმ ადგილას, სადაც ღელე ურსიდონი ერთვოდა მდინარე კოზილინს (იგივე ღარულას). შემდეგ მიემართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, მიყვებოდა ურსიდონს უკანასკნელ მოსახვევამდე. გრძელდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მთის კალთებზე, გადაჭრიდა სიმაღლეს — 1440. მიყვებოდა მთის მწვერვალებს, გადაჭრიდა სიმაღლე — 392მ, გრძელდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, გადაჭრიდა მდინარე ჩანჩახის იმ ადგილს, სადაც ამ მდინარეს ერ-

თვის შენაკადი „სამი-ჯაური.“ მიყვებოდა მდინარე ჩანჩახის შენაკადს „ბობრის რუის“ მთასთან შესართავამდე. ამ შენაკადს მიყვებოდა „ბობრის რუის“ სათავემდე — წითელი მთის წვერამდე. იმ ადგილას სადაც ჰორიზონტალური სიმაღლე 1280 უერთდება 61<sup>0</sup> 25' სფეროს, საზღვარი მიყვებოდა ქედებს და მიემართებოდა ჩრდილოეთით აღმოსავლეთის ქედებზე, გადაჭრიდა სიმაღლეს — 1607 და გრძელდებოდა მთის ქედებზე მდინარე ჩანჩახისა და მისი შენაკადის სათავემდე. მიყვებოდა იმავე მიმართულებით ყინულოვან მთებს და მიდიოდა მთა (კლდე) „ადაი-ზოხამდე.“ იმავე ოქმით დადასტურებულია, რომ აღნიშნული სოფლების სარგებლობაში არსებული ადგილები ოსების კუთვნილებას არასოდეს წარმოადგენდა. ისინი მხოლოდ დეკრეტი 2-ის გამოცემის შემდეგ გააქტიურდნენ, რის შედეგადაც „წითელ მთაზე“ და სამარანეზე დამუშავებული სათოხარი ყანები რაჭველებს ძალით წაართვეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული სოფლების მოსახლეობა თავიანთი კუთვნილი ტერიტორიების დაბრუნებას, ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვდა. ეს დოკუმენტი რაჭის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერითა და ბეჭდით იყო დადასტურებული. ისიც საყურადღებოა, რომ **იმავე ოქმს, რაჭის სამაზრო კომიტეტის მიერ ზემოაღნიშნული სოფლების საზღვრების მიხედვით შედგენილი რუკა ერთვოდა. პირობითი ნიშნების გამოყენებით მასზე გარკვევითაა გამოყოფილი: 1) რაჭის მაზრის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრებლების — ქართველების კუთვნილებას წარმოადგენდა და 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტი № 2-ით „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს გადასცეს; 2) რაჭის მაზრის ჩასავლის საზოგადოება, სადაც ოსური დასახლებები იყო; 3) რაჭის მაზრის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც კავკასიის ეთნოგრაფიული რუკის მიხედვით ოსები ცხოვრობდნენ; 4) რაჭის მაზრის დანარჩენი ნაწილი. რაც შეეხება უშუალოდ სასაზღვრო ნიშნებს, აღნიშნულ რუკაზე იგი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი (ზემოდან ქვემოთ): ა) მწვანე სასაზღვრო ნიშანი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და მთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის არსებული საზღვარი; ბ) ლურჯი სასაზღვრო ნიშანი — მაზრების საზღვარი; გ) ყვითელი სასაზღვრო ნიშანი — რაჭის მაზრასა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს შორის დეკრეტი № 2-ით გავლებული საზღვარი; დ) წითელი სასაზღვრო ნიშანი — რაჭის მაზრის სოფლების: ირის, წედისის,**

ქვედის, ღარის, გომის და გლოლის მცხოვრებთა ჩვენების საფუძველზე, რაჭის აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილი კომისიის მიერ გავლებული საზღვარი. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ რაჭის მოსახლეობა აღნიშნულ ტერიტორიას საძოვრებად, სახნავ-სათესად და ხე-ტყის დასამუშავებლად იყენებდა. სწორედ მის დაბრუნებას ითხოვდა ზემოთ დასახელებული სოფლების რაჭის ქართული მოსახლეობა. რაც შეეხება აღნიშნულ რუკას, იგი იმ უკანონობის თვალსაჩინოების შესანიშნავ სურათს იძლევა, რომელიც რაჭის მაზრის ქართულ მოსახლეობასთან მიმართებაში დეკრეტი № 2-ის გამოცემით ჩაიდინა საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ.

რაჭის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მომზადებული დოკუმენტი იმდენად დასაბუთებული ფორმით იყო შესრულებული, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ რეაგირება მაშინვე გააკეთა. მხედველობაში მაქვს შ. ელიავას მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისადმი გაგზავნილი წერილი (1923 წ. 23 აგვისტო), სადაც გარკვევით იყო მითითებული: „რაჭისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე მდებარე საძოვარი ადგილებისა და სატყეო მამულების საკითხის განხილვის შესახებ... გაცნობებთ, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო თანახმაა... აღნიშნული საკითხის განხილვა გადმოტანილი იქნას ქალაქ თბილისში, რის გამოც წინადადება გეძლევათ მოახდინოთ სათანადო განკარგულება“. ასეთი ნებართვის მიღებისთანავე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, რაჭის სამაზრო აღმასკომისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში (1923 წლის 29 აგვისტო) ხაზგასმით მიუთითა, რომ რაჭის მოსახლეობის პრეტენზიების განხილვა თბილისში — საქართველოს კომპარტიის ცეკას უახლოეს პლენუმზე ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე — რაჭისა და „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდებოდა. ანალოგიური სახის შეტყობინება „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესაც გაეგზავნა.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ასეთივე სიტუაცია იყო დუშეთის მაზრის სოფლებთან მიმართებაშიაც. ამის დადასტურებას გრემისხევის თემის საბჭოს 1924 წლის 27 ივნისის სხდომის დადგენილება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის შემდგენლები კატეგორიული ფორმით მოითხოვდნენ, რომ გრემისხვი და მასში შემავალი სოფლები (კოდისთავი, პეტრიანთკარი, თაბორიკარი, მიმ-

ველიანთკარი, ტიგრიანთკარი, მურლულიანი) დუშეთის მაზრის შემადგენლობაში დარჩენილიყო. სოფლების მოსახლეობისა და ადგილობრივი საბჭოს პრინციპულმა პოზიციამ დუშეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს სოფლების მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული პრეტენზიისადმი ოფიციალურად მხარდაჭერის შესაძლებლობა მისცა. ამასთან დაკავშირებით, დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1924 წლის 13 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „გიდგენთ... მაზრალმასკომის პრეზიდიუმის სხდომის №20-ოქმიდან ამონაწერს გრემისხევის საბჭოს კრების ამონაწერთან ერთად... და განმეორებით გთხოვთ... უშუამდგომლოთ მას სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გრემისხევის სოფლები, რომლებიც მოჰყვენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, გადმოვიდეს დუშეთის მაზრაზე, ვინაიდან თვით აღნიშნული სოფლის მცხოვრებნი მოითხოვენ დუშეთზე დატოვებას“. ეს წერილი, შესაბამისი უშუამდგომლობით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს 1924 წლის 16 ივლისს გადაუგზავნა თხოვნით — ნამოჭრილი საკითხი სრულიად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს განეხილა და გადაწყვეტილებაც მიეღო. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 17 ივლისის სხდომამ სადაო საზღვრის გარკვევა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს დაავალა. „გამოარკვიოს ეს საქმე ამხ. ჯატივეთან და შემდეგი საქმის ვითარების შესახებ — ვკითხულობთ დოკუმენტში — მოახსენოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომას“.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი ხელისუფლებამ 1925 წლის ივნისშიაც ვერ გადაჭრა. ამის საილუსტრაციოდ დუშეთის მაზრის გრემისხევის თემის აღმასკომის მიერ დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისადმი 1925 წლის 12 ივნისს გაგზავნილი წერილი გამოდგება. ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს: 1) გრემისხევის თემის 6 ქართული სოფლის მოსახლეობა კატეგორიული ფორმით აყენებდა საკითხს დუშეთის მაზრაზე მიწის შესახებ. ამის აუცილებლობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, ცხინვალიდან გრემისხევის უფრო მეტ სიშორეს (60 ვერსი) ასახელებდნენ ვიდრე დუშეთის მაზრიდან (12 ვერსი). 2) რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, იგი დუშეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავ-

მჯდომარის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილი (1925 წლის 22 ივნისი). მასში დუშეთის მაზრისადმი გრემისხევის მიკუთვნების აუცილებლობა ხაზგასმითაა აღნიშნული. წინა პლანზეა წამოწეული ახალგორის რაიადმასკომის ხელმძღვანელობის ის ქმედითი ღონისძიებები, რომელიც გრემისხევის „სამხრეთ ოსეთისადმი“ მიწერას ისახავდა მიზნად. „ასეთი საქციელი ახალგორის რაიადმასკომისა — ვკითხულობთ დოკუმენტში — უკმაყოფილებას იწვევს გრემისხევის გლეხებში. მათ სურთ დუშეთის მაზრაში დარჩენა, სამხრეთ ოსეთს კი გაურბიან როგორც დიდი მანძილის ისე რუსულად საქმის წარმოების გამო... გთხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოთ ეს საკითხი დასახელებული სოფლების დუშეთის მაზრაზე მიწერით“. კატეგორიული ფორმით გაკეთებული აღნიშნული მოთხოვნის მიუხედავად, საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა. ამის დამადასტურებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოსადმი გაგზავნილი საგანგებო წერილი გამოდგება. ამ დოკუმენტში კონკრეტული ხასიათის შეკითხვა იყო დასმული: ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დროულად ეცნობებინა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის, თუ რა დონეზე იდგა დუშეთის მაზრაზე ქართული სოფლების მიწერის საკითხის გადაწყვეტა. ეს თხოვნა პასუხგაუცემელი დარჩა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ქართული მოსახლეობის კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იმ ეტაპზე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ ქონდა გადადგმული. ჩემ მიერ მიკვლეული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქიდან გამოყოფას და გორის მაზრაზე მიწერას სოფ. დისევის მცხოვრებლებიც მოითხოვდნენ. იმავე დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ დისეველთა ამ გადაწყვეტილებას „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა და ოლქის შემადგენლობაში სოფლის დარჩენის საჭიროების აუცილებლობის დასაბუთებას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა. ამის ერთ-ერთ მაგალითს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის 1924 წლის 28 მაისის სხდომის საოქმო ჩანაწერი წარმოადგენს. სოფელ დისევის ავტონომიური ოლქიდან გასვლის საკითხის შესახებ ჩ. ბეგიზოვის მოხსენების საფუძველზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო: 1) მიწის რე-



ფორმიდან გამომდინარე, ოლქიდან სოფ. დისევის გასვლას მხოლოდ სოფლის კულაკური ელემენტები მოითხოვდნენ; 2) სოფელი დისევი თითქოს ოლქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა; 3) უკანასკნელი მონაცემებიდან გამომდინარე, ქართულ და ოსურ მოსახლეობას ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში დარჩენა სურდა. თუკი ამ დოკუმენტს სხვა საარქივო მასალებით გადავამოწმებთ, დავრწმუნდებით რომ მიღებული დადგენილების ყველა პუნქტი სიყალბეზე იყო აგებული და სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ქართული მოსახლეობის მხრიდან წამოჭრილი პრობლემის კულაკური ელემენტებისადმი გადაბრალებით, ოლქის ცენტრალურ ნაწილში სოფ. დისევის გადატანით და ქართული მოსახლეობის სურვილის მრუდე სარკეში წარმოჩენით „სამხრეთ ოსეთის“ ოლქის ხელმძღვანელობას დეკრეტი № 2-ით დაკანონებული საზღვრიდან ერთი გოჯი მიწის დათმობაც არ სურდა. ისე მოქმედებდნენ, თითქოს აღნიშნული დეკრეტით ოსებმა თავიანთი „ისტორიული მიწა-წყალი“ დაიბრუნეს და მისგან რომელიმე ქართული სოფლის ჩამოცილებას დანაშაულად აღიქვამდნენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შესაბამის უწყებებს უნდა ეთქვა. სამწუხაროდ, ისინი დუმილს ამჯობინებდნენ და შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის უმძიმესი პრობლემის მოგვარებას შეგნებულად აჭიანურებდნენ. არადა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში უამრავი წერილი შედიოდა. ამჯერად ყურადღებას გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წლის 14 ივლისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილ წერილზე (7018) შევაჩერებ. ამ დოკუმენტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში დასაბუთებული ფორმითაა ნაჩვენები: 1) სოფელ დისევის მოსახლეობას ქართველობა წარმოადგენდა; 2) იგი გორის მაზრის სოფელ ტყვიავიდან 6 ვერსით იყო დაცილებული; 3) დისევის მოსახლეობა, სოფლის ნაწარმის რეალიზაციას ქალაქ გორში ახდენდა, რის გამოც ეკონომიკურად სოფ. ტყვიავთან და გორთან იყო დაკავშირებული. იმავდროულად სოფელ ტყვიავის მეხილეობის ამხანაგობას „ლიახვის“ წევრებადაც ითვლებოდნენ; 4) სოფ. დისევის „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში მოქცევით მისი მცხოვრებლები ხელოვნურად იქნენ „მინერილნი“ ქ. ცხინვალზე. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ისინი ეკონომიკურად ზარალდებოდნენ, რადგან ცხინვალში სოფლის ნაწარმს ვერ ასალებდნენ და

მათთვის პირველადი საჭიროების საგნებს ვერ იძენდნენ. აღნიშნული ეკონომიკური ფაქტორების წინ წამოწევის ფონზე წერილის ავტორი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას ერთხელ კიდევ შეახსენებდა, რომ იძულებიდან გამომდინარე, სოფ. დისევის მცხოვრებლებს ორი მიმართულებით — ადმინისტრაციულად ცხინვალთან და ეკონომიკურად გორთან უხდებოდა კავშირის დაჭერა. რამდენადაც ეს პროცედურა სოფლის მოსახლეობისათვის უკიდურეს სიძნელეებთან და ეკონომიკურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე, ხელისუფლებას არსებული სიტუაციის მოსაწესრიგებლად შემდეგი სახის წინადადებას სთავაზობდა: „ხალხის საკეთილდღეოდ — ვკითხულობთ დოკუმენტში — საჭიროა [მათი შ. ვ.] ერთ ადგილს მჭიდროდ დაკავშირება, რომელიც უნდა მოხდეს იმ ცენტრთან, რომელსაც გლახკაცობა ვერ ჩამოშორებია, რადგან ეკონომიური ფაქტორის სიძლიერეს მხარს ვერ აუქცევენ... დისევი არასოდეს არ ყოფილა დაკავშირებული იმ ადმინისტრაციულ ერთეულთან, რომელთანაც ეხლა არის მიწერილი. სოფ. დისევი მუდამ შედიოდა სოფ. ტყვიავის ფარგლებში. გეოგრაფიული მოსაზრების გარდა, ეკონომიური მოსაზრებითაც დისევი-კულბითი მიწერილი უნდა იყოს ტყვიავზე, რადგან ამ უკანასკნელზე უფრო მარჯვეა, ვიდრე ანდორეთ-ცხინვალზე... მითუმეტეს, შუაში უძვეეს მდინარე ლიახვი, რომლის ადიდების დროს შეუძლებელი ხდება გავლა და ცხინვალში მიმავალმა ხალხმა ტყვიავზე უნდა გაიაროს. მოგახსენებთ რა ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, აღმასკომი შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა სოფ. დისევი გამოყოფილი იქნეს და მიენეროს გორის მაზრის ტყვიავის რაიონზე“. **თუკი ამ დოკუმენტს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1924 წლის 28 მაისის დადგენილებას შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ დასაბუთების თვალსაზრისით გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის წერილი უფრო მეტ დამაჯერებელ არგუმენტებს შეიცავდა. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი თვალსაზრისით ხელისუფლების მხრიდან მისადმი ანგარიშის განევა აუცილებლობას წარმოადგენდა. სამხუხაროდ, ბედის გორგალი ქართველთა საზიანოდ და ოსთა სასარგებლოდ ბრუნავდა. ამას ოსთა შესაშური აქტიურობა, მიღწეულით არდაკმაყოფილება და ქართველი გლახების კუთვნილი სავარგულების თვითნებურად მიტაცების მიზნით პრაგმატული ნაბიჯების გადადგმაც განაპირობებდა. დოკუმენტური მასა-**

ლით დასტურდება, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის მოსაზღვრე მაზრების ქართული მიწების ასათვისებლად და დასაპატრონებლად, ოსური მოსახლეობა ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე, გენეტიკური კოდიდან გამომდინარე ქართველთა სავანეში ქვეწარმავალივით მიძვრებოდა და ხშირ შემთხვევაში წარმატებასაც აღწევდა. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად მეჯვრისხევის აღმასკომის 1924 წლის 27 მარტის სხდომის საოქმო ჩანაწერი გამოდგება. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ სოფელ თელაგინიდან და სოფელ სარიბანიდან გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევის მახლობლად ტყეში მდებარე ოსების 7 ოჯახი თვითნებურად ჩასახლებულა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შექმნილ სამთავრობო კომისიას, ტყეების მოსალოდნელი გაჩანაგებისა და მთის ძირებში გაშენებული სოფლები-სათვის ნიაღვრებისგან საფრთხის არშექმნის მოტივით, მეჯვრისხევის ტყეში ოსების ჩასახლება შეუძლებლად მიუჩნევია. იმის ნაცვლად, რომ თვითნებური ქმედებებიდან გამომდინარე, კანონის დამრღვევი ოსების სანიმუშოდ დასჯის საკითხი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დღის წესრიგში დასმულიყო, ადგილობრივი ხელისუფლება და კომისია ოსებთან მიმართებაში „მოფერების“ გზას დაადგა და მათი არდაზარალების მიზნით, გარკვეული შეღავათებიც კი დაანება. მხედველობაში მაქვს: 1) კომისიის დასკვნითი ნაწილის („ბ“) პუნქტი, რომელიც გორის მაზრის აღმასკომს ავალებდა, რომ ოსების შვიდი ოჯახისათვის სოფ. მეჯვრისხევაში სასახლკარო და ნორმით გათვალისწინებული სახნავ—სათესი მიწები მიეცა; 2) იმავე დოკუმენტის („გ“) პუნქტის მიხედვით, თუკი ოსები სოფ. მეჯვრისხევაში ჩასახლებაზე უარს იტყოდნენ (რაც ყოველად გამორიცხული იყო), ამ შემთხვევაში „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ისინი ოლქის საზღვრებში უნდა დაესახლებინა.

ჩემს ხელთ არსებული საარქივო მასალიდან აშკარად იკვეთება, რომ ოსებთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლება არწყენინების პოლიტიკურ კურსს ატარებდა, ხოლო შიდა ქართლის ქართველთა გოდების მიმართ სიყრუეს იჩენდა. ქართველთა განცხადებებსა და საჩივრებს მიზანმიმართულად უყურადღებოდ, განხილვის გარეშე ტოვებდა. ქართული სოფლების მოსახლეობის ვნებათაღელვის დასაცხრობად, ხშირად იდეოლოგიური ხასიათის პიარკამპანიას მიმართავდა და გარეგნულად საქმიანი სახის მიცემას ცდილობდა. ამის დამადასტურებ-

ლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისადმი 1924 წლის ოქტომბრიდან ნოემბრის ჩათვლით გაგზავნილი წერილები წარმოადგენს. ამ დოკუმენტებში გარკვევითაა მინიშნებული: „სამხრეთ ოსეთიდან“ ზოგიერთი სოფლის ამონერისა და მეზობელ მაზრებზე მიწერის მოთხოვნასთან დაკავშირებით „კომისარიატი გთხოვთ, აცნობოთ მას, აღძრულია თუ არა როდესმე თქვენდამი რწმუნებული მაზრალმასკომის და მისი პრეზიდიუმის მიერ ზემოხსენებულის მსგავსი შუამდგომლობა და თუ აღძრულია, როდის, ვის წინაშე და რომელი სოფლების შესახებ. სასურველია, შემდეგი მიწერ-მონერის და საკითხის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად თქვენს მოხსენებას დაურთოთ პირები წინააღმდეგ აღძრული საამისო შუამდგომლობისა“. თუკი აღნიშნულ წერილს ჩემ მიერ ზემოთ მოტანილი მასალების ფონზე განვიხილავთ, იგი ცინიკურ სახეს იღებს. **მითუმეტეს, რასაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ითხოვდა, ანალოგიური სახის დოკუმენტაცია გორის, დუშეთის და რაჭის მაზრების აღმასკომის თავმჯდომარეებს ამ უწყებისადმი 1923 წლიდან 1924 წლის ოქტომბრამდე წარდგენილი ჰქონდათ და მისგან საბოლოო დასკვნასაც ელოდნენ. ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯის გადაუდგმელობა იმითაც იყო განპირობებული, რომ სადაო საკითხების გადასაწყვეტად, სამთავრობო დონეზე შექმნილი კომისია არ არსებობდა. ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო-საინსტრუქციო განყოფილების მიერ 1924 წლის ნოემბერში საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილი გამოდგება. ეს დოკუმენტი, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქიდან სოფლების გამოყოფისა და სხვა მაზრებზე მიწერის შუამდგომლობების საფუძვლიანად შესწავლის, მისი კანონზომიერების გარკვევის მიზნით, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საგანგებო კომისიის შექმნის აუცილებლობას სთავაზობდა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ეს წინადადება აღნიშნული დოკუმენტის შექმნიდან მხოლოდ 8 თვის შემდეგ — 1925 წლის სექტემბერში იქნა გათვალისწინებული. მხედველობაში მაქვს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის იმავე წლის 3 სექტემბრის სხდომა. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ძირითად განსახილველ საკითხს გორის, დუშეთის, რაჭის**

მაზრებსა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს შორის არსებულ ტერიტორიულ უთანხმოებათა შემსწავლელი კომისიის შექმნა წარმოადგენდა (მომხსენებელი ფ. მახარაძე). იმავე სხდომაზე მიღებული დადგენილებით შექმნილი კომისიის შემადგენლობაში შეყვანილნი იქნენ: ლ. სუხიშვილი (თავმჯდომარე), ი. ხუხუა, ცაგურია, გ. გაგლოევი, ბაგაევი, ა. ჯატიევი, ჩიკოიძე. კომისიამ მუშაობა იმავე წლის 25 სექტემბერს დაამთავრა და მოხსენების სახით შესაბამისი დასკვნა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინა. ეს იყო დროის მცირე მონაკვეთში — 22 დღეში შექმნილი უაღრესად ტენდენციური და ცინიკური დოკუმენტი. მისი შემდგენლები პრობლემის ადგილებზე გაცნობას და არსებული ფაქტების სიღრმისეულ შესწავლას კი არ ეყრდნობოდნენ, არამედ ამოსავალ საფუძვლად მხოლოდ დეკრეტი 2-ს მიიჩნევდნენ და საზოგადოების თვალის ასახვევად, საზღვრებზე უმნიშვნელო კოსმეტიკური ცვლილებების განხორციელებას ისახავდნენ მიზნად. რაც შეეხება ქართველთა ზემოაღნიშნულ სამართლიან მოთხოვნებს, როგორც მოსალოდნელი იყო — იგნორირება გაუკეთდა. ამის დადასტურებას რაჭის მაზრისა და „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრის საკითხთან მიმართებაში იმავე კომისიის მიერ მიღებული გადანყვეტილება წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში ვკითხულობთ: „რაჭის მაზრასა და სამხრეთ ოსეთს შორის საზღვრების შესახებ კომისია საჭიროდ სცნობს ძალაში დარჩეს დეკრეტი 2“. კომისიის ტენდენციურობა რომ შეენიღბათ, „სამხრეთ ოსეთსა“ და რაჭის საზღვარზე მხოლოდ ცინიზმით შეზავებული კოსმეტიკური ცვლილება განახორციელეს. საქმე ეხება 4 დესეტი-ნა მიწის ფართობის სოფელ ირსა (რაჭის მაზრა) და სოფელ ვატრას („სამხრეთ ოსეთი“) შორის თანაბრად განაწილების ფაქტს. რაც შეეხება გორის მაზრას, კომისიამ მხოლოდ სოფელ კარაპილსა (გორის მაზრა) და სოფელ ორჩოშანს („სამხრეთ ოსეთი“) შორის სახნავ-სათესი სადაო მიწების საკითხი განიხილა და ვერანაირი კონკრეტული გადანყვეტილება ვერ მიიღო. პრობლემის სამომავლოდ მონესრიგება მიწათმონყობის სახალხო კომისიარიატს მიანდო. დუშეთის მაზრასთან დაკავშირებით, კომისიამ დეკრეტი 2-ით იხელმძღვანელა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვრის შესახებ შედგენილ რუკაზე დაშვებული შეცდომა იმით გაასწორა, რომ სოფლები: კარკუსიანთკარი, ბურგული, თაბორიკარი, თამარანთკარი და კარანთკარი დუშეთის მაზრას გადასცა.

ჩემ მიერ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე, ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ზემოაღნიშნულმა სამთავრობო კომისიამ გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების ქართულ მოსახლეობას იმედი გაუცრუა. მთელი საქმიანობა პიარკამპანიაზე ააგო და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი იმ საზღვრებში დატოვა, რასაც დეკრეტი № 2 ითვალისწინებდა. ოსმა სეპარატისტებმა თავიანთ სანადეღს ძირითადად მიაღწიეს. სამართლებრივად საქართველოს ტერიტორიის ის მოცულობა დაიკანონეს, რომლისთვისაც 1918 წლიდან მოკიდებული 1922 წლის ჩათვლით მუხლჩაუხრელად იბრძოდნენ. მათი შესაშური ძალისხმევისა და გასაბჭოებული საქართველოს მოღალატე მთავრობის მხარდაჭერით, მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო წარმატებას მიაღწიეს. ხიზნების წამოსასხამით, მშვიდობიანი გზით ოსთაგან ანექსირებულ საქართველოს ისტორიულ მიწანყალზე „სამხრეთ ოსეთის“ სახით ახალი სახელმწიფო წარმონაქმნი — „მეორე ოსეთი“ შექმნა. არსებული რეალობიდან გამომდინარე, მომხდარი ფაქტი იმის საუკეთესო ნიმუშია, რომ უდარდებლობის სენით შეპყრობილ გადაყოლაპიების გზაზე დამდგარ ერს, თუ როგორ შეიძლება კუთვნილი ისტორიული ტერიტორია წაართვა, მასზე მცხოვრებ აბორიგენ მოსახლეობას ეროვნული სიამაყე დააკარგვინო და მისი ცნობიერება მონის — შემგუებლის დონემდე დაიყვანო.

რაც შეეხება მეორე საკითხს — 2) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მმართველობის სისტემასა და უფლებებს, დეკრეტი № 2-ში მესამე მუხლიდან — მეშვიდე მუხლის ჩათვლით და სამი შენიშვნით არის წარმოდგენილი. აღნიშნული დოკუმენტი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მმართველობით ორგანოებად საოლქო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ადგილობრივ საბჭოებს აცხადებდა, რომლის დაქვემდებარებაში 7 სახალხო კომისარიატი (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, მიწათმოქმედების, სასურსათო, ფინანსთა), ერთი საბჭო (სახალხო მეურნეობის საბჭო) და ინსპექცია (მუშათა და გლეხთა ინსპექცია) შედიოდა. აღნიშნული სახალხო კომისარიატები ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უფლებებით იყო აღჭურვილი. იმავე დეკრეტის მიხედვით, საგარეო ურთიერთობის საკითხები და საგარეო ვაჭრობა, საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების დაქვემ-

**დებარებაში რჩებოდა. ანალოგიური უფლებებით იყო აღჭურვილი ოლქის სამხედრო კომისარიატი, რომელიც საქართველოს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატს ექვემდებარებოდა და მისი მოწყობა „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით ხდებოდა.**

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი საფინანსო და სამეურნეო სისტემის დაცვის მიზნით, დეკრეტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო კომისარიატები (სასურსათო, საფინანსო, შრომის, სახალხო მეურნეობის საბჭო, მუშათა და გლეხთა ინსპექცია), საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი სახალხო კომისარიატების დაქვემდებარებაში რჩებოდა. ეს უკანასკნელნი ყოველი სახის განკარგულებას ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით ანხორციელებდნენ. რაც შეეხება კომისრების დანიშვნის წესს, რესპუბლიკის შესაბამისი სახალხო კომისარიატები ამა თუ იმ კანდიდატს ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით ნიშნავდა, რომლის დამტკიცება ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ხდებოდა. ოლქის კომისარიატები (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, მინათმოქმედების, სოციალური უზრუნველყოფის) ავტონომიურად მოქმედების უფლებებით სარგებლობდნენ და რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოების წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. დეკრეტის მეშვიდე მუხლის თანახმად, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ყველა საჭირო საფინანსო და ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს შესაბამისი განკარგულებით უნდა მომხდარიყო [1, 3- 4].

**საქართველოს ხელისუფლება ამითაც არ დაკმაყოფილდა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე მოწვევის შესამე სესიაზე (1924 წლის ოქტომბერი) მიღებული დებულების V მუხლით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს ცაკ-ის საგანგებო სესიის მოწვევის უფლება მიანიჭა. სსრკ-ის მასშტაბით იმ ეტაპზე ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან ასეთი უფლებები რსფსრ-ს შემადგენლობაში მხოლოდ ავტონომიურ რესპუბლიკებს გააჩნდათ იმ პირობით, თუკი სესიის მოწვევის საჭიროებას მინიმუმ 6 ავტონომიური რესპუბლიკა ერთდროულად დაუჭერდა მხარს [2, 119- 120].**

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტიდან გამომდინარე, ქართველთა შემავიწროებელი „სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფლება გალაღებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი, ჩრდილო კავკასიის ოსეთში 1924 წელს შექმნილი ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობაზე მეტი უფლებებით აღიჭურვა. მომხდარი ფაქტი, ქვეყნისათვის სამომავლო შედეგებზე კი არა, ერთჯერად იდეოლოგიურ პიარკამპანიაზე იყო გათვლილი და, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში ეროვნული საკითხის განწყვეტის საუკეთესო ფორმად იქნა გამოცხადებული.

გასაბჭოებელი საქართველოს ხელისუფლებამ, ოს სეპარატისტებს შიდა ქართლში ავტონომიური ოლქის სახით მართალია განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფო წარმონაქმნი შეუქმნა, მაგრამ ოსები მიღწეულით არ კმაყოფილდებოდნენ და ჩანაფიქრის ბოლომდე მისაყვანად, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ახალ წინადადებებს სთავაზობდნენ. ამ შემთხვევაში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის კანტონალური პრინციპით ადმინისტრაციულად დაყოფის პროექტის შექმნა მაქვს მხედველობაში. სანამ ამ დოკუმენტის განხილვას შევუდგებოდე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ორიოდ სიტყვით აღვნიშნო, რომ ოსი სეპარატისტები ამ შემთხვევაში, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიისადმი 1919 წელს წარდგენილი „სამხრეთ ოსეთის“ კანტონის პტოექტის გარკვეული ფორმით „გაცოცხლებას“ შეეცადნენ. თუკი იმ ეტაპზე „სამხრეთ ოსეთის“ კანტონის შექმნა ვერ აისრულეს, საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის იმედით, ამ იდეის მოდერნიზებული სახით განხორციელებას „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოური ავტონომიური ოლქის ფარგლებში ცდილობდნენ. ამის დადასტურებას „სამხრეთ ოსეთის“ საოლქო პარტიული კომიტეტისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 2 ივნისის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული დადგენილება (ოქმი 15) წარმოადგენს. ამ დოკუმენტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი სამ კანტონად და 14 რაიონად უნდა დაყოფილიყო. 1) ჯავის კატონი — ცენტრი ჯავა; 2) ცხინვალის კანტონი — ცენტრი ცხინვალი; 3) ქსანის კანტონი — ცენტრი ახალგორი. იმავე დოკუმენტით 1) ცხინვალის კანტონის შემადგენლობაში შემდეგი „რაიონები“ უნდა შესულიყო: წუნარი, ყორნისი, ოქონა, ცხინვალი, ორტევი, ბელოთი, ან-



დორეთი; 2) ქსანის კანტონი შემდეგი „რაიონების“ დაქვემდებარებას ითვალისწინებდა: ლეხურის, ახალგორის, მონასტრის. რაც შეეხება ჯავის კანტონის შემადგენლობაში შემავალ სავარაუდო „რაიონებს“, დოკუმენტში დასახელებული არ არის. ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ე. წ. „რაიონები“ იმ ეტაპზე სასოფლო საზოგადოებებსა და სოფლებს წარმოადგენდა. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ხელისუფლება კი თითოეულ მათგანს რაიონების რანგში განიხილავდა. სავარაუდოა, რომ ასეთი ფონის შექმნა, აღნიშნული პროექტისადმი მეტი დამაჯერებლობის მიცემას ისახავდა მიზნად.

რაც შეეხება მმართველობითი ორგანოების სისტემას, იგი პროექტში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი: ოლქის ცენტრალურ მმართველობით ორგანოდ „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ითვლებოდა, რომლის დაქვემდებარებაში სამივე კანტონის აღმასრულებელი კომიტეტები, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები და რაიონების აღმასრულებელი კომიტეტები შედიოდა. ჯავის, ცხინვალის და ქსნის კანტონების შემადგენლობაში შემავალი რაიონის აღმასრულებელი კომიტეტები კანტონების აღმასრულებელ კომიტეტებს ექვემდებარებოდა, ხოლო ეს უკანასკნელი „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპით, იმავე პროექტით სამი კანტონალური და 11 რაიონული პარტიული კომიტეტი იქმნებოდა. რაიონული პარტიული კომიტეტები, კანტონების პარტიულ კომიტეტებს ექვემდებარებოდა. **ეს პროექტი თავიდან ბოლომდე ალოგიკურ სახეს ატარებდა იმ თვალსაზრისით, რომ საოლქო ავტონომიის ფარგლებში სამი კანტონალური ერთეულის შექმნა შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, კანტონი თავისი კონსტიტუციით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებით მცირე ადმინისტრაციულ ერთეულს განეკუთვნება და უფლებებით საოლქო ავტონომიას აღემატება.** „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სამ კანტონად დაყოფას თუკი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხარს დაუჭერდა და სამართლებრივ სახეს მისცემდა, „სამხრეთ ოსეთი“ ფედერალურ პრინციპებზე უნდა მოწყობილიყო. ეს მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნისა და ტერიტორიულადაც გაფართოების შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. ჩემი აზრით, აღნიშნული პროექტი ოსი სეპარატისტების მხრიდან მორიგი მზაკვრული

**გვემის გარკვეული საფეხურის მომზადებას ისახავდა მიზნად და იგი ამ მიმართულებით ერთგვარ სასინჯ ნაბიჯს წარმოადგენდა.** მოგვიანებით ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანების საკითხის დასმა აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს.

ჩემი მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით შეუძლებელი გახდა ისეთი საარქივო დოკუმენტის მიკვლევა, რომელშიც ოსების დასახელებულ პროექტთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების ან რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დამოკიდებულება იქნებოდა დადასტურებული. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პროექტის მიღებიდან ოთხი თვის შემდეგ, „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საოლქო პარტიული კომიტეტების გაერთიანებულმა სხდომამ (1922 წლის 24 ოქტომბერი), „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ ისევ იმსჯელა. წინა დადგენილებისგან (1922 წლის 2 ივნისი) განსხვავებით, 24 ოქტომბრის დადგენილება (ოქმი 17) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქს (სამი კანტონის ნაცვლად) სამ სამაზრო ერთეულად და 14 რაიონად ყოფდა. 1) ჯავის მაზრა — ცენტრი ჯავა; 2) ცხინვალის მაზრა — ცენტრი ცხინვალი; 3) ქსანის მაზრა — ცენტრი ახალგორი. ამ ორ დოკუმენტს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვა კანტონის ნაცვლად ყველგან მაზრაა ნახმარი და კანტონის უფლებები მაზრის უფლებებამდეა დაყვანილი. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ამ პრინციპით დაყოფა იმ ეტაპზე საოლქო ავტონომიების შესახებ არსებულ კანონმდებლობას და მით უმეტეს, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქისათვის დამახასიათებელ არსებულ რეალობას ეწინააღმდეგებოდა. აქედან გამომდინარე, ოსი სეპარატისტების მხრიდან ოლქის ადმინისტრაციული მოწყობის ეს ახალი, „კომპრომისული“ ვარიანტიც საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ ეტაპზე მიუღებელი იყო.

ოსების მიერ შედგენილი ზემოაღნიშნული ორივე პროექტი, რამდენადაც მოსკოვთან შეუთანხმებლად შემუშავდა, მასში ჩადებული იდეა სანყის ეტაპზევე ჩაკვდა. ამ ფაქტით, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ ოსებს აგრძნობინა, რომ ნებისმიერი მათი მოქმედება არა ინდივიდუალიზმზე, არამედ ცენტრიდან მიღებულ დირექტივებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ერთხელ მიღებული გამოცდილები-

დან გამომდინარე, ოსი სეპარატისტები ამ მხრივ ჩრდილოელი მფარველისადმი შესაშურ ერთგულებას იჩენდნენ. ეს გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან შიდა ქართლის ოსები, „ოსური იდეის“ ხორცშესხმის მხარდამჭერად საბჭოთა რუსეთს აღიქვამდნენ. ასეთი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას 1918-1925 წლების ჩათვლით არსებული ის საარქივო მასალა იძლევა, სადაც ოსი სეპარატისტებისადმი გასაბჭოებელი რუსეთის ლობირება, აშკარა მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება დასტურდება. ისიც ხაზგასასმელია, რომ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილო კავკასიის ოსეთზე წინსწრებით, შიდა ქართლში ოსური ავტონომიის სოკოსავით აღმოცენება, რუსეთის ხელისუფალთა დამსახურების ნაყოფს წარმოადგენდა. ყოველივე ამას შიდა ქართლის ოსები საფუძვლიანად აანალიზებდნენ და რუსეთისადმი მონური მორჩილებით, სამომავლოდ ერთიანი ოსური სახელმწიფოს შესაქმნელად მყარ ნიადაგს ამზადებდნენ. მით უმეტეს, ამ ჩანაფიქრის აღსრულების რეალურ გარანტორად იმავე რუსეთს მოიაზრებდნენ.

**რამდენადაც იმ ეტაპზე საქართველო საბჭოთა რუსეთის „საჯილდაო ქვად“ იყო ქცეული, ეს უკანასკნელი ქართველ ერთან მიმართებაში სხვადასხვა შეფარვითი ხასიათის იდეოლოგიური ზენოლის ექსპერიმენტს მიმართავდა და ამ საქმეში ისევ და ისევ ოსებს ააქტიურებდა. ამ შემთხვევაში, ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანების შესახებ საუწყებათაშორისო კომისიის 1919 წლის 13 ივლისის სხდამაზე ა. თიბილოვის მიერ დასმული საკითხის ისევ „გაცოცხლება“ და საბჭოთა რუსეთის მაღალჩინოსანთა მხრიდან ამ სცენარის „რედაქტირებული“ ფორმით მანიპულირება მაქვს მხედველობაში. ამ მიმართულებით პირველი სასინჯი ნაბიჯი, ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე (1925 წლის იანვარი) გადაიდგა. ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გასაერთიანებლად საკითხის აღძვრის შესახებ მიღებული დადგენილება მაქვს მხედველობაში. ამ დოკუმენტში არ ფიგურირებს, გაერთიანებული პოლიტიკური ერთეული რსფსრ-ს თუ საქართველოს შემადგენლობაში შევიდოდა. დასმული პრობლემის ადგილიდან დაძვრის მიუხედავად, მისი ინიციატორებისადმი საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას მკაცრი ან გამაფრთხილებელი რეაგირება არ გაუკეთებია. ამ ფაქტმა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობას მოქმედების გარკვეული სტიმული მისცა. მხედველობაში მაქვს**

„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მეხუთე საოლქო ყრილობის (1925 წლის 25 მარტი) მიერ მიღებული დადგენილება. როგორც ცნობილია, ყრილობამ ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანების შესახებ, ჩრდილო ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ხ. კარგიევის ინფორმაცია მოისმინა. იმავე ყრილობის დადგენილებით, ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს საზღვრებში გაერთიანების ოფიციალურად და დროულად დაყენების საჭიროება მიზანშეწონილად იქნა ცნობილი. რაც შეეხება „ოსური საკითხის“ საბოლოოდ სისრულეში მოყვანას, ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების შეთანხმების საფუძველზე შექმნილ ერთობლივ კომისიას უნდა მოეხდინა [3, 3; 92- 93].

**„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საბჭოების V ყრილობის ამ გადამწყვეტილებასთან მიმართებაში, გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლებას იმ ეტაპზე ოფიციალური პოზიცია არ დაუფიქსირებია. ყოველ შემთხვევაში, საარქივო მასალებით ასეთი რამ არ დასტურდება. არადა, ორი სხვადასხვა სახელმწიფოს (რსფსრ და საქართველო) ფარგლებში მოქცეული ავტონომიური ერთეულების გაერთიანების შესახებ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის პასუხისმგებელ პირთა მხრიდან საკითხის დასმა საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით არ უნდა მომხდარიყო. ამ სამართლებრივი ნორმების დარღვევის მიუხედავად, გაერთიანების საკითხი არა თუ შეფერხდა, არამედ მისი საფეხურებრივი მსვლელობა დაჩქარებული ტემპით წარიმართა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტური მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად გაერთიანებისა და მისი საქართველოს შემადგენლობაში შესვლის შესახებ ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილი შუამდგომლობა იქცევს. როგორც ცნობილია, საკითხის ამ ფორმით დაყენებას, სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და ჩრდილო ოსეთის კავკასიის საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა [4, 59].**

სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანების, ანუ „ოსური გეგ-

მის“ შესახებ ი. სტალინმაც იცოდა, მაგრამ, გარკვეული ფაქტორებიდან გამომდინარე, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისგან თავს იკავებდა. ამის უდაო დადასტურებას, იმავე ი. სტალინის მიერ ს. ორჯონიკიძისადმი 1925 წლის 30 ივნისს გაგზავნილი დეპეშა წარმოადგენს. „პირადად მე — ვკითხულობთ დოკუმენტში — ოსეთის გეგმის საწინაარმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი შემოვიდა, ძალზე ვყოყმანობ და ვერაფრის რჩევა ვერ გადამიწყვეტია. ძალიან გთხოვ, გადადო პასუხი მიქოიანთან ჩვენს ერთობლივ შეხვედრამდე“ [5, 95]. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, „სამხრეთ-აღმოსავლეთის“ საწინააღმდეგო პოზიციიდან გამომდინარე, „ოსეთის გეგმის“ ინდივიდუალურად გადაწყვეტას ი.სტალინი თავს არიდებდა და საკითხი „ტრიუმფირატის“ (ი. სტალინი — სსრკ ცეკას გენერალური მდივანი, ს. ორჯონიკიძე — კავშიუროს თავმჯდომარე, ა. მიქოიანი — ჩრდილო კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი) შეხვედრისათვის გადაჰქონდა. ჯერჯერობით გაურკვეველია, აღნიშნულ პირთა შეხვედრა შედგა თუ არა. ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ოსური გეგმის“ პრაქტიკულად განხორციელებას საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ.მახარაძე მხარს უჭერდა. ამის უდაო დადასტურებას საქართველოს ცაკ-ის 1925 წლის 15 ივნისის სესიის სხდომაზე ფ. მახარაძის მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს. მისი აზრით, ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანება წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩათვლილიყო იმისდა მიუხედავად, თუ რომელ რესპუბლიკაში შევიდოდა აღნიშნული პოლიტიკური ერთეული. დასახული გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, იმავე ფ. მახარაძის „მტკიცებით“, მომხდარი ფაქტი იქნებოდა „დიდი ნაბიჯი ოსეთის ხალხის ისტორიაში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ოსეთის ხალხის განვითარებისათვის.“ სამწუხაროდ, იგი ელემენტარულ მინიშნებასაც კი არ აკეთებდა, აღნიშნული გაერთიანება თუ რამდენად მისაღები აღმოჩნდებოდა საქართველოსათვის. ფ. მახარაძის კოსმოპოლიტიზმით შეზავებული ასეთი პოზიცია გაკვირვებას არ იწვევს, რადგან დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს პერიოდში (1918-1921 წლის თებერვალი) იგი არარსებული „სამხრეთ ოსეთის“, ჩრდილო კავკასიის ოსეთთან შეერთებას და ამ ერთიანი წარმონაქმნის რუსეთის ფედერაციაში შესვლის აუცილებლობას ოს სეპარატისტებთან ერთად თავგამოდებით იცავდა. ყურადღებას ის

ფაქტიც იქცევს, რომ ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანების საკითხი აღნიშნულ სესიაზე კანონდარღვევით, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და დღის წესრიგში შეტანის გარეშე იქნა განსახილველად გატანილი. მხედველობაში მაქვს ფ.მახარაძის მიერ სესიაზე გაკეთებული მოულოდნელი განცხადება: „ამხანაგებო, აქ გახლავთ ჩრდილოეთ ოსეთის ოლქის თავმჯდომარე ტაკოევი, რომელიც წარმოგიდგენთ ერთ უაღრესი მნიშვნელობის მოხსენებას.“ სესიაზე ტაკოევის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან ირკვევა, რომ იგი ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების დადებითად გადაწყვეტის მიზნით, ჩრდილოეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იყო წარმოგზავნილი. მისივე თქმით, ჩრდილო ოსეთი სურვილს აცხადებდა, რათა რსფსრ-ს ჩამოშორებოდა და საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო. ამ გადაწყვეტილების მიღების გამართლების ძირითად არგუმენტად, ტაკოევი რამდენიმე ფაქტორს ასახელებდა. ამ შემთხვევაში მან პოლიტიკურ ეშმაკობას მიმართა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ოსების „ტანჯულ“ ერად წარმოსახვას შეეცადა. მხედველობაში მაქვს იმავე ტაკოევის მიერ თითქოსდა მიზანმიმართულად „ხელოვნურად შუაზე გახლეჩილი ორი ოსეთის“ საკითხის წინა პლანზე წამოწევა. მისი მტკიცებით: 1) ჩრდილო ოსეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიების ცალ-ცალკე არსებობა, ოსი ერის ტრაგედიას წარმოადგენდა და საბჭოური ნაციონალური პოლიტიკის უვარგისობას ადასტურებდა; 2) „ორი ოსეთის“ განცალკევება, თითოეული მათგანის კულტურული და ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ბარიერს ქმნიდა, რომელიც კულტურულ და სამეურნეო სფეროში ოსებისათვის ყოველგვარი სახის პროგრესს გამორიცხავდა. აქედან გამომდინარე, არსებულ რეალობას ტაკოევი ოსი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად აცხადებდა. „ჩვენი ნაციონალური პრინციპები — ამბობდა იგი — ბოლომდე და მიზანშეწონილად რომ იქნეს განხორციელებული, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელთათვის, — საჭიროა ეს ოლქები გავაერთიანოთ და მეურნეობისა და ბუნებრივ შესაძლებლობათა გამოყენების საშუალებით წავმართოთ ეს ქვეყანა ეკონომიური განვითარების გზით;“ 3) იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული გაერთიანება განხორციელდებოდა, ტაკოევის აზრით, მას საერთაშორისო მნიშვნელობა ექნებოდა. „ამიერიდან — ამბობდა ტაკოევი —

ყველა ის მგელი, რომელიც ჰლმუოდა, ვითომც საქართველო იჩაგრებაო, დადუმდება, — ეს აქტი ჩასჩრის მათ პირში ბურთს.“ ჩემს მიერ მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანება იდეოლოგიურად შესანიშნავად იყო შეფუთული. მითუმეტეს, ქართველთა გულის მოსაგებად იგივე ტაკოევი, საქართველოში გატარებულ ეროვნულ პოლიტიკას ყველა რესპუბლიკებისათვის სამაგალითოდ მიიჩნევდა. ამ ფონზე აკეთებდა დასკვნას, რომ ჩრდილო ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების სურვილი, საქართველოს მთავრობის სალი ნაციონალური პოლიტიკით იყო განპირობებული. „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი და მით უფრო პასუხისმგებელი მომუშავენი — ამბობდა ტაკოევი — თვალნათლივ ჰხედავენ, რომ სალი ნაციონალური პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში.“ ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების მიზანშეწონილობას ტაკოევმა საბჭოთა ფედერაციული რუსეთის ეროვნული პოლიტიკის დაწუნება და კრიტიკა დაუდო საფუძვლად. მან იმის შესახებაც მიანიშნა, რომ ჩრდილო ოსეთის მშრომელებთან ერთად ამ თვალსაზრისს პასუხისმგებელი პარტიული მუშაკებიც იზიარებდა. ასეთი განცხადების 1925 წელს გაკეთება, არა მარტო ტაკოევისათვის, არამედ ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული ელიტისათვისაც სახიფათო იყო. მითუმეტეს, ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის პასუხისმგებელი პირები ტაკოევმა ოფიციალურად რსფსრ-ს ეროვნული პოლიტიკის დამწუნებლად გამოაცხადა. თუკი საბჭოთა რუსეთში იმ ეტაპზე არსებულ უმძიმეს პოლიტიკურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, ტაკოევის მიერ საქართველოს ცაკ-ის სესიაზე თავისი კოლეგების მისამართით „ჩაშვების“ სტილში გაკეთებული განცხადება და კანონდარღვევით იმავე სესიის სხდომაზე მისი მოხსენების გატანა გვაფიქრებინებს, რომ ტაკოევი ცენტრალური ხელისუფლებიდან იმართებოდა, მისი მოხსენების ყველა მნიშვნელოვანი დებულება და თვით განცხადება, საბჭოთა რუსეთის შესაბამისი სტრუქტურების მაღალჩინოსნებთან იყო შეთანხმებული. ასეთი შეხედულების გამოთქმის შესაძლებლობას იმავე სესიის მიერ „ოსეთის გეგმაზე“ დაფუძნებული ტაკოევისეული რეზოლუციისადმი სესიის მონაწილეთა ერთსულოვანი მხარდაჭერაც იძლევა. ამ შემ-

თხვევაში, ეიფორიაში მყოფი სესიის მონაწილენი, წარსულში ოსების ნამოქმედარის მწარე გამოცდილებას და საქართველოსთან მიმართებაში მოსალოდნელ გარდუვალ საფრთხეს ყურადღების მიღება ტოვებდნენ. ამის უდაო დადასტურებას იმავე სესიაზე მიღებული ორპუნქტიანი დადგენილება წარმოადგენს. ამ დოკუმენტის პირველ პუნქტში ფ. მახარაძის ზემოაღნიშნული პოზიციაა გატარებული, ხოლო მეორეში, ტაკოევის მიერ სესიისადმი წარდგენილი რეზოლუციის პროექტის ძირითადი დებულებები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, იმავე დოკუმენტიდან შესაბამის ამონაწერს მოვიტან და თავად მკითხველმა განსაჯოს მისი აკარგიანობა. „1) სრულიად საქართველოს ცაკ-ის მესამე მოწვევის მეორე სესია მხურვალედ მიესალმება ოსეთის ორი განცალკევებული ნაწილის გაერთიანებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში შევა ეს ახალი სახელმწიფოებრივი ერთეული, და ხედავს ამ აქტში ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრას იმ ხალხთა მიმართ, რომელნიც იჩაგრებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის არსებობის დროს.

2) რაც შეეხება გაერთიანებული ოსეთის საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შესვლას, სესია უერთდება იმ რეზოლუციებს, რომლებიც ამ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ჩრდილოკავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისა და ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ცაკ-ების მიერ.“

**ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზიდან გამომდინარე, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსი იკვეთება. საქმე ეხება იმ სატყუარ ბადეს, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ოსების ხელით საქართველოს მიმართ გადმოისროლა. მხედველობაში მაქვს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან ჩრდილო ოსეთის ავტონომიის ხელმძღვანელობისათვის პრობლემის თავისუფალი გადაწყვეტის გარეგნულად მოჩვენებითი ფონის შექმნა. ერთი შეხედვით, რუსეთის ფედერაციის მაღალჩინოსნები ჩრდილო ოსეთს თითქოს არჩევანის თავისუფლად გაკეთებისა და მათი სურვილის შესაბამისად ნამოჭრილი პრობლემის (ჩრდილო ოსეთის რუსეთის ფედერაციიდან გასვლა და სხვა რესპუბლიკასთან — საქართველოსთან შეერთება) დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებას აძლევდა. ამ ფაქტით, იგი იდეოლოგიურ მანიპულირებას ეწეოდა იმ თვალსაზრისით, რომ შიდა ქართლის ოსებში თვითნებური მოქმედების შესაძლებლობას და ერთიანი ოსეთის შექმნის მინელელებული ნაპერწკლის აა-**



**ლებას უღებდა სათავეს.** ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანების იდეის განხორციელების პროცედურის მსვლელობამ იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ იგი წინასწარ დაგეგმილ ჩარჩოს გასცდა და მისი „დაკონსერვება“ აუცილებელი შეიქმნა. ამ მიზნის განსახორციელებლად, საბჭოთა რუსეთის შესაბამისმა უწყებებმა ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანო გამოიყენეს. მხედველობაში მაქვს მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 7 აგვისტოს სხდომა (ოქმი 13). ამ დოკუმენტის მიხედვით, ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანების განხილვა სხდომის დღის წესრიგში 27-ე საკითხად იყო შეტანილი. აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გაერთიანების წინააღმდეგ ეროვნებით სომეხი ა. ნაზარეთიანი გამოვიდა. ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთს“ შორის სამიმოსვლო გზების არარსებობიდან და საუღელტეხილო გზის სეზონურობიდან (9 თვით იკეტებოდა) გამომდინარე, ეს გაერთიანება, უახლოესი ხუთიდან ათი წლის განმავლობაში მან ნაადრევად მიიჩნია [6, 70]. საკითხის ასეთი ფორმით ოფიციალურად დასმისა და შესაბამისი არგუმენტების მოტანის მიუხედავად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იმავე სხდომამ განსაკუთრებული პრინციპულობა გამოიჩინა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1925 წლის 15 ივლისის სხდომის დადგენილებას დაუჭირა მხარი. მხედველობაში მაქვს ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების მიზანშეწონილობის აღიარება. ასეთი სახის დადგენილების მიუხედავად, „ოსური გეგმის“ მომდევნო საფეხურებზე შემდგომი განხილვა არ მომხდარა. მისი ჩავარდნის განმაპირობებელ მიზეზს, ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთს“ შორის მუდმივმოქმედი დამაკავშირებელი გზის არარსებობა წარმოადგენდა [5, 96]. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულმა სხდომამ ოსი სეპარატისტების წინაშე ახალი პრობლემა დააყენა მოსაგვარებლად. კერძოდ, „ოსური გეგმის“ „ჩავარდნის“ განმაპირობებელი მიზეზის აღმოფხვრა — საუღელტეხილო გზის მშენებლობის აუცილებლობა და ამ მიმართულებით სათანადო უწყებებში საფეხურებრივად შესაბამისი მუშაობის ფორმის გამოძებნა.

რაც შეეხება ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების შემთხვევაში წარმოქმნილ მოსალოდნელ საფრთხეს, ამასთან დაკავშირებით სავსებით მართებუ-

ლად მიმაჩნია ი. ფუტკარაძის დასკვნა: „ჩრდილო ოსეთი და საერთოდ „გაერთიანებული ოსეთი“ — წერს იგი — საქართველოს შემადგენლობაში ისეთი შენამატი იქნებოდა, რომელზედაც იტყვიან: გარედან მტერს უბრმავებს თვალებსა და შიგნიდან მოყვარესო. ადრე თუ გვიან იგი დაყოვნებული მოქმედების ყუმბარასავით იფეთქებდა და საქართველოდან ყოფილი სამაჩაბლოს და ქსნის საერისთავოს ჩამოცილებას გამოინვევდა“ [7]. მითუმეტეს, საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკური კურსი საფეხურებრივად საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მისატაცებლად იყო მომართული და მის რეალიზაციას ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე ახდენდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, იგი ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ გაერთიანებული რესპუბლიკის ფარგლებში ოსურ სეპარატიზმს აამოქმედებდა და საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას, იარალის გამოყენების გარეშე, სამართლებრივი გზით — პლემბისციტით რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მოაქცევდა.

**ამრიგად: 1) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მომიჯნავე მაზრების ქართული სოფლების საჩივრების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის საქმიანობა პიარკამპანიის სახეს ატარებდა. იგი ქართველთა ემოციებისა და ვნებათაღელვის ჩაცხრომაზე იყო გათვლილი. რაც შეეხება საზღვრების საკითხს, საზოგადოების თვალისახვევის მიზნით დისკუსია მხოლოდ „კოსმეტიკური ცვლილებების“ დაშვება-არდაშვების შესაძლებლობის ფარგლებში მიმდინარეობდა. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ აღნიშნულმა კომისიამ ცენტრის მითითება პირნათლად შეასრულა. ქართველი გლეხკაცობის სამართლიანი მოთხოვნების იგნორირებით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვარი ძირითადად პირვანდელი სახით დატოვა.**

**2) ჩრდილო და „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების ოფიციალურად დასმა (1925 წელი), მოსკოვიდან იყო სანქცირებული და მიზანმიმართული იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნდა. აღნიშნული ფაქტის წინ წამოწევა, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სეპარატისტულად განწყობილ ოსურ მოსახლეობაში, საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე ერთიანი ოსეთის შექმნის მინელებული ნაპერწკლის აალებას და საბჭოური იმპერიის ხელისუფალთა მხრი-**

**დან სამომავლოდ საქართველოს წინააღმდეგ დანიშნულებისა-  
მებრ გამოყენებას ითვალისწინებდა.**

**დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ჟურნალი „მოამბე“ 1922, № 33.
2. უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968; ა. სონ-ლულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! თბილისი, 2009.
3. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქმე 170; ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, 1991.
4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე მოწვევის მეორე სესია, სტენოგრაფიული ანგარიში, თბილისი, 1925.
5. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, 1991.
6. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 607, აღწ. 1, საქმე 320.
7. ი. ფუტყარაძე, სალი ძახილი, გაზ. „კომუნისტი“, 13 დეკემბერი, 285, 1989.

**Shota Vadachkoria**

*Doctor of Historical Sciences, Tbilisi Javakishvili State University, the Javakishvili Institute of History and Ethnology, Main research scientist of the Department of Modern and Contemporary History*

**Georgian Political Viewpoint about the Conflict of the “South Ossetia”  
Borders and the Attempt of Creating “The United State of Ossetia”  
(1923-1925)  
(Article IV)**

**Summary**

The military alliance of the Georgian and Ossetian peoples became especially intensive when Teimuraz II and his son, Erekle II, ascended the thrones of Kartli and Kakheti (1744).

Thus, the history of military alliance of the Georgian and Ossetian nations goes back to the ancient days, and the second half of the 18th century is its noteworthy constituent part. The Ossetians, as faithful warriors of the Georgian kings, were always regarded with favour by them.

## ლელა მიქიაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### **რუსეთის მიერ კავკასიის მთიელთა დამორჩილების მიზნით შეიშუშავებული ეკონომიკური პროექტი (რაფაელ სკასისა და პლატონ ზუზოვის მასალების მიხედვით)**

რუსულ იმპერიულ დიპლომატიას უდავოდ ახასიათებდა მაღალი პროფესიონალიზმი და პრობლემების სიღრმისეული შესწავლის მეთოდიკა; კერძოდ, მათ მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაოები ადგილობრივი მმართველობის ხასიათის, მოსახლეობის სოციალური და ფსიქოლოგიური პორტრეტის, ეკონომიკისა და კულტურის და ა. შ. შესწავლის მიზნით მართლაც ოპტიმალურად გამოიყენებოდა იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკის გასამართლებლად და შესაბამისად – დაპყრობილი ხალხების მხრიდან ნებისმიერი სახის პრეტენზიის უარსაყოფად. ამგვარი პოლიტიკის წარმოებისათვის უაღრესად მყარ საფუძველს წარმოადგენდა მთელ რიგ რუს თუ უცხოელ ავტორთა (ან მოგზაურთა) მრავალრიცხოვანი აღწერილობითი ხასიათის ნაშრომები. მათში დაცული ნებისმიერი ხასიათის ინფორმაცია, ეკონომიკურ-პოლიტიკური თუ სოციალურ-რელიგიური სფეროდან, წარმატებით გამოიყენებოდა დაპყრობილი ხალხების ე.წ. ნებაყოფლობითი დამორჩილების მიზნით.

სწორედ ამას ემსახურება ერთ-ერთი საანგარიშო მოხსენება, რომლის ავტორი და შემოქმედი იყო იმპერიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ატაშე რაფაელ სკასი. ეს იყო იტალიელი კომერსანტი (გენუის მკვიდრი). რუსეთში მისი მოღვაწეობის მთავარი რეგიონი იყო ანაპისა და სუფუკ-კალეს (ნოვოროსიისკის) შემოგარენი, სადაც ნატუხაელები (НАТУХАЙЦЫ) ცხოვრობდნენ. რაფაელ სკასის კომერციული პროექტი გულისხმობდა სანაპირო ზოლზე მცხოვრებ ჩერქეზებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას; სწორედ ამ მიზნით იმყოფებოდა იგი 1811 წელს ჩერქეზეთში. უნდა აღინიშნოს, რომ სკასი სარგებლობდა როგორც რუსეთის სარდლობის, ისე ადგილობრივი ჩერქეზი ფეოდალების მხარდაჭერით. კერძოდ, პირველ

ხანებში მას მფარველობდა ანაპის კომენდანტი ბუხჰოლცი, რომელსაც ჩერქეზი მეუღლე ჰყავდა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩერქეზებიდან სკასის „ყონალი“ იყო თავადი მეჰმედ ინდარ-ოლლი [1]. ერთი ხანობა სკასი ტებუ დე მარინისთანაც თანამშრომლობდა\*. მოგვიანებით (1817 წ.) იგი იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკი გახდა და ადგილობრივ მთიელებთან ვაჭრობის მეურვის სტატუსით ფართომასშტაბიანი საქმიანობა წამოიწყო თავის კომერციულ სანარმოებში (ე.წ. კანტორებში) ჩერქეზთა მოსაზიდად. თუმცა სკასის საქმიანობას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ერმოლოვის მხრიდან, რომელიც იმ დროს კავკასიის ჯარების სარდალი იყო; საქმე იმაშია, რომ კავკასიაში რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება დიდად არ ენდობოდა სკასის, თუმცა, ამის მიუხედავად, ეს უკანასკნელი კვლავაც სარგებლობდა საგარეო უწყების მხარდაჭერით, რომელსაც იმ დროისათვის გრაფი ნესელროდე ხელმძღვანელობდა. 1828 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს სკასი უშუალოდ დაუპირისპირდა ადმირალ ა. მენშიკოვს, რომელიც ანაპის ალყას მეთაურობდა. ამჯერად სკასი ძლივს გადაურჩა სამართლებრივ პასუხისგებას, თუმცა დათხოვნილ იქნა სახელმწიფო სამსახურიდან.

გარდა ჩერქეზებისა, გენუელ კომერსანტს თავის პატაკებში საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული აფხაზების ცხოვრების წესის და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ: მისი თანამდებობა ამას იმთავითვე ითვალისწინებდა («Утвержден в должности попечителя торговли с черкессами и абхазами») [2, 648].

პირველი მეგობრულ-კომერციული ურთიერთობები რ. სკასიმ ფშადის ნატუხაელ მთავართან – ინდარ-ოლლისთან დაამყარა. ამ დროს გაიხსნა ორი სავაჭრო დაწესებულება – ერთი ფშადში, მეორე გელენჯიკში; მაგრამ პირველი თვალსაჩინო წარმატებების მიღწევისთანავე სკასი მხილებულ იქნა სპეკულაციასა და თანხების გაფლანგვაში. მართალია სასამართლომ იგი შეინყაღა და ნაწილობ-

---

\* ტებუ დე მარინი — ჟან-ვიქტორ-ედუარდ ტებუ დე მარინი (1793-1852); ფრანგი არისტოკრატი; 1809 წლიდან რუსეთის სამსახურში იყო; 1818 წ. მონაწილეობდა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს ექსპედიციაში; მისი თხზულება „მოგზაურობა ჩერქეზეთში“ (გამოც. 1836 წ.) შედგება ორი ნაწილისაგან: 1)1818 წლის მოგზაურობა და 2)1823-1824 წწ. მოგზაურობა ჩერქეზეთის სანაპიროზე. იგი შეიცავს უდიდეს ფაქტობრივ მასალას ადგილობრივი მოსახლეობის ვაჭრობა-ხელოსნობის, ბუნებრივი სიმდიდრის, კულტურის, პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ.



რივ გაამართლა კიდეც, მაგრამ მისმა წამოწყებამ ამის გამო მარცხი განიცადა და მეფის ხელისუფლებამ კვლავ მისთვის ჩვეული ძალადობრივი მეთოდებით განაგრძო კავკასიის მთიელთა დამორჩილება.

ქვემოთ გთავაზობთ გრაფ ნესელროდეს წერილს გენ. ერმოლოვისადმი [2, 646-648], რომელშიც საუბარია რაფაელ სკასის მიერ ჩატარებულ სამუშაოზე და რომელსაც თან ერთვის სკასის მიერ ფრანგულ ენაზე წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი (დოკუმენტიდან ამოკრეფილია მასალა აფხაზების შესახებ).

### **გრაფ ნესელროდეს წერილი გენ. ერმოლოვისადმი (1820 წ. 13-20 ივლისი)**

იმ დროს, როდესაც მოლაპარაკებებს ვანარმოებთ პორტასთან და ჩვენი მხრიდან ამ მოლაპარაკებებში აზიური სანაპიროს საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა, შეკრიბოს ყველა სახის ცნობა, რომელსაც შეუძლია ნათელი მოჭფინოს ამ მნიშვნელოვან საკითხს.

ამ მოსაზრებამ გადაგვანყვეტინა, თხოვნით მიგვემართა სახელმწიფო მრჩეველ სკასისათვის, რომელიც საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ატაშე გახლავთ და მრავალი წლის მანძილზე ურთიერთობა ჰქონდა ჩერქეზეთთან და აფხაზთა ქვეყანასთან (abazes). ჩვენ მას ვთხოვეთ მოეწოდებინა ამ მხარეთა შესახებ ის ცნობები, რომლებიც მან პირადად შეაგროვა, ან მოიპოვა იმ პირთა მეშვეობით, რომლებიც მისი დავალებით ასრულებდნენ ამ საქმეს.

მოხსენებითი ბარათის თანდართულ ასლში აღნიშნულია, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ ვაახლეთ იგი თქვენს აღმატებულებას, ბატონო გენერალო, ვინაიდან თქვენი კომპეტენციას, შეამოწმოთ მასში მოყვანილი ფაქტები და დაადასტუროთ, შეასწოროთ ან უარყოთ გამოთქმული მოსაზრებანი თუ დასკვნები.

ჩვენს მიერ ამ ცნობების თქვენთვის მოწოდებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – თქვენ ხელთ გექნებათ უამრავი შესადარებელი ხასიათის მასალა იმ დიდი სამუშაოსათვის, რომლის შესრულებაც იმპერატორის თხოვნით თქვენ დაგეგვალათ, რის შესახებაც მიმდინარე წლის 28 მაისის დეკრეტით შეგატყობინეთ.

მოუთმენლად ველით თქვენს მოხსენებას, რომელიც საფუძვლად დაედება პორტასთან ჩვენს შემდგომ შეთანხმებებს.

## რ. დე სკანის ცნობები ჩერქეზების, სოხუმ-კალესა და აფხაზეზების შესახებ

სოხუმ-კალეში მცხოვრები სომხებისა და აფხაზეზების გადმოცემით, ქელეშ-ბეის მამის სიცოცხლეში ამ მხარეში ჯერ კიდევ ახსოვდათ ის ქმედებები, რასაც თურქები დიდი ხნის მანძილზე სჩადიოდნენ ამ საგვარეულოს მთავრებს შორის უთანხმოებისა და შუღლის გასაღვივებლად; მათი მიზანი იყო, დაუფლებოდნენ შარვაშიძეების კუთვნილ ციხესიმაგრეს და მისი დაცვის საბაზით აქ თავისი გარნიზონი ჩაეყენებინათ.

აფხაზეთის მთელ სანაპიროზე სოხუმ-კალე ერთ-ერთი საუკეთესო პორტია. თავისი მდებარეობით იგი წარმოადგენს სავაჭრო ცენტრს. რდაგანაც სოხუმ-კალედან ფოთამდე გადაჭიმული ზღვის სანაპირო მოკლებულია ღუზაზე დგომისათვის აუცილებელ პირობებს და ამდენად, სახიფათოა დიდი გემებისათვის, ანაკლიის ციხესიმაგრედან ფაზისამდე კაბოტაჟური ნაოსნობა წარმოებს. სოხუმ-კალე, როგორც სავაჭრო ცენტრი, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან აქ გემები პოულობენ თავშესაფარს და გამოზამთრების საშუალებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მომავალში ამ სანაპიროზე გარკვეული ურთიერთობების დამყარებას.

მაგრამ ამ დროისათვის სოხუმ-კალეს, როგორც ჩვენი (საგზაო) ხაზის სამხედრო პუნქტს, დიდი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ერთადერთი სამსახური, რასაც იგი უწევს გემებს, გახლავთ ის, რომ როდესაც ქარები დიდ დაბრკოლებას უქმნიან გემებს, ან როცა ეს გემები რედუტ-კალეს საკმაოდ სახიფათო რეიდზე დგომას ვერ ბედავენ, სწორედ მაშინ ამ პორტიდან (სოხუმ-კალედან – ლ.მ.) რედუტ-კალეში გადააქვთ საჭირო სურსათი არა მარტო იქაური გარნიზონისათვის, არამედ მთელი ხაზის გარნიზონისათვის ქუთაისამდე. სახმელეთო კომუნიკაციები ჩვენს სამხედრო დასახლებებთან მეტისმეტად გართულებულია და ახლანდელ პირობებში მთავრობას სოხუმ-კალე უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე მისგან მიღებული სარგებელი. მართლაც, გარნიზონის შენახვას დიდი თანხები სჭირდება, თუმცა ჯარისკაცთა ყოფა, რომელთაგანაც ბევრი ავადმყოფობის გამო იღუპება, აქ ძალზე სავალალოა; თითქმის ყველაფერი, რაც მათთვის აუცილებელია, ჩვენი კონტინენტიდან შედის და ამის მოლოდინში მათ ხშირად პურიც კი არ აქვთ ხოლმე. სასმელი წყლის მოსატანად ჯარისკაცები იძულებულნი არიან გარნიზონიდან რაზმებად გამოვიდნენ, რადგან ეში-

ნიათ, მეზობლად მცხოვრებმა ყაჩაღებმა არ დაატყვევეონ; ეს უკანასკნელნი მუდმივად არიან ჩასაფრებულნი და საკმაოდ ხშირად იტაცებენ მათ, ვინც საკვების მოსატანად გამოდის.

ზოგადად, დასახული მიზნის მისაღწევად – ანუ ამ ხალხების დასაშოშმინებლად და მათი პირადი საჭიროებების დაკმაყოფილების გზით ჩვენი დამოკიდებულების ქვეშ მათ მოსაქცევად საჭიროა მტკიცედ ვირწმუნოთ ერთი რამ: აუცილებელია, მათ გავუფანტოთ ჩვენი მხრიდან აგრესიის ყოველგვარი შიში; ამის მისაღწევად კი ერთადერთი საშუალებაა თავდაპირველად მათ სანაპიროზე მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო დანესებულებების დაფუძნება, შემდგომში კი, ვითომდა მეზობელთა თავდასხმებისაგან დასაცავად, ამ ადგილების გამაგრება. სოხუმ-კალე რომ ასეთი სახის სავაჭრო კანტორად იქცეს, საჭიროა ადგილობრივ მცხოვრებთა თანხმობა და თუკი ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება, სულაც არ იქნება აუცილებელი, ზუსტად იმ პუნქტში დამკვიდრება, სადაც ეს ციხე მდებარეობს; თურქები თვლიან, რომ მხოლოდ მათ აქვთ ამ ციხეზე კანონიერი უფლება. ყველაზე ძნელად გადასალახავი დაბრკოლება გახლავთ საფარ-ბეისთან და ჰასან-ბეისთან მოლაპარაკების წარმოება და შეთანხმების მიღწევა, თუმცა ამის დაძლევაც შესაძლებელია დიდი გარჯის გარეშე, თუკი მივმართავთ მარჯვე შუამავლებს ამ ტიპის ადამიანებთან მოსალაპარაკებლად და თუკი სამომავლოდ ჩვენივე გარანტიის უზრუნველსაყოფად შესაბამის ღონისძიებებს გავატარებთ. როდესაც მიზანს მივალწევთ, სულაც არ იქნება ძნელი ამავე პორტში ან უფრო ჩრდილოეთით დავაფუძნოთ საქონლის გაცვლის კანტორა, რომელსაც მოგვიანებით გამაგრებულ სამხედრო პუნქტად ვაქცევთ და რომელიც შესაბამის სამსახურს გაუწევს ნავიგაციას, რაც მთლიანად მოსპობს თურქებთან ყოველგვარ ურთიერთობას: ეს უკანასკნელნი ხომ რუსეთში იძენენ სასურსათო საქონლის გარკვეულ რაოდენობას და შემდგომ ამ მხარეში შემოაქვთ, ამიერიდან კი ველარ შეძლებენ ჩვენი კონკურენციის დაძლევას. მსგავსი საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი იქნება ასეთივე კანტორების დაფუძნება კოდორზე, სუბაშზე, ჩერქეზეთის სანაპიროს სხვადასხვა ადგილებში და ამგვარად, ჩვენს საზღვრებზე, რომელთაც ასე ხშირად აოხრებენ, სიმშვიდე დაისადგურებს, რითაც უსაფრთხოებით უზრუნველყოფთ ჩვენს გემებს, რომლებიც ამ სანაპიროებზე ეწევიან ნაოსნობას.

თურქეთს არასოდეს ჰქონია რაიმე სახის ძალაუფლება აფხაზებზე და თუკი იგი რაღაც გავლენის მოპოვებას ახერხებდა, ეს

მხოლოდ რუსეთთან ომების შედეგად ხდებოდა; თავი კი ისე მოჰქონდა, თითქოს აფხაზებს იცავდა რუსების შემოტევისაგან, რითაც მათში ნერგავდა გარკვეულ შიშს, რაც თავისთავად რაღაც სახით კიდევ დასტურდებოდა რუსების მიერ მეზობელი პროვინციების ოკუპირებით. თურქებისათვის ძალზე იოლი იყო და ახლაც იოლია ამ ხალხებში მათივე მეზობლების მიმართ სიძულვილისა და შუღლის გაღვივება; თვით პორტას პოლიტიკაშიც კი შედის მათ მიმართ ამ მეთოდების გამოყენება; ეს საზღვარი პორტასათვის მართლაც უდიდესი მნიშვნელობისაა, რადგან ამ უკანასკნელს ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე შეუძლია ომის დროს დაეუფლოს ჩვენი სამხედრო ძალების მნიშვნელოვან ნაწილს და ამ გზით გარანტირებულად იყოს დაცული ჩვენი დარტყმებისაგან.

პორტას პოზიცია ამ ხალხებთან მიმართებაში ჩვენთან შედარებით ბევრად უფრო მომგებიანია: მართალია, მის ყველა მოქმედებაში კარგად ჩანს, რომ მას ამ ხალხების დამორჩილების სურვილი ამოძრავებს, მაგრამ იგი მათ თვალში მაინც რუსეთის აგრესიისაგან მათი მფარველის როლს ინარჩუნებს; ავად თუ კარგად, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით, თურქებმა შეძლეს, ეიძულებინათ ისინი სტუმართმოყვარედ მიეღოთ და იმის გამო, რომ ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი აფხაზები თურქებზე არიან დამოკიდებულნი (რამდენადაც ამ უკანასკნელთაგან იღებენ პირველადი მოხმარების საგნებს), თურქები და მათი გემები აფხაზეთის სანაპიროზე უსაფრთხოების სრული გარანტიით სარგებლობენ. გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლებამ სხვა, უფრო ქმედით საშუალებებსაც მიმართა: საჩუქრების, განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატვისა და დაყვავების გზით მთავრებს ისლამი მიაღებინეს; წლის სხვადასხვა დროს ანაპასა და სხვა ადგილებში აქაური თავადები და ახალგაზრდობა იკრიბებოდნენ გასართობად და მარულასა და ჯირითს აწყობდნენ. ყველაზე მამაცსა და მარჯვე მხედრებს აქ ჯილდოებს გადასცემდნენ ხოლმე. ამგვარი ღონისძიებები ამ ხალხებს ძალიან მოსწონთ, რადგან ისინი მათ ზნე-ჩვეულებებს სრულად შეესაბამებიან, პორტას კი იგივე გასართობების მონყობა დიდად ეხმარება თავისი პოლიტიკის განხორციელებაში, ვინაიდან ეს ყველაფერი მას საშუალებას აძლევს შეფარვით თავს მოახვიოს ამ ხალხს ყველაფერი ის, რაც საჭიროა თურქეთის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად.

თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზები დიდად აფასებენ თურქებთან ურთიერთობას: ნებისმიერი სხვა ერის წარ-

მომადგენელი, რომელიც იგივე მეთოდს გამოიყენებს მათ მიმართ, უფრო მეტ სარგებელსაც კი მიიღებს. ვაჭრობა, რომელსაც აფხაზები ეწევიან თურქებთან, მათთვის ძალზე მძიმეა: თურქები სულაც არ არიან დაინტერესებულნი აფხაზური პროდუქციითა და საამშენებლო ხე-ტყით; ჩატანილი საქონლის სანაცვლოდ ისინი აფხაზებისაგან მხოლოდ ტყვეებსა და მათივე საკუთარ შვილებსაც კი ითხოვენ. რაოდენ ბარბაროსებიც არ უნდა იყვნენ აფხაზები, ბუნებას ყველგან აქვს თავისი სამართალი და ეჭვი არ არის, რომ ისინი ნებისმიერ დროს შეწყვეტენ ურთიერთობებს თურქებთან, როგორც კი დაინახავენ, რომ ნანადირევს, ხე-ტყისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სანაცვლოდ რუსეთი მათ იაფად მიანვდის მარილს, რკინას და ქსოვილებს ტანსაცმლისათვის, რაც ხელს შეუწყობს გაცვლა-გამოცვლას. თუკი ჩვენს სავაჭრო კანტორებში ან ციხესიმაგრეებში თურქების მსგავსად ვიმოქმედებთ, აქაური მთავრები და თავადები ისევე ადვილად გაქრისტიანდებიან, როგორც ადრე გამუსლიმდნენ; ეს რომ ნამდვილად ასე იქნება, ამას გვიდასტურებს ის გარემოება, რომ ჩერქეზი მთავრები, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმები არიან, ქრისტიანულ თავყრილობებს თავმჯდომარეობენ და თავიანთ საცხოვრებელშიც კი არ იცავენ ყურანის არც ერთ წესს: ამის თვითმხოლველი მე თვითონ არაერთხელ ვყოფილვარ.

ის, რაც მე ვიცი ამ ხალხების მებრძოლი ხასიათისა და მტაცებლური სულის შესახებ, საფუძველს მაძლევს ვამტკიცო, რომ მათ სანაპიროზე სხვადასხვა სამხედრო პუნქტების დაარსებისთანავე უნდა ჩამოვყალიბოთ ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეგვიწყობს, მოვიმადლიეროთ ისინი, ვაიძულოთ, რომ თავიანთი საჭიროებებისათვის მხოლოდ ჩვენ მოგვმართონ, გავუჩინოთ ახალ-ახალი მოთხოვნილებები და მივალდებინოთ ჩვენი წეს-ჩვეულებანი. სულაც არ არის ძნელი, დავიქვემდებაროთ ისინი ჩვენი დამოკიდებულების ქვეშ ვაჭრობის საქმეში და საერთო სარგებლიანობით (აგრეთვე – პირადი გამორჩენით იმათთვის, ვისაც გარკვეული გავლენა გააჩნია) მივალდებინოთ იმას, რომ მყარად დავმკვიდრდეთ მთელ სანაპიროზე; ეს გახლავთ ამ ხალხების შეკავებისა და ჩვენი საზღვრების დაცვის ერთადერთი საშუალება. სამწუხაროდ, რადგან არსებული სავაჭრო ფაქტორიები მთლიანად გასამხედროებული იყო, მათ განაგებდნენ მომსახურე პირები, რომელთაც ამ საქმეში არაფერი გაეგებოდათ. გარნიზონის ოაფიცრები, რომლებიც ამ ციხესიმაგრეში ხშირად სასჯელის მოსახდელად იგზავნებოდ-

ნენ, არ იყვნენ იმ კატეგორიის ადამიანები, ვისაც ადგილობრივ მოსახლეობასთან დაახლოება და მათი ნდობის მოპოვება შეეძლო.

მოლაპარაკების წარმოება აფხაზებთან ბევრად უფრო იოლი იქნება, ვიდრე ჩერქეზებთან, ვინაიდან აქ საქმე გვექნება მხოლოდ ორ მთავართან – საფარ-ბეისთან და ჰასან-ბეისთან, რომლებსაც აფხაზებზე დიდი გავლენა აქვთ; ხოლო ჩერქეზებს განსხვავებული ინტერესების მქონე უამრავი მთავარი ჰყავთ და მათ შორის არსებული საგვარეულო მტრობის ჩანშობა ძალზე ძნელია. ამის გამო მათ მიმართ სულ სხვა მეთოდის გამოყენება იქნება საჭირო: სანაპიროს უძლიერესი მთავრები და ტომთა უზუცესები უნდა დავიყოლიოთ, რომ იმ ადგილებში დამკვიდრდნენ, სადაც გაცივლითი ვაჭრობის სანარმოებელი ფაქტორიების დასაფუძნებლად და თურქების მაგალითისამებრ, — ხშირი და მრავალრიცხოვანი თავყრილობების მეშვეობით მეზობელ ხალხებთან დასაკავშირებლად ყველაზე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. მთავრები უკეთესს ვერაფერს ინატრებენ, რადგან ეს ვაჭრობა დიდ სარგებელს მოუტანს მათ, თანაც ძლიერ გავლენასაც მოიპოვებენ, რადგან შიდა მხარეების მოსახლეობა იძულებული იქნება მათგან შეიძინოს მისთვის საჭირო ყველანაირი სურსათი. **ამავე დროს, შესაძლებელია ამ ყველაფერმა მათ შორის რაღაც უთანხმოებაც ჩამოაგდოს, ეს კი მოგვცემს საბაზს იმისათვის, რომ ჩვენი სავაჭრო ფაქტორიები გამაგრებულ პუნქტებად ვაქციოთ, რათა ეს მთავრები მეზობელთა თავდასხმებისაგან დავიცვათ.** მაგალითად, ჩემ მიერ ფშადში დაფუძნებულ ამგვარ სავაჭრო კანტორებს ხშირად თავს დასხმიან შაფსულები; ამის გამო ინდარ-ოლლუს არაერთხელ მოუხდა მათთან შეტაკება და იგი სულაც არ იყო წინააღმდეგი, რომ იმ ადგილებისათვის, სადაც სანყობები იყო განთავსებული, თხრილები შემომეველო და იქ მეზარბაზნეები ჩამეყენებინა.

სწორედ ასე დამკვიდრდნენ XIV საუკუნეში გენუელები ამ ნაპირის მთელ გაყოლებაზე, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია მათი მრავალრიცხოვანი ციხესიმაგრეების ნანგრევები. გენუელები ამ ტომებს მათთან ვაჭრობისას მფარველებად მოეკლინენ და აქედან იღებს სათავეს ის პატივისცემა, რაც მათ ჯერ კიდევ შემორჩათ იტალიელი ერის მიმართ.

ამ ერთადერთი მეთოდით შეიძლება შავი ზღვის ეს სანაპირო მოკეთედ გაიხადო და ეს დამოკიდებულება თავს მოახვიო ამ ხალხებს; მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი გამყარდეს ამ უზარმაზარი სივრცის სხვადასხვა ადგილას განლაგებული,

ჩვენს მფლობელობაში მყოფი სამხედრო-სავაჭრო კანტორები. ასევე შესაძლებელი იქნება ქვეყნის შიდა ნაწილის გაცნობაც, რაც აუცილებლად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ გამოინახოს რა-ღაც საკომუნიკაციო ნერტილი კავკასიის უმაღლეს ხაზსა და შავ ზღვას შორის. მაგრამ საჭიროა სამხედრო და სავაჭრო ღონისძიებების ერთობლივად გატარება; დაბალი რანგის სამხედრო კომენდანტებს ერთ წუთში შეუძლიათ დაგვაკარგვინონ მრავალწლიანი გარჯის შედეგი.

სან-პეტერბურგი. 25 მაისი (6 ივნისი), 1820“.

როგორც ჩანს, სკასის პოზიცია (სავარაუდოდ, ნესელროდეს აქტიური მფარველობის შედეგად) უმაღლეს დონეზეც იქნა გათვალისწინებული, რასაც მოწმობს აქტებში დაცული 16 პუნქტიანი დოკუმენტი „Правила для торговых сношений с черкесами и абазинцами“, რომელიც 1821 წლის 10 ოქტომბრით არის დათარიღებული და ერთვის იმპერატორის პირადი ხელმოწერა: «Быть по сему. Александр». იგივე დოკუმენტი 1822 წ. 17 დეკემბერს კომისიის სხდომაზე იქნა წარდგენილი სანკტ-პეტერბურგში [3, 482-484]. აქვე მოცემული ჩინოვნიკთა საშტატო ერთეულები და სახელფასო ხარჯთაღრიცხვა («Штат для попечителя торговли с черкесами и абазинцами и чиновников, в его ведомстве состоящих»).

სკასის პიროვნებისადმი ერმოლოვის უარყოფით დამოკიდებულებას ადასტურებს ასევე აქტებში დაცული დოკუმენტი – ერმოლოვის მიმართვა ნესელროდესადმი [3, 485], სადაც იგი ღიად აფიქსირებს თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას სკასის საქმიანობისადმი და ასაბუთებს საკითხისადმი საკუთარ მიდგომას; კერძოდ, მისი აზრით, აფხაზეთში სახომალდო ხე-ტყით ვაჭრობის მონესრიგება ბევრად უფრო დიდ უპირატესობას მოუტანს იმპერიას, ვიდრე ქერჩში გახსნილ პორტში სკასის მიერ შემუშავებული სავაჭრო წესებით ხელმძღვანელობა. ერმოლოვი არ გამოირიცხავს, რომ ეს პროექტი მხოლოდ სკასისათვის სარგებლის მოტანას ემსახურება, იმ დროს როდესაც ამ უკანასკნელს საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენა აქვს ამ მხარეზე. რაც შეეხება აფხაზეთს, ერმოლოვი აქ სკასის მოღვაწეობას საერთოდაც დაუშვებლად მიიჩნევს («Абхазия состоит в подданстве России и там приличны деятельные меры правительства, а не ничтожные действия агентов Скасси»). აქვე ერმოლოვი ნესელროდეს შეახსენებს, რომ ჯერ კიდევ 1818 წლის 28 მაისს წარუდგინა იმპერატორ პატაკი აფხაზეთის ტყეების გა-

მოყენების თაობაზე, თუმცა შედეგს ვერ მიაღწია. ამავე პატაკში მას სკასიზეც ჰქონია საუბარი და აცხადებდა, რომ თავიდან ფიქრობდა, რომ ამ უკანასკნელს საჭირო კავშირები ჰქონდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებთან, მაგრამ მოგვიანებით აფხაზეთში მყოფი სკასის ნდობით აღჭურვილი პირისაგან – პოლ გიბალისაგან\* შეუტყვია, რომ ეს კავშირები ზოგადი ნაცნობობით შემოიფარგლებოდა, რაც ამ მხარეში ძალზე იოლი მოსაგვარებელია, მაგრამ არანაირად არ უზრუნველყოფს ვაჭრობის მოწესრიგებას. ამის დასტურია ისიც, რომ სკასის არასერიოზულობის გამო გიბალი სრულიად უსახსროდ დარჩენილა და თბილისში ჩამოსულა ერმოლოვთან, რომელიც მას სათანადო რაოდენობის თანხითაც დახმარებია. ამის შემდეგ კი გიბალი აფხაზეთში აღარ დაბრუნებულა.

დაბოლოს, ამავე მიმართვაში ერმოლოვი წერს, რომ თავის დროზე სკასიმ მას გააცნო თავისი პროექტი ქერჩი პორტის დაარსების თაობაზე, რა დროსაც ძალზე თავდაჯერებულად განუცხადებია, რომ სამინისტროში ამ პროექტს უეჭველად დაუჭერდნენ მხარს და ერმოლოვის პოზიციას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ექნებოდა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში რაფაელ სკასი უმაღლესი სამთავრობო წრეების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი იმპერიული მიზნების განსახორციელებლად აფხაზეთში რუსეთი ოსტატურად იყენებდა ყველანაირ, მათ შორის — რელიგიურ ფაქტორსაც კი. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც იგი კვლავინდებურად „ოსმალთა უღლის ქვეშ მგმინავი ქრისტიანების განმათავისუფლებლის“ როლში გვევლინება. სინამდვილეში მოსახლეობის გაქრისტიანებაზე მზრუნველი რუსეთის ხელისუფლების ესოდენ კეთილშობილური მიზნების უკან იმალებოდა მისი ძირითადი მიზანი, ანუ — მომავალში დასაპყრობად განწირული ქვეყნის მოსახლეობაში რუსული ენის გავრცელება და რუსეთის იმპერატორისადმი სიყვარულისა და ერთგულების დანერგვა. ამის თვალსაჩინო მაგალითია დეკანოზ იოანე იოსელიანის მოღვაწეობა, რომელიც სწორედ ამ მიზ-

---

\* პოლ გიბალი — ფრანგი მოგზაური და მეცნიერი. 1818-1819 წწ. იმყოფებოდა აფხაზეთში; 1821-22 წწ. მოგზაურობისას თარჯიმნობას უწევდა ჟაკ-ფრანსუა გამბას (იხ. ჟაკ-ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თარგმნა მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1987, გვ. 87).



ნით, თუმცაღა, შესაძლოა, თავისდა უნებურად, ბრმა იარაღად იქნა გამოყენებული. როგორც ირკვევა, ი.ოსელიანი სამეგრელოს სამთავრო კარის მოძღვარი ყოფილა და მის შესახებ გიორგი შერვაშიძე აღნიშნავდა, რომ „რუსებთან ადრე გაგზავნილი წერილები და „სათხოვარი პუნქტები“ მისი დაწერილია და იგი წრფელი გულით მირჩევდა, გავმხდარიყავი საიმპერატორო კარის ქვეშევრდომიო“ [4, 214]. რუსეთის იმპერიისადმი ერთგულებისა და პატივისცემის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ი. ოსელიანის წერილი გენ. ტორმასოვისადმი, სადაც იგი წერს: „საყოველთაო კეთილდღეობისათვის ვისურვებდი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის სამსახურის განევას და ამ მიზნით ვაპირებ გავემგზავრო აფხაზეთში და ქრისტიანულად მოვნათლო იქ მცხოვრები აფხაზი ავაზაკები, რომლებიც მთლიანად მოსწყდნენ ჩვენს ქრისტიანულ რწმენას და არაფრად აგდებენ მის კანონებს... ქრისტიანობასთან ზიარების შემდეგ უვიცობის წყვიდადმი ჩაფლულ ამ ხალხში ჩვენ შევიტანთ განათლებას და ჩავუნერგავთ იმპერატორის მიმართ ერთგულებას, ამის მეშვეობით კი მათ გულებში გაძლიერდება რუსული ენის შესწავლის და სხვა სასარგებლო ჩვევების ათვისების სურვილი. მე კი ვბედავ, დაუყოვნებლივ შევუდგე სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან და სასარგებლო საქმიანობას, რამეთუ ჩემი მეუღლე აფხაზეთის მთავრის ნათესავია, კარგად ფლობს აფხაზურ ენას და შეუძლია ზუსტად გადაუთარგმნოს მოსახლეობას ჩემი შეგონებანი... როდესაც თქვენი უმაღლესობის ბრძანებით აფხაზეთში რუსული ჯარი შემოვა, მე შევძლებ დაუყოვნებლივ ჩამოსვლას და შევუდგები ზემოაღნიშნული დაპირების შესრულებას, რითაც დავამტკიცებ ჩემს ერთგულქვეშევრდომულ დამოკიდებულებას იმპერატორისადმი, რომელიც ასე ზრუნავს თავისი ხალხის კეთილდღეობაზე“ [5, 415-416].

რუსული იმპერიული დიპლომატიის დახვეწილი მეთოდების თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება დასახელდეს პლ. ზუბოვის ნაშრომის ერთი მონაკვეთი, სადაც საუბარია კავკასიის მთიელთა უბრძოლველად დაპყრობა-დამორჩილების გზებზე, მათ შორის კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მართლმადიდებლური ეკლესიის ფაქტორს:

„კავკასიის ტომთა შორის ქრისტიანობის გავრცელება მით უფრო წარმატებულად შეიძლება განვახორციელოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათში ჯერ კიდევ შემორჩენილია ამ რწმენის კვალი: მაგალითად, აფხაზეთში ჩვენსავით აღნიშნავენ ქრისტიანობის

დღესასწაულს — 25 დეკემბერს; ყოველწლიურად 3 დღე ზეიმობენ აღდგომას და ჩვეულებრივ, წითლად ღებავენ კვერცხებს; ასევე ზეიმობენ წმ. სამების დღესასწაულს; უძველესი ეკლესიების ნანგრევებს დიდ სინმინდებებად მიიჩნევენ და აქ დადებული ფიციც ჭემმარიტ ძალას ინარჩუნებს. ამ ყველაფრიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მთიელთა დამორჩილება, მათთვის განათლებასა და საზოგადოებრივ-სამოქალაქო ცხოვრებასთან ზიარება, ანუ ველური და დაუმორჩილებელი ტომების რუსეთის ხელისუფლების მშვიდობიან ქვეშევრდომებად გადაქცევა შეიძლება შემდეგნაირად მოხერხდეს: თანდათანობით, მათთან სავაჭრო ურთიერთობების გაბმით უნდა გავუღვივოთ მიდრეკილება ფუფუნებისადმი და კარგი, კომფორტული ცხოვრებისადმი; შევუქმნათ ამგვარი მოთხოვნის აუცილებლობის შეგრძნება და თან — ქრისტიანობის ნათელით გავანათლოთ. ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძის სიტყვები მთიელებთან სავაჭრო ურთიერთობის მნიშვნელოვან როლზე..., რის მეშვეობითაც მათ მტაცებლურ ბუნებას გარდაქმნით“.

ამის მისაღწევად უახლოესი საშუალებაა სტავროპოლში, როგორც კავკასიის ოლქის მთავარ ქალაქში, — და ვლადიკავკაზში — მის ცენტრალურ პუნქტში, დავაარსოთ „მისიონერთა სამმო“, რომლის წევრებსაც უნდა შევასწავლოთ კავკასიელ ხალხთა ყველა ენა რუსეთის სამმართველო დაწესებულებებში თარჯიმნებად მომუშავე ადგილობრივ მცხოვრებთა მეშვეობით. ამის შემდეგ კი ეს მისიონერები უნდა მივავლინოთ მთიელებთან ქრისტიანული ჭემმარიტების საქადაგებლად, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ფარულად: მათ უნდა იმოქმედონ ვაჭრების სახელით, რადგანაც ამ ფენის წარმომადგენლები მთიელებში დიდი პატივით სარგებლობენ. ვაჭრებად გადაცმულმა მისიონერებმა თან უნდა იქონიონ ფუფუნების საგნები, რაც შეიძლება ბრჭყვიალა და თვალშისაცემი, რათა მთიელები ადვილად მოიხიბლონ მათი სილამაზითა და დიდებულებით. მთავრობის ხელშეწყობით ეს საქონელი უნდა გადაუცვალონ კავკასიის მოსახლეობას ადგილობრივ ნაწარმში და თან — შესთავაზონ ნამდვილ ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებ ფასად, — ასეთი ხერხით ისინი მთიელთა მეგობრულ კეთილგანწყობას მოიპოვებენ. მისიონერები ადგილობრივ მოსახლეობას შეასწავლიან ამ საგნების მოხმარების წესებს და ამავე დროს, ისარგებლებენ რა ენის ცოდნით, საუბრის დროს სასხვათაშორისოდ სიტყვას ჩამოუგდებენ რუსეთის მშვიდობისმოყვარე მოქალაქეების ბედნიერ და უზრუნველ

ცხოვრებაზე ჩვენი ბრძენი ხელმწიფის მმართველობის ქვეშ. მოუყვებიან იმის თაობაზე, თუ როგორ საიმედოდ არის დაცული კანონით კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, რა დიდებული და მშვენიერია რუსეთის ქალაქები და თან აგრძნობინებენ, რომ ამ ყველაფრის წყარო და საფუძველია ქრისტიანული რელიგია; მათი გონების ზედმეტად გადატვირთვის გარეშე, საჭიროა რამდენიმე სიტყვით, მაგრამ მკაფიოდ და დამაჯერებლად გააცნონ რწმენის არსი. ეს ჭეშმარიტებანი, რომლებიც მათ თითქოს შემთხვევით, მხოლოდ მეგობრული საუბრების სახით მიეწოდებათ, უთუოდ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენენ ფიცხი მთიელების აზროვნებაზე. თუმცა არ უნდა აგრძნობინონ, რომ ამ საუბრებს მოსამზადებელი ხასიათი აქვთ, რადგან მთიელები, თანდაყოლილი უნდობლობის გამო, მყისვე ეჭვს შეიტანენ. მთებში რამდენიმე ამგვარი მოგზაურობის შემდეგ მისიონერები ადგილობრივთა გულითად მეგობრებად იქცევიან და მჭიდროდ დაუახლოვდებიან მათ ისევ და ისევ „ვაჭრობის“ მეშვეობით. ამის შემდეგ უნდა დაველოდოთ, სანამ ისინი ბოლომდე მიენდობიან მისიონერებს, რაც უცილობლად მოხდება, რადგან მთიელები, შეადარებენ რა მათ იმ ნამდვილ მოვაჭრეებს, რომლებიც მართლაც ჩადიან ამ მხარეში, დაინახავენ ამ უკანასკნელთა სიხარბეს, ვერცხლისმოყვარეობას და გასაყიდი საქონლის უძვირეს ფასებს, აგრეთვე — გაიხსენებენ მისიონერთა თავაზიან ქცევას, მეგობრულ საუბრებს და მათთვის ესოდენ საჭირო საქონლის სიიაფეს, რა თქმა უნდა, უპირატესობას ამ უკანასკნელთ მიანიჭებენ. ამის შემდეგ კი, გაიხსენებენ რა საუბრებს რუსეთის მშვიდობიან მოქალაქეთა უზრუნველ ცხოვრებაზე, უმაღ ზიზღის გრძნობა გაუჩნდებათ საკუთარი მშფოთვარე, მოუსვენრი და ლატაკი ცხოვრების მიმართ და ალბათ, დახმარებას სთხოვენ თავიანთ მეგობარ-მისიონერებს; და აი, სწორედ ამ დროს ეს უკანასკნელნი „აუხსნიან“, რომ ამისათვის საჭიროა ხელმწიფე იმპერატორის მფარველობის მოპოვება და მყისვე შესთავაზებენ თავიანთ შუამდგომლობას ამ საქმეში.

ამგვარად შემზადებული მთიელები, თუკი ისინი ცხოვრობენ მთავარი სამიმოსვლო გზებიდან მოშორებით, შესაძლოა ადგილზევე დავტოვოთ და მთავრობის დახმარებით გამოვუყოთ თავდაპირველად საჭირო რაოდენობით საცხოვრებელი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყოველ მნიშვნელოვან სოფელში უნდა აშენდეს დიდებული ეკლესია. გარდა ამისა, ადგილობრივებს უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთი ახალი, აქამდე უცნობი

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი აულები რუსეთისათვის გაცილებით მყარი დასაყრდენი იქნება, ვიდრე ყველა სხვა პუნქტი, რომელსაც იარაღის ძალით დავიკავებთ“ [6, 83-85].

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია ნებისმიერი კომენტარი, რადგანაც პ. ზუბოვი ღიად და დაუფარავად აყალიბებს კავკასიის ხალხთა დასამორჩილებლად მის მიერვე შემუშავებულ ვერაგულ გეგმას, რომელიც ერთ შემთხვევაში ითვალისწინებს რელიგიური გრძნობებით თამამს, ხოლო ძირითადად კი ემყარება ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას იქ, სადაც სამხედრო ჩარევა დიდ, და ხშირად — უშედეგო მსხვერპლს მოითხოვს. სრულიად ნათელია ისიც, რომ რუსული იმპერიული პოლიტიკა დღესაც ძველებურად იყენებს მსგავს (და ალბათ კიდევ უფრო უზნეო) მეთოდებს საკუთარი მიზნების მისაღწევად.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Гарданов В. К., Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., Нальчик, 1974.

2. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. VI, ч. 1.

3. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. VI, ч. II.

4. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან — აფხაზეთი, თბილისი, 2007.

5. Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. IV; (Письмо протоиерея Иоанна Иоселиани к ген. Торماسову, от 23 декабря 1809 года).

6. Пл. Зубов, Картина Кавказского края, принадлежащего России и сопредельных ему земель, ч. 1, СПб, 1834.

**Lela Mikiashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University, Ivane Javakhishvili  
Institute of History and Ethnology,  
Senior Researcher of the Department of  
Modern and Contemporary History*

**The Economic Project Developed in Order to Subdue the  
Mountaineers of the Caucasus  
(According to the Materials of Rafael Skassi and Platon Zubov)**

**Summary**

Russian imperial diplomacy was undoubtedly characterized by high professionalism; in particular, their preliminary works aiming to study the character of local governance, the social and psychological portrait of the population, economy and culture etc., was optimally used to justify imperial aggressive policy and respectively, to neglect any claims from subordinated peoples.

The works of several Russian and foreign authors (or travellers) appeared to be the most firm basis for carrying out such a policy. Any kind of information in these works was successfully used to subdue voluntarily those peoples.

The works of Rafael de Skassi and Platon Zubov considered in this article could be attributed to such works. The authors give an open plan of subjection of the Caucasian peoples, which in some cases implies manipulating with religious feelings; however, mainly it considers application of economic levers, where military intervention often causes useless sacrifice.

## მზია ტყავაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

### ნოღაელთა მუჰაჯირობა (1858-1860 წლები)

ყირიმის ომის (1853-1856) შემდეგ დაიწყო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის მასიური გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში ე. წ. მუჰაჯირობა. არასრულყოფილი მონაცემებით, ამ პერიოდში (1858-1864წწ) სამშობლო ნახევარი მილიონიდან 900 ათასამდე ადამიანმა დატოვა. რუსეთის ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, ამ პროცესისთვის ორგანიზებული ხასიათი მიეცა, გადასახლება კავკასიელთათვის ტრაგიკულად წარიმართა — მათი უმეტესობა გემების მოლოდინში და მგზავრობისას დაიღუპა. მიგრანტთა დიდი რაოდენობის გამო ოსმალეთის მესვეურებმა მუჰაჯირთა დროული დაბინავება ვერ მოახერხეს, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვა [3, 208-209; 8, 192-193].

ოფიციალური წყაროების ცნობებით, 1859-1869 წლებში ოსმალეთში გადასახლებულ მილიონამდე კავკასიელს შორის 70 000 ნოღაელი იყო.

აკადემიკოს ადოლფ ბერჟეს ცნობით, XVIII საუკუნის დასაწყისში ნოღაელები კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდინარეების: ტობოლსა და იაიკს შორის არსებულ სტეპში, მდინარე ირტიშის მარცხენა ნაპირზე მომთაბარებოდნენ. ისინი ყალმუხებმა შეავიწროვეს და იძულებულნი გახდნენ დასავლეთით, ასტრახანს მიმართულებით წასულიყვნენ. აქედან პეტრე I-მა მათი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარეებზე ყუბანსა და კუმაზე გადაასახლა, სადაც თურქეთის მფარველობაში შევიდნენ. 1770 წელს ნოღაელები მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირზე, სტანიცა ბატალფაშინსკიდან ლაბის შესართავამდე, ასევე, ყუბანის მარჯვენა სანაპიროზე, ე. წ. თოხთამიშის აულებში და ბემთაუს მთასთან, პიატიგორსკის სიახლოვეს დასახლდნენ [1, 5-6]. ნოღაელთა ნაწილი XIX საუკუნის დასაწყისში ყიზლართან, სტავროპოლის გუბერნიის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა.

საქართველოს მთავარმართებლის გრაფ გუდოვიჩის (1806-1809) დახასიათებით, „ნოღაელები საკმაოდ შრომისმოყვარენი იყვნენ. ძირითადად თესდნენ თავიანთვის საკმარისი რაოდენობის ფეტვს, რაც შეადგენდა კიდეც მათ ერთადერთ საკვებს; ასევე, ამზადებდნენ საქონლისთვის დიდი რაოდენობით თივას ზამთრისთვის; თავისუფალ დროს კი მეზობელ სოფლებში რუს გლეხებთან და კავკასიის ხაზის სტანიცებში კაზაკებთან ქირით მუშაობდნენ“ [5, 687].

XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ნოღაელები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სტავროპოლის გუბერნიის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სახაზინო და კერძო საქონლის გადაზიდვას, მესაქონლეობას, მიწის დამუშავებას თითქმის მთლიანად ნოღაელები აწარმოებდნენ [6, 476].

ყირიმის ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის კოლონიზაცია გააძლიერა. კავკასიაში სულ უფრო იზრდებოდა რუსი მოსახლეობის რაოდენობა და სამხრეთით ინაცვლებდა სტანიცების რკალი. ყუბანელ ნოღაელთა მიწების ნაწილი კაზაკთა სტანიცებისა და რუსეთის არმიის საკუთრებაში გადავიდა. ნოღაელები საომარი მოქმედების წინა ხაზზე აღმოჩნდნენ. ყოველივე ამან ისინი მეტად შეავინროვა. კავკასიის მცხოვრებთაგან სწორედ ყუბანელი ნოღაელები იყვნენ პირველნი, ვინც ოსმალეთში გადასახლდნენ [6, 51].

ერთ-ერთი რუსი მაღალჩინოსანი წერდა: „მდინარე ყუბანის გაღმა მცხოვრებმა მთიელებმა ვერ შეძლეს ჩვენს ძლიერ რაზმებს დაპირისპირებოდნენ, თუმცა ისევ მტკიცედ იდგნენ თავიანთ განადგურებულ ქვეყანაში; მხოლოდ მდინარეების: ყუბანსა და ლაბას შორის მცხოვრებმა ნოღაელებმა ველარ შეძლეს თავიანთ სამკვიდროზე დარჩენა და, არ სურდათ რა რუსეთის ქვემეგრდომობაში ყოფნა, უკლებლად ყველა წავიდა თურქეთში“ (1857 წელს) [2, 298].

მაღე მათ სტავროპოლის გუბერნიაში მცხოვრები კალაუსოსაბლინის და ედისანის საპრისტავოს ნოღაელები შეუერთდნენ. ისინი მუჰამედის საფლავის მოლოცვას იმიზეზებდნენ და სტავროპოლის გუბერნიის ადმინისტრაციას მექაში წასასვლელად საზღვარგარეთის პასპორტებს სთხოვდნენ (1859 წლის მაისი). კავკასიის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ მოსახლეობას სინამდვილეში ოსმალეთში მუდმივ საცხოვრებლად დარჩენა სურდა [6, 471].

სტავროპოლის გუბერნიის მმართველმა მიმართა კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას, რომ ამ ხალხისთვის მიეცათ წასვლის უფლება. აღნიშნული მოხელე აღნიშნავდა, რომ ეს სასარგებლო იქნებოდა რუსეთის დამკვიდრებისთვის კავკასიაში, რადგანაც ამ ხალხის კუთვნილი მიწა წარმოადგენდა სტავროპოლის გუბერნიის საკვანძო ადგილს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა გუბერნიის ცალკეულ მხარეებს. გარდა ამისა, აღნიშნული ხალხი რუსეთის მიმართ მტრულ მოქმედებებშიც იყო შემჩნეული — ისინი თავშესაფარს აძლევდნენ ყაზარდოელებს, რომლებიც რუსეთის ჯარის ნაწილებზე ახორციელებდნენ თავდასხმებს. ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ტერიტორიაზე რუსი ეროვნების მოსახლეობის დასახლება [6, 471].

სტავროპოლის გუბერნიის უფროსმა ის წესებიც შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო კალაუსო-საბლინის და ბეშთაუ-კუმის ნოღაელების გამგზავრება: რუსეთიდან გაშვებულთა ყოველწლიური რაოდენობა წინასწარ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული; ოჯახებს არ ჰქონდათ თავიანთი ყმების ძალით წაყვანის უფლება; ყოველი გამგზავრებისას უნდა შედგენილიყო სახელობითი სია; საზღვარგარეთის პასპორტი უნდა გაცემულიყო ყველა სრულწლოვანზე ცალ-ცალკე; ყველა მუჰაჯირი ვალდებული იყო საზღვარგარეთ წასვლამდე მომდევნო სამი წლის გადასახადები გადაეხადა; ყმებს ეკრძალებოდათ პატრონის თანხმობის გარეშე წასვლა [6, 471].

კალაუსო-ედისანის და ედიშკულის ნოღაელებს კი, რომლებიც უკვე მკვიდრად ცხოვრობდნენ და საკუთარი მეურნეობაც ჰქონდათ, „უფრო მეტი მოთმინება უნდა გამოეჩინათ“ და მექაში წასვლის დროს იმ კანონების მიხედვით ემოქმედათ, რომლითაც სარგებლობდნენ სტავროპოლის ოლქის სხვა მცხოვრებლები [6, 471].

კავკასიის მეფისნაცვლმა ალ. ბარიატინსკიმ გადასახლების მსურველთათვის შეიმუშავა შემდეგი წესები: ა) რუსული კანონებით, თურქეთში გადასახლება აკრძალული იყო, ამიტომ ასეთი თხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა. მთხოვნელებს კი როგორც მოლატეებს, ისე მოექცეოდნენ: დააპატიმრებდნენ, მოახდენდნენ მათი ქონების კონფისკაციას და გაანთავისუფლებდნენ მათ ყმებს; ბ) საზღვარგარეთ ყოფნის ყველაზე ხანგრძლივ ვადად დაწესდა ერთი წელი; გ) საზღვარგარეთ მყოფებს, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით ერთ წელზე მეტი ხნით დარჩენის შემთხვევაში, რუსეთის



საკონსულოსთვის ვადის გაგრძელების უფლება უნდა ეთხოვათ; დ) ვადის გადამეტებით უნებართვოდ დარჩენილებს უნდა მოქცეოდნენ, როგორც თურქეთში თვითნებურად გადასახლებულებს; ე) თურქეთში წასვლის წინ ყველას უნდა მოეგვარებინა სისხლის სამართლის საქმეები; ვ) წამსვლელებს უფლება ეძლეოდათ, თან წაეყვანათ ოჯახი და ის ყმები, რომლებსაც ამის სურვილი ექნებოდათ; სამშობლოში დარჩენილი ყმების გაყიდვის უფლება პატრონს არ ჰქონდა; ზ) რუსი მოხელეები არ უნდა შეწინააღმდეგებოდნენ, თუ პატრონი წასვლის წინ საკუთარი ქონების გაყიდვას მოისურვებდა; თ) გადასახლებაში წამსვლელებს უფლება ჰქონდათ გაეყიდათ ვალებისგან და ძიებისგან თავისუფალი ქონება, რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არ უნდა დაეწყოთ იმის გარკვევა, თუ რატომ ყიდდა თავის საკუთრებას; ამ საკითხზე არ უნდა ყოფილიყო მიღებული დასმენებიც [6, 473].

კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთის უფროსმა გენ ლეიტენანტმა ფილიპსონმა მუჰამედის საფლავის მოსალოცად წამსვლელებისთვის შემდეგი სახის ბრძანება გასცა:

1) იკრძალებოდა ერთ ჯერზე 10 ოჯახზე მეტის წასვლა;

ა) მუჰაჯირები საზღვარგარეთის პასპორტს მიიღებდნენ იქ, საიდანაც მოისურვებდნენ გამგზავრებას: ქალაქ ქერჩის, ანაპის სამხედრო უფროსების ან სოხუმის კომენდანტისგან; 2) უახლოეს რუსულ პორტამდე მათ მისცემდნენ განსაკუთრებულ პასპორტს; 3) საზღვარგარეთის პასპორტს ისინი მიიღებდნენ ტრაპეზუნტამდე ან კონსტანტინეპოლამდე, შემდგომ აქ რუსულ საკონსულოსა და მისიაში მათ მისცემდნენ ახალ პასპორტებს; 4) იმ პირებს, რომლებსაც ხაზინიდან ეძლეოდათ დახმარება, წასვლის დღიდან შეუწყდებოდათ მისი მიცემა.

2) ყოველი მომდევნო პარტია, 10 ოჯახის შემადგენლობით, გაემგზავრებოდა 7 დღის შემდეგ;

3) თვითოეულ ნოლაველს წასვლის წინ ხელი უნდა მოეწერა შემდეგ პუნქტებზე:

ა) არ უნდა ჰქონოდათ სახელმწიფოს მხრიდან ფულადი დახმარების იმედი როგორი დიდიც არ უნდა ყოფილიყო მგზავრობის ან საკუთარი თავის შესანახი ხარჯები; ბ) გარდა ანაპის, სოხუმ-კალეს და ქერჩის პორტებისა არ ჰქონდათ სხვა პორტიდან გამგზავრების უფლება; გ) საზღვაო გზით გამგზავრებისას უნდა ესარგებლად მხოლოდ ნებადართული გემებით; თუკი მათ აღმოა-

ჩენდნენ თურქულ კონტრაბანულ კოჩერმებზე, როგორც მოღალატეებს ისე გაასამართლებდნენ [6, 473].

მუსლიმი ხალხის მთავარმა პრისტავმა ივანოვმა მოიწონა პუნქტები და აღნიშნა, რომ ნოღაელი სასულიერო პირების და მურზების თხოვნას წასვლაზე არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა, რადგანაც ამ კლასების შემცირება სასარგებლო იყო რუსეთის ინტერესებისთვის კავკასიაში. მას მხოლოდ ერთი დამატება ჰქონდა, რომ მუჰაჯირთა წინა პარტიას, რომელშიც 15 ოჯახზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, არსად არ დაეცადა მომდევნო პარტიისთვის [6, 473].

ნოღაელების მუჰაჯირობაში წასვლას ართულებდა გადასახადების საკითხი. რუსეთის ხელისუფლება ამ საკითხში დათმობაზე წავიდა და გადანყვიტა, რომ მათ წასვლის წინ მხოლოდ ერთი წლის გადასახადები გადაეხადათ [6, 474].

1859 წელს ქალაქ პიატიგორსკში ყოფნის დროს კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ სტავროპოლის სამოქალაქო გუბერნატორ ვოლოცკოვს განუცხადა, რომ „არ შეეჩერებინათ მუსლიმები და მათთვის მიეცათ სამშობლოდან წასვლის უფლება“ [6, 474].

სტავროპოლის სამოქალაქო გუბერნატორი 1859 წლის 18 ივლისს წერდა კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოს უფროს კრუზენშტენს, რომ „დიდი რაოდენობით მუსლიმი მოსახლეობის ქვეყნიდან გაშვებაში იგი ვერ ხედავდა ვერაფერ ცუდს; უფრო მეტიც, იგი იზიარებდა აზრს იმის შესახებ, რომ „ნაკლებ მწარმოებელი და რუსეთის ხელისუფლების მიმართ არაკეთილგანწყობილი ხალხის: კალაუსო-საბლინელ და ბემთაუ-კუმელ ნოღაელთა წასვლა სასარგებლო იყო“ [6, 474].

1859 წლის აგვისტო-სექტემბერში კალაუსო-საბლინელი, ბემთაუ-კუმელი, ედისანელი და კალაუსო-ჯემბულუკოველი ნოღაელების 2000 ოჯახი ოსმალეთში გაემგზავრა. დარჩენილები სამშობლოს დატოვებას აღარ აპირებდნენ. ამან რუსეთის ხელისუფლება შეამფოთა [6, 476].

სტავროპოლის გუბერნატორმა ამის შესახებ კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მისწერა წერილი, რომელშიც წერდა, რომ, მართალია, ნოღაელთა აღნიშნული საზოგადოებებიდან 2000 ოჯახი უკვე გაემგზავრა მუჰამედის საფლავის მოსალოცად, მაგრამ დანარჩენებს წასვლის სურვილი გაუნელდათ. ბრიანჩანი-ნოვის აზრით, საჭირო იყო აღნიშნული ხალხი მშობლიური ადგი-

ლებიდან აყარათ და დიდ, 300 კომლიან აულებად დაესახლებინათ ყალმუხეთის სტეპში, მდინარეების: დიდი კუგულტისა და კომულას მიდამოებში, უფრო ზუსტად კი იმ მიწებზე, რომელიც იმჟამად ყიზლარელებს ეკავათ — მდინარე კალაუსის მარჯვენა ნაპირსა და მდინარე კაკ-აიგურის მარცხენა ნაპირზე, მხოლოდ იმ მიწების გამოკლებით, რომლებიც განკუთვნილი იყო სტანიცებისთვის და რომელზედაც რუსი მოსახლეობის დასახლება უკვე მიმდინარეობდა; მომხდარიყო მათი სულადობრივი აღწერა; თვითოეულ სულზე კი გამოყოფილიყო 15 დესეტინა მიწის ნაკვეთი. მათ უნდა შეესრულებინათ ყველა ვალებულება და გადაეხადათ გადასახადები, რასაც ხელისუფლება დაუნესებდათ. იმის გამო, რომ ხალხში მღელვარება არ დაწყებულიყო, ყოველივე ეს მათთვის უნდა განეცხადებინათ როგორც რუსეთის ხელისუფლების მიერ გაღებული განსაკუთრებული გულმონყალება თურქეთში მათი გადასახლების სანაცვლოდ (რაც მათ უკვე ითხოვეს და რუსეთის ხელისუფლებას მოუწია აღნიშნული გადანყვეტილების შეცვლა) [6, 476].

სტავროპოლის გუბერნატორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამაზე ნოღაელები არ დათანხმდებოდნენ და უკლებლივ ოსმალეთში გაემგზავრებოდნენ [6, 476].

1859 წლის ოქტომბერში სტავროპოლის სამოქალაქო გუბერნატორმა ბრიანჩანინოვმა უბრძანა კავკასიის მუსლიმი ხალხის მთავარ პრისტავ ივანოვს, რომ მთლიანად გაენთავისუფლებინა ტერიტორია, რომელზედაც კალაუსო-საბლინელები, ბეშთაუ-კუმელები, ედისანელები და კალაუსო-ჯემბულუკოველები ცხოვრობდნენ, რათა მასზე რუსი მიწათმოქმედი ხალხი დაესახლებინათ [6, 475].

რუსეთის ხელისუფლებამ აღნიშნული ხალხი მართლაც გადაასახლა ყალმუხეთის სტეპში. მათი უმეტესობა კი ოსმალეთის გზას გაუდგა.

რუსეთის სამხედრო მინისტრი გენ. ადიუტანტი მილიუტინი 1862 წელს წერდა, რომ „კალაუსო-საბლინელი და ბეშთაუ-კუმელი ნოღაელების ოსმალეთში წასვლის შემდეგ სტავროპოლის გუბერნიაში გამოთავისუფლდა 409 638 დესეტინა მიწა“ [6, 983].

ი. ბენტკოვსკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, მუჰამედის საფლავის მოლოცვის საბაბით 1859 წელს ოსმალეთში გადასახლდა კალაუსო-საბლინისა და ბეშთა-კუმის საპრისტავოებიდან — 8046 (დარჩა 9428), კალაუსო-ჯემბულუკოვიდან კი 2067 ადამი-

ანი (დარჩა — 18586) [4, 93]. ნოღაელთა ოსმალეთში გადასახლება მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.

ოსმალეთიდან ნოღაელთა მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა. 1862 წლის სექტემბერში ყუბანის ჯარების უფროსი, გენ. ადიუტანტი ევდოკიმოვი წერდა: „1858, 1859, 1860, 1861 წლების განმავლობაში სამშობლოში მუჰაჯირთა უმნიშვნელო რაოდენობა დაბრუნდა — ძირითადად, ათასამდე ნოღაელი; მათმა მოსვლამ ამ მხარეს სარგებელი უფრო მოუტანა, ვიდრე ზიანი, რადგანაც ისინი შეუერთდნენ სახელმწიფო გლეხთა კატეგორიას და აღარ წარმოადგენენ „ინოროდცებს“ [6, 1009].

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Этнографическое обозрение Кавказа, составил А. П. Берже, С.-Петербург, 1879.

2. Берже А. П., Выселение горцев с Кавказа, Русская Старина, 1882, январь.

3. История народов Северного Кавказа (конец XVIII в. -1917 г.), ред. А. Нарочницкий, Москва, 1988.

4. Бентковский И. В., Историко-статистическое обозрение инородцев-магометан, Ставрополь, 1883.

5. Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, III, Тифлис, 1869.

6. Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, XII, Тифлис, 1904.

7. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, II, რედ. ზ. ანჩაბაძე, თბილისი, 1969.

8. მ. ტყავაშვილი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა მიგრაცია თურქეთში XIX საუკუნის 60-იან წლებში და გრიგოლ ორბელიანი, კრებულში: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, 2008.

**Mzia Tkavashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University, Research Worker of the Department of Modern and Contemporary History of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

### **Noghayans' Resettlement (1858-1860)**

#### **Summary**

On the finishing stage of the Caucasian war the greatest part of the North Caucasians left their homeland and settled to the Ottoman empire. Among them one of the firsts were Noghayans. Part of them (Kalausosablin, Beshtau-Kum, Kalausosablin and Edushkul Noghayans) were residing at main location of Stavropol province (near Pyatigorsk) and were rebellious towards the Russia authorities. The Caucasian administration was interested in settling of Russian population to these places who were devoted to the State authorities, that's why they were trying their best to resettle them to Ottoman Empire. Special rules were established for settlers. In 1859 two thousand families of Noghayans moved from Stavropol province to Ottoman empire. The rest of them were going to stay in their homeland. The Russian government did not let them stay in their homes and began their resettlement to the Kalmyk steppe. Noghayans resettlement continued in further years and after they left, 409 638 dessiatina land became free at Pyatigorsk. In 1858-1862 only 2000 Noghayans came back from the Ottoman empire, though they turned into the category of the governmental peasants and represented no danger for Russia empire.

**Пшемыслав Адамчевски  
Екатерина Кузавлева-Адамчевска**

**Завещание Витольда Згленицкого для Кассы им.  
Иосифа Мянковского**

В середине девятнадцатого века, под влиянием позитивистской идеи, в Польше стали распространяться программы, нацеленные на популяризацию научных достижений. Учреждения, создаваемые для этой цели, начали появляться на землях, захваченных тремя аннексионистами<sup>1</sup>, однако условия для их образования не везде были одинаковы. Сложная ситуация была на территории, которая была включена в состав Российской империи. Там величайшие достижения в области распространения научных знаний имела появившаяся в 1881 году Касса им. Мянковского, хотя она не была создана только с этой целью. По замыслу активность в этой сфере должна была проявить побочная деятельность Кассы, так как учреждение занималось в основном финансированием научно-исследовательских проектов и предоставлением пособий для людей науки [1, 7].

Идея создания организации, поддерживающей польскую науку, возникла в 1879 году. В том году умер Иосиф Мянковский, ректор Варшавской главной школы, которая была закрыта царской администрацией в 1869 году. Группа профессоров и бывших студентов ВУЗа начали обсуждение защиты национальной научной жизни на территории, вошедшей в состав Российской империи. Чтобы придать дискуссии институциональную основу, было решено создать фонд имени покойного ректора, и таким образом возникла „Касса помощи людям, работающим в сфере науки им. доктора мед. Иосифа Мянковского". Однако возникли проблемы с ее регистрацией, она была проведена спустя два года. Царские власти ввели много ограничений; фонд принял характер благотворительной организации, что продолжалось до 1917 года [2, 5]. Главой фонда стал польский врач, профессор патологии, Тытус Халубиньски.

---

<sup>1</sup> Имеется в виду неоднократный раздел Польши тремя империями: Австро-Венгрией, Германией и Россией.

Согласно первому уставу Касса могла работать только на землях, принадлежащих России. Помощь не могла быть оказана иностранным гражданам, а также подданным царя, находящимся за границей без разрешения властей [3, 239]. Характер Кассы определялся циркуляром Министерства народного просвещения, изданным в 1878 г. Он позволял создавать организации, направленные на оказание финансовой помощи учащимся [4,10-11]. По этой причине Касса не имела возможности инициировать исследования, а только поддерживала уже начатые. Самым большим успехом при принятии устава стало то, что Касса могла помогать не только людям, связанным с Главной школой, а всем «работающим в области науки».

Созданная Касса им. Мяновского была публичным учреждением, которое должно было осуществлять функцию мецената. Она располагала начальным капиталом в размере более 6 тысяч рублей, собранным членами-учредителями и почетными членами [5, 108]. Он был использован для финансирования трех основных областей. Первой являлось финансирование научных исследований. Здесь признавалась финансовая помощь для учебы в зарубежных научных центрах и для проведения научных исследований в родной стране. В меньшей степени субсидировались научные экспедиции. Второй сферой являлась помощь ученым, находящимся в сложном финансовом положении, а третьей — поддержка научных публикаций [6, 108-113]. Последние, хотя и имели невысокие цены, не находили покупателей. Это указывало на отсутствие спроса на инициативы, способствующие распространению науки в обществе [1, 39]. Отсутствие новых публикаций было причиной того, что взгляды, сформированные двадцать или даже тридцать лет назад, считались польской наукой современными. Однажды изданный учебник, даже всего в тысячу экземпляров, служил нескольким поколениям учащихся [7, 24].

Несмотря на сложный рынок, именно издательская деятельность приносила Кассе значительную популярность в обществе. Хотя через год после ее образования один из членов — Генрик Сенкевич - писал, что трудно было привлечь бывших учащихся Главной школы и более широкие социальные круги присоединиться к новой организации [8, 82]. К счастью, она быстро завоевала доверие населения, что привело к увеличению числа членов фонда. Главным

доходом Кассы были взносы членов, прежде всего дары и завещания тех, кто хотел передать свое имущество для развития польской науки. Пожертвования текли не только из страны, но и от эмигрантов, живущих в Европе и Америке, даже от ссыльных, находящихся в далекой Сибири [2, 8]. Таким образом, после первого года существования, капитал Кассы увеличился на более чем 25 тысяч рублей, в то время как количество членов было 635 [9, 10].

Несмотря на то, что вероятно, уже никогда, завещание Згленицкого не будет служить развитию и популяризации науки, необходимо помнить заслуги инженера, одного из самых известных нефтяников своего времени. Именно он был пионером добычи нефти со дна моря без предварительного засыпания залива. До настоящего времени в Азербайджане, как и в Польше, вышла только одна биография Згленицкого. В Баку исследованием работ инженера занимался, главным образом, Зия Бурят Заде, работник Азербайджанской Академии Наук [50, 34-35]. Кроме этого, польский ученый занял свое почетное место в музее Истории Азербайджана. Из польских авторов следует отметить, прежде всего, Анджея Ходубского, который написал несколько статей о Згленицком. О нем также был снят фильм „Kaukaski źyciorys“ под редакцией Рышарда Бадовского. Память об инженере чтят также в Плоцке, где находится штаб-квартира самого большого польского нефтяного концерна Orlen. Дорога, ведущая к нефте-переработочному заводу, носит имя Витольда Згленицкого, а его памятник стоит перед зданием дирекции.

#### **Указанные источники и литература:**

1. L. Zasztowt, *Popularyzacja nauki w Królestwie Polskim 1864-1905*, Wrocław-Warszawa-Kraków, 1989.
2. *Kasa imienia Mianowskiego Instytut popierania nauki – dzieje, zadania, organizacja 1881-1929*, Warszawa, 1929.
3. *Sprawozdanie z działu naukowego biura Kasy Mianowskiego* [в:] *Nauka Polska. Jej potrzeby, organizacja i rozwój*, Warszawa, 1920.
4. Z. Szweykowski, *Historja Kasy im. Mianowskiego* [в:] *Nauka Polska. Jej potrzeby, organizacja i rozwój*, Warszawa, 1932.
5. L. Zasztowt: *Kasa Mianowskiego 1881-2011*, Warszawa, 2011.
6. J. Pisurewicz: *Warszawskie instytucje społecznego mecenatu nauki w latach 1869 – 1906. Muzeum Przemysłu i Rolnictwa i Kasa imienia Mianowskiego*. Wrocław-Warszawa-Kraków 1990, Wydawnictwo PAN.
7. *Z naszych stosunków*, „Wszechświat“, 1889, №. 2.
8. A. Chodubski, *Witold Zglenski - Polski Nobel*, Płock 1984.

9. *Kasa imienia Józefa Mianowskiego Fundacja Popierania Nauk*, Warszawa, 1992.

10. *Przegląd materiałów do historii Kasy [B:] Nauka Polska. Jej potrzeby, organizacja i rozwój*, Warszawa, 1921.

11. *Pamiętnik obchodów 130-lecia powstania i 20-lecia odrodzenia Kasy im. Józefa Mianowskiego – Fundacji Popierania Nauk*, Warszawa, 2012.

12. A. Liebfeld, *Działalność inżyniera Witolda Zglenickiego w Baku w latach 1890-1904 i jego zapis testamentary dla Kasy im. Mianowskiego*, „Kwartalnik Historii Nauki i Techniki”, 1977, № 2.

13. Z. Ali oglu Buriat-Zade, *Witold Zglenicki a problem wydobycia ropy naftowej z dna morskiego*, „Notatki Płockie”, 1978, № 4.

14. K. Trębski, *Polska Roponośna*, „Wprost”, 2005, № 51/52.

15. B. Kortus, *Kompleks naftowy Apszeronu*, „Przegląd Geograficzny”, 1963, t. XXXV, ч. 4.

16. A. Chodubski, *Testament inżyniera górniko-geologa Witolda Zglenickiego (1850-1904)*, „Teki archiwalne”, Warszawa, 1992.

17. A. Chodubski, *Paweł Potocki (1879 – 1932) – pionier eksploatacji ropy naftowej spod dna morskiego*, „Kwartalnik Historii Nauki i Techniki”, 1988, № 4.

18. A. Szczypiorki, *Bajeczna opowieść o złocie i miłości*, „Polityka”, 1969, № 27 (644).

19. J. Chojnicki, *O utrwalenie pamięci wybitnego Polaka inżyniera górniko-geologa Witolda Zglenickiego*, „Notatki Płockie”, 1978, № 4.

20. T. Zglenicki, *Polski Nobel [B:] Księga pamiątkowa Małachowiaków*, Płock 1959.

21. *Sprawozdanie XXIII z działalności Kasy pomocy dla osób pracujących na polu naukowym im. dr. J. Mianowskiego za 1904 r.*, Warszawa, 1905.

22. *Fundacja i fundusze Nagrody Nobla*, [www.mt.com.pl/fundusze-nagrody-nobla](http://www.mt.com.pl/fundusze-nagrody-nobla) (dostęp od 20.02.2013).

23. A. Chodubski, *Inteligencja polska w Azerbejdżanie w końcu XIX i na początku XX w.*, „Przegląd Polonijny”, Год IX, 1983, т. 1 (27).

24. *Sprawozdanie XXIV... za 1905 r.*, Warszawa, 1906.

25. *Sprawozdanie XXV... za 1906 r.*, Warszawa, 1907.

26. *Sprawozdanie XXVII... za 1908 r.*, Warszawa, 1909.

27. *Sprawozdanie XXIX... za 1910 r.* Warszawa, 1911.

28. *Sprawozdanie XXX... za 1911 r.* Warszawa, 1912.

29. *Sprawozdanie XXXI... za 1912 r.* Warszawa, 1913.
30. *Sprawozdanie XXXII... za 1913 r.*, Warszawa, 1914.
31. *prawozdanie XLVII... za 1928 r.*, Warszawa, 1929.
32. *Sprawozdanie XXXIII... za 1914 r.*, Warszawa, 1915.
33. *Sprawozdanie XXXIV... za 1915 r.*, Warszawa, 1916.
34. *Sprawozdanie XXXV... za 1916 r.*, Warszawa, 1917.
35. *Sprawozdanie XXXVI... za 1917 r.*, Warszawa, 1918.
36. *Sprawozdanie XXXVII... za 1918 r.*, Warszawa, 1919.
37. *Sprawozdanie XXXVIII... za 1919 r.*, Warszawa, 1920.
38. *Sprawozdanie XLI... za 1922 .*, Warszawa, 1923.
39. „Monitor Polski“, 10.09.1923, № 204.
40. „Monitor Polski“, 19.12.1923, № 288.
41. *Sprawozdanie XLVII... za 1928 r.*, Warszawa, 1929.
42. *Sprawozdanie LV... za 1936 r.*, Warszawa, 1937.
43. *Pomoce udzielane przez Kasę im. Mianowskiego w różnych działach wiedzy. 1881/2-1918*, [w:] *Nauka Polska. Jej potrzeby, organizacja i rozwój*, Warszawa, 1919.
44. . Czekanowski, *Byt materialny nauki*, [w:] *Nauka Polska. Jej potrzeby, organizacja i rozwój*, Warszawa, 1920.
45. *Udział rządu polskiego w popieraniu nauki*, [w:] *Nauka Polska. Jej potrzeby, organizacja i rozwój*, Warszawa, 1919.
46. *Sprawozdanie LI... za 1932 r.* Warszawa, 1933.
47. K. Trębski, *Polska Roponośna*, „Wprost“, 2005, № 51/52.
48. *Sprawozdanie z działalności Kasy imienia Józefa Mianowskiego w roku 1998*, [w:] *Nauka Polska. Jej potrzeby, organizacja i rozwój*, nr VIII (XXXIII).
49. М. Ф. Мир-Бабаев: *Бакинская нефть и Поттильды*, [www.oil-industry.ru/Hist\\_Journ/index.php?ELEMENT\\_ID=179422](http://www.oil-industry.ru/Hist_Journ/index.php?ELEMENT_ID=179422) (доступ от 27.02.2013).
50. R. Mamadze: *Bakijskie stronicze życia pana Zglenickiego*. „Notatki Płockie“, 1978, № 4.



**Pshemislav Adamchevski  
Ekaterina Kuznecova-adamchevskaja**

## **The Testament of Vitold Zglenicki for Joseph Mjanovski Till**

### **Summary**

The article is about testamentary legacy left by Witold Zglenicki for Józef Mianowski Fund in Warsaw. Witold Zglenicki was a Polish engineer, who studied the location of oil in Baku Governorate in the late nineteenth and early twentieth century. He came to the conclusion that the richer deposits occur in areas closer to the sea. Zglenicki prepared the pioneering project at that time, which was to ensure the effective oil exploitation on an industrial scale directly from the seabed.

Polish engineer has received from the state a few oil plots for his work in geological identifying in Baku Governorate. Some of them in his will he left for Józef Mianowski Fund in Warsaw, which was most well-known organization supporting Polish science at the beginning of the twentieth century. Profits derived from the legacy of engineer led to a large inflow of funds, but it was stopped because of World War I. The situation of the Fund property on the Absheron Peninsula was greatly complicated by the Bolshevik Revolution and nationalization carried out by the communist. The case of the Zglenicki's legacy was so important for the revived Poland after World War I that talks on the issue have been taken during the intergovernmental negotiations on the recognition of the Soviet Union. The international situation at the time has not led, however, to a positive resolution of this issue for the Polish side.

## ედიშერ გვენეტაძე

*ისტორიის დოქტორი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირე-  
ბული პროფესორი*

## ეკა ზუხრაშვილი

*ისტორიის დოქტორი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოცირე-  
ბული პროფესორი*

### 1941 წლის 13 აპრილის ნაიტრალიტეტის პაქტი სსრკ-იაპონიას შორის

XX საუკუნის 30-იანი წლები უალრესად საინტერესო მოვლენებით არის აღსავსე. იწყება დიდ სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლა. მათ შორის თავისი აგრესიულობით გამოირჩეოდა გერმანია, სადაც ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდნენ ფაშისტები. 1933 წლის 3 თებერვალს ჰიტლერმა განაცხადა — „მისთვის სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს აღმოსავლეთის სივრცის დაპყრობები და მისი უმონყალო გერმანიზაცია“ [1-42-43].

ჰიტლერის აგრესიულ პოლიტიკას ხელს უწყობდა პირველ რიგში დასავლეთის დემოკრატიების სრული უმოქმედობა. მათ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გაიგეს ჰიტლერის სიტყვები და გერმანელ დიქტატორს აქეზებდნენ აღმოსავლელი დიქტატორის სტალინის წინაღმდეგ, რომელიც მიუხედავად თავისი არაარისტოკრატიული წარმოშობისა და „გაუნათლებლობისა“, დასავლელ პოლიტიკოსებთან შედარებით მათზე წინდახედული, ჭკვიანი და დიპლომატიაში ჩახედული აღმოჩნდა.

დღეს სამწუხაროდ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე სავსებით დაუმსახურებლად ხდება ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების შეფასება და მათი სახელების ლაფში ამოთხვრა. მათ შორის „მისაბაძ“ მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მკვლევართა ერთი ნაწილი წერს, რომ მას სხვებთან შედარებით განათლება აკლდა. ვინაიდან არ ჰქონია ევროპის ან ამერიკის რომელიმე კლასიკური უნივერსიტეტი დამთავრებული. ამიტომ იგი ვერ წვდებოდა პოლიტიკურ პროცესებს და დიპლომატიურ ბრძოლებს აგებდა. თვითმხილველები და მასთან დაახლოებული პირები და ბოლოს მის მიერ ნაკე-

თებ დიპლომატიურ საქმეთა შედეგები სულ სხვას ქადაგებენ. და ამდენად მასზე უნიგნურობის დაბრალება როგორც ამას აკეთებდა „პერესტროიკის“ ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ა. იაკოვლევი, რბილად რომ ვთქვათ სიბრიყვედ მიგვაჩნია. წყაროები მონიშნავენ, რომისი ცხოვრების მთავარ მეგობარს წარმოადგენდა ნიგნები ყველგან და ყოველთვის. მიუკერძოებელი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სტალინი არ ყოფილა ნიგნების უბრალო კოლექციონერი, არამედ ის იყო მისი აქტიური მკითხველი. ჩვენის მხრივ დავამატებდით საბჭოთა დიქტატორი ნიგნებს მარტო კი არ კითხულობდა, არამედ ნიგნებიდან სწავლობდა და შემდეგ გააზრებულს და გაანალიზებულს წარმატებით იყენებდა პრაქტიკაში. კრემლში სადაც სტალინი წლების განმავლობაში ცხოვრობდა მის პირად საკუთრებაში იყო რამდენიმე ათასი ნიგნი. 1941 წელს ეს ბიბლიოთეკა ევაკუირებული იქნა.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის აგარაკზე აგებული იქნა ფლიგელი ბიბლიოთეკისათვის, სადაც ინახებოდა მის მიერ შეგროვებული 20 ათასი ტომი (I). მათგან 5,5 ათასზე ფანქრით სტალინის ხელით გაკეთებულია კომენტარები, გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები [2]. მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება,ამდენ ნიგნზე შენიშვნები, რომ გააკეთო უნდა იყო უაღრესად ნაკითხი და ფართო დიაპაზონის ინტელექტუალი. მის ბიბლიოთეკაში იყო ნიგნები ძველი და ახალი დროის ისტორიკოსების, მოაზროვნეების, მწერლების. მათ შორის კარამზინის 12 ტომი — „Истории государства Российского“, „Истории России с древнейших времен“, С. М. Соловьева СПб, 1896. ხუთი ტომი — „Истории русской армии и флота“, СПб, 1912, „Очерки истории естествознания в отрывках из подлинных работ д-ра Ф. Даннсмана“, (СПБ, 1897), „Мемуары князя Бисмарка. (Мысли и воспоминания)“, СПб, 1899, „Вестника иностранной литературы“, за 1894 г., „Литературные записки“, за 1892 г., „Научное обозрение“, за 1894 г., „Труды Публичной библиотеки СССР им. Ленина“, вып. 3, М., 1934, с материалами о Пушкине, П. В. Анненкове, И. С. Тургеневе и А. В. Сухово-Кобылине, ორი რევოლუციამდელი ნიგნი—А. Богданова „Краткий курс экономической науки“, роман В. И. Крыжановской (Рочестер) „Паутина“, СПб, 1908, გ. ლეონიძის „სტალინი. ბავშვობა და ყრმობა“ და სხვა [3,182-205].

არავინ დავობს და არც ჩვენ ვაპირებთ კამათს იმის შესახებ, რომ სტალინი იყო დიქტატორი. თუ ნავიკითხავთ მის მიერ მიღებულ სსრკ-ს კონსტიტუციას იქ მკაფიოდ არის გაცხადებული რომ სსრკ არის მუშთა და გლეხთა დიქტატურის სახელმწიფო. ქედან გამომდინარე იბადება კითხვა: დიქტატორული სახელმწიფოს სათავეში ვინ დგას დემოკრატი თუ დიქტატორი? ვფიქრობთ ეს უკანასკნელი. ამდენად კიჟინი იმის შესახებ, რომ სტალინი რატომ არ იყო დემოკრატი ლიდერი სავსებით უადგილოდ გვეჩვენება.

საბჭოთა დიქტატორი თავისი დროის ღვიძლი შვილი იყო. მან ადეკვატურად უპასუხა იმ დროის უმწვავეს გამოწვევებს. შექმნა ისეთი სახელმწიფო, რომლის მართვა მის მეტმა ვერავინ ვერ შეძლო. უფრო მეტიც, სტალინი იყო უაღრესად ტრაგიკული სახელმწიფო მოღვაწე. ვინაიდან მის მიერ შექმნილ ზესახელმწიფოში, სტალინის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდა ისეთი კაცი, როგორც ხრუშჩოვი იყო. აქედან დასკვნა: მან შექმნა ქვეყნის სათავეში მდგომ პიროვნებაზე აწყობილი სახელმწიფო ვერტიკალი. ხაზგასასმელია ის რომ ამ სახელმწიფოს სიძლიერე დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მასზე და არავინ სხვაზე. აქვე ისმის კითხვა: შეიძლებოდა კი ომით გაპარტახებულ, გაძვალტყავებულ და ჩამორჩენილ რუსეთში დიქტატურის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება? ძალისმიერი მეთოდების გარეშე შეიძლებდა თუ არა იგი ქვეყნის მომზადებას მოახლოებული ომისათვის? აი კითხვები, რომელსაც ობიექტურმა მკვლევარებმა უნდა გასცენ მკაფიოდ და დასაბუთებული პასუხი. ჩვენი აზრით პასუხების გასაცემად აუცილებელია გათვალისწინებული იქნას რუსი ერის ბუნება, რომ რუსეთში არასდროს არ ყოფილა და ალბათ ვერც ვერასდროს ვერ იქნება დემოკრატია და შესაბამისად დემოკრატიული ხელისუფლებები. სწორედ ამ პოსტულატებიდან უნდა ამოვიდეთ სტალინის ნაღვანის შეფასებების დროს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდსა და მისი მსვლელობის დროს სტალინის მიერ პირნმინდად იქნა მოგებული ყველა დიპლომატიური ორთაბრძოლა. მით უმეტეს კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ კრემლის მბრძანებელს დიპლომატიის კლასიკური სწავლების არანაირი კურსი არ გაუვლია. ის იყო „ველური“ ნიჭის დიპლომატი, რომელსაც გრომიკოს სიტყვებით რომ ვთქვათ „დოკუმენტებით სავსე საქალაქდევები არასოდეს უტარებია. არამედ ყველაფერი, რაც მოლაპარაკებების საკითხებთან იყო დაკავშირებული თავით ატარებდა“.

ჩვენ წინამდებარე სტატიაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ სტალინის ინიციატივით ხელმონერილი სსრკ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტი, რომელმაც ფაქტობრივად შესაძლებელი გახადა საბჭოთა კავშირის მიერ იაპონიასთან ომის აცილება.

როგორც ცნობილია 1938 წლის მეორე ნახევარში გამწვავდა ჩეხოსლოვაკიის კრიზისი, სადაც დასავლეთ ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა განირეს პრაღა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მ. ლიტვინოვი იბრძოდა ერთა ლიგაში, რათა მიეღნია დახმარებოდნენ ჩეხოსლოვაკიას.

პრალის დაცვა შედიოდა სტალინის ინტერესებში. ვინაიდან ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციით გერმანელები თანდათანობით უახლოვდებოდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს. უნიკალურ ჩეხურ ტექნიკას და მის შემქმნელ პერსონალს ჰიტლერი ეპატრონებოდა. ამასთან ერთად მოსკოვის ხმამაღლა გაცხადებული ჩეხოსლოვაკიის დაცვის პოლიტიკა, კრემლის მიერ გერმანიასთან მომავალ დაპირისპირებაში მისთვის სასარგებლო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე და პოლიტიკური დივიდენდების მიღებაზე იყო გათვლილი. ამიტომ იყო, რომ მიუნხენის სამარცხვინო გარიგების დასასრულს, რომელიც ნამდვილად დასავლეთი დემოკრატიების სინდისზეა, ლიტვინოვმა ინგლისსა და საფრანგეთის წარმომადგენლებს საქვეყნოდ განუცხადა: ჩეხოსლოვაკიის საკითხში სუფთა ხელები მხოლოდ სსრკ-ს აქვს [4,277-280; 5]. საბჭოთა საგარეო კომისრის სიტყვები იმ დროის სამწუხარო რეალობას ასახავდა.

“მიუნხენის გარიგება“ კრემლმა განიხილა, როგორც საფრანგეთისა და ინგლისის დაახლოება გერმანიასთან. სტალინისათვის კარგად იყო ცნობილი ბრიტანეთის პრემიერის ნ. ჩემბერლენის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა 1938 წლის 12 სექტემბერს— „გერმანია და ინგლისი არიან ევროპაში მშვიდობის ბურჯები ამიტომ აუცილებელია მშვიდობიანი გზით დავძლიოთ ჩვენი წინააღმდეგობანი. ჩვენ შევძლებთ რუსეთის გარეშე ყველასათვის მისაღები ნებისმიერი რთული საკითხების გადაწყვეტას“ [6, 6.]. მიუნხენმა უჩვენა, რომ მცდელობამ ევროპაში შექმნილიყო „კოლექტიური უსაფრთხოება“ განიცადა სრული მარცხი.

სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიუნხენის შემდეგ მადა გაეხსნა პოლონეთსაც. 1938 წლის 30 სექტემბერს პოლონეთის მთავრობამ ჩეხეთის ხელისუფლებას ნაუყენა 24 საათიანი ულტიმატუმი. ვარშავა მოითხოვდა პრალას მისთვის დაუყოვნებ-

ლივ გადაეცა მისი მოსაზღვრე ტერმინის რაიონი. წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა [7, 151-152]. ბუნებრივია სტალინი ამას ვერ დაუშვებდა. ამიტომ როდესაც პოლონელებმა დაიწყეს ჯარების თავმოყრა ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე, საბჭოთა კავშირმა მკაცრად გააფრთხილა პოლონელი ხელისუფალნი, რომ თუ ის თავს დაესხმება ჩეხეთს, სსრკ განყვეტს ვარშავასთან პაქტს თავდაუსხმელობის შესახებ [6,194-196].

ევროპაში ფაშისტური გერმანიისათვის სრული კარტ-ბლანშის მიცემაში უცოდველი ცოტა ვინმე თუ მოიძებნებოდა. ბებერი კონტინენტის პოლიტიკოსთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეგნებულად შეუწყო ხელი ყოფილ ეფრეიტორს რეალური გაეხადა მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ მიმართული პოლიტიკა. ამით ევროპელი ლიდერები ცდილობდნენ ნაკლები მსხვერპლის ფასად, ჰიტლერის ხელით ჩამოეცილებინათ მათი პოტენციური მტერი სტალინი და მასთან ერთად კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც იმ პერიოდში მართალია შესუსტებული იყო, მაგრამ მაინც დიდი გავლენით სარგებლობდა არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის მუდმივი შიშები, რომელიც სტალინს გააჩნდა მის წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების შესაძლო გაერთიანების მიმართ. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება იღებდა სხვადასხვა სახის კონტრზომებს.

საბჭოთა კავშირს გააჩნდა უძლიერესი სპეცსამსახური НКВД-ს სახით, რომლის აგენტურით იყო დაქსელილი მთელ მსოფლიო. ამ ყოვლისშემძლე და ყოვლადდაუნდობელი ორგანოს სათავეში იდგა იდგა უნიჭიერესი მენეჯერი ლ. პ. ბერია. კრემლში მოქმედებდა სტალინ-ბერიას ტანდემი, რომლებიც იუველური სიზუსტით ნყვეტდნენ არსებული რეალობის მიერ შემოთავაზებულ ურთულეს პოლიტიკურ ამოცანებს. უმრავლეს შემთხვევებში ბერიას ბრწყინვალე მენეჯმენტის მეშვეობით საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მაგიდაზე ჰქონდა ის ზესაიდუმლო გადანყვეტილებანი, რომელსაც მოსკოვთან იდეოლოგიურად და პოლიტიკურად დაპირისპირებული სახელმწიფოთა ხელმძღვანელები იღებდნენ.

სადაზვერვო არხებიდან მიღებული ძვირფასი ინფორმაციებიდან გამომდინარე საჭირო იყო სწორი და შორეულ მომავალზე გათვლილი პოლიტიკური სვლები, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში შედეგებიდან გამომდინარე სტალინი და მისი დიქტატის ქვეშ მყოფი პოლიტიკური იღებდნენ. შეიძლება ითვას, რომ თითქმის

ყველა დიპლომატიური ორთაბრძოლიდან გამარჯვებული სტალინის დიპლომატია გამოდიოდა. ამის ნათელ მაგალითად უნდა განვიხილოთ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის 1941 წლის აპრილში დადებული პაქტი ნეიტალიტეტის შესახებ, რამაც საშუალება მისცა სტალინს აერიდებინა თავი ორ ფრონტზე ბრძოლს და უფრო მეტიც იაპონიის ნეიტრალიტეტით მოეგო მოსკოვთან ბრძოლა. რამაც გადაწყვიტა ფაქტობრივად ომის ბედიც.

დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, უნდა მოენერა თუ არა საბჭოთა კავშირს გერმანიასთან პაქტზე ხელი თავდაუსხმელობის შესახებ. ჩვენი აზრით აუცილებლად უნდა მოენერა და აირატომ: პაქტს ხელი მოენერა 1939 წლის 23 აგვისტოს მაშინ, როდესაც სტალინი დამავგრავინებელ შეტევას ხალხინ-გოლში იაპონელების წინააღმდეგ წარმატებით ახორციელებდა. ამ ხელშეკრულებით მოსკოვი ტერიტორიების გადანაწილებასთან ერთად ცდილობდა მოეხდინა განხეთქილება ლერძის ქვეყნებს ბერლინი-რომი-ტოკიოს შორის. სახელდობრ კრემლი იმედოვნებდა, რომ გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტის დადება გამოიწვევდა იაპონიის უკმაყოფილებას, რაც საფუძველი უნდა გამხდარიყო ჰიტლერისადმი ტოკიოს უნდობლობის კიდეც უფრო გაღრმავების და მომავალში მოსკოვის ამომავალი მზის ქვეყანასთან დაახლოების.

1939 წლის სექტემბერში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. სტალინმა მოახერხა ის, რომ მის სანყის ეტაპზე იგი მასში ჩაბმული არ ყოფილიყო. ზოგიერთებისათვის რაც არ უნდა მწარე იყოს უნდა ვალიაროთ, რომ სტალინმა პოლიტიკურ-დიპლომატიური თვალსაზრისით პირნმინდად მოუგო დასავლურ დემოკრატებს. რაც უპირველესად გამოიხატა იმით, რომ ჰიტლერმა პირველ რიგში ომი დაუწყო მის დასავლელ დემოკრატ „დამაშოშმინებლებს“.

თავისი შედეგებიდან გამომდინარე, ჰიტლერული გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებით შეიძლება ითქვას სტალინმა პირველი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გამარჯვება მოიპოვა. მან მოქნილი დიპლომატიის მეშვეობით უბრძოლველად გაიფართოვა თავის საზღვრები და მეთოდურად დაიწყო მზადება ჰიტლერთან მომავალი დაპირისპირებისათვის. სტალინი ელასტიურ საგარეო პოლიტიკას, რომ ატარებდა ამის დასტურია მისი გამოსვლა 1934 წელს პარტიის XVII ყრილობაზე სადაც მან მოზომილად, მაგრამ მკაფიოდ გამოთქვა აზრი ფაშისტურ გერმანიასთან მომავალი თანამშრომლობის შესახებ: „მართალია, ჩვენ აღფრთოვანებული არ ვართ ფაშიზმით, მაგრამ საქმე აქ ფაშიზმში

არაა, ჩვენ ვმოქმედებთ სსრკ ინტერესებით. და აქედან გამომდინარე თუ ჩვენი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს ჩვენ ყველასთან ვითანამშრომლებთ“. თუ ღრმად ჩავენვებით მისი სიტყვების არსს აშკარა ხდება, რომ იგი უდიდეს ანგარიშს უწევს რეალობას და უპირველესად იყო „რეალპოლიტიკოსი“ [8], რომელიც სხვებზე ერთი დღით ადრე ხვდებოდა თუ რა უნდა გაეკეთებინა მომავალში თავისი პოზიციების გასამყარებლად. სტალინის ყოველდღიური მცდელობა მიმართული იყო იქეთკენ, რომ შედეგიანად გამოეყენებინა მისი სიტყვებით, რომ ვთქვათ „კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობა“, რომელიც შეუიარაღებელი თვალთაც აშკარად ჩანდა და სამზეოზე იყო გამოტანილი.

„რუსეთის მეპატრონემ“ კარგად იცოდა, რომ ომი კარზე იყო მომდგარი. ამის შესახებ მას უტყუარი ცნობებით ამარაგებდა აგენტურა. მაგრამ იმ დროისათვის საბჭოთა კავშირი ომისათვის მზად არ იყო. სტალინს არ ჰქონდა ქვეყნის გადანყოფა დამთავრებული სამხედრო რელსებზე. იგი სულ მუდამ იმის მცდელობაში იყო, სანამ სამხედრო რეფორმების პარალელურად დიპლომატიური ხერხებით მოეხდინა ჰიტლერის და მისი მოკავშირეების განეიტრალება. „მეჩემეს შვილის“ არატრადიციული დიპლომატია გახდა მთავარი ქვაკუთხედი ერთი კაცის იმპერიისა, რომლის ნარჩენები დღესაც ბევრ პოლიტიკოსს აიძულებს ფრთხილად ძილს. სტალინის რკინისებურ ნებას მასთან დაპირისპირებული მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ. მსოფლიო დიპლომატიის „მეტრის“ ჰ. კისინჯერის თქმით: „სტალინი იყო უაღრესად მომთმენი და საგარეო პოლიტიკის გატარების საკითხებში ნამდვილი მონსტრი, თავისი დროის რიშელიე [8].“

1941 წლის გაზაფხულზე სტალინს მოახსენეს, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოსუკე მაცუოკა მოსკოვის გავლით მიემგზავრება ბერლინსა და რომში. უკან დაბრუნებულს სურვილი ჰქონდა რუსეთის მბრძანებელთან შეხვედრისა. ამ ცნობას სტალინი, როგორც ჩვეოდა თავშეკავებული კმაყოფილებით შეხვდა. კრემლში მჯდომი დიქტატორი დიპლომატიური ხერხებით ფიქრობდა მომავალ საომარ ბატალიებში აღმოსავლეთელი მტაცებლის იაპონიის განეიტრალებას. მით უმეტეს კონფლიქტი სსრკ-იაპონიას შორის ახალი დამთავრებული იყო.

მართლაც ევროპაში ჩასვლამდე მოსკოვში შეჩერებულმა მაკუოკამ სტალინს დაუდასტურა, რომ ტოკიოს სურვილი აქვს ურთიერთობები გააუმჯობესოს კრემლთან. სტალინის სიტყვები მოკ-



ლე და დიპლომატიური იყო — „როგორც არ უნდა იყოს ჩვენს ორ ქვეყანას შორის იდეოლოგიური განსხვავება, ამან ხელი არ უნდას შეუშალოს დაახლოებას..... მით უმეტეს მაშინ, როდესაც ანგლო-საქსები არასდროს ყოფილან რუსების მეგობრები და ახლაც არ სურს რუსებს მათთან მეგობრობა“. საბჭოთა ლიდერის ასეთი პასუხი პირდაპირ ჯდებოდა იაპონელის ინტერესებში, ვინაიდან მას სურდა მომავალ ომში სამხრეთ აზიაში აშშ-სა და ინგლისთან, გარანტირებული ჰქონოდა უსაფრთხო ზურგი.

მოსკოვიდან წასული მაცუოკა ბერლინში ჰიტლერსა და რიბენტროპს შეხვდა. მათ იაპონელს შესთავაზეს სსრკ-თან ელვისებური ომის შემდეგ სსრკ ტერიტორიის გაყოფა. ამისათვის იაპონიას უნდა დაეხმობა დიდი ბრიტანეთის მთავარი ბაზა სინგაპურთან ახლოს. მაცუოკამ ნაცისტებს თავაზიანად უპასუხა, რომ აქვს თავისი საკუთარი გეგმა. ის ფიქრობს სსრკ-თან პაქტის დადებას ნეიტრალიტეტის შესახებ, რათა იაპონიის სამხრეთ აზიაში ექსპანსიის შემთხვევაში კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან აცილებული ჰქონდეს. როგორც ირკვევა ამ დროისათვის იაპონელებს მტკიცედ გადანყევტილი ჰქონდათ ომი ამერიკელებთან. იქვე რიბენტროპთან საუბარში მაცუოკამ გამოთქვა მოსაზრება კვლავ შეეთავაზებინათ სსრკ-სათვის შეერთებოდა ლერძის ქვეყნებს. გერმანელმა მინისტრმა უპასუხა: „ახლა სიტუაცია შეიცვალა ამ მხრივ“ და ურჩია მოსკოვში არ წამოენია ეს საკითხი.

რუსეთში ჩამოსული მაცუოკა ისევ შეხვდა სტალინს. ამომავალი მზის ქვეყნის მინისტრმა გამოთქვა აზრი, რომ რამდენადაც იაპონია არის საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფო იმ შემთხვევაში თუ რაიმე გაუგებრობა მოხდება სსრკ-სა და გერმანიას შორის ის გახდება შუამავალი მათ შორის.. ამით მაცუოკამ მიანიშნა საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომ გერმანიასთან ომი გარდაუვალია. აქვე იაპონელმა იხმარა ეშმაკობა და სტალინს კვლავ შესთავაზა ბერლინ-რომ-ტოკიოს პაქტზე შეერთება. სტალინი რისი სტალინი იქნებოდა მაცუოკას ამ იაფასიან ტრიუკს რომ აჰყოლოდა. მან განუცხადა იაპონელს — „სსრკ-ს თანამშრომლობა ლერძის ქვეყნებთან დგას დიდი კითხვის ქვეშ. ამის შესახებ მოლოტოვმა კიდევაც უთხრა ჰიტლერსა და რიბენტროპს ბერლინში, როდესაც იდგა საკითხი სამთა პაქტი ოთხთა პაქტად ექციათ. და იქვე დაამატა, რომ სამთა პაქტი შეიძლება გახდეს ოთხთა პაქტი თუ გერმანიის ან იაპონიის საქმეები წავა ცუდად“. უდავოა ამ ორზროვანი სიტყვებით

სტალინმა მიანიშნა იაპონელ სტუმარს, რომ ის ადვილად არაფრის დათმობას არ აპირებდა და არც ადვილად მოსატყუებელი იყო.

საბოლოო გადაწყვეტილება სსრკ-სა და იაპონიას შორის ნე-იტრალიტეტის პაქტზე ხელმოწერის შესახებ მიღებულ იქნა 1941 წლის 12 აპრილს. მას ხელი მოეწერა 1941 წლის 13 აპრილს. აქტის მიხედვით:

მუხლი 1. მომლაპარაკებელი მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიკავონ ერთმანეთთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობები. პატივი სცენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს.

მუხლი 2. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე აღმოჩნდება სამხედრო მოქმედების ობიექტი ერთი ან რამდენიმე მესამე სახელმწიფოსი. მეორე მომლაპარაკებელი მხარე დაიცავს ნეიტრალიტეტს მთელი კონფლიქტის მანძილზე.

მუხლი 3. აქტი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი რატიფიცირებისთანავე და ძალას ინარჩუნებს ხუთი წლის განმავლობაში. თუ რომელიმე მხარე არ მოახდენს მის დენონსირებას მის ამონაშრომად ერთი წლით ადრე, პაქტი გრძელდება ავტომატურ რეჟიმში.

აქტს ნეიტრალიტეტის შესახებ ხელს აწერდნენ-ვიჩარეს-ლაგმოლოტოვი, იოსუჟე მაცუოკა. აქტი რატიფიცირებული იქნა 1941 წლის 25 აპრილს.

სტალინი უაღრესად დიდ როლს ანიჭებდა პაქტს. მასზე ხელმოწერის დასრულების შემდეგ გაიმართა სადილი სადაც იაპონელმა მინისტრმა ალკოჰოლის დიდი რაოდენობა მიიღო, რომელიც სალამოს მოსკოვიდან აღმოსავლეთის ექსპრესით უნდა გამგზავრებულიყო. მაცუოკა ავიდა მატარებელში, მაგრამ მატარებელი წასვლას იგვიანებდა. მალე სადგურში გამოჩნდა სტალინი, რაც იქ მყოფი უცხოელი დიპლომატებისათვის ნამდვილ შოკს წარმოადგენდა, ვინაიდან მანამდე ის უცხოეთის არცერთ დელეგაციას არ დახვედრია და მით უმეტეს არ გაუცილებია. იგი ბაქანზე გადმოსულ ამომავალი მზის ქვეყნის მინისტრთან მივიდა და უთხრა ისე, რომ ვაგზალზე მოსულ სხვა ქვეყნების უცხოელ საელჩოთა წარმომადგენლებს გაეგონათ: „მე და თქვენ აზიელები ვართ, ისინი კი მიუთითა დიპლომატებზე ევროპელები. ამიტომ ევროპის პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ერთადერთი გზით თუ იაპონია და სსრკ ითანამშრომლებენ“. აღფრთოვანებულმა იაპონელმაც არ დააყოვნა და უპასუხა: „არა მხოლოდ ევროპის“.

„დიახ, მთელ მსოფლიოში ყველაფერი შეიძლება დარეგულირდეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მეშვეობით“ — მიუგო სტალინმა.

ამომავალი მზის ქვეყნის მინისტრთან გაკეთებული ამ ჟესტით სტალინი ერთბაშად რამდენიმე საკითხს წყვეტდა. პირველ რიგში მან ევროპას აგრძობინა, რომ შეუძლია გუშინდელ გააფთრებულ ბრძოლებში დაპირისპირებულ მოწინააღმდეგესთან არა მარტო დალაპარაკება, არამედ თანამშრომლობა. ამავე დროს ყველას შეახსენა, რომ დაწყებულ მსოფლიო გადანაწილების პროცესში ის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე იყო და არაფრის დათმობას არ აპირებდა. უცხოელ დიპლომატებთან იაპონიის ასე აღმატებით ხარისხში მოხსენიებით მან ტოკიოს ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე ასწია, რამაც უდავოდ გამოიწვია მაცუოკას დიდი კმაყოფილება. რისი დასტურიც იყო გზიდან მის მიერ სტალინისადმი გამოგზავნილი სამადლობელი დეპეშები.

ხელშეკრულებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბერლინში. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა პროტესტი განუცხადა იაპონიის ელჩს ოსიმეს. უდავოა, რომ იაპონელებსაც უღირდათ ასეთ გართულებებზე წასვლა, მათ არ სჯეროდათ ჰიტლერის დაპირებებისა ამომავალი მსოფლიოს გადანაწილების შესახებ. როგორც შემდგომში გაირკვა ბერლინის, რომისა და ტოკიოს მთავარი დამაკავშირებელი გახდა ის, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ძალიან დიდი თაყვანისმცემელი იყო კ. ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკური იდეის შექმნილიყო ლერძი ბერლინი-რომი-ტოკიო.

იაპონიაში დაბრუნებულ მაცუოკეს პოლიტიკური ცხოვრება არასახარბიელოდ წარიმართა იგი 1941 წლის მაისში კონოეს მინისტრთა კაბინეტთან ერთად გადადგა თანამდებობიდან. 1945 წელს დაპატიმრებული იქნა ამერიკელების მიერ და გადაცემულ იქნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალს. თუმცა იგი განაჩენის გამოტანამდე 1946 წელს ციხეში გარდაიცვალა.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ იაპონელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ომი აშშ-სთან, ამის სადაზვერვო მონაცემები ჰქონდათ მოსკოვში. 1951 წელს საბჭოთა მზვერავის რ. ზორგეს მოქმედებები ტოკიოში შეისწავლა ამერიკის კონგრესის მიერ შექმნილმა კომისიამ რომელმაც დაასკვნა, რომ ზორგემ ჯერ კიდევ 1935 წელს შექმნა იაპონიაში ძლიერი სადაზვერვო ორგანიზაცია, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ტოკიოს ყველაზე ზესაიდუმლო დოკუმენტებზე.

სტალინმა დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით სწორად გათვალა ისიც, რომ იაპონელები ორ ფრონტზე ბრძოლას თავს აარიდებდნენ ეკონომიკური პრობლემების გამო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ მათ ამისათვის სანავი არ ეყოფოდათ. უფრო მეტიც, ძალიან ღრმავდებოდა დიდი ხნის დაწყებული დაპირისპირება აშშ-სა და იაპონიას შორის ეკონომიკურ სფეროში. 1941 წლის 26 ივლისს ვაშინგტონმა გაყინა იაპონელთა აქტივები აშშ-ში, რამაც ტოკიო ნავთობის გარეშე დატოვა. საკუთარი მარაგი იაპონიას ეყოფოდა მხოლოდ ორი წელი. იაპონია იძულებული იყო ებრძოლა ნავთობის მოპოვებისათვის, რომელიც უხვად იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამიტომ აშშ-მ და ინგლისმა გააფრთხილეს იაპონია: „აზიაში შემდგომი ექსპანსიის შემთხვევაში ეს გამოინვევდა მათი მხრიდან ზომების მიღებას თვით ომამდეც კი“.

მას შემდეგ რაც გერმანია თავს დაესხა სსრკ-ს სტალინს მაინც ჰქონდა მუდმივი ეჭვი რომ იაპონელები ომს დაიწყებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მართალია ლოგიკურად მათ ეს არ უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ სტალინი ჰიტლერის ალოგიკური მოქმედებების შემდეგ ვფიქრობთ ყველაფერს დასაშვებად მიიჩნევდა. იმ დროს, როდესაც უაღესად გამწვავებული ხდებოდა საომარი ვითარება მოსკოვთან, საბჭოელმა დიქტატორმა მიიღო რიჰარდ ზორგესაგან აგენტურული ცნობა, რომ 1941 წლის 4 ოქტომბერს რკინისგზის 3000 მუშა, რომელიც ემსახურებოდა კვანტუნის არმიის მატარებლებს უკვალოდ გაქრნენ. აშკარა იყო, რომ ისინი სხვაგან გადაიყვანეს და იაპონია ომს არ იწყებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Документы и материалы, под ред. А. Попова, Москва, 1967.
2. Мухин Ю., «Крестовый поход на Восток, «Жертвы» Второй мировой», Москва, 2001.
3. Новая и новейшая история, № 3, Москва, 2000.
4. Майский И., Дневник дипломата, Кн. 1, Москва, 2006.
5. Карлей М. Дж., Толко СССР имеет...чистие руки, СССР, коллективная безопасность в европе и судба чехословакии (1934-1938), Москва, 2012.
6. Год кризиса, 1938-1939, т. 1. Под ред. Семиряга М., Москва, 1990.

7. Черчил У., Вторая мировая война, т. 1, Москва, 1997.
8. Киссинджер Г., Дипломатия, Москва, 1997.

**Edisher Gvenetadze**

*Doctor of History, Georgian Technical University, associated professor*

**Eka Bukhrashvili**

*Doctor of History, Georgian Technical University, associated professor*

**The Pact of Neutrality of the 13<sup>th</sup> of 1941  
between the USSR and Japan**

**Summary**

The work deals with the phenomena developed in the world in the 30s. of the XX century. It was indicated that the aggressive policy of the Hitler Germany had been supported by definite political circles and they wanted to direct the Fascist Germany to the East against Stalin.

The diplomatic step of Stalin had conditioned the fact that the Soviet Union was not involved into the World War II initially. Moreover, Stalin managed to use, according to his words, „The contradiction between the capitalist countries“ and by means of the whole number diplomatic motions, managed to conclude the Pact with Japan on Neutrality, through which had avoided the war with Japan in the East.

The further peripetia of negotiation and a diplomatic gesture of Stalin towards the minister of Foreign Affairs of Japan, Matsuoka have been noted.

## შეფასების სისტემები საზღვარგარეთის ქვეყნების საჯარო სამსახურში

დღეისათვის სახელმწიფოს წინაშე მრავალი პრობლემა დგას, სწორედ ერთ-ერთ მათგანს განეკუთვნება საჯარო სამსახურში სამუშაოს შეფასების სისტემა. აღნიშნული საკითხის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ შეფასების მეთოდები და სისტემები საზღვარგარეთის ქვეყნებში მწვავე განხილვის საგნად მოისაზრება, ყოველივე ამას ქართულ სინამდვილეშიც ვაწყდებით, რადგანაც ჩვენი სახელმწიფო ამ მხრივ ეხლა ვითარდება და ნერგავს შეფასების სისტემას საჯარო სამსახურში.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ შეფასების სისტემა მოქნილი და ეფექტური იყოს საჯარო მოხელეებისათვის. ყოველივე ამას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგანაც კვალიფიციური კადრის არსებობა იძლევა ქვეყნის წინსვლის წინაპირობას. პროფესიონალიზმი კი საჯარო სამსახურის უმთავრეს პირობას წარმოადგენს. მაქს ვებერის აზრით: „ბიუროკრატია ძლიერი იმიტომ იყო, რომ ის გულისხმობდა კვალიფიკაციას და კომპეტენტურობას„ [1, 235]. კვალიფიციური კადრის შერჩევა და შემდგომ კი მისი შენარჩუნება სახელმწიფო ორგანოებზეა დამოკიდებული.

განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საზღვარგარეთის ქვეყნებში და როგორ ხდება საჯარო მოსამსახურეების შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებად მეთოდებს განეკუთვნება მართვა მიზნების მიხედვით და 360 გრადუსიანი შეფასება, რომლებიც შეფასების სისტემის თანამედროვე მეთოდებს წარმოადგენენ.

**1. მართვა მიზნების მიხედვით** — მოიცავს რამოდენიმე ეტაპს: ა) ორგანიზაციის მიზნების განსაზღვრა; ბ) სტრუქტურული ერთეულის მიზნების განსაზღვრა; გ) სტრუქტურული ერთეულის მიზნების განხილვა, რომელსაც სტრუქტურის ხელმძღვანელი განიხილავს თავის თანამშრომლებთან; დ) სტრუქტურული ერთეუ-

ლის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები განსაზღვრავენ სამუშაოს მოკლევადიან ინდივიდუალურ მიზნებს და შეფასების შესაბამის კრიტერიუმებს; ე) სამუშაოს შესრულების შემონიშნება; ვ) ხელმძღვანელი ადარებს თითოეული თანამშრომლის მიერ რეალურად შესრულებულ სამუშაოს დადგენილ შეფასების სისტემის კრიტერიუმებით; ზ) ხელმძღვანელი და მისი თანამშრომლები ერთდროულად განიხილავენ სხვა თანამშრომლის შეფასების შედეგებს და დგება განვითარების გეგმა [5];

**2. 360 გრადუსიანი შეფასება**, რომელიც გულისხმობს თანამშრომლის კომპეტენტურობის შეფასებას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ეს მეთოდი გამოირჩევა იმით, რომ ამ შემთხვევაში თითოეულ თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს მოსაზრებები ხელმძღვანელისაგან, კოლეგისგან და ა.შ. ანუ მისთვის ცნობილი ხდება, თუ როგორ აღიქვამენ მის საქმიანობას სხვა პირები, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიკვეთება ის ასპექტები, რომელთა გასაუმჯობესებლად საჭირო იქნება დამატებითი ტრენინგები.

პროცესის დასაწყისში ადგენენ იმ პირთა ვინაობას, ვისაც ობიექტურად და მიუკერძოებლად შეუძლია თანამშრომლის შეფასება, დასაშვებია შეფასების ობიექტმა მონაწილეობა მიიღოს პირთა შერჩევაში. ყველა შემფასებელი ავსებს კითხვარს თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულების შესახებ, კითხვარი უნდა შეიცავდეს დეტალურად, როგორც ხარისხობრივ, ასევე რაოდენობრივ მონაცემებს, შემდგომ ხდება შედეგების შეჯამება და ანგარიშის სახით უბრუნდება თანამშრომელს. ეს უკანასკნელი განიხილავს შედეგებს ხელმძღვანელთან ერთად და სახავს თვითგანვითარების გზებს [5].

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებობს შეფასების შემდეგი სახეები: ა) პერიოდული შეფასება, რომელსაც ახორციელებს უშუალოდ უფროსი; ბ) თვითშეფასება, რომელსაც თანამშრომელი საკუთარი თავის მიმართ ახორციელებს დადგენილი ფორმის მიხედვით; გ) გასაუბრება ხდება ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის; დ) კრიტიკული შემთხვევები - ამ დროს პირი წერილობით ახდენს თანამშრომლის მიერ შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში სამუშაოს დროს გამოვლენილ ძალიან კარგი და ცუდი ქმედებების აღწერას; ე) სამუშაო სტანდარტები - ხდება ყოველი დაქირავებულის მიერ შესრულებული სამუშაოს შედარება წინასწარ დადგენილ სტანდარტებთან;

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით განსაზღვრულია, თუ რაში მდგომარეობს შეფასების მიზანი, ესაა: ა) არსებული პრობლემების განსაზღვრა; ბ) თანამშრომლის მიერ მისადმი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა; გ) იმ სფეროს იდენტიფიცირება, სადაც საჭიროა დამატებითი სწავლება-ტრენინგები; დ) თანამშრომელთა განვითარების გეგმის შედგენა; ე) პერსონალის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების (ხელფასის ზრდა, დანიშნულება, დისციპლინური ზომები, ბონუსები) ბაზის ჩამოყალიბება და ა.შ. საჯარო მოხელეთა შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: პროფესიული საქმიანობა, პირადი თვისებები, შედეგები პროფესიულ საქმიანობაში, ინიციატივა, რაც გულისხმობს პროფესიულ გამოცდილებას, ახლის ძიებას, ასევე მოხელის შეფასება ხდება პასუხისმგებლობის გრძნობის, სურვილი პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, დასახული მიზნისა და კომუნიკაციის უნარის მიხედვით [4].

ასტრახანის რეგიონის კანონმდებლობა შეფასების კრიტერიუმებს საბოლოოდ ჰყოფს სამ ბლოკად, ესენია: ა) პროფესიული მოტივაცია; ბ) პროფესიული გამოცდილება; გ) პირადი თვისებები, სადაც გაერთიანებულია კომუნიკაციის, პასუხისმგებლობისა და ორგანიზაციულობის უნარები. კანონმდებლობით დეტალურადაა განსაზღვრული, თუ რა მეთოდებით ხდება საჯარო მოსამსახურეების შეფასება, რა ვადაა გათვალისწინებული თითოეული მეთოდისათვის და ა.შ. მაგალითად: საჯარო მოხელეების შეფასების ერთ-ერთი მეთოდია რეზიუმეს წერა და მისი ზეპირი მოხსენება, კითხვარები, რომლის მიხედვითაც აგროვებენ ინფორმაციას მოხელის პროფესიული ცოდნის, უნარის და სხვა თვისებების შესახებ, შემდგომ საჯარო მოხელე გადის ინდივიდუალურ ინტერვიუმს და ტესტირებას და ბოლო ეტაპზე მიმდინარეობს ჯგუფური დისკუსია პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს შეიძლება გათვალისწინებული იყოს ღია და დახურული კითხვები, რომლის ხანგრძლივობაც არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. ასევე შესაძლებელია მოხელის შეფასება მოხდეს ესეს მიხედვით, რომელიც უნდა იყოს ორი გვერდი და უნდა ეხებოდეს საჯარო მოხელეთა პრობლემებს, აქ, რა თქმა უნდა, საჯარო მოხელეებს დაფიქსირებული უნდა ჰქონდეთ საკუთარი შეხედულებები. ესეს განხილვისათვის 20-40 წუთია დათმობილი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეფასების მეთოდს წარმოადგენს, აგრეთვე, ანალიტიკური აზროვნება, რაც გულისხმობს წარმოდგენილი კანონპროექტის, სამარ-



თლებრივი აქტის ან სხვა დოკუმენტის შეფასებას, ამ მეთოდის-თვისაც კანონმდებლობით განსაზღვრულია 20-40 წუთი. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკას, აქ გამოიყენება ფსიქოლოგიური ტესტები, საიდანაც ფსიქოლოგები ლებულობენ ინფორმაციას მოხელის პირადი თვისებების, კერძოდ კი, ქცევის შესახებ [4].

გადავხედოთ ამ მხრივ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას: ინგლისში ყველა დეპარტამენტს თუ სააგენტოს გააჩნია შეფასების საკუთარი სისტემა. მათ აქვთ საჯარო სამსახურის მართვის კოდექსი, რომელიც ადგენს საჯარო მოსამსახურეებთან დაკავშირებულ ზოგად წესებსა და პროცედურებს. საჯარო სამსახურში მიღება ძირითადად ხდება კონკურსის წესით, წესს და პირობებს განსაზღვრავს დანესებულებები. საჯარო მოსამსახურეების შეფასებას ახორციელებს ის დანესებულება, სადაც საჯარო მოხელე მუშაობს. შეფასება მოიცავს შესრულებული სამუშაოსა და ინდივიდუალური პოტენციალის შეფასებას. უნდა ითქვას, რომ ინგლისში შეფასებაზე დამოკიდებული მოსამსახურის ანაზღაურების ოდენობა. საჯარო მოსამსახურეების შეფასებას ახორციელებს მთავრობის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით (Cabinet office –of the Government) [5].

ახალ ზელანდიაში მთავარ აღმასრულებელს აქვს გადანყვეტილების მიღების დიდი ავტონომია. ისინი არიან ყველა მოსამსახურის დამქირავებლები საკუთარ დეპარტამენტში და შეფასების სისტემაც ყოველ დანესებულებაში ინდივიდუალურად მთავარი აღმასრულებლის მიერ განისაზღვრება. რაც შეეხება ესტონეთში არსებულ საჯარო მოსამსახურეების შეფასების სისტემას, იქ ასეთ სურათს ვაწყდებით: საჯარო მოსამსახურეთა შერჩევა, სამსახურში მიღება და შეფასება ხდება ინდივიდუალურად საჯარო დანესებულების მიერ, თუმცა აღნიშნული დანესებულებები მოქცეულები არიან გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოში. ესტონეთში მაკოორდინებელ უწყებებს წარმოადგენენ: ფინანსთა სამინისტრო (რომელსაც ანაზღაურების სისტემა ეხება), იუსტიციის სამინისტრო (საჯარო კანონმდებლობის საკითხები), შინაგან საქმეთა სამინისტრო (ადგილობრივი და რეგიონალური ადმინისტრაციების განვითარების საკითხები) [5].

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების შეფასების სისტემას, აქ საჯარო მოსამსახურეთა შეფასება ხდება ყოველწლიურად და ამ შეფასების მეთოდოლოგიას განსაზღვრავს პერსონა-

ლური მართვის სამსახური (OPM). პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო სამსახურში მიღების ძირითადი პრინციპია ღიაობა, გამჭვირვალობა და შეჯიბრებითობა. პერიოდული შეფასება პოლონეთის საჯარო სამსახურში ხდება 24 თვეში ერთხელ გენერალური დირექტორის მიერ. პერიოდული შეფასებიდან 7 დღის განმავლობაში შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი უწყების გენერალური დირექტორის სახელზე, საჩივარი განიხილება შეტანიდან 14 დღის განმავლობაში, საჩივრის გათვალისწინების შემთხვევაში შეფასება იცვლება ან ტარდება ახლიდან [5].

როგორც დავინახეთ, საჯარო სამსახურში მოსამსახურეთა შეფასებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. შეფასების მთავარი მეთოდი თითქმის ყველა ქვეყანაში არის ფსიქოლოგიური ტესტირება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ საჯარო მოსამსახურის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასება მიმდინარეობს ქულათა სქემის მიხედვით, რაც დადგენილია რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით [3, 178-179]. შეფასების დროს წყდება შემდეგი საკითხები, კერძოდ: იმ საჯარო მოსამსახურეთა სია, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ გადამზადებას; კადრების გადაადგილების გრძელვადიანი დაგეგმარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; იმ საჯარო მოსამსახურეთა სია, რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნენ უფრო კვალიფიციურ ადგილზე [3, 180-181].

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში შეფასების სისტემის სხვადასხვა ფორმები გამოიყენება. თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნების შეფასების სისტემებს, დავინახავთ, თუ ძირითადად აქცენტი რა მახასიათებლებზეა გაკეთებული. საზღვარგარეთის ქვეყნები აფასებენ სამუშაოს პროფილს, ქცევებს, თვისებებს, ლიდერობის უნარს, სოციალურ უნარს. შეფასებას ექვემდებარება ყველა დაქირავებული, ისინიც კი ვისაც გამოსაცდელი ვადა არ გასვლიათ, ძირითად შემფასებლად გვევლინებიან ზემდგომი დირექტორები, მმართველები, დეპარტამენტის უფროსები, ასევე დაწერგილია თვითშეფასების სისტემა და სხვა.

შეფასებისათვის გამოიყენება ბალანსირებული შეფასების ბარათები, მიზნობრივი შეთანხმება, გასაუბრება, სამუშაო აღწერილობები, კომპეტენციების პროფილი. შეფასების კრიტერიუმებად იყენებენ პოზიციისათვის დამახასიათებელ მოთხოვნებს, ცოდნას, კვალიფიკაციას, რაც შეეხება შეფასების სიხშირეს - ზოგ

ქვეყანაში ხდება ყოველწლიურად, ზოგან ორ წელიწადში ერთხელ, ზოგან კი გარკვეული ინტერვალებით.

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში თანამდებობაზე დასანიშნად ტარდება პირთა საიმედოობის შემოწმება, სწორედ ამ მეთოდით აფასებენ მომავალ საჯარო მოსამსახურეებს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეტენდენტთა შერჩევის, შემდგომში მათი შეფასების სისტემები და მეთოდები რეგლამენტირებულია. კანდიდატების შერჩევა, როგორც წესი, ხორციელდება ორი ძირითადი ფორმით: კონკურსის ჩატარების გზით და კონკურსგარეშე შერჩევით.

კონკურსის ჩატარების წესი დგინდება ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით, რომელსაც იღებენ საჯარო სამსახურის სპეციალური ორგანოები საერთო კანონების საფუძველზე საჯარო ან სამოქალაქო სამსახურის შესახებ. ცენტრალური ორგანოები, რომლებიც პასუხს აგებენ მოცემული თანამდებობების კატეგორიებზე და მის დაკომპლექტებაზე, აცხადებენ და აწყობენ კონკურსებს, ესენია: კონტინენტური სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებში - დარგობრივი სამინისტროები, ანგლოსაქსურ ქვეყნებში - კომისიები, ხოლო მუნიციპალურ სამსახურში კონკურსს ორგანიზაციას უკეთებენ მუნიციპალური ორგანოები.

კონკურსი ცხადდება ვაკანსიების გაჩენის შესაბამისად (ჩვეულებრივ ეს დამახასიათებელია სამსახურებისათვის), ან მკაცრად მითითებულ ვადებში. მოსალოდნელ კონკურსზე ცნობები ქვეყნდება ოფიციალურ მაცნეში — სახელმწიფო, რეგიონალურ, მუნიციპალურ. მაგალითად, პოლონეთში კონკურსის გამოცხადება სამოქალაქო სამსახურში კანონის შესაბამისად უნდა შეიცავდეს დაწესებულების დასახელებისა და მისამართის, პოსტის აღწერას, მოთხოვნებს, რომელსაც უყენებენ პრეტენდენტს შესაბამის პოსტზე, იმის მითითებით, რომელთა შესრულება აუცილებელია მოცემულ პოსტზე, საჭირო დოკუმენტების სია, დოკუმენტების წარდგენის ადგილი და თარიღი, შეფასების კრიტერიუმები, თუ როგორ მოხდება კომისიის მიერ მომავალი საჯარო მოსამსახურეების შეფასება. კონკრეტული პრეტენდენტის დაშვება კონკურსში მონაწილეობაზე ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით შესაბამისი ორგანოს ან საგამოცდო ყიურის მიერ. კონკურსში დაშვებაზე უარი მრავალ ქვეყანაში შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით ან სასამართლოში.

რაც შეეხება ტაივანს, მისი მთავრობის ორგანიზაციული სტრუქტურა ასე გამოიყურება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, საკონკურსო და აუდიტორული შტო. საკონკურსო შტოს შემადგენლობაში შედის: გამოცდების სამინისტრო, საჯარო სამსახურის სამინისტრო, საჯარო მოსამსახურეთა დავებისა და ტრეინინგების კომისია, საჯარო მოხელეთა საპენსიო ფონდის საზედამხედველო საბჭო.

სწორედ საჯარო სამსახურის სამინისტრო წარმოადგენს უწყებას, რომელიც არის პასუხისმგებელი საჯარო პერსონალთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და დაგეგმაზე. საჯარო სამსახურში დასაქმების უფლების მოსაპოვებლად ან უკვე დაკავებული პოზიციის შესანარჩუნებლად ყოველწლიურად ტარდება გამოცდა, რომელიც მოიცავს შედეგ დონეებს: დანყებითს, საშუალოს და მაღალს.

ვაკანტურ თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატის შერჩევა წარმოებს წინასწარ დადგენილი შეფასების სისტემით, კერძოდ, ჩაბარებული გამოცდის საფუძველზე მიღებული ჩინის და შეფასების გათვალისწინებით. შეფასება იყოფა 14 ქულად, საიდანაც:

- 1-დან -5 ქულამდე არის დანყებითი ჩინი;
- 6-დან - 9 ქულამდე არის საშუალო ჩინი;
- 10-დან - 14 ქულის ჩათვლით არის მაღალი ჩინი [5].

ასევე, დაწესებულებებს აკისრიათ ვალდებულება, რომ საჯარო მოხელეებს ჩაუტარონ ტრეინინგები, რომ განავითარონ მათი პროფესიული უნარ—ჩვევები.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სისტემის მქონე ქვეყნებში საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციას, შეფასებას სხვადასხვა სახელწოდება აქვს, მათ მოიხსენიებენ შემდეგი ტერმინებით: „საზაფხულო ატესტაცია“, „საქმიანობის შედეგების შეფასება“, „მოხელეების შეფასება დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით,“ და ა.შ [6].

ატესტაციისა და შეფასების სისტემა საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში საჭიროებს მკაცრად რეგულირებას, ყველა ეტაპისა და პროცედურის დეტალურად განერას, დადგენილია, რომ შეფასების ფორმები სახელმძღვანელო მასალებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. უნდა ითქვას, რომ კადრების განყოფილების მონიტორინგი ახორციელებს ზოგადად პერსონალის შეფასებას პრაქტიკის საფუძველზე. მაგალითად, ინგლისის საჯარო

სამსახურში ატესტაციის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული კითხვარის შევსებასთან, რაც მოიცავს შემდეგ ნაწილებს: პერსონალური ინფორმაცია, გასული წლების სამუშაოს აღწერილობა და მიზნები, ცნობები კვალიფიკაციის გაზრდასთან დაკავშირებით, წინადადებები დანიშნულებისათვის, პირადი თვისებების დეტალური შეფასება, კარიერის ზრდის შესაძლებლობების შეფასება და ა.შ [6].

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთის ქვეყნები შეფასების სისტემის მიმართ იყენებენ შემდეგ ტერმინებს: **Performance Appraisal** - სამუშაოს შეფასება, ხელმძღვანელი გასაუბრების საფუძველზე აფასებს და ავსებს ანკეტას, რომლის შემდგომაც გამოაქვს დასკვნა; **Assessment** - მიმართულია არა სამუშაოს შედეგების შეფასებაზე, არამედ ადამიანის შესაძლებლობებზე, ცოდნაზე, კომპეტენციაზე, უნარებზე; **Key Productivity Indicators (KPI)** - ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები, ზოგადად ეს მართვის ინსტრუმენტი განიხილება ხელმძღვანელი პირებისაგან სტრატეგიული მართვის კონტექსტში [7].

რაც შეეხება მკაცრი საკადრო პოლიტიკის მქონე საჯარო სამსახურებს, აქ გამოიყენება პრინციპი „**up or out**„. საიდანაც ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნები ძირითადად პრიორიტეტს ანიჭებენ იმ კადრს, რომელიც დანიშნულებისაკენ მიილტვის, მოხელეთა კატეგორია, რომელიც თავის პოზიციას ინარჩუნებს ან აუარესებს მდგომარეობას, ექვემდებარებიან გათავისუფლებას. აქ საჯარო მოსამსახურების შეფასება ტარდება ყოველწლიურად, ფასდება თითოეული თანამშრომელი. ინტერვიუზე კომისია 3-4 წევრით არის წარმოდგენილი, რომელთაგან თითოეული შეკითხვებს უსვამს კანდიდატს. შეკითხვების მიზანია, დაეხმაროს კანდიდატს თავისი მონაცემების და მიღწევების დემონსტრირებაში. ამასთანავე, კანდიდატს შესაძლებლობა აქვს დასვას კითხვები არსებული სამუშაოს პირობებთან, მის ვადებთან და ა.შ. დაკავშირებით. კომისია ვალდებულია მოამზადოს თითოეული კანდიდატის მკაფიო და თანმიმდევრული ანგარიში-შეფასება წერილობითი სახით იმ მომენტშივე.

ლიტვაში საჯარო მოხელის სამუშაოს შესრულების შეფასება ტარდება ყოველწლიურად. უშუალო ხელმძღვანელი აწარმოებს მოხელის ოფიციალური მოვალეობების შესრულების შეფასე-

ბას და შედეგად, ყოველი წლის არაუგვიანეს 15 დეკემბრისთვის, საკადრო საკითხთა დეპარტამენტს წარუდგენს შესაბამის დასკვნას [8].

დასკვნა იწერება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ა) საჯარო მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა; ბ) შესრულებული სამუშაოს ხარისხი; გ) მოხელეზე დაკისრებული ამოცანების ერთობლიობა; დ) სამუშაო ინსტრუქციებში განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას მოხელის მიერ მისი ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობები; ე) დაკისრებული ფუნქციების შესრულების დროს მოხელის მიერ ჯგუფური მუშაობისა და სხვა საკომუნიკაციო უნარების ეფექტური დემონსტრირება.

რაც შეეხება შვეიცარიაში არსებულ შეფასების სისტემას, ის ასე გამოიყურება: შვეიცარიაში ძალაშია ფედერალური განკარგულება საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ყველა საჯარო მოხელის შესრულების, საერთო მდგომარეობის და სამუშაო რეჟიმის ყოველწლიურ შეფასებას. შეფასება გულისხმობს მოხელის ხელმძღვანელის მიერ შეფასების სპეციალური ფორმის შევსებას მოხელესთან გამართული საუბრის პროცესში. ფორმის შინაარსს მოხელე მაშინვე ეცნობა და აწერს ხელს. მას შეუძლია გამოთქვას შენიშვნები, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას შევსებული ფორმის საფუძველზე უფროსის მიერ საბოლოო ანგარიშის დაწერის დროს [9].

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, შეფასების სისტემის მეთოდები კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. ვფიქრობ, რომ აღნიშნული აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული და დაფიქსირებული კანონში. რადგანაც ძალზედ მნიშვნელოვანია, კონკურსანტი ან თუნდაც მომუშავე პერსონალი როცა ინფორმირებულია თუ რა კრიტერიუმებით და რა მეთოდებით მოხდება მისი შეფასება. ვფიქრობ, რომ დღეს არსებული სისტემა - კონკურსის მონაწილის შეფასების ერთიანი წესის არარსებობა, თითოეული უწყების მიერ შეფასების კრიტერიუმების საკუთარი შეხედულებით განსაზღვრა, არ არის სწორი. ჩემი მოსაზრებით, კონკურსის ეფექტურად ჩატარებისათვის საჭიროა არსებობდეს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღწერილობა, რომელთა შესაბამისად ასევე ზუსტად იქნება ფორმულირებული საკონკურსო მოთხოვნები და შეფასების (ქულათა) სისტემა.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად უქმდება ატესტაცია და მის ადგილს იკავებს შეფასების სისტემა, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ, საქართველოს კანონის VIII თავს დაერქმევა „საჯარო მოსამსახურის შეფასება„ [2]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანესებულების ხელმძღვანელი ვალდებული იქნება საკუთარ უწყებაში შეფასების ეფექტური სისტემა დანერგოს, რაც თავის მხრივ საჯარო მოსამსახურის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და დაკავებული თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

მართალია, ამჟამად მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ, საქართველოს კანონის შესაბამისად მოხელე ატესტაციას ექვემდებარება სამ წელიწადში ერთხელ და ატესტაციის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ პარლამენტში წარდგენილი ცვლილებების პროექტის თანახმად, როგორც უკვე ვთქვით, ინერგება შეფასების სისტემა, რომელიც წელიწადში ერთხელ განხორციელდება, რაც, ჩემი აზრით, მისაღებია, პირველ რიგში იმიტომ რომ შეფასების სისტემას დაექვემდებარება ყველა საჯარო მოსამსახურე და მეორე რიგში, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მაღალი კვალიფიციური კადრის ჩამოყალიბებას, საჯარო მოსამსახურეებში მოტივაციის გაზრდას, ასევე კარგი იქნება, რა თქმა უნდა, თუ შეფასების მიხედვით მოხდება საჯარო მოსამსახურეების დანიშნულება ან დაქვეითება.

როდესაც თითოეული უწყება დამოუკიდებლად განსაზღვრავს საჯარო მოხელის შეფასებას, ვფიქრობ ამ შემთხვევაში უწყება პრაქტიკულად არაფრით იზღუდება ჩაატაროს კონკურსი ან მოახდინოს სახელმწიფო მოხელის შეფასება ისე, როგორც ჩათვლის საჭიროდ. ასეთ პირობებში როცა თავად უწყების ხელმძღვანელი განსაზღვრავს შეფასებას, კონკურსის შედეგებს, ცხადია ძალზედ საეჭვოა ობიექტურობის დაცვა.

რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ შეფასების სისტემის ერთ-ერთ მეთოდს -თვითშეფასებას, ვფიქრობ, არასამართლიანია, რადგანაც ამ დროს საჯარო მოხელე აკეთებს საკუთარი თავის შეფასებას და ამ შემთხვევაში არამგონია ვინმემ საკუთარი თავი ობიექტურად შეაფასოს. თვითშეფასება ისეთი მომენტიცაა, რომ რაც არ უნდა კარგი მუშაკი იყოს პიროვნება და წარმატებულად ახორციელებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მაინც გარკვეულწილად ეჭვს ბადებს ან პირიქით, პირი, რო-

მელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და შეფასების კრიტერიუმებს შეიძლება თავისი თავი დაახასიათოს დადებითად. ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება შეფასებას თუ მოახდენენ სხვა პირები, რა თქმა უნდა, აქ ნეიტრალურ პირებზეა საუბარი და არა სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე პერსონალზე, რადგანაც თუ შეფასებას მოახდენს საჯარო სამსახურში მომუშავე პირი, რომელსაც შესამონმებელი მოხელე ექვემდებარება, აქაც შეიძლება ნავანყდეთ არაობიექტურობას. ან ყველაზე კარგი ვარიანტია, რომ მთავარი შესაფასებელი კრიტერიუმი დაკისრებული სამუშაოს შესრულების ხარისხი იყოს, როგორც ლატვიის კანონმდებლობით არის დადგენილი. ჩემი აზრით, უმჯობესია რომ ხდებოდეს მოხელის მუდმივი სწავლება და მისი შეფასების საფუძველზე ქულების მინიჭება, უნდა ტარდებოდეს მოხელეთა თანამდებობებთან შესაბამისობის შემოწმება, უნდა არსებობდეს გარკვეული რეიტინგი და საჯარო მოსამსახურეებისათვის უნდა იყოს ცნობილი, რომ ეს ქულები გახდება მათი თანამდებობრივი დანიშნულების ან პირიქით, თანამდებობიდან დაქვეითების საფუძველი. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მოტივაციას გაზრდის საჯარო მოსამსახურეებში და მოტივირებული სახელმწიფო მოხელეები უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

როგორც დავინახეთ, საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის შეფასება, შეფასების ობიექტურობა და შედეგების მოსამსახურის კარიერაზე ზემოქმედება არის საჯარო სამსახურის ეფექტური მუშაობის, მისი ავტორიტეტის და კომპეტენტურობის ერთ-ერთი მთავარი პირობა. მოხელეთა საქმიანობის შეფასების მოქნილი სისტემა იძლევა კადრების მართვის სფეროში სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, ხელს უწყობს სახელმწიფო დაწესებულებებში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას, ნდობას და მოტივაციას უკეთესი მუშაობისათვის.

ჩემი აზრით, გარანტია იმისა, რომ საჯარო სამსახურში საქმედებოდნენ და თავიანთ პოზიციას ინარჩუნებდნენ სწორად შერჩეული ადამიანები, შესაბამისი უნარებითა და კვალიფიკაციით, დამოკიდებულია სრულყოფილი შეფასების სისტემის არსებობაზე, რაც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვნად გაზრდის საჯარო სამსახურის საქმიანობის ეფექტურობას. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო მოსამსახურეების როლი ქვეყნის წარმართვასა და პოლიტიკაში საკმაოდ მაღალია.



აქედან გამომდინარე, თითოეული საჯარო მოსამსახურე საქიროებს მაღალ პროფესიონალიზმს და კომპეტენტურობას, რადგანაც ისინი არიან ხალხისა და სახელმწიფოს მსახურები. მათ მიერ დაშვებული შეცდომა აზარალებს, როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოებასაც. ამიტომ, ჩემი აზრით, საჯარო მოსამსახურეები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ თავისი პროფესიული დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რადგანაც საჯარო სამსახურის გამართული მუშაობა სწორედაც რომ მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. დემკე ქ., ევროპული საჯარო სამსახურები ტრადიციასა და რეფორმას შორის, თბილისი, 2005.
2. <http://csb.gov.ge/en/publications/draft-laws>
3. Соловьев М. О., Система оценки персонала государственной гражданской службы, Москва, 2007.
4. [dcs.astrobl.ru/images/2008-12-04-0857.doc](http://dcs.astrobl.ru/images/2008-12-04-0857.doc)
5. <http://www.csb.gov.ge/ge/publications/>
6. <http://cenpart.ru/index.php/upravlenie-personalom/357-zarubezhnyj-opyt-provedeniya-attestacii-netradicionnye-podxody-v-attestacii-personala-organizacii-chast-1>
7. [http://hrazvitie.ru/ass\\_cons.htm](http://hrazvitie.ru/ass_cons.htm)
8. <http://www.parliament.uk/mps-lords-and-offices/offices/commons/house-of-commons-commission/>
9. [http://www.assemblee-nationale.fr/connaissance/fiches\\_synthese/fiche\\_68.asp](http://www.assemblee-nationale.fr/connaissance/fiches_synthese/fiche_68.asp)

**Nana Kharadze**

*PHD student of Law, Georgian Technical University*

## **Systems of Evaluation in the Public Service of foreign countries**

### **Summary**

The aim of the following work is to reveal an importance of implementation of systems of evaluation at public service and actuality in relation with Georgia, to emphasize the difficult situation in our country and correspondingly to show the necessity of reform. Also to reveal how important is for our state an impementation of flexible system of evaluation because the public service creates an important base of an advance of the country.

we talk about the legislation of Latvia, Great Britain, Switzerland, England, Russian federation, the USA, how they regulate the issues connected with the system of evaluation. We set and answer the questions about an importance of an existence of evaluation system, wthat is already known about it, what imperfections has this system, what methods are worked out to solve the problem, what imperfections have famous methods, and proposals are worked out to improve existing imperfections by the following work.

# ს ა მ ხ ე დ რ თ ი ს ტ ო რ ი ა

## არჩილ ჩაჩხიანი

*ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი*

### **ქართული იუნკრები — ეტიმოლოგია, სასწავლო პროცესი და პირადი შიშაღვანელობა საარქივო დოკუმენტაჟში**

დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი...

დღეს უკვე საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სამხედრო ისტორიის ანალებში დაიმკვიდრა ადგილი კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებმა — ამ ომის ალბათ ყველაზე უფრო ღირსსახსოვარმა ფურცლებმა...

დღეს უკვე სახელოვან ქართველ მეომართა კოჰორტას შეუერთდნენ კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლების უკვდავი გმირები, ახალგაზრდა ქართველი მეომრები — იუნკრები...

დღეს, მართალია დიდი დაგვიანებით, მაგრამ მაინც, რალაც ამალღებული და ერთგვარი საკრალური დატვირთვაც კი შეიძინა ქართველი ერისათვის სიტყვა „იუნკერმა“. იგი ქართველი მეომრის თავდადების, ღირსებისა და პროფესიული მოვალეობისადმი ერთგულების ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა.

და დღეს უკვე დადგა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და ჭეშმარიტი ისტორიის წარმოჩენის, ჭეშმარიტი ისტორიის დაწერის დრო. საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური მანქანის მიერ ათწლეულების განმავლობაში შესწავლისათვის ტაბუდადებული თემები უნდა გაიხსნას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოების გაყალბებული ისტორია დავიწყებას უნდა მიეცეს, მისი ფურცლები კი, ხელმეორედ უნდა დაინეროს. ამ ახალი

ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ეპიზოდს ქართველ იუნკერთა მიერ წარმოებული საარაკო ბრძოლა და სამშობლოსათვის მათი თავდადების ამბავი წარმოადგენს...

და მაინც ვინ იყვნენ ქართველი იუნკრები? ვინ და რამდენნი იყვნენ ეს ახალგაზრდა ქართველი მეომრები, რომლებმაც 1921 წლის 19-24 თებერვლის პერიოდში სახელოვანი ბრძოლები აწარმოეს მტერთან და უკან არ დაუხევიათ, ბოლომდე დარჩნენ მხედრული მოვალეობისა და ფიცის ერთგულნი? როგორ შეძლეს მათ მე-11 ნითელი არმიის მრავალრიცხოვანი მენინავე შენაერთების შეკავება თბილისის მისადგომებთან? მხედრული წრთობის რა გზა გაიარეს და როგორი შემართებით მოვიდნენ ისინი კოჯორ-ტაბახმელამდე? რამ აიძულათ ისინი ფეხი არ მოეცვალათ დაკავებული პოზიციებიდან და 9 ძმა ხერხეულიძისა და 300 არაგველის დარ უკვდავებას ზიარებოდნენ? ვინ იყვნენ მათი აღმზრდელები და ის სამხედრო მეთაურები, რომლებმაც მათში სამშობლოს სიყვარული, ღირსების გრძნობა, პატრიოტიზმი და უდრეკი მეომრის სული გამოაწრთო? რატომ იკრძალებოდა და ათწლეულების განმავლობაში საგულდაგულოდ რატომ იმალებოდა საბჭოთა რეჟიმის მიერ ქართველ იუნკერთა მიერ წარმოებული გმირული ბრძოლის ისტორია?

დაბოლოს, როგორ წარიმართა მათი შემდგომი ამქვეყნიური ცხოვრების გზა და რატომ არ უნდა დავივიწყოთ ეს საამაყო სახელი — ქართველი იუნკერი?!

კითხვები საკმარისზე მეტია და მათზე ამომწურავ პასუხებს ალბათ ერთი სქელტანიანი მონოგრაფიაც ვერ დაიტევს, მაგრამ ამჯერად შევეცდებით ქართველ იუნკრებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს მოვფინოთ ნათელი.

ამ ერთი შეხედვით თითქოს ტრივიალური თემისა და საკითხების კვლევას არაერთი ქართველი მეცნიერი აწარმოებდა გუშინ და ალბათ აწარმოებს დღესაც, მაგრამ ამ პროცესსა და მის შედეგებში ერთი საერთო ტენდენცია შეიმჩნევა. პრაქტიკულად ყველა ნაშრომი მხოლოდ და მხოლოდ მემუარულ მასალებზეა აგებული, ეს კი არ გამორიცხავს ცალკეული უზუსტობებისა და შეცდომების არსებობასაც. ისტორიკოსებისა და ქართული საზოგადოების მხრიდან თემით დაინტერესებულთა რიცხვი ძალიან დიდია, რაც სხვადასხვა მოცულობისა თუ აკადემიური დონის პუბლიკაციებისა და წერილების გამოქვეყნებაში გამოიხატება ქართულ პერიოდიკასა თუ შესაბამის ინტერნეტ გვერდებზე. ეს პროცესი გასაგებია,

რამეთუ ქართველ იუნკერთა თემა მართლაც უმნიშვნელოვანესი საკითხია ქართული საზოგადოებისათვის. ამ პუბლიკაციებში კი, უზუსტობები მართლაც ბევრია, ზოგიერთი — არსებითი ხასიათისა. ამჯერად არ შევუდგებით თემის ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას და ცალკეულ ავტორთა ნაშრომების განხილვა-დახასიათებას. ჩვენი კვლევის მიზანს, შეზღუდული ფორმატის გამო, ამჯერად არ წარმოადგენს ამ ნაშრომებისა თუ პუბლიკაციების კრიტიკა.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ აქამდე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსა და კვლევებში მაინც არაა ბოლომდე დამაჯერებლად და ზუსტად წარმოდგენილი ქართველი იუნკერთა პირადი შემადგენლობა (სიობრივი მონაცემები, ჯარების გვარეობებისა და სამხედრო სპეციალობების მიხედვით სასწავლო ჯგუფების შემადგენლობა), სამხედრო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი (სასწავლო დისციპლინების ზუსტი ჩამონათვალი და პროფესორ-მასწავლებლები), სრული სტატისტიკური მონაცემები იუნკერთა საბრძოლო დანაკარგებთან დაკავშირებით (საბრძოლო მოქმედებებში მოკლულები, დაჭრილები, ავადმყოფები), მათი ცხოვრების შემდგომი გზა და ა.შ. რაც შეეხება იუნკერთა საკითხის შესწავლას წმინდად სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით, მათ გასვლას საომარ მოქმედებათა თეატრებზე და მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში, აგრეთვე ცალკეული ბრძოლებისა თუ საბრძოლო ეპიზოდების ტაქტიკური მონახაზების შესწავლას — ამ თემატიკას მოგვიანებით, შემდგომ კვლევებში წარმოვადგენთ ალბათ.

ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალში კი იმდენად განსხვავებულ მოსაზრებებს ვხვდებით, რომ ძნელად დასაჯერებელია, ეს მონაცემები ერთი და იმავე საკითხს თუ ეხება. თვით იუნკერთა რაოდენობის შესახებ ქართულ საინფორმაციო სივრცესა და სხვადასხვა სახის პუბლიკაციებსა თუ სტატიებში, თუნდაც მხოლოდ კოფორიტაბახმელას ბრძოლების განხილვისას, ცალკეულ ავტორთა მიერ მათი ფანტაზიებისა და გემოვნების შეაბამისად, იუნკერთა რაოდენობა რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე მერყეობს. სხვადასხვა პუბლიკაციებსა და ნაშრომებში ბრძოლაში დაღუპულთა რიცხვი კი, მთელი პირადი შემადგენლობის ნახევარს თუ არა, რამდენიმე ათეულს მაინც შეადგენს. ეს კი, დიდი შეცდომაა. რუსეთ-საქართველოს მეორე ომში, 1921 წლის 19-24 თებერვალს თბილისის მისადგომებთან წარმოებულ კოფორიტაბახმელას ბრძოლებში სულ 148 (118 ქვეითი, 10 საინჟინრო, 15 არტილერიის და 5 კავალერიის სპეციალობის) იუნკერი იღებდა მონაწილეობას

და რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს მკითხველისათვის, მათგან მხოლოდ 9 იუნკერი დაიღუპა. თუ უფრო დავაზუსტებთ, უშუალოდ ბრძოლის ველზე — 8, ხოლო ერთი — II კურსის ქვეითი სპეციალობის უმცროსი პორტ. იუნკერი ილია ჯანდიერი, ოდნავ მოგვიანებით, უკვე თბილისის საავადმყოფოში გარდაიცვალა ფრონტზე მიყენებული მძიმე ჭრილობების გამო. ამ რიცხვში არ შედიან ტაბახმელას ბრძოლაში იუნკერთა ბატალიონის დაღუპული ოფიცრები, ასეულის მეთაური, მაიორი ანანია არჯევანიძე და საინჟინრო საქმის ინსტრუქტორი, კაპიტანი ირაკლი თოიძე.

სხვათა შორის, ბრძოლაში მოკლული იუნკრების არასწორი რიცხვი — 10, მოჰყავს თვით გენერალ ალექსანდრე ჩხეიძეს თავის მემუარში — „სამხედრო სკოლა“ [1, 65]. თუმცა, შემდეგ მემუარში — „ჩემი მოგონებების დასასრული“ (ჟურნალი „მხედარი“, №17, პარიზი, 1934 წელი), იგი უკვე ბრძოლებში გმირულად დაღუპული იუნკრების სწორ რაოდენობას — ცხრას ასახელებს.

გასაგებია, რომ საკვლევი თემის შესახებ აქამდე გამოქვეყნებული ნაშრომების ძირითად წყაროთმცოდნეობის ბაზას მემუარული ლიტერატურა წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწეთა — გენერალ კვინიტაძის, გენერალ ზაქარიაძის, პოლკოვნიკ (შემდგომში გენერალ) ჩხეიძის, გენერალ ბაქრაძის, პოლკოვნიკ ცხაკაიას, იუნკერ მათიკაშვილისა და კვალიაშვილის, იუნკერ ნანუაშვილისა თუ სხვათა მოგონებები. ამ საკითხთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, შეუფასებელია დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, პროფესორ გურამ შარაძის როლი და ღვაწლი. სწორედ მისი დაუღალავი და თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო ის დიდი ეროვნული საქმე, რითაც საქართველოს, ქართველ ხალხს, უცხოეთიდან ფასდაუდებელი ემიგრანტული ლიტერატურა და საარქივო, ე.წ. „ჰარვარდისა“ და „ლევილის“ ფონდის დოკუმენტები დაუბრუნდა. მისივე რედაქტორობით დაინერა „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ შვიდტომიანი. სწორედ პროფესორ გურამ შარაძის დამსახურებაა ის დიდი მამულიშვილური საქმე, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი, 1917-1921 და შემდგომი წლებიც, გაქრობას გადაურჩა. ქართული ეროვნული მეხსიერება, მისი ისტორია გადარჩა.

ეს მემუარები თემის კვლევისათვის უძვირფასეს მასალასა და წყაროს წარმოადგენს, მაგრამ სანდოობის თვალსაზრისით მათ-

თან მიმართებაში გარკვეული სიფრთხილაც უნდა იქნას გამოჩენილი, რამეთუ მეცნიერული კვლევებისათვის მათ უტყუარ პირველწყაროებს ვერ მივაკუთვნებთ. მემუარებში მოყვანილი ცნობებისა და ინფორმაციის შეჯერება-გაძლიერება უტყუარი დოკუმენტური მონაცემებით უნდა მოხდეს.

მკაცრად მეცნიერული თვალსაზრისით კი, ამა თუ იმ საკითხის შესწავლისადმი ზერელე მიდგომა ყოვლად დაუშვებელია, მით უმეტეს, როდესაც საკვლევი თემა და მისი ქრონოლოგია სულ რამდენიმე ათეული წლის წინანდელი რეალების ზუსტად ასახვასა და წარმოდგენას ეხება. დღეს დაშვებული შეცდომების გამოსწორება კი, შემდეგ ძალიან გართულდება. გასაგებია თუ რამდენად არაზუსტად და დამახინჯებულად იქნება ეს პერიოდი აღნუსხული საქართველოს ისტორიისა და საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალებში მომავალი თაობებისათვის. ისტორიის გაყალბება კი, თუნდაც უნებლიე, მიუტევებელი და მძიმე გადაცდომაა, რაოდენ მკაცრადაც არ უნდა ჟღერდეს ჩვენი ეს დასკვნა. საკითხთან ასეთი მიდგომა თავის შხამიან ნაყოფს მხოლოდ წლებისა და ათწლეულების შემდეგ მოგვცემს, რომლის გამოსწორება უკვე შეუძლებელი იქნება. ისტორია წინაპართა და გარდასულ მოვლენათა შესახებ არა პათეტიკური ტონით აღწერილი ჰეროიკული ტრაქტატების კრებული, არამედ პირველ რიგში, რეალების ზუსტი აღწერა, ან უკიდურეს შემთხვევაში, მაქსიმალურად დაზუსტებული და კრიტიკულად გააზრებული ფაქტებისა და მსჯელობების დიალექტიკური ერთიანობაა. ამ საკითხთან მიმართებაში XIX საუკუნის დიდ სამხედრო მოღვაწესა და ფილოსოფოსს, თანამედროვე ომის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გენერალ კარლ ფონ კლაუზევიცს (Carl von Clausewitz) მოვიხმობთ:

„ჩვენ ვანსხვავებთ ისტორიული მოვლენის კრიტიკულ გადმოცემას ჩვეულებრივი გადმოცემისაგან, რომელიც მხოლოდ რიგითობით ალაგებს მოვლენებს და ოდნავ ეხება მის გამომწვევ მიზეზებს. ასეთ კრიტიკულ გადმოცემაში გონებრივი მოქმედების საში სახე შეიძლება გამოვყოთ.

პირველ რიგში — ისტორიული ძიება და საეჭვო ფაქტების დადგენაა. ესაა ისტორიული ძიება, რომელსაც თეორიასთან არაფერი არა აქვს საერთო;

მეორე — მიზეზ—შედეგობრივი კავშირი. ეს თეორიისათვის აუცილებელია, რადგან ყველაფერი რაც თეორიულად მიიღწევა ან აიხსნება ცდების საშუალებით, მხოლოდ ამ გზით მიიღწევა.

მესამე — გამოყენებული საშუალებების მიზანშეწონილობის შეფასება. ესაა — აზრობრივად თავად კრიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს შექებასა და მიბაძვას. აქ უკვე თეორია ემსახურება ისტორიას, ან უფრო ზუსტად იმ სწავლებას, რაც ისტორიიდან შეიძლება გამოვარჩიოთ“ [2, 96-97].

აქვე დავესესხებით უკვე XX საუკუნის ბრიტანელ მოაზროვნესა და თანამედროვე სტრატეგიის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, სერ ბაზილ ჰენრი ლიდელ ჰარტს (Sir Basil Liddell Hart) და კლაუზევიცისაგან განსხვავებით, ძალიან მარტივად და გასაგებად ვიტყვით, რომ „ისტორია კაცობრიობის მიერ დაშვებული შეცდომების კატალოგია... ჩვენი მოვალეობა კი ისაა, რომ გავითვალისწინოთ ეს საკითხი და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ მისგან“ [3, 43].

ჩვენს კვლევას გარკვეულ თემატურ ჩარჩოებში მოვაქცევთ და წარმოდგენილ ნაშრომში ქართველ იუნკრებთან და სამხედრო სკოლასთან დაკავშირებულ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს განვიხილავთ. კერძოდ, იუნკერთა პირადი შემადგენლობის სიობრივ მონაცემებს ჯარების გვარეობებისა და სასწავლო სპეციალობების მიხედვით, სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ დისციპლინებსა და მათ ნამყვან პედაგოგებს, იუნკერთა საბრძოლო დანაკარგების სტატისტიკას და იუნკერთა ემიგრაციაში გასვლის ქვეყნებს. ცხადია, ეს საკითხები, ძირითადად, უტყუარ საარქივო მასალებსა და დოკუმენტებში იქნება წარმოდგენილი.

თემის განხილვას კი თვით სიტყვა „იუნკერის“ ეტიმოლოგიით დავიწყებთ, რამეთუ ამ საკითხთან მიმართებაშიც ქართულ საინფორმაციო სივრცეში არსებულ პუბლიკაციებსა და გამოქვეყნებულ ნაშრომებში გარკვეული უზუსტობები შეინიშნება.

სიტყვა „იუნკერს“ (Juncherre) გერმანული წარმომავლობა აქვს და აზრობრივად იგი მიწათმფლობელს, მემამულეს აღნიშნავდა. პირდაპირი მნიშვნელობით კი, იგი „ახალგაზრდა ბატონს“ ნიშნავს. სწორედ თავადაზნაურული წარმომავლობის სტატუსის აღმნიშვნელი იყო იუნკერთა გვარების თავსართი „ფონ“ (Von), რაც ბატონს ნიშნავდა. იუნკერთა ფენის წარმოქმნა და აღმავლობა გერმანელთა დიდი აღმოსავლური მიგრაციისა და პრუსიაში დასახლების პერიოდს უკავშირდება. XVI საუკუნეში, აღმოსავლეთ პრუსია, თავის დროზე ტევტონთა ორდენის მიერ დაპყრობილი მიწები, პოლონეთის საჰერცოგო იყო. პრუსიისაკენ დაწყებული გერმანელი ხალხის აღმოსავლური ექსპანსიის ეს პროცესი დღევანდელი



დასავლეთი და ცენტრალური გერმანიიდან ნაკლებად დასახლებულ აღმოსავლეთ ევროპულ მიწებზე სლოვენიასა და ესტონეთამდე მიმდინარეობდა, სამხრეთით კი ტრანსილვანიამდე, რაც რომის საღვთო იმპერიისა და ტევტონთა ორდენის ტერიტორიული გაფართოების შედეგი იყო. გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში იუნკრები უკვე პრუსიის საშუალო და მსხვილ მინათმფლობელ ფეოდალებად, მემამულეებად გვევლინებიან. ევროპის ახალი ისტორიის მკვლევარის, ბრიტანელი ისტორიკოსის, ალან ტეილორის (Alan J. P. Taylor) მიხედვით, პრუსიელ იუნკერთა მამულებში ძირითად მუშა ძალას სლავი გლეხები წარმოადგენდნენ [4, 20].

1701 წელს პრუსიის გერმანული მიწა სახელმწიფო ხდება, ხოლო ბრანდენბურგის დიდი კურფიურსტი, ფრიდრიხ I ჰოჰენცოლერნი — მისი პირველი მეფე. ისტორიულ ასპარეზზე გამოსულმა პრუსიამ ნელ-ნელა დაიწყო ძალების მოკრეფა. სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და დაკარგული პოზიციების მოპოვების გზაზე, აქცენტები სამხედრო პოტენციალის გაზრდაზე გაკეთდა. XVIII საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო და გაჩნდა აბსოლუტიზმის გამარჯვების ნიშნები. საერო ხარისხებმა პრუსიაში ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგეს.

1733 წელს, სამხედრო ყაიდაზე მოწყობილ პრუსიის კანტონურ სახელმწიფოში „მეფე-ჯარისკაცის“, ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ის მიერ გამოცემული ე.წ. „კანტონ-რეგლამენტის“ ძალით, პრუსიის რეგულარული არმიის დაკომპლექტება ტერიტორიულ-სამოხილ-ზაციო სისტემაზე გადავიდა. მთელი სახელმწიფო ფაქტიურად ერთ დიდ სამხედრო ბანაკად იქცა. მისი ინტერესები მიმართულ იქნა დასუსტებული შვედეთის, დაშლის პირას მყოფი პოლონეთისა და თავისი მეტოქის, ავსტრიის წინააღმდეგ. დაიწყო ახალი სამხედრო სისტემის შექმნა — რეგულარული არმია, ჯარების კომპლექტაციის ახალი წესი, დესპოტიზმამდე მიყვანილი დისციპლინა, უმკაცრესი წვრთნები. შემოტანილ იქნა ჯარების ორგანიზაციის ე.წ. „საკანტონო სისტემა“ — მთელი ქვეყანა დაიყო საპოლკო ოლქებად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფოდა ასეულების რაიონებად [5]. პრუსიის არმიის ოფიცერთა კორპუსი — ამ ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების სამეთაურო შემადგენლობა, უპირატესად სწორედ პრუსიელი დიდგვაროვანი მემამულეებისაგან, იუნკერებისაგან ჩამოყალიბდა, რომელიც ამავე დროს ჯარის ყველაზე საიმედო ნაწილს წარმოადგენდნენ. ფრიდრიხ II „დიდის“

ეპოქაში კი, ე.წ. „შვიდწლიანი ომის“ (1756-1763წ.წ.) დასრულების შემდეგ, იუნკერები უკვე სამხედრო არისტოკრატიულ კლასად ყალიბდებიან და ჩრდილოეთ გერმანული მიწების (აღმოსავლეთი და დასავლეთი პრუსია, ბრანდენბურგი, პომერანია, სილეზია, პოზენი) უმეტესობას ფლობენ.

გერმანიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწებზე არსებული პოლიტიკური სტატუსისა და სოციალური მდგომარეობისაგან განსხვავებით, იუნკერთა გავლენა შედარებით სუსტი იყო სამხრეთის გერმანულ კათოლიკურ სახელმწიფოებში, როგორც იყო მაგალითად, ბავარიის სამეფო ან ბადენის დიდი საჰერცოგო, სადაც მინათმფლობელებს წვრილი ფერმერები წარმოადგენდნენ.

როგორც ჰოჰენცოლერნების სამეფო სახლის მთავარი საყრდენი კლასი და ძალა, და სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენლები, იუნკერები ჯერ პრუსიის, ხოლო 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დასრულებისა და გერმანული მიწების გაერთიანების შემდეგ, მთლიანად გერმანიის საიმპერატორო არმიასაც აკონტროლებდნენ. XX საუკუნის დასაწყისის ამერიკელი ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის, ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორის, ფრედერიკ ოსტინ ოგის (Frederic Austin Ogg) სიტყვებით — „პრუსია მართავს გერმანიას, მაგრამ რადგან იუნკერები მართავენ პრუსიას, ე.ი. ისინი მართავენ გერმანიას“... [6, 681].

დიდი იყო იუნკერთა როლი აგრეთვე ქვეყნის პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში. სწორედ იუნკერთა კლასის წარმომადგენელი იყო XIX საუკუნის დიდი პრუსიელი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, თანამედროვე ომის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი, გენერალ-მაიორი კარლ ფონ კლაუზევიცი, პრუსიისა და გაერთიანებული გერმანიის უდიდესი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი, XIX საუკუნის დიდი გერმანელი სტრატეგოსი და მოაზროვნე, პრუსიული სამხედრო სკოლისა და გენშტაბის შემქმნელი, თანამედროვე ომების საშტაბო მართვის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე. იუნკერ მემამულეთა კლასს მიეკუთვნებოდა აგრეთვე XX საუკუნის დიდი გერმანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის რაიჰსპრეზიდენტი 1925-1934 წლებში, ფელდმარშალი ერიხ ფონ ჰინდენბურგი. ამ სიის გაგრძელება უსასრულობამდე შეიძლება.

რუსეთის იმპერიის სინამდვილეში, როგორც პრუსიული სამხედრო სკოლის ერთ-ერთ ძირითად მიმდევარ ქვეყანაში, და მის

სამხედრო სტრუქტურებში, სიტყვა „იუნკერი“ პრუსიიდან შევიდა. მაგრამ აქ მისმა მნიშვნელობამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა. მან დაკარგა თავისი პირვანდელი წარმომავლობითი დატვირთვა. მემამულისა და სამხედრო არისტოკრატის აღმნიშვნელმა ამ სიტყვამ რუსეთში წმინდათ სამხედრო წოდების აღმნიშვნელი ტერმინის მნიშვნელობა მიიღო. იუნკერის ცნება პრუსიიდან შეედეთშიც შევიდა, სადაც იგი დღემდე გამოიყენება.

რუსეთის არმიაში სიტყვა „იუნკერი“ გარდამავალ წოდებას წარმოადგენდა უმცროსი (უნტერ) ოფიცრიდან უფროს (ობერ) ოფიცერზე. ეს სამხედრო წოდება ეძლეოდათ ქვეითი ჯარის იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც მიაღწიეს კაპიტნის (ან მასთან გათანაბრებულ) ჩინს და კანდიდატებს წარმოადგენდნენ უფროსი ოფიცრის პირველი წოდების მიღებაზე. ქვეითთა გარდა იუნკერის წოდება სხვა გვარეობის ჯარებშიც არსებობდა. კერძოდ, არტილერიასა და საინჟინრო ჯარებში — შტუკ-იუნკერი (შტიკ-იუნკერი), რომელიც რუსულში, სხვათა შორის, შვედური არმიის ანალოგიით იქნა შემოტანილი, ესტანდარტ-იუნკერი — მძიმე კავალერიაში, ხოლო ფანენ-იუნკერი — მსუბუქ კავალარიაში. რუსულ ფლოტში კი, იუნკერის წოდება ფლოტის სამსახურში შესული უმაღლესი განათლების მქონე პირებს ენიჭებოდათ. ცარისტულ რუსეთში მეფის ოჯახთან დაახლოებული პირებისათვის არსებობდა აგრეთვე მეფის სასახლის კარის სპეციალური სამოქალაქო (სტატსკი) ჩინი — „კამერ-იუნკერი“. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1833 წლის 31 დეკემბერს, ტიტულარულ მრჩეველს, (რუსეთის იმპერიაში მოქმედი საჯარო სამსახურის ტაბელ-რანგის მიხედვით მე-9 კლასის ჩინს, რაც სამხედრო უწყების კაპიტნის წოდებას შეესაბამებოდა) ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინს, სასახლის კარის კამერ-იუნკერის წოდება ებოძა [7].

უკვე მოგვიანებით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის იმპერიაში „იუნკრებად“ იწოდებოდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც სპეციალიზებულ სამხედრო სკოლებში სწავლობდნენ და სამხედრო საქმის საფუძვლებს ეუფლებოდნენ. სკოლის დასრულების შემდეგ კი, იუნკრებს ოფიცრის პირველადი წოდება — „პოდპორუჩიკი“ ენიჭებოდათ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვარდიის იუნკრები თავიდანვე არმიის პოდპორუჩიკების ჩინს უთანაბრდებოდნენ.

ქართულ სინამდვილეში, მის სამხედრო სტრუქტურაში, სიტყვა „იუნკერი“ რუსეთიდან შემოვიდა. ეს მოვლენა უკვე საქარ-

თველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და ქართული ეროვნული შეიარაღებული ძლების შექმნის პროცესს უკავშირდება. 1918-1921 წლები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის პერიოდი იყო. თავიდანვე მტრულ საგარეო გარემოცვაში მყოფი ახალგაზრდა რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საკუთარი, ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ეს ურთულესი პრობლემა, ცხადია, საკუთარი პროფესიონალი სამხედრო კადრების მომზადების გარეშე ვერ გადაიჭრებოდა. მართალია, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა და მსახურობდა რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ ნამსახურები მაღალი და საშუალო რანგის პროფესიონალი და პატრიოტული გრძნობებით აღსავსე ოფიცერთა კორპუსი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ქართველი ახალგაზრდების ზიარება სამხედრო საქმესა და სამხედრო ხელოვნებასთან. საჭირო იყო ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული ისეთი უმცროს ოფიცერთა კადრების მომზადება, რომლებიც მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების საფუძვლებს იქნებოდნენ დაუფლებულნი. სწორედ ამაში მდგომარეობდა იდეის მთავარი არსი. „სწავლა და განათლება“ და არა მხოლოდ „წვრთნა და ვარჯიში“, „ფიქრი და აზროვნება“ და არა მხოლოდ „დამახსოვრება და მიბადვა“, „რწმენა და ღირსება“ და არა მხოლოდ „რიდი და მოვალეობა“, „ეროვნული სულისკვეთება და პატრიოტიზმი“ და არა „შიში და მორჩილება“...

სწორედ, ამ აზრობრივი დატვირთვით იქნა არჩეული სიტყვები „სამხედრო სკოლა“ და „იუნკერი“ პირველი ქართული რესპუბლიკის მომავალი სამხედრო კადრის სამჭედლოსა და მომავალი ახალგაზრდა ოფიცრებისათვის და არა უბრალოდ სიტყვა „მსმენელი“ ან რუსული სიტყვები „კურსანტი“ და „სამხედრო სასწავლებელი“.

1919 წლის შემოდგომაზე, თბილისში ქართველ იუნკერთა სამხედრო სკოლა დაარსდა. იგი ყოფილი პლენანოვის ქუჩაზე, ყოფილი რუსული სამხედრო სასწავლებლის შენობაში განთავსდა.

იუნკერთა სკოლის პირველი უფროსის, საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი მთავარსარდლის, გენერალ გიორგი კვინიტაძის აქამდე უცნობი მემუარიდან:

„უმეტესობის აზრი იყო, რომ სახელი აგველო რუსულ სახელის უშუალო თარგმანიდან და დაგვერქო „სამხედრო სასწავლებელი“, ხოლო თვით სამხედრო განათლება მაქსიმალურად ყოფილი-

ყო შეკვეცილი განვრთნისა და თეორიული სწავლების პრაქტიკული მინიმუმით. მე წინაუკმო აზრისა ვიყავი და როგორც სკოლის მომავალ უფროსმა, გავიყვანე შემდეგი აზრი: ეს უნდა ყოფილიყო არა სასწავლებელი, არამედ ქართული სამხედრო აზროვნების სამჭედლო, ქართულ სამხედრო დოქტრინის კათედრა; ამიტომ მისი ნამდვილი სახელი უფრო სამხედრო სკოლა იყო, ვიდრე რუსულიდან ნათარგმნი სამხედრო სასწავლებელი“ [8, 20].

იუნკერთა სკოლის მთავარი დანიშნულება მომავალ ოფიცერთა არა მხოლოდ სამხედრო კუთხით განვრთნა და მათი სამხედრო ხელოვნებასთან ზიარება, არამედ, პირველ რიგში, მათში ქართული სულის გამოღვიძება და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ კი, სასწავლო პროცესის წარმართვის საქმეში არსებითი ხასიათის სირთულეებს ჰქონდა ადგილი. კარგადაა ცნობილი, რომ მაღალი რანგის ქართველ ოფიცერთა დიდმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა, ანდა, თუ იცოდა, ძალიან ცუდად. თვით გენერალი კვინიტაძეც კი, ჩრდილოეთ კავკასიაში დაბადებული და გაზრდილი კაცი, ვერ ფლობდა მშობლიურ ენას, რასაც იგი, სხვათა შორის, ძალიან განიცდიდა. სამხედრო საქმით დაკავებული გენერალი, მიუხედავად დროის უდიდესი დეფიციტისა, მაინც კოულობდა დროს და ძალას, რომ ეს ნაკლი გამოესწორებინა. ბედის ირონიაა ალბათ ისიც, რომ თანამდებობიდან გადამდგარი და იძულებით „შვებულებაში“ არაერთხელ გასული მთავარსარდალი უქმად არ კარგავდა დროს და დიდი მონდომებით სწავლობდა ქართულ ენას.

ქართული ენის ფლობისა და საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნის საქმეში გარკვეული სირთულეები იუნკრებშიც შეიმჩნეოდა. სწორედ ამიტომ, მომავალ ქართველ ოფიცერთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის გენერალ კვინიტაძის მიერ მიღებული იქნა გადანყვეტილება, რომ სასწავლო პროგრამებში შეტანილი ყოფილიყო ისეთი საგნები, როგორიცაა მშობლიური ლიტერატურა და საქართველოს ისტორია, აღარაფერს ვამბობთ საქართველოს სამხედრო ისტორიასა და სამხედრო გეოგრაფიაზე. მასწავლებლებად კი, ცნობილი ქართველი მეცნიერები და პედაგოგები მოენვია. ისევ გენერალი კვინიტაძე: „გარდა ამისა, მე არ მწამდა განვრთნა მხოლოდ იარაღის ხმარებაში, მე მსურდა აღზრდა ქართული სულით. ამიტომ იყო, რომ გარდა ფართო სამხედრო თეორიული საგნებისა, სპეციალურად გავიყვანე, რომ სამხედრო სკოლაში ასწავლიდნენ ისეთ არასამხედრო საგნებს, როგორც ქართული

ენის სიტყვიერებას და საქართველოს საერთო ისტორიას. ამისათვის მონვეულ იქმნენ ისეთი საუკეთესო პროფესორები ამ საგნებისა, როგორც ვასო ბარნოვი და ს. კაკაბაძე“ [8, 21]. და შემდეგ: „რასაკვირველია ეს დროებითი და გარდამავალი ზომა იყო, სანამ სასწავლებლები მოგვანოდებდნენ სრულიად ქართულად აღზრდილ მონაფეებს“.

გარკვეულწილად ეს მდგომარეობა შეგვიძლია შევადაროთ XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ნაპოლეონის ეპოქის საფრანგეთის „რევოლუციურ არმიას“ არსებულ გარდამავალ მდგომარეობას ე.წ. „დემიბრიგადებთან“ მიმართებაში. აქ, ქვეითი ბრიგადების კლასიკურ ტრიანგულარულ სტრუქტურაში სამი ბატალიონიდან ერთი, ლუდოვიკოს არმიის ყოფილი ოფიცრებით, ხოლო დანარჩენი ორი — „სახალხო რევოლუციური“ არმიის ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული. შემდგომში უნდა განხორციელებულიყო შენაერთების სრული ჰომოგენიზაცია, ანუ, ლუდოვიკოს არმიის დარჩენილი ელემენტების სრული შერწყმა „რევოლუციურ არმიასთან“ და გადასვლა კომპლექტაციის ახალ სისტემაზე, რაც სინამდვილეშიც ასე მოხდა.

მომავალი ქართველი ოფიცრების აღზრდის საქმეში ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული სამხედრო სკოლის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის საქმიანობაც:

„როდესაც ვიგონებ სკოლის გახსნის დღეს, ძალაუნებურად მაგონდება ის განცდანი, რომელიც პირადად მე ვიგრძენი. არ ვიყავი უკვე ახალგაზრდა ოფიცერი, თან მახლდა 26 წლის პრაქტიკა სამხედრო დარგში. მქონდა მიღებული დიდი გამოცდილება რუსულ სამხედრო სკოლებში სამსახურით, და გარდა ამისა, საბრძოლო გამოცდილება დიდ ომში მიღებული. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მომზადება მქონდა საკმარისი და ეს მაძლევდა უფლებას ამელო ჩემ თავზე ისეთი მძიმე ამოცანა, როგორც ახალგაზრდების აღზრდა და მათი სამხედრო ხელობაში განვრთნა...“

სწორედ დადგა შესაძლებლობა შემესყიდა მძიმე დანაშაული, რომელიც ჩავიდინეთ ჩვენ და თითქმის მთელმა ჩვენმა ერმა სხვადასხვა დარგში მტრულ ერისადმი სამსახურით... ეჭვი მეპარებოდა, რომ შევძლებდი ახალგაზრდების განვრთნას და მათგან კარგ ოფიცრების შექმნას, მაგრამ ამავე დროს იმასაც ვგრძნობდი, რომ არ არის საკმარისი მათი მხოლოდ განვრთნა და მათგან ერთგვარი ავტომატების შექმნა.

განვრთნასთან ერთად, საჭირო იყო, პირველ ყოვლისა, მათი აღზრდა, მათში ქართული სულის გაძლიერება, წინაპრების სულიერ ძალების გაღვივება; საჭირო იყო მათში კეთილშობილ მამა-პაპური სისხლის ანთება; საჭირო იყო გაღვივება ყოველივე იმისა, რაც დახშული იყო რუსეთის ტყვეობაში ყოფნის ხანაში — ერთი სიტყვით, შექმნა ოქროს ხანის პატრიოტ მხედრებისა“ [9, 6-7].

პოლკოვნიკ ვიქტორ ცხაკაიას შეფასებით კი, რომელიც იუნკრებს ტოპოგრაფიას ასწავლიდა, სკოლის წინაშე დასახული მიზნების მიღწევაში არანაკლები როლი იუნკერთა შინაგანმა მზაობამ, მათმა პატრიოტულმა განწყობამ და მონდომებამ ითამაშა: „როგორც მახსოვს, სკოლა გაიხსნა 1919 წლის სექტემბერში. არავითარი წვრთნა ამ ახალგაზრდებს ჯერ არ ჰქონიათ, როდესაც მე დავინყე იქ ჩემი ლექციები იმავე წლის ოქტომბერს. რამოდენიმე ლექციის შემდეგ, როდესაც მათ დავაკვირდი, და გავეცანი მათ სულიერ განწყობილებას, განცვიფრებული დავრჩი. მე ვკითხულობდი მათ თვალელებში — რაზომ შესტრფოდნენ ისინი თავის სამშობლოს დამოუკიდებლობას და ლექციებიდან სრულიად დამშვიდებული გამოვიდიოდი. და ეს იმ ხანად, როდესაც ირგვლივ ყოველივე იყო აფორიაქებული და არავითარი რწმენა მე არა მქონდა, ვინაიდან თვალწინ მედგა ქართველი ერი პარტიათა ბრძოლის მიერ გულ-დაღარული.“

მერე რა გულმოდგინედ ითვისებდნენ ლექციებს! ეს იყო დაფიქრებული ახალგაზრდობა; ეს იყო ბურჯი ქართველი ერის სასოებისა! ვფიქრობდი, — ოთხი-ხუთი წელიწადი თუ დააცალეს, ეს ახალგაზრდობა არ დაანებებს თვის სამშობლოს გასაქელავად, მაგრამ არ დააცალეს...“ [10, 440].

! ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში სიტყვა „იუნკერის“ დამკვიდრებით ხაზგასმული იყო ქართული სამხედრო სკოლის მოწაფეთათვის საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების საფუძვლების სიღრმისეული სწავლების არსი და ფორმა. იუნკერი არა მხოლოდ კარგად განვრთნილი მომავალი ახლგაზრდა ოფიცერი, არამედ პირველ რიგში, ქვეყნის პატრიოტი, ქართული სამხედრო არისტოკრატიის ღირსეული მემკვიდრე და წარმომადგენელი, ყოველმხრივ განათლებული და განსწავლული, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული პიროვნება უნდა ყოფილიყო. სწორედ ამით ეხმიანებოდა მომავალი ქართველი ოფიცრის სახელი — „იუნკერი“, ამ სიტყვის ისტორიულ, პრუსიულ ფესვებს. და სწორედ ამიტომ ისწავლებოდა იუნკერ-

თათვის ქართულ სამხედრო სკოლაში ისეთი დისციპლინები და მეცნიერებები, როგორიც იყო:

1. ქართული ლიტერატურა;
2. საქართველოს ისტორია;
3. სამხედრო ისტორია;
4. საქართველოს სამხედრო ისტორია;
5. სამხედრო გეოგრაფია;
6. საქართველოს სამხედრო გეოგრაფია;
7. სამართლის მეცნიერება;
8. უცხო ენები;
9. ქიმია;
10. სამხედრო ჰიგიენა;
11. ჰიპოლოგია;
12. ანალიზური გეომეტრია;
13. მექანიკა;
14. მასალათა გამძლეობა;
15. საამშენებლო საქმე;
16. ხიდებისა და გზების მშენებლობა;
17. კავშირგაბმულობა;
18. ტოპოგრაფია;
19. ფორტიფიკაცია;
20. ბალისტიკა;
21. სროლის თეორია და სხვა;

ამ საგნებში ლექციებს კი ისეთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და ოფიცრები კითხულობდნენ, როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, სარგის კაკაბაძე, გენერალი კვინიტაძე, გენერალი თაყაიშვილი, გენერალი გედევანიშვილი, გენერალი ზაქარიაძე, გენერალი ბენაშვილი, გენერალი კალანდარიშვილი, გენერალი თუმანიშვილი, პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი, პოლკოვნიკი ვახვახიშვილი, პოლკოვნიკი ცხაკაია და სხვა. სკოლის ადმინისტრაციას კი ქართული არმიის ისეთი გამოჩენილი სარდლები და მეთაურები წარმოადგენდნენ, როგორებიც იყვნენ — საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, სასაზღვრო ჯარების ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე, სომხეთ-საქართველოს ომში ერთ-



ერთი დამრტყმელი შენაერთის ყოფილი მეთაური, გენერალი ქრისტეფორე ჩხეტიანი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართველ იუნკერთა სკოლამ სულ რაღაც წელიწადნახევარი — 1919 წლის სექტემბრიდან 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე იარსება. და მიუხედავად არსებობის ასეთი ხანმოკლე პერიოდისა, ქართველმა იუნკრებმა სამუდამო და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს სამხედრო ისტორიის ანალებში.

საკლასო-სააუდიტორიო თეორიული კურსის სწავლების გარდა, სასწავლო გეგმის მიხედვით, ზაფხულის განმავლობაში საველე სასწავლო ბანაკის ორგანიზებაც დაიგეგმა, სადაც იუნკრები თეორიულ კურსზე მიღებულ ცოდნას განამტკიცებდნენ ტაქტიკურ ველზე. ეს დადგენილება რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ იქნა მიღებული 1919 წლის 27 მარტს. სამხედრო საბჭოს წევრის, გენერალ ქუთათელაძის 1920 წლის 29 მარტით დათარიღებული №69 პატაკი სამხედრო მინისტრს. (დედანი — სამხედრო სამინისტროში შესულია 1920 წლის 31 მარტს, №2254-ით).

„მოგახსენებთ, რომ თანახმად სამხედრო საბჭოს დადგენილებისა 27 ამა თვეს გავემგზავრეთ სოფ. მუხრავანში რესპუბლიკის არტილერიის ჯარების და სამხედრო სკოლის საცდელ-სასროლ და საბანაკო მინდვრის ამოსარჩევად, საიდანაც დაგბრუნდი დღეს. ჩემთან ერთად გამოემგზავრნენ იმავე მიზნისათვის პოლკოვნიკი გურამიშვილი, პოლკოვნიკი ივანოვი და გენერალი კვინიტაძე [11, 53].

სასწავლო პროცესის ასეთი ორგანიზაცია საბოლოოდ საქართველოს სამხედრო საბჭოს 1920 წლის 13 ივნისის სხდომაზე იქნა მიღებული. ამ მნიშვნელოვან საარქივო დოკუმენტს „ჰარვარდისა“ და „ლევინის“ ფონდიდან, ცხადია, უცვლელი სახით წარმოვადგენთ.

სამხედრო საბჭოს სხდომის ოქმი №23

13. 06. 1920 წელი. საიდუმლო

თავმჯდომარე — ლორთქიფანიძე და გენ. ქუთათელაძე;  
წევრები — გენ. ანდრონიკაშვილი, გენ. კვინიტაძე, ვ. ჯუღელი და რ. აუშტროვი;

დაესწრნენ: გენ. ალ. გედევანიშვილი, გენ. იოს. გედევანიშვილი, გენ. თაყაიშვილი, პოლკ. გურამიშვილი, პოლკ. ყაზბეგი, პოლკ. გედევანიშვილი, გოგუა, ყიფშიძე.

მომხსენებელი: გენ. ქავთარაძე.

საქმის მწარმოებელი: ზალდასტანიშვილი.

I საკითხი — ჯარის ნაწილებისათვის სავარჯიშო მინდვრის და სამხედრო სკოლისათვის საზაფხულო ბანაკის მოწყობის შესახებ.

მომხსენებელი — გენ. ქუთათელაძე.

დაადგინეს: ვინაიდან ჯარის განვრთნა და საომრად მომზადება უმთავრესი პირობაა დამოუკიდებლობის შერჩენისა და წესიერად მომზადება კი შესაძლებელია საგანგებოდ მოწყობილ სავარჯიშო მინდორზე, კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადება მონონებულ იქნას და ემცნოს მინად მოქმედების მინისტრს სურვილი სამხედრო საბჭოსი ასეთი სავარჯიშო მინდვრის მოწყობისა სოფ. მუხრავანში, მასთან განემარტოს მინად მოქმედების მინისტრს, რომ ამ მინდორზე შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივად ხვნა-თესვის წარმოება და თივის მოგროვება და ეთხოვოს მოგვანოდოს თავის დასკვნა, კომისიამ კი განაგრძოს საჭირო ცნობების შეკრება.

ამ უამად კი მუხრავანში მოეწყოს სამხედრო სკოლის და ნაცვალთა ათასეულისათვის საზაფხულო ბანაკი. შედგენილ იქნას გენერალ ალ. გედევანიშვილის თავმჯდომარეობით და სახალხო გვარდიის წარმომადგენლის ძველი წევრების მონაწილეობით კომისია, რომელმაც გამოარკვიოს რა შენობების შეკეთება აუცილებლად იქნება საჭირო სამხედრო სკოლის და ნაცვალთა ათასეულის ბანაკის მოსაწყობად.

ხელს აწერენ

თავმჯდომარე: გრ. ლორთქიფანიძე;

წევრები: გენ. ანდრონიკაშვილი და რ. აუშტროვი;

კანცელარიის უფროსი: გენერალი ქავთარაძე;

საქმის მწარმოებელი: ზალდასტანიშვილი; [12, 1]

დოკუმენტში მოყვანილი პერსონების შესახებ დამატებით ცნობებს ამჯერად არ მოვიყვანთ, რამეთუ ამით თემის ძირითად ხაზს აცვდებით. თავად დოკუმენტის აღსრულებასთან დაკავშირებით კი აღვნიშნავთ, რომ სამწუხაროდ, დაგეგმილი საველე სწავლებები ვერ შედგა. 1920 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკური რუსე-

თის მხრიდან დაწყებული შეიარაღებული აგრესიის შედეგად, იუნკერთა პირადი შემადგენლობა 1920 წლის მაისში რუსეთ-საქართველოს პირველი ომის ფრონტზე იქნა გაყვანილი სადახლოში, შემდგომ კი, საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებზე — ლაგოდეხში, აქ დისლოცირებული მე-2 ქვეითი დივიზიის კახეთის მე-6 პოლკის გარკვეული ქვედანაყოფების ბოლშევიკურ ამბოხთან დაკავშირებით.

საგანგებოდ აღსანიშნავია ბოლშევიკთა ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდისტული მუშაობის ფანტაზიები და მასშტაბები, რასაც ისინი საქართველოს მოსახლეობასა და საჯარისო ნაწილებში ატარებდნენ. არქივებში მუშაობისას, ჩვენ ერთობ საინტერესო და არაორდინარული შინაარსის დოკუმენტს მივაკვლიეთ. თუ ბოლშევიკთა მიერ ქვეყნის მოსახლეობაში როგორც წესი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოწოდების პროკლამაციები ვრცელდებოდა, ჯარის ნაწილებში ამ მოწოდებებს არსებითად განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. აქ აქცენტები ქართველი ხალხის კუთხურობასა და სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობების უკიდურეს გამწვავებაზე კეთდებოდა. ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი — ე.წ. „მოწოდება“ ერთი შეხედვით თითქოსდა აპოლიტიკური შინაარსისაა, და მიუხედავად ამისა, დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მე-6 პოლკის პირად შემადგენლობაში სწორედ ბოლშევიკთა მიერ, და სწორედ 1920 წლის მაის-ივნისში იქნა გავრცელებული. სწორედ ამ პერიოდში მოდიან ფაქტიურ შეხებაში საზღვრის ფიქსაციასთან დაკავშირებით ლაგოდეხის რაიონში დისლოცირებული მე-6 ქართული პოლკის ქვედანაყოფები უკვე ზაქათალის ოლქში შემოსულ ბოლშევიკურ ნაწილებთან. ბუნებრივია, რომ რუსეთ-საქართველოს 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, თვით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ბოლშევიკ აგიტატორებსაც ხელ-ფეხი უკვე გახსნილი ჰქონდათ.

ამხანაგო კახელებო!

განა იგრე დავუძღურდით რომ იმერლობა ასე გვღირტნიან და გვხრავენ! ჩვენ კი გვიძინავს! განა დრო არის ძილისა! გამაილვიძეთ, ხომ ჰხედავთ ჩვენსას არას აქვს გასავალი, აიხსენით უღელი. მათი დაპირება არას მოგვცემს თუ ჩვენ თვითონ არა ვართ. ჩვენ გავითქვით ომებში სახელი — ჩვენ გავრეკეთ მტერი, ვისთვის?

იმერლებისთვის. დღეს ისინი სარგებლობენ და ჩვენ კი გვეუბნებიან, ვინა ხართ კახელებიო? სულ ჩვენა ვართო. რათა, ჩვენ ვილა ვართ? მაშ რალას უყურებთ! ძირს იმერლობა ჩვენს სამშობლოში! გაუმარჯოს კახელებს! ვაშა! ვაშა! ვაშა!

ხმალ-ამოღებული მე-6 პოლკის ჯარის კაცი.... (ხელმონერა გაურკვევლადაა — ა. ჩ.) [13, 25].

რეალობაში ცხადია აქ გამოკვეთილად მხოლოდ იმერლებზე არაა საუბარი. ეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქართული მონოდება, ზოგადად, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველებს ეხებათ. კარგადაა ცნობილი, რომ კახეთში დღესაც კი, გურულს, მეგრულს, ლეჩხუმელს, რაჭველს და ა. შ. ხანდახან კრებითი სახელით — „იმერლებად“ მოიხსენიებენ. ეს პროკლამაცია ქართველ ერში ღია დაპირისპირების ეგზალტაციის გარდა, შენიღბული ფორმით ხელისუფლების დამხობისაკენ მონოდებასაც წარმოადგენს. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი პარტიის, მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას ხომ გურულები, ე.ი. „იმერლები“ წარმოადგენდნენ.

სწორედ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის პირველ ომს და ლაგოდეხის საბრძოლო მივლინებას უკავშირდება იუნკერთა პირადი შემადგენლობის პირველი საბრძოლო დანაკარგებიც. ესენი იყვნენ საინჟინრო სპეციალობის იუნკრები მიხეილ მაყაშვილი და გრიგოლ კიკიანი, რომლებიც ბოლშევიკთა მიერ 1920 წლის 1-დან 2 მაისის ღამეს სამხედრო სკოლაზე განხორციელებული თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. პირველი მოკლულ იქნა, მეორე კი — დაჭრილი.

რაც შეეხება იუნკერთა დანაკარგებს სადახლოსა და ლაგოდეხში. აქ, მძიმე საველე პირობების გამო, ერთი იუნკერი ტიფით დაავადდა და გარდაიცვალა. არცერთ გამოქვეყნებულ კვლევასა და პირველ რიგში, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მემუარშიც კი, მისი პიროვნების შესახებ ცნობები დაცული არ არის. იგი წერს: „...აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის ყოველნაირ ამ მოგზაურობას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. ლაგოდეხიდან ჩამოყვით მუცლის სნება, რომელმაც ხელიდან გამოგვტაცა 12 ჯარისკაცი და 1 იუნკერი“ [14, 51]. გარდაცვლილი იუნკერის ვინაობა არც სხვა ავტორებთან არაა დადგენილი. ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა საარქივო დოკუმენტი, რომელიც ჩვენის აზრით, სწორედ ამ ფაქტს შეეხება. ესაა სამხედრო სკოლის უფროსის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის 1920 წლის 19 ივნისით

დათარიღებული 14 პარაგრაფიანი ბრძანება სკოლის პირად შემადგენლობას. ბრძანების მე-3 და მე-4 პარაგრაფები სწორედ გარდაცვლილ იუნკერს, ბარნაბიშვილს ეხება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებაში იუნკერის სახელი არაა დაფიქსირებული. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მსგავსი ხასიათის სამხედრო დოკუმენტებში, საშტაბო საქმის წარმოების წესებით არც მაშინ და არც ახლა, სამხედრო მოსამსახურის სახელი არ მიეთითება. იწერება მხოლოდ სამხედრო წოდება და გვარი. მაიორი ანანიაშვილი ასრულებდა სკოლის უფროსის მოვალეობას 1920 წლის 17 მაისიდან ივნისის ბოლომდე, და შემდეგ — 16 ივლისიდან 4 აგვისტომდე.

საქმე იმაშია, რომ რუსეთ-საქართველოს პირველი ომის დანებებასთან დაკავშირებით, სკოლის უფროსი, გენერალი კვინიტაძე კიდევ ერთხელ დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გენერალ კვინიტაძის ამ თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ 1920 წლის 4 მაისს მოხდა მთავრობის სხდომაზე მიღებული დადგენილების საფუძველზე (ოქმი №1904) [15, 140]. სკოლის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე კი, სკოლასთან ერთად იმყოფებოდა ჯერ რუსეთ-საქართველოს პირველი ომის სადახლოს ფრონტზე, სადაც იგი რაიონში თავმოყრილი მთელი საარმიო ჯგუფის უფროსად დაინიშნა, შემდეგ კი, 17 ივლისიდან, იუნკერთა პირად შემადგენლობასთან ერთად საბრძოლო მივლინებაში გაემგზავრა ლაგოდების რაიონში.

იუნკერ ბარნაბიშვილთან დაკავშირებულ ზემოთ ხსენებულ ბრძანებას შემდეგი სახე აქვს:

ბრძანება სამხედრო სკოლას

№193

19 ივნისი 1920 წ.

სამნეო დარგში

### § 3

მიეცეს საბუთით №97 — 20000 მან. კაპიტან ჩოჩუას მოკლული იუნკერ ბარნაბიშვილის დასაფლავების ხარჯებისათვის.

საბუთი გაბათილებულ იქმნეს ანგარიშების წარმოდგენის-თანავე.

#### § 4

მიეცეს საბუთით №98 — 3000 მან. კაპიტან გვასალიას მოკლული იუნკერ ბარნაბიშვილის გვირგვინის შესაძენად.

საბუთი გაბათილებულ იქმნეს ანგარიშების წარმოდგენისთანავე.

ხელს აწერს: სკოლის უფროსის მაგიერ მაიორი ანანიაშვილი.

დამონმებულია ასლთან: სკოლის ადიუტანტის მაგიერ (ხელმონერილია სავარაუდოდ კაპიტან ჩოჩუას მიერ — ა. ჩ.) [8, 13].

დოკუმენტის ტექსტიდან გამომდინარე, იუნკერი ბარნაბიშვილი, სავარაუდოდ, 17-18 ივნისს უნდა გარდაცვლილიყო. ყურადღებას იპყრობს ბრძანების ტექსტში მოყვანილი სიტყვა — „მოკლული“. ეს ფორმულირება გასაგებია იმდენად, რამდენადაც, იმდროინდელ სამხედრო მეტყველებასა და ტერმინოლოგიაში, სიტყვა „გარდაცვლილი“, როგორც წესი, არ იხმარებოდა. უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს იუნკერ ბარნაბიშვილის გარდაცვალების თარიღი. პოლკოვნიკი ჩხეიძე წერს, რომ: „ლაგოდებიდან ჩამოყვით მუცლის სნება, რომელმაც ხელიდან გამოგვტაცა 12 ჯარისკაცი და 1 იუნკერი“. ბარნაბიშვილის გარდაცვალება კი, იუნკერთა ასეულის სადახლოში ყოფნის პერიოდს შეესაბამება. უნდა დავუშვათ, რომ თავის მემუარში პოლკოვნიკი ჩხეიძე ქრონოლოგიასთან დაკავშირებით უზუსტობას უშვებს.

ბარნაბიშვილის გვართან დაკავშირებით კი, ისიც უნდა დავამატოთ, რომ ამ გარდაცვლილის გარდა, იუნკერთა პირად შემადგენლობაში, კერძოდ, II კურსის ქვეით ქვედანაყოფში, კიდევ ორი ბარნაბიშვილი, ივანე და მიხეილი ირიცხებოდნენ, რაც ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დოკუმენტით დასტურდება. ამ ცნობას ადასტურებენ აგრეთვე სხვა წყაროები, პირველ რიგში კი, პოლკოვნიკ ჩხეიძის მემუარი [9, 18].

ამავე ბრძანების ტექსტით დგინდება რომ სკოლის მოძღვარი დეკანოზი კელენჯერიძე ყოფილა. ბრძანების §13 სწორედ დეკანოზს ეხება. კერძოდ, მის მიერ საავანსო ანგარიშის დახურვას საკანცელარიო და მოსანათლი ინვენტარის შექმნაზე. მასზე თანხის გაცემის საფუძველი 1920 წლის 17 ივნისით დათარიღებული №181 პატაკი იყო [8, 5].

სამხედრო სკოლა არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ან ცალკეულ ტაქტიკურ სამხედრო ერთეულს და შესაბამისად, მისი ორგანიზაცია არ იყო გათვალისწინებული ასეთი დანიშნულებით.

სკოლის მიზანი იყო მოემზადებინა უმცროსი ოფიცრები ჯარის ყველა გვარეობისათვის — ქვეითი, არტილერია, ცხენოსანი, საინჟინრო. იუნკერთათვის სწავლება ორწლიანი უნდა ყოფილიყო, ორგანიზაციულად — ორასეულიანი სასწავლო ბატალიონი. ე.ი. თითოეული კურსი — ერთი ასეული. პირველ კურსზე ყველა სპეციალობისათვის სწავლება მიმდინარეობდა საერთო პროგრამით ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსა და ტაქტიკის საფუძვლებში, ხოლო მეორე კურსიდან ხდებოდა კურსის (ასეულის) დაყოფა ცალკეულ სასწავლო ჯგუფებად (ოცეულებად) სპეციალობების მიხედვით [8, 22].

ახლა კი წარმოვადგენთ დოკუმენტს, რომელშიც თითქმის ამომწურავადაა წარმოდგენილი ქართულ სამხედრო სკოლაში იუნკერთა ორივე კურსისათვის სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალი, აგრეთვე სკოლის პროფესორ-მასწავლებელთა და ოფიცერთა პირადი შემადგენლობა. დოკუმენტი თარიღისა და ნომრის გარეშეა, რადგან სამწუხაროდ, ამ დოკუმენტს პირველი ფურცელი არ გააჩნია, იგი მეორე ფურცლიდან იწყება და საგნების ჩამონათვალშიც პირველი სამი საგანი და შესაბამისად, ამ საგნების წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები წარმოდგენილი არ არიან. დოკუმენტი პირდაპირ №4 საგნით — ტაქტიკით იწყება. დოკუმენტის სტილისტური ფორმა, ცხადია, დაცულია:

4. ტაქტიკა — გენერალური შტაბის გენერალი ზაქარიაძე;
5. აფეთქების ხელოვნება — კაპ. თოიძე;
6. ტელეფონი და ტელეგრაფი — მაიორი ჩიჯავაძე;
7. მასალათა სიჯიქე — სამხ. ინჟინერი გენ. თაყაიშვილი;
8. მექანიკა — „—“
9. აღმშენებლობა — „—“
- 10.. ხიდების აგება — „—“
- 11.. გზების გაყვანა — „—“
- 12.. ანალიტიური გეომეტრია — „—“
- 13.. დურგლობა — „—“
- 14.. სამხედრო ისტორია — გენერალი კვინიტაძე გიორგი;
- 15.. საქართველოს სამხ. გეოგრაფია — გენ. შტაბის პოლკოვნიკი ჩეჩელაშვილი;
- 16.. სამართლის მეცნიერება — კაპ. ტატიშვილი;
- 17.. ენები —
- 18.. ქიმია — პოლკ. ვახვახიშვილი;

- 19.. წესდებები — კაპ. თოიძე;  
 20.. ფარიკაობა — პოლკ. ჩხეიძე;

საარტილერიო განყოფილება  
 (კურსის ოფიცერი კაპ. დ. ქარუმიძე)

1. ტაქტიკა — გენ. შტაბის გენერალი ზაქარიაძე
2. ტოპოგრაფია — პოლკ. ცხაკაია;
3. სამხედრო ისტორია — გენ. შტაბის გენ. კვინიტაძე;
4. ფორტიფიკაცია — სამხ. ინჟინერი გენ. თუმანიშვილი;
5. სროლის თეორია — არტ. პოლკოვნიკი შკაბიჩი;
6. სროლის წესები — კაპ. დ. ქარუმიძე.
7. ქვემეხები და ჭურვები — არტ. პოლკ. გედევანიშვილი;
8. არტილერიის ტაქტიკა — კაპ. დ. ქარუმიძე;
9. სამართლის მეცნიერება — კაპ. ტატიშვილი;
10. ჰიპოლოგია — ვეტ. ჩხენკელი;
11. სამხ. გეოგრაფია — პოლკ. ჩეჩელაშვილი;
12. ენები —
13. წესდებები — კაპ. დ. ქარუმიძე;
14. ტანვარჯიშობა — კაპ. დ. ქარუმიძე;
15. ფარიკაობა — პოლკ. ჩხეიძე;

უმცროსი კურსი

- 1-ელი განყოფილება — კურსის ოფიცერი კაპ. ჯაფარიძე;  
 2-რე განყოფილება — კაპ. ჩოჩუა;  
 3-მე განყოფილება — კაპ. ხოშტარია;

- 1-ელი განყოფილება — გენ. კვინიტაძე;  
 1. ტაქტიკა 2-რე განყოფილება — პოლკ. გედევანიშვილი;  
 3-მე განყოფილება — გენ. ანდრონიკაშვილი;  
 2. ტოპოგრაფია — გენ. ანდრონიკაშვილი;  
 3. ფორტიფიკაცია — პოლკ. ვახვახიშვილი;  
 4. საქართველოს სამხედრო ისტორია — გენ. გედევანიშვილი;  
 5. არტილერია — კაპ. ქარუმიძე;  
 6. საქართველოს ისტორია — სარგის კაკაბაძე;  
 7. ქართული ლიტერატურა — ვასილ ბარნოვი;  
 8. სამხ. ადმინისტრაცია — პოლკ. ჩეჩელაშვილი;  
 9. გერმანული —



10. ფრანგული — ქ-ნი ვარო ყიფიანი;  
 11. სომხური — ბ. შავდია;  
 12. ჰიგინა — მედიცინის გენერალი კალანდარიშვილი;

სამხედრო სკოლის უფროსი — გენ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი;

მისი თანაშემწე — პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე;  
 იუნკერთა ასეულის უფროსი — მაიორი არჯევან ანანიაშვილი;

სკოლის ოფიცრები: ჯაფარიძე გრიგოლ, შავდია მიხეილ, ჩოჩუა დომენტი, ხომტარია ვარლამ, ქარუმიძე დავით, თოიძე ირაკლი, სულხანიშვილი გიორგი.

#### ნაცვალთა ათასეული

1-ელი ასეულის მეთაური — მაიორი ნესტორ გარდაფხაძე;

ოფიცრები: კაპ. მაჭავარიანი დავით, კაპ. ადამიძე, კაპ. ბაქრაძე.

მე 2-რე ასეულის მეთაური — მაიორი აბულაძე მიხეილ.  
 ოფიცრები: კაპ. ბალუაშვილი ვარლამ, კაპ. ალავიძე ალექსანდრე, კაპ. ჭიჭინაძე.

მე-3-მე ასეულის მეთაური — მაიორი ბალუაშვილი ანდრო.  
 ოფიცრები: კაპ. გვასალია გერმანე, კაპ. რევია მაქსიმე, კაპ. სანიკიძე იულონი.

სანაპირო ასეულის მეთაური — მაიორი სიამაშვილი.  
 ოფიცრები: კაპ. ყიფიანი.

ტყვისმფრქვეველთა ასეულის უფროსი — მაიორი შარვაშიძე ელიზბარ.

ოფიცრები: კაპ. არონიშიძე არტემ, კაპ. მჭედლიშვილი გიორგი, ფრონტზე წასვლის წინ ასეულს მიემამა ლეიტ. ერისთავი რაფო.

ბატარეის მეთაური — მაიორი ბახუტაშვილი.  
 ოფიცრები: ბარნაბიშვილი გიორგი, ყარაშვილი გიორგი, ქავთარაძე?

კლასების ინსპექტორი — გენ. ვეზირიშვილი;  
 მისი თანაშემწე — ლეიტ. ანდრონიკაშვილი  
 სკოლის მწე — მაიორი მესხელი (გასპაროვი);

ხაზინადარი	— კაპ. მახარობლიძე;
სამწყობრო ასეულის მეთაური	— ლეიტ. მჭედლიშვილი;
საწყობების გამგე	— კაპ. ალექსევი;
კაპელმეისტერი	— ვეჯინი [8, 8-11].

წარმოდგენილი დოკუმენტი მსჯელობისა და განსჯისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა.

პირველ რიგში, დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო დისციპლინათა ჩამონათვალი იმდენად სრული და თემატურადაც სწორადაა შერჩეული, რომ იგი თითქმის შეესაბამება ტექნიკური მიმართულების დღევანდელი ბაკალავრიატის პროგრამით გათვალისწინებულ კურსს, საგნებზე შესაბამისი კრედიტების მინიჭებით. მაგრამ ნათლად იკვეთება ის სურათი, რომ საინჟინრო-ტექნიკური საგნების ჩამონათვალი აშკარად აკლია ორი ფუნდამენტალური დისციპლინა, კერძოდ, ფიზიკა და მათემატიკა. ვგულისხმობთ ალგებრასა და მათემატიკური ანალიზის ელემენტებს და ზოგად ფიზიკას, რამეთუ ამ მეცნიერებების შემადგენელი ნაწილები, კერძოდ მექანიკა და ანალიზური გეომეტრია II კურსის სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია. მათემატიკური ანალიზის ელემენტებისა და ზოგადი ფიზიკის შესწავლის გარეშე კი, წარმოუდგენელი იქნებოდა ისეთი საგნების სწავლება, როგორცაა: მასალათა გამძლეობა („მასალათა სიჯიქე“), სამშენებლო საქმე, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა, ფორტიფიკაცია, სროლის თეორია და არტილერიის ტექნიკა და ა.შ.

რაც შეეხება პედაგოგებსა და პროფესორ-მასწავლებლებს. ამ თვალსაზრისით დოკუმენტში წარმოდგენილ და პოლკოვნიკ ჩხეიძის მემუარში მოყვანილ ცნობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. საარქივო დოკუმენტში არ არიან წარმოდგენილი: პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, გენერალი ბენაშვილი, გენერალი არჯევანიძე, პოლკოვნიკი გურამიშვილი, საინტენდანტო სამსახურის პოლკოვნიკი ციციშვილი, მაიორი ცხაკაია. პოლკოვნიკ ჩხეიძესთან კი ეს პიროვნებები დასახელებულნი არიან. და პირიქით, ჩხეიძესთან არაა წარმოდგენილი მთელი რიგი სასწავლო დისციპლინები და მათი წამყვანი პედაგოგები. კერძოდ, დისციპლინები — საქართველოს სამხედრო ისტორია, საქართველოს სამხედრო გეოგრაფია, უცხო ენები, ქიმია, ჰიპოლოგია, კავშირგაბმულობა, ანალიზური გეომეტრია, მექანიკა, მასალათა გამძლეობა, სამშენებლო საქმე, ხიდებისა და გზების მშენებლობა, აფეთქების ხელოვნე-

ბა, წესდებები, ფიზიკური მომზადება, დურგლობა, ფარიკაობა. აგრეთვე პედაგოგები: პროფესორი სარგის კაკაბაძე, გენერალი თაყაიშვილი, თვით პოლკოვნიკი ჩხეიძე და ა.შ.

დოკუმენტიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სახმელთო ჯარების გვარეობებიდან, ესე იგი იუნკერთა სასწავლო სპეციალობებიდან, მხოლოდ ქვეითი და საარტილერიო სპეციალობებია წარმოდგენილი. ამკარაა, რომ საგნების ჩამონათვალის პირველი ფურცელი, სწორედ ქვეითი სპეციალობის იუნკრებს ეხებათ. დოკუმენტი იმასაც გვიჩვენებს, რომ ცხენოსანი სპეციალობის II კურსის იუნკრებისათვის ცალკე კურსი სპეციალობაში არ იკითხებოდა. როგორც ჩანს, ჯარების ეს გვარეობა არტილერისტებთან ერთად გადიოდა სპეციალური სწავლების კურსს. ამ სპეციალობების სწავლების სპეციფიკის, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, აგრეთვე პედაგოგიური კადრის მწვავე დეფიციტის გათვალისწინებით, აბსოლუტურად მისაღები იყო საკითხის ასე მოგვარება.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით, დიდი ალბათობით უნდა დავუშვათ, რომ დოკუმენტის პირველი, გამოტოვებული ფურცლის ჩამონათვალში, ე. ი. იუნკერთა II კურსის ქვეითი სპეციალობისათვის განსაზღვრულ პირველ სამ სასწავლო დისციპლინას წარმოადგენდა: საქართველოს ისტორია, მათემატიკა (ალგებრა, მათემატიკური ანალიზი) და ზოგადი ფიზიკა. საქართველოს ისტორიას იუნკერთა II კურსს ალბათ ივანე ჯავახიშვილი უკითხავდა, რადგან ეს ცნობა ყველა სხვა ავტორთან და ყველა სხვა მონაცემებითაც დასტურდება. რაც შეეხება ფიზიკისა და მათემატიკის ლექტორებს, მათი ზუსტი იდენტიფიცირება ამ ეტაპზე ჯერ-ჯერობით შეუძლებლად გვეჩვენება. არ არის გამორიცხული, რომ ამ დისციპლინებში ერთ-ერთ ლექტორს, საინჟინრო ჯარების გენერალი თაყაიშვილი (**სახელი?**) წარმოადგენდა.

შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტი ქართული სამხედრო სკოლის იუნკერთა მთელი პირადი შემადგენლობის სიობრივი ნუსხაა, კურსების, სასწავლო ჯგუფებისა და სპეციალობების ჩვენებით. დოკუმენტი წარმოდგენს თხელ, ე.წ. „კალკის“ ქალაქის ფურცლებზე მანქანით შესრულებულ შავად ნაბეჭდს, შენიშვნის გრაფაში კი, ჩანანერები ხელით და ლურჯი მელნითაა გაკეთებული. მეტად მნიშვნელოვანი ის ინფორმაციაა, რაც შენიშვნის გრაფაშია მოცემული, კერძოდ, საბრძოლო დანაკარგე-

ბის ხასიათი და მათი სიმძიმე, აგრეთვე იუნკერთა შემდგომი კარი-  
ერული გზა. ცხადია, დოკუმენტის სტილისტური ფორმა დაცულია.

უმცროსი კურსი  
1-ელი განყოფილება

1. ბარამიძე ბენია;
2. ბაქრაძე ივანე — გაიგზავნა პოლონეთში;
3. ბალახვანელი საველი — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში,  
მერე პოლონეთში;
4. გაბუნია კონსტანტინე;
5. გენძეხაძე შალვა;
6. გიგინეიშვილი ვასილ;
7. დგებუაძე ნიკოლოზ — დაიჭრა მსუბუქად;
8. დოლიძე პლატონ — ჭრილობისაგან გარდაიცვალა;
9. ერქომაიშვილი ალექსანდრე;
10. ვეფხვაძე ივანე — დაიჭრა;
11. ზაუტაშვილი იოსები — დაიჭრა მსუბუქად, გაიგზავნა  
პოლონეთში;
12. იაშვილი კონსტანტინე — დაიჭრა;
13. იოსელიანი ტიმოთე;
14. კეკუაძე კლემენტი;
15. კელენჯერიძე დავით;
16. კვარაცხელია გრიგოლ;
17. ქუმარიტაშვილი ალექსანდრე;
18. ლალიძე ვლადიმერ;
19. ლოლაძე კონსტანტინე — დაიჭრა;
20. ლოლუა მიხეილ — მოკლულია;
21. ლორთქიფანიძე ალექსანდრე — დაიჭრა;
22. ნანუაშვილი ივანე — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემ-  
დეგ პოლონეთში;
23. ნიკოლაიშვილი ნიკოლოზი — გაიგზავნა პოლონეთში;
24. სალინაშვილი გიორგი 1 — მძიმედ დაიჭრა;
25. სიდამონ-ერისთავი ილია;
26. სისაკოვი არამი;
27. ტატიშვილი ზურაბი — დაიჭრა მძიმედ;
28. უგრეხელიძე ვიტალი — გაიგზავნა პოლონეთში;
29. ფანცულაია ალექსანდრე;
30. ფერაძე პავლე;

31. ქობულაია მიხეილი;
32. ხუნდაძე გედეონ — გაიგზავნა პოლონეთში;
33. ნიკლაური ვლადიმერ — დაიჭრა მსუბუქად;
34. ჯამასპიშვილი ივანე;
35. ჯაფარიძე ნიკოლოზ 1 — დაიჭრა;
36. ჭილაძე სოლომონ — დაიჭრა;
37. ჭოლოშვილი სერგო;

#### მე-2-რე განყოფილება

1. ავალიშვილი შალვა — დაიჭრა მძიმედ;
2. ანდრონიკაშვილი არჩილ;
3. აფხაიძე ტიმოთე;
4. აღლაძე ირაკლი — დაიჭრა მძიმედ;
5. ბოკუჩავა გრიგოლ — გაიგზავნა პოლონეთში;
6. გიორგაძე ვლადიმერ — დაიჭრა მძიმედ;
7. გლოვაცკი ალექსანდრე — გაიგზავნა პოლონეთში;
8. ვაჩნაძე დავით;
9. იაშვილი ალექსანდრე — დაიჭრა;
10. იაშვილი სიმონი — დაიჭრა;
11. კანდელაკი ლევან — მოკლულია;
12. კეზელი ლევან — გაიგზავნა პოლონეთში;
13. კვალიაშვილი მიხეილ — გაიგზავნა პოლონეთში;
14. კობიაშვილი სიმონი — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
15. ლოსაბერიძე გობრონი;
16. მამუჩაიშვილი დავითი — დაიჭრა მსუბუქად;
17. მარკოზაშვილი ლავრენტი;
18. მდივანი დავითი;
19. მორჩაძე დავითი — დაიჭრა მსუბუქად;
20. მრელაშვილი გიორგი — გაიგზავნა პოლონეთში;
21. ოქროპირიძე იოსები — გაიგზავნა პოლონეთში;
22. სვიმონიშვილი ივანე;
23. სომხიანცი მელიქ — დაიჭრა, გაიგზავნა პოლონეთში;
24. სხირტლაძე არკადი — გაიგზავნა პოლონეთში;
25. ტროყაშვილი მიხეილ;
26. ტურაშვილი გრიგოლ — გაიგზავნა პოლონეთში;

27. ფურცელაძე გიორგი — ტიფით დაავადდა, ფრონტზე არ ყოფილა;

28. ფხაკაძე ვასილ;

29. ხიმშიაშვილი ალექსანდრე;

30. ხინველი ისააკი — დაიჭრა;

31. ძულიაშვილი გიორგი — ტიფით დაავადდა, ფრონტზე არ ყოფილა;

32. ციციშვილი კონსტანტინე;

33. ცუციტიშვილი გიორგი — დაიჭრა მძიმედ;

34. ჩაჩავა მიხეილ;

35. ჯავახიშვილი გიორგი 1 — გაიგზავნა პოლონეთში;

36. ჯანდიერი იოსები — მოკლულია;

37. ჯაფარიძე ნიკოლოზ 2 — დაიჭრა;

38. ჯინჭარაძე ალექსანდრე 1 — გაიგზავნა პოლონეთში;

#### მე-3 მე განყოფილება

1. აბაშიძე ვარლამ — დაიჭრა მსუბუქად;

2. აბაშიძე კონსტანტინე;

3. ანდრონიკაშვილი გიორგი;

4. არჯევანიძე ალექსანდრე;

5. აღნიაშვილი ნიკოლოზი — გაიგზავნა პოლონეთში;

6. დათებაშვილი აკაკი;

7. დანელია ნიკოლოზი;

8. დონაძე გედეონ;

9. ერისთავი შალვა — მოკლულია;

10. ვახვახიშვილი ნიკოლოზი — დაიჭრა მძიმედ;

11. ზალდასტანიშვილი გიორგი — დაიჭრა;

12. ზედგინიძე გიორგი;

13. თარხნიშვილი ალექსანდრე;

14. კავკასიძე ვლადიმერი;

15. კალანდარაშვილი დავით;

16. კასრაძე ვასილი;

17. კერესელიძე ივანე;

18. კვიციანიძე მიხეილი;

19. კვინიხიძე მიხეილი;

20. კინწურაშვილი ალექსანდრე — გაიგზავნა პოლონეთში;

21. ლეჟავა ვასილ;

22. ლორთქიფანიძე ირაკლი;
23. მათიკაშვილი ნიკოლოზი — გაიგზავნა პოლონეთში;
24. მაჩაბელი ივანე — მძიმედ დაავადდა ფრონტზე;
25. მირზაშვილი რევაზ — დაიჭრა;
26. მჭედლიშვილი აპოლონი;
27. ომარაშვილი ნეოფიტე;
28. სამხარაძე ბაგრატ — დაიჭრა;
29. სალინაშვილი ევგრაფი;
30. ტატიშვილი ალექსანდრე — დაიჭრა;
31. ფავლენიშვილი რევაზ;
32. ქაჯაია ვასილი — დაიჭრა მძიმედ;
33. ხიდირბეგიშვილი მიხეილ — დაიჭრა;
34. შავდია დავით;
35. შვანგირაძე ონისიმე;
36. ჯანდიერი არჩილ;
37. ჯინჭარაძე ალექსანდრე 2;
38. ჭანკვეტაძე ვახტანგი;
39. ლომკაცი გიორგი;

უფროსი კურსი  
ქვეითთა განყოფილება

1. უფროსი პორტ. იუნკერი ასათიანი მამუკა — დაიჭრა ხელში;
2. უმცროსი პორტ. იუნკერი ამირაჯიბი დიმიტრი — დაიჭრა მძიმედ სახეში;
3. ახვლედიანი ალექსანდრე — მოკლულია;
4. ბარნაბიშვილი ივანე;
5. ბარნაბიშვილი მიხეილ;
6. ბახუტაშვილი სიმონ — გაიგზავნა პოლონეთში;
7. ბურჭულაძე ვლადიმერ — არ ყოფილა ფრონტზე;
8. გეგეჭკორი ვალერიან;
9. გეთია მიხეილ;
10. გელაძე მიხეილ;
11. უფროსი პორტ. იუნკერი გელაშვილი სპირიდონი;

12. გოგოლაშვილი ნიკოლოზი;
13. უმცროსი პორტ. იუნკერი გორდეზიანი ამბროსი — დაიჭრა ხელში;
14. უმცროსი პორტ. იუნკერი თაყაიშვილი პლატონ — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
15. თინიკაშვილი ბორისი — გაიგზავნა პოლონეთში;
16. უმცროსი პორტ. იუნკერი იაშვილი გრიგოლ — გაიგზავნა პოლონეთში;
17. ივანიძე ნიკოლოზი;
18. უმცროსი პორტ. იუნკერი იოსავა აბესალომი — დაიჭრა ხელში;
19. კაკაბაძე დავით;
20. კაკაბაძე ილია — გაიგზავნა პოლონეთში;
21. ლაფაური ნიკოლოზი;
22. უმცროსი პორტ. იუნკერი ლობჟანიძე ილარიონ — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
23. ლორთქიფანიძე ოთარი — მოკლულია;
24. უმცროსი პორტ. იუნკერი მატახერია ლავრენტი;
25. მაცაშვილი ბორისი;
26. ზემდეგი ოდიშელიძე გიორგი;
27. ოქროპირიძე ზაქარია;
28. სალინაშვილი გიორგი 2 — დაიჭრა ფეხში;
29. სალინაშვილი ნიკოლოზი — დაიჭრა ორივე ფეხში;
30. ტყეშელაშვილი ირაკლი;
31. უმცროსი პორტ. იუნკერი ყიფიანი დავით — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
32. ხუციშვილი დიმიტრი — დაიჭრა მძიმედ;
33. ცერცვაძე ზაქარია — გაიგზავნა პოლონეთში;
34. ჩაჩიბაია კლემენტი — სტამბოლში დარჩა საკუთარი ნებით;
35. ჩილოჩავა ალექსანდრე — დაიჭრა მსუბუქად;
36. უმცროსი პორტ. იუნკერი ჩხეიძე გრიგოლ — დაიჭრა ხელში;
37. ჯავახიშვილი გიორგი 2 — დარჩა გორში;
38. ჯანდიერი ილია — მძიმედ დაჭრილი გარდაიცვალა თბილისის საავადმყოფოში;
39. უმცროსი პორტ. იუნკერი ჯაფარიძე ალექსანდრე — მოკლულია;



## საინჟინერო განყოფილება

1. აბაშიძე სიმონ — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
2. უმცროსი პორტ. იუნკერი ბალუაშვილი გიორგი;
3. უმცროსი პორტ. იუნკერი გარსიაშვილი ნიკოლოზი;
4. იაკობაშვილი პავლე — მოკლულია;
5. კიკიანი გრიგოლ — დაიჭრა 1920 წლის 2 მაისს;
6. რიჟამაძე კლემენტი;
7. უფროსი პორტ. იუნკერი ფერაძე ისიდორე — დაიჭრა ხელში;
8. ხელაძე ვალერიანი — გაიგზავნა პოლონეთში;
9. ციბაძე ვლადიმერ — გაიგზავნა საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
10. ჭუბაბრია დავით;

## საარტილერიო განყოფილება

1. აბულაძე პროკოფი — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
2. უფროსი პორტ. იუნკერი ბაქრაძე ვახტანგ;
3. ვერულაშვილი ვასილი;
4. თოხაძე ნიკოლოზი — გაიგზავნა საფრანგეთში;
5. ისკანდარაშვილი ვახატანგი;
6. უმცროსი პორტ. იუნკერი ლალიძე დავით — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
7. უმცროსი პორტ. იუნკერი მახარაძე ვლადიმერი — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
8. ნიკოლაძე შოთა — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
9. უმცროსი პორტ. იუნკერი რატიშვილი გიორგი — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;
10. რცხილაძე ნიკოლოზი;
11. სიდამონ-ერისთავი ნიკოლოზი — გაიგზავნა საბერძნეთში, მალე სამხედრო სამსახურს თავი დაანება;
13. უფროსი პორტ. იუნკერი ლოლობერიძე მიხეილი;
14. წითლანაძე თადეოზ — გაიგზავნა პოლონეთში;

15. ხუხუნი კლემენტი — საქართველოდან გერმანიის ერთ უნივერსიტეტში შევიდა, გახდა იქ ავიათ და დაბრუნდა საქართველოში, სადაც ჩასვლის უმაღვე გარდაიცვალა;

#### ცხენოსანი განყოფილება

1. უმცროსი პორტ. იუნკერი დადიანი მიხეილი — გაიგზავნა პოლონეთში;
2. უფროსი პორტ. იუნკერი ვაჩნაძე ივანე — გაიგზავნა საფრანგეთში;
3. ლალიძე დიმიტრი — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში, ბოლოს დაბრუნდა საქართველოში;
4. მიქაძე სერგო;
5. ნაცვლიშვილი ფარნაოზ — გაიგზავნა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ პოლონეთში;

იუნკერთა ასეულის ოფიცერთა პირადი შემადგენლობა (ტაბახმელაზე)

1. სკოლის უფროსი — გენერალი ანდრონიკაშვილი. დახვრიტეს ბოლშევიკებმა;
2. მისი თანაშემწე — პოლკ. ჩხეიძე ალექსანდრე;
3. იუნკერთა ასეულის მეთაური ანანიაშვილი არჯევან — მოკლულია;

#### ასეულის ოფიცრები:

1. კაპიტანი შავდია მიხეილი — დაიჭრა ხელში;
2. კაპიტანი ხოშტარია ვარლამი — დაიჭრა;
3. კაპიტანი ჩოჩუა დომენტი — მძიმედ დაიჭრა;
4. კაპიტანი თოიძე ირაკლი — მოკლულია;
5. ლეიტენანტი ანდრონიკაშვილი ალექსანდრე — დაიჭრა ფერდში;
6. კაპიტანი ქარუმიძე დავითი;
7. კაპიტანი სულხანიშვილი გიორგი; [8, 12-17]

უპირველესად ყოვლისა, უნდა ავლნიშნოთ, რომ ტერმინი — „ქართველი იუნკერი“, სულაც არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკურად ქართველ სამხედროს. როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ სიებში ეთნიკური არაქართველებიც არიან წარმოდგენილნი. დიახ, ქართველ იუნკრებს წარმოადგენდნენ აგრეთვე ეთნიკური არაქართველებიც — სომხები მელიქ სომხიანცი და არამ სისაკოვი (სისაკიანცი), პოლონელი ალექსანდრ გლოვაცკი, უკრაინელი კლემენტი ხუხუნი და ებრაელი ისააკ ხინველი. საყოველთაოდაა ცნობილი ქართველი იუნკერის, ეთნიკურად სომეხი მელიქ სომხიანცის გმირული ბრძოლის ამბავი კოჯორი-ტაბახმელაზე, სადაც იგი მძიმედაც დაიჭრა. „ქართველთა ერთგული და გულადი სომეხი“ — ასე ახასიათებდნენ მას მისი კურსელი იუნკრები, ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილი [16, 19]. ასეთივე სახელოვანი იყო ოფიცერ მელიქ სომხიანცის სამხედრო კარიერა უკვე ემიგრაციაში ყოფნისას.

წარმოდგენილ სიებში ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი იუნკერის გვარის წინ დართული ტერმინი „პორტ. იუნკერი“ — უფროსი ან უმცროსი. ტერმინი „პორტ. იუნკერი“ შემოკლებული ვარიანტია სპეციალური სამხედრო წოდებისა — „პორტუპეი-იუნკერი“. ზოგადად, ამ წოდებას ატარებდნენ ის წარმატებული იუნკრები, რომლებიც სამსახურის გავლისას, ფაქტიურად ოფიცრის მოვალეობას ასრულებდნენ. განსხვავებით რიგითი იუნკრებისაგან, ისინი, ისევე როგორც ოფიცრები, ატარებდნენ პორტუპეის და ტემლიკს (ტყავის სახელურს) ცივ იარაღზე. ამ აღჭურვილობის ტარება ფართოდ იყო გავრცელებული პრაქტიკულად ყველა ქვეყნის, და მათ შორის საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებში, როგორც 1918-1921 წლებში, ასევე საქართველოს მესამე რესპუბლიკის სინამდვილეში, დაწყებული 1991 წლიდან. იგი ოფიცერთა სავსე ფორმის აღჭურვილობიდან მხოლოდ რამდენიმე წლის წინ იქნა ამოღებული.

თუ შევადარებთ წარმოდგენილ დოკუმენტს და პოლკოვნიკ ჩხეიძის მემუარში („ჩემი მოგონებების დასასრული“) მოყვანილ სიებს [17, 21-24], მათ შორის მცირედ განსხვავებებს აღმოვაჩინთ. პირველ რიგში, მოყვანილ დოკუმენტში წარმოდგენილია ქართველ იუნკერთა სიები კურსებისა და განყოფილებების (სპეციალობა-ჯარის გვარეობების) მიხედვით, ჩხეიძის სიები კი დიფერენცირებული არ არის. ჩხეიძის სიებში ქვეითთა საერთო რაოდენობა 152 იუნკერს შეადგენს, ჩვენი დოკუმენტის მიხედვით კი — ეს რიცხვი

153-ია. ჩხეიძის სიებში არაა შეყვანილი ბურჭულაძე ვლადიმერი — ქვეითთა სპეციალობის მეორეკურსელი იუნკერი. პირველკურსელი გრიგოლ ტურაშვილის სახელი ჩხეიძესთან ალექსანდრეთაა მოხსენიებული, ხოლო შალვა ავალიშვილის გვარი — ავალიანად. ჩხეიძის მემუარში 62-ე ნომრად დასახელებული იუნკერ მიხეილ კვიციანიძის გვარი დოკუმენტში დაფიქსირებულია კვიცივიძედ, რაც ჩვენის აზრით რეალობასთან უფრო ახლოსაა. თავის მხრივ, დოკუმენტში წარმოდგენილ იუნკერთა უფროსი კურსის საარტილერიო სპეციალობის ჩამონათვალში №12 — იუნკერი შალვა ფურცელაძე გამოტოვებულია და სიაში №11-დან პირდაპირ №13-ზეა გადასვლა. ჩხეიძის სიაში არ არის მოყვანილი იუნკერ ხიდირბეგიშვილის სახელი. ზემოთ წარმოდგენილი სიების მიხედვით კი, I კურსის (ასეულის) მე-3 განყოფილების (ოცეულის) იუნკერ ხიდირბეგიშვილს, მიხეილი რქმევია.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში დაფიქსირებულია ქართული სამხედრო სკოლის ყველა ოფიცრის სახელი, რაც ჩხეიძის არც ერთ მემუარში არაა მოყვანილი.

მოვიყვანთ კიდევ ერთ დოკუმენტს, ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტის ბოლო ფურცელს, რომელიც რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში ქართველ იუნკერთა საბრძოლო დანაკარგების კრებსით უწყის წარმოადგენს:

იუნკერთა ასეულის დანაკარგები:

- მსუბუქად დაიჭრა — 7;
- საშუალოდ დაიჭრა — 22;
- მძიმედ დაიჭრა — 13;
- მოკლულია — 9.

სულ საბრძოლო ნეობიდან გამოვიდა — 51 [8, 18].

ეს დოკუმენტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში მოცემულია არა მხოლოდ მწყობრიდან გამოსული იუნკრების რაოდენობა, არამედ მათთვის მიყენებული საბრძოლო ჭრილობების ხარისხიც.

დაბოლოს, ერთი საკითხი, რომელიც იუნკერთა მიერ სწავლის დასრულებასა და მათ შემდგომ სამსახურს შეეხება. არ არის ბოლომდე ნათელი თუ რა წოდება უნდა მინიჭებოდათ იუნკრებს სკოლის დასრულების შემდეგ — პოდპორუჩიკების თუ პორტუპეი-

იუნკრებისა? გამომდინარე იქიდან, რომ გენერალ კვინიტაძის დიდი ბრძოლისა და მეცადინეობის შედეგად, სამხედრო სკოლის ნაცვალთა სასწავლო ბატალიონის კუსდამთავრებულმა ჯარისკაცებმა კურსის გავლის შემდეგ, სკოლაშივე მიიღეს უნტერ-ოფიცრის წოდება და ისე განანილდნენ ჯარებში, უნდა დავასკვნათ, რომ მით უმეტეს იუნკრები, სკოლის დასრულებისთანავე მიიღებდნენ ოფიცრის პირველად წოდებას და არა მოგვიანებით, ჯარებში განანილების შემდეგ [18, 187]. ისიც შესაძლებელია, რომ სწავლასა და საბრძოლო მომზადებაში წარჩინებულ იუნკრებს, რომლებიც სამხედრო სკოლას პორტუპეი-იუნკერის წოდებით დაასრულებდნენ, მინიჭებოდათ არა ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება „პოდპორუჩიკი“, არამედ — „პორუჩიკი“. სხვებს კი — პოდპორუჩიკი. მსგავსი პრაქტიკა მრავალი სხვა ქვეყნის სამხედრო განათლების სისტემაშიც არსებობდა.

თუმცა ეს საკითხი ალბათ უკვე არასდროს აღარ იქნება ბოლომდე ნათელი და გადნწყვეტილი. განგებამ და მისმა უდიდებულესობა ისტორიამ სხვანაირად განსაჯეს. რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის თბილისის ბრძოლაში, იუნკრები ბოლომდე იმყოფებოდნენ კოჯორი-ტაბახმელას საბრძოლო პოზიციებზე და ბოლომდე ეკავათ მათზე გაპიროვნებული ფრონტის ხაზი. ისინი ბოლოს გამოვიდნენ ბრძოლის ველიდან, უკან დახეული ქართული შენაერთების არიერგარდს წარმოადგენდნენ და ბოლომდე სამშობლოსა და სამხედრო ფიცის ერთგულნი დარჩნენ. სამხედრო სკოლის ნაცვალთა ბატალიონის პირველი გამოშვების პირადი შემადგენლობისაგან განსხვავებით, ქართველ იუნკერთა გამოშვება არ შემდგარა, მათ კოჯორი-ტაბახმელას ბრძოლებში დაასრულეს თავისი ყრმობაც და ქართული შეიარაღებულ ძალების სამხედრო მოსამსახურის კარიერაც.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო სკოლის იუნკრები ქართველი ოფიცრები ვერ გახდნენ — მაგრამ ისინი ბოლომდე სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებად, ბოლომდე ქართველ იუნკრებად დარჩნენ და ასე ეზიარნენ უკვდავებას.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ჩხეიძე. „სამხედრო სკოლა“. ჟურნალი „მხედარი“, №13, პარიზი, 1933.
2. Клаузевиц, О войне, Государственное Военное Издательство Наркомата Обороны Союза ССР. Москва. 1937.
3. В. Н. *Liddell-Hart*, Why Don't We Learn from History? Hawthorn Books, New York, 1971.
4. Alan J. P. Taylor, The course of German history: a survey of the development of German history since 1815, Routledge, 2001.
5. Разин Е. А. История военного искусства, в 3-х т. М., Воениздат, 1955. [http://militera.lib.ru/science/razin\\_ea/index.html](http://militera.lib.ru/science/razin_ea/index.html).
6. Frederick Austin Ogg, Ph. D. The governments of Europe, New York, The Macmillan Company, 1918.
7. Военный энциклопедический словарь. Пред. Гл. ред. комиссии Н. В. Огарков. М.: Воениздат, 1983. в 863 с. с ил. <http://www.enci.ru/%D0%A8%D1%82%D1%8B%D0%BA-%D1%8E%D0%BD%D0%BA%D0%B5%D1%80>.
8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 4, საქმე 15.
9. ალ. ჩხეიძე. მოგონებები სამხედრო სკოლის გახსნის 15 წლის თავზე. ჟურნალი „მხედარი“, №17, პარიზი, 1934.
10. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი IV. ვ. ცხაკაია. ცოტა რამ გენ. ჩხეიძის მოგონებებზე, თბილისი, 2003.
11. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 53.
12. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, „პარავარდისა“ და „ლევლის“ არქივები, ფონდი 2037, ანაწერი 1, საქმე 72.
13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 211.
14. ალ. ჩხეიძე, სამხედრო სკოლა, „მხედარი“, №13, პარიზი, 1933.
15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 27.

16. ნ. მათიკაშვილი, მ. კვალიაშვილი, იუნკრები, „მეცნიერება“, თბილისი, 1990.

17. ალ. ჩხეიძე, ჩემი მოგონებების დასასრული, ჟურნალი „მხედარი“, №17, პარიზი, 1934.

18. გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921, ნაწილი I, თბილისი, 1998.

### **Archil Chachkhiani**

*Doctor of History, Colonel, Senior Instructor on the Course of the War and Military Art, Defense and Security, the Theory and Nature of War, at the CGSC of the David Agmashenebeli Georgian National Defense Academy*

## **Georgian Junkers (Officer-Cadets) – Etymology of the Term, the Learning process and the Personnel according the Archival Documents**

### **Summary**

The article describes the pre-conditions of establishing the school for Georgian Junkers (officer-cadets) and brief history of its foundation in the years of the Democratic Republic of Georgia.

Etymology of the term „Junker“, its meaning and social-functional roles in the Prussian, Russian and Georgian realms are discussed. In accordance with the several sources and based on the checked archival documents, the complete personnel of the Georgian Junkers are given in names (the specified lists data, the composition of the military students' groups according the army services and military specialties) and the learning process in the Military School (the exact list of the military subjects, as well as the lists of the professors and military officers) are represented.

Participation of the Georgian Junkers in the combat activities of 1920-1921 is discussed briefly and the statistical data about their casualties (killed in actions, wounded, sick) are given in detail. The article also provides the stories of their lives later, after the School of Georgian Junkers.

## ავთანდილ სონღულაშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე, პროფესორი*

### პოლიტიკა და სპორტი

სპორტი, ისევე არქაულია, როგორც საზოგადოების წარმოშობა. პოლიტიკურ პროცესებში მისი ჩართვა კი შედარებით გვიან პერიოდს მიეკუთვნება. კერძოდ, სახელმწიფოთა ჩამოყალიბების სათავეებს.

პირველყოფილი ადამიანი ნებისთ თუ უნებლიედ სპორტსმენი იყო. სიცოცხლისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში მას უნევდა სირბილი და ხტომა, ცურვა და სროლა. რიტუალური გამოცდები – მამაკაცად კურთხევა, რაც დაკავშირებული იყო სისწრაფესა და ამტანობასთან, გამძლეობასა და ძალასთან.

რამდენიმე ათასი წლის წინ ჩატარებული სპორტული ასპარეზობების შესახებ ჩვენ ვიგებთ ძველეგვიპტური ტექსტების, ასირიულ-ლურსმულ წყაროებსა და სხვა დოკუმენტებში.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად სპორტი ახალ სოციალურ ფუნქციებს იძენს. ის გადაიქცა ადამიანის არა მხოლოდ თვითგამიჯვნის, თვითდამკვიდრების საშუალებად, ასევე ურთიერთობის, ფიზიკური სრულყოფილების, საზოგადოებრივი და შრომითი მომზადების, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის გზად.

და მაინც, ომისა და მშვიდობის საკითხებს სპორტი, ოლიმპიური თამაშების საწყისი ეტაპიდან უკავშირდება. პირველი ცნობილი თარიღი ოლიმპიური თამაშების შესახებ ძვ.წ. 776 წლით თარიღდება, როცა გამარჯვებულ ოლიმპიონიკად ელადელი მზარეული კორეიბოსი გამოცხადდა.



ოლიმპიურმა თამაშებმა 12 საუკუნე იარსება. ისინი ტარდებოდა 1169 წლის განმავლობაში ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ახ.წ. 393 წლის ჩათვლით. სულ ჩატარდა 293-ჯერ.

ოლიმპიური თამაშების ანუ სპორტული ასპარეზობების დროს პირველ და მთავარ პირობად ითვლებოდა ნებისმიერი საომარი მოქმედების შეწყვეტა. ყველა, ვინც თამაშებზე მიდიოდა, თავისუფალი მოძრაობის უფლებას იღებდა მტრის ქვეყანაშიც კი. სიკვდილისა და ღმერთების სასჯელის შიშით ვერავინ გაბედავდა მტრული მიზნით წმინდა ოლქში შეჭრას. თუ მეგობრულად განწყობილ ჯარს უნდა გაეველო — იარაღს საზღვარზე ტოვებდა და მხოლოდ ოლიმპიის ტერიტორიის დატოვების შემდეგ იღებდა. ასე დამკვიდრდა საბერძნეთში ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ოთხ წელიწადში ერთხელ, ურთიერთშორის ფიცხელი ომის დროსაც კი ყველას გვერდზე უნდა გადაედო იარაღი და ჩასულიყო ოლიმპიაში. ოლიმპიური თამაშები მთელი საბერძნეთის გაერთიანებულ საერთოეროვნულ მოვლენად იქცა, რამდენადაც საბერძნეთი ყოველთვის ურთიერთ მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისაგან შედგებოდა. ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად ცხადდებოდა „წმინდა ზავი“ ჯერ ელიდაში, შემდეგ კი ელადას სხვა კუთხეებშიც. ზავი ერთი თვით ცხადდებოდა და მას „ეკეხეირია“ ეწოდებოდა. ამ დროს არ შეიძლებოდა ომი არა მარტო ელიდაში, არამედ სხვა ბერძნულ სახელმწიფოებშიც [1, 29].

შეთანხმება წმინდა ზავის შესახებ იმის დასტურია, თუ რა დიდი როლი ჰქონდათ თამაშებს ბერძნული საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამდენადაც მათ შეეძლოთ ნებისმიერი საომარი მოქმედების შეჩერება.

წმინდა ზავი 12 საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაარღვიეს არკადიელებმა, რომლებმაც ძვ.წ. 368 წელს 103-ე ოლიმპიადის დროს დაიპყრეს ოლიმპია. მათ მხარს უჭერდა სპარტა. ძვ.წ. 364 წელს, მომდევნო 104-ე ოლიმპიადის დროს კი ადგილობრივი მოსახლეობა თავს დაესხა არკადიელებს და მშვიდობიან სტადიონზე სასტიკი ბრძოლა გაიმართა. თუმცა კანონიერ პატირონთა რიცხვი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე დამპყრობელთა, მაგრამ ისეთი თავგანწირვით, ვაჟკაცურად და დაჟინებით იბრძოდნენ, რომ გაიმარჯვეს და არკადიელები განდევნეს ოლიმპიის ტერიტორიიდან. არკადიელთა და სპარტელთა მიერ ჩატარებული ყველა თამაში ბათილად გამოცხადდა. ბერძნთა რისხვა ისეთი

უსაზღვრო იყო, რომ მათ დასაჯეს არკადიელები და დიდი ხნით ჩამოართვეს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება [1, 128].

ძვ.წ. 324 წელს 114-ე ოლიმპიადაზე ალექსანდრე მაკედონელმა წმინდა ზავი გამოაცხადა. ამავე დროს გამოსცა ამნისტია ყველა ბერძენისადმი, რომლებიც პოლიტიკური ემიგრანტები იყვნენ [1, 87].

ელინთა დაცემის ეპოქაში ქალაქს თამაშებში, რაც მეტი გამარჯვებული ათლეტი ყავდა, მით მეტი შანსი ჰქონდა ემტიციებინა თავისი უპირატესობა მთელი საბერძნეთის ხელმძღვანელის როლზე. აქ უკვე პირველად გამოიკვეთა სპორტის მნიშვნელობა პოლიტიკურ რეიტინგზე და ქვეყნის იმიჯის ბარომეტრად იქცა.

რელიგიის პოლიტიზაცია მკვეთრად გამოჩნდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებით. ქრისტიანობა რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე განმტკიცდა IV საუკუნის ბოლოს და წარმართობის ფანატიკურ მტრად იქცა მის ყოველ გამოვლინებაში. თამაშები ოლიმპიაში ანტიკური სულის ნათელი გამოხატულება — ფიზიკური სილამაზისა და სულიერი სრულყოფის ჰიმნი, ჯანმრთელი სხეულის და ჯანმრთელი სულის ტრიუმფი იყო. სწორედ ეს ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული მოძღვრების კანონებს, როელიც ყველაზე მაღლა სულის სიმაღლეს აყენებდა და ერთდროულად ხორცის დათრგუნვას ესწრაფვოდა. ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად, თამაშები ოლიმპიაში გასაქრობად განწირული აღმოჩნდა. ახ.წ. 394 წელს იმპერატორ თეოდოსიუს I-ის დეკრეტით თამაშები აიკრძალა. ოლიმპიის სალოცავი თანდათან დაცარიელდა, გაიძარცვა, განადგურდა და დავინწყებას მიეცა.

პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად V საუკუნეში ანტიკურ სამყაროსთან ერთად დაიღუპა ოლიმპია და ოლიმპიური თამაშები, მათთან ერთად დაიღუპა აგრეთვე ფიზიკური აღზრდის უნიკალური კულტი. ამდენად, წმინდა რელიგიურ მოსაზრებებს ემატებოდა პოლიტიკური, რამდენადაც ოლიმპიური თამაშები რომის სანინააღმდეგოდ სახელს და დიდებას საბერძნეთს უზვეჭდა [1, 109].

ფეოდალურ ხანაში ქრისტიანული ეკლესია წინააღმდეგი იყო სპორტული ტურნირების ჩატარების, რადგანაც ის მიაჩნდა უაზრო დროის ტარებად და გართობად, რომელიც ტრაგიკული შედეგებით მთავრდებოდა.

1190 წელს, კლერმონის საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა ინოკენტი II-მ აკრძალა ტურნირები. ამავე კრებაზე დადგინდა, რომ

იკრძალებოდა ქრისტიანული წესით მათი დაკრძალვა, ვინც ტურ-ნირზე დაილუპებოდა. მიუხედავად ამისა, ტურნირები მაინც ტარდებოდა, ის რაინდებისათვის იყო არა მხოლოდ გართობის, არამედ სამხედრო ძლიერებისა და მომზადების დემონსტრირება. ამდენად, რადგანაც რაინდობა წარმოადგენდა შუა საუკუნეების საზოგადოების მნიშვნელოვან ძალას, ეკლესიაც და სახელმწიფოც ხშირად უკან იხევდა და გარკვეულ შეღავათებზე მიდიოდა [2, 34].

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების სათავეებთან დგას ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი (1863-1937). 1894 წელს დაარსდა ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ).

1896 წლის 6-15 აპრილს 1503 წლის შესვენების შემდეგ ელადის მიწაზე, ათენის თეთრი მარმარილოს სტადიონზე განახლდა ანტიკური ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 311 მამაკაცი მონაწილეობდა. სტადიონის ბილიკებზე გამოვიდნენ 13 ქვეყნის: ავსტრიის, ავსტრალიის, აშშ-ს, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, დანიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, შვეიცარიის, შვეციის, ჩილეს წარგზავნილები. რუსეთის სპორტსმენებმა უსახსრობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს.

საბერძნეთის ეროვნული ჰიმნით აღინიშნა ასპარეზობის გახსნა. შემდეგ საბერძნეთის მეფე გეორგ I-მა გამოაცხადა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ციკლის დაწყება, გუნდმა შეასრულა სპეციალურად ზეიმისათვის კომპოზიტორ სპიროს სამაროსისა და პოეტ კოსტას პალამოსის მიერ შექმნილი ოლიმპიური ჰიმნი [1, 123].

„თქვენი წარმატება ჩემს პოზიციებსაც ამაგრებს!“ — თავის დროზე ამ სიტყვებით მიმართა ფეხბურთელებს უგანდის პრეზიდენტმა და დიქტატორმა იდი ამინმა (1971-1979 წწ.). ასეთი პერსონები არერთი ქვეყნის ისტორიაში ყოფილან. ისინი საკუთარ თავს „დურქს“, „ბელადს“, „ფიურერსა“ თუ „კაუდილიოს“ უწოდებდნენ და ქადაგებდნენ ფაშიზმს, სოციალიზმს, არგენტინულ ხუსტისიალიზმს, კორპორატივიზმსა თუ ჩრდილოკორეულ ჩუჩხეს, მათ მტრობდნენ და თავს სწირავდნენ. დემოკრატები მათ დიქტატორებად მოიხსენიებენ, „ძლიერი ხელის“ მომხრეები კი ეროვნულ გმირებად. ასეა თუ ისე, ფაქტია, მათ უდიდესი კვალი დატოვეს არა მარტო თავიანთი ქვეყნის, არამედ სპორტის ისტორიაშიც [3, 67].

სპორტის პოლიტიზაცია დღეს არ მომხდარა. პოლიტიკანები ყოველთვის ცდილობდნენ სპორტული ასპარეზობები ადრეც ფა-

რული ზრახვებისათვის გამოეყენებინათ. ამ სახის ერთ-ერთი, შედარებით ცნობილი მაგალითია 1914 წლის 14 თებერვალს გერმანიის იმპერიის ელიტის სათათბირო დისკუსია. მაშინ მრავალმა დეპუტატმა განაცხადა, რომ 1916 წელს ბერლინის ოლიმპიური თამაშები (ომის გამო ვერ ჩატარდა) ისეთ დონეზე უნდა ჩატარებულიყო, რომ მსოფლიოს ხალხთა თვალში გერმანიის იმპერია წარმოეჩინა ეკონომიკურად ძლიერი შესაძლებლობების ქვეყანად.

პოლიტიკური მიზნით გამოიყენა ჰიტლერულმა ფაშიზმმა 1936 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. ამასთან დაკავშირებით ცნობილი უნგრელი მეცნიერი ლასლო კუნი წერდა: როდესაც სოკ-მა 1932 წლის აპრილში ბარსელონის სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ბერლინში ჩატარებინათ, ჰიტლერელმა პროტესტი გამოხატეს. ხოლო, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ჰიტლერმა ოლიმპიადაში დაინახა მანევრირების ახალი შესაძლებლობები. როგორც ადასტურებს ბერლინის ოლიმპიურ არქივში აღმოჩენილი ოქმი ნომერით 33/დ 155, ადოლფმა გააცნობიერა, რომ გერმანია საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის „დაპყრობის“ მიზნით ოლიმპიადა მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენდა. ჰიტლერი და მისი გარემოცვა ხვდებოდა, რომ 1936 წელს ოლიმპიურ თამაშებს გერმანიისათვის შეიძლება უზრუნველყო მისი ტოტალიტარული სისტემის დადებითად აღიარება. გარეგნული სამშვიდობო ფორმალობების დაცვით გებელსის პროპაგანდის აპარატს შეეძლო თამაშები გამოეყენებინა ფაშისტური იდეების პიარ კამპანიისათვის. „გარკვეული წვლილი შეეტანა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის გამოთაყვანებაში“ [4, 120].

ჰიტლერის მითითებით 1938 წელს შეიქმნა ფიზიკური სავარჯიშოების ნაციონალ-სოციალისტური იმპერიის კავშირი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იმპერიის სპორტის ფიურერი გ. ფონ ჩამმერ-ი-ოსტენი. აღნიშნული ორგანიზაციის გარდა სპორტული მუშაობის საკითხებს წარმართავდნენ სს, სდ, „ჰიტლერიუგენდი“, გერმანელ გოგინათა კავშირი და სხვა ფაშისტური ორგანიზაციები. „ჰიტლერიუგენდში“ ახალგაზრდებს, რომლებმაც ის იყო დატოვეს ბავშვობის ასაკი, ასწავლიდნენ პატარების ხოცვას. აყალიბებდნენ ისეთ პიროვნებებად, როგორც ჰიტლერი ამბობდა: „ჩვენ გვინდა ახალგაზრდა მხეცები“ [5, 13].

დიქტატორთა შრის „პიონერი“, ფაშიზმის „მამა“ ბენიტო მუსოლინი იტალიას სათავეში ედგა 1922-1943 წლებში. „დუჩე“ შეპყრობილი იყო იდეით, რომლის თანახმად, იტალიელები სხვებზე უკეთესი იყვნენ ყველა სფეროში, მათ შორის სპორტშიც... მისი მმართველობის პერიოდში მრავალრიცხოვანი რეგიონული ლიგების ნაცვლად შეიქმნა პირველი ნაციონალური ჩემპიონატი *Divisione Nazionale* [3, 67].

იმდროინდელ იტალიურ ფეხბურთს, ისევე როგორც ქვეყნის დანარჩენ სფეროებს, პარტია და მმართველი ძალა განაგებდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციაშიც და კლუბებშიც ხელმძღვანელი თანამდებობები მხოლოდ ფაშისტური პარტიის წევრებს ეკავათ, რომლებსაც ყველა საკამათო საკითხში საბოლოო სიტყვა ეთქმოდათ.

1939 წელს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“. ამ უკანასკნელის მწვრთნელი იყო ცნობილი ფეხბურთელი ნიკოლოზ სტაროსტინი. მოსკოველებმა დაამარცხეს თბილისელები. ერთი თვის შემდეგ სტაროსტინი ცეკაში გამოიძახეს და უთხრეს, ნახევარფინალური მატჩი უნდა გადათამაშდესო. სტაროსტინმა პროტესტი განაცხადა: ეს როგორ იქნებაო, მაგრამ აგრძნობინეს, რომ გადანყვეტილება ძალზე მაღალ დონეზე იყო მიღებული. გაიმართა გადათამაშება და როცა მეორე ტაიმში მესამე მშრალი ბურთი გავიდა თბილისელთა კარში, სტაროსტინმა დაინახა, როგორ წამოდგა ბერია, შეშლილი სახით მოისროლა სკამი და სტადიონიდან გავარდა. იმ წუთიდან, როგორც სტაროსტინი წერს, ბერიამ მისი და მისი ძმების ბედისწერის საათი ჩართო. 1942 წელს სტაროსტინები, მათი ოჯახის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს და 1954 წლამდე ციმბირის სხვადასხვა ბანაკებში ავარჯიშებდნენ ფეხბურთით გატაცებულ პატიმრებს... [6, 53].

მეორე მსოფლიო ომამდე საფეხბურთო კლუბი კიევის „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. როდესაც გერმანელები კიევს მიუახლოვდნენ ფეხბურთელები (გუნდი 20 წევრისაგან შედგებოდა) ფრონტზე წავიდნენ. რამდენიმე მათგანი ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ. მალე ფაშისტებმა კიევი აიღეს. ტყვე ფეხბურთელები საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდნენ ქალაქთან ახლოს.

1942 წლის ზაფხულში გერმანელებმა გადაწყვიტეს კიევში მოეწყოთ ფეხბურთის მატჩი გერმანულ და უკრაინულ გუნდებს შორის. მათ ჰქონდათ სურვილი დაემტკიცებინათ, რომ ჰიტლერული სპორტი სტალინურ სპორტზე ძლიერი იყო. ტყვეთა ბანაკში მივიდა გერმანელი ოფიცერი. მან უკრაინელ ფეხბურთელებს მიმართა: კიევში ჩატარდება ფეხბურთის მატჩი. თქვენ ბუნებრივია უნდა წააგოთ. თუ მოიგებთ, დაიხვრიტებით კომუნისტური პროპაგანდისათვის.

მატჩზე დასასწრებლად კიევის 50 ათასი მცხოვრები მოვიდა. გერმანელებმა პირველი ბურთი გაიტანეს. მაყურებელი დუმდა. გერმანელი მსაჯი მხოლოდ უკრაინელთა თამაშს აკვირდებოდა... საჯარიმო დარტყმები, მხოლოდ კიეველთა კარისკენ იყო მიმართული. რამდენიმე წუთის შემდეგ კიეველებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს „ლიუფტვაფეს“ კარში. სტადიონს მაყურებელთა ოვაციამ გადაუარა. პოლიცია მოედენზე დარბოდა და გულშემატკივრებს სიჩუმისაკენ მოუწოდებდა. ჩქარა ანგარიში 2:1 გახდა „დინამოს“ სასარგებლოდ. გერმანელი ოფიცერი ყვიროდა: „გიბრძანებთ წააგოთ! ან მატჩის შემდეგ ყველას დაგხვრეტავთ“. კიეველი სპორტსმენები დუმდნენ. მაშინ ფაშისტმა ოფიცერმა ფეხბურთელებს ცემა დაუწყო.

დაიწყო მეორე ტაიმი. რამდენიმე წუთში ანგარიში გახდა 3:1 „დინამოს“ სასარგებლოდ. საპასუხოდ, გერმანელთა გუნდის კაპიტანმა სახეში ფეხი დაარტყა კიველ ფეხბურთელს. სპორტსმენი დაეცა და გონება დაკარგა. მსაჯმა აუკრძალა ექიმს დახმარება აღმოეჩინა დაზარალებულისათვის. რამდენიმე წუთში ფეხბურთელი წამოდგა და თამაში განაგრძო. ეს თამაში კიეველმა სპორტსმენებმა 6:1 მოიგეს. ფაშისტებმა ადგილზევე დახვრიტეს კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები. სიკვდილის წინ კიეველთა გუნდის კაპიტანმა კლიმენკომ შესძახა: „ჩვენ მოგიგეთ ფეხბურთის მოედანზე, გამიმარჯვებთ ბრძოლაშიც!“

მატჩის შემდეგ კიევის მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყეში გავიდა... [7. 118-119].

ესპანეთში დიქტატორმა ფრანსისკო ფრანკომ (ქვეყნის მეთაური 1939-1975 წლებში) სეპარატიზმთან ბრძოლის მიზნით, საფეხბურთო კლუბებს არაესპანურენოვანი სახელწოდებებისა და სიმბოლიკის გამოყენება აუკრძალა. მისი ძალისხმევით, „ბარსელონას“ გერბიდან გაქრა კატალონიის დროშა, ხოლო „ატლეტიკო კლავ დე მადრიდ“ გახდა „ატლეტიკო ავიასიონ დე მადრიდ“.

იმავდროულად, ფრანკო ფეხბურთელთა ნატურალიზაციის წინააღმდეგი არ ყოფილა. მან წარმოშობით არგენტინელ დი სტეფანოსთან, პარაგვაელ მარტინესსა და ურუგვაელ სანტამარიასთან ერთად, „გააესპანელა“ ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ესპანურ კულტურასთან [3, 68].

1960 წლის მაისის დამლევს შიშის გარკვეული სინდრომიდან გამომდინარე, პოლიტიკური მოტივით ფრანკომ აკრძალა გასვლითი და საშინაო მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში ევროპის თასის პირველ გათამაშებაში ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის, რამდენადაც კომუნისტთა მხარდამჭერ დემონსტრაციებს უფრთხოდა. ეს პირწმინდად პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებული იყო იმ დროს, როცა მადრიდის „რეალი“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრები თავიანთი დიდების ზენიტში იმყოფებოდნენ, ესპანელ გულშემატკივრებს, ცხადია, არ მოეწონათ.

ფრანკო იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „სპორტული ემოციების გაკონტროლება ძნელია“ და შემდგომში ფეხბურთს იყენებდა, რათა ხალხის ყურადღება პოლიტიკური და სოციალური პრობლემებიდან სპორტზე გადაეტანა [8, 329].

მოგვიანებით, მოტეხილი და სიბერეში შესული ფრანკო უფრო ლმობიერი გახდა, რაც თვალნათლივ გამოვლინდა 1964 წელს, როდესაც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მადრიდში უნდა ჩატარებულყო, ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ფრანკომ არათუ აკრძალა მატჩი, არამედ გადაწყვიტა, რომ თამაშს თვითონაც დასწრებოდა. მინისტრები ამ იდეას თავშეკავებით შეხვდნენ იმის შიშით, რომ თუკი სსრკ-ს ნაკრები გაიმარჯვებდა, კაუდილიო თასის გადაცემაზე უარს იტყოდა. აი, ასოცი ათასი გულშემატკივარი კი სტადიონზე მას აღფრთოვანებით მიესალმა, ერთხმად გაჰყვიროდნენ: „ფრანკო! ფრანკო! ფრანკო!“ ესპანეთმა რეჟიმის საბედნიეროდ, გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. სიამაყით აღვსილმა მწვრთნელმა ეს გამარჯვება მიუძღვნა „გენერალსიმუს ფრანკოს, რომელმაც თავისი დასწრებით პატივი დასდო და ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვება შთააგონა“ [8, 336].

საერთაშორისო ურთიერთობისა და პოლიტიკური პროცესების გაფართოება-განვითარებასთან ერთად ახლებურად განწყობილი სპორტისადმი კათოლიკური ეკლესია. ვატიკანში წმინდანების ფიგურათა გალერიაში დაუმატეს ფეხბურთელის, მოკრივისა და

სხვათა ფიგურებიც, ხოლო მაღალავტორიტეტულმა აბატებმა და-  
ინყეს რომის, ლონდონის, მადრიდის სტადიონების სათამაშო მო-  
ედნებზე გამოსვლა ფეხბურთის მატჩის დაწყების წინ ბურთის  
კურთხევისათვის [9, 83]. ამავე დროს სპორტული შეჯიბრებები  
ტარდება სასულიერო აკადემიებსა და დაწესებულებებს შორის.  
იტალიაში მსოფლიო რანგის პირველობაზე გასაგზავნათ გუნდებს  
თვით პაპი აკურთხებს ხოლმე [10, 16].

საინტერესოა, რომ წარსულში დასავლეთ საქართველოში  
გავრცელებულ უძველეს სპორტულ თამაშ ლელოზე (ლელობურ-  
თი), ასპარეზობის დროს წესად ყოფილა — მღვდელი ყოველ აღ-  
დგომა დღეს აკურთხებდა წითელ, 16 კილოგრამიან ბურთს და  
მრევლს ლელოს ათამაშებდა.

სამეგრელოში თამაშის დასრულების შემდეგ გამარჯვებუ-  
ლი გუნდი ფესვებიანად მოგლეჯდა ხეს და ეკლესიის კართან ააყუ-  
დებდა. ხეს მღვდელი ამ სიტყვით ლოცავდა: „დიდებულო წმინდა  
გიორგი, შენ მიეცი ამათ შეძლება, მშვიდობა, დღეგრძელობა, ძალი  
და ღონე და ასე გაამარჯვებინე ყოველ წელს, როგორც ახლა“ [11,  
103].

ცნობილია, რომ კარატე, ჭიდაობის გარდა, მოიცავს ეთიკუ-  
რი, ფსიქოლოგიური და სოციალური ერთობლიობის კომპლექსს,  
რასაც კარგად იყენებენ იაპონიის მემარჯვენე იდეოლოგები. უვე  
1940 წლისათვის იაპონიაში არ იყო არც ერთი დიდი უნივერსიტე-  
ტი, რომ იქ კარატეს კლუბი არ ყოფილიყო. გასული საუკუნის 80-  
იანი წლების დასაწყისში იაპონიის ტაკოსიოკუს სავარჯიშო კლუბ-  
ში მოკლეს პირველკურსელი ანდზე. ანდზე უნივერსიტეტში ჩა-  
რიცხვისთანავე შევიდა კარატეს სავარჯიშო კლუბში. ახალგაზ-  
რდამ მოგვიანებით გაიგო, რომ სპორტული გაერთიანება, რო-  
გორც კარატეს ბევრი სხვა კლუბი იაპონიაში, მჭიდროდ იყო და-  
კავშირებული ულტრამემარჯვენეებთან, ნახევრად ფაშისტურ ორ-  
განიზაციებთან. ანდზემ გადაწყვიტა ვარჯიშისათვის თავი დაენე-  
ბებინა და ყოველგვარი ეჭვის გარეშე მივიდა ბოლო მეცადინეობა-  
ზე. „გამყიდველო! შენ შეარცხვინე ჩვენი კლუბი!“ ამ სიტყვებით  
შემოესივნენ კარატისტები ანდზეს და დაინყეს საშინელი რიტუა-  
ლის შესრულება. ისინი რიგრიგობით აყენებდნენ მტიკვენულ დარ-  
ტყმებს ანდზეს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა...  
„სამწუხაროდ ტაკოსიოკუს უნივერსიტეტში ასეთი შემთხვევა ერ-  
თეული არ არის, — განაცხადა ცნობილმა იაპონელმა სპორტულმა  
მიმომხილველმა ნობუმასა კაკამოტომ, — როგორც სპორტის ზო-



გიერთი სხვა სახეობა, კარატე ფართოდ გამოიყენება იაპონიის რეაქციული ძალების მიერ ახალგაზრდობაზე ზემოქმედებისათვის“ [12, 29].

და, მართლაც, შემთხვევითი არ არის, რომ ტერორისტული დრამის მოქმედი პირები ყველა ახალგაზრდაა, ასაკი 20-25 წელი. მართალია, მათთან ერთად არიან უფროსებიც, მაგრამ ისინი ერთეულები არიან. ამავე დროს ისინი მოქმედებენ კულისებს მიღმა და მხოლოდ ხელმძღვანელობენ ტერორისტებს. ტერორისტული იატაკქვეშეთის ლიდერი შეიძლება იყოს პოპულარული პროფესორი ან ექიმი, კრიმინალისტი ან ადვოკატი. ტერორისტულ ჯგუფში შეიძლება შეხვიდე, მაგრამ იქიდან გამოსვლა არ შეიძლება: ასეთი სურვილის გზა მიდის მხოლოდ სასაფლაოზე [13, 65].

სპორტთან ასევე დაკავშირებულია რასიზმი. იგი არის ანტი-მეცნიერული კონცეფცია, რომლის მიხედვით არსებობს ადამიანთა რასებს შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უთანაბრობა, რაც გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების ისტორიასა და კულტურაზე, ადამიანებს ყოფს მაღალ და დაბალ რასებად. ფაქტია, რომ რასიზმი წარმოადგენს ფაშიზმისა და ნეონაციზმის ოფიციალურ იდეოლოგიას.

ოლიმპიურ თამაშებზე რასიზმი პირველად გამოვლინდა 1904 წელს სენტ-ლუისში (აშშ), როდესაც თამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მოენყოთ ე.წ. „ანთროპოლოგიური დღეები“: არათეთრკანიანი რასის ათლეტები — ზანგები, ფილიპინელები, ინდიელები — შეჯიბრზე მხოლოდ ერთმანეთის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყვნენ სპეციალურად მათთვის გამოყოფილ სტადიონზე ორი დღის განმავლობაში. მხოლოდ თურქმა და სირიელმა სპორტსმენებმა გაბედეს მათ მიერთებოდნენ.

სოკ-ის პრეზიდენტი პიერ დე კუბერტიენი მძაფრი პროტესტით გამოვიდა. თამაშების ორგანიზატორთა გადაწყვეტილების გამო მან უარი განაცხადა დასწრებოდა ოლიმპიურ თამაშებს. მრავალმა სპორტსმენმა და სპორტულმა საზოგადოებამ დაგმო „ანთროპოლოგიური დღეები“

ამერიკული სპორტის ისტორიაში, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში სენტ-ლუისში ამერიკელებმა პირველად შეიყვანეს ზანგი მორბენალი ჯორჯ პუჯი, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა 200 და 400 მეტრზე ბარიერულ სირბილში. ამდენად, რასიზმმა პირველად სპორტში მიიღო სათანადო პასუხი. თუმცა რასისტული გამოვლინების საშიშროება ოლიმპიურ მოძრაობაში

კვლავ რჩებოდა. მისი ლიკვიდაციისათვის კუბერტიენის ინიციატივით სოკ-მა 1913 წელს მიიღო ანტირასისტული წესდება, რაც იურიდიულად გაფორმდა. დამატკიცა ოლიმპიური დროშის ატრიბუტები — თეთრ ფონზე ხუთი სხვადასხვა ფერის გადაბმული რგოლი, როგორც ხუთი კონტინენტის სიმბოლო. ოლიმპიური დროშა პირველად აღმართეს 1920 წელს. ეს იყო რასიზმზე დარტყმა. მაგრამ სპორტში რასიზმი მაინც დარჩა.

როდესაც ვიხილავთ სპორტში რასობრივი სეგრეგაციის საკითხებს, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ძირებზე, რომელიც არა ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ საწყისებს ემყარება. დისკრიმინაცია სპორტში ხორციელდება არა რასობრივი, არამედ პოლიტიკური მოტივებით. სწორედ ასე მოხდა 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე, როდესაც ამერიკელების გუნდის ხელმძღვანელობამ ჰიტლერელების საამებლად უარი თქვა უძლიერესი ზანგი ათლეტების ნაკრების შემადგენლობაში შეყვანაზე.

შემდეგში მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით 1964 და 1968 წლებში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას არ მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო ოლიმპიურ თამაშებში, ხოლო 1970 წელს გარიცხული იქნა ოლიმპიური მოძრაობიდან. 1973 წელს ანალოგიური მიზეზით გაირიცხა სამხრეთ როდეზია (დღევანდელი ზიმბაბვეს რესპუბლიკა) [14, 62].

მრავალი ოლიმპიური თამაშები (განსაკუთრებით 1932, 1936, 1948, 1952, 1956, 1968 წწ.) გამოირჩევა ზანგი სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებებით, რომლებმაც დაიცვეს აშშ-ის სპორტული ღირსება. სპორტულ არენაზე გამოსვლის შემდეგ კი ფერადკანიანი მოსახლეობა კვლავ არასრულფასოვან მოქალაქეებად განიხილებოდა. „სტადიონზე მე ყველაზე სწრაფი ადამიანი ვარ მსოფლიოში, ხოლო სტადიონის გარეთ — მხოლოდ ბინძური ზანგი“, აღნიშნავდა მსოფლიო ჩემპიონი სირბილში თ. სმითი [14, 65].

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ცნობილ სპორტულ კომენტატორსა და სპორტსმენს ნიკოლოზ ოზეროვს, ყველა მნიშვნელოვანი სპორტული პაექრობის გაძლოლას ავალუბდნენ. მისი კომენტარები განსაკუთრებით მოსწონდა პარტიის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს. ოზეროვი თავის რეპორტაჟებს ასე იწყებდა: გამარჯობათ ძვირფასო ლეონიდ ილიჩ!.. (ეს ისე ხუმრობით!). ოზეროვი მთავრობაში მიღებული კაცი იყო. საბჭოთა კავშირში სპორ-

ტის სხვადასხვა სახეობაში დასაუფლებლად ბავშვებისათვის შესანიშნავი სისტემა მუშაობდა. სამაგიეროდ დაბალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ უზრუნველყოფდა პროფესიული სპორტის განვითარებას. მართალია, ე. წ. „საბჭოთა სპორტსმენები“ დადიოდნენ საზღვარგარეთ, თამაშობდნენ, იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობებში და არც თუ ურიგოდ, მაგრამ პოლიტიკა ისე ერეოდა სპორტულ საქმიანობაში, რომ ყველაფერს აფუჭებდა. მაგალითად, თავის დროზე ჩოგბურთელებს ალექსანდრე მეტრეველს და თეიმურაზ კაკულიას შეეძლოთ დევისის თასის მოგება, მაგრამ არ გაუშვეს. ასევე აუკრძალეს თამაში ჩილეში კონტრევოლუციური გადატრიალების გამო პროტესტის ნიშნად. ასეთივე ამბავი გამეორდა სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ ბოიკოტის გამო. წმინდა ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებებიც ბევრი იყო. მაგალითად, საფრანგეთში ტურნირის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ბრუნდებოდნენ მოსკოვში, იღებდნენ ახალ პასპორტებს და მიდიოდნენ ინგლისში. აქეთ-იქით ასეთი უაზრო მგზავრობით ძალიან იღლებოდნენ, რაც, ბუნებრივია სპორტულ ფორმაზე უარყოფითად მოქმედებდა [15, 16].

ტრადიციულად დამკვიდრდა ისე, რომ ოლიმპიური თამაშები ყოველთვის ემთხვევა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიას, რასაც წარმატებით იყენებენ პოლიტიკოსები. აშშ პრეზიდენტების უმრავლესობა სპორტს პოლიტიკური მიზნით ყოველთვის იყენებდა. ამავე დროს ზოგიერთი მათგანი თავად ცდილობდა სპორტის რომელიმე სახის მიმდევარი ყოფილიყო. მაგალითად, კალვინ კულიჯი გატაცებული იყო სათხილამურო სპორტით. დუაიტ ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ყველაზე მეტად უყვარდა გოლფის თამაში. ჯონ კენედი უპირატესობას ამერიკულ ფეხბურთს ანიჭებდა. ასევე შეიძლება ითქვას ლინდონ ჯონსონსა და ჯერალდ ფორდზე. ტომარას მსგავსი რიჩარდ ნიქსონიც კი, რომელიც გარეგნობით ასპროცენტიანი ანტისპორტული იერით გამოირჩეოდა, მრჩეველების რეკომენდაციით ჟურნალებში აქვეყნებდა სტატიებს ფეხბურთის თემაზე. არჩვენებდა, რომ ის სპორტის ისეთივე თავგადაკლული გულშემატკივარი იყო, როგორც მილიონობით რიგითი ამერიკელი. წესად ჰქონდა როგორც „ჩვეულებრივ“ გულშემატკივარს ტელეფონით მიელოცა გამარჯვებული სპორტსმენებისათვის. ცნობილი ამერიკელი ფეხბურთელი ლერი გზონკი პრეზიდენტის ამ ნაბიჯებს ხმებზე ნადირობას უწოდებს. ნიქსონი ასევე ცდილობდა შავკანიანი სპორტსმენების მიმხრობას. 1976

წელს ფორდის პიარ კამპანიას ეწეოდა ტენისისტი კრის ევერტი, მოციგურავე პეგი ფლემინგი და ა. შ. ამავე წელს კარტერის იმიჯზე ზრუნავდა 50-ზე მეტი ცნობილი სპორტსმენი. მათ შორის ტენისისტი არტურ ემი და ბეისბოლისტი ხენკ აარონი. ისინი მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს ხმა მიეცათ ჯიმი კარტერისათვის. ყველაზე მეტად აქტიურობდა მოკრივე მუჰამედ ალი. კარტერი თეთრ სახლს მოეველინა, როგორც უბრალო ფერმერი ჯორჯიიდან, ადამიანი ხალხთა მასიდან. ის ცდილობდა მოერგო რიგითი ამერიკელის როლი, რომელსაც ჰქონდა სურვილი ბოლოს და ბოლოს წესრიგი დაემყარებინა ვაშინგტონში, წერტილი დაესვა მექრთამეობისა და კორუფციისათვის, სამხედრო ხარჯების შემცირებით შეეჩერებინა ინფლაცია. რას აღარ პირდებოდა ამომრჩეველს! თავდაპირველად მრავალი წამოეგო ანკესზე, დაუჯერეს — ის ხომ ძალიან გულახდილი აღმოჩნდა, თბილი, უბრალო. ტიპიური ამერიკელი. და რა თქმა უნდა მას უყვარდა სპორტი.

ჯერალდ ფორდი სათხილამურო სპორტით იყო გატაცებული, როდესაც ამერიკაში დაიწყო სათხილამურო ბუმი. შემდეგ ნომერ პირველ სპორტად აშშ-ში აღიარეს ტენისი, და თეთრი სახლის ახალი პატრონი კარტერი უცებ ტენისისტად იქცა. ცოტა ხანში ამერიკელების თავყვანისცემის ობიექტი სირბილი გახდა. შეეძლო კარტერს ხელიდან გაეშვა პოტენციურ ამომრჩეველთა ყურადღება? რა თქმა უნდა არა. და აი, ის უკვე აღარ არის ტენისისტი, არამედ ჯოჯერია.

1979 წლის სექტემბერში კარტერის პოზიციები კრიტიკული გახდა, მისი პოპულარობა მკვეთრად დაეცა. რა გააკეთა პრეზიდენტმა? იქნებ მიიღო გადანაცვტილება სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებზე, ან შეეცადა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, რაც ქვეყნისათვის სასიკეთო იქნებოდა? არავითარი. მან გამოიყენა საყვარელი ილეთი: მიმართა სპორტულ თვითრეკლამას და მონაწილეობა მიიღო კემპ-დევიდთან ახლოს ათ კილომეტრიან მარათონში.

ის მარტო არ მირობდა. მის გვერდში იყვნენ ექიმები და დაცვის წევრები. უკან მისდევდნენ მრჩევლები და თანაშემწეები. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ პრეზიდენტმა ფერი დაკარგა, წონასწორობას ვეღარ იცავდა. საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებმა მოასწრეს ხელი შეეშველებინათ.

ფოტოსურათებმა, რომლებზეც გამოსახულია წარუმატებელი მარათონისტი მსოფლიოს პრესა მოიარა. ის გახდა ხელმძღვა-

ნელი-დილეთანტის სიმბოლო, რომელმაც ვერცერთი წინასაარჩევნო დაპირება ვერ შეასრულა [4, 26-27].

1979 წელს საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ჯარი შეიყვანა. კარტერმა ამით ისარგებლა და წინასაარჩევნო კამპანიის დროს 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა. ამავე წლის 3-6 თებერვალს ამერიკის ტელევიზიის ყველა არხი ფართო რეკლამას უწევდა ცნობილი მოკრივის მუჰამედ ალის ვიზიტს აფრიკაში, რომელიც იქ კარტერის პირადი თხოვნით გაემგზავრა, რათა აფრიკის ქვეყნებს უარი ეთქვათ მოსკოვის ოლიმპი-ადაში მონაწილეობის მიღებაზე.

აშშ-ის ზენოლის გამო 30 სახელმწიფოს მთავრობამ შეძლო დაერწმუნებინა საკუთარი ქვეყნის ეროვნული კომიტეტები, უარი ეთქვათ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. მიუხედავად ამისა ამერიკელმა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღის საერთაშორისო სამეცნიერო ოლიმპიური კონგრესის მუშაობაში, რომელიც თბილისში ჩატარდა. უფრო მეტიც, ათასზე მეტი ადამიანი ამერიკელი ტურისტის ჩავიდა მოსკოვში თამაშებზე დასასწრებლად. ასევე მოვლენებს აშუქებდა 114 ამერიკელი ჟურნალისტი და ენ-ბი-სი-ს 60 თანამშრომელი [16, 168-169].

კარტერი დამარცხდა. ანტიოლიმპიური ისტერია საპირისპიროდ შემობრუნდა. სპორტსმენებსა და სპორტის მოყვარულებს არ შეეძლოთ ეპატიებინათ თავისი პრეზიდენტისათვის ამერიკის განხე დოგმა ოლიმპიადისაგან. 1980 წელს ყველაზე პოპულარული გახდა მაისურები, რომელზეც გამოსახული იყო „პრეზიდენტი-ურჩხული“, რომელიც სპორტსმენებს ცეცხლზე წვავდა. ზოგიერთ ქალაქში სპორტულ ასპარეზობებზე დასასწრებლად გულშემატიკერებისათვის იყიდებოდა ბალიშები კარტერის გამოსახულებით, რათა მაყურებელი ქვის სკამებზე მოხერხებულად დამჯდარიყო [4, 28]. 1980 წლის არჩევნებში კარტერმა მარცხი განიცადა.

უმრავლესობისათვის ცნობილია, რომ თავის დროზე რეიგანი კინომსახიობი იყო. მაგრამ პრეზიდენტსა და მის ბიოგრაფებს ხშირად უყვარდათ გახსენება იმ დროისა, როდესაც რონი იყო კოლეჯის ფეხბურთის კაპიტანი [17, 8]. თეთრი სახლის პატრონად გახდომის შემდეგ აქტიურად იყენებდა სპორტს თვითრეკლამისათვის. ჟურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო მისი ფოტოებით: რეიგანი მხედარი (ყოველ დღით გასეირნება ცხენით), რეიგანი ტანვარჯიშის დარბაზში (ყოველ საღამოს — ვარჯიში ტრენაჟო-

რებსა და შტანგაზე), რეიგანი სტადიონზე, რეიგანი სპორტსმენებს შორის...

ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიური თამაშების წინ ორ სისტემას შორის იდეოლოგიური ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. ამას წინ უძღოდა ცნობილი ინციდენტი სამხრეთ-კორეული თვითმფრინავის „ბონგ-747“ სსრკ ტერიტორიაზე 1983 წლის 1 სექტემბერს ჩამოგდებასთან დაკავშირებით. აშშ და ზოგიერთმა ქვეყანამ პროტესტი განაცხადა საბჭოთა კავშირის მონაწილეობაზე ოლიმპიურ თამაშებში. ჯიხურებში დაიწყო სამკერდე ნიშნების გაყიდვა — „მოკალი რუსი“ [14, 29]. ამერიკელი საზოგადოებისათვის ვრცელდებოდა მოკლემეტრაჟიანი სპორტული შინაარსის ფილმები და ლიტერატურა, სადაც რუსი სპორტსმენების სტერეოტიპი ასე გამოიყურებოდა: დათვის მსგავსი ქვის სახე, არ იღიმება, გაურბის ყურნალისტებს, ინტერვიუზე უარს ამბობს, მისი ფიქრები მხოლოდ გამარჯვებაზეა აქცენტირებული და ა. შ. [16, 99]. ისეთ გადაცემებშიც კი, როგორც არის მულტიპლიკაციური ფილმები ბავშვებისათვის აქცენტი გადატანილი იყო რუსოფობიისადმი. მაგალითად, ყველა უარყოფითი პერსონაჟი: ჯადოქარი, ურჩხული და სხვ. ლაპარაკობდა რუსული აქცენტით. ყველაზე გავრცელებულ ზღაპარში „ნითელქუდა“, რომელსაც ამერიკის ტელევიზია ხშირად აჩვენებდა მულტფილმების სერიაში, მგელი ლაპარაკობდა რუსული აქცენტით და ეხურა ქუდი, რომელზეც ნამგალი და ურო იყო გამოსახული [18, 56].

1984 წლის 28 ივლისს ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე სამხრეთკალიფორნიის უნივერსიტეტში რეიგანი შეხვდა აშშ ოლიმპიური ნაკრების წევრებს, რომელთაც სიტყვით მიმართა. ეს იყო ფაქტიურად წინასაარჩევნო სიტყვა. რეიგანი წარმოჩნდა, როგორც სპორტის დიდი მოყვარული, კეთილი და ბრძენი პაპა და ამავე დროს ერის ჭეშმარიტი ლიდერი, რომელსაც შეუძლია მჭიდროდ შეაკავშიროს ამერიკელები. „გააკეთეთ ეს ჩემთვის“, შესძახა პრეზიდენტმა — და აშშ-ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჩაერთო მედლებისათვის ბრძოლაში [4, 30].

ამდენად, სპორტი ყოველთვის იყო დაკავშირებული პოლიტიკასთან. დღეს კი ტელევიზიის მეშვეობით ეს კავშირი უფრო მეტად ინტენსიური გახდა. „პოლიტიკა განუხრელად არის ურთიერთობაში სპორტთან, პირველ რიგში იმიტომ, რომ, ოლიმპიური თამაშები მოვლენად გადაიქცა და მას თვალყურს ადევნებენ თითქმის 2 მილიარდი ტელემყურებელი“ — აღნიშნავდა სოკ-ის პრეზიდენ-

ტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ოლიმპიურ თამაშებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობაში. ამიტომ, დიდია ინტერესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების მხრიდან.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. ჩიმაკიძე, რ. დაუშვილი, ანტიკური ოლიმპიური თამაშები, თბ., 2008
2. ბ. ჯავახია, რაინდობა შუა საუკუნეების ევროპაში, თბ., 2010
3. გ. უშარიძე, დიქტატორების კლუბი, ჟურნ. „ისტორიანი“, 2012, 11
4. В. Гескин, Кто посягает на олимпийский огонь, М., 1986
5. А. Н. Ефремов, Жертвы жестокости-дети, М., 1985
6. დ. მჭედლური, ლავრენტი ბერიას მთავარი დანაშაული, თბ., 1992
7. Л. И. Джоглидзе, Лингофонный курс русского языка, Тб., 1987
8. გაბრიელა ემფორდ ჰოჯესი, ფრანკო, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ნატროშვილმა, თბ., 2011
9. История физической культуры и спорта, М., 1983
10. დ. თაქთაქიშვილი, მოდერნიზმი ქართულ მართლმადიდებლობაში, თბ., 1985
11. გ. უშარიძე, „კუნძულეთის“ მარგალიტი, ჟურნ. „ისტორიანი“, 2013, 4
12. Новое Время, 1983, №16
13. С. А. Эфиров, Покушение на будущее, М., 1984
14. Ю. В. Манко, Н. М. Попов, Свет и тени олимпийского огня, лениздат., 1987
15. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, 46
16. С. И. Гусков, Голубой Монстр, М., 1986
17. Н. Догополов, По ту сторону спорта, М., 1984
18. Международные отношения и борьба идей, М., 1981

## **Avtandil Songulashvili**

*Doctor of Historical sciences, Ivane Javakishvili Tbilisi State University,  
The head of the Department of modern  
and contemporary History of the Ivane  
Javakishvili Institute of History and  
Ethnology*

### **Politics and Sport**

#### **Summary**

Sport is such archaic as the origin of society. It enters to the political process in the later period. This process started in the times of states early origin. As for the question of war and peace sport is associated with the beginning of the Olympic Games. We have to mention that the first and main condition of the Olympic Games was the cessation of hostilities and it was called „The Holy Truce“.

Traditionally it happened so that, the Olympic Games coincided with the presidential campaign in USA and politicians used it successfully in their favor.

Sport has always been connected to the politics. Nowadays this connection becomes more intensive and obvious with the help of television. Politics is directly connected to the sport firstly, because the Olympic games have become the event and they are watched by almost 2 milliard of TV viewer“ – said Juan Antonio Samaranch, the President of International Olympic Committee. Olympic Games are a huge contribution to the international community and the international relations. Therefore politicians and public figures pay a great interest to this event.



## იგორ კვესელავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი

### საქართველო რუსულ, ევროპულ და ამერიკულ პოლიტიკურ განზომილებაში (პირველი ნაწილი)

#### 1. ზოგადი ნაწილი

ბოლო საუკუნეებში ქართული თვითშეგნება რუსეთისაგან დამოუკიდებლობის იდეის გარშემო ჩამოყალიბდა. ამიტომ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისათვის რუსეთის თემა მუდმივად აქტუალური იყო. იმპერიის მიერ ქართველი ერისათვის თავსმოხვეულმა პოლიტიკამ და იდეოლოგიამ ქართული წინააღმდეგობა დაბადა, რაც თვითგადარჩენისათვის ბრძოლის და იმპერიისაგან გამიჯვნის პროცესის დაწყების მომასწავლებელი იყო.

ქართველთა მაღალი ფენა და არანარჩინებული ჯგუფების ნაწილი აშკარად არ გამოსულა „რუსული არჩევანის“ წინააღმდეგ და ამ თვალსაზრისით, მცირე დაპირისპირებებიც წარმოიშვა ძველ და ახალ თაობებს შორის, თუმცა ეს ძირითადად ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში აისახა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის თაობას მკვეთრად არ დაუყენებია საკითხი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. ცხადია, ილია ჭავჭავაძის თეზა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ დიდი შეძახილი იყო ქართველობისადმი, მაგრამ იმჟამად ქართველი ერის თავისუფლების ხარისხის მეტი წარმოდგენის შესაძლებლობა არ არსებობდა.

არც რუსეთში 1917 წლის თებერვალ-მარტის სახელმწიფო გადატრიალებას გამოუწვევია საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში რადიკალური მოთხოვნები რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, შესაბამისად, არც დასმულა რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის საკითხი.

1918 წელს ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, მაგრამ ეს გერმანია-თურქეთის დაჟინებული მოთხოვნის შედეგი უფრო იყო, ვიდრე ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ გაცნობიერებული აუცილებლობა. მაშინ და შემდეგშიც ქართველობის ერთი ნაწილის მზე „ჩრდილოეთიდან“ ამოდიოდა და მხოლოდ XX საუკუნის 50-60-იანი წლების თაო-

ბამ იტვირთა უდიდესი მისია და კონკრეტულ მიზნად დაისახა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევა. ამ მიმართულებით გააქტიურდებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1956 წლის მარტში ქართველი ახალგაზრდობის მიმართ კრემლის ბრძანებით გასროლილ ტყვიას, 1978 წლის 14 აპრილის აქციას, 1988 წლის 12 ნოემბრის მრავალათასიან მიტინგს ჰიპოდრომზე, თუმცა 1989 წლის 9 აპრილი გახდა ბოლო წვეთი, რომელმაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი საბჭოთა იმპერიის ბედს საქართველოში, ხოლო 1991 წლის დამლევისათვის საბჭოთა კავშირის იმპერიული, მილიტარისტული, ცენტრალიზებული სახელმწიფო წარსულს ჩაბარდა.

ეროვნულმა ხელისუფლებამ პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შუალედური გზა აირჩია და თეზა „არც სოციალიზმი და არც კაპიტალიზმი“ იმ პერიოდის გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ერთადერთი სწორი, გრძელვადიანი სტრატეგია იყო, რომელიც მიზნად ისახავდა მშვიდობიან თანამშრომლობას ევრო-აზიურ და დასავლურ სამყაროსთან, რომელიმე დიდ ქვეყანასთან ცალსახად „მიბმის“ გარეშე.

ქვეყნის წინაშე მთავარ ამოცანად იდგა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აშენება, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და განმტკიცება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რომელსაც უნდა გამოეყვება საგარეო-პოლიტიკური მიმართულებაც.

საბოლოო ჯამში ამას მიეყვადით სახელმწიფო-ფედერაციულ მოდელთან, საქართველო-აფხაზეთის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, სადაც გამორიცხული არ იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის არსებობაც.

ზვიად გამსახურდიას ჰქონდა სრული ინფორმაცია, რომ აფხაზეთის სურვილის გათვალისწინებით, რუსეთი შეეცდებოდა წამოეწყო ე.წ. ქართულ-აფხაზური ომი და ამ გზით გამოედევნა მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა აფხაზეთიდან, ანუ დემოგრაფიული ვითარება აფხაზეთის სასარგებლოდ შეეცვალა. სწორედ აღნიშნულის აცილებას ისახავდა თავიდან ცნობილი საარჩევნო მოდელი აფხაზეთისათვის, რომელიც განსაზღვრულ საარჩევნო კვოტებს უწესებდა აფხაზურ, ქართულ და დანარჩენ მოსახლეობას და იმ პერიოდისათვის თბილისის მხრიდან ყველაზე სწორი და მისაღები პოლიტიკურ-სამართლებრივი გადანყვეტილება იყო.

საქართველოს ფედერაციული მოწყობა ქვეყანას შესაძლებლობას აძლევდა აფხაზეთის პრობლემა მშვიდობიანად გადაეჭრა.

თუმცა, მოგვიანებით ქართულ-აფხაზური მცირე ომით დაინტერესებული ე. შევარდნაძე საკუთარი პიროვნულ-პოლიტიკური ამბიციების გამო თვითონვე გაება მახეში და უსახელოდ დაამთავრა თავისი არაეროვნული საქმიანობა.

ზ. გამსახურდიას პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კრედოზე საუბრისას, ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სპექტრში განსჯის საგანი იყო საქართველოს ნეიტრალური სახისმეტყველების საკითხი. განიხილებოდა „ფინური ვარიანტი“ — არც რუსეთი და არც ამერიკა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ საქართველო ორ სექტორად დაიყო: რუსეთს დაქვემდებარებულ აფხაზეთად და სამხრეთ ოსეთად და ამერიკის საპატრონოდ დარჩენილ საქართველოდ. ამასთან, შევარდნაძისა და სააკაშვილის ეპოქებმა წარმოშვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დევნილი ხელისუფლება, რომელიც ფუნქციონირებას თბილისში ეხლაც აგრძელებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზ. გამსახურდიას პერიოდის ოფიციალურ სახელმწიფო და საკანონმდებლო დოკუმენტებში „სამხრეთ ოსეთი“ სამაჩაბლოდ მოიხსენიებოდა. თუმცა, 2006 წლიდან მ. სააკაშვილის ინიციატივით, კვლავ აღდგა სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“, ხოლო შიდა ქართლის სამხარეო სტრუქტურაში შემავალი ახალგორის რაიონი ოფიციალურად შევიდა სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში. პარალელურად, კოდორის ხეობას ეწოდა „ზემო აფხაზეთი“.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს იძულებითი წესით მოუხდა ყველა ამ რეალიების გათვალისწინება და აღნიშნული ტერიტორიები, რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებულ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში მოექცა. თუმცა, მანამდე, საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და 1992 წლის მარტიდან, რუსეთმა და ევროატლანტიკური სამყაროს ნამყვანმა ქვეყნებმა მწვაწე შუქი აუწიეს შევარდნაძის რეჟიმს.

ქართული პოლიტიკური კლასის და კულტურული ელიტის ერთი ნაწილი ერთსულოვნად იზიარებდა ქართველთა დასავლური ორიენტაციის მარადიულობას, თუმცა, არსებობდა აზრიც, რომ თუ გამოვრიცხავდით სარწმუნოებრივ ფაქტორს, ქართული მენტალიტეტი და ცხოვრების წესი დასავლურისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა.

არსებობის უფლება აქვს იმ შეხედულებასაც, რომ გეოპოლიტიკური, რელიგიური, კულტურული-ტრადიციული და სხვა თავისებურებები ზღუდავდა კავკასიურ სახელმწიფოებს უფრო ახლოს ყოფილიყვნენ ევროპასთან, მითუმეტეს მისი წამყვანი ქვეყნები ერთმანეთს „უღრენდნენ“ და ხელს უშლიდნენ რომელიმე ცალკეული მათგანის გავლენის გაბატონებას კავკასიაში.

თავის მხრივ, მაღალი მატერიალური და სულიერი კულტურის მქონე საქართველომ ვერ შეძლო პოლიტიკური კულტურის მაღალი ხარისხის მიღწევა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველო არ იყო ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზმი, ამიტომ „მცირე საქართველოებად“ დაყოფილმა ქვეყანამ ვერ დაიმკვიდრა ერთიანი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, შიგნით და გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ.

გასათვალსინინებელია ის ფაქტიც, რომ თუ არ მივიღებთ მხედველობაში მენშევიკურ და ბოლშევიკურ (კომუნისტურ) პარტიებს, საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი, პროფესიონალური ნიშნის მატარებელი, ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია. ვერ ვიტყვი, რომ ზ. გამსახურიას „მრგვალ მაგიდას“ არ ჰქონდა ძლიერი ეროვნული მუხტი, მაგრამ ის ვერ გადაიქცა კლასიკური ტიპის პოლიტიკურ პარტიად და ბოლომდე ვერ მიიყვანა მესამე რესპუბლიკის ეროვნულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მიზანდასახულობა.

სხვადასხვა ჯგუფების ერთგვარი კონგლომერატი იყო ე. შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც ხელს უწყობდა სამოქალაქო დაპირისპირებას, კორუფციის გაფართოებას, კლანური მმართველობის გაძლიერებას და „უსახელოდ“ დაამთავრა თავისი საქმიანობა.

პოლიტიკური პარტიის გარკვეული, ორგანიზაციულ-იდეოლოგიური მოწყობის მცდელობის მიუხედავად, ვერც მ. სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოყალიბდა ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციად და ქართულ საზოგადოებაში ვერ მოიპოვა ნდობა ბევრი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედების გამო.

## **2. რუსეთ-ამერიკის საგარეო-პოლიტიკური ზიგზაგები**

XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიომ უდიდესი რყევა განიცადა, როდესაც ამერიკის და საბჭოთა კავშირის იმპერიების სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში საბჭოთა იმპერია დამარცხდა და მისი მემკვიდრის რუსეთის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ახ-

ალი ურთიერთობების გლობალური თუ რეგიონალური პრობლემები. მითუმეტეს, 1991 წლის დეკემბერში, ბელოვეჟში ხელმოწერილი დოკუმენტით რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახალი ერა დაიწყო.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პარტიული მშენებლობის და ისტორიული გზის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს გაასწრო სომხეთის „დაშნაკების“ პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც ამჟამადაც ინარჩუნებს სომხეთის პარლამენტში ადგილს და ანგარიშგასაწევი ძალაა.

ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეს მოუწევს გაითვალსინინოს დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო წლების პოლიტიკური პარტიების ერთმმართველური პრაქტიკის მკვეთრად ნეგატიური შედეგები და გზა მისცეს ევრო-დასავლური პოლიტიკური პარტიების მსგავსი ინსტიტუტების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ტრადიციების დამკვიდრების პროცესს.

ნაშრომში „რუსეთის საგარეო პოლიტიკა 1990-იან წლებში: პრობლემები და ტენდენციები“, ისტორიკოსი ლი ენ კვინი შენიშნავს, რომ ბელოვეჟში უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის ლიდერებმა „მონარქი განირეს თვითმყპრობელობის შესანარჩუნებლად“. რეალობა იყო, რომ ბელოვეჟის სამიტის რეზოლუციით ელცინის რუსეთი იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა და საგარეო პოლიტიკის სრულყოფილებიან სუბიექტად და როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, რუსეთი იმავდროულად ავტომატურად გახდა როგორც გაეროს, ასევე მისი უშიშროების მუდმივი წევრი. მთავარი ის იყო, რომ მოსკოვი მთელი თავისი ნიუანსებით იზიარებდა იმდროინდელ საერთაშორისო წესრიგს. თუმცა, რეალობა იყო ის, რომ პოსტსაბჭოური რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად იქცა დასავლეთთან თანამშრომლობა, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებში განევრიანება და წამყვანი ევროპული სახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრება. ამავე დროს იდენტურობის ძიების პროცესში თავი იჩინა „ევრაზიულობის“ იდეამაც. ცხარე დებატების თემად იქცა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემის პრობლემა: როგორი უნდა ყოფილიყო იგი? რაში მდგომარეობდა რუსეთის ქვემარტი ინტერესები? რა იდეებზე უნდა დაფუძნებულიყო რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების სულიერი სფერო მთლიანობაში და საგარეო პოლიტიკაში კონკრეტულად?

1992 წლის 26-27 თებერვალს, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გამართულ კონფერენციაზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ხედვა. ერთის ავტორი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი, მეორისა კი — რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში — სტანკევიჩი. კოზირევის აზრით, რუსეთს არანაირი საფრთხე აღარ ემუქრებოდა, აღარ ჰყავდა მტრები უცხოურ სახელმწიფოთა სახით და ამიტომ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა გამხდარიყო დემოკრატიულ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი. რუსეთის ეროვნულ ინტერესებში შედიოდა უსაფრთხოების ევროპული სისტემის შემადგენელ ნაწილად ქცევა. საგარეო პოლიტიკის მთავარ ვექტორად კი ამერიკასთან ურთიერთობის რადიკალურად გაუმჯობესება უნდა გამხდარიყო.

მინისტრის ოპონენტის სტანკევიჩის (რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის პოლიტიკის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა ახალი ელიტის კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა პოლიტიკოსთან ერთად) აზრით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში იკვეთებოდა ორი მიმართულება: „ატლანტიზმი“ და „ევრაზიულობა“. მისი ხედვით, „ატლანტიზმი“ იდეებისა და სიმბოლოების მთელ ნუსხას შეიცავდა. სტანკევიჩი აღიარებდა „ატლანტიზმის“ პრაგმატიზმსა და რაციონალობას. მისაღებად მიაჩნდა ფსონის დადება ამერიკასა და გერმანიაზე — ატლანტიკური კავშირის ორ დომინანტზე. ამავე დროს არ იზიარებდა ამ იდეის სრულ პრევალირებას და უკიდურესობამდე მიყვანას.

საბოლოოდ, 1992 წლისათვის შემუშავებული რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკის კონცეფცია არ იყო კოზირევის საჯარო განცხადებების იდენტური, საერთაშორისო დამოუკიდებლობის მეტ აქცენტებს მოიცავდა, არ მიესალმებოდა სამხედრო ლიდერობის ამბიციებსა და საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში კონფლიქტების დარეგულირების პრობლემებზე. მთლიანობაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპულ მიმართულებად დეკლარირებული იყო „ველიკაია დერჟავა“-ს სტატუსის დამკვიდრება.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ისტორიულად ტრადიციულმა იმპერიულმა ამბიციებმა და საერთაშორისო არენაზე აგრესიულად თავდაჯერებულმა სტილმა 2000-იანი წლების დასაწყისში იჩინა თავი. მაგრამ 2007 წლის 10 თებერვალს უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ მიუნჰენის ტრადიციულ კონფერენციაზე

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ვარაუდებსა და პროგნოზებს საბოლოოდ დაუსვა წერტილი. ორმოცზე მეტი ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა და უამრავმა ჟურნალისტმა „პუტინის დოქტრინა“ შეაფასეს, როგორც რუსეთის გადანყვეტილება აღარ შეგუებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობას. გასაკვირია, არც ქართულმა მედიამ და არც პოლიტიკურმა წრეებმა ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს რუსეთის საგარეო პოლიტიკის მორიგი სერიოზული განაცხადი. ასეთ ვითარებაში საქართველო იყო რუსეთის აგრესიის იდეალური სამიზნე მრავალ მიზეზთა გამო.

**რუსეთის ყველა მოქმედება — პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხოვა და საქართველოს ოკუპაცია და ანექსია 1921-1924 წლებში, 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება ქვეყანაში და პირველი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიასა და უზენაესი საბჭოს განდევნა, ე. შევარდნაძის მოყვანა ხელისუფლების სათავეში, რუსეთ-საქართველოს ომები და სახელმწიფო გადატრიალებების სერიები ქვეყანაში, იმპერიის რომელიმე სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის მიერ გადადგმული ნაბიჯები კი არ იყო, არამედ რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს სრულიად მიზანმიმართული და შეგნებული გეგმის შედეგი.**

საქართველოს ხელისუფლების მეთაური და „მოქალაქეთა კავშირის“ ლიდერი ე. შევარდნაძე ქვეყნის უშიშროებაზე უფრო მეტად საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და ამ მიზნით მოსკოვთან წარმოუდგენელ დათმობებზე წავიდა, რაც გამოვლინდა დაპირისპირებაში რუსეთთან მეომარ ჩეჩნეთთან, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებად კრემლის ქართველი ფავორიტების დანიშვნაში და სხვ. სხვა მხრივ, შევარდნაძე არ ერიდებოდა სიცრუის ქადაგებას და ცდილობდა დაერწმუნებინა ხალხი, რომ საქართველო მალე იქნებოდა „აყვავებული“ ქვეყანა. მოხდებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, 1999 წლისათვის ქვეყანა „ნატოს“ კარებზე მიაკაკუნებდა და ა.შ.

საერთოდ, შევარდნაძის ბალანსირების პოლიტიკა რუსეთთან, თურქეთთან, ამერიკასთან და სხვა ქვეყნებთან იყო დამორჩილებული პოლიტიკოსის დამოკიდებულება, რომელმაც ამ მრავალსახოვნების გამო თანდათანობით დაკარგა პოლიტიკური იმიჯი რუსეთში, ევროპაში და ამერიკაშიც. ასეთ ვითარებაში საქართველოს საზოგადოებრივ აზრში გაჩნდა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საქართველოს დასავლური პროექტის ნაცვლად ქართული

განვითარების მოდელისათვის უნდა დაექირა მხარი, მითუმეტეს, ცალკეული უცხოელი მკვლევარები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ქართული ლირებულებები მართლმადიდებლობასა და თვითმყოფადობას ემყარებოდა და, ამდენად, წინააღმდეგობაში იყო დასავლურ ფასეულობებთან.

1992-2003 წლებში მოქმედი სახელისუფლებო პოლიტიკური კლასი ძალაუფლების შესანარჩუნებლად მოხერხებულად იყენებდა რუსულ საფრთხეს და ცდილობდა ემტკიცებინა, რომ მხოლოდ „მოქალაქეთა კავშირის“ მეთაურს ე. შევარდნაძეს შეეძლო ევროპისა და აშშ-ის მხარდაჭერის მოპოვება რუსეთის ზეგავლენისაგან თავის დასაცავად.

თუმცა, ხელისუფლების შესაძლებლობები თანდათანობით შეიზღუდა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლებმა დემოკრატიის თვალსაზრისით, უკანგადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს, ხოლო 2003 წლის ნოემბერში საქართველოს საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა „ვარდების რევოლუცია“ არსებული პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მაგალითად მიიჩნია. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, აქ საქმე გვექონდა ერთგვარ სახელმწიფო გადატრიალებასთან, რომელსაც ერთდროულად უჭერდა მხარს ვაშინგტონიც და კრემლიც. ამის დამადასტურებლად მკვლევარები მიუთითებენ 2004 წლის იანვარში მ. სააკაშვილის საინაუგურაციო გამოსვლაში „სიტყვა-სიტყვით ნათქვამ ფრაზაზე იმის შესახებ, რომ ის „მეგობრობის ხელს უწვდის რუსეთს“ და რომ მისი პოლიტიკა „არც პრორუსულია და არც პროამერიკული“, არამედ პროქართულია.

იმ პერიოდში სააკაშვილი აღიარებდა რუსეთის ინტერესებს რეგიონში და ფიქრობდა, რომ ეს საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობის გარეშეც იყო შესაძლებელი. თუმცა, 2004 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რასაც ქართულ-ოსური შეიარაღებული შეტაკებები და მსხვერპლიც მოჰყვა, ძირეულად შეცვალა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

როგორც ჩანს, მ. სააკაშვილი გეგმავდა აქტულებინა რუსული მხარე აგრესიით ეპასუხა ქართულ ქმედებებზე, რაც საბაზს მისცემდა ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებს გაცლოდნენ რუსულ ბადეს და ცალსახად გამოეცხადებინათ თავი ამერიკული ლირებულებებისა და პოლიტიკური საქმიანობის მიმდევრებად. შესაბამისად, ამის სანაცვლოდ, ვაშინგტონს მთლიანად უნდა დაექირა მხა-



რი საქართველოსთვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოგვარებაში.

ცხადია, ეს იყო მ. სააკაშვილის მცდელობა, ერთგვარი პოლიტიკური „შანტაჟის“ გზით გაცლოდა რუსეთის იმპერიულ სივრცეს და დასავლეთისაგან გარკვეული „სარგებელი“ მიეღო, მაგრამ მაშინდელმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ბოლომდე ბევრი რამ ვერ გათვალა.

უდავოა, მსოფლიო ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე იდგა და დასავლეთმა შეცვალა პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში და შეეცადა უფრო შენიღბულად ემოქმედა, მითუმეტეს, საბჭოეთის დაშლამ გზა გაუხსნა უფრო რადიკალურ და საშიშ მოვლენას — საერთაშორისო ტერორიზმს, რომლის ძირითადი საყრდენი ისლამური ფუნდამენტალიზმი იყო.

ისლამური ფუნდამენტალიზმის გარკვეული შემაკავებელი ძალა საბჭოთა კავშირი თუ მეტწილად პოლიტიკურ პროცესებს ძალადობით აწესრიგებდა, ამერიკა დიპლომატიითა და ეკონომიკური ზეგავლენით ცდილობდა პრობლემის მოწესრიგებას. თუმცა, ვაშინგტონის ახალი პოლიტიკა ყოველთვის და ყველგან არ ემთხვეოდა სხვა ქვეყნების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

თუ ახლო წარსულს გავიხსენებთ, ცხადი ხდება რომ ზ. გამსახურდია არ მიესალმებოდა აშშ-ის მკვეთრ ჩარევას საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვაში, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შევარდნაძე-ბეიკერის მიერ შემუშავებულ ეკონომიკურ გეგმას გზა გაეხსნა და, შესაბამისად, ამოძრავდნენ ამერიკული კომპანიებიც.

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიის მკვლევარი, აშშ-ის ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი დოდონა კიზირია შენიშნავს, რომ „ყველა იმ მოგებაში, რასაც ამერიკული მხარე მიიღებდა საქართველოში, როგორც წესი, მნიშვნელოვანი წილი უნდა რგებოდა ხელის შემწყობს“.

გაზ.: „ნიუ-იორკ თაიმსში“, 2001 წლის ივნისში, დაიბეჭდა სტატია, რომელიც ეხებოდა გამდიდრებული ამერიკული საერთაშორისო კორპორაციის „კარლ ლაილის“ საქმიანობას. აღნიშნული კორპორაცია გაკოტრების ზღვარზედ მყოფ ბანკებს, სანარმოებსა და მათ ბიზნესურ ორგანიზაციებს ყიდულობდა და შემდეგ მათ გაცილებით მაღალ ფასში ყიდდა. ამ კორპორაციამ, რომლის წევრები იყვნენ ჯეიმს ბეიკერი, ჯორჯ ბუში-უფროსი და ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი, სა-

ქართველოშიც მოიპოვა გავლენა და ახლო ურთიერთობები ჰქონდა ქვეყნის პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან.

საინტერესოა ის მოსაზრებაც, რომ შევარდნაძის მიერ აფხაზეთში ომის დაწყება შეთანხმებული იყო ამერიკელებთან. ყოფილი კომუნისტი ფიქრობდა, რომ ომი მას ტრიუმფს მოუტანდა, ხოლო ტრიუმფატორი შევარდნაძე ამერიკელებს სჭრიდებოდათ კავკასიაში. მითუმეტეს ვაშინგტონში ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში მკვეთრი სახელისუფლებო დაპირისპირების გამო კრემლი ვერ შეძლებდა სამხედრო დახმარება გაენია აფხაზეთისათვის.

ეს პროგნოზი ვერ გამართლდა. რუსეთ-საქართველოს შორის 1991 წლის დეკემბრიდან მიმდინარე ომი 1993 წლის 27 სექტემბერს საქართველოს დამარცხებით დამთავრდა.

სოხუმის დაკარგვის ოცი წლის შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ აღიარა, რომ „აფხაზეთის ომი წაგებისთვის იყო დაგეგმილი“. 1993 წლის 27 ივლისს ქ. სოჭში შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება გახდა ის საფუძველი, რომელმაც მოახდინა ქართველთა განიარაღება და აფხაზეთის დაკარგვა. „პანიკას ნუ ტეხავთ! ყველაფერი მოლაპარაკებული და გადაწყვეტილია, და რუსებიც ისე გააკეთებენ ყველაფერს, როგორც მოვილაპარაკეთ“, ასე მიმართავდა ხალხს ე.წ. უმაღლესი მთავარსარდალი და მოსახლეობას მოუწოდებდა დაბრუნებულიყვნენ აფხაზეთში.

როგორც ცნობილია, საქართველოს დამარცხებას ამ ომში ამერიკელებმა დუმილით უპასუხეს. მოგვიანებით იგივე განმეორდა 2004 წლის სექტემბერში და თითქმის 2008 წლის აგვისტოშიც.

ვაშინგტონის ადმინისტრაცია, საქართველოში გამეფებული ფანტასტიკური მასშტაბის კორუფციის მიუხედავად, აგრძელებდა შევარდნაძის მხარდაჭერას. ამ ადმინისტრაციის ცალკეული წევრების უკან იდგნენ უმსხვილესი კომპანიები, რომელთა ბიზნესის მთავარი პარტნიორი საქართველოში შევარდნაძე და მისი გარემოცვა იყო.

აშშ-ის მაშინდელი მთავრობა, ანუ როგორც მას უწოდებდნენ „მილიარდელების მთავრობა“ „შევარდნაძის საქართველოს“ უჭერდა მხარს. ასეთ ვითარებაში მრავალგვარი სტანდარტებით მოქმედი სახელმწიფოს მეთაური ცდილობდა მოემზადებინა მემკვიდრე ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად. ერთ-ერთი მათგანი იყო ზუ-

რაბ ჟვანია, რომლის გადადგომაც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან წინასწარ იყო შეთანხმებული შევარდნაძესთან.

საქართველოს პოლიტიკური პრობლემები რუსეთ-აშშ-ის ერთმანეთთან დაპირისპირების პირდაპირი შედეგი იყო. მოსკოვი საქართველოს არასოდეს არ აღიქვამდა მოკავშირედ. ამერიკის სპეცსამსახურები საქართველოში საკმაოდ გახსნილად მუშაობდნენ და აშკარად ერეოდნენ ხელისუფლების პოლიტიკაში, მითუმეტეს, გრძნობდნენ ქართველი პოლიტიკოსების მხარდაჭერას და მიიჩნევდნენ, რომ თუ მთავრობა მათი მოკავშირე იყო, ქვეყანაც ასე უნდა მოქცეულიყო.

მაშინ საქართველოს მოსახლეობის წინაშე იდგა ორი ალტერნატივა — ამერიკა ან რუსეთი. თუმცა, შესაძლებელი იყო ამ ქვეყნების სხვადასხვა შემოთავაზებების გათვალისწინებით, საქართველოს არცერთი მათგანი არ მიეღო.

ამ შემთხვევაში საქართველოს უნდა აერჩია ნეიტრალიტეტის ურთულესი გზა. რუსეთი საქართველოს ნეიტრალიტეტის მისთვის მისაღებ მოდელს უჭერდა მხარს, მაგრამ ეს არ იყო მისაღები ამერიკისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ამერიკული დემოკრატია არ იყო უნაკლო და ის საკუთარი ინტერესების დამცველ დემოკრატიას უჭერდა მხარს. თუმცა, მსოფლიო პოლიტიკაში არსებული ერთგვარი ტენდენციით დიდ ქვეყანას მეზობელ რეგიონში ჰქონდა კანონიერი ინტერესები, შესაბამისად ამ მიდგომით რუსეთს საქართველოს სახით სჭირდებოდა კეთილმეზობლურად განწყობილი პარტნიორი.

ერთ-ერთ პუბლიკაციაში დ. კიზირია შენიშნავს — „ამერიკა ნებისმიერ არადემოკრატიულ მთავრობას დაუჭერს მხარს და თვალს დახუჭავს ყოველგვარ უსამართლობაზე, თუ ეს შედის მის ინტერესებში“. თუმცა, იქვე მიუთითებდა, რომ მხედველობაში არ ჰყავდა უბრალო ამერიკელი, რომელიც მართლა იყო მოხიბლული ქართველი ხალხის ენითა და კულტურით და კეთილგანწყობილი იყოს საქართველოს მიმართ.

იმ პერიოდის საქართველოში იმპორტირებული პოლიტიკა და პოლიტიკის იმპორტის განწყობილება სუფევდა და ქართული პოლიტიკური კლასი გარედან მხარდაჭერაში ხედავდა არჩევნებში გამარჯვების ერთადერთ გარანტიას.

ვაშინგტონში მაშინ იცნობიერებდნენ, რომ შევარდნაძის მკვეთრ კრიტიკას შეეძლო დესტაბილიზაცია გამოეწვია საქართვე-

ლოში, მითუმეტეს, საბოლოოდ არ იყო გადანყვეტილი შევარდნაძის ალტერნატივის საკითხი. ამიტომ ოპოზიციური ძალების გაერთიანების ამერიკული გეგმის განხორციელება დროებით შეწყდა, ხოლო შევარდნაძის სწრაფი დამხობა სხვა დროისთვის გადაიდო.

მოგვიანებით საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა მხარი დაეჭირათ „მოქალაქეთა კავშირის“ წიაღში მოქმედი ახალგაზრდა გუნდისათვის, მითუმეტეს, მათი ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით დიდი შრომა და თანხა იქნა გაღებული. ამერიკელებმა რუსეთის თანხმობით საქართველოში განახორციელეს მშვიდობიანი სახელმწიფო გადატრიალება. გაიმარჯვა „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ, შევარდნაძემ კი ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღო. საქართველოს ხელისუფლების მეთაურად ამერიკამ პოლიტიკურად გამოუცდელი, მაგრამ ადვილად სამართავი ახალგაზრდა პოლიტიკოსი, მიხეილ სააკაშვილი აირჩია. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, ეს არ იყო გამართლებული ნაბიჯი, მაგრამ ამ შემთხვევაში პოლიტიკა მორალზე მაღლა დადგა.

### **3. აშშ და რუსეთის სასიცოცხლო სივრცე და საქართველო**

აშშ-ს და რუსეთს საკმაოდ მყარად აქვთ დამუშავებული „საარსებო რესურსების დატაცების სტრატეგია და მას ახორციელებენ დიპლომატიითა და სადაზვერვო სისტემის, ან იარაღის გამოყენებით (ვიეტნამი, ერაყი, ირანი, ავღანეთი, ლიბია, საქართველო, ჩეჩნეთი და ა.შ.), რომელიც თანდათანობით ფართოვდება და ბუნებრივია ავინროვებს საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკას და, შესაბამისად, მცირე ერების არსებობას.

ასეთ ვითარებაში კი სწრაფად მიმდინარეობს მსოფლიო საზოგადოების დიფერენცირება მდიდარ და ლატაკ სოციუმებად და მუდმივად მდიდარ და ლატაკ სახელმწიფოებად. შესაბამისად „ეკონომიკის უქონელი“ ქვეყანა ყოველთვის დამოკიდებული იქნება „ეკონომიკის მქონე“ ქვეყანაზე. თუ დავუშვებთ, რომ ეკონომიკა პოლიტიკისა და კულტურის მსაზღვრელია, მაშინ მდიდარი სახელმწიფოები ხდებიან ღარიბი სახელმწიფოების პოლიტიკისა და კულტურის მსაზღვრელებიც.

თანამედროვე სასიცოცხლო სივრცის ათვისების მიმართულებით მსოფლიოში რამდენიმე ძირითადი ჯგუფი არსებობს: დასავლური (ამერიკული), ევრაზიული (რუსული), აზიური (ჩინურ-ინ-

დური), მუსულმანური (მაჰმადიანური სამყაროს ქვეყნები), ევროპული (ევროპის ქვეყნები).

ამ პროექტებში ბევრი მცირე ქვეყანაა ჩართული, მაგრამ ისინი მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ, მითუმეტეს ზოგიერთი მათგანი თავისუფალ ეკონომიკურ ზონად — სატრანზიტო დერეფნად, სამხედრო ბაზებად და ა.შ. წარმოიდგინება. საბოლოოდ მცირე ქვეყნები ემშვიდობებიან მსოფლიო პოლიტიკური სუბიექტის სტატუსს და მსოფლიო პოლიტიკის ობიექტებად ყალიბდებიან.

ცხადია, ამ დიდი პროექტების უკან სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ღირებულებები მოიაზრება, რომლებიც თავისებურად ცდილობენ დამკვიდრდნენ მსოფლიო სასიცოცხლო სივრცეში.

უდავოა, ამ გლობალური პროგრამების რეალიზაციის ობიექტია საქართველოც, რომლის რევოლუციური თუ ევოლუციური ზიგზაგები ძირითადად რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებს უკავშირდება. მოსკოვი და ვაშინგტონი ბევრ შემთხვევაში შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მოხერხებულად იყენებდნენ ზ. გამსახურდიას და ე. შევარდნაძის შეცდომებს. სწორედ რუსულ-ამერიკული გეგმის რეალიზაცია იყო საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ე. შევარდნაძის მოყვანა ქვეყნის სათავეში და შემდეგ მისი ჩამოცილება მმართველობიდან.

პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი ემზარ ხვიჩია შენიშნავს: „ის ფაქტი, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთის მიერ საქართველოს სრული ოკუპაცია ამერიკის სტრატეგიული მიზნებისთვის იყო ხელსაყრელი, გვაფიქრებინებს, მიუხედავად ამერიკელ დიპლომატთა საჯარო განცხადებებისა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი დაპირისპირებულ მხარეებზე, სწორედ, ამერიკის ფარული ზემოქმედებით პროვოცირებულ მოვლენად მივიჩნით“.

არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას, იმის შესახებაც, რომ ამერიკულმა საზოგადოებრივმა ერთობამ მიაღწია ისეთ მდგომარეობას, რომ საარსებო რესურსების დატაცების თვალსაზრისით მიახლოებულია საბოლოო გამარჯვებასთან, ანუ ამერიკის სტატუსი ძალიან მაღალია მთელ მსოფლიოში და ის ამისათვის წარმატებით იყენებს თურქულენოვანი სამყაროს „დიდი თურანის იდეას“, როგორც ირანული და არაბული სამყაროს, ასევე რუსეთის წინააღმდეგ. ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ამერიკის ურთიერთობა ჩინეთთან, მცირე აზიასა და შუა აზიას შორის თავისუფალი სა-

ტრანზიტო დერეფნის გახსნა და საქართველოს თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაქცევა (სინგაპურიზაცია).

ამ კონტექსტშია საძიებელი რუსეთისა და ამერიკის ერთობლივი თანამშრომლობის ცალკეული ასპექტები, იმ მოტივაციით, რომ ამერიკამ საქართველოს სტრატეგიული რესურსებისა და ძირითადი ეკონომიკური ობიექტების შესყიდვის ექსკლუზიური უფლება რუსეთს დაუთმო, თუმცა იმავდროულად რუსეთმა უარი თქვა აჭარის რეგიონზე თურქეთის სასარგებლოდ.

მართალია, მსოფლიოში ძლიერდება „ამერიკანიზმის სული“ და მან საქართველომდეც მოაღწია, მაგრამ მოსაზრება, რომ პრემიერ-მინისტრ ჟვანიას გუნდი რუსეთის ინტერესების ლობი იყო, ხოლო პრეზიდენტ სააკაშვილის გუნდი ამერიკის ინტერესებს ლობირებს და თანაბრად ინანილებენ გავლენის ბერკეტებს რუსეთ-ამერიკის შეთანხმების შესაბამისად, დამაჯერებელი არ ჩანს. მით უმეტეს, თუ გავიზიარებთ ქართველი ერისთვის მიუღებელ თეზას იმის შესახებ, რომ ამერიკისთვის მისაღებია ტრანსკავკასიური დერეფნისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის ამოქმედება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ფასადაც.

აღნიშნული და მასთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები ხშირად ფიქსირდებოდა რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე, ქართულ და უცხოურ პოლიტიკურ და პუბლიცისტურ ლიტერატურაში. ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო საქართველოს კონფლიქტური ზონებიდან რუსეთის სამშვიდობო ჯარების გასვლის და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების საკითხი. მითუმეტეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა გააკეთა 2007 წლის 1 იანვრამდე სამაჩაბლოს საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების თაობაზე. საინტერესოა, რომ ამ განცხადების შემდეგ სასწორზე დადგა, არა მხოლოდ სამაჩაბლოს კონფლიქტის გადაჭრის ინტერესები, არამედ თავდაცვის მინისტრის პიროვნულ-პოლიტიკური მომავალიც. მითუმეტეს, ოქრუაშვილი იყო ის პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც ასე მარტივად არ უნდა დაედო სასწორზე საკუთარი პოლიტიკური მომავალი, ამდენად გაჩნდა ვერსიები, რომ საქართველოს ხელოსნულებას კონფლიქტის მოგვარების გარკვეული, უპირატესად ძალისმიერი გეგმა ჰქონდა შემუშავებული.

ცხადია, ამ გეგმის რეალისტურობა უნდა განესაზღვრა იმ ერთაშორისო გარანტიებს, რომლის მოცემა შეეძლო მის გადაჭრაში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს — რუ-

სეთსა და ამერიკას. თუმცა, ამ შემთხვევაში მყისიერად დადგა კითხვა, რამდენად შედიოდა აშშ-ის ინტერესებში სამაჩაბლოს კონფლიქტის მოგვარება, რათა სერიოზული ზეგავლენა მოეხდინა რუსეთზე, ამ უკანასკნელის მხრიდან ცხინვალის დათმობის მიზნით.

უდავოა, საქართველოს მიმართ აშშ-ის ინტერესებს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მას სჭირდებოდა სტაბილური საქართველო, რათა მისი სატრანზიტო გზით მომხდარიყო ენერგორესურსების ევროპისათვის მიწოდება ანუ ალტერნატიული მარშრუტების მშენებლობა. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ პრაგმატული ინტერესების გარეშე, აშშ, როგორც წესი, არაფერს აკეთებს, მითუმეტეს არ გაირთულებდა სამაჩაბლოს გამო ურთიერთობას რუსეთთან. აქ ლოგიკურად გვეჩვენება დასკვნა იმის შესახებ, რომ კონფლიქტური ზონების არსებობის პირობებშიც კი საქართველოში სტაბილურობა გარანტირებული იყო.

როგორც ჩანს, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თუ აშშ-ის პოლიტიკურ სტრატეგიაში იდო პარადიგმა, რომ საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საჭირო იყო კონფლიქტურ ზონებში არსებული მდგომარეობის დაკონსერვება, მაშინ აშშ-ის ადმინისტრაცია მიესალმებოდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ყოფნას და რუსეთის გარანტიის ქვეშ იქ სტაბილურობის შენარჩუნებას.

სავარაუდოა, რომ სწორედ ამ მომენტებმა გააჩინა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ კლასში იდეა 2007 წლის 1 იანვრამდე სამაჩაბლოს განესაზღვრა საქართველოს ფუნქცია და როლი, ანუ ეს იყო თავისებური დიპლომატიური გზავნილი ვაშინგტონისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლება არ შეეგუებოდა კონფლიქტურ ზონებში არსებული მდგომარეობის დაკონსერვებას.

ეს იყო გარკვეული პოლიტიკური „ვაჭრობა“ ამერიკასთან, თუ საერთაშორისო თანამეგობრობა“ რუსეთზე ზეგავლენას არ მოახდენდა, განსაკუთრებით სამაჩაბლოს დათმობის მიზნით, საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ძალებით ეცდებოდა კონფლიქტის მოგვარებას, თუნდაც სამხედრო ძალის გამოყენებით. მითუმეტეს მსოფლიო თანამეგობრობისათვის ძნელი არ იყო იმის შემჩნევა, თუ როგორ აქტიურობდა ხელისუფლების პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამხედრო მექანიზმი 2008 წლის აგვისტოს ომის წინარე პერიოდში.

თუ აშშ გაიცნობიერებდა იმას, რომ ყოველივე ეს გადაიზრდებოდა გრძელვადიან და მასშტაბურ დესტაბილიზაციაში, ცხა-

დია, ის შეეცდებოდა გავლენა მოეხდინა ან საქართველოს ხელისუფლებაზე სამხედრო აქციის თავიდან აცილების ან რუსეთზე — სამაჩაბლოში განვითარებულ პროცესებში მინიმუმ ნეიტრალიტეტის შენარჩუნების მიზნით.

იმ პერიოდში საქართველოს მმართველ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობდნენ, რომ საქართველოს არსებული კონფლიქტების მოგვარების სანაცვლოდ აშშ-ს შესთავაზებდნენ ირანის პრობლემის მოგვარების საკითხში თანადგომას, ან საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგებისათვის მზაობას. ცხადია, იყო მესამე ფაქტორიც, საქართველოს ხელისუფლების უზომო ერთგულება ბუშის ადმინისტრაციისადმი, უკრაინასა და ყირგიზეთში ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ ფაქტობრივად კრახით დასრულების მიმდინარეობის ფონზე.

უდავოა, რომ იმ დროისათვის უკვე სულს ღაფავდა ამერიკის პრეზიდენტის ბუში უმცროსის იდეა ფერადი რევოლუციების ყოვლისშემძლეობისა და ამერიკული დემოკრატიის და ღირებულებების იმპორტის შესახებ. ბუშის მსოფლიო დემოკრატიის, როგორც თავის დროზე მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გავრცელების იდეა კრახს განიცდიდა, ამიტომ როგორც მაშინ ექსპერტები შენიშნავდნენ „ბუშის მსოფლიო დემოკრატიის იდეისაგან, ერთადერთი ყირმიზად მოციალე ვარსკვლავი — საქართველოს ხელისუფლება იყო, რომელსაც ლამის ყოველ დილა-საღამოს მხურვალედ ბანდნენ პირს დანარჩენი მსოფლიოს თვალში ამერიკელი პოლიტიკური და პიარ-ტექნოლოგები“ (ხათუნა ლაგაზიძე).

ამ კონტექსტში საინტერესოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლების ნაბორძიკების შემთხვევაში ბუშის მსოფლიო დემოკრატიის იდეისაგან ნაცარტუტაც აღარ დარჩებოდა, ამიტომ აშშ-ს უნდოდა თუ არა, საქართველოს ხელისუფლების წარმატებულ იმიჯზე უნევდა ზრუნვა გარკვეულ დრომდე, როგორც ჩანს იყო იმის სიმპტომები, რომ ეს დროც დადგებოდა.

როგორც მოგვიანებით გამოჩნდა საქართველოს ხელისუფლების წარუმატებელმა სამხედრო ოპერაციამ, სწორედ ბუშის ხსენებულ იდეას მიაყენა დარტყმა, სამაჩაბლოს დაბრუნება ვერ მოხერხდა და ბუშის მსოფლიო დემოკრატიის იდეა შერცხვენილი დარჩა.

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ კლასში ცხადია, ანალიზებდნენ სხვადასხვა მომგებიან თუ წამგებიან ვერსიებს, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს ტერიტორიუ-



ლი მთლიანობის აღდგენის პრობლემასთან და ამ მიმართებით რუსეთისა და აშშ-ის შესაძლო რეაქციასთან. ცხადია, ამ მხრივ მთლიანად ცნობილი არ იყო ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედების სრული სახისმეტყველება და რეალურობა, თუმცა ქართული პოლიტიკური წარსულის გაკვეთილები იძლეოდა შესაძლებლობას გაგვეხსენებინა საერთო ხელშეკრულებების დარღვევის არაერთი მწარე მაგალითი, რომელიც სავალალო შედეგებით დამთავრდა.

ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ხელისუფლება სამაჩაბლოს კონფლიქტის მოსაგვარებლად უარს იტყოდა სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე, მითუმეტეს იმ პერიოდში ძალოვანი სტრუქტურების მიერ კოდორის ხეობაში განხორციელდა ოპერაცია, რომელიც ხელისუფლებას შეიძლება სჭირდებოდა სამაჩაბლოს პრობლემის გადასაფარავად, რადგანაც საერთაშორისო თანამეგობრობა, მისი ლიდერის აშშ-ის სახით წითელ შუქს უნთებდა სამაჩაბლოში საქართველოს მიერ სამხედრო ოპერაციის განხორციელებას.

არ არის გამორიცხული, რომ „კოდორის ოპერაცია“ მიზნად ისახავდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ვარგისიანობის მოსინჯვას და რუსეთის შესაძლო რეაგირების ხარისხს. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, კოდორის სამხედრო ოპერაცია და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი წარუმატებელი აღმოჩნდა. რუსეთმა წამოიწყო ომი საქართველოს წინააღმდეგ და მოახდინა ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია, პარალელურად კი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სტივენ კონი, გარდაქმნა — ეს ახლის საძიებლად მოგზაურობაა, გაზ.: „კომუნისტი“, ივლისი, 1989.
2. ზ. ბჟეზინსკი, დიდი ცვლილებები. ჟურნ.: „საზოგადოება და პოლიტიკა“, 1, თბ., 1996.
3. ჰ. მორგენტაუ. ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის, თბ., 1998.
4. ზ. ბჟეზინსკი, სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი, აშშ, 2012.
5. ჯ. ნაჭყებია, სადოქტორო დისერტაცია „პოლიტიკური პროცესები ტრანსფორმირებადი საზოგადოების პირობებში“, სტუ, თბ., 2012.
6. შ. სტიგლიცი, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ., 2012.
7. ი. კვესელავა. ისტორიის საზრისისათვის, ჟურნ.: „საისტორიო ვერტიკალები“, 24, 2012.
8. ო. ჯანელიძე, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ., 2005.
9. ს. დანელია, ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, თბ., 1998.
10. რ. ბურჭულაძე, კეისარს — კეისრისა, თბ., 1998.

**Igor Kveselava**

*Georgian Technical University, Head  
of Department of Business Engineering  
Faculty, Full Professor*

## **Georgia and Russia in European and American Political Dimension**

### **Summary**

Georgian social-political movement and public life is more or less considered to Russian, European and American political dimension. According to this the issue of Russian, European and American orientation is actively discussed here.

In Russia's foreign policy imperial ambitions towards Georgia were always parried, what was reflected in the Russia-Georgia wars and state cataclysms.

USA has always had clearly expressed strategy of mastering living recourses. There are several group in the world following this way: Western (American), Eurasian (Russian), Asian (China), Islamic (Muslim countries), European (European states).

In this context we have to consider Russia's, Europe's and America's attitude toward Georgia.

E. Shevardnadze and later M. Saakashvili could not manage to set up the aim for „the future life“ of Georgian people, as there were differences among Russian, European and American ways. Therefore in the 21st century Georgia could not avoid the problem of realizing Russian, European and American role and place.

Finally in the Shevardnadze's and Saakashvili's epochs Georgia, plunged into a political romance became the „Apple of Discord“ between two great states – Russia and America. Both of them have its own political and economical aims toward the Georgian state. According to this Georgian social-political opinion is divided in to two parts.

## მზია მაისურაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერება-  
თა ფაკულტეტის საქართველოს  
ისტორიის კათედრის დოქტორანტი

### ქალთა სასწავლო და პროფესიული სკოლები ქაახეთში XIX საუკუნის II ნახევარში

ცარიზმის დროინდელ ქალთა სასწავლებლებს შორის კა-  
ხეთში **თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელი** გამოირჩეოდა. ამ  
სასწავლებლის ისტორიას შესანიშნავი გამოკვლევა უძღვნეს პრო-  
ფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა და დამსახურებულმა პედაგოგმა  
მარინე გოგბაიძემ [1].

თელავის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი  
დაარსდა 1865 წელს. ამ დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო  
ლონისძიების ორგანიზატორი იყო ქალაქ თბილისში, 1846 წელს,  
კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მეუღლის — ელი-  
ზავეტა ქსავერის ასულ ბრანიცკაიას მიერ დაარსებული წმინდა  
ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება. მანამდე  
ამ საზოგადოების მიერ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სკოლები  
გაიხსნა თბილისში — 1846 წელს და ქუთაისში — 1847 წელს.

თელავის ქალთა სასწავლებლის დაარსების უშუალო ინიცი-  
ატორი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის რძალი, დავით ჭავჭავაძის მე-  
უღლე, ილია ბატონიშვილის ასული ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძე  
(1828-1905). სასწავლებლის გახსნის უფლება მან გრიგოლ ორბე-  
ლიანის დახმარებით, 1860 წელს მოიპოვა. 1864 წელს შეიქმნა სას-  
წავლებლის გამგეობა ექვსი პირის შემადგენლობით. ესენი იყვნენ:  
ანა ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა (თავმჯდომარე), თელავის თავადაზ-  
ნაურთა წინამძღოლის მეუღლე — ეკატერინე მაყაშვილი, მომრი-  
გებელი მოსამართლის მეუღლე — ბარბარე ჯორჯაძე, თელავის  
მაზრის ექიმის მეუღლე — ნატალია ვერმიშევა, თელავის მაზრის  
უფროსის მეუღლე და გამგეობის საქმეთა მმართველი — პროკუ-  
რორი ქანანოვი.

სასწავლებელი უნდა გახსნილიყო კახთა მეფის სასახლეში, რისთვისაც საჭირო გახდა შენობის შეკეთება, მისთვის ახალი ნაგებობის დაშენება, რაც ადვილი არ იყო, ამიტომ, ამ საქმის ორგანიზებას თითქმის ხუთი წელი დასჭირდა. სკოლა გაიხსნა 1865 წლის 5 სექტემბერს, ნაქირავებ შენობაში, ნადიკვარზე მდებარე ვახვახიშვილების სახლში, სადაც 2 წელი ფუნქციონირებდა. პირველ წელს მიიღეს 12 გოგონა, მეორე სასწავლო წელს კი — 25. საზოგადოებამ სკოლისადმი დიდი ყურადღება გამოიჩინა, გაღებულ იქნა დიდი შემონიჭულობა, რის ხარჯზეც არქიტექტორმა ზალცმანმა სამეფო სახლის გადაკეთება შეძლო, მას ახალი სართულიც დააშენა და სკოლისათვის საჭირო სახე მისცა. ამ სამუშაოზე 11 ათასი მანეთი დაიხარჯა, აქედან 5 ათასი იყო შემონიჭული თანხა, 6 ათასი მანეთი კი მეფისნაცვლისგან სესხის სახით შემოვიდა [1, 6].

ამ სესხის დაფარვა გათვალისწინებული იყო ვორონცოვის მეუღლისგან თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებისათვის ყოველწლიურად შემონიჭული 10 ათასი მანეთისგან. ელიზავეტა ბრანიცკაია ამ დროს ყირიმში ცხოვრობდა და თუმცა მისი მეუღლე უკვე გარდაცვლილი იყო (1856წ.), ის მაინც არ ივინყებდა საქართველოს და მის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო საზოგადოებას.

სასწავლებელი კახთა მეფის სასახლეში 1867 წლის 11 ივლისს დაფუძნდა. სასწავლებლის გახსნის საზეიმო ცერემონიას სრულად აღწერდა გაზეთი „დროება“. პუბლიცისტი ირწმუნებოდა, რომ აგვისტოში თელავის მაზრის ჩინოვნიკები და საზოგადოება აპირებდა სპექტაკლის ჩატარებას წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ. 1867 წლის 17 თებერვალს გაზეთი „დროება“ წერდა: „ქ. თელავში, დიდი გალავანში, იყო ძველი სახლები, რომლებსაც ეწოდებოდა მეფის სასახლე. ამ შენობის განახლება ისურვა მისმა იმპერატორობის უმაღლესობამ ნამესტნიკმა კავკასიისამ და ზედ მიდგმით მოუმატეს რამდენიმე სახლები წარსულს 1866 წელს. მართლაც რომ დიდი მშვენიერი შენობაა. ეს სახლები მზადდება წმინდა ნინოს ზავედენიისათვის. ამჟამად ზავედენიის ნაჩაღნიცასა ჰყავს თხუთმეტამდის მოსწავლე ყმაწვილი ქალები თავისთანა. და რომ ეს შენობა დასრულდება, ზავედენიას მიეცემა წარმატება შვილების აღსაზრდელად. ამას დიდი სიამოვნებით მოელის კახეთის მხარე.“

წარსულს 1866 წელსა ყოფილა ორი წარმოდგენა ქართული თეატრისა: 1. „გაყრა“ და 2. „მზის დაბნელება“. პუბლიკასაც დიდი

სიამოვნება მიუღია წარმომადგენელთაგან და რაც შემოსავალი ყოფილა ზავედნიის სასარგებლოდ გაუტარებიათ. ახლა ამ ყველიერის კვირაშიც აპირებენ ერთ-ერთის ქართული პიესის წარმოდგენას ამ განზრახვით, რომ შემოსული ფული გადაიდვას ზავედნიისათვის. ამასთანავე აქაურთა განათლებულთა ქალთა რამდენიმე მშვენიერი ხელით ნაწარმოები ნივთები შეუმზადებიათ ლატარიაში სათამაშებლად. ამ ლატარიიდან გროვდება ფული 200 მანეთამდე, რომელსაც სდებენ ზავედნიის სასარგებლოთ. ღვთის მადლით ეს მხარეც შედის განათლების მოძრაობაში.

უფალო რედაქტორო! ვგონებ, ამ გვარნი კეთილი მოქმედებანი და განზრახვანი არ იქნება უჯერო, რომ შეატყობინონ ხოლმე კორესპონდენტებს. წესის და გვარად „დროების“ რედაქციას გადასაცემათ „დროების“ მკითხველისათვის“[2].

თელავის წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელზე ცნობები დაცულია ამავე სასწავლებლის გამგეობის წევრის — ნ. მიტროფანოვას მიერ შედგენილ ბროშურაში [3, 1901].

ამ ცნობების მიხედვით, სასწავლებელი ყოფილა ორკლასიანი. თოთოეული კლასი სწავლების ორწლიან კურსს მოიცავდა, ამასთანავე, სასწავლებელს ორი მოსამზადებელი კლასი ჰქონდა. ამდენად, სწავლის სრული კურსი ექვსწლიანი იყო. სწავლის გადასახადი წელიწადში 100 მანეთი იყო, პირველ კლასში ამას ემატებოდა პანსიონერთათვის შესატანი თანხა — 30 მანეთი, ვინც პანსიონში არ ცხოვრობდა და გარედან დადიოდა, ის 15 მანეთს იხდიდა.

1865-1866 წლებში სასწავლებელში 34 მოსწავლე სწავლობდა, 1867 წელს — 32, 1868 წელს — 39, 1869 წელს — 37, 1870 წელს — 42, 1872 წელს — 49, 1873 წელს — 59, 1876 წელს — 63. ეს სტატისტიკა ცხადყოფს, თუ როგორ იზრდებოდა სასწავლებლისადმი ინტერესი და თავად ამ სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტი. მისი კურსდამთავრებულები იყვნენ შემდეგში ცნობილი ადამიანები, საუკეთესო ქართველი დედები და პატრიოტი ქალები. მათ შორის — დიდი ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის დედა — სოფიო ვახვახიშვილი. ნ. მიტროფანოვა, ჩამოთვლის რა სასწავლებლის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, მიუთითებს, რომ 1875 წელს შემოღებული იქნა საგნების სწავლება განათლების სამინისტროს პროგიმნაზიის პროგრამით; 1877 წელს თავადმა დ. ს. ჭავჭავაძემ სასწავლებელს შესწირა 2000 მანეთი; 1899 წლიდან გაძლიერდა რუსული ენის სწავლება, იმავე დროს დაიწყო სომხური ენისა და სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის მოსწველეთათვის

ღვთისმეტყველების სწავლება; 1890 წელს სასწავლებელში შემოღებული იქნა მეაბრეშუმეობის პრაქტიკული მეცადინეობები; 1892 წლიდან დაიწყო სწავლება ფრანგული ენისა და მუსიკისა; 1898 წლიდან დაიწყო მუსიკის, ცეკვის, საგუნდო სიმღერებისა და ქრაკერვის გაკვეთილების ჩატარება. ამავე წელს სამინისტრომ სკოლას პროგიმნაზიის უფლებები მიანიჭა [3, 15].

1877 წელს თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში დაწესდა თავად დიმიტრი სულხანის ძე ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია 2000 მანეთის ოდენობით. ასევე დაწესდა ალექსანდრე გრიბოედოვისა და პუშკინის სახელობის სტიპენდიები.

სასწავლებლისადმი საზოგადოების დიდ ყურადღებაზე მიუთითებს ქართული პრესის რამდენიმე პუბლიკაცია. გაზეთი „ივერია“ 1891 წლის 31 იანვარს წერდა: „26 ამ თვისას თელავის მაზრის მარშლის მეუღლის კნ. მ. ვახვახოვისა და სხვათა მეთაურობით გამართულ იქნა ბალი თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში იმავე სასწავლებლის სასარგებლოდ. თელავის პატარა საზოგადოება ამისთანა საქველმოქმედო საქმეს მეტად გულმხურვალედ ეკიდება ხოლმე და ამ შემთხვევაშიაც არ დასტოვა უყურადღებოთ ასეთი სასარგებლო საქმე. საზოგადოება ძლიერ ბლომათ დაესწრო და საკმაოთ ნასიამოვნებიც დარჩა. მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. ახალგაზრდობა თუ თამაშით სტკებოდა, ხანშიშესულები ყურებითაც კმაყოფილნი დარჩნენ. თვითონ დარბაზიც ლამაზად იყო მოწყობილი, ბუფეტიც მნიშვნელოვნად ჰქონდათ შემკობილი. ეტყობოდათ, რომ თადარიგის მიმცემნი ამ საქმეს გულგრილად არ მოჰკიდებოდნენ. თუმცა, წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზი კარგა მოზრდილია, მაგრამ საზოგადოებას სიმრავლის გამო, სივინროვე აწუხებდა. საზოგადოება დილის ხუთ საათამდე არ დაშლილა. შემოსავალი ბილეთებისა და ბუფეტის ნავაჭრი 500 მანეთამდე შესდგა“ [4].

1894 წლის 2 აპრილს შეკრებილ საზოგადოებას თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის — ილია გიორგის ძე ჯორჯაძის ხელმძღვანელობით დაუდგენია, რომ სასწავლებელს არ ჰყოფნიდა ყოველწლიური 200 თუმანი, რაც მას ჰქონდა, ამიტომ 100 თუმანი უნდა ეთხოვათ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ყოველწლიური მოგებიდან [5].

ბანკის დახმარების სრული მოიმედვე კახეთის საზოგადოება არ ყოფილა, 1895 წლის „ივერიის“ ცნობით, ორი საქველმოქმედო საღამო გამართულა თელავში წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის და-

სახმარებლად. ერთი — მაზრის უფროსის მეუღლის — განევიჩის ხელმძღვანელობით, 1895 წლის 9 იანვარს, მეორე — იმავე წლის 14 აპრილს, საიდანაც 110 მანეთი შემოსულა და ეს თანხა გადაუციათ სასწავლებლის ხელმძღვანელობისათვის.

სასწავლებელს ჰქონდა იგივე პრობლემები, რაც საქართველოს მაშინდელ სკოლებს. ეს, უპირველესად, ქართული ენის დევნის, საქართველოს ისტორიის სწავლების იგნორირება იყო. ამის შესახებ წერდა ცნობილი პედაგოგი ნიკო მთვარელიშვილი: „საცოდავ მდგომარეობაში იყო ქართული ენა და ყოველივე ქართული აღნიშნულ სასწავლებელში... დამახინჯებულს მდგომარეობაში იმყოფებოდა მშობლიური ენა და ისტორია 1876 წლამდის. ამ საგნებს ასწავლიდა მღვდელი სოლომონ ფირანიშვილი, რომელსაც ასე ახასიათებს გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი: — „მოსისხლე მტერი და მდევნელი ყველა ქართულისა: ენისა, ისტორიისა, ჩვეულებისა... ქართული ენა, ვისაც პირში ჰქონდა, უნდა ამოელო, მოეჭრა და მის მაგიერ რუსული ენა ჩაედგა...“ პედაგოგი აღფრთოვანებული დარჩა, როდესაც დაესწრო აღნიშნულ საგნებში მასწავლებელ ილია ზარაფიშვილის მიერ ჩატარებულ გამოცდას და დაინახა მშობლიური ენის კარგი ცოდნა, მოსწავლე გოგონების მიერ კარგად შესწავლილი საქართველოს ისტორიული წარსული [6].

სასწავლებელმა 56 წელი იარსება. სხვადასხვა დროს აქ ასწავლიდნენ : ძმები ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები, ვასილ ბარნოვი, ლადო მესხიშვილი, ნიკო სულხანიშვილი, ცნობილი მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი, ივანე როსტომაშვილი, ელისაბედ ქართველიშვილი, შიო შიუკაშვილი, მიხეილ ხელაშვილი, მიხეილ ელიზბარაშვილი და სხვები. მოსწავლეებს ჰქონდათ არალეგალური გაზეთი და ჟურნალი „წყარო“, რომლის შესახებ წერენ მარინე გოგბაიძე და გიორგი ჯავახიშვილი წიგნში — „ქალთა განათლების კერები თელავში“ [1, 12-14].

სასწავლებელში შემსვლელთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ მან 1908 წლისათვის 200-ს გადააჭარბა. საჭირო გახდა შენობის გაფართოება. კახთა მეფის რეზიდენციის გვერდით აშენდა ახალი შენობა, სადაც დღეს სამხატვრო გალერეაა განთავსებული. სასწავლებელმა ბევრი სახელოვანი პედაგოგი აღზარდა, რომლებიც შემდგომ ღირსეულად ემსახურნენ ქართული განათლების საქმეს. თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლის აღზრდილთა შორის იყვნენ: ელისაბედ ჩოლოყაშვილი-როსტომაშვილი, სოფიო ჩერქეზიშვილი-ვახვახიშვილი, თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა, სოფიო ანდრონი-



კაშვილი —ლომძისა, ნინო შიუკაშვილი-გოგნიაშვილისა, ნინო გო-  
გოლაძე, ნინო გამყრელიძე-მაჭავარიანისა, სოფიო ვახვახიშვილი-  
ჯავახიშვილისა, ელენე ახვლედიანი, ვასილ ბარნოვის შვილე-  
ბი, რადგან დიდმა მწერალმა 25 წელი თელავში იმსახურა და ასწავ-  
ლიდა წმინდა ნინოს სკოლაშიც, ტიცთან ტაბიძის მეუღლე ნინო მა-  
ყაშვილი, სპირდონ კედიას მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი, ქე-  
თევან იაშვილი და სხვები, რომელთაც უდიდესი ღვაწლი მიუძ-  
ღვით არა მარტო თელავისა და კახეთის საზოგადოებრივ ცხოვრე-  
ბაში, არამედ მთელ ქართულ კულტურასა და სულიერებაში.

XIX საუკუნის 80-ან წლებში, როდესაც რუსეთის იმპერიაში  
პოლიტიკური რეაქცია მძვინვარებდა, ქართულ ეროვნულ დაწესე-  
ბულებებს, მათ შორის სახალხო განათლების კერებს ძალზე გაუ-  
ჭირდა. რეაქციონერი განათლების მსახურნი, რუსი ჩინოვნიკები  
კავკასიაში ყოველნაირად ავიწროებდნენ ეროვნულ საგანმანათ-  
ლებლო და კულტურულ სწრაფვას, ქართველი ერის სულიერ მოთ-  
ხოვნებს. იანოვსკის, კატკოვისა და სხვა მისთანათა მცდელობებმა  
მიზანს ბოლომდე ვერ მიაღწია. ერი მთლიანად გადაერთო თავისი  
ეთნო-ისტორიული ტრადიციების აღდგენა-განვითარებისაკენ,  
ადამიანები, მათ შორის ძალზედ გაჭირვებულნიც, ბოლო გროშებს  
იღებდნენ სკოლებისა და კულტურული დაწესებულებების შესაქ-  
მნელად. მთელ საქართველოში გაშლილი ეს მოძრაობა კახეთშიც  
შეუქცევად ხასიათს იღებდა. დაიწყო სპეციალურად გლეხთა შვი-  
ლებისათვის სკოლების გახსნა, პროფესიული ჩვევების გამომუშა-  
ვება მათთვის, რაც უდავოდ დაეხმარებოდა დაბალ სოციალურ  
ფენებს ცხოვრების გაუმჯობესებასა და გაადვილებაში. ამის შესა-  
ხებ გაზეთი „დროება“ წერდა: „იმედია, რომ როგორც უწინ, ისე ამ  
დავრდომილ დროშიც, ჩვენი კახეთის ქალობა გამოიჩინოს პირვე-  
ლობას და სიჭყვიით თუ სქმით ხელს გაუმართავს ამას და სხვა სა-  
ზოგადო საქმეს. ვისურვებ, კახეთის ქალების დაწინაურებულმა  
ნაწილმა უპირატესი ყურადღება მიაქციოს თავის უმცროსთ, ღა-  
რიბ და უმეცრებაში ჩავარდნილ-ჩაფლულ დების გონებით და ზნე-  
ობით განათლებას“ [7, 81].

ეს მიზანი ჰქონდა თელავში, 1883 წელს ივანე და ელისაბედ  
როსტომაშვილების მიერ გახსნილ „**გლეხ ქალთა სკოლას**“. ელი-  
საბედ ჩოლოყაშვილი-როსტომაშვილის ასწავლიდა ხელსაქმეს, მი-  
სი მეუღლე კი სკოლის გამგე იყო. სკოლაში რჩეული პედაგოგები  
ასწავლიდნენ. გაზეთი „დროება“ სტატიებს აქვეყნებდა სკოლის  
შესახებ. ერთი სტატია ეკუთვნოდა ივანე როსტომაშვილს, რომე-

ლიც წერდა: „თუმცა ორი სრული წელიწადი არც არის, რაც არსებობს ჩემი სკოლა, მაინც ისეა განვითარებული, რომ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს საზოგადო საქმეში და დაჩაგრულ ერს უკეთესი მომავლის იმედები გაუღვივოს გულში... ჰკითხეთ ხალხს, ყოველ შურსა და სიბილწეს მოკლებულ გენიას, საქალებო სკოლის გახსნა იყო ჩემი გულის დიდი ხნის ერთი უდიდესი სვაშიადთაგანი და ამიტომ დავინწყე ეს საქმე მარტოდ მარტომ, რომ დაიმედებული ვიყავ მხოლოდ საკუთარ შრომაზე, ხალხისადმი სიკეთეზე და კეთილ კაცობაზე“ [8, 122].

იმავე წლის „დროება“ აქვეყნებდა „მალაროელის“ ფსევდონიმით საკუთარი კორესპონდენტის შთაბეჭდილებას თელავის „გლეს ქალთა სკოლაზე“. ის წერდა: რაც რომ თავის დღეში არ დამავინწყდება, ეს არის პატივცემულ ივანე როსტომაშვილის საქალებო სკოლის პატარა მონაფეთა ქართული გალობა სობოროში. მშვენიერი დღეა, სობორო ხალხით გაჭედილა, ხოროზედ შემდგარა რვა-ცხრა პატარა ქალი, ზოგი დურგლისა, ზოგი ხარაზისა, ზოგი სხვა ხელოსნისა, ზოგი სოფლელი მუშაკისა. შუაში უდგათ ახალგაზრდა მასწავლებელი კამერტონით და გალობენ სრული წირვის საგალობელს. ბავშვები ისე ჰარმონიულად, ისე ანგელოზის ხმით გალობენ, ყოვლად ნიჭიერი უნდა იყოს ბატონი ზ. ჩხიკვაძე, ამათი გალობის მასწავლებელი. მის მუსიკალურ ნიჭში უფრო მტკიცედ დავრწმუნდით, როდესაც შემდეგ იმან თავისი მონაფეთების საერო სიმღერაც გაგვაგონა. ძალიან შემაყვარა თავი ამ პატარა სკოლამ და მისი ვითარება დანვრილებით გამოვიკვლიე.

მზრუნველმა პატრონმა, დამაარსებელმა ამ სკოლისამ, კეთილმა როსტომაშვილმა გვაჩვენა ახლა თავის მონაფეთა ხელ-საქმენი, საუკეთესო სხვადასხვანაირი საღვთოეკები, მოქარგული სხვადასხვანაირი გვირგვინებითა და ქართული ასომთავრულით და აგრეთვე პირსახოცები. ხელსაქმის მასწავლებელმა ელისაბედ როსტომაშვილმა აგვისხნა, რომ სკოლას მეტი შეძლება ჰქონდეს და სხვადასხვა მასალის ყიდვა შეეძლოს, უფრო მეტს და სხვადასხვანაირს ხელსაქმეს ვასწავლიდით“ [9].

„გლეს ქალთა სკოლაში“ სწავლა ნაშუადღევს იწყებოდა. აქ სწავლის მსურველთა რიცხვმა მალე შვიდიდან ასამდე მიაღწია. სასწავლებელმა სახელი მალე გაითქვა, თუმცა ასეთი წარმატების მიუხედავად, ის მაინც მალე დაიხურა. მიუხედავად ამისა, სასწავლებელმა ნათელი კვალი დააჩინა კახეთში განათლების პროცესს.

ქალთა განათლების დონის ამაღლებაში კახეთში დიდი როლი ითამაშა თელავში არსებულმა „ანა ნიკალაევნას სკოლამ“, რომლის ხელმძღვანელი ანა ვახვახიშვილი-ჭავჭავაძისა იყო, ეპარქიულმა სკოლებმა თელავსა და შუამთაში, რამდენიმე კერძო სკოლამ, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ჭრა-კერვის სკოლები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ: ბაბე რცხილაძე, თამარ ვახვახიშვილი-აბაშიძისა, რიფსიმე კურდღელაშვილი, თამარ ქობულაშვილი-ბაკურაძისა. ყველაზე წარმატებული ჭრა-კერვის სასწავლებლებიდან იყო თელავში, ბულვარის ქუჩა 2-ში გახსნილი სოფიო სიმონიშვილის სკოლა. სკოლა 1884 წელს გაიხსნა. სიმონიშვილი ფრანგი დიზაინერის, ქალბატონ შეფერის მეთოდით ასწავლიდა. მან ჭრა-კერვის სახელმძღვანელოც შექმნა, რომელშიც გაანალიზებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებული კერვის ტრადიციები, ფრანგული ნიმუშები. სახელმძღვანელო სოფიო სიმონიშვილს უჩუქებია მწერალ ვასილ ბარნოვისათვის, რომელთანაც წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლის დროიდან მეგობრობდა. სოფიო ბარნოვის ოჯახის მკერავიც იყო. მასთან თელავის საუკეთესო საზოგადოება იკერავდა სადღესასწაულო სამოსს. სასწავლებელში ჩვეულებრივ საგნებსაც ასწავლიდნენ. სიმონიშვილის სკოლაში 150 ქალს მიუღია განათლება[1, 34].

ქალთა განათლებასა და კულტურულ აღზრდაზე ზრუნავდა საზოგადოება — „ქალთა ამხანაგობა თელავში“. მისი ხელმძღვანელი ბაბილინა სულხანიშვილი საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე წერდა 1895 წლის ნოემბერში გაზეთ „ივერიაში“.

ამრიგად, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კახეთის რეგიონში გააქტიურდა სასულიერო სკოლების დაარსების პროცესი. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ სასოფლო და სამაზრო სათავადაზნაურო და საქველმოქმედო საზოგადოებები. ხშირად ამგვარი სკოლების დაარსების ინიციატორად ქართველი სამღვდელთა გამოდიოდა. საქართველოს ეგზარქოსი და რუსული ხელისუფლება, კავკასიის ოლქის განათლების მზრუნველთან ერთად, ცდილობდა სასულიერო სასწავლებლებისა და სამრევლო სკოლების სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე ყოფილიყო. გარდა იმისა, რომ ახალგაზრდებს უჭირდათ უცხო ენაზე სწავლა, ეს პროცესი ქმნიდა ბევრ დაბრკოლებას მასწავლებელთა კადრების, სახელმძღვანელოების არქონის გამო. ყველაზე მთავარი კი მშობლიური ქართული ენის სკოლებიდან განდევნა, ერის ასიმილაციისა და რუსიფიკაციის იმპერიული გეგმა იყო. ქართველი ერის საუკეთესო შვილები ებრძოდნენ ამ პოლიტი-

კას და ყველანაირად ცდილობდნენ მშობლიური ენის, ტრადიციებისა და კულტურის დაცვასა და ენარჩუნებას.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. მარინე გოგბაიძე, გიორგი ჯავახიშვილი, ქალთა განათლების კერები თელავში, თბილისი, 2010.
2. გაზეთი „დროება“, 1867, 7.
3. Краткая история Телавского женского учебного заведения Св. Нины, Тифлис, 1901.
4. გაზეთი „ივერია“, 1891, 24.
5. გაზეთი „ივერია“, 1894, 75.
6. გაზეთი „დროება“, 1881, 117.
7. გაზეთი „დროება“, 1882, 81.
8. გაზეთი „დროება“, 1885, 122.
9. გაზეთი „დროება“, 1885, 149.

### **Mzia Maisuradze**

*Doctoral student of Telavi Iakob Gogebashvili State University, The Department of the History of Georgia, Faculty of Humanities*

### **Professional and Religious Schools of Women in the Second Half of the 19<sup>th</sup> Century Kakheti**

#### **Summary**

In the second half of the 19<sup>th</sup> century the founding of the women's educational centres in Georgia took place. The distinguished, outstanding ones among others were St. Nino's schools in Tbilisi, Kutaisi and Telavi. The history of St. Nino's school in Telavi, as well as the schools of professional education in Telavi, is discussed in the article. These schools were facing the same set of all problems that Russian government created to the whole educational system of invaded peoples.

Exarch of Georgia and the Russian government together with the patron of the Caucasian region education tried to establish Russian language as the only language of education at religious as well as parochial schools. Besides, it was difficult for young people to study on foreign language. It also was causing many problems concerning lack of teachers, shortage of text books, manuals. But the most important thing was the imperial project of expelling the native language, Georgian mother tongue, from schools, assimilation and Russification of the nation. The best sons of the Georgian nation were fighting against this policy and were doing their best to defense and save mother tongue, traditions and culture.

## მზია მაისურაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერება-  
თა ფაკულტეტის საქართველოს ის-  
ტორიის კათედრის დოქტორანტი

### თელავისა და სიღნაღის მაზრის სასულიერო სასწავლებლები XIX საუკუნის 80-90-იან წლებში

თელავსა და კახეთში სწავლა-განათლებისა და კულტურის საქმის დანიშნულება ერეკლე II-ის მეფობის პერიოდიდან დაიწყო. ეკლესია-მონასტრებთან ბევრგან გაიმართა სკოლა, დაარსდა სტამბა, გაყვანილი იქნა არხები, დაარსდა თოფხანა, ზარაფხანა, მართლმსაჯულება მკვიდრ ნიადაგზე დამყარდა [1, 115].

1762 წელს ერეკლე მეფე ნეკრესის ეპისკოპოსს დოსითეოსს წერდა: „იცოდეთ, მე ძრიელ მესიამოვნება, თუ თქვენ არ მოაკლებთ მეცადინეობას სკოლის წარმატებას. შემატყობინეთ, რა მდგომარეობაშია, როგორ წარიმართა სასწავლებელი“ [2, 40].

1762 წელს დაარსებულ სტამბაში უამრავი წიგნი დაიბეჭდა, წიგნების გამრავლების შემდეგ დაიწყო სკოლების გამართვა, დაარსდა ორი სასულიერო სემინარია: თბილისსა და თელავში, რომელთა ხარჯებს სახელმწიფო იღებდა. თელავის სემინარიის დაარსებისა და მუშაობის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ 1881 წლის რამდენიმე ნომერში წერდა ცნობილი თელაველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო მთვარელიშვილი [3, 8-10].

თელავსა და კახეთში განათლების ხელშემწყობნი და მოთავენი იყვნენ: ანტონ კათალიკოსი, გაიოზ რექტორი, ნეკრესის ეპისკოპოსი — დოსითეოზი და სხვა. მათ მრავალი სახელმძღვანელო შეადგინეს და ახალი წიგნები დაწერეს.

როდესაც 1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა, ქართული განათლების კერებსაც გაუჭირდა არსებობა. იმ სკოლებიდან, რომლებიც მანამდე არსებობდა, ზოგი გაუქმდა, მაგალითად: თბილისის სასულიერო სემინარია, რომელიც აღა მაჰმად-ხანმა დაანგრია, ველარ აღდგა, მაგრამ თელავის სასულიერო სემინარია, თავად რუსულმა ჯარმა დაიკავა, ყაზარმად აქცია და ააოხრა. მისი ხელმძღვანელი — დავით რექტორი კი საშინლად დაამცირეს. აი, რას მოგვითხრობს დავით რექტორი: „მას ჟამსა რუსნი მოვიდეს, იმპერატორსა აღექსანდრეს ძისა პავ-

ლე პირველისა იმპერატორისა, და სკოლა შეურაცხვეს და სადა სახელი ღვთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირად-პირადნი განსაცდელნი შემამთხვიენეს და მრავალნი ბოროტნი მოანივნეს ჩემზედა“ [4, 79]. სემინარია რომ რუსებმა დახურეს, ჩანს დავით ბატონიშვილის სიტყვებიდან: „თელავის სემინარიაში სწავლობდნენ მრავალნი კეთილშობილნი და სამღვდელონი ფრიად გულმოდგინედ, ვიდრე დაპყრობამდე რუსთაგან საქართველოსა“ [5, 12]. იგივე ჩანს ანტონ II კათალიკოსის ცნობითაც [6, 263].

სემინარიები იყო სახელმწიფო სასწავლებლები და მათ ხარჯებს მიეფე საკუთარი და საეკლესიო შემოსავლებიდან იხდიდა [6, 530].

რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის, შემდეგ კი მთელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ, საქართველოს სკოლებმა და კულტურულმა დაწესებულებებმა შეიძინეს ის ფუნქცია, რაც დამპყრობლის მიზანს წარმოადგენდა: ერის ასიმილაცია, ეთნოკულტურული და ეთნოისტორიული ტრადიციების დევალვაცია. თუმცა, ქართველი ერის ამას ვერ ეგუებოდა და ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა დამპყრობლისათვის მიზნების განხორციელებაში.

როდესაც მთელი საქართველო, ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად, რუსეთის კოლონია გახდა, ერმა ბრძოლა დაიწყო დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ვერ შეძლო სამართლიანობის აღდგენა. ძირითადი დატვირთვა სწავლა-განათლების, ქართული ისტორიული და კულტურული ტრადიციების მოვლასა და შენარჩუნებისათვის ბრძოლას დაეთმო. განათლების კერებმა და პედაგოგებმა დიდი როლი ითამაშეს ეროვნული ცნობიერების, ქართული ენის შენარჩუნების, ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, მონაწილეობდა სკოლების, სტამბების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსებაში [7, 301-322].

სკოლების დაარსებისთვის საზოგადოების მოძრაობა კახეთის რეგიონში XIX საუკუნის II ნახევრიდან გააქტიურდა. საერო სასწავლებლებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობოდა სასულიერო სასწავლებლების დაარსებას.

თელავისა და სიღნაღის სასულიერო სასწავლებლებს ემატებოდა სასოფლო სამრევლო სკოლები, რომლებიც კახეთის თითქმის ყველა დიდ სოფელში დაარსდა. მუდმივად იდგა შენობის, სწავლის გადასახადის, მასწავლებელთა კადრების, სახელმძღვანე-

ლოების საკითხი როგორც სკოლის, ასევე მთელი საზოგადოების წინაშე. სასულიერო სასწავლებლების დაარსებას საქართველოს ეკლესიის სასულიერო მამები და საეგზარხოსო ხელმძღვანელობდა. ეს უკანასკნელი დაინტერესებული იყო, რათა სასულიერო სწავლება რუსულ ენაზე ყოფილიყო, რაც ქართული საზოგადოებისათვის კრიტიკის საგანს წარმოადგენდა. საქმე ის იყო, რომ სოფლელ ბავშვებს რუსული ენა სრულიად არ ესმოდათ და უჭირდათ ამ ენაზე სწავლა, სასწავლო დებულებები კი, რომელსაც კავკასიის საგანმანათლებლო სისტემის ხელმძღვანელები, — იანოვსკი, ზავადსკი, თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორი — სტრელეცკი ადგენდნენ, ითვალისწინებდა საერო სასწავლებლების მსგავსად, სასულიერო სკოლებშიც რუსულ ენაზე ყველა საგნის სწავლებას. ამ ვითარებას, საზოგადოების ჩვეულებრივ წარმომადგენლებთან ერთად, ქართველი სამღვდელოების დიდი ნაწილიც აპროტესტებდა. სპეციალურად მონვეულ სამღვდელოების კრებებზე ირჩეოდა სკოლებთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

თელავის სასულიერო სასწავლებლის პრობლემებს ეხებოდა გაზეთი „დროება“ 1883 წლის ნოემბერში. ავტორი ფსევდონიმით — „სამღვდელოების კეთილისმყოფი“ — აქვეყნებდა ვრცელ სტატიას სათაურით — „კახეთის სამღვდელოების კრების საყურადღებოდ“ [8].

სტატიის მიხედვით, 19 ნოემბერს თელავში შემდგარა კახეთის სამღვდელოების კრება. გვარი შეკრებები ყოველწლიურად არ იმართებოდა, ამიტომ კრების გადანყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თელავისა და სიღნაღის მაზრების სასულიერო სასწავლებლების პრობლემების დასმასა და მოგვარებაში. სტატიაში საუბარია თელავის სასულიერო სასწავლებელზე, რომელსაც ჰქონდა როგორც შენობის, ასევე სხვა პრობლემები. წერილში ვკითხულობთ: „ამჟამად, რომ ამ კრების გადანყვეტილებაზე დიდად არის დამოკიდებული მისი სასწავლებლის კეთილდღეობა, მისი სასწავლებლის პედაგოგიური და ეკონომიკური წარმატება, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება. ამისათვის თვითუფლებს დეპუტატს, როგორც თავის ამომრჩეველთა წარმომადგენელს და მათ წინაშე პასუხისმგებელს, მართებს სიფრთხილე და დაკვირვება. უმთავრესნი წინადადებანი სასწავლებლის გამგეობის მხრით, რომელნიც კრებამ უნდა განიხილოს, არიან შემდეგნი...“ პუბლიცისტი ჩამოთვლიდა თელავის სასულიერო სასწავლებლის პრობლემებს. ეს იყო: 1. ახალი შენობის აგებისათვის საჭირო თანხის შეგროვება.



სამღვდელოებას უკვე შეკრებილი ჰქონდა 8200 მანეთი, რომლითაც შენობის საძირკველი და პირველი სართული აშენდა. II სართულის ასაგებად საჭირო იყო 2000 მანეთი, რომელიც სამღვდელოებას უნდა შეეკრიბა. ახალი შენობა საშუალებას მისცემდა სკოლას, გახსნილიყო პანსიონი, რაც დიდად დაეხმარებოდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც სოფლებიდან და სხვა რაიონებიდან დადიოდნენ. 2. უნდა შეეკეთებულიყო ძველი შენობა, რომელიც სასწავლებლის ზედამხედველის სადგომად იქცეოდა; 3. სუსტად მოსწავლე შეგირდებს დანიშნოდათ რეპეტიტორები, ეს მოვალეობა საკუთარ მასწავლებს შეეძლოთ შეესრულებინათ, ოღონდ ზედმეტი გასამრჯელოს ფასად; 4. სასულიერო მამების კრებას სასწავლებლისთვის უნდა მოეძებნა შეძლებული მზრუნველი, რომელიც დაეხმარებოდა სკოლას ფინანსური პრობლემების გადაჭრაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას სტატიის ავტორი ამახვილებდა მოსამზადებელ კლასზე. „მოსამზადებელი კლასი არის განსაკუთრებული საგანი სამღვდელოების მზრუნველობისა, ის არის საფუძველი რომელზედაც შენდება მთელი შემდეგი სწავლა-მეცნიერება, — წერდა სტატიის ავტორი. მოსამზადებელი კლასის გაკვეთილების მომავალ მასწავლებელთა შორის განაწილება არ არის სასარგებლო და სასურველი ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმ მასწავლებელთა, რომელნიც ხელს ჰკიდებენ ამ გაკვეთილებს, მრავალი სხვა გაკვეთილებიც აქვთ და სამყოფი დრო არ ექნებათ ამ გაკვეთილების მზადებისათვის. მეორე, — რომ მოსამზადებელი კლასის მასწავლებელმა კარგად უნდა გაიცნოს ყველა თავისი მოსწავლე, მისი ხასიათი, ცოდნა, ნიჭიერება, ტემპერამენტი, რომ თითოეულს მათგანზე იმოქმედოს ხასიათისა და ცოდნის მიხედვით და, რასაკვირველია, რომ ერთი მასწავლებელი, რომელიც სულ მუდამ მათთან არის, უფრო კარგად გაიცნობს, ვიდრე ბევრი. წესდებისა და პედაგოგიის მოთხოვნისამებრ, მოსამზადებელ კლასში უმჯობესია, რომ იყოს ე. წ. საკლასო სისიტემა, როდესაც ერთი მასწავლებელი ასწავლის ყველა საგანს და მთელ თავის ძალას ერთ კლასს ანდომებს. შეგირდებიც ერთს იცნობენ და მასთან არიან შეჩვეულნი. ბევრ მასწავლებელში კი არჩევენ ერთს, სხვების ავტორიტეტი ეცემა მათ თვალში და მათ გაკვეთილებსაც ისე ვერ სწავლობენ, როგორც პირველისას“ [8].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამრევლო სკოლების დაარსებას. ეს იყო სკოლების ფართო ქსელი, სადაც ღარიბი გლეხის შვილებსაც მიუწვდებოდათ სწავლაზე ხელი. თელავისა და

სიღნაღის მაზრის სოფლებში ამგვარი ტიპის სკოლების დაარსებას საქართველოს ეგზარქოსის — პალადის ბრძანებით სათავეში ედგა ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი. ე. წ. „სამზრუნველოები“ იხსნებოდა სოფლებში, რომელიც სათავეში უდგებოდა სკოლების გახსნას. სამზრუნველოებს ადგილობრივი თავადები და ნასწავლი ადამიანები ედგნენ სათავეში. 80-იანი წლების ბოლოს ამგვარ ღონისძიებათა შედეგად სკოლები გაიხსნა კარდენახში, კონდოლში, ურიათუბანში, საცხენისში, საბუეში, რუისპირში, ფშაველში, ენისელსა და სხვა სოფლებში.

სკოლის დიდ პრობლემას მასწავლებელი წარმოადგენდა. ხშირად იყო სკოლა და არ იყო მასწავლებელი. „დროების“ კორესპონდენტი ამ შემთხვევებზე მიუთითებდა და მის არასახარბიელო შედეგზედაც აფრთხილებდა საზოგადოებას. ის აღწერდა კახეთის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც მოუსავლიანობამ და გვალვამ განაპირობა და ამ ფონზე განათლების კერების ცუდ მუშაობასაც აღნიშნავდა. „არც ჩვენი სკოლები წარმოგვიდგენენ სანუგეშო სურათს, — წერდა იგი. ფშაველში, საბუეში და ვგონებ რუისპირშიც სკოლები უმასწავლებლოდ არიან. არ ვიცი, რას ელის ან რას უყურებს უფალი სტრელეცკი? რომელს სოფელშიც მოინდომებთ სკოლის გახსნას, ხსენებულს სოფლებზედ მიგითითებენ გლეხები და გიპასუხებენ: „იქ კი არ გახსნეს სკოლა და ფულებს არ ახდევინებენ, რომ მასწავლებელი არა ჰყამთ და ფულებს კი ტყუილად ჰკრეფენო“... ცუდი შედეგი ექნებათ ამგვარს მაგალითებს გლეხთა მომავლისათვის.“ ავტორი ჩამოთვლიდა იმ პედაგოგებს, რომლებიც ერთი სკოლიდან მეორეში გადაიყვანეს, მათ ადგილზე კი არაპროფესიონალები დანიშნეს. ყველაფერ ამას იგი აბრალებდა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს — სტრელეცკის, რომელიც თვითნებურად, ზოგჯერ სხვების აზრის გათვალისწინებით ნიშნავდა პედაგოგებს. ერთ ასელ შემთხვევას ასახელებს „კახელი ნინიბურას“ ფსევდონიმით „დროების“ კორესპონდენტი. ეს იყო ენისელის სკოლაში თელაველი ადვოკატის დანიშვნა. ამ ფაქტს ის მიაწერს ადგილობრივი მზრუნველის ჩარევას, რომელსაც სოფელში ადვოკატის ყოლა პირადად აწყობდა. სხვა შემთხვევებში სტრელეცკი საათებს არ აძლევდა სასულიერო სემინარიადამთავრებულებს იმ საბაბით, რომ არც პირადად არ იცნობდა მათ და არც საზოგადოებისთვის იყვნენ ნაცნობები [9].

ქიზიყში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე იყო საუბარი მიხეილ ნასიძის წერილში, რომელიც ასევე „დროებაში“ გამოაქვეყნა.

სასულიერო სასწავლებლები 80-იანი წლების დასაწყისში აქ ჯერ კიდევ არ იყო. სამღვდლოება, მისი ხელმძღვანელი ჯგუფი — „ბლალორინები“, რომლებიც სასლიერო წრიდან დროდადრო ირჩეოდა, ხშირად ვერ უზრუნველყოფდა სკოლების გახსნას, რადგან ეს გარკვეულ ფინანსებს უკავშირდებოდა. ნასიძე მიმართავდა მღვდლებს: „თქვენს შვილებს ხომ სწავლის გზა არსაით აქვთ ამ ხანობით. თელავშია ერთი სასულიერო სასწავლებელი და თქვენზედ ერთობ შორს არის. ასე რომ უმეტესი ნაწილი თქვენგან ვერ ახერხებს იქ შვილების მიცემას. ტფილისშია სასულიერო სასწავლებელი და იქ ხომ უფრო ვერ მიგიწვდებათ ხელი. თქვენი ქალების განათლებაზე ხომ რაღა უნდა მოგახსენოთ. ამ სამწუხარო მდგომარეობიდან თავის დასახსნელად აუცილებლად საჭიროა თქვენთვის ერთი სასულიერო სავაჟო და ერთიც საქალბო სასწავლებელი. ორივე ერთობ ძნელია, ჯერჯერობით იქნებ ერთი მაინც მოახერხოთ...“ ნასიძე ურჩევდა ქიზიყის სამღვდლოებას ბოდბეში, წმინდა ნინოს მონასტრის გალავანში არსებულ შენობაში გაეხსნა ქალთა სასწავლებელი [9].

ქართული პრესა და საზოგადოება ხშირად გამოთქვამდა პროტესტს იმის გამო, რომ კახეთის რეგიონში ქართულ სასულიერო სასწავლებლებზე მეტი რაოდენობის იყო სომხური მსგავსი ტიპის სკოლები. მათი მზრუნველები იყვნენ მდიდარი სომეხი ვაჭრები, რაც ამ სკოლებს იმდენ პრობლემას აღარ უქმნიდა. თბილისის გუბერნიის ამდროინდელი სტატისტიკა მოწმობს, რომ ქართველებთან ერთად, სომეხი მოსწავლეების პროცენტულობა თანაბარია. მთელი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობიდან ისინი 34 %-ს იწარმოებდნენ. ეს მაშინ, როდესაც გუბერნიის ქართული მოსახლეობა სომხურზე გაცილებით დიდი იყო. ამავე სტატისტიკით, 6 თავადაზნაურში მხოლოდ ერთი მოსწავლე იყო, სასულიერო წოდებიდან კი 4 სულზე მოდიოდა ერთი მოსწავლე, რაც გაცილებით დიდი იყო ყველა სხვა წოდების მონაცემზე [12, 79].

ქართველი ქველმოქმედები ცდილობდნენ ამ მდგომარეობის გამოსწორებას. ზოგიერთი კახელი თავადი მამულსა და შენობებს უთმობდა ახლადგახსნილ სასწავლებლებს. ასე მაგალითად: სოფელ ზემო მაჩხაანში, თავადმა ზალდასტანიშვილმა გამოყო მიწა სკოლისათვის, სადაც მისი შვილებიც მიიღებდნენ განათლებას [10].

დიდ დახმარებას უწევდნენ სკოლებს ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლები, ასევე გენერალი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე [11].

ამრიგად, ყველა სხვა ტიპის სკოლებთან შედარებით, სასულიერო სასწავლებლებს XIX საუკუნის ბოლოს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ხალხის მოთხოვნილება, თუ სამღვდლოების ზრუნვა ასეთი სკოლების რიცხვის გაზრდას უწყობდა ხელს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „ივერია“, 1890, 115.
2. Церковный гуджары, т. 1, Тифлис, 1905,
3. გაზეთი „ივერია“, 1881 წელი, 8-10.
4. კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941.
5. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტფილისი, 1905.
6. Акты собранные кавказской археографической комиссией, Спб., т., I, 1868
7. დოდო ჭუმბურიძე, განათლების სისტემა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის სამსახურში, წიგნში: „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში“, თბილისი, 2008.
8. გაზეთი „დროება“, 1883, 232.
9. გაზეთი „დროება“, 1880, 63, 66.
10. გაზეთი „დროება“, 1884, 82
11. გაზეთი „დროება“, 1885, 53.
12. ალექსანდრე ფრონელი, „სწავლა-განათლება ტფილისის გუბერნიაში“, გაზეთი „ივერია“, 1890, 79.

**Mzia Maisuradze**

*Doctoral student of Telavi Iakob  
Gogebashvili State University,  
The Department of the History of  
Georgia, Faculty of Humanities*

**The 19<sup>th</sup> Century Second Half Religious Schools  
of the Telavi and Signaghi District**

**Summary**

At the end of the 19<sup>th</sup> century among different kinds of schools a special attention was paid to religious ones. The needs of people and the care taken by clergy increased the amount of such schools. Parochial schools were opened in many villages of Kakheti region. Religious school was functioning in Telavi. The establishing of the parochial schools had a special significance. It was a wide net of schools, where poor peasant's children were able to study as well. By the order of exarch Pallady in charge of founding such kind of schools in the villages of Telavi and Signaghi district was Besarion, bishop of Alaverdi. For opening schools so called „guardianship“ offices were founded in villages. The heads of these offices were local nobles and educated people. As a result of these activities schools in the villages: Kardenakhi, Kondoli, Uriatubani, Satskhenisi, Sabue, Ruispiri, Pshaveli, Eniseli and etc. were opened at the end of the 1880es.

The article deals with how these schools were working, about the issues these religious schools had at that time.

## ნატო სონულაშვილი

*ისტორიის დოქტორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი*

### ქართული სამღვდლოება (1900-1917)<sup>1</sup>

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და ქრისტიანობის შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა და ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა შექმნილი. აღნიშნული საკითხის კვლევამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართველ სამეცნიერო საზოგადოებას მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობა მიეცა. დღეისათვის არსებულ გამოკვლევებში ქრისტიანობის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის არაერთი პრობლემატური საკითხია სათანადოდ გაშუქებული და შესწავლილი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს.

არავისთვის უცნობი არ არის ის ფაქტი, რომ ქართული სასულიერო ნოდების წარმომადგენლები ქართველი ერის გამაერთიანებელ როლს თამაშობდნენ, ხოლო ქრისტიანობა და ქართველობა კი განუყოფელი ცნებები იყო ყოველი ქართველისთვის. ქართულ სამეცნიერო და, არა მხოლოდ ლიტერატურაში ეს ეხება უშუალოდ ეკლესიის ისტორიის განხილვას თუ არა, სადაც ქართველ ერზეა საუბარი ქრისტიანობის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ფაქტორის აღნიშვნა გარდაუვალია.

XIX საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და რუსული მმართველობა დამყარდა, ახალი ეტაპი დაიწყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ რელიგიური თვალსაზრისითაც. ქართული საზოგადოების მოლოდინი, რომ ერთმორწმუნე რუსეთი განსხვავებულ გზას აირჩევდა და საქართველოს მიმართ დამპყრობლურ პოლიტიკას არ განახორციელებდა არ გამართლდა. ასეთივე ვითარება აღმოჩნდა ქრისტიანობასთან მიმართებაშიც. რუსეთმა 1811 წელს გააუქმა საქართვე-

---

<sup>1</sup> აღნიშნული სტატია დაიწერა შოთა რუსთაველის ფონდში მოპოვებული გრანტის (12/50) მეშვეობით.

ლოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და რეფორმები განახორციელა, რაც მის რუსიფიკაციას ისახავდა მიზნად. ეკლესიაში რუსი სასულიერო პირების მოყვანა და რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება საზოგადოების ცნობიერებაში რწმენის შესუსტებას ისახავდა მიზნად. ქართველი სამღვდლოება ამ პრობლემის აღმოფხვრას ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ცდილობდა და მუდმივად მოუწოდებდა საზოგადოებას ქრისტიანობის შესანარჩუნებლად.

1900-1917 წლების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის არაერთი საინტერესო საკითხი სათანადოდ არის შეფასებული და შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა სასულიერო მოღვაწეების ბიოგრაფიული ცნობების სააშკარაოზე გამოტანას და მათი ღვაწლის წარმოჩენას. ამჯერად ორ მნიშვნელოვან საკითხზე მივხედვართ გავამახვილო ყურადღება.

1. დღესდღეობით არავისთვის აღარ არის საკამათო, რომ ქრისტიანობა და ქართველობა საუკუნეების მანძილზე ერთიან კონტექსტში მოიაზრებოდა და ქართველებისთვის ქართველობის დაცვა ქრისტიანობის შენარჩუნებას უდრიდა და პირიქით. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თვალსაზრისი დიდი ხანია დამკვიდრებულია, ამიტომ საკითხის ამ მიმართულებით შესწავლა სიახლეს არ წარმოადგენს. მაგრამ, ცალკე საკითხია რა კუთხით განიცდიდა ცვლილებას ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ ქართული საზოგადოების ცნობიერება და როგორ აღიქვამდა საკუთარ თავს სამღვდლოება.

შუა საუკუნეებში, როდესაც სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი მოდიოდა საქართველოს დასაპყრობად, მთავარ დარტყმას სწორედ ქრისტიანობისკენ მიმართავდა. 1900-1917 წლებში ქართველების მთავარი მოთხოვნა რელიგიასთან მიმართებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო და არა მხოლოდ ბრძოლა ქრისტიანობის დასაცავად, რადგან დამპყრობელი მართლმადიდებელი იყო. ე. ი. როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე ეროვნული ფასეულობებისთვის ბრძოლა გარკვეულ ცვალებადობას განიცდის და ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე სხვა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება ხდება მნიშვნელოვანი. (თუმცა ბუნებრივია სხვა დანარჩენი აქტუალობას არ კარგავს).

„რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მისი კოლონიური პოლიტიკა საქართველოში სამი მიმართულებით წარმართა: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო. რუსეთი სამივე მიმართულებით იპყრობდა ქვეყანას, პოლიტიკურად — იარაღით, ეკონომიკურად — წარმოების კონსოლიდაციით და იაფი ნედლეულის გადაზიდვით, კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულება კი ძველთაძველი ქართული კულტურის ტრადიციების მოსპობითა და განათლების ახალი კერების რუსიფიკაციით იგეგმებოდა.

რუსეთის ხელისუფლება დაპყრობილ ქვეყანას უპირველესად რუსიფიკატორული პოლიტიკით უნდა დაუფლებოდა. იარაღით დაპყრობილი საქართველო ქართველი ხალხის გარუსებით თუ იქცეოდა იმპერიის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად, მხოლოდ გარუსებული ქართველობა თუ იქნებოდა რუსული გუბერნიების მორჩილი მოსახლეობა. ეს მიზანდასახულობა მხოლოდ სკოლებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო, თუკი ამ სკოლებიდან სრულიად განიდევნებოდა მშობლიური ენა და სწავლება რუსულ ენაზე დაწესდებოდა“ [1, 301].

მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ქართველი ერის მთავარი ლოიალობის ობიექტი მეფე აღარ არსებობდა, ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, სასულიერო ნოდების წარმომადგენლებს სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული უფლებების რეალიზაციისთვის. ხალხთან მთავარი დამაკავშირებელი და ეროვნული იდეების მატარებელი ყოველთვის იყო სამღვდლოება. ამ უფლების ჩამორთმევის შემდეგ, ბუნებრივია ნაწილობრივ, რადგან რუსეთმა მაინც ვერ შეძლო საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირის სრული აღმოფხვრა ხალხსა და ეკლესიას შორის, მიუხედავად ამისა, სამღვდლოება აქტიურ ნაბიჯებს დგამდა როგორც ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, ისე საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის როლის წარმოჩენისთვის. ამისთვის მათ ჰქონდათ სხვადასხვა ბეჭდური ორგანო. ქართველი სასულიერო ფენის ინტერესებს გამოხატავდა გაზეთი „შინაური საქმეები“. 1909 წლის №4-ში ვკითხულობთ: „საჭიროა გავაცნოთ ხალხს ჩვენი მშობლიური ეკლესიის ხასიათი, მისი ღვანლი არა მარტო ქრისტეს ცხოველმყოფელი მოძღვრების გავრცელება-დამკვიდრებაში, არამედ ქართველი ხალხის ეროვნულად გაძლიერების საქმეშიც. მან შეინახა ჩვენი



ერი, სარწმუნოება ამხნევებდა მას მრავალ საუკუნეების განმავლობაში აუარებელ მტრებთან ბრძოლის დროს, აძლევდა ძალას გამოსულიყო ამ უთანასწორო ბრძოლიდან გამარჯვებულად, შეენახა მას თავისი ეროვნება. თვალსაჩინო იყო ძველი საქართველოს კულტურა, რომლის შექმნაში უმთავრესი წილი უდევს ჩვენს მშობლიურ ეკლესიას. ძველი კულტურის დავინყება კი ხალხისთვის არ არის სახეირო. ის ხალხი, რომელსაც თავის წარსულს ისტორიულ ცხოვრებასთან კავშირი გაუწყვეტია, მომავალში წარმატებას არ უნდა მოელოდეს“ [7, 1].

ქრისტიანობასთან დაკავშირებული თითოეული სტატია მიმართული იყო ქართველებში რწმენის ამაღლებასა და ეკლესიის როლის დასაბუთებაზე.

„ეკლესია წარსულში დიდი ეროვნული მოვლენა იყო, ეკლესიის გარშემო იყრიდა თავს სახელმწიფოებრივი ენერგია, იქ იყო ელემენტი – ერის შემაერთებელი და ეროვნული სიმდიდრე, ეროვნული კულტურა უმთავრესად ეკლესია-მონასტრებში გროვდებოდა. ბერ-მონაზონთა კოლეგია იყო მთავარი მატარებელი სულიერი კულტურის და ეს ქმნიდა სამღვდელოების ბატონობას. დღეს სულიერი კულტურის მეთაურობა მათი იმდენად დაკარგულია, რომ წარსულშიც მათი ასეთი როლი ბევრს არა სჯერა. მაგრამ ქონებრივი კულტურა კი დიდია მოგროვილი ეკლესია-მონასტრებში. ეს ქონება ეკუთვნის ერს, მთელ ხალხს“ [2, 1].

გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის მემუარებში ყურადღებას ამახვილებდა ქრისტიანობის როლზე საქართველოს ისტორიაში. იგი წარსულში ეკლესიის და ქრისტიანობის მნიშვნელობას ეპოქიდან გამომდინარე მიიჩნევდა. „ქართული ეკლესიის ეროვნულ-მოგერიებითი მოღვაწეობა წინა საუკუნეებში, ერთის მხრით, რამდენიმედ გადავილებული იყო იმით, რომ მაშინ საქრისტიანო საქართველოს საქმე ქონდა ისლამთან, ამ ორ სარწმუნოებას შორის გაუვალა უფსკრული იყო, მდგომარეობა და ურთიერთობა მეტად ნათელი, მკაფიო და განსაზღვრული, ამიტომ ამ ხანებში შეუძლებელი იყო მტრისათვის ქართულ ეკლესიაში მეგობრისა და ძმის ქურქით შესვლა და მისი შიგნიდან გადაგვარება და მოშლა. ხოლო რუსეთის მფლობელობის დროს ამ მხრით მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ახალი დამპყრობელი თვით იყო ქრისტიანი და ისიც მართლმადიდებელი. ამ გარემოებამ მეტად გაუადვილა რუსეთს, საქართველოს ეკლესიასთან ბრძოლა. ანაფორაში გადაცემული რუსული ნაციონალისტური იმპერიალიზმი ერთმორ-

ნმუნეობის საბაბითა და ნილბით ადვილად შეიჭრა ქართულ ეკლესიაში და მის გარუხებას შეუდგა“ [3, 52].

2. როგორც უკვე აღვნიშნე, მრევლსა და ეკლესიას შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა საუკუნეების მანძილზე, თუმცა ეს ურთიერთობა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. ავტოკეფალიადაკარგული ეკლესია პარალიზებული აღმოჩნდა. რუსეთის საიმპერატორო კარინათლად აცნობიერებდა იმ უდიდესი სულიერი კავშირის მნიშვნელობას, რაც მრევლსა და სასულიერო ნოდებას შორის იყო, ამიტომ მან მიზნად სწორედ მათი განცალკევება დაისახა. მიუხედავად სამღვდელოების მცდელობისა შეენარჩუნებინა საკუთარი უფლებები და საზოგადოებასთან კავშირი, 1900-1917 წლებში რუსი ეგზარქოსების დროს საიმპერატორო კარის ღონისძიებების შედეგად ამ პრობლემამ მთელი სიმწვავეით იჩინა თავი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ ისტორიოგრაფიაში სამღვდელოების როლის შეფასებას დიდი ადგილი უკავია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის შესწავლა თუ როგორ აღიქვამდა საკუთარ თავს სამღვდელოება 1900-1917 წლებში და რა განაპირობებდა იმ ცვალებად და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას საზოგადოების მხრიდან მათი მისამართით. 1. როგორც ცნობილია, ბეჭდური ორგანოები გამოხატავდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესებს, რომლებიც საკუთარი იდეების რეალიზებას საზოგადოებაში პრესის მეშვეობით ცდილობდნენ. განსაკუთრებული მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც, ბუნებრივია, გასაგები მიზეზების გამო უარყოფითად შეაფასებდნენ სამღვდელოებას. (სოციალ-დემოკრატია მარქსისტული იდეოლოგიის იყო). შეიძლება გაჩნდეს კითხვა, სხვა პოლიტიკური პარტიების ორგანოებშიც ხომ იყო სამღვდელოების კრიტიკა? დიახ, მართალია, მაგრამ ეროვნული მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში ყურადღებას ამახვილებდნენ ერის არსებობის ყველა აუცილებელ საკითხზე და ამით ცდილობდნენ არსებული ვითარების გამოსწორებას. ილია ჭავჭავაძე სწორედ, ქართველთა უარყოფითი მხარეების აღმოფხვრას ასევე კრიტიკით ცდილობდა.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,  
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია! [10, 120].

ბექდურ მედიაში მუდმივად იყო მიმართვები საზოგადოების მისამართით ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისთვის. მოუწოდებდნენ ყველას: გლეხს, მუშას, სტუდენტს, თავადაზნაურობას, ინტელიგენციას, — ეს უკანასკნელი კი თავად ქმნიდა ხშირ შემთხვევაში იდეოლოგიას, მაგრამ არც ერთმანეთის კრიტიკას ერიდებოდნენ, ამით მიუთითებდნენ იმაზე, რომ მანკიერი მხარეები უნდა აღმოფხვრილიყო. 2. ყველა ეპოქაში, დამპყრობლის შემოჭრის შემთხვევაში, როდესაც საქართველო ყოფნა-არყოფნის წინაშე იდგა, სწორედ ელიტის წარმომადგენლებს უწევდათ პირველ რიგში პრობლემის გაანალიზება და მთელი დარტყმაც სწორედ მათზე მიდიოდა. მაგალითად, ისლამის მიღებას ჯერ მეფეებს მოსთხოვდნენ ხოლმე, რომ ხალხისთვის „მაგალითი“ მიეცათ. ასე მოხდა რუსეთის შემოსვლის დროსაც, მათ დარტყმა იქით მიმართეს, ვისი იმედიც ყველაზე მეტად ჰქონდა საზოგადოებას. 3. ის, რომ სამღვდელოებასა და ხალხს შორის კავშირი განყდა და იგი ვეღარ ასრულებდა იმ როლს იმ მასშტაბით, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მათი ქმედებების“ გამო დაეკარგა ხალხს რწმენა. ამ გარემოებას ხელი შეუწყო სულ სხვა რამ და ეს პირველ რიგში ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობდა. რუსეთის თვითმპყრობელობამ ავტოკეფალიის გაუქმებისთანავე ჩამოართვა მიწები ეკლესიას და ფაქტიურად შემოსავლის გარეშე დატოვა. მათი ძირითადი სარჩენი საშუალება იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ფართო ფენები. რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, ანუ მთავარი პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობდა და არა იმაში, რომ სამღვდელოება „გარუსდა“. ამიტომ შესუსტდა ის კავშირი ხალხთან, რაც საუკუნეების მანძილზე გააჩნდა. გაჭირვებული ხალხი ვერ ინახავდა სამღვდელოებას და მის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა. ეს იყო სწორედ რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება, სხვა მრავალთა შორის. „ხალხის გულგრილობა ეკლესიისადმი ეკონომიკურ საკითხში მდგომარეობს. როგორც ვიცით, ეკლესია მთელი თავისი შემადგენლობით, ხალხს აწევს კისერზე, მან უნდა შეინახოს ეკლესია და არჩინოს სამღვდელოება. ამ ნიადაგზე ხშირად აღიძვრის უთანხმოება ხალხსა და ეკლესიის წარმომადგენელთა შორის. ბრძოლა არსებობისათვის მთელი თავისი სისასტიკით არის გამეფებული ჩვენს დროში. ხალხს კი თავის გამოკვებაც უძნელდე-

ბა. არამც თუ სხვის შენახვა. ამ მიზეზით ხალხი ცდილობს თავი დააღწიოს ხარჯებს და შორდება ეკლესიას“ [11, 3].

საინტერესოა კალისტრატე ცინცაძის მოგონება სამღვდლოების მდგომარეობის შესახებ. „ჩემი მღვდლობის პირველსავე დღეებში შევამჩნიე, რომ თბილისის სამღვდლოება გათიშულად ცხოვრობდა. მღვდლები ერთმანეთს ან საკეთილმოწესო ოლქის ოფიციალურ კრებებზე სვდებოდნენ (წელიწადში ორჯერ) ან ტაძარში სამეუფეო პარაკლისებზე, ან აღდგომასა და შობას ეგზარქოსის მილოცვისას, ან ქელეხებში — შეძლებულ პირთა ოჯახებში. არც ერთ ამ შეხვედრაზე არ შეიძლებოდა გვესაუბრა მღვდელმსახურებაზე, მქადაგებლობაზე, სასკოლო საქმის გაძლოლაზე და სხვა. ამიტომ ახალგაზრდა მღვდლების (თოთიბაძის, გამდლიშვილის, მაჭავარიანის და სხვათა) ინიციატივით გადაწყდა, შექმნილიყო სრულიად ლეგალური დანესებულება — „თბილისის სამღვდლოების ურთიერთდახმარების სალარო“, რომელიც მღვდლებს შესაძლებლობას შეუქმნიდა, ერთად შეკრებილიყვნენ და ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ გამოცდილება და ცოდნა მღვდელმსახურების საკითხებთან დაკავშირებით. შეიმუშავეს „სალაროს“ წესდება და დასამტკიცებლად მიართვეს ეგზარქოს ვლადიმერს, რომელმაც ცოტა იყოყმანა, მაგრამ მაინც დაამტკიცა“ (8, 44). თუ როგორი ძალით მიმდინარეობდა გარუსების პროცესი ამას ნათლად აჩვენებს კალისტრატე ცინცაძის კიდევ ერთი მოგონება. იგი წერს: „მეუფეს (იგულისხმება პალადი რაევი— ნ.ს.) სამრევლო სკოლებში მისვლა უყვარდა. იქ ქართული ენის გაკვეთილი მიმდინარეობდა. მეუფემ მასწავლებლს ჰკითხა: რას ასწავლით? მასწავლებელმა მოახსენა, საქართველოს გეოგრაფიასო. რომელი საქართველოსას, თუ გნებავთ, თქვათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისასო? მასწავლებელი აირია, ეგზარქოსმა კი მე შემომხედა, გამოხედვაში საყვედური თუ კითხვა უკრთოდა. — მეუფეო, — მივუგე მე, — არა თბილისისა და გუბერნიისას, არამედ იმ საქართველოს გეოგრაფიას, რომლის ეგზარქოსიც თქვენ ბრძანდებით“ [8, 46].

XX საუკუნის დასაწყისიდან სამღვდლოება განსაკუთრებით გააქტიურდა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ავტოკეფალისტთა მოძრაობა. საინტერესოა ისიც, რომ თვით სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც კი არ ერიდებიან სამღვდლოების იმ ნაწილის კრიტიკას, რომლებსაც პასიურად მიიჩნევენ. 1906 წელს ჯვარი ვაზისა წერდა: „საქართველოს სამღვდლოება უწინ სწო-

რედ საერთო გაჭირვებაში იჩენდა ხოლმე დიადს უნარს და მტრისაგან წელში მოხრილ ერს, საერთო მოქმედებისთვის ფეხზე დააყენებდა. თუ წარსულ საუკუნეში (XIX საუკუნეში — ნ.ს.). ჩვენმა სამღვდელოებამ ვერ შეძლო გაჭირვებაში თავისი უნარი გამოეჩინა, ეს მარტო მათი ბრალი არ არის“ [12, 7]. სამღვდელოების ამ მდგომარეობაში ჩაგდება რუსული პოლიტიკის წარმოებამ განაპირობა. ეს მდგომარეობდა სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის კავშირის განწყვეტასა და ერთმანეთზე გადაკიდებაში. „... თავადაზნაურობაც დაეცა, გაღარიბდა, დაკარგა თავისი გავლენა. ბატონყმობის გადავარდნამდე მამაშვილურად მცხოვრებნი თავადაზნაურნი და გლეხები შემდეგ ერთმანეთის მტრებად გადააქცია, ახალმა წეს-წყობილებამ ერთმანეთის მოქიშპეებად გარდაქმნა და სამღვდელოებას მხარი აუკრეს ერთმაც და მეორემაც. თავადაზნაურობა დაიტივრთა დიდის ხარჯებით, გადასახადით. უცხო ცხოვრებამ გლეხებივით ხარჯები გაუორკეცა და სამამულ-დედულო საქმეები აენუნა და თავში საცემი გაუხდა... ამისთანა უბედურებაში სამღვდელოებამ დაკარგა სასოება უკეთესის მერმისისა. იმედი გადაუწყდა და ღმერთს მიანდო თავისი უსამართლოდ განადგურების სამართალი. ნურავინ ვიტყვი, რომ ჩვენი განათლებული საზოგადოება სრულიად გამოიშრა ეკლესიასა და სამღვდელოებას. ქართული ერი უწინაც და ესლაც ღრმად მორწმუნეა, თავის დღეში ურწმუნოებას არ შეუშფოთებია მისი გული“ [12, 11].

გარუსება ყველა სოციალურ ფენას შეეხო და ეს პირველ რიგში ქართული ენის უფლებების შეკვეციდან და რუსულის გაბატონებიდან გამომდინარეობდა. 1906 წელს მღვდელ იოსებ ჩიჯავაძის რედაქტორობით გამოსული გაზეთი „სიტყვა“: ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებასთან დაკავშირებით წერდა: „სამღვდელოებამ უნდა გამოთქვას თავისი აზრი სასწავლებლის ტიპის შესახებ და რა ენაზე უნდა ისწავლებოდეს საგნები... სწავლება დედაენაზე უნდა მოეწყოს, ეს ცხადია ყველასთვის, რა მიმართულებისაც უნდა იყოს კაცი, მით უმეტეს სოფლის მღვდლისთვის, რომელსაც სადა აქვს იმდენი შეძლება, რომ ბავშვს რუსული ისე შეასწავლოს, რომ გაუჭირვებლად შეაძლებინოს რუსულათ საგნების სწავლა, ხშირად რუსის ბავშვებთან? ჩვენ გვინდა განათლება და ამის მიღება მხოლოდ დედაენაზე შეიძლება“ [6, 1].

იგივე გაზეთმა, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და სამღვდელოების ინტერესებს იცავდა, პირველივე ნომერში რედაქტორმა გამოხატა სასულიერო გაზეთის არსებობის

საჭიროება. „თანამედროვე ცხოვრება ითხოვს ყოველ ინდივიდუუმის და მით უმეტეს საზოგადოებრივ ჯგუფებისაგან გამოააშკარაონ თავისი ვინაობა, შეხედულება და რწმენა საზოგადოებრივ სხვადასხვა საჭირობოროტო მოვლენათა შესახებ. სამღვდელოებასაც არ შეუძლია ყური მოიყრუოს და ხმა არ ამოიღოს, ეს მისი დამამცირებელი იქნება. მაგრამ აზრების თავისუფლათ გამოსათქმელად საჭიროა საკუთარი დამოუკიდებელი ორგანო. პირველ ყოვლისა მიზანი ამისთანა ორგანოსი არის შეიტანოს საღი შეხედულებები თვით სამღვდელოების ფართო წრეებში თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-საეკლესიო კითხვებზე. ბევრნაირი მიმართულება და პარტიები გაჩნდნენ, ვინ რას ამბობს და ვინ რას. ჩვენც არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ ამ აზრთა სხვადასხვანაირ დინებას. სამღვდელოებაში და მის შეგნებულ ნაწილის მეოხებით ხალხში მტკიცე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აზრების გავრცელება — აი მიზანი ამ ორგანოსი. ჩვენ გვნამს, რომ საქართველოს სამღვდელოებაში, დაწყებული აფხაზეთიდან საინგილომდე, საკმარისათ მოიძებნება გონებრივი ძალები, რომ შეიძლონ ნაყოფიერათ ემსახურონ ამ გამოთქმულ აზრს“ [6, 1]. გაზეთის მიზანია სამღვდელოების შეცდომების კრიტიკა და მათი შემდგომი გამოსწორებისაკენ მოწოდება. ყველაზე საინტერესოა ის, რომ თვით სასულიერო ფენის ინტერესების დამცველი გაზეთი არ ერიდება მათვე კრიტიკას.

1912 წელს გაზეთი „შინაური საქმეები“ წერდა: „ასი წლის ტყვეობამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას: დასცა სარწმუნოება და ზნეობა ხალხში, ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა ძველი ქრისტიანული ჩვეულებანი, გააბინძურა სამღვდელოება, მოსპო ცოცხალი მეტყველება ტაძრებში, არარად აქცია სამშობლო საღვთისმეტყველო მეცნიერება, გააცამტვერა შესანიშნავი ნაშთი ძველი ქრისტიანული დიდებისა“ [7, 11].

ივანე გომართელის აზრით, საქართველოს გასანთავისუფლებლად და მართლმადიდებელი ეკლესიის გასაძლიერებლად სამღვდელოების და ხალხის კავშირია საჭირო. „სამღვდელოების განთავისუფლება შეუძლებელია ისე, თუ მთელი ხალხი არ განთავისუფლდა, თუ არსებული რეჟიმი მთლად არ შეიცვალა... სამღვდელოების საკითხი მთელი ხალხის საკითხია და ცალკე მისი გადანყვეტა შეუძლებელია. შეუძლებელია რაიმე საშუალებით სამღვდელოების აღდგენა ხალხის თვალში ისე, თუ არსებული რეჟიმი არ შეიცვალა“ [4, 2].

XX საუკუნის დასაწყისში დაწყებული სამღვდელოების მოძრაობა გარკვეულწილად შეაფერხა რეაქციის ხანამ, თუმცა 10-იანი წლებიდან უკვე ახალი ეტაპი იწყება, რამაც გამოკვეთილი ხასიათი პირველი მსოფლიო ომის დროს და მას შემდეგ განვითარებული მოვლენების პერიოდში მიიღო.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვის ებრძოდა და იბრძვის ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისთვის. ეს პროცესი არ შეწყვეტილა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პერიოდშიც. აღსანიშნავია ანტონ II-ის თავდაუზოგავი მცდელობები ეკლესიის უფლებების შენარჩუნებისთვის, თუმცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიის გაუქმებას ვერ ასცდა. ერთია, როდესაც უფლებებს ზღუდავ და მეორე, როდესაც მოსახლეობის გარუსებისათვის ყველა პირობას ქმნი. რუსეთის საიმპერატორო კარი ქართველების გადაგვარებას ისახავდა მიზნად. სწორედ ამიტომ უსპობდა ყველა იმ ეროვნულ სიმბოლოს თუ საშუალებას ქართულ საზოგადოებას, რომელიც მათი შეკავშირების აუცილებელი პირობა იყო. მიუხედავად რუსეთის და საქართველოს მართლმადიდებლობისა, საიმპერატორო კარმა გააუქმა არა მხოლოდ ეკლესიის ავტოკეფალია, არამედ მთლიანად შეუზღუდა ეფლებები სამღვდელოებას, ესეც არ იკმარა და მრევლთან კავშირის გასაწყვეტად ყოველგვარი პირობა შექმნა: პირველი საფრთხე კი წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე შემოტანით გამოიხატა. „საქართველოს ეკლესიას და მის სამღვდელოებას მათი მასაზრდოებელი მამულები ხელიდან გამოაცალეს, ეროვნული სამღვდელოება აღარ გვყავს, ეროვნული სკოლა არა გვაქვს, კათედრიდან მშობლიური მზრუნველობით გამთბარი მამა-შვილური სიტყვა აღარ ისმის, ჩვენი ეროვნული გალობა ერთ წერტილზე გაიყინა, ჩვენი ეკლესიები დაცარიელდა, ჩვენი სასულიერო ლიტურატურა გაქრა და ეკლესიაში წიგნებიც კი არ მოგვეპოვება და, ასე გასინჯეთ დედა-ენაზე მეტრიკული წიგნების წარმოების ნებაც კი მოგვესპო. ერთი სიტყვით, ჩვენი ეროვნული სული დაიხშო და მისი მათბუნებელი და გამაღვივებელი საშუალებები მოისპო, აღმოიფხვრა. ჩვენი ერი სხვა ერს შეურიეს, ჩვენი ეკლესია სხვის ეკლესიას და მათ შორის დღეს არავითარ განსხვავებას არ ხედავენ და არც არის. ასეთი ეროვნული ასიმილაცია ხდება ჩვენ თვალწინ მართლმადიდებლობის საშუალებით დღეს ჩვენში და ისიც თითქოს თავის-თავად, ბუნებრივად“ [4, 3].

1915-1916 წლიდან სამღვდელოება ახალი ძალით გამოდის ავტოკეფალიის მოთხოვნისთვის და ქართული, ნაციონალური სიმბოლოების შენარჩუნებისთვის. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო ერთი მხრივ, პირველმა მსოფლიო ომმა და მეორე მხრივ, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. „ქუთაისში მომხდარ იმერეთის ეპარქიის სამღვდლო კრებებზე გამოტანილი რეზოლუციები ეჭვს გარეშეა კარგ შთაბეჭდილებას დატოვებს ქართველი საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც ეროვნული სახის შერჩენითა და ეროვნული მთლიანობის დაცვით გულწრფელადაა დაინტერესებული. ჩვენი სამღვდლოების შედარებით დემოკრატიულმა ნაწილმა ხსენებულ კრებებზე ნათლად დაამტკიცა, რომ ბევრ ქართველ მღვდელში ქართული სული მეუფებს და გარდა პირადი ბედნიერებისა საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვის უნარსაც არ არის მოკლებული. დავინწყით იქიდან, რომ სამღვდლოებამ თითქმის ერთხმად სცნო საჭიროდ საერო სასწავლებელი, სადაც სწავლება ყველა საგნისა ქართულ ენაზე იწარმოებს. განა საეჭვოა კიდევ ის გარემოება, რომ ჩვენი ეროვნული სახის გადამახინჯებას უპირველეს ყოვლისა ენის გადაგვარება გამოიწვევს, თუ დროზე არ ვიღონეთ რამე? და რა უნდა იღონოს ქართველმა ხალხმა გადაგვარების წინააღმდეგ თუ არა სასწავლებლების გახსნა და მისი საშუალებით ხალხში დედა-ენაზე სწავლა-განათლების გავრცელება. იმერეთის სამღვდლოება ჩასწვდა ყველა ამას და წარმოიდგინეთ ისე შორს წავიდა ამ მხრივ, რომ თავის ვინრო წოდებრივ ან პროფესიონალურ რაობას გვერდი აუხვია და საზოგადოების ფართო წრეთა გასათვითცნობიერებლად საერო სასწავლებელი ირჩია. ჩვენი სამღვდლოების გამოფხიზლების და საერო საქმეებით დაინტერესების ნიშნად უნდა ჩაითვალოს ყველა ის დადგენილება, რომელნიც ხსენებულ კრებებზე იყო გამოტანილი და მათ შორის ახლად დაარსებულ სემინარიაში ქართული ენის შემოღების შესახებ გამოთქმული სურვილიც“ [5, 2].

ქართველი სამღვდლოების აქტიურობას ეროვნული ცნობიერების ბრძოლისთვის აფერხებდა არა მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობა, არამედ ქართული სოციალ-დემოკრატიული ძალები, რომელიც რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეებს ითვალისწინებდა. მათი იდეალი კი სოციალიზმის დამკვიდრება იყო, სადაც რელიგიის ადგილი არ იყო. მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეებმა გარკვეული



ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა რელიგიის მიმართ მათი დამოკიდებულება უცვლელი დარჩა.

ბუნებრივია ასეთი დამოკიდებულება ქართული სოციალ-დემოკრატიის მხრიდან კიდევ უფრო ართულებდა ქართველი სამღვდელოების ბრძოლას მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების აღსადგენად. ამ პრობლემამ კიდევ უფრო მეტად იჩინა თავი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში

ზემოთ განხილულმა ფაქტობრივმა მასალამ ნათლად აჩვენა ის პრობლემები, რაც ქართველი სამღვდელოების წინაშე არსებობდა.

როგორც ვხედავთ, ქართველი სამღვდელოების ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების აღდგენისათვის მიმდინარეობდა ორ ფრონტზე: რუსეთის საიმპერატორო კარის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ბენდიანიშვილი ალ. დაუშვილი ალ. სამსონაძე მ. ჭუმბურიძე დ. ჯანელიძე ო. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი 2008
2. გაზ. ერთობა, 1920, №158,
3. ლორთქიფანიძე, გ. ფიქრები საქართველოზე, თბილისი, 1995
4. გაზ. სამშობლო, 1915, №246
5. გაზ. სახალხო ფურცელი, 1916, №461
6. გაზ. სიტყვა, 1906, №1
7. გაზ. შინაური საქმეები, 1912, №30-31
8. ცინცაძე კ. ჩემი მოგონებებიდან, თბილისი, 2001
9. გაზ. ცნობის ფურცელი, 1905, №2945,
10. ი. ჭავჭავაძე, თბზულებანი ოც ტომად, ტ. I. თბილისი, 1987
11. გაზ. ხმა კახეთისა, 1912, №100
12. ჟურნ. ჯვარი ვაზისა, 1906, №6

**Nato Songulashvili**

*Doctor of History, Georgian Technical University, Assistant Professor*

## **Georgian Clergy in 1900-1917**

### **Summary**

The role of the Georgian clergymen is exceptional in the history of Georgia. They played a great role in preserving and defending of the national values. It is a known fact that the Georgian clergy acted as unifier of the Georgian people, while Christianity and Georgianness were integral concepts for all Georgians. This fact is especially underlined in the scientific literature and not only in it.

This is often connected with the review of the church history, as well as with the formation process of the Georgian nation and usually in this context it is unavoidable to speak about the factors of Christianity and the Georgian Orthodox Church. Although there are multiple literature regarding the problem, especially in the last period, but there is no information given about how the clergy comprehended itself in 1900-1917 and what defined the society's ambiguous and changing attitude towards them. This issue is addressed in the thesis.

It is undisputable today, that during centuries Christianity and Georgianness were perceived in a single context. For the Georgian people preservation of identity was equal to protection of Christianity and vice versa. This view has been long introduced in the Georgian scientific literature, so the study of the problem in this regard is not a novelty. However, to observe changes that experienced the consciousness of each social class in Georgia in regard to the Christian faith is a separate issue. In the middle ages, when people of different religious orientation invaded Georgia, their main blow was against Christianity. The main demand of the Georgians in 1900-1917 in relation to the religion was restoration of autocephaly of the Orthodox Church of Georgia and not a struggle for the defense of Christianity. As we see, at this stage the struggle for national values is experiencing some changes and depending on the demands of the era important becomes preservation of other national values.

## ირინა არაბიძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

### ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი

ეკუმენური მოძრაობა, რომელიც ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისაკენ მიისწრაფვის, XX საუკუნის დასაწყისში პროტესტანტულ გარემოში ჩაისახა. ამ მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის 1948 წელს ამსტერდამში დაარსდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო. ის საერთაშორისო ქრისტიანულ ორგანიზაციას წარმოადგენს და სამი მსოფლიო მოძრაობის ბაზაზეა ჩამოყალიბებული („სარწმუნოება და საეკლესიო წყობა“, „ცხოვრება და მოღვაწეობა“, „მსოფლიო გაერთიანება ხალხთა თანამეგობრობისათვის ეკლესიის გზით“).

ამსტერდამის (I) ასამბლეაზე 1948 წელს დამტკიცებულ წესდებაში (წესდება კონსტიტუციის მნიშვნელობისა) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი ეკლესიებისათვის საღვთისმეტყველო საფუძველი ანუ ბაზისი ასე იყო ჩამოყალიბებული: „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო წარმოადგენს იმ ეკლესიათა თანამეგობრობას, რომლებიც აღიარებენ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის ღმერთი და მაცხოვარი“. ეს განსაზღვრება წევრი ეკლესიების ნაწილმა არასაკმარისად მიიჩნია. მოგვიანებით, 1961 წელს, ნიუ-დეელის (III) ასამბლეაზე დამტკიცდა შეესებული განმარტება, რომლის მიხედვითაც ეს აღიარება დამყარებული უნდა ყოფილიყო წმ. წერილზე და მსოფლიო საბჭოში გაერთიანებული ეკლესიები უნდა ცდილიყვნენ, ერთად აღესრულებინათ მონოღება ერთი ღმერთის — მამის, ძისა და წმიდა სულის — განსაზღვრულად [1, 1; 2, 663].

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო თავის ფუნქციებს შემდეგი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს:

ძირითადი უფლებამოსილი ორგანოა ასამბლეა. ის 7 წელიწადში ერთჯერ უნდა შეიკრიბოს და უნდა შედგებოდეს საბჭოს წევრი ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების ოფიციალუ-

რი წარმომადგენლებისაგან. ისინი ხმის უფლებით სარგებლობენ. ასამბლეაში უნდა იყვნენ წარმოდგენილი როგორც სასულიერო, ისე საერო პირები (მ. შ. ქალებიც). საერო პირების რაოდენობა ასამბლეის შემადგენლობის 1/3-ით განისაზღვრება [1, 3; 2, 665].

ასამბლეის პრეზიდენტი შედგება 8 პრეზიდენტისაგან, რომლებიც ასამბლეის მიერ არიან არჩეული.

პრეზიდენტებს შეუძლიათ სიტყვით გამოვიდნენ ასამბლეაზე, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა თავიანთი ეკლესიების წარმომადგენლის სტატუსი.

ასამბლეა ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს (არაუმეტეს 150 წევრი). ეს უკანასკნელი ირჩევს გენერალურ მდივანს, რომელიც აღმასკომის და ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლის ხელმძღვანელია [2, 665].

ცენტრალური კომიტეტი წელიწადში 1-ჯერ მაინც უნდა შეიკრიბოს. რიგგარეშე კრება შეიძლება შედგეს თუ ამას საჭიროდ თვლის წევრების 1/3 ან აღმასრულებელი კომიტეტი.

ასამბლეის სესიებისა და ცენტრალური კომიტეტის მოწვევის დროსა და ადგილს, აგრეთვე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ბიუჯეტს განსაზღვრავს ცენტრალური კომიტეტი.

ცკ-ი პასუხისმგებელია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დეპარტამენტები, განყოფილებები და წარმომადგენლობები ატარებდნენ ასამბლეის მიერ დასახულ პოლიტიკას. ცკ ნიშნავს განყოფილებებისა და დეპარტამენტების კომიტეტებს, მათ თავმჯდომარეებსა და ვიცე თავმჯდომარეებს; განსაზღვრავს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს განყოფილებებისა და დეპარტამენტების მუშაობის გენერალურ ხაზს [1, 14].

ცენტრალური კომიტეტი თავისი მუშაობით პასუხისმგებელია ასამბლეის წინაშე. მისი გადარჩევა არ შეიძლება, სანამ ანგარიში არ დამტკიცდება.

ცენტრალური კომიტეტის უფლებამოსილება ასამბლეებს შორის პერიოდში ასამბლეის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებითა და მისი ფუნქციების შესრულებით განისაძღვრება. მის კომპეტენციაში არ შედის კონსტიტუციაში და ასამბლეის წევრების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა [1, 12].

ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეცაა.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს და ცენტრალურ კომიტეტს შეუძლიათ თავიანთ მოვალეობათა ნაწილი კომისიებს გადასცენ.

ეს კომისიები ექვემდებარებიან ასამბლეას ან ცენტრალურ კომიტეტს იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის მიერ არიან დაარსებული. ასამბლეებს შორის პერიოდში კომისიები წელიწადში ერთჯერ საერთო ზედამხედველს — ცენტრალურ კომიტეტს — მოახსენებენ თავიანთი მუშაობის შესახებ. კომისიებს წევრების დამატება შეუძლიათ ცენტრალური კომიტეტის მითითებით.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობა შეუძლიათ ეკლესიებს, რომლებიც აღიარებენ საბჭოს ძირითად დებულებას — ბაზისს — და რომლებსაც აკმაყოფილებთ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ასამბლეის ან ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი კრიტერიუმები.

წევრობის მაძიებელი ეკლესია უნდა იყოს ავტონომიური, ე. ი. უნდა აღიარებდეს საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ეკლესიებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას (განსაკუთრებით ერთნაირი აღმსარებლობის ეკლესიათა შორის). მიუხედავად ამისა, ცალკეული ეკლესია არ არის პასუხისმგებელი სხვა ეკლესიების წინაშე თავისი ცხოვრების წარმართვის, სხვა ეკლესიებთან ურთიერთობის დამყარების, საკუთარი თანხების გამოყენების საქმეში.

ეკლესია არ მიიღება საბჭოში თუ მან არ აჩვენა თავისი სტაბილურობა ცხოვრებასა და ორგანიზაციაში. ის ეკლესიად უნდა იყოს აღიარებული და-ეკლესიათა მიერ. მას უნდა ჰქონდეს ქრისტიანული სწავლებისა და ევანგელიზაციის დადგენილი პროგრამა.

ყურადღება ექცევა ეკლესიის სიდიდეს და მის დამოკიდებულებას სხვა ეკლესიებთან.

ეკლესიას მსოფლიო საბჭოდან გასვლა შეუძლია ნებისმიერ დროს. ხოლო წევრობის აღსადგენად საჭიროა განაცხადის წარდგენა.

საბჭოს წევრად მიღება ხდება კენჭისყრით, ასამბლეაზე წარმოდგენილი ეკლესიების ხმათა 2/3-ით. ყოველ წევრს აქვს 1 ხმა. წევრად მიღების შესახებ განაცხადებებს ასამბლეებს შორის პერიოდში განიხილავს ცენტრალური კომიტეტი.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ფუნქციები შემდეგში მდგომარეობს: მშვიდობის, თანასწორობისა და, ზოგადად, იმ იდეების განხორციელებისათვის ხელის შეწყობა, რომელსაც მიზნად ისახავდნენ მსოფლიო მოძრაობები: „სარწმუნოება და საეკლესიო წყობა“, „ცხოვრება და მოღვაწეობა“; მხარდაჭერა ეკლესიათა ერთობლივი მოქმედებებისათვის: განათლების, სხვადასხვა სახის გამოკვლევების, ქველმოქმედების, ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა

და მორწმუნეების უფლებათა დაცვის, ევანგელიზაციისა და მისიონერული მოძრაობების ამოცანების სრულყოფაში; თანამშრომლობა სხვადასხვა აღმსარებლობას შორის არსებული ბარიერების დაძლევისათვის, წვერი ეკლესიების ეკუმენური თუ მისიონერული შეგნების გაღვიძებისა და საერთაშორისო მასშტაბის კონფესიურ ფედერაციებსა და სხვა მსოფლიო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებისათვის. საბჭოს ფუნქციებში შედის აგრეთვე საყოველთაო კონფერენციების ორგანიზება და ბექდვით სიტყვაში კონფერენციებზე მიღებული შედეგების გამოქვეყნება [1, 2; 2, 663].

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, ფუძემდებლური დოკუმენტების განმარტებით, არ არის მსოფლიო ეკლესია, რომელიც უნდა იყოს ყველა ეკლესიის მეთაური. ის ინსტრუმენტია ქრისტიანული ერთობის მისაღწევად; არ წარმოადგენს იურიდიულ ინსტანციას და არ შეუძლია იმოქმედოს წვერი ეკლესიების სახელით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი მას მიმართავენ. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო უფლებამოსილია წვერ ეკლესიებს მისცეს რჩევები და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად [1, 2].

1950 წელს ტორონტოში (კანადა) მიღებული დეკლარაციის — „ეკლესია, ეკლესიები და ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“ მიხედვით, საბჭომ თავის მოღვაწეობას არ შეიძლება საფუძვლად დაუდოს ერთი რომელიმე ეკლესიის კონცეფცია. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ირწმუნება:

რომ მის რიგებში შეიძლება გაერთიანდეს ყველა ეკლესია, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის ბაზისს;

რომ არ არის სავალდებულო, საბჭოს თითოეულმა წევრმა თანამეგობრობაში შემავალი ეკლესიები აღიაროს ეკლესიებად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. წვერობა არ ნიშნავს ყველა ეკლესიის მიერ ქრისტიანული ერთობის შესახებ ერთიანი დოქტრინის მიღებას [2, 665].

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შესვლის მონიშნულმდეგე მართლმადიდებლები თვლიან, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ ნაქადაგები ქრისტიანული ერთობის მიღწევა მხოლოდ პროტესტანტული ეკლესიოლოგიის საფუძველზე არის შესაძლებელი. მართლმადიდებელთა ცნობიერება მადლმოსილად მხოლოდ ერთ, წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ანუ მართლმადიდებელ ეკლესიას აღიარებს. აქედან გამომდინარე, სრულიადქრისტიანული ერთობა

მათთვის მისაღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა აღმსარებლობის მალიარებლები მართლმადიდებელ ეკლესიას შეუერთდებიან [4]. მართლმადიდებელი ეკლესიისათვის სარწმუნოებისა და რელიგიური ცნობიერების საკითხებთან დაკავშირებით კომპრომისი მიუღებელია და ნებისმიერი კავშირი თუ გაერთიანება 7 მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დადგენილ კანონებს უნდა ემყარებოდეს [5, 196].

როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შედიან ეკლესიები, რომლებიც აღიარებენ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის ღმერთი და მაცხოვარი. ამსტერდამის ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „საბჭოს უფლებამოსილებათა შესახებ“, რომელშიც ნათქვამია:

ქრისტიანული ეკლესიების ერთობა ღვთის საჩუქარია, და მას შექმნა არ სჭირდებოდა. ამ ეკლესიების ვალია ერთიანობის გამოვლინებათა ძიება საქმესა და ცხოვრებაში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სურს, თავის წევრ ეკლესიებს მოემსახუროს როგორც ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მათ შეეძლება, ერთობლივად დაამონმონ თავიანთი ერთგულება იესო ქრისტესადმი და ითანამშრომლონ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც ერთობლივ მოქმედებას მოითხოვენ. მაგრამ საბჭოს არ სურს ცალკეული ეკლესიების ფუნქციების მითვისება, არ სურს, აკონტროლებდეს ამ ეკლესიებს ან გამოსცემდეს მათთვის კანონებს. ამის საშუალებას მას არც თავისი წესდება აძლევს. საბჭოს მიზანია წევრ ეკლესიათა შორის ძმობის მიღწევა და გამორიცხავს საბჭოში შემავალი ეკლესიებისაგან დამოუკიდებელ, განსაკუთრებულ საეკლესიო ერთობად ჩამოყალიბებას, რომელსაც მმართველობის ცენტრალური ადმინისტრაციული აპარატი ექნება [3, 1; 5, 206].

საბჭოს მიზანია, ხელი შეუწყოს ეკლესიათა ერთობას, რომელიც ღვთის სიყვარულისაგან მომდინარეობს. ღმერთი აკავშირებს თითოეულ ეკლესიას თავისთან და ამ ეკლესიებს ერთმანეთთან. საბჭოს სურვილია, ეკლესიები ქრისტეს გარშემო და ამასთან, ერთმანეთთან გააერთიანოს; რომ ერთმანეთზე ილოცონ და გააძლიერონ ერთმანეთი ღვთის მსახურებაში და მონაწილეობაში; რომ ატარონ ერთმანეთის უღელი და ამით აღასრულონ ღვთის კანონი.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ეკლესიათაშორის ურთიერთობებში ახალ გზებს ეძებს. წევრ ეკლესიათა შორის არსებული განსხვავებები, მართალია, ეკლესიის არსის წინააღმდეგია და ერთიანობისათვის ხელის შემშლელი, მაგრამ ეკლესიათა მსოფლიო საბ-

ჭო აცხადებს, რომ ეკლესიოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბებისას ყოველთვის გაითვალისწინებს საბჭოში შემავალ ეკლესიათა კონცეფციების სხვადასხვაობას და თავის საფუძვლად არ აიღებს რომელიმე ერთი ეკლესიის კონცეფციას. ის წინასწარ არ წყვეტს ეკლესიოლოგიურ საკითხებს.

შესაძლოა, ცალკეულ გამონათქვამებში იგრძნობოდეს რომელიმე ტრადიციის ან საღვთისმეტყველო სკოლის გავლენა, მაგრამ, ეკუმენური მოძრაობის ფუძემდებლური დოკუმენტების მტკიცებით, საბჭო ვერ გახდება ერთი საღვთისმეტყველო სკოლის ან რომელიმე სარწმუნოების რუპორი არსის ცვლილების გარეშე. საბჭოში ხდება ყველა მისი წევრის ეკლესიოლოგიის გათვალისწინება.

ტორონტოს დეკლარაციის (1950 წ.) მიხედვით, ეკუმენიზმის გაიგივება რომელიმე ერთი მიმდინარეობის ან აღმსარებლობის თეორიასთან დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამა თუ იმ აღმსარებლობის კონცეფციას გარკვეული როლი აქვს ნათამაშები ეკუმენიზმის ისტორიაში.

საბჭო არსებობს იმისთვის, რომ ყველა ეკლესიამ დაინახოს თავისი განმასხვავებელი ნიშანი, ამიტომ საბჭოს წევრი ეკლესიები არ არიან ვალდებულნი, შეიცვალონ თავიანთი ეკლესიოლოგია [3, 4].

თუმცა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ თითოეული წევრისათვის თავისუფლების მიცემა რწმენის საკუთარი აღმსარებლობის გამოყენებაში, მართლმადიდებელთა აზრით, ამ აღმსარებლობებს აზრს დაუკარგავს. ყველა ეკლესიის კონცეფციის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული საფუძვლები კი გაუგებრობას გამოიწვევს და ერთობის ჩამოყალიბებას სამსახურს ვერ გაუწევს [5, 195].

ტორონტოს დეკლარაცია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს არსის განსაზღვრისას მიუთითებს, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არ დგას და არც არასოდეს უნდა დადგეს ეკლესიებზე ზემოთ. საბჭოს წევრობა არ ნიშნავს ისეთ ორგანიზაციაში შესვლას, რომელიც გადაწყვეტილებებს ცალკეული ეკლესიის ნაცვლად მიიღებს. ყველა ეკლესიას რჩება კონსტიტუციური უფლება, მიიღოს ან უარყოს საბჭოს დადგენილებანი.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიზანი არ არის ეკლესიათა შორის კავშირის ჩამოყალიბების შესახებ მოლაპარაკებების წარმოება. ამ კავშირების შექმნა მხოლოდ ცალკეულ ეკლესიათა პრეროგატივაა, ისინი პირადი ინიციატივით მოქმედებენ. საბჭოს მიზანია ეკლესიებს შორის კონტაქტების გაცხოველება და ხელის



შეწყობა იმ საკითხების შესწავლისა და განხილვისათვის, რომლებიც ეკლესიათა ერთობას განაპირობებენ.

თავისი არსებობით და მოღვაწეობით საბჭო ამონმებს, რომ ქრისტეს ეკლესია ერთიანია. მაგრამ ყოველი ეკლესიის უფლებად და მოვალეობად რჩება საკუთარი ეკუმენური გამოცდილებიდან იმ დასკვნების უკუგდება თუ მიღება, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია თავისი რწმენის საფუძველზე. არც ერთ ეკლესიას არ უნდა ეზინოდეს, რომ საბჭო სხვა ეკლესიებთან შეერთებას აიძულებს [5, 208-209].

ზოგიერთი წევრი სარწმუნოების გარკვეული საფუძველებისა და წესრიგის ერთიანობას მოითხოვს, ზოგი თვლის, რომ ხილული ერთიანობა არაარსებითი და არასავალდებულოა. არც ერთს ამ კონცეფციათაგან არ შეიძლება ვუნოდოთ ეკუმენური თეორია. ეკუმენური დიალოგი, მის ფუძემდებელთა მტკიცებით, იმისთვისაა საჭირო, რომ ყოველი კონცეფცია ერთმანეთთან დინამიურ კავშირში იმყოფებოდეს [5, 210].

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო შემდეგია:

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრები თვლიან: რომ ურთიერთთანამშრომლობა და ეკლესიათა საერთო მონაწილეობა დაფუძნებული უნდა იყოს ალიარებაზე, რომ იესო ქრისტე მისტიკური სხეულის ღვთიური თავია.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საფუძველია დებულება, რომ არავის შეუძლია ჩაყაროს სხვა საფუძველი გარდა იმისა, რომელიც უკვე ჩაყრილია იესო ქრისტეს მიერ. ამიტომ ეკლესიებს შორის ურთიერთობა აუცილებლად უნდა მომდინარეობდეს იესო ქრისტესა და მისი ეკლესიის ბატონობისადმი მორჩილებისაგან. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ეკლესიათა გაერთიანების საფუძველს ზოგიერთი მართლმადიდებელი წევრი ასე განმარტავს: „ჩვენ შორის არსებულ განსხვავებათა მიუხედავად, ჩვენი საერთო მასწავლებელი და უფალი ერთია — იესო ქრისტე, რომელიც კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობამდე მიგვიყვანს ქრისტეს სხეულის აღშენების საქმეში“. ქრისტეს მეთაურობა თავის ერზე ყველა მორწმუნეს, ვინც მას თაყვანს სცემს, აიძულებს ერთმანეთთან რეალური და მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს, თუნდაც ისინი მრავალ მნიშვნელოვან პუნქტში სხვადასხვა პოზიციაზე იდგნენ“ [5, 211-212].

ახალი აღთქმის საფუძველზე ქრისტეს ეკლესიის ერთადერთობა ნიშნავს იმას, რომ წევრ ეკლესიებს შეგნებული ჰქონდეთ თავიანთი ქრისტიანული მოვალეობა: გააკეთონ ყველაფერი, რათა

თითოეულმა ეკლესიამ გამოხატოს თავისი ერთადერთობა და ეკლესიაში განხორციელდეს იესო ქრისტეს მიზანი. ამ მიზანს კი ამკარად ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ქრისტეს ეკლესიები (ე. ი. ის ეკლესიები, რომლებიც თავიანთ თავს ასე უწოდებენ) ერთმანეთთან ერთობაში არ არიან.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანების მოწინააღმდეგე მართლმადიდებელთა თვალსაზრისით ეს ასე არ არის. ქრისტეს ეკლესიის ერთადერთობა გამოიხატება ერთი, წმიდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიის აღიარებაში და ისინი (ქვეშარიტი მართლმადიდებლები) სხვა დენომინაციებს ეკლესიებად მხოლოდ ამ სიტყვის არასრული მნიშვნელობით მოიხსენიებენ.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი ეკლესიებისათვის დამახასიათებელია მცდელობა მჭიდრო და ცოცხალი კონტაქტი ჰქონდეთ მათთან, ვინც მათ საზღვრებს გარეთ არიან, მაგრამ არიან ქრისტეს მიმდევრები.

ტრადიციულად ეკლესიები უფრო ხშირად არ ურთიერთობდნენ მათთან, ვინც მათი მსგავსი არ იყო (ვინც მათ გარეთ იყო). ეკუმენური მოძრაობის განსხვავებული მიდგომა ამ საკითხისადმი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ეკლესია უნდა ეძებდეს ძმობას მათთან, ვინც ხილულად მის გვერდით არ დგას, მაგრამ მისტიკურად მისი ჯგუფის შემადგენელი ნაწილია. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ფუძემდებლური პრინციპების თანახმად, ეკუმენური მოძრაობა იძლევა საშუალებას ამგვარი ძმობის გამოსავლენად [5, 213]. მაგრამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობა არ ნიშნავს, რომ ყველა ეკლესია უნდა აღიარებდეს საბჭოს სხვა წევრ ეკლესიებს ეკლესიის ცნების სრული გაგებით.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში განწევრიანება შეუძლიათ ეკლესიებს, რომლებიც სხვა ეკლესიებს აღიარებენ ამ სიტყვის სრული და ქვეშარიტი გაგებით და იმ ეკლესიებსაც, რომლებიც ამას არ აღიარებენ. ის ეკლესიები, რომლებსაც ერთმანეთის აღიარება ჯერ კიდევ არ შეუძლიათ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ერთმანეთთან ურთიერთობით ურთიერთპატივისცემის პირობებში შეისწავლიან ერთმანეთის განსხვავებულობას. მათი აზრით, ამის გაკეთებას ერთი ღმერთისადმი სამსახური განაპირობებს.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრები, რომლებიც აღიარებენ ქვეშარიტი ეკლესიის ელემენტების არსებობას სხვა ეკლესიებშიც, თავს ვალდებულად თვლიან, ერთმანეთთან დიალოგი აწარმოონ, ამ გზით მივიდნენ სრული ქვეშარიტების შეცნობამდე და

გაერთიანებამდე. ისინი ერთმანეთთან კონსულტაციების გზით ცდილობენ შეთანხმებას მსოფლიოსათვის ღვთის სახელით ერთიანი დამონმების წარდგენის საკითხში [5, 214].

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრ ეკლესიებს ევალებათ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის გამოხატვა, დახმარების აღმოჩენა, ისეთი ქმედებებისაგან თავის შეკავება, რომელიც მათ შორის არსებულ ძმობას რაიმე ჩრდილს მიაყენებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს გულახდილ საუბრებს და სხვადასხვა საკითხის კვლევას განსხვავებულობის აღმოფხვრის მიზნით. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრთა შორის ურთიერთობა მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას გამორიცხავს [5, 215].

წევრი ეკლესიები ერთმანეთთან კავშირის წყალობით ცდილობენ, ერთმანეთისაგან ისწავლონ, დაეხმარონ ერთმანეთს, რომ ქრისტეს სხეული გაერთიანდეს და ეკლესიის ცხოვრება განახლდეს. ტორონტოს დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ეკლესიის სტრუქტურისა და არსის ზოგიერთი ასპექტი შეიძლება შეიცვალოს, ზოგიერთის შეცვლა კი დაუშვებელია. ცხოვრების განახლების საქმეში ეკლესიები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ აზრებითა და გამოცდილებით. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობა, იქნება ეს სამეცნიერო თუ სხვა მიმართულების, წევრი ეკლესიებისათვის ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომელიმე ეკლესიისათვის სხვისი აზრის ან ცხოვრების სტილის თავზე მოხვევას [5, 215-216].

ტორონტოს დეკლარაციის მტკიცებით, ჩამოთვლილი პრინციპები არ ეწინააღმდეგება საბჭოს წევრი ეკლესიების სწავლებას. ამიტომ არც ერთ ეკლესიას არ უნდა ეშინოდეს, რომ საბჭოს წევრობა მის მემკვიდრეობას დაემუქრება. პირიქით, საბჭოს ფარგლებში წევრებს შორის დიალოგი ხელს შუნწყობს მათ დაახლოებას და სირთულეების გადაწყვეტაზე ერთობლივი ძალებით ზრუნვას, ეკლესიათა შორის არსებულ დაბრკოლებათა აღმოფხვრას [5, 216].

როგორც აღვნიშნეთ, ეკუმენური თვალთახედვა მართლმადიდებელ ეკლესიას არ აღიარებს ერთადერთ ეკლესიად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და ამით არღვევს სარწმუნოების სიმბოლოში შემავალ დოგმატს ერთი, წმინდა, კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიის შესახებ. ამიტომ მართლმადიდებელთათვის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობა, ერთობლივი ლოცვების აღვლენა კომპრომისზე წასვლას წარმოადგენს. მათი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაერთიანებული კონ-

ფესიები მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დააბრუნონ, რწმენის საკითხში არავითარ შემთხვევაში არ წავიდნენ დათმობაზე.

დღის წესრიგში დგას მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან ურთიერთობის განწყვეტის საკითხი, რადგან ეს ურთიერთობა პროტესტანტული ეკლესიოლოგიის საფუძველზე ვითარდება და ამ უკანასკნელთაგან დათმობაზე წასვლის მოლოდინი უშედეგო აღმოჩნდა.

მართლმადიდებელი ეკლესია ერთგულია მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების, წმ. მამათა გადმოცემებისა და უარყოფს დოგმატებში თუნდაც მცირედი ცვლილების შეტანას, რის გარეშეც, მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესთა დამცველების აზრით, საბჭოში ურთიერთობა შეუძლებელია. აქედან ისინი აკეთებენ დასკვნას, რომ მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტად მალიარებელი ყველა ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან უნდა გამოვიდეს, რადგან ეკუმენური მოძრაობა მიზნად ისახავს რელიგიათა ხელოვნურ შეკონინებას და ამ გზით ახალი რელიგიის შექმნას [4; 6].

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ 1998 წელს მიღებული ახალი დეკლარაციის თანახმად, „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საერთო გაგებასა და ხედვაში“ წევრი ეკლესიები კონსენსუსამდე ჯერ არ მისულან. რაც გარკვეულია, არის მხოლოდ ის, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არის თანამეგობრობა და არა საეკლესიო ინსტიტუტი [2, 665].

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 1, საქმე 4540.
2. Православная Энциклопедия, IX, Москва, 2005.
3. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწ. 2, საქმე 790.
4. გრდემლი, ანტიეკუმენური და ანტიმოდერნისტული ელექტრონული გამოცემა, 2010 წ. 1, <http://almanaxi.ucoz.com/>
5. ეკლესიის საზღვრები, მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა, 2000.
6. დავით ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართლის საკითხები, თბილისი, 2005.

**Irina Arabidze**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili  
Institute of History and Ethnology, Re-  
search scientist of the Department of  
Modern and Contemporary History*

**The Structure of the World Council of Churches  
and the Ecclesiological Basis**

**Summary**

The World Council of Churches is an international Christian organization, which was founded in Amsterdam in 1948.

The main organ of the World Council of Churches is an assembly. Official members of the assembly should be both clergy and lay people, it means women as well. Assembly chooses 8 presidents and central committee, which chooses in its turn general secretary. In 1961 at New Delhi assembly according to the finally formed basis the World Council of Churches is a fellowship of churches, which on the basis of the Holy Scripture confess the Lord Jesus Christ as God and Saviour and therefore „seek to fulfill together their common calling to the glory of the one God, Father, Son and Holy Spirit“.

As for the participation of the Orthodox Church in the council, the ideas are divided. Those who are against it believe that relation with other denominations means to neglect the ecclesiology of the Orthodox Church. They think that the only way to unite with other denominations is if they renounce heresy and repent their transgression.

# წყაზთმცოდნეობა

## დოდო ქუმბურიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ თანამშრომელი*

### **ბენარალ-მაიორ გოტლიზ ტოტლეპენისა და მის თანამსახურე ოფიცერთა შთაქმულაბითი ბაგაბაზი ერაკლი II-ის წინააღმდეგ (წარიღობითი წყარობისა და XIX საუკუნის პრესის მიხედვით)**

ერეკლე მეფისა და ტოტლეპენის ურთიერთობა ფართო მსჯელობის საგანი იყო XIX საუკუნის პრესასა თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის ახლაც აქტუალურია, ოღონდ რაღაც ისტორიულ-მითოლოგიზებულ ფორმატშია გადაყვანილი. ჩნდება კითხვები: ეს იყო გენერლის ახირებული ხასიათის შედეგი, გენერალი ასრულებდა იმპერატორის დავალებას, თუ პირიქით, როგორც მასთან დაპირისპირებული რუსული ჯარის ოფიცრები ამტკიცებდნენ ერკლესთან მისი განხეთქილების შემდეგ, — ტოტლეპენი მართლა სულელი იყო და არასდროს ასრულებდა სახელმწიფოსგან მიცემულ ინსტრუქციებს?

დოკუმენტები, რომლებიც ერეკლესა და რუსეთის საიმპერატორო კარის, ასევე რუსი სამხედროების მიწერ-მოწერას ასახავს, დეტალებში განიხილავს გრაფი ტოტლეპენის მიერ საქართველოში განხორციელებულ ქმედებებს, მის მცდელობას, — ქართველი მეფის დისკრედიტაცია მოეხდინა და, თუ საშუალება მიეცემოდა, მისი სამეფო იმპერიისთვის შეერთებინა. ტოტლეპენის ლაშქარში იყვნენ რუსეთში მცხოვრები ქართველებიც, რომელთა შორის გამორჩეული როლი ითამაშეს პოლკოვნიკებმა რატიევმა, (რატიშვილმა) და ჩოლოყოვმა, იგივე გარუსებულმა ჩოლოყაშვილმა. როგორც ამ პერიოდის წყაროებიდან ირკვევა, მათაც ჰქონდათ ერეკლე მეფის სანინააღმდეგო გეგმა, რაც, უპირველესად,

ქართლ-კახეთის მეფისთვის ქართლის სამეფოს წართმევას თუ მთლიანად მეფობიდან მის გადაყენებას გულისხმობდა. ტოტლებენთან დაპირისპირების გამო, ისინი იძულებულნი გახდნენ ამ გეგმაზე უარი ეთქვათ და, პირიქით, მეფე ერეკლესთან მისულიყვენენ, თავი მის კეთილმოსურნედ გამოეცხადებინათ და ტოტლებენის მზაკვრული მოქმედება დაეგმოთ. თავად ერეკლე იმდენად შეძრა რუსი გენერლის ქცევებმა, იმდენად დამამცირებელი იყო მისთვის ვითომ დასახმარებლად მოსული რუსული ჯარის მხედართმთავრის ინტრიგები, დეტალურად წერდა ამის შესახებ რუსეთის იმპერატორიდან დაწყებული, ყველა დიდ მოხელეს. ამ წერილებში ჩანს ქართველი მეფის გულისწყრომა, გულგატეხილობა, დაბნეულობა, რუსეთთან შემდგომი ურთიერთობის გაურკვევლობაც და იმავდროულად დიდი სურვილიც, რომ როგორმე ერთი კაცის (ამ შემთხვევაში გენერალ-მაიორ ტოტლებენის) ბრალი ყოფილიყო ყველაფერი და არა რუსული საიმპერიო პოლიტიკის.

საქართველოს სამეფო-სამთავროებმა ვახტანგ VI—ის პოლიტიკური მარცხის შემდეგაც აქტიურად გააგრძელეს რუსეთთან პოლიტიკური და სამხედრო კავშირის დამყარების მცდელობა. 1738 წელს მოსკოვში ჩავიდა იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ელჩი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი. ის ცდილობდა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც დაეინტერესებინა რუსეთი, რამდენიმე მადნის ნიმუშიც ჰქონდა ჩატანილი, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. რუსეთი ოსმალეთთან ომს, იმერეთის გამო, არ აპირებდა.

რუსეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა სოლომონ I-ის მეფობისას. 1768 წელს მან რუსეთში გაგზავნა საგანგებო უფლებით აღჭურვილი ელჩი მაქსიმე ქუთათელი. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ და მისმა მრჩეველებმა ოსმალეთთან მიმდინარე ომში (1768-1774) საქართველოს ჩართვა თავის სასარგებლოდ მიიჩნიეს და ჯარიც გამოგზავნეს გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეები — **ერეკლე II და სოლომონ I დიდი იმედით შეხვდნენ რუსული ჯარის შემოსვლას, მათ თავიანთი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჰქონდათ, რუსეთს კი შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობა და იქ თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვება სურდა.** „ურწმუნოებისაგან ქრისტიანების დაცვის“ იდეა იმპერიული ფარსი იყო, რითაც რუსეთი თავის დაპყრობით ომებს ამართლებდა.

XVII საუკუნიდან რუსეთთან ურთიერთობა ჰქონდათ და მისგან მფარველობას ითხოვდნენ **ქართული სამთავროებიც**. მათ თხოვნაში ხშირად ჩანდა შინაუთანხმოება, სამეფო-სამთავროებს შორის მტრობა და ქიშპი. ფეოდალური სეპარატიზმით განმსჭვალული მთავრები ზოგჯერ რუსეთს არა მარტო მაჰმადიანური აგრესიის თავიდან ასაცილებლად, არამედ ერთმანეთთან ანგარიშის გასასწორებლადც მიმართავდნენ. ასეთი ვითარება ჩვეულებრივია ფეოდალური ხანის ქვეყნებისთვის, მაგრამ საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან მეზობელი იმპერიები ქართველებს შორის უთანხმოებას კიდევ უფრო აღვივებდნენ, ასუსტებდნენ ქვეყანას და შინაუთანხმოებას მის დასაპყრობად იყენებდნენ.

გენერალ-მაიორ ტოტლებენის საქციელმა რუსეთის იმპერიული ინტერესების მკვეთრი ლუსტრაცია მოახდინა.

1764 წელს გაფორმებული რუსეთ-პრუსიის სამხედრო კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო მუხლის ძალით პრუსია ყოველწლიურად კისრულობდა რუსეთისთვის 400 ათასი მანეთის მიცემას, თუ ის თურქეთთან ომს დაიწყებდა. თურქეთი მწვავედ უპირისპირდებოდა რუსეთს პოლონეთის საკითხში და ქალაქ ბარის კონფედერაციას ემხრობოდა.

1768 წელს, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ომის დაწყებისთანავე, ყირიმისა და ევროპის ფრონტზე ოსმალების ზენოლა რომ შეემცირებინა, რუსეთმა გადაწყვიტა ფრონტი კავკასიაშიც გაეხსნა. რუსეთმა ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს ოსმალებთან ომისკენ მოუწოდა. ერეკლე II-ის მიზანს წარმოადგენდა ოსმალეთის დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს ისტორიული მხარეების დაბრუნება, კახეთის სოფლებზე ლეკების თარეშის აღკვეთა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებით ურჩი ფეოდალების აღაგმვა. იმერეთის მეფე სოლომონ I-იც რუსეთის დახმარებით გეგმავდა ოსმალური აგრესიის თავიდან აცილებას და „ტყვეთა სყიდვის“ საბოლოოდ აღკვეთას.

იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მთელი საქმე შედგა — „განსჯა-სამუალებებისა. რომელთა მეშვეობით შეიძლება ქართველთა დაყოლიება, მონაწილეობა მიიღონ ოტომანის პორტასთან მიმდინარე ომში“ [5, 1-9].

თავდაპირველად რუსეთს ომში მხოლოდ სოლომონ მეფის მონაწილეობა ჰქონდა გათვლილი, ერეკლეს, რომელზედაც გავლენა უნდა მოეხდინათ ერთმორწმუნოების მომენტის ხაზგასმით, ხე-



ლი არ უნდა შეეშალა სოლომონისათვის, მონანილეობა მიელო ომში [5,6-7].

მხოლოდ შემდეგ დაისვა საკითხი ქართლ-კახეთის სამეფოს ომში ჩაბმის შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1768 წლის 28 ნოემბერს ეკატერინე II-ის მიერ დასმული ხუთი კითხვა საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი და კოლეგიის შესაბამისი პასუხები [5, 9-10]. ეკატერინეს დავალებით კოლეგიამ გამოიკვლია თეიმურაზ II-ის ელჩობის მიზნები, შეისწავლა საქართველოს გეოგრაფიული რუკები, დაინტერესდა ერეკლეს რელიგიური მრწამსით.

1768 წლის ივნისში ოსმალეთთან მანადე უკვე ომში ჩაბმულმა სოლომონ I-მა რუსეთში ელჩად გაგზავნა ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე, რომელიც 4 ოქტომბერს ყიზლარის კომენდანტთან ჩავიდა, მაგრამ მასპინძელმა უყურადღებოდ მიიღო, რადგანაც ხელმძღვანელობდა წინა წლის ინსტრუქციით, როდესაც პეტერბურგი თავს არიდებდა რაიმე სახით ოსმალეთთან კონფლიქტში შესვლას. იმავე წლის 23 ივნისით დათარიღებულ წერილში, რომელიც მაქსიმე ქუთათელს მიჰქონდა პეტერბურგში, სოლომონი ეკატერინე II-ს წერდა: „სანადელ არს ჩემდა, ძლიერო ხელმწიფეო, რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ, შემართო მონათა შენთა, რამეთუ მრავლით ჟამითგან მსურს, რათამცა სისხლი ჩემი დაითხიოს ქრისტეს მოცემულისა სჯულისათვის, და, თუცა ყოვლად მონყალე ხელმწიფე ინებებს და დაგვდებს ძლიერსა ხელსა თვისსა, — მეც ამ აღთქმას მოვახსენებ, ქრისტეს შეწევნითა, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და სჯულისათვის ყოვლად მონყალის ხელმწიფის სამსახურზე ვიღვანო. ათორმეტი წელიწადი არს, რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს“ [5,1-2].

1768 წლის 12 ნოემბერს რუსეთის საიმპერიო სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, მონოდებით მიემართათ ბალკანეთისა და საქართველოს ქრისტიანი ხალხებისათვის თურქებთან სარწმუნოებისათვის წარმოებულ ომში მათი მონანილეობის უზრუნველსაყოფად [7,10].

მაქსიმე ქუთათელის მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე, საგარეო საქმეთა კოლეგიამ შეადგინა იმერეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების აღწერა. იმერეთის ვითარების კარგი ცოდნა ჩანს საქართველოში რუსეთის საქმეთა მუდმივ რწმუნებულად გამოგზავნილ ანტონ მოურავოვისათვის მიცემულ 1769 წლის 28 მაისის ინსტრუქციაში. მასში დეტალურად არის გაშიფრული რეზიდენტის სამოქმედო პროგრამა [6,20].

საგარეო საქმეთა კოლეგიას დიდი იმედი არ ჰქონია ერეკლეს ჩართვაზე რუსეთ-თურქეთის ომში. ითვალისწინებდნენ, რომ ერეკლე არ იყო ოსმალთა ვასალი, ხარკს არ უხდიდა ოსმალებს, ამასთან, ნორმალური, შეიძლება ითქვას, კარგი ურთიერთობა ჰქონდა ახალციხის ფაშასთან, ლეკების მუდმივი თავდასხმების პირობებში ვერ ჩაებმებოდა ომში, ვერც მოიცლიდა და ვერც დაინტერესდებოდა ამ ომის პერიპეტიებით. ეს თვალსაზრისი გამოთქმულია მრავალ დოკუმენტში, მათ შორის ანტონ მოურავოვისათვის მიცემულ ინსტრუქციაშიც. რუსეთის სამხედრო კოლეგიის ეს თვალსაზრისი არ გამართლდა: ერეკლე სიხარულით ჩაება ომში.

1769 წლის 21 მაისს იმერეთის მეფე სოლომონ I თბილისში ჩავიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათ ეგონათ, რომ რუსეთი კავკასიაში საკმაოდ დიდ ძალებს გამოგზავნიდა. ერეკლე მეფე სულ ცოტა — 5-7 პოლკს მოითხოვდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 400-მდე რუსი ჯარისკაცი ჩამოვიდა. მოგვიანებით ამას დაემატა ასაკაციანი ავანგარდი ტოტლებენის მეთაურობით. ეს ძალა დასახული მიზნის განხორციელებას მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფდა. **აქედან ჩანდა, რომ რუსეთის ხელისუფლების გეგმით, ომი კავკასიაში მთლიანად ქართულ ჯარს უნდა ეტვირთა.**

1769 წლის 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე II ტოტლებენს შეხვდა. მან რუს გენერალს იმპერატორისაგან ხუთიათასიანი დამხმარე ჯარის, ასევე საარტილერიო საქმისა და სამთო სპეციალისტების გამოგზავნა მოთხოვა.

1769 წლის 4 სექტემბერს მეფე ერეკლემ დასტური მისცა ეკატერინე II —ს ომში მონაწილეობის თაობაზე. „მონყალებით გებრძანათ, რომ ხონთქრის სამფლობელოს, რომელიც ჩუენგან შეიძლებოდეს საქართველოს ნაპირებიდამ მტერობად განვენყუნეთ და თქუენისა ყივლად დიდებულისაგან ჯარითა და სხუას შენვენით ჩუენ, მდაბალნი მონანი, სიმდაბლითა ვმადლობთ და ვსასოებთცა თქუენის დიდებულებისაგან, რომ შემდგომად ამისსა დაუდგებლად დაგვიცუნე“ [5.14].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხუთი პოლკი 15 ათას ჯარისკაცს მაინც უდრიდა. რუსეთის იმპერატორი საზეიმო ტონით აცხადებდა: „თურქეთს ცეცხლი შევუნთე ოთხი მხრიდან: დუნიადან, ყირიმიდან, ზღვებიდან და თვით საქართველოდანაც კი“ [8,40].

3 ოქტომბერს ტოტლებენმა იმერეთის ჯართან ერთად შორაპნის ციხეზე მიიტანა იერიში. რუსმა გენერალმა ოთხი დღის შემდეგ მიატოვა ციხე და ქართლში გადავიდა.

1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე II—მ ბრძანება გასცა, რომ საქართველოში 3700 რუსი მეომარი გაეგზავნათ.

დაინახა რა რუსეთის მიერ გადადგმული რეალური ნაბიჯები, ერეკლე II ჩაება ოსმალეთთან ომში. 1770 წლის 17 აპრილს მეფე ერეკლეს მეთაურობით ქართველთა შვიდიათასიანი და გენერალ ტოტლებენის რუსთა 1200-კაციანი ჯარი აწყურს მიადგა. გეგმის მიხედვით, მოკავშირეებს, აწყურის ალების შემდეგ ახალციხისთვის უნდა შეეციათ. 19 აპრილს გენერალმა ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ქართველი მოკავშირეები და ჯარიანად გაეცალა ბრძოლის ველს. 20 აპრილს ერეკლე II-მ **ასპინძასთან** მარტო შეუტია ოსმალთა 8-ათასკაციან კორპუსს და, თავისი ბრწყინვალე სამხედრო ტაქტიკის წყალობით, მთლიანად გაანადგურა. სამწუხაროდ, ამ გამარჯვებით ქართველებმა ვერ ისარგებლეს, მათ კარგად აღჭურვილი ოსმალების მიერ გამაგრებული ახალციხის ალება ვერ გარისკეს, რადგან არ იცოდნენ რუსი გენერლის გეგმები. ერეკლე ტოტლებენს დაედევნა, რომელიც ქართლის მოსახლეობას მის წინააღმდეგ ამხედრებდა და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდა.

შემდეგში ტოტლებენი რუსეთიდან ჩამოსული 4000 ჯარისკაცით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქაც ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. მართალია, ეკატერინე II-მ ის საქართველოდან გაიწვია, მაგრამ არ დაუსჯია. პირიქით, მოგვიანებით დააჯილდოვა კიდევ. ცხადი იყო, რომ გენერალი ხელისუფლების ინსტრუქციით მოქმედებდა. იმპერატორის გარეშე იმ ზომის თვითნებობას, რაც საქართველოში ჩაიდინა, ტოტლებენი ვერ გაბედავდა. იმპერატორმა უკმაყოფილება მეფე ერეკლესადმიც გამოთქვა, რადგან მან რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ოფიცრებს სარდლის შეცვლა მოთხოვა. ტოტლებენის ნაცვლად საქართველოში გენერალი სუხოტინი გამოგზავნეს. სუხოტინს დაევალა ქართველ მეფეთა ძალებით დივერსიების მოწყობა ოსმალებისათვის და აეკრძალა რეგულარული სამხედრო ოპერაციები, მიზეზად დასახელდა ის, რომ „ოსმალეთისგან მიტაცებული ქართული მიწების შემოერთება ამ დროს რუსეთს საჭიროდ არ მიაჩნდა“.

სუხოტინი 1771 წლის მაისში ჩამოვიდა საქართველოში. ჯერ ერეკლე II—ს შეხვდა, შემდეგ კი ქუთაისში გაემგზავრა, სადაც

რუსთა კორპუსი იდგა. სუხოტინმა არ დაუჯერა ერეკლე მეფეს, რომელსაც ზაფხულის პირობებში ფოთის ჭაობებში ბრძოლა არახელსაყრელად მიაჩნდა და ფოთზე ლაშქრობა დაიწყო. რუსეთის ჯარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ციებ-ცხელებით დაავადდა 2 ათასამდე ჯარისკაცი და თავად სარდალიც. ამასთანავე, სუხოტინი, ტოტლებენის მსგავსად, განაგრძობდა ინტრიგებს ქართველ მეფეთა წინააღმდეგ. სუხოტინმა ფოთის ალყა მოხსნა და 1772 წლის ივნისში საქართველოც დატოვა.

**რუსეთ-ოსმალეთის ომმა ერეკლე II, მისი ჩანაფიქრის განხორციელების ნაცვლად, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. გენერალ ტოტლებენის საქციელმა და ხელისუფლებისგან მისმა დაუსჯელობამ, ასევე სუხოტინის მოქმედებამ ცხადყო რუსეთის ნამდვილი მიზნები საქართველოს მიმართ. ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩენილმა ერეკლე II-მ ომის დამთავრებამდე ეკატერინე II-სა და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის უფროსს გრაფ ნიკიტა პანინს რამდენიმე ნოტა გაუგზავნა, — არ გაეყვანა ჯარი საქართველოდან. მიუხედავად ამისა, რუსეთის სამეფო კარი და კოლეგია გულგრილად მოეკიდა ერეკლეს თხოვნებს. 1772 წელს, იმპერატორის ბრძანებით, ჯარი საქართველოდან გავიდა. ქართლ-კახეთიცა და დასავლეთ საქართველოც საკუთარი ძალების მოიმედედ დარჩა. ამით რუსეთმა საქართველო ოსმალთა აშკარა შურისძიებისა და თარეშისთვის გასწირა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთს სრულებით არ აღელვებდა კავკასიის ხალხებისა და ქვეყნების ბედი.**

იმისათვის, რომ უფრო მეტი სიცხადით დავინახოთ აღნიშნული მოვლენები, მოვიტანთ რამდენიმე წყაროს.

**გრაფი შარლ დე გრაი დე ფუა, — რუსული არმიის პორუჩიკი, გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი:**

„ჩვენი კაზაკები, მათი ჩვეულებისამებრ, სადაც შეეძლოთ, ყველგან ძარცვავდნენ, განსაკუთრებით იტაცებდნენ საქონელსა და ცხენებს. ბევრი საჩივარი შემოდიოდა გრაფთან, მაგრამ მან სამართალი არ გააჩინა. კაზაკები უფრო გათავხედდნენ. სხვა კარისკაცებიც თითქმის იგივეს ჩადიოდნენ. ისე ვცხოვრობდით საქართველოში, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში“.

**ივანე ჯავახიშვილი გენერალ ტოტლებენის საიდუმლო მისიის შესახებ:**

„...რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს ცინიკური გულახდილობით გამოთქმული გრაფი ნ. პანინის პირით ერთ საიდუმლო მინერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ვეცადოთ, საქმე საქართველოში ისე მოვანყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი ხელმძღვანელობით ხდებოდეს, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს. ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს ისე, რომ სული აქაური ( ე. ი. რუსული) იყოს, სხეული კი — ქართული.“

**ილია ჭავჭავაძე ტოტლებენის შესახებ, პუბლიცისტური ნაშრომიდან — „ქვათა ლაღად“:**

„მისის კორპუსის აფიცრებმა შეამჩნიეს რუსეთის გაცემა და ლაღატი, დაიჭირეს და წარუდგინეს მთავრობას. რუსეთის მთავრობამ სამართალში მისცა, ცნეს მოლაღატედ და სიკვდილით დასჯა განუჩინეს. მერე სიკვდილით დასჯა აპატიეს და განაძევეს რუსეთიდან იმ მუქარით, თუ როდესმე რუსეთის სამფლობელოში გაჩნდება, ყველას ნება აქვს მოაკვდინოს. ამ სახით იგი განდევნილ იქმნა რუსეთიდან 1763 წელს. მთელი ექვსი წელიწადი ეთრია ეგრე ტოტლებენი რუსეთს გარეთ და ბოლოს ხელახლა შეავედრა თავი ეკატერინე დიდს. იმპერატრიცამ შეუნდო წინანდელი ცოდვა და ჩააბარა საქართველოში მომავალი ჯარი. აი, რა კაცთან შეემთხვა მაშინდელ საქართველოს საქმის დაჭერა. ეს, რუსთა ოფიციალური დოკუმენტებით საძაგელი კაცი, ეს უსირცხვილო ადამიანი, მექრთამე, მყვლეფავი, ორგული, ცრუ და მახეზლარი იმონმა ბატონმა ეზოვმა რომ ქართველების სახელი ხელახლად ლაფში ამოავლოს, აი, ტოტლებენი რასა სწერს ქართველებზედაო.“

„ივერია“ № 11, 1891 წელი

პ. ცხვილოელის (პოლიევქტოვ კარბელაშვილი — დ.ჭ.) სტატია — **„გენერალ-მაიორი გოტლიბე გენრიხის ძე გრაფი ტოტლებენი და ირაკლი მეფე“ (შემოკლებული ვარიანტი):**

იმპერატრიცა ეკატერინე II-მ (სოლომონ I-ს) აღუთქვა შემნობა: ოსმალეთთან მორიგების პირობაში იმერეთის სარგოს ვიქონიებ სახეშიო. ამავე დროს ეკატერინას უნდოდა ირაკლის მომხრეობაც. სოლომონ მეფე ჩამოვიდა ტფილისში ირაკლისთან და პირობა დასდეს ერთად ემოქმედნათ ოსმალეთის წინააღმდეგ, რომ ზურგი გაემაგრებინა და ოსმალეთთან ომის დროს ქართლ-კახეთი ლეკებს არ ეოხრებინათ, ირაკლიმ მოითხოვა ეკატერინესგან ჯარი. თხოვნა შეწყნარებულ იქნა, გამოგზავნეს ჯარი გენერალ-მაიორის გრაფ ტოტლებენის წინამძღოლობით. ტოტლებენი იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის დროსვე მიიღეს რუსეთის სამსახურში მემკვიდრის რჩევით. 1759 წელს გენერალ-მაიორობა მისცეს. როგორც უცნაური ხასიათის კაცს და მტერთან მუდამ მიწერ-მონერაში მყოფს, ტოტლებენს არ ენდობოდნენ ჯარისკაცნი და არ მოსწონდათ. ტოტლებენმა გაითქვა სახელი ბერლინის აღებით 1760 წლის სექტემბერში და მით დაიმსახურა მთავრობის ნდობა. მაგრამ საშინლად თავმოყვარემ და ზვავის ხასიათის ტოტლებენმა მოაძულა თავის თავი თავის თანამოღვაწე გენერლებს ჩერნიშევსა და ლასსის. ამის გამო სარდალმა გუტურლინგმა დაასმინა იმპერატრიცასთან და ტოტლებენს გამოეცხადა უმაღლესი საყვედური. ამით გულნაკლულმა ტოტლებენმა სამსახურიდან დათხოვნის ქალაღი შეიტანა, მაგრამ დათხოვნა მისი არ შეწყნარა მთავრობამ და ტოტლებენის განკარგულებას დაუმორჩილეს ყველა მსუბუქი—მოძრავი ჯარები. 1761 წელს პომერანიაში პოლკოვნიკების რჩევამ (პოლკოვნიკ ამის ჩვენებით) დააპატიმრა ტოტლებენი, როგორც მოღალატე მთავრობისა: ერთს მასთან დაახლოვებულს ურიას, დაპატიმრებულს მასთანავე, უპოვეს ტოტლებენის მიწერ-მონერა პრუსიის მეფესთან, ცნობები რუსის ჯარის მოძრაობის შესახებ და რამდენიმე საიდუმლო ბარათი. ამნაირად, გამოძიებამ დაამტკიცა ტოტლებენის ლალატი. დაპატიმრებული ტოტლებენი პეტერბურგში მიიყვანეს და სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილი ოთხად გაჭრით. იმპერატრიცა ეკატერინამ შეუმსუბუქა სასჯელი: აჰყარეს ორდენები და გააძვეს საზღვარგარეთ, საიდანაც მობრუნება რუსეთში აუკრძალეს.. რუსეთში მოსულის ტოტლებენის მოკვლის ნება ჰქონდა ყველას, როგორც სახელმწიფოს მოღალატისა. საზღვარგარეთ ტოტლებენი დარჩა 6 წელიწადი. დაინყო თუ არა რუს-ოსმალის ომი, ტოტლებენმა სთხოვა იმპერატრიცას შეწყალება. იმპერატრიცამ შეწყალა, როგორც ნიჭიერი

სამხედრო კაცი, დაუბრუნა გენერალ-მაიორობა და საქართველოში გამოჰგზავნა სამოქმედოდ“....

„მისი ხელქვეითი ჯარი იკრიბებოდა მოზდოკში და შესდგებოდა ტომსკის ქვეითი პოლკის, ოთხი ცხენოსანი ესკადრონის და 50 კაზაკისაგან 12 ზარბაზნით. შემოდგომა მიწურული იყო და ამისათვის ტოტლებენმა გასცა განკარგულება მომეტებულს ნანილს ქვეითის ჯარისას და თოფხანას დაეზამთრებინა მოზდოკში, ხოლო თვით 400 კაცით და 4 ზარბაზნით აჩქარებულის მარშით გამოსწია ტფილისისაკენ. ესე ცოტა ჯარით რუსის გენერლებიდან ტოტლებენმა პირველმა გადმოიარა კავკასიის ქედი, გზად ბევრი გაჭირვების დამთმენმა, როდესაც საქართველოს სამხედრო გზის ხსენებაც არ იყო ჯერ.

1769 წლის ნოემბერში ტოტლებენი დაბინავდა საქართველოში საზამთროდ. პირველ ხანად ტოტლებენსა და ირაკლი მეფეს შორის ჩამოვარდა დაახლოვებული მეგობრობა. მაგრამ ეს მეგობრობა მალე მტრობად გადაიქცა. ტოტლებენმა მოსთხოვა ირაკლის გაეყვანა ყველა აფიცრები, შთამომავლობით ქართველნი, რადგან მათი მოქმედება ჯეროვანს ერთგულებას არა ჰმონმობსო.

ეგევე ეჭვი მალევე შენიშნა ერთს რუსის აფიცერს, პოდპოლკოვნიკს ჩოლლოკოვს, რომელიც გამოგზავნილი იყო თავის ნებით ჯარისკაცად. ჯერ მოზდოკშივე გაუკვირდა ყველას, რომ ჩოლლოკოვი საომრად წამოვიდა დიდის ბარგის-ბარხანით და მრავალის მოსამსახურეებით. თვით ჩოლლოკოვი თავს იმით იმართლებდა, რომ მე იმპერატრიცა ელისაბედის დროს გამოიჩენილ ჩოლლოკოვების შთამომავალი ვარ და თუ ეს არა, სხვაფრივ ჩემი წასვლა არ იქნებო, მე ახლო ნათესავი ვარ იმპერატრიცისაო. მართლაც, მისი დედა, შთამომავლობით გენდრიკოვისა, ღვიძლი ბიძაშვილი იყო იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისა. ამის გამო ჩოლლოკოვი ავრცელებდა ხმას საქართველოში, მე უახლოესი მემკვიდრე ვარ რუსეთის ტახტისაო. ირაკლიმ უამბო ტოტლებენს, რომ რაღაც საიდუმლო მონდობილობათა გამო, ჩოლლოკოვმა 3 ათასი კაცი მთხოვა ცალკე საომრად სომხეთშიო, სადაც დიდი ნათესაობა მყავსო. ტოტლებენმა რამდენჯერმე მოჰკრა ყური, რომ ახალგაზრდა ჩოლლოკოვი კარგს არას აპირებდა, ბევრჯერ ეთქვა თავის ამხანაგებთან — საქართველოში იმიტომ მივალ, რომ ან მეფე უნდა გავხდე, ან სარჩობელაზე მოვკვდეო. უსიამოვნება რომ არა მოხდეს რაო, ტოტლებენმა აუკრძალა ჩოლლოკოვს ბანაკის მაღლიმალ მოშორება, მეტადრე ქართველებთან სიარული, რომელთა

შორის ბევრი მომხრე ჰყავდა. ამ განკარგულებამ მოასწრაფა დავი-  
დარაბა. აღდგომის წინა დღეს, შაბათს, (3 აპრილს 1770 წელს) სა-  
ლამოთი ჩოლლოკოვმა მოინადინა არეულობა რამ მოეხდინა...ამ  
დროს პორუჩიკ ლვოვის კარავში იჯდა და გამოაცხადა: მე, მაიორ-  
მა რემენნიკოვმა და რამდენიმე სხვა აფიცერმა გადავსწყვიტეთ  
ამალამ ტოტლებენის დაპატიმრებაო. ლვოვმა უარი თქვა მონაწილე-  
ობის მიღებაზე ამისთანა საფათერაკო საქმეში და საჩქაროდ აცნო-  
ბა ყველაფერი ტოტლებენს. ამან უპასუხა: „მე ყველაფერი უკვე გა-  
გებული მაქვსო“ — და ნახევარი საათის შემდეგ რემენნიკოვი და  
ჩოლლოკოვი უკვე დაპატიმრებულნი იქმნენ. ეს საქმე ჯერ არ გათა-  
ვებულიყო, რომ მეორე შემთხვევამ იჩინა თავი პოდპოლკოვნიკ რა-  
ტიევის მხრივ. ის შთამომავლობით ქართველი იყო. რატიევს თოფ-  
ხანა უნდა გადმოეთანა ტოტლებენთან, მაგრამ გაჩერდა მოზდოკში  
და არცერთ მოთხოვნილებას ყურს არ ათხოვებდა. იცოდა რა, რომ  
რატიევს ჰქონდა მინერ-მონერა ჩოლლოკოვთან, ტოტლებენმა ეჭვი  
აიღო, ლალატი ხომ არ უძევს გულშიო და ბრძანა მისი დაპატიმრება,  
მაგრამ **რატიევმა თვით დააპატიმრა მის დასაპატიმრებლად მი-  
სული აფიცრები და ჩამოვიდა პირდაპირ ტფილისში მეფე ირაკ-  
ლისთან, რომელსაც შემოეხიზნა პატიმრობიდან გამოქცეული  
ჩოლლოკოვიც. ტოტლებენმა მოითხოვა რატიევისა და ჩოლლო-  
კოვის მიცემა, მაგრამ ამ საქმისთვის გაგზავნილებიც ტფილისში  
დაიჭირეს.** ამავე დროს დაბანაკებულ ჯარში მოხდა სხვა არეულო-  
ბა. რამდენიმე აფიცერმა განიზრახა თავისი ნებით კავკავისკენ წას-  
ვლა და აჯანყება ტოტლებენთან მომავალი ტომსკის პოლკისა და  
მოზდოკში მიმავალი გზების შეკვრა. ტოტლებენმა საჩქაროდ გას-  
ნია, ანანურის ციხეში გამაგრდა და თვით შეუკრა გზა მემამბოხეებს.  
ამისთანა მოქმედებით ტოტლებენმა მემამბოხეთ ხელი ააღებინა თა-  
ვიანთ განზრახვის შესრულებაზე, რამდენიმე ოფიცერი დააპატიმრა  
და სამხედრო სამართალში მისცა.“

გაბრაზებული ტოტლებენი, წერილის ავტორის თქმით, ყვე-  
ლა ამ არეულობაში „ამტყუნებდა საქართველოს სამეფო სახლს,  
მეფე ერეკლეს გაიძვერად მიიჩნევდა და იმპერატორ ეკატერინეს  
წერდა, რომ რაწამს ტომსკის პოლკი შემომიერთდება, დაუყოვნებ-  
ლივ ტფილისზე მივალ, ამოვიყრი მონინალმდეგეთა ჯავრს ( ე.ი.  
ქართველების), დავიბრუნებ რატიევისგან მოტაცებულ თოფხანას,  
ჯარს და სურსათს, დავუმორჩილებ მთელ საქართველოს რუსეთის  
უფლებასა და ჩამოვართმევ ირაკლის ამასწინათ ნაბოძებ ანდრიას  
ლენტსაო და ან პეტერბურგში გამოვგზავნი, ან შავ ზღვას მივცე-



მო. ამავე დროს ჩოლოკოვმა დაასმინა ტფილისიდან, რომ როგორც ვატყობ, ტოტლებენი ან გაგიჟდა, ან ხელმწიფე იმპერატორის ღალატს აპირებსო“...

ასეთი არეული სიტუაციის დროს, 1770 წლის გაზაფხულზე გაემართა ირაკლისა და ტოტლებენის ჯარი ახალციხისაკენ. ასპინძაში სამხედრო თათბირზე ისინი ვერ შეთანხმდნენ: ირაკლი მოითხოვდა მტერთან შებმას და მენინავედ რუსის ჯარის მისვლას. ტოტლებენმა ამაზე უარი განაცხადა. ტოტლებენსა და ერეკლეს შორის უთანხმოება უკვე არსებობდა მუდმივად ქართველი ოფიცრების გამო, რომლებიც არ დაემორჩილენ გრაფს და შეეხიზნენ ერეკლეს. მეფისა და გენერლის კამათში ჩაერია 24 წლის უფლისწული გიორგი. მან ტოტლებენს უთხრა, რომ საკადრისი არ იყო მისგან, როგორც რუსი გენერლისგან, ასეთ ვითარებაში მეფის ღალატი, რაზეც ტოტლებენმა გარკვევით უპასუხა: „მე ბრძანება არა მაქვს იმპერატრიცასაგან, რომ ვიომო, ამასთან ასეთი ცოტა ჯარით არ შემძლია უძლიერეს ჯარს ვეომო“. გიორგიმ უთხრა, რომ ამით გენერალი არცხვენდა რუსის ჯარს, უკარგავდა სახელს დიდ რუსეთს, მან ისიც თქვა, რომ მარტო შეებმოდნენ მტერს, გაიმარჯვებდნენ და იმპერატრიცას გენერლის სიმხდალეს მოახსენებდნენ. ამ სიტყვებზე გენერალმა სამხედრო კრება დატოვა და რუსის ჯარს უბრძანა ქართველებს მოშორებოდნენ. ამით მან სამაგიერო გადაუხადა ერეკლე II-ს რატიევისა და ჩოლოკოვის მფარველობის გამო...”

ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადასულმა ტოტლებენმა აიღო იმერეთის ციხეები, ბოლოს სოლომონთანაც მოუხდა კამათი, თუმცა მანამდე შესძლო უკმაყოფილების დათესვა და განხეთქილების ჩამოგდების მცდელობა ერეკლესა და სოლომონს შორის, რასაც მოწმობს სოლომონ I-ის წერილი გრაფ ნიკიტა პანინისადმი.

დაიწყო მიწერ-მოწერა ერეკლესა და ტოტლებენისა რუსეთის სხვადასვა ინსტანციამი: ერეკლე ტოტლებენის ღალატზე წერდა ყველას, ტოტლებენი ერეკლეს ადანაშაულებდა: ქართველები სულ არ შველოდნენ რუსებს ომში, მარტო ძარცვავდნენ მტერსო. საქმის გასარკვევად და არეულობის მოსასპობად რუსეთის ხელისუფლებამ გამოგზავნა კაპიტანი იაზიკოვი, ტოტლებენი გაიწვია, რომელიც სოლომონთან უკამაყოფილების შემდეგ, როგორც ვთქვით, ფოთის ალებას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

სტატიის ავტორი ამბობს, რომ ტოტლებენის ღალატმა სოლომონიც და ერეკლეს დაახლოვა ოსმალეთთან. ერეკლემ სულთნისგან საჩუქრებიც მიიღო: ქურქი, ალკაზმული ცხენი და ხმალი. ასევე კარგი ურთიერთობა დაამყარა ერეკლემ სპარსეთთან.

აღნიშნული წერილის წყაროდ ავტორი პ. ცხვილოელი ასახელებს პოტოს — „Кавказская война“-ს.

**იმის დასტურად, თუ როგორ ძარცვავდა ტოტლებენი და მისი ჯარი ქართველებს, გამოდგება როგორც მეფე ერეკლეს მრავალრიცხოვანი წერილი, ასევე მეფესთან გაგზავნილი არაგვის მოურავის წერილი-საჩივარი. მოურავი მეფეს თხოვდა ხელმწიფესთან შუამდგომლობას ზარალის ანაზღაურების თაობაზე.**

**1 აგვისტო, 1770 წელი, არაგვის მოურავის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის წერილი მეფე ერეკლესადმი**

ჩემს ყოვლად მონყალეს ხელმწიფეს მეფეს ქართლის და კახეთისას ირაკლის უმდაბლესად მოვასხენებ

თქვენს სიმაღლეს კეთილად მოეხსენება ღრაფი იანარალ მაიორი ტოტლებენი როგორის სახით დამესხა, როგორ ამიკლო ყოვლის ფრით რაც კი მქონდა, და ჩემთან მყოფი თქვენი თავადიშვილი იესე როჭიკაშვილი მომიკლა, და რაც თქვენი წყალობა ან თვალი, ან მარგალიტი, ან ოქრო, ან ვეცხლი, ან სახლის მოფენილობა, ან ტანი, ან ფეხი, ან ცხენი და იარაღი მქონდა და მყვანდა ჩემის სახლობისა აღარაფერი დამრჩომია, და ეს ვედრება მაქვს ხელმწიფესთან რომ ამისა წამალი დამედვას რამე: რა რომ მათის ი. დ. ყოვლად მონყალის ხელმწიფის იმპერატრიცას ბრძანება მოსულა და თქვენის სიმაღლისგან იმათი ერთგულება გამოცხადებულა, მას აქეთ, თქვენის ბრძანებით, მათი და მათის ი. დ. ჯარის ერთგული და დიდად გარჯილი მოსამსახურე ვყოფილვარ.

თქვენის უმაღლესობის უმორჩილებულესი მოსამსახურე მოურავი არაგვისა ქაიხოსრო ჩოლოყი

**ერეკლე მეფის წერილი გრაფ ნიკიტა პანინისადმი  
1770 წელი (ზუსტი თარიღი არ უზის)**

**თ. მ. ლ. ბ.** მოსახსენებლად ესენიც საჭიროდ ვგონეთ, რომელთაც მოგახსენებთ: ღრ. ტოტლებენი მ. დიდებულებისაგან წარმოგზავნილთა შტაფთა და ოფიცართა არესტს უშვრება, რომელთა ბრალი არა არს განცხადებული. ამათ იჭერს, ხმალსა ჰკვრის და უკანვე აბრუნებს, რომელთაგანი ერთი არს კნიაზ რატიევი, პოდპოლკოვნიკი, რომელიც ღრაფმა, შემდგომად აწყურით გამოპარვისა, მოინდო-

მა არესტის საქმნელად და რატიევი, რადგან საქმენი ღრაფისანი ჰსცნა, არ დამორჩილდა, მე მაცნობა თავისი მოსვლა და ჩვენ მ. დიდებულების სამსახურისათვის ესრეთ ვამჯობინეთ აქ მოგვეყვანა, დავიბარეთ და მოვიყვანეთ თავისთან მოყოლილი ჯარით.

კუალა, პოდპოლკოვნიკი ნაუმ ნიკოლაიჩი ჩოლლიკოვი, რომელიც ჩვენი ნება არ იყო, ჩვენდა მოვიდა და ღრაფმა, პირველ ანყურს წასვლისა, არესტი უყო და პეტერბურგს გამოისტუმრა, და ჩუენ რომ მტრის ქვეყნიდამ მოვედით ტფილისს, და ცნა ჩოლლუკოვმა მოსვლა ჩვენი, გამოჰქცეოდათ და აქ მოვიდა. არ ვიცით ან ამას რა დანაშაული აქვს და ან იარანალი რა ბრალს ადებს, რომელიც წარმოვალს უმაღლესსა კარსა, და თუ რაიმე ბრალი აქვს, თვით გასცეს პასუხი. დეგრალი, რომელ პირველ ახალციხეს წასვლისა ჩვენისა, რომელსაც ამბობენ სიტყვით მესაიდუმლედ მისსა (ტოტლებენისა) და თვითცა ესრეთ ასე ამბობს, და ეს გაეშვა ოფშეტით (პოჩოტით) წყალობით და ჩინის მომატებით, და **მე მითხრა ბრწყინვალემ ღრაფმა, რომ ჩემი და ჩემის ქვეყნისა, მრავალი ძვირი მოენეროს ამ დეგრალის რუსეთში და იმას არესტი ექნას და გაეგდოს, — ამ საქმისათვის მე ასე მარწმუნა ღრაფმა. და როდესაც ჩვენ ტფილისს მოვედით და ჩვენი მოსვლა შეეტყო დეგრალს, ისიც გამოპარულიყო გზიდან და ჩოლლუკოვთან ჩვენთან მოვიდა, და ეს დეგრალი ამას წერილით მოწმობს: არა თუ თვით ამას თავისის ნებით დანეროს, არამედ ღრაფის ბრძანებით დაენეროს ჩემი და ჩემის ქვეყნის ძვირები და რომელიც ღრაფს ინსტრუქცია ჰქონებიეს, ყოვლითურთ მის წინააღმდეგ ემოქმედოს, დეგრალი ასე სწერს თავისის ხელით, რომელიც მოუცია ჩემთვის.**

თქვენს ბრწყინვალეებასთან ამისთანა საქმეების გამოცხადება დიად მეზარება ჭეშმარიტად და ვითხოვ თქვენის ღრაფობის ბრწყინვალეებასთან ბოდიშს, რომ თავი არ შეგწყინდესთ, მაგრამ საქმისაგან დამჭირნო შევიქენ, რომ უნდა მომეხსენებინა, ეს დეგრალი ჩვენგან გაშვებულა, და როდესაც უნდა წარმოვალს.

ამ სამთათვისვე იანარალ მაიორს მანიფესტი გაენერა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იყო ჩვენდა მომართ მძიმედ აღსაჩენელი და ავი, რომლისაც მანიფესტის პირი თ. ზ. მოერთმევა.

და თვითონ იარანალ მაიორი უკან გამობრუნებული მივიდა, და სადაც რომ საქართველოთგან რუსეთის გზის კარია, ესე იგი ანანური, იქ მივიდა თავისის ჯარით და იქ დადგა, რომელიც სხვათაგან ავათ დასანახავი იყო, და ესრეთ საგონებელი არს, რომ რო-

მელიც აქ პოლკოვნიკი კლავერა არის მომავალი, ვგონებთ ისიც თავის კამანდაში მიიყუანოს, და არ ვიცით თუ რა ეგულვების ყოფად შემდგომად.

ამასცა კუალად მოგახსენებთ: ღრაფ იანარალ მაიორმა ტოტლებენმა პოდპოლკოვნიკს სიმეონ ჩოლაყოვს რომ არესტი უყო და წარმოგზავნა, — მაგისი დანაშაული არა ჩანს რა. თუ სახელმწიფო დანაშაული არა ჰქონდეს რა, თ. მ. ლ. ბ. ვითხოვ, რომ ყოვლადმონყალის ხელმწიფის წყალობით აქავ გამომიგზავნოს სამსახურზედ, და ამას დიდ წყალობად ჩავიგებ[5, 19-20].

**2 მაისი, 1770.**

**წერილი პორუჩიკ დეგრალისა (იგივე შარლ გრაი დე ფუა) ერეკლე II-ისადმი**

რადგან იარანალ ტოტლებენისაგან გასტუმრებული ვიყავ იმ მიზეზით, როგორც მოგხსენებიათ, რომ მე დამინერია ამისთანა წიგნები, რომელიც ჩემის ხელმწიფის საზიანო და უმეტესად ხელმწიფის ირაკლის წინააღმდეგ იყო, — გავშტერდი, რომ ღრაფს თქვენის სიმაღლისათვის მოუხსენებია, რომ მე დანაშაული მქონდეს, დავეჭირო და გავეგდო, ის წიგნები ჩემის ნებით დამენეროს. ამას ვგონებდი, რომ ტფილისის ქალაქს მოვიდე და ჩემი თავი გავიმართლო. მართალია, რომ **ის წიგნები დამინერია, მაგრამ იარანალის ბრძანებით:** პირველი დამინერია ხადოს მინდორში, სადაც მისი სიმაღლე იარანალს შეეყარა, მეორე წიგნი — როდესაც იმერეთიდან გადმოვედი; კიდევ დამინერია საქართველოს გასინჯულობა — მუდამ იარანალის ბრძანებით; მესამე წიგნი დამინერია ზამთარში, მოზდოკს რომ წავედი, — ტფილისის ქალაქის გასინჯულობა, **და ეს წიგნები ყოველი სიმაღლისა და მისის სიმაღლის მეფის ირაკლის დიდების სრულიად წინააღმდეგი ყოფილა, და ჩემგან დაწერილი ყოფილა იარანალის ბრძანებით,** როგორც იპოება კოპია იმის წიგნებში. დღეს სამი კვირა არის, რომ თქვენის ლაგირიდან ღრაფი მოვიდა და თავის ოფიცრებთან დამაბეზლა, რომ მე ამისთანა წიგნები დამინერია. მერე მე მაგ იარანალის მოვახსენე: შენ ხომ იცი, — ეს წიგნები შენის ბრძანებისაებრ დამინერია. როცა იარანალმა შეიტყო, რომ იმ საიდუმლოს შენახვა მე არ მინდოდა, მიბრძანა, რომ პეტერბურღს გავისტუმრებ კაის პატივით და მაჩუქა შვიდი ვალენდიზის ოქრო და მომიმატა სახელი — პორუჩიკობა. ამ იმედით წავედი, მაგრამ შემიტყვია, რომ თქვენის სიმაღლისათვის მოუხსენებია, რომ მე გამაგდო ერთის ავის კაცი-

სავით და საქართველოს წინააღმდეგსავით. ვერ მოვითმინე ამის-  
თანა დაბეზლება, რათგან მუდამ ერთგული ვყოფილვარ ამაღლე-  
ბულის ჩემის ხელმწიფის წინაშე და თქვენის სიმაღლის წინაშე, და  
თქვენგან დიდის ვედრებით ვითხოვ მფარველობასა. იარანალის  
ფიქრები და ნიშნები მუდამ წინააღმდეგი ყოფილა თავის ინსტრუქ-  
ციისა და ჩვენის ხელმწიფის ბრძანებისა და მუდამ მოატყუა რუსის  
პირველი მინისტრები: **ბევრჯერ მიუწერია იარანალ ჩერნიშოვ-  
თან და იარანალ პანინთან, რომ ერთი ჟამი დაიხელოს და სა-  
ქართველო დაიჭიროს თავის იმპერატრიცის სახელით, რომელი  
ქვეყანაც მეფის ერეკლეს საბრძანებელს ქვეშ არის. ესეც მისწე-  
რა: რუსეთს აბაზი მოსჭრან, აქ გამოგზავნონ და, თუ იმ აბაზებს  
მეფე ერეკლე არ მოიწონებს, ამას მტრობას გამოუცხადებს. კი-  
დევ სხვაც ბევრი წიგნები არის ჩემგან დანერილი იარანალის  
ბრძანებით, რომელიც თქვენის სიმაღლის წინააღმდეგია და  
სრულიად საზიანოდ არიან. ფრიად გევედრები, რომ ეს დაიჯერო:**  
გაჭირვებულმა დავსწერე. ახლა თქვენ გევედრები, რომ არ დამა-  
ბეზლოთ ამაღლებულის იმპერატრიცას წინაშე, რომლის, იმპერატ-  
რიცის, და თქვენის სიმაღლის მუდამ ერთგული და დიდის სიმაღა-  
ლით ვიყავ და ვიქნები.

ჩემო უგანათლებულესო ბატონო ხელმწიფევ, ფრიად მდა-  
ბალი და ფრიად მორჩილი მოსამსახურე **პოდპორუჩიკი კარლო  
დეგრალი**[5,24-25. + კარლო დეგრალისაგან ჩემთან მოწერილი  
წიგნის პირი არის.

**ირაკლი  
ტფილისს, მაისის 3, წელსა ჩლო**

**3 ივნისი, 1770 წელი  
მეფე ერეკლეს წერილი ტოტლებენს**

თ. ბ. ვგონებ იცოდეს კნიაზ არტემონ ანდრონიკოვის მოტა-  
ნილის მათის ი.დ. უკაზში როგორ მტკიცე ბრძანება არის, რომ რაც  
თქვენი მოყვანილი ჯარი არი და ან ახლანდელი რუსეთიდან მოსუ-  
ლა ჩვენთან უნდა ბრძანდებოდეთ შემწედ და ძლიერებად ჩვენის  
ჯარისა, და თუ მე მიწყენინებია რაიმე თქვენთვის, ჩემი სვინდისი,  
რომელსაც მე არ მამხილებს, და მგონია, რომ არასდროს რამე თ. ბ.  
მინახამს ცოტა და მრავალი არა დამიშავებია რა. **თუ თქვენ მი-  
ზეზს მიდებთ რასმე, ვიცე, რუსეთის მონარხისთვის მოგიხსენე-  
ბია და მოუცადე მ.ი. დ. ბრძანებას და უიჭვო არის, რომ ყველა-  
ნი ამას უნდა დავჯერდეთ., და ამისათვის ერთმანეთს ნუ შემოვ-**

**სწყრებით**, და იმისგან უფრო მე, და თქვენს სამდღურავზე მტერს ნუ გავახარებთ და ყოვლად მ. კ. ერთგულს ჯარსა და ამ ქვეყნებს ნუ შევანუხებთ, რომლითაც საქმით იქნებოდეს ისევ **მ. ი. დ. ბრძანების მოსვლამდე ერთმანეთს გულდავაჯეროთ, და როგორცადაც მტერზე ბრძანება გვექონდეს, შეძლებისაებრ ჩვენისა ვეცადნეთ, და ნუ წარვსწყმედთ ამ კეთილს დროებას**, პატრი უფროსი გვიახლებია (ალბათ კათალიკოსი ანტონი) და კნიაზი ზაზა ამირაჯიბი და სხვას ჩვენს სიტყვას ესენი მოგახსენებენ.

ტფილისი, ივნისის სამსა დღესა, წელსა 1770 [5, 37-38].

#### **4 ივნისი, 1770 წელი**

##### **ერეკლეს წერილი გრაფ ნიკიტა პანინს**

ღვარდიის კაპიტან პორუჩიკმან, რომელმაც მ. ი. დ. ჩვენთვის უღირსი მაღალი წყალობა მოგვიტანა, მართებული იყო ჩვენგან ჯეროვანის პატივისცემით და ყოვლითურთ შემსგავსებულის სიამოვნით მოვქცეოდით და გვეამებინა რამე: ახალციხის ქვეყნიდამ რომ მოვბრუნდით ის ღრაფთან იმყოფებოდა, სამჯერ დავიბარეთ და სიტყვაც გვინდოდა უმაღლესს კარს მოსახსენებელი, რომ მისის პირით განცხადებულყო, მაგრამ არ გამოუშვა იანარაღ მაიორმა, თუ თვითონ არ ინება ჩვენთან მოსვლა, სწორე ვერ შევიტყვევით, და ამისთანა წიგნი მოგვწერა, რომელიც ჩემთვის ყოვლითურთ სათაკილო საქმე არის. ეს არ ეგონოს თ. მ. ლ. ბ. რომ მე ამ წიგნშითაც შეურაცხებით რომ მომპყრობოდეს მე ის ჩემთვის სანყენად და სათაკილოდ მიმანდეს: **ეს არის ჩემი საჩივარი და გასაკვირვებელი, — მაგისგან ჩემი შეურაცხება და მტერობა. მე ჩემს სვინდისს რომ ვიცნობ და სჩანს ღვითთ მ. ი. დ. სრული ერთგულება, — იმაზედ რა დავაშავე? ამას მწერს და თავის წერილში ცდილობს, რომ მე რუსეთის მონარხის საქმეში და მისის ჯარის სამსახურში ცრუდ აღმომაჩინოს და, მსგავსად ღრაფისგან ნამოქმედარის საქმეებისა, ორგულად დამღვას, — ამაზედ ყოვლითურთ გაკვირვებული ვარ, ვსასოებ ჩემის შემოქმედისაგან და მათის ი. დ. სიმართლით მსაჯულებისაგან, რომ ამაზედ სწორე განხილვა მოხდეს, საორგულე საქმენი ვისგანაც მოქმედებულან ამ დროებში ან უწინარეს — სრულებით აღმოჩნდეს.** მე თუ უერთგულესი მოსამსახურე არ ვიყავ მ. ი. დ. როდესაც ღრაფი კავკასიის მთებში მოვიდა, — ჩემის თავით და ძმით და შვილით, და ჩემის თავადებით რათ მივეგებე? თუ მე რუსეთის სიმართლით მონების მწადნელი არ ვიყავ, ამ ერთს ზამთარს მ. დ. ჯარს ჩემს ქვეყანაში რად დავაყენებდი, რომ სრულიად ჩემნი მეზობელნი,

ნარმართნი, თვისად მესისხლედ ამ საქმით მხედვენ? თუ ყოვლად მონყალის ხელმწიფის ერთგულობის სრული სინათლე ჩემს გონებაში არ იყო – ყარსის და ბაიაზეთის სოფლები და ელები რად დავარბიე? და კიდევ, თუ ჭეშმარიტი ერთგულება ჩემს გონებაში არ იყო, ღრაფი რომ ხუთასს კაცსა მთხოვდა, მე ჩემის შვილით და ჯარით შემოვეყარე; თუ კიდევ სისწორით მ.დ. სამსახური არ მინდოდა, იანარაღ მაიორი აწყურვიდამ რომ წამოვიდა, როდესაც შევატყევე, მეც რატომ იმასავით უკან არ გამოვბრუნდი? და მტერზე უფრო წინ წამაყენა ღმერთმან და მ. დ. ბედნიერებამ ამისთანა ჩემგან შეუძლებელი ძლევები მოგვცა? თუ კიდევ ჩემს გონებაში ჭეშმარიტებით რუსეთის ყოვლად დ. მ. ერთგულობის სურვილი და მათგან საფარველის მარადის დიდად წადიერი არ ვყოფილვარ, ღრაფმა ქრცხინვალს და ქართლის ყოფაში რომ ყოვლითურთ თავისი ბრძანება აძლია და მე სრულებით აღარა მკითხა რა, და თვით მოქმედებდა კაცთ ჭერთა და გალახვით, და რთმევით, და თუ კიდევაც უმძლავრესი ძალა და შეურაცხება მიელო ჩემზედ, მაშინაც სრულით მოთმინებით უეჭვოდ დაუთმენდი მანამდის ამისთანას მოქმედებას ვნახევი მაგრა ახლა რომელიც თ. მ. დ. ბ. რომ მისნი წამოქმედნი საქმენი მომიხსენებია, და ამისთანას საქმეებში დავახელე, ველარ დავფარე და ყველა სწორებით განვაცხადე ჩემის მიხედომისაებრ. ვეცადე მ. დ. სამსახურისათვის და ვცდილობ, რომ ყოვლითურთ ჭეშმარიტებით მოვიქცე. და ეს **წურავის ეგონება საქართველოს დიდის და მცირის კაცისაგან, რომ საქართველოსი, თუ საბოლოოდ გება და ქრისტიანობა უნდა, ამისთანამ კაცმა რუსეთის ყოვლად დიდებულის მონარხის საორგულო იმოქმედოს რამე, ამისთვის რომ რუსეთის საფარველის მოშორება და საქართველოს არარად ქცევა ერთს დროს იქნება**, და უფროსად ამ, ერთს წელიწადში რაც საქმეები მოხდა ამ მიზეზებით, მე შარშანდლითგან, როდესაც თ. მ. დ. ბ. იმერეთის მეფეს წიგნი და იმედი მოუვიდა იმ დროს აქეთ აქამომდე მე და ჩემს ქვეყანას მ. ი. დ. სამსახურისთვის და ამ მიზეზებისათვის რამდენის ათასის თუმნისა ჩვენ დაგვხარჯვოდეს, რომ თვით რუსნიც მრავალნი მოწმედ გვყვანან ამაზედ, და კიდევ სხვანიცა, რომელთაც ყველას ზედმინევი ვჭგონებთ მოგხსენდესთ, და ახლა ამ ჯარით მტერზედ წასვლაში რა ხარჯი მოგვინდებოდა ი. ბ. კარგა გაშინჯავს ამას, და ეს ჩემს მიერ მოხსენებული თუ ჭეშმარიტ არს, მაშ თურმე უერთგულესი მონა ვყოფილვარ მ. ი. დ. –სა. ნივთის დახარჯვა მ. ი. დ. სამსახურზედ როგორ უნდა კაცის პირმა დაიქადოს, რომ ჩვენი ცხოვ-

რებაც უშურველია მათის ყოვლად მოწყალების სასიამოვნოდ, მაგრამ ამისთანას გარემოებას რომ მივეცენით, ამან გაგვაბედვინა, და ეს კიდევ ჩემი და ჩემი ქვეყნის კაცთ ერთგულობისა უმეტესი დამტკიცება მგონია, ხომ ხვანთქრისგანაც და მისი სამფლობელოსგან, და დალესტინისაგან, და აგრეთვე სპარსთაგან, რომელნიც ჩვენ მტრად მოგვწვდებიან, სრულიად საძაგლად, სამესისხლოდ საყურებელნი შექმნილ ვართ, და მათსა შუაზედ მყოფთა, **ყოვლად ძლიერის ღვთის გარდა, რუსეთის და რუსეთის დიდებულის მონარხის მეტი სასოება ვისალა გვექნება**, და რომელის საქმით უნდა ამათებრთა კაცთაგან ჩვენ ამისთანა მოუთმენელი ხმა, ესე იგი რუსეთის მონარხის ორგულება გვეყვედნიერებოდეს?![5,38-41]].

9 ივნისი, 1770

**1772 წელი.**

თანხები, რომელიც გაიცა საქართველოში გამგზავრებულ და უკანდაბრუნებულ შემდეგ ჩინოვნიკებზე:

გვარდიის კაპიტანმა ლვოვმა, რომელიც უკვე იმყოფებოდა საქართველოში, საქმეთა რწმუნებულად დანიშვნისას მიიღო 1000 რუბლი საკუთარი სახლის მშენებლობის დასაწყებად;

გვარდიის კაპიტანმა იაზიკოვმა მიიღო 2000 რუბლი საქართველოდან უკან დასაბრუნებლად და განეული ხარჯების ასანაზღაურებლად;

გენერალ-მაიორ სუხოტინმა 2000 რუბლი საქართველოში გასამგზავრებლად;

გენერალ-მაიორმა ტოტლებენმა საქართველოდან დასაბრუნებლად 1000 რუბლი; კაპიტან ლვოვის თანმხლებმა რეგისტრატორმა საქართველოში გასამგზავრებლად 300 რუბლი[5,4443].

**გარდა ამისა, ტოტლებენს იმპერატორმა ჯილდოდ პოლონეთში მისცა მამული, სადაც გარდაიცვალა კიდევ.**

შემოკლებათა განმარტება:

ი.დ. — იმპერატორებითი დიდებულება;

თ. მ. ლ. ბ. — თქვენი მაღალი ღრაფობის ბრწყინვალეობა;

მ.დ. — მისი დიდებულება;

თ. ბ. — თქვენი ბრწყინვალეობა;

მ. კ. — მისი კეთილშობილება;



## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გრაფი შარლ დე გრაი დე ფუა, ცნობები საქართველოზე, ჯუმბერ ოდიშელის თარგმანი, თბილისი, 1985.
2. ივანე ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“, ქართული კლუბის გამოცემა, თბილისი, 1919.
3. ილია ჭავჭავაძე, ქვათა ლაღადი, თხზულებანი,
4. გაზეთი „ივერია“, 11, 1891.
5. Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, под ред. А.А. Цагарели, т.2, выпуск1, С. П.Б. 1898.
6. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы... под ред. А.А. Цагарели, т. I , С. П.Б. 1891.
7. Архив Государственного Совета, I, СПб, 1869.
8. В. О. Ключевский, Курс русской истории, ч. V, Москва, 1937.

### **Dodo Chumburidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist researcher of the Department of modern and Contemporary History*

### **The Plans of Major General Gotlib Totleben and his Attendants against Erekle II**

#### **Summary**

In This Article is described affairs of 1769-1770 Years: involve Georgian dominions in war with Russian against Ottomans. Beside historical analysis there are also acres: the Letters of Erekle II to members of Russian empires Government: Emperor, politicians and militants.

## გია გელაშვილი

თსუ, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა  
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფ-  
როსი მეცნიერ-თანამშრომელი

### ინგლისალი მოგზაური ედმუნდ სპენსერი აფხაზეთის შესახებ

კაპიტანი ედმუნდ სპენსერი, ბრიტანელი სამოგზაურო მწე-  
რალი, როგორც ინგლისელი რეზიდენტი, რამდენიმე წელი ცხოვ-  
რობდა გერმანიაში და მოინახულა პოლონეთი, უნგრეთი და შვეი-  
ცარია (1834-1836 წწ.). მისი მეორე დიდი მოგზაურობა შედგა დუ-  
ნაის დაყოლებით ვენიდან კონსტანტინოპოლისკენ და შავ ზღვაზე,  
სადაც ეწვია კავკასიას 1836-37 წლებში. ამ მოგზაურობას მიეძ-  
ღვნა მისი ორი წიგნი: „მოგზაურობა დასავლეთ კავკასიაში“ I-II ტ.  
(ლონდონი, 1838) და „მოგზაურობა ჩერქეზეთში, ყირიმის თათ-  
რეთში და ა.შ.“ I-II ტ. (ლონდონი, 1839). 1850 წელს მან მოაწყო  
ვრცელი მოგზაურობა სამხრეთ ბალკანეთში (ევროპული თურქე-  
თი, ბოსნია, სერბეთი, ბულგარეთი, მაკედონია, თრაკია, ალბანეთი,  
საბერძნეთი). ამის შემდეგ ის კვლავ მოდის კავკასიისკენ 1852-53  
წლებში. ამ მოგზაურობის შედეგია მისი წიგნი „თურქეთი, რუსეთი,  
შავი ზღვა და ჩერქეზეთი“ (ლონდონი, 1854).

ჩვენთვის საინტერესო მასალა ამოვკრიფეთ სპენსერის ზე-  
მოაღნიშნული მეორე და მესამე წიგნებიდან. მოკლე შესავლის სა-  
ხით აქ წარმოვადგენთ ამ ცნობათა საერთო დახასიათებას, ხოლო  
შემდეგ ცალკე სათაურებით გამოვყოფთ ამ ამონაკრებ მასალათა  
თარგმანს მცირე კომენტარებით.

სხვაობა სპენსერის ამ ორ მოგზაურობასა და გამოცემულ  
წიგნებს შორის 15 წელია, მაგრამ ორივე ნაშრომში ერთსა და იმავე  
აზრს ავითარებს აფხაზებსა და აფხაზეთის შესახებ: რომ აფხაზი  
ეს ჩერქეზული მოდგმაა, ხოლო აფხაზეთს უწოდებს ჩერქეზეთის  
მშვენიერ ქვეყანას, ჩერქეზეთის მხარეს. „ინყება სამეგრელო და  
დავემშვიდობეთ ჩერქეზეთის მშვენიერ ქვეყანას“-ო; „ბომბორა  
ჩერქეზეთის სიღრმეშია“-ო; „მიხეილ შარვაშიძე არ იყო ერთადერ-  
თი მაგალითი ჩერქეზეთში სამშობლოს სიყვარულისა“-ო და ა.შ.  
ამასთან ამბობს, რომ რუსები უწოდებენ ჩერქეზთა ამ მოდგმას  
აფხაზს (Abhazi).

სპენსერი კარგად ხედავს რუსეთისთვის გეორგიის (საქართველოს) მნიშვნელობას, როგორც გასაღებს მთელ ამიერკავკასიაში გასაბატონებლად; რომ მისი დაკარგვა რუსეთისთვის იქნება დიდი უბედურება, რადგან კავკასია არის ხიდი, რომლითაც რუსეთს სურს განახორციელოს დაპყრობები აზიაში. ამიტომ არ ზოგავს როგორც ადამიანურ, ისე ფულად სახსრებს; ეს ჩანს მათ ყოველწლიურ დანაკარგებში.

ამასთან მოგზაური გვანჯდის რუსი ჯარისკაცების საცოდავი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის საოცრად დამაჯერებელ სურათს; აგვიწერს პირობებს, რომელშიც უხდებათ მათ უსიტყვო ცხოვრება. სპენსერი თვით დაესწრო თავად ვორონცოვის მიერ ჩატარებულ დათვალიერებას.

სპენსერი ხაზგასმით აღნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობის სიძულვილსა და დაუმორჩილებლობას რუსული ძალის მიმართ.

სპენსერი ასახელებს მიხეილ შარვაშიძეს — ერთხელ რუსული სამსახურის ოფიცრად, მეორედ — პოლკოვნიკად; აგვიწერს მის რეზიდენციას ბომბორასთან, გამასპინძლებას.

საინტერესოა მოგზაურის მიერ აღწერილი გარეგნობა და ჩაცმულობა მოსახლეობის, როგორც მამაკაცთა, ისე ქაღალთა და მათი ბუნება-ხასიათი. ეკლესიებისა და მათი ნანგრევების ნახვის შემდეგ ის ამბობს, რომ ეს ხალხი ოდესღაც ქრისტიანობას აღიარებდაო.

საინტერესოა სუხუმ-კალესა და მისი ნავსაყუდელის, მოსახლეობის, აგრეთვე ბომბორას, მისი ბაზრის სურათის გადმოცემა, საუკეთესო იარაღის დამზადება. ბიჭვინთის ეკლესიაზე საუბრისას არ ავიწყდება მასთან დაკავშირებული ლეგენდის მოტანაც.

1. „მოგზაურობა ჩერქეზეთში, ყირიმის თათრეთში და ა.შ.“(1839)

მანძილი ბიჭვინთიდან სუხუმამდე დაახლოებით 30 მილია. დიდი სიციხის გამო ვარჩიეთ ღამე გამგზავრება... დანიშნულების ადგილზე ვიყავით დილის 4 საათისთვის.

სუხუმ-კალე ბიჭვინთის მსგავსად საინტერესოა თავისი ისტორიული წარსულით; ანტიკური ცნობების უმეტესობა თანხმდება, რომ ის აგებულია განთქმული დიოსკურიის (რომელსაც ასევე სევასტოპოლიც[1] ერქვა) ადგილას, ან მის ახლოს. ამ მოსაზრებას დამატებით ადასტურებენ მეზობლად არსებული საფორტიფიკაციო და სხვა ნანგრევთა ნაშთები. ამჟამად საცოდავი ადგილია და

ერთი ყველაზე მავნე რუსი სალდათების ჯანმრთელობისთვის, რომელიც მანამდე მინახავს.

თურქთა მონაცემებით ჩვენ ვიცით, რომ სუხუმ-კალე, როცა მათ ხელთ იყო[2], წარმოადგენდა მნიშვნელოვან ქალაქს სამი ათასი მოსახლით; დღეს კი შემცირებულია და იქ დუჟინზე ცოტა მეტი უბადრუკი სახლია, რომლებშიც ცხოვრობენ ცოტა ბერძნები და სომხები. მიზეზი, რის გამოც მოხდა მაცხოვრებელთა ასეთი შემცირება, როგორც ამბობენ, არის რუსების მიერ მისი განადგურება რამდენიმე წლის წინ[2]. ეს კი გამოწვეული იყო ადგილობრივებზე შურისძიებით, რადგან ეს უკანასკნელნი მტრულად განწყობილ მთიელებს მოლალატურად ხელში უგდებდნენ გარნიზონის ჯარისკაცებს, რომლებიც მიჰყავდათ ჩერქეზთა მოშორებულ მხარეებში, ხოლო შემდეგ მონებად მიჰყიდდნენ თურქებსა და სპარსელებს.

სიმაგრე ოთხკუთხა ფორმისაა და შესასვლელზე თურქული წარწერაა. ის ნახევრად დანგრეულია, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, აქვს ქვემეხი; სხვების მსგავსად, რაც მე ჩერქეზეთში ვნახე, განკუთვნილი იყო თავდასხმის მოსაგერიებლად უფრო მეტად ხმელეთიდან, ვიდრე ზღვიდან. ამ საფრთხეს კი აშკარად გრძნობდნენ, რადგან გუშაგი ისეთი სიფრთხილით იდგა, თითქოს მტერი კართან მომდგარიყო. სარისკოა გუშაგთა სამსახური ზღუდის შიგნითაც, როცა თავისუფლდებიან საღამოს მოახლოებისას, მიუხედავად იმისა, რომ აუშვებენ ძაღლებს, რომლებიც ისეა განვრთნილი, რომ არ გამოეპარებათ მოახლოებული საფრთხე. იმდენად ინტენსიურია მხარეში ჩერქეზების მტრული საქმიანობა, რომ ზღუდის გარეთ რუსი ჯარისკაცი, რა თქმა უნდა, არაა დაცული. როცა ის გადის გარეთ შეშის ან წყლის მოსატანად, მოვალეა გაიყოლოს დაცვა და საველე იარაღი...მიუხედავად ამგვარი სიფრთხილისა, ისინი ყოველ დღე ემსხვერპლებიან ცბიერი და დაულალავი მტრის ტყვიას.

სუხუმ-კალეში ოფიცრებისგან გავიგე, რომ ჯერაც უფრო მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ზემო აბაზიის ჩერქეზულ ჯგუფებთან, რომლებიც ხშირად ჩამოდიან თავიანთი მთებიდან, ენევიან იაფ გაცვლას სომეხ ვაჭრებთან და მშვიდად ბრუნდებიან უკან; მაგრამ დიდია დატყვევების საფრთხე ქვემო აბაზიის მოსახლეობის მტრობის გამო.

ჩვენ აქ ასევე ვნახეთ ძალზე ვრცელი ნანგრევები მონასტრისა და ეკლესიის, რომელთა არქიტექტურის მიხედვით აშკარაა მათი დიდი სიძველე (ანტიკურობა).

სუხუმ-კალეს დატოვების შემდეგ ახლოს გავუარეთ ისკუ-რიის [3] უმნიშვნელო ყურეს 12 მილის მანძილზე, ანტიკური კელა-სურის ნანგრევების[4] ჩათვლით. ანაკრია [5] 32 მილზეა. ამბობენ, რომ ანაკრია აშენებულია ერთდროს დიდებული ქალაქის ჰერაკ-ლესად ადგილზე, პონტოს სამეფოში [6]. იგი ერთი ყველაზე საინტე-რესო დასახლებაა სანაპიროს ამ მონაკვეთზე; ყოველ შემთხვევა-ში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი წარსული, თუ თანამედროვე ისტორია. ის მდებარეობს ინგურისა და აგის შეერთების ადგილას. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, თურქთა ხელში მყოფი, წარმოად-გენდა მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქს, როცა ენეოდნენ ძალზე შე-მოსავლიან ვაჭრობას თევზითა და მშვენიერი გოგოებით სტამ-ბოლთან და ტრაპიზონთან.

ინგური სავსეა თევზით, უმეტესად თართით; იქ არის აგ-რეთვე ორაგული და ქაშაყი. ეს უკანასკნელი ზომით პატარაა, მაგ-რამ საუკეთესო გემო აქვს. უცნაურია, რომ ჩვენი ქვეყნის კელტე-ბის [7] მსგავსად, ამ პროვინციების ადგილობრივები, აგრეთვე ყი-რიმელი თათრები იშვიათად იყენებენ თევზს საკვებად...

შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, განსაკუთრებით ინგურსა და აგის შორის, გვხვდება იშვიათი თევზი სახელად Cephalo (კეფა-ლი? — გ.გ.), რომლის ქვირითიდანაც მზადდება საუცხოო ხიზილა-ლა — დელიკატესი, რომელიც უმაღლესად იყო შეფასებული სტამ-ბოლის დახვეწილი გურმანების მიერ. მაგრამ, მას შემდეგ, რაც თურქებმა დაკარგეს ეს პროვინციები, ადგილობრივებისთვის ასე სარფიანი მეთევზეობა სავსებით მოიშალა და ქალაქი ანაკრია თითქმის დაიცალა.

სინამდვილეში, ყველა დასახლება, რომლებიც მოვინახუ-ლეთ ყირიმიდან გამოსვლის შემდეგ, და რომლებიც რუსულ რუკა-ზე აღნიშნულია მაღალფარდოვანი ტერმინით — სიმაგრეები (რო-გორებიც ისინი ალბათ იყვნენ თურქთა მმართველობისას), ამჟა-მად სხვა არაფერია, გარდა დანგრეული ზღუდეებისა და სანგრე-ბისა, მას შემდეგ, რაც ეს პროვინციები რუსეთმა დაიმორჩილა, ხო-ლო ადგილობრივები (ალბათ უფრო მაჰმადიანები) გადასახლდნენ თურქეთში...

სუხუმ-კალედან გარკვეული მილის დაშორებით დაიწყო სა-მეგრელო, როცა დავემშვიდობეთ ჩერქეზეთის მშვენიერ ქვეყა-ნას...[8]

[აქ ჩვენ გამოვტოვეთ რედუტ-კალესა და მისი სავაჭრო ურ-თიერთობების, აგრეთვე მეგრელთა გარეგნობისა და ჩაცმულო-

ბის, მათი რუსეთის მმართველობასთან დამოკიდებულების შესახებ ცნობები — გ.გ.].

[გადაუღებელი წვიმებისა და ქარიშხლის გამო აღარ წავიდნენ ფაზისსა და თურქული პროვინციებისკენ და გაბრუნდნენ ყირიმისკენ — გ.გ.]

...მეორე დღეს მივალწიეთ ბომბორას აბაზიაში; ეს იყო ერთადერთი, რომელიც ადრე არ მოგვინახულებია. გადმოსხდომა ამ ადგილას მართლაც ძნელი საქმე იყო, რადგან მიზნის მისაღწევად არ არსებობდა არც ყურე, ნავსადგური, არც სხვა თავშესაფარი. ამას გარდა წინა სალამოს ქარიშხალმა დატოვა ძალიან დიდი ტალღები. ამ სიძნელეთა მოლოდინში, გარნიზონის მეთაურმა ოფიცერმა უბრძანა ჯარისკაცთა ჯგუფს ნავებიდან ნაპირზე გადმოესხა მგზავრები. ბრძანების გაცემა უფრო ადვილი იყო, ვიდრე შესრულება....

... ნაპირზე ფორტიფიკაციების და გენუელების მიერ ნაგები მონასტრისა და ეკლესიის ნანგრევების მონახულების შემდეგ განვაგრძეთ სვლა მთავარი ციხისკენ, რომელიც დაახლოებით 3 ვერსზეა. როგორც ბიჭვინთაში, ჩვენი გზა ზოგჯერ გადიოდა ხშირ ტყეში; აქ ჩვენ შეგვხვდა ბზა — ტყის ნამდვილი გიგანტი, რომელიც ევროპაში არის ჯუჯა ბუჩქი; კოლოსალური ზომის (15 ფუტი გარშემოწერილობის) ღვია; მუხა — უზარმაზარი ფოთლებით, როგორიც არასდროს მინახავს, ამშვენებდა ხეობებს და ფარავდა მაღალი გორაკების ფერდებს ისეთი რაოდენობით, რომ გვწამს, რუსეთს მარტო შეუძლია ჰქონდეს აქ საკმაო სანერგე, რათა საუკუნეთა მანძილზე მოიმარაგოს ხე-ტყით გემთმშენებლობა.

მარწყვის ხე(?), ოლეანდრა და იალღუნის, ზეთისხილი და ლეღვი, დეკა და ბრონეული ყველგან ჩანდა მთელი მრავალფეროვნებითა და მდიდრული სიუხვით. თითქოს მინაც დაფარული იყო უმდიდრესი მცენარეულით; ყველაზე ლამაზი ყვავილობა აფრქვევდა ირგვლივ თავის სურნელს.

ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი ევროპისთვის უცნობ ხელოვნების ნიმუშს და ყოველ ნიავს მოჰქონდა ათასგვარი სურნელი. ასევე იყო ჩიტებიც, რომლებიც ავსებდნენ ცას თავისი მომაჯადოებელი გალობით; ძალზე მასიამოვნა მათმა ქრელმა ბუმბულმა და მკვეთრად შეფერილმა ფრთებმა. არანაკლებ საინტერესოა მწერები. ასევე გამაკვირვა მათმა უზარმაზარმა ზომებმა, განსაკუთრებით ჩვეულებრივმა ხვლიკმა, რომლის სიგრძე აქ 18 დიუმიდა და შეიძლება გეგონოს პატარა ნიანგი; ის იცვლის ფერს ბაცი მწვანიდან მუქზე,

ზურმუხტის ფერიდან გაზაფხულის პირველი ფოთლის ფერზე. დაკლანკილი მორაკრაკე ნაკადულების აყოლებით გაუთავებლად ვხვდებოდით ბაყაყსა და გველს...ფრთხილად უნდა გვეელო, რომ ფეხი არ დაგვებიჯებინა. ჩერქეზეთის ამ მხარის ადგილობრივები მათ არასოდეს იყენებენ საჭმელად....

ჩვენ ძალზე გაგვიტყდა გული, რომ ვერ შევხვდით მიხეილ შარვაშიძეს[9] ფსო-ს ტომის მთავარს, რომელიც ცხოვრობდა ბომბორას მეზობლად და, როგორც გავიგე, განათლება მიუღია სტ.-პეტერბურგში და იყო რუსეთის სამსახურის ოფიცერი. მიუხედავად იმისა, რომ დიდიხანია მთავრობის ერთგულია, ჩვენ გვიამბეს როგორც ჩვეულებრივი ამბავი, რომ არცერთ ჯარისკაცს არ შეუძლია მოშორდეს ფორტს უხიფათოდ, რომ არ მოკლან, ან დაატყვეონ. ჩვენ შევიტყეთ, რომ ძლიერდებოდა ადგილობრივთა მტრობა, რაც გარნიზონმა მნიშვნელოვნად იწვინა რამდენიმე თვის წინ: ჩერქეზთა შემოტევას თან ახლდა სიშლეგე და ისეთი ქმედებები, რაც ადრე არ მომხდარა. ჩვენ გვითხრეს, რომ სასტიკი ბლოკადის მერე ხელი ეშლება ხალხს მიიღოს დენტის საკმარისი მარაგი; ასევე მათ მიმართეს ხრიკს — ლასოთი იჭერდნენ გარნიზონის ჯარისკაცებს, რომლებიც ეფექტური წინააღმდეგობის განწევის გარეშე მიჰყავდათ მთებში.

სიმაგრის მოსტუმრების შემდეგ წავედით სახეციალოდ პატარა ქალაქ ბომბორაში, ანუ ლიხნა-ში (Lehna), როგორც მას მაცხოვრებლები უწოდებენ. ესაა ერთი მცირე ქალაქთაგანი, აგებული ჩერქეზთა მიერ, მაგრამ არ განსხვავდება იმათგან, რომლებიც ჩვენ ვნახეთ შავი ზღვის საპირისპირო მხარეზე მცირე აზიაში. რამდენიმე ბაზარი ეკავათ სომეხ და კარაიმ ებრაელ ვაჭრებს. ბაზრები სავსე იყო უხეში რუსული ნაწარმით, რომლებიც გამოირჩეოდნენ მყვირალა ფერებით; მათთან ერთად ჰქონდათ ზიზილ-პიპილებიანი სამშვენისები გლახებისთვის, აგრეთვე მარილი და თამბაქო.

ერთ ბაზარში შევხვდით მხარის ერთ წარჩინებულს, რომელიც ის-ის იყო ჩამოსულა მთებიდან, რომ ეწარმოებინა უბრალო გაცვლა; იგი იყო შეიარაღებული და, როგორც ამ ხალხშია მიღებული, ჰყავდა მხლებელი. ჩერქეზეთის ამ მხარის მაცხოვრებლები უფრო მეტად არ არიან შთაგონებული რუსეთის მიმართ ერთგულების ნდობით, ვიდრე ამას ავლენენ მათი თანამემამულენი ანაპა-ში. სანამ ბატონი ქალაქში რჩებოდა, მის მხლებელს დატენილი და შეყენებული დამბაჩა ეჭირა ხელში: ის უეჭველად ესროდა ყველას, ვინც ხელჰყოფდა მისი ბატონის უსაფრთხოებას. წარჩინებული

—ეს ლამაზი შესახედაობის მამაცი პიროვნება, რომელსაც გარს შემორტყმოდნენ მკვეთრ ფერებში გამონყობილი ოფიცრები და ლამაზი ქალბატონები, აშკარად შენუხდა, რომ შეიქმნა დაკვირვების ობიექტი და ალბათ რუსეთისადმი სიძულვილი შეგნებულად გამოხატა ნასვლის დიდი სურვილით. ამიტომ, როგორც კი მოათავა თავისი მცირე კომერციული შეთანხმება, მოახტა ცხენს და ელვისებურად გავარდა ქალაქიდან მთების მიმართულებით. ალბათ არ ჩათვალა უსაფრთხოდ თავისი ყოფნა, სანამ მისკენ მიშვერილი იქნებოდა თოფები ციხიდან.

ქალაქში ხეტიალისას ვნახე ადგილობრივთა სხვადასხვა წარმომადგენელი ცხენზე ამხედრებული. თუმცა დეზი არაა დამატებითი სიახლე მხედრის ფეხსამოსისთვის, მაინც ვალიარებ, რომ ის იყო ერთადერთი დამატება ცაცხვის ქერქისგან დამზადებულ სანდალზე, განსაკუთრებით როცა ის ემაგრა ქუსლზე, ვისაც სანდალი არ ეცვა (ეს კი ხშირია).

ცოტა ქალი ვნახე საკმაოდ გემოვნებით ჩაცმული, გრძელი თეთრი ვუალით, ისე რომ არ ფიქრობდა დაეფარა ნაკვთები დამკვირვებლისგან, რაც ჩვეულებრივია ისლამის მიმდევრებში. ჩვენ მოგვეცა საშუალება დაგვედგინა, რომ ისინი ნამდვილად ლამაზები იყვნენ.

ყველა მამაკაცი შეიარაღებული იყო ხანჯლით, თოფით, ან ხმლით. ისინი მოშორებით იდგნენ ჯგუფებად, მეტწილად დოინჯშემოყრილი და, თუ ვიმსჯელებთ მათი მშვიდი გამომეტყველებით, ჩვენ გვიყურებდნენ უფრო ზიზლით, ვიდრე ცნობისმოყვარეობით. მათი შესახედაობა, როგორც მათი თანამემამულეებისა, იყო მიმზიდველი; მათში არწივისებური ცხვირი ჭარბობდა რომაულს.

ეჭვს არ ინვევს, რომ გენუელებს აქ ჰქონდათ დასახლებები. ეკლესიის ნანგრევები გვიჩვენებდნენ, რომ არა მარტო არქიტექტურა იყო იტალიური, არამედ საფლავის ქვებს შორის სიარულისას, აღმოვაჩინე ერთი, რომელზეც დაცული იყო სახელი ჯუზეპე. ბომბორაში ვიპოვნე ლამაზად მოჩუქურთმებული მარმარილოს ნატენი, რომელზეც ამოტვიფრული იყო რომაული არწივი და ასოები იმპ:-ცე (IMP:-CAE), რაც მონიშნავს, რომ იმპერიულ რომს აქ ჰქონდა დასახლება.

ბომბორაში ადგილობრივებისა და სომეხი ვაჭრებისგან ჩვენ შევიძინეთ მშვენიერი ხმლები და ხანჯლები —ძალზე საუცხოოდ ნაკეთები და აშკარად ძალზე ძველები; მაგრამ ისე კარგად იყო შენახული, რომ გეგონებოდა გუშინ დაამზადა ის ოსტატმაო. ზოგი-



ერთების პირებს ჰქონდათ გრავირება, ან ოქროს ასოების ინკრუსტაცია. ზოგზე მთელ სიგრძეზე იყო წარწერა, დაგვირგვინებული თავში ჩვენი მხსნელით, ან წმინდანი... (Parmi DEY y par my REY).

ევროპული წარმოების იარაღის რაოდენობით, რომლებიც ამ ხალხშია, და ამბობენ, რომ ის ეკუთვნოდათ ჯვაროსნებს, სავარაუდოა, რომ კავკასიელები მონაწილეობდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ ომში; ან ალბათ ჯვაროსანი მეომრები, დატყვევებული თურქების მიერ, გაექცნენ მათ კავკასიის მთებისკენ. მაგრამ, რადგან იყვნენ მოსახლეობასთან მნიშვნელოვან უმცირესობაში, დროთა განმავლობაში აითვისეს ადგილობრივთა ჩვევები, წესები, სარწმუნოება და ბოლოს შეერწყნენ მათ.

[...ამას ადასტურებს ხევსურთა აღჭურვილობა, რომელსაც ამსგავსებენ შუა საუკუნეთა ნორმანულსა და ფრანგულის გალელ წინაპრებს..]

სომეხმა ვაჭრებმა გვამცნეს, რომ აბაზიის სიღრმეში—სოუბაჩისა(Soubachi) [10] და ალპებს შორის ცხოვრობენ უფრო დიდი რაოდენობით ძველი ქრისტიანები, ვიდრე ჩერქეზეთის სხვა ნაწილებში. ჩვენი ინფორმატორების აზრით ზოგი ეკლესია დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შემონახული და მშვენიერ ნაგებობებს უნდა წარმოადგენდნენ. ისინი ასევე გვარწმუნებდნენ, რომ ზოგიერთ მათგანში ჯერაც დაცულია წმინდა წიგნები და ძველი საჭურველი, რაც ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით ინახება იქ, როგორც ქრისტიანი მეომრების ჯგუფის მიერ მიცემული აღთქმისათვის მიძღვნილი — ურწმუნოთაგან განთავისუფლების სანაცვლოდ.

ყოველ შემთხვევაში, ამ განცხადებების დეტალური ანგარიში საკვლევად გამოადგებათ მომავალ მოგზაურებს კავკასიის მთების ამ ნაწილის ისტორიის მოძიებისას...

## 2. „თურქეთი, რუსეთი, შავი ზღვა და ჩერქეზეთი“ (1854)

გზა, რომლის გაყვანა დაწყებულია კავკასიის ჯარების მთავარსარდლის, თავად ვორონცოვის [11] მიერ, მიიკლავება შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ და უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს ანაპის, სუფუკ-კალეს, გელენჯიკის, ფშადის, ბომბორას, სუხუმ-კალეს და კიდევ ერთი-ორი სხვა ფორტები რუსულ პროვინცია იმერეთთან [12], სადაც შეუერთდება ის გზას, გაყვანილს მტკვრის ნაპირების გასწვრივ გეორგიის [13] დედაქალაქ ტფილისისკენ (ესაა ქალაქი დაახლოებით 30.000 მოსახლით). ეს გზა ასევე წარმოად-

გენს ჩერქეზებისა და ლეკების თავდასხმის სამიზნეს, რომლებიც ბატონობენ ირგვლივ მთელ სიმაღლეებზე. გზა ჯერ არ არის დასრულებული და ვერ იქნება გამოყენებული რუსეთმა რომც დაკარგოს სრული უფლება შავ ზღვაზე, როგორც რუსეთის ტბაზე, რადგან ამ ფორტებს გამუდმებით იკავებენ და ანადგურებენ მთიელები და გზაც თავისთავად გადაულახავია...

გეორგიის დაკარგვა, რომელიც თავისი მდებარეობით წარმოადგენს გასაღებს რუსეთის მთელი ტრანსკავკასიური სამფლობელოებისას და აფრთხობს თურქეთსა და სპარსეთს, იქნება უდიდესი უბედურება, როგორც კი შეიძლება დაემართოს ამ სახელმწიფოს..... კავკასია წარმოადგენს ხიდს, რომლითაც რუსეთი განახორციელებს თავის მომავალ დაპყრობებს აზიაში. თუ ამას ვაღიარებთ, უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ არავითარი ადამიანური და ფულადი სახსრები არ დაიზოგება, რომ მოიგონ ეს ხანგრძლივად სადავო გასასვლელი... ამდენად, ყველა ფორტი შავ ზღვაზე, კასპიის ზღვასა და სამხედრო გზებზე მუდმივ სააღყო მუქარას განიცდის. [ნათელია, რომ სამხედროთა სიმრავლეს ვერ ეყოლება მორჩილებაში უკმაყოფილო მოსახლეობა, როგორც ქრისტიანები, ისე მაჰმადიანები — გეორგიის [13], იმერეთის, სამეგრელოსი და რუსეთის სომხეთისა...].

...ჩერქეზული სანაპიროს ამ ნაწილს რუსები უწოდებენ ჩერქეთა აფხაზურ

(Abhazi) მოდგმას; რამდენადაც ჩვენ შევამჩნიეთ, ესენი მრავალრიცხოვანი და ძალზე შრომისმოყვარენი უნდა იყვნენ, რამაც შემდგომ გამოიწვია ჩვენი ჯგუფის გაოცება, რომლებიც ძნელად დაიჯერებდნენ, რომ შეიძლებოდა ცივილიზაციის ნიშნები ეპოვნათ კავკასიის ველურ გარემოში. მათდა საბედნიეროდ, ისინი მოშორებული იყვნენ ჩერნომორელი კაზაკების თავდასხმებისგან და რუსებსაც ჯერ არ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული მათი (ჩერქეთა—გ.გ.) სანაპიროს ამ ნაწილში.... მოსახლეობა აშკარა უნდობლობით შეხვდა ჩვენს გამოჩენას; ისინი თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს გადაადგილებას., სანამ ჩავედით ჯოოკ-ში (Djook), ფშადიდან 20 მილზე....

...ბოლოს ჩავუშვიტ ღუზა ბიჭვინთაში (ძველების პიტუისი), ამჟამად პირქუში, უდაბური ადგილი, სადაც არ იყო არც ქოხი და ადამიანის არსებობის კვალი. თუმცა ეს მშვენიერი ყურე მაღალი მთების ჯაჭვითაა დაცული სახმელეთო ქარებისგან, რომლებიც აქ

ხშირად საკმაო სიძლიერით უბერავენ; ხოლო ზღვის ბრიზისგან — რკალისებური კონცხით. ყოველივე ეს ქმნის სასურველ პირობებს ნავსადგურისთვის. რამდენად სავალალო უნდა ყოფილიყო აზიელი ველური ურდოების ხანგრძლივი გამანადგურებელი ნავარდი, რომ სრულიად ნაშლილიყო მშვენიერი მოვაჭრე ქალაქის კვალი, რომელიც ერთ დროს აქ დაფუძნდა ძველი ბერძნების მონდომებითა და ძალით; და, როგორც ცნობილია, ყვაოდა რომაელთა მმართველობისას და შემდეგ მათი მემკვიდრე ბიზანტიელი ბერძნებისას!

ჩვენ მოვანყეთ ექსკურსია რამდენიმე მილზე ქვეყნის სიღრმეში, რათა გვენახა კავკასიაში ერთერთი ყველაზე საინტერესო ეკლესია [14]. ჩვენი გზა მიდიოდა საუცხოო ხეების ტყეში, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ მუხის, ნიფელის, ნაბლის და ნაძვის საუკეთესო სახეობები. აქ იყო აგრეთვე ალუბალი, ზეთისხილი, ლეღვი, ბრონეული, ფორთოხალი; მოკლედ, ხეხილის იშვიათი ჯიშები, რომელთა მსხვილ ტანსაც საარაკო ოდენობის ვაზი შემოხვევია, თითქოს ქვეყანას არასოდეს გაუვლია ცივილიზაციის პერიოდი.

დანიშნულების ადგილზე მისვლისას ვნახეთ მონასტრის ნანგრევები, რომლებიც რუსებს ფორტად ექციათ და 400 თუ 500 ჯარისკაცი ჩაეყენებინათ. ნამდვილად გულისმომკვლელი სანახაობა იყო, როცა ხედავდი ამდენ საცოდავ ახალგაზრდას, რომლებიც დაეხეტებოდნენ ლეღვისა და ვაზის ფოთლოვან ტევრში და ჰგავდნენ საფლავიდან ახლად ამოსულებს. უბედურება კავკასიის დამლუპველი მალარია, ყოველთვის მომწამვლელი, სადაც მცენარეული ძალზე მდიდრულია; და ასე იქნება, სანამ მოსახლეობა ისე არ მომრავლდება, რომ დაამუშავოს მიდამო.

თურქებმა, ამ სასტიკთა ხარბმა ურდომ, რა ცოდვა არ დაიდეს ცივილიზაციის ვალად! ოთხი თუ ხუთი საუკუნის წინ, ძველი ბიჭვინთის ყოველგვარი კვალის ნაშლის შემდეგ, მათ დატოვეს ერთადერთი ეკლესია [14], რომელიც ამჟამად ეულად დგას უდაბურ ადგილას და წარმოადგენს ბიზანტიური არქიტექტურის ადრინდელი ხანის საინტერესო ძეგლს.<sup>1</sup> ის კარგადაა შენახული; ნაშენია აგურითა და ქვით და აქვს ბერძნული ჯვრის ფორმა. მისი დიდებული გუმბათი ეყრდნობა ოთხ ვეებერთელა სვეტს; მშვენიერი შესა-

---

<sup>1</sup> პოპულარული ტრადიცია გვიამბობს მისი შენარჩუნების შემდეგ ამბავს: — თურქი სულთანი, რომელიც მეთაურობდა ბიჭვინთის ალყას, ბევრგან დაიჭრა და ნამდვილად მომაკვდავი მიიყვანეს მონასტერში, სადაც ერთმა ბერმა ითავა მისი განკურნება ეკლესიის ხელუხლებლობის პირობით. მან სიტყვა შეასრულა და ამ დროიდან შენობას მაჰმადიანები პატივს სცემენ თავიანთი სულთნის გამო.

ხედავია: მრგვალი მოხატული ფანჯრები გვიქმნიან წარმოდგენას წარსული დღეების ბერძნულ ხელოვნებაზე. შესასვლელსა და გვერდით ეგვიტერებში შეინიშნება ფრესკული მხატვრობა, მიძღვნილი წმინდანებისა და ანგელოზებისადმი; გამოსახულია ჯვარცმა, გარდამოხსნა, ღვთისმშობელი და სხვა ქალები მტირალნი მხსნელის ფერხთით. სავარაუდოდ ის ნაგებია იუსტინიანეს [15] დროს. მაგრამ არსადაა თარიღი ან საბუთი მისი აშენების პერიოდის დასადგენად; თუმცა სტილი ბიზანტიურ-ბერძნულია....

[ბიჭვინთის შემდეგი სამხედრო სადგური იყო ბომბორა...ამასთან თავადმა (ვორონცოვმა—გ.გ) გასცა ბრძანება, რომ ძირითადი შეხვედრა გვექონოდა სუხუმ-კალეში. ჩვენ მათ რამდენიმე დღეში კვლავ შევეუერთდით]... ამასობაში ხომალდი თავადითა და ჩვენი ჯგუფის უმრავლესობით გაემართა ბომბორასკენ...

ბომბორაში მისვლისას ჩვენმა ინგლისელმა მემანქანემ (მექანიკოსმა) აღმოაჩინა, რომ ძრავა მცირედ დაზიანებულიყო. ამ გარემოებას უნდა ვუმაღლოდეთ, რომ შევძელით არაჩვეულებრივი ექსკურსიის მოწყობა ჩერქეზეთის სიღრმეში [16]. და რადგან მხარის წინამძღოლმა მთავარმა შარვაშიძემ [17] რუსეთის მთავრობის ერთგულება აღიარა, ამდენად არ გვემუქრებოდა ადგილობრივთა მხრიდან მტრობა. სანაპიროზე ეკლესიისა და მონასტრის ნანგრევების მონახულების შემდეგ, რაც შეგვიძლია ჩავთვალოთ იმის მონმობად, რომ ოდესღაც ეს ხალხი აღიარებდა ქრისტიანობას, ჩვენ გავუყევით მშვენიერი მდინარის ფანდრა-ს (Phandra) ხვეულებს, რომელმაც მიგვიყვანა სამი მილით დაშორებულ სიმაგრესთან. ბიჭვინთის მსგავსად ეს მხარეც ძალზე მდიდარია მცენარეულით; დიდებული მუხის ხეები ფარავენ მთის ფერდებს და ამშვენებენ მათ მწვერვალებს. შავი ზღვის ამ თითქმის უცნობ მხარეში არსებულ სიუხვეში ევროპას შეეძლება იპოვნოს საკმაო მარაგი საუკეთესო ხე-ტყისა გემთმშენებლობისთვის, ისე რომ სხვაგან აღარ ეძებოს. სამეგრელო, იმერეთი, გურია და მცირე აზიის თურქული პროვინციები ისევე მდიდარია ამ მასალით, როგორც ჩერქეზეთი.... თუ ბინდამდე არ შევეფარებოდით გემს, ნამდვილად ავიკიდებდით კავკასიურ ხანგამოშვებით ციებ-ცხელებას....

... მხოლოდ კავკასია უჯდება რუსეთს წლიურად 30.000 კაცი სიცოცხლედ!...

სიმაგრის მონახულების შემდეგ, რომელიც ჩვეულებისამებრ სავსე იყო სნეულებითა და მომაკვდავებით, ჩვენ ვიარეთ პატარა ქალაქ ბომბორაში, ანუ, როგორც ჩერქეზები უწოდებენ,

ლიხნა-ში (Lehna)... მოსახლეობას შეადგენენ უმეტესად თათრები და კარაიმი ებრაელები ყირიმიდან, სომხები და თურქები. რაც ეხება ჩერქეზებს, ისინი ცოტანი იყვნენ: ეს მეომარი ხალხი ყოველთვის ამჯობინებს მდევრის მშფოთვარე ცხოვრებას და ომს, ვიდრე მედუქნის მშვიდობისმოყვარეობას. ქალაქში იყვნენ სხვადასხვა მეთარალები, რომელთაგანაც ჩვენმა ჯგუფმა შეიძინა საუცხოო ხმლები და ხანჯლები, დამუშავებული უნატიფესად და უეჭველად ძალიან ანტიკვარული; პირები მეტწილად იყო გრავირებული, ან ოქროთი ინკრუსტირებული. თავადმა ვორონცოვმა შეიძინა საუცხოო ხმალი საინტერესო წარწერით — „Parmi Dey y par my Rey“, რომელიც ერთ დროს ნამდვილად ეკუთვნოდა ჯვაროსანს...

თავადი ვორონცოვი, რომელიც აშკარად ელოდა ბომბორას წინამძღოლის [18] ნახვას, გარკვეულწილად გალიზიანებული ჩანდა. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ადგილობრივთა უფროსებისა და უფრო დაბალი რანგის მეთაურთა დეპუტაცია, რომელთაც უხადეს დიდი ბოდისები, რადგან მათი ბატონი, სამწუხაროდ, რამდენიმე დღით იყო წასული; სამაგიეროდ მისი მეუღლე იქნებოდა ძალზე ბედნიერი და გაუნევედა ქმრის მაგივრად მასპინძლობას, თუკი მისი აღმატებულება და თანმხლები ჯგუფი პატივს დასდებდნენ თავისი სტუმრობით. რადგან მთავრის რეზიდენცია მხოლოდ რამოდენიმე მილით იყო დაშორებული, დაიწყეს წასასვლელად მზადება. ცხადია ცოტანი ელოდნენ მიწვევას. თავადი ვორონცოვი, რომელმაც იცოდა ხალხის ხასიათი და რომ დატყვევების ძალზე მცირე საფრთხე არსებობდა, და ამასთან სრული ნდობა დაინახა მათ გულწრფელობაში, მაშინვე უყოყმანოდ დაეთანხმა.

როგორც ველოდით, ჩვენ ვიყავით დიდი ცნობისმოყვარეობის ობიექტები ადგილობრივებისთვის. სანამ რეზიდენციას მივალნიეთ, ჩვენი ესკორტი გაიზარდა ასეულამდე. ჩვენმა პირველმა ნაცნობობამ კავკასიის განთქმულ მეომრებთან, მთლიანად გაამართლა ჩვენი მოლოდინი: უფრო მეტძოლური შესახედაობის, ტანადი, კარგი აღნაგობის პიროვნებები სხვაგან ძნელად მოიძებნება. ერთდროულად სწორი და მეტყველი სახის ნაკვთები, ძლიერი და ათლეტური სხეული, მედიდური მანერები, არწივისებრი მზერა, შეუზღუდავი ყესტები, თავისუფლების შეგნებული სიამაყე. მათი სხეულის სწორ და სიმეტრიულ ფორმებს იმავე დროს ამშვენებდა და უპირატესობას ანიჭებდა შესაფერი და ორიგინალური სამოსი: კარგად მომდგარი ტუნიკა, სამხედრო პოლონურის მსგავსი, წითე-

ლი ტარსიკონის, წინ სამასრე ჯიბეებით, რომლებიც ერთდროულად დეკორატიულიცაა და სასარგებლოც, რადგან პატრონის გულმკერდს ეფექტურად იცავენ შემთხვევითი გასროლის ან შუბის ძვრებისას. თავსაბურავს მეტწილად წარმოადგენს შავი ასტრახანული ცხვრის ტყავის მრგვალი ქუდი, მუქი-წითელი ტილოს ან ტყავის გვირგვინით; წითელ აბრეშუმის სარტყელს, ან ტყავის მდიდრულად მორთულ ქამარს ყოველთვის ავსებს კარგად შერჩეული იარაღი, რაც მუდამ მზადაა ყოველგვარი საჭიროებისთვის.

ფანდრას რომანტიკულ ხეობაში ორიოდ ინგლისური მილის გავლის შემდეგ შევედით ბნელ ხეობაში, ან უკეთ კლდოვან ნაპრაღში, სადაც ორი მხედარი ძლივს აუქცევდა გვერდს ერთმანეთს; ავუყვით აღმართს სწრაფი ნაკადულის აყოლებით და მალე აღმოვჩნდით ლამაზ და ვრცელ ზეგანზე, სადაც დავინახეთ მთავრის რეზიდენცია. ის მოიცავდა პატარა სახლების (cabin) ჯგუფს, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა სუფთა აივანი (ტერასა), ირგვლივ ხილის ბაღები, მდელოები და ყანები. ყოველივე ქმნიდა უფრო კმაყოფილი ფერმერის მშვიდობისმოყვარე საცხოვრისის სურათს, ვიდრე 5000 მებრძოლის ბელადისას, რომელიც, როგორც ამბობენ, არის მხარის მთავარი და ყოველდღე შეუძლია გამოიყვანოს ისინი საომრად.

მიდამო უმარტივესი აღსაწერია; უფრო აღსანიშნავია იმის შეტყობა, რომ ძლიერი კლანის ბელადს — მიხეილ შარვაშიძეს უსწავლია რუსულ სამხედრო სასწავლებელში, მიაღწია პოლკოვნიკის რანგს რუსულ არმიაში; მას დიდად სწყალობდა იმპერატორი და კარგად იყო მიღებული სტ.-პეტერბურგის ბრწყინვალე წრეებში [19], როგორც მხიარული პიროვნება. თუმცა მასში გაიღვიძა სამშობლოს ძველმა სიყვარულმა, რომელიც არასდროს კვდება ნამდვილი მთიელის გულში: მიატოვა ცივილიზებული ცხოვრების ყველა სიკეთე, მომავალი სახელის მომხიბვლელი მიმზიდველობა, რომ ქედმაღლურად გაეცვალა მშობლიური თავისუფლება რუსული სამსახურის ოქროს ბორკილებზე. და აი აქ მმართველობს ბოლო 10-12 წელია იმავე უბრალო პირობებში, როგორც თავისი თანამემამულენი, თითქოს არასდროს შეეცნოს ცივილიზებული ცხოვრების ფუფუნება.

ბომბორას მთავარი არ გახლავთ ერთადერთი მაგალითი ჩერქეზეთში თავისი ქვეყნის სიყვარულისა. სხვებს შორის შეიძლება დავასახელოთ ყველაზე მეტად ცნობილი ორი ყაბარდოელი ბელადი — ისმაილი და ბულატი ატაშუკა....

... დავუბრუნდეთ ბომბორას მთავარს. იქ ჩასვლისას დაგვხვდნენ მალალი და დაბალი რანგის ბელადები, რომლებმაც დიდი პატივით მიგვიყვანეს ბინაში, უფრო უკეთ ცალკე პატარა შენობაში, რომელიც განკუთვნილი იყო სტუმრებისთვის. კედლებზე ეკიდა სხვადასხვა იარაღი, ძვირფასად ნახელავი ჯაჭვის პერანგი, ალაგ-ალაგ მორთული ოქროთი და ძვირფასი ქვებით. სხვა მხრივ ოთახი არაფრით განსხვავდებოდა თურქეთის სასტუმრო სალონისგან. იქ იდგა ტახტი, იყო ხალიჩები და სხვა მოწყობილობა, რაც ხშირად აგვიწერია. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს შეუდარებელი ჩერქეზული ჭილობები, რომლებიც ფარავდნენ ოთახს და განთქმულია მთელ აღმოსავლეთში, როგორც საფენის სასახლეებისა და მეჩეთების იატაკისთვის.

რადგან მთავარს უარი ეთქვა, რომ მიგველო ტონუსის სხვა მომცემი გარდა ფინჯანი ყავისა და ჩიზუსის მონევისა, ჩვენმა მასპინძლებმა გაგვიყვანეს ბალებში და გვიჩვენეს მთავრის ეზო-კარი, მისი საუცხოო ცხენები, საქონელი და სხვა. ჩერქეზეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანები წარმოადგენენ, ქალს, როგორც კაცის მოახლეს, საზოგადოებაში არ აქვს ადგილი. ამდენად ჩვენ არ გავაცენეს ჩერქეზი ბელადის ქალები და ოჯახობა. კარმიდამოს თვალყურებისას მაინც მოგვეცა საშუალება გვენახა მისი ჯალაბის ლამაზი ნევრები, რომლებიც დაკავებული იყვნენ უბრალო სამეურნეო საქმიანობით. მათი ლამაზი ევროპელი დების მსგავსად, ისინიც ნამდვილად ვერ ხედავდნენ დანაშაულს სახის ჩვენებაში, რადგან ჩადრა — მაჰმადიანი ქალების სამოსის ეს აუცილებელი შემადგენელი გვერდზე მოეგდოთ (არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სურდათ მიეპყროთ უცხო სტუმრების მზერა); ყოველ შემთხვევაში, სახის დაფარვის ჩვეულება ქალებში არ უნდა იყოს საყოველთაო ჩერქეზეთში [20]. მათ ყველას შემოხვეული ჰქონდა თეთრი კაბის მსგავსი, დამზადებული აქლემის ან თხის ბუნვისგან, რაც, უკან გადაადებული მიტკლის (მუსლინის) გრძელი ვუალით, აძლევდა მათ უალრესად ორიგინალურ შესახედაობას.

სახის ნაკვეთების სიმშვენიერე და ფორმების სიმეტრია, რომლითაც ჩერქეზთა მოდგმა ასე განთქმულია, არ არის გადამეტებული. მაგრამ თავისებურად აღმაფრთოვანებელია ორივე სქესის გამოხედვა, რომელიც იპყრობს მოგზაურის ყურადღებას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია კაცებში, რომელთა გამომეტყველება მათ აძლევს დიდ სიცხოველეს, მიახლოებულს მრისხანებასთან.

როგორც მოსალოდნელია, მთის სუფთა ჰაერი აძლევს მათ აღნაგობას სინორჩეს, რასაც არ უნდა ველოდოთ ასეთი ამტანობისას....

ძალზე ნასიამოვნები ჩვენი ექსკურსიით — ბომბორას მთავრის მთის სახლის მონახულებით, დაეუბრუნდით ჩვენს გემებს და განვაგრძეთ გზა შემდგომი სამხედრო სადგურისკენ —სუხუმ-კალესკენ. ეს გახლავთ ერთერთი ყველაზე საინტერესო პუნქტი ჩერქეზულ სანაპიროზე თავისი ისტორიული წარსულით: ძველების უმრავლესობა თანხმდება, რომ ის აშენდა განთქმული დიოსკურიის ადგილზე. ეს შეხედულება დამატებით დასტურდება ვრცელი ნანგრევებით, რაც რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინეს გარნიზონის რუსმა ოფიცრებმა. ამჟამად სუხუმ-კალე მოიცავს ცოტა რაოდენობის საცოდავ სახლს (ქოხს), რომლებშიც ცხოვრობენ ბერძნები და სომხები. ადრიანოპოლის ზავამდე [21] თურქების მფლობელობაში ქალაქი ყვაოდა და იქ ცხოვრობდა 3000 სული. მას მერე ქალაქს მონაცვლეობით იკავებდნენ რუსები და ჩერქეზები, ისე რომ მებრძოლი მხარეები ძლივს სტოვებდნენ ქვას ქვაზე, თუ გამოვრიცხავთ სიმაგრის კედლებს; ესენი კი ატარებენ მძიმე ბრძოლების აშკარა კვალს, რომლის შემცირება რუსეთის მხრიდან მხოლოდ ქვემეხებით ხდებოდა.

როგორც ყველა სხვა ფორტსა და რედუტში, რომლებიც ჩერქეზულ სანაპიროზე მოვიანახულებთ, სუხუმ-კალეშიც მრავალი ქვემეხი ჰქონდათ, მაგრამ განკუთვნილი არა ზღვიდან შემოსევის მოსაგერიებლად, არამედ მთიელების შესაკავებლად, რომლებსაც ეკავათ მთელი მოსაზღვრე მხარეები. ისე მუდმივია მათი მტრობა, რომ ვერცერთი ჯარისკაცი ვერ ბედავს სიმაგრის გარეთ გასვლას ქვემეხის თანხლების გარეშე —რაც კავკასიელ პარტიზანებს აფრთხობს. მართლაც, იმდენად თავხედურია და დაულალავი მთიელთა შემოტევები, რომ, როგორც გარნიზონის ოფიცრებმა გვითხრეს, ესენი იძულებული გახდნენ გაენვრთნათ ძალები გუშავთა მოვალეობის შესასრულებლად. ეს ცხოველები თავის მოვალეობას ძალზე კარგად ასრულებენ: თუკი მტერი ახლო-მახლოა ჩასაფრებული, ხმამალალი ყეფისთანავე ცხადდება განგაში. ამას თუ დაეუმატებთ ადგილობრივ არაჯანსაღ ჰავას, ცუდ წყალს და კავკასიურ ჩვეულებრივ ციებ-ცხელებას, როგორი საცოდავი ბედი ერგო უბედურ რუს ჯარისკაცს, რომლის სვე კავკასიაა! ისინი, გარდა სიკვდილისა, მცირეოდენს უნდა ელოდონ: ცოტანი თუ ბრუნდებიან სახლში და იმათაც, ბედის წყალობით, თან მიაქვთ ხანგამოშვებითი ციებ-ცხელება, რომლისგანაც არასდროს იკურნებიან.



საცოდავი სანახავი იყვნენ სანყალი ადამიანები, როცა ისინი გამოყარეს სიმაგრის ეზოში თავად ვორონცოვისთვის დათვლიერებაზე. მათი ჩამომჭკნარი სახეები, დაბინტული თავები, უძლური კიდურები მიუთითებდნენ იმაზე, რომ ისინი ჰოსპიტალში მოთავსებას უფრო იმსახურებდნენ, ვიდრე პარადზე გაყვანას. თუმცა, რასაც არც ჩვენ უარვყოფთ, 300 შეკრებილიდან 50-ზე მეტი არ შეიძლებოდა ჯანმრთელად მიგვეჩნია; მართლაც, ნახევარზე მეტს არ შეეძლო თავისი მუშკეტის დაკავება. ამასთან მათი მეოთხედი სუხუმ-კალეში არ იმყოფებოდა გაუსაძლის მდგომარეობაში: იზოლატორში, როგორც ყაზარმებში, ჰაერი ნიავედებოდა; და როცა თავადმა იკითხა, უპასუხეს, რომ არ ჰქონდათ უკმაყოფილების მიზეზი საკვებისა და მოპყრობის თვალსაზრისით.; რომ პროვიზიის საწყობები კარგად მარაგდებოდა, პურიც და ხორციც საუკეთესო ხარისხის ჰქონდათ და არაფერი იყო საჭირო. ჩვენ არ ვიცით რაა მართალი, საკმაოდ ზომიერად ემსახურებოდნენ, თუ ოფიცრებისა და ჩინების მკაცრი ზედამხედველობით. ვერ მოვისმინეთ სრული სიმართლე. ყოველ შემთხვევაში, ამ უკანასკნელებს ადანაშაულებენ რიგითი ჯარისკაცების ხარჯზე გამდიდრებაში, რომლებიც ამიტომ განიცდიან საკვების, ტანსაცმლის ნაკლებობას; მოკლედ, ყოველ მხრივ — სამარცხვინო პრაქტიკის გამო. სიკვდილიანობა სუხუმ-კალეში საშინელია; ხანგამოშვებითმა ციებ-ცხელებამ უდიდეს ზღვარს მიაღწია. ზოგიერთები დაავადებული იყვნენ სურავანდით (სკორბუტით), რასაც ძირითადად ინვეეს არაჯანსაღი (უვარგისი) საკვები.

თუმცა, სხვა მიზეზი რომც არ არსებობდეს, უბედურ ჯარისკაცს კავკასიაში ასრულებინებენ იძულებით მძიმე სამუშაოს, როგორცაა სამხედრო გზის გაყვანა (რაც ზემოთ ვახსენეთ), რომელმაც უნდა შემოუაროს ჩერქეზულ სანაპიროს. ესეც საკმარისია, რომ დაავადდნენ, რადგან განიცდიან აზიის მწველი მზის გავლენას დღის განმავლობაში და ტემპერატურის უცვარ დაცემას ღამის დადგომისას. რომ არაფერი ითქვას სპირტიანი სასმელის რაოდენობაზე, რასაც რუსი ჯარისკაცი მოიხმარს — ესაა აღმგზნები, რომლითაც მთავრობა საკმაო რაოდენობით ამარაგებს მათ, რათა ნახალისონ მძიმე შრომაში.

რა თქმა უნდა, თუკი ჯარისკაცი სადმე უნდა იმსახურებდეს კარგ მოპყრობას თავისი მმართველობისგან, ეს რუსეთია. ის მომთმენია გაჭირვებისას, მორჩილი უფროსისადმი, მკაცრად დისციპლინირებული და არავითარი ავი მოპყრობა, არავითარი საფრთხე

არ შეაკავებინებს თავს (გადაათქმევინებს) შეასრულოს თავისი მოვალეობა საკუთარი მეფისა და ქვეყნისათვის....

...შევაჯამოთ ჩვენი დაკვირვება სუხუმ-კალეს შესახებ: ყოველივეს განხილვის შემდეგ ჩვენ ძლივს ვირწმუნეთ, რომ სხვა ძალა, გარდა რუსულისა, ასე ძლიერად არ გაანადგურებდა თავისი სუბიექტის სიცოცხლეს, რათა შეენერჩუნებინა პოზიცია თანამედროვე ვითარებაში და დაეცვა მნიშვნელოვანი უპირატესობა თავისი მდებარეობის გამო. გარდა მომწამლავი ჰაერისა, რომელიც ავრცელებს დაავადებებს, მის რაზმებს ემუქრება მტრის თოფი, რომელიც არასდროს თვლემს (ისვენებს). ამასთან ერთად ყურე არაა უზიფათო (დაცული), არც ლუზის ჩასაშვებია (მისადგომი) კარგი. აგრეთვე მხარე სუხუმ-კალეს უშუალო მეზობლობაში არის ერთერთი ყველაზე ველური და მიუდგომელი კავკასიაში, ხოლო იქაური მოსახლეობა ალბათ სხვებზე დაუნდობელი, რადგან შეურიგებლად მტრობენ რუსეთს... რამდენიც არ უნდა გავკიცხოთ რუსული ხელისუფლება, მისი უბედური ჯარისკაცები, რომლებიც განიცდიან ასეთი ჰავისა და მტრის ზემოქმედებას, მაინც იმსახურებენ ჩვენს თანაგრძნობას. ჩვენ გვწამს, რომ სანამ ჩერქეზეთში იარსებებენ ტყეები და მთები, მათი შვილები არასოდეს შეეგუებიან დაემორჩილნ დალას, რომლის მიმართაც აქვთ სიძულვილის ბევრი მიზეზი.

### მცირე კომენტარები:

ტექსტში გვხვდება მრავალწერტილები, რაც გულისხმობს გარკვეული ადგილების გამოტოვებას, რომლებიც თემას არ ეხება. ასევე, შეიძლება ერთი-ორი ადგილი თითქოს იმეორებს ერთმანეთს; მაგრამ გავიხსენოთ, რომ ისინი 15 წლის დაშორებითაა დანახული და ალბათ ავტორი ცდილობს მათ დაზუსტებას და უკეთ წარმოჩენას — გ.გ.

[1] სებასტოპოლისი—სოხუმის ისტორიული სახელწოდება, რომელიც მოდის რომაელების მიერ ახ.წ. I საუკუნეში დაარსებული ციხე-სიმაგრის სახელიდან. ხოლო სევასტოპოლი დაერქვა გენუელების მიერ აქ დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიას.

[2] აკერმანის კონვენციით (1826 სექტ.) თურქეთმა რუსეთს გადასცა სოხუმი, რედუტ-კალე და ანაკლია. ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით (1829 სექტ.) რუსეთს გადაეცა შავი ზღვის

მთელი აღმოსავლეთ სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან სოფ. შეკვეთილამდე, აჭარის ჩრდილო საზღვართან.

[3] ისკურია ხომ არ არის შარდენისეული ისგაური, კოდორის კონცხის სიახლოვეს?

[4] კელასური (იგივე კლისურა). V-VII სს-ში არსებობდა „ზღუდე კლისურისა“; XVII ს-ში ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) ააგო სიმაგრეთა სისტემა აფხაზთაგან თავდასაცავად, კელასურის კედლის სახელით ცნობილი.

[5] ანაკრია იგივე ანაკლიაა; ოდიშის სავაჭრო ნავსადგური XV-XVII სს-ში. თურქებმა XVIII ს-ში იქ ციხე ააგეს. რუსებს გადაეცა 1826 წელს. (იხ. კომენტ.[2]).

[6] პონტოს სამეფო ელინისტური სამეფოა ძვ.წ. IV-I სს-ში მცირე აზიაში. პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორმა (132-63) დაიპყრო შავიზღვის ჩრდილო სანაპიროს ქალაქები და კოლხეთი. იგი დაამარცხა რომაელმა სარდალმა პომპეუსმა.

[7] კელტებში იგულისხმება ბრიტანეთის ძირითადი მოსახლეობა ძვ.წ.VIII—ახ.წ.VII სს.

[8] ჩერქეზეთში გულისხმობს შავი ზღვის აფხაზურ სანაპიროს, თუმცა ამბობს, რომ ბომბორა აბაზიაშია და რუსები ამ ნაწილს უწოდებენ „აბხაზი“-ს. ავტორს ალბათ რუსებისგან ესმოდა „აბხაზი“. აფხაზები ჩერქეზულ მოდგმად მიაჩნია.

[9] მიხეილ შარვაშიძე (1811-65) აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი (1822-64); გიორგი (საფარ ბეგი) შარვაშიძისა და გრიგოლ დადიანის დის, თამარის ვაჟი. სამთავრობო რეზიდენციები ჰქონდა ბომბორასთან, ოჩამჩირეში. 1826 წელს მას რედუტ-კალეში შეხვდა გერმანელი მეცნიერ-მოგზაური ედუარდ აიხვალდი, რომლის სიტყვითაც მიხეილი იყო მაიორი. 1821-26 წლებში აფხაზების აჯანყებებია. 1831 წელს იგი უკვე პოლკოვნიკია. აიხვალდის სიტყვით, მას აფხაზები ცნობენ თავის მთავრად, მაგრამ მისი უფლებები მაჰმადიან მოსახლეობაზე შეზღუდულია. ძირითადად მისი უფლებები ვრცელდება ბზიფზე. აფშაუ და აფხაზი მის ბიძებსა და ბიძაშვილს ემორჩილებიან („ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ“, თბ., 2005).

[10] სოუბაჩი ხომ არ არის აიხვალდისეული —სუბცი? (აიხვალდის დასახ. ნაშრ. გვ. 222)

[11] მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი (1782-1856), რუსი თავადი, ფელდმარშალი; 1844-54 წლებში კავკასიის პირველი მეფის-

ნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი.

[12] იმერეთს 1810 წლის შემდეგ დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და ქართლ-კახეთით ითვლება რუსეთის პროვინციად.

[13] გეორგიაში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო, რუსების გრუზია, განსხვავებით იმერეთის, სამეგრელოსა და გურიისგან; ასევე სვანეთისა და აფხაზეთისგან.

[14] ბიჭვინთის (ძველების პიტიუნტის) ციხეში II-III სს-დან იდგა რომაული გარნიზონი. IV საუკუნეში აქ უკვე ყოფილა საეპისკოპოსო კათედრა; ეპისკოპოსი სტრატოფილე ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების (325 წ.) მონაწილე იყო. მოგვიანებით აქ იჯდა აფხაზეთის კათალიკოსი; XV-XVII სს-ში — აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქი. ბიჭვინთა იყო ძღავერი კულტურული და სავაჭრო ცენტრი. აქ იყო სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დროის ტაძრები (IV, V, VI-VII, X—XI საუკუნეთა), რომელთა ნანგრევები არქეოლოგთა კვლევის საგანია.

[15] იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში.

[16] ბომბორასკენ სვლას სპენსერი უწოდებს ჩერქეზეთის სიღრმეში შესვლას. (შდრ. კომენტარი [8]).

[17] იხ. კომენტარი [9].

[18] ბომბორას წინამძღოლია მიხეილ შარვაშიძე.

[19] იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855).

[20] სახეს არ იფარავდნენ ქრისტიანები, მეტწილად ალბათ ქართველები, რომლებსაც ავტორი არსად არ ასახელებს.

[21] ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება დაიდო რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შემდეგ 1829 წლის 14 სექტემბერს. საქართველოსთან დაკავშირებით თურქეთმა ცნო ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის რუსეთთან შეერთება, რუსეთის ხელში გადავიდა შავი ზღვის აღმ. სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან აჭარის ჩრდილო საზღვრამდე (სოფ. შეკვეთილი), ანაპისა და ფოთის სიმაგრეებით; ახალციხის, ახალქალაქის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის სანჯაყები.

**Gia Gelashvili**

*Doctor of History. Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University, Senior-scientist  
researcher of the Ivane Javakhishvili  
Institute of History and Ethnology*

## **English traveller Edmund Spencer about Abhasien**

### **Summary**

Captain Edmund Spencer was a prolific British travel writer of the midnineteenth century. Spencer's great tour took him from Vienna to Constantinople and the Black Sea where he visited the Caucasus. He hereafter published his "Travels in the Western Caucasus"(London, 1838), "Travels in Circasia, Krim-Tartary including a Steam Voyage down the Danube...and round the Black Sea"(I-II, London, 1839). Later he published a new work "Turkey, Russia, the Black Sea and Circassia"(London, 1854). The material about Abhasien is given in several chapters of above mentioned second and third books.

In the following article there is given the Georgian translation and comments to the Spencer's material about Abhasien. Spencer emphasizes that the population of this part of the Circassian coast, whom the Russians designate by the name of the "Abhazi", are the tribes of Circassians. He gives characteristics of the natives, their outward appearance, clothes etc. The traveller gives a description of towns (Soukoum-Kale, Bombora, Pitzunda), churches and draws a conclusion, that this people were once converted to Christianity.

Spencer speaks about Prince Michael Sharvashidze, about his Russian military education; that as a colonel of the Russian army was in high favour with the emperor, but here he was residing in the same primitive manner as his countrymen.

Spencer describes a very distressing situation of the Russian soldiers on account of climate and hostility of the natives. He accentuates Russian policy of annexation: "The loss of Georgia would be one of the greatest misfortunes for Russia. The Caucasian isthmus is the bridge which must be crossed by Russia to all her future conquests in Asia.No coast of men or money will be spared to win the long disputed passage".

## არჩილ ჩაჩხიანი

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის ომებისა და სამხედრო ხელოვნების, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ომის თეორიისა და ბუნების კურსის უფროსი ინსტრუქტორი

### **კიდევ ერთხელ სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ — ასახალაქის მაზრაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები საარქივო დოკუმენტაჟში**

სომხეთ-საქართველოს ომის საკითხებზე მუშაობა თერთმეტი წლის წინ, 2002 წელს დავიწყე, 2005 წლისათვის კი ნაშრომი უკვე დასრულებული იყო, თუმცა მისი ცალკე წიგნად გამოცემა „დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი“, მხოლოდ 2006 წლისათვის გახდა შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც 800 გვერდიანი მონოგრაფიის 521 გვერდამდე დაყვანა მოხერხდა ტექნიკური მიზმიზაციის გზით.

მანამდე სომხეთ-საქართველოს ომის თემატიკა სამხედრო-ისტორიული თვალსაზრისით ფაქტიურად შეუსწავლელი იყო, რაც გარკვეულწილად ალბათ შესაბამისი საარქივო მასალების მიუწვდომლობითა და იმ ინტერნაციონალური იდეოლოგიური წნეხის არსებობით უნდა აიხსნას, რაც ქართველთა და სომეხთა იძულებითი, სამოცდაათწლიანი პერიოდის ტოტალიტარულ რეჟიმში თანაცხოვრებით იყო გამოწვეული ერთიან, უნიტარულ საბჭოთა იმპერიაში.

მონოგრაფიის გამოცემამდე ამ საკითხს მხოლოდ რამდენიმე ქართველი და უცხოელი ავტორი შეეხო. თემა არ განხილულა სამხედრო ისტორიისა და მით უმეტეს სამხედრო ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით. ეს ნაშრომები თუ პუბლიკაციები უფრო ფართო, ზოგადი ხასიათისა იყო და ამ სამხედრო კონფლიქტის მხოლოდ გარკვეული ასპექტების კვლევას შეეხებოდა. ძირითადად კი, პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები განიხილებოდა. (Firuz Kazemzadeh. The struggle for Transcaucasia (1917—1921). Philosophical Library. New York. 1951. W. E. D. Alenn. Caucasian

battlefields. A history of the wars on the Turko-Caucasian border. 1828-1921. Cambridge. 1953. The Armenian Revolutionary Federation (Dashnagtzoutiun) Has Nothing to Do Anymore. The Manifesto of Hovhannes Katchaznouni First Prime Minister of the Independent Armenian Republic/Tranl. by Matthew A. Callender. Armenian Information Service, 1955. Richard G. Hovannisian. The Republic of Armenia: The first year, 1918-1919. University of California Press, 1971. ლევან სანიკიძე. მესამე დასის საქართველო. თბილისი. „მერანი“. 1989. რ. ჯაფარიძე. ერის ინტერესები ერისკაცმა უნდა დაიცვას, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 22 ივნისი. Бахтияр Наджафов. Лицо врага. История армянского национализма в Закавказье в конце XIX — начале XX в. Часть вторая. Баку. 1994. შოთა ვადაჭკორია. „საქართველო-სომხეთის ურთიერთობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. (1918-1920). 2002. ნინო ვაშაყმაძე. სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში“. გამომცემლობა „საქართველო“. ქუთაისის ფილიალი. 2002. Гурам Мархулия. Турция и Армяно-Грузинский вооруженный конфликт в октябре 1918 года. Сухумский филиал Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили. Тбилиси. 2005. Гурам Мархулия. Армяно-Грузинская мирная конференция 1919 года и создание Лорийской нейтральной зоны. Всегрузинское историческое общество им. Эквtime Такашвили. Тбилиси. 2005. და სხვა). ცხადია, ამ ჩამონათვალში ვერ შევიყვანთ ზოგიერთი სომეხი „მეცნიერის“ მიერ შეკონინებულ „ნაშრომს“, სადაც ტენდენციურობასთან, ფაქტების გამიზნულ დამახინჯებასა და ისტორიის აშკარა ფალსიფიკაციასთან გვაქვს საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში, კვლევებსა თუ პუბლიკაციებში, სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული შეიარაღებული დაპირისპირება ზოგან მცირე სახელმწიფოებრივი უთანხმოების, ზოგან საზღვრისპირა კონფლიქტის, უმნიშვნელო შეტაკებისა თუ მინის ვიწრო ზოლისათვის წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ინცინდენტის სახელებით არის მონათლული. რეალურად კი, ეს სახელმწიფოებრივი დაპირისპირება სრულმასშტაბიან ომს წარმოადგენდა სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის, ყველა პოლიტიკური ასპექტისა და საბრძოლო კომპონენტის ჩათვლით. არსებულ ნაშრომთა არასრულყოფილებისა და მათში დამკვიდრებული შეცდომების მიზეზები გასაგებიცაა, რამეთუ სომხეთ-

საქართველოს ომის შესახებ არსებული დოკუმენტები და საარქივო მასალები ნაწილობრივ მიუწვდომელი იყო და შესაბამისად, სრულყოფილი კვლევების ჩატარების საშუალებაც არ არსებობდა.

შემდგომ წლებში უკვე მრავალი მეცნიერი და მკვლევარი დაინტერესდა ამ თემით და გარკვეული ნაშრომებიც დაიდო საკითხის სრულფასოვნად წარმოდგენისათვის. დიდი ინტერესით გაცვანი ინტერნეტ-პორტალზე ენდრიუ ანდერსენისა და გეორგ ეგგეს (Эндрью Андерсен и Георг Эгге) მიერ რუსულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს „Армяно-Грузинская война 1918 г. и Армяно-Грузинский территориальный вопрос в XX в” [1]. ნაშრომის ერთი ნაწილი, რომელიც უშუალოდ სომხეთ-საქართველოს ომსა და იქ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს ეხება, ძირითადად ჩემი და ზემოთ წარმოდგენილი ორი ავტორის, ფირუზ კაზიმზადესა და რიჩარდ ოვანესიანის (Firuz Kazemzadeh, Richard Hovannisian) მონოგრაფიებზე დაყრდნობითაა შესრულებული მაღალ შემეცნებით დონეზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაშრომში წარმოდგენილი ილუსტრაციები, რუკები და სქემები, რომლებიც დიდი სიზუსტითაა შედგენილი და საომარ თეატრს, საბრძოლო მოქმედებების გეოგრაფიას, დაპირისპირებულ მხარეთა შენაერთების გადაადგილების მარშრუტებსა და ქრონოლოგიას სრულად შეესაბამება. ავტორთა მიერ განეული დიდი შრომა დასაფასებელია, ნაშრომი კი, მნიშვნელოვნად ავსებს ჩემს მონოგრაფიას ვიზუალური და შემეცნებითი აღქმის თვალსაზრისით. აკი თავის დროზე წიგნის შესავალ ნაწილში ვწერდით, რომ „...ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომს, რა თქმა უნდა, სულაც არა აქვს აბსოლუტური სრულყოფილებისა და უცილო ჭეშმარიტების პრეტენზია” [2, 12].

ენდრიუ ანდერსენის და გეორგ ეგგეს ნაშრომის მე-8 თავში — „Эскалация конфликта: Восстание в Лори и армянское наступление“, წარმოდგენილია სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების მოკლე მიმოხილვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახალქალაქის მახრამში. ავტორები წერენ: „Два дня спустя, генерал Макашвили направил армянским командирам ультиматум с требованием незамедлительной эвакуации территории уезда. За этим последовал ряд маневров между 8 и 20 декабря 1918 г. (в основном, кавалерийскими силами), после которых армянские части покинули Ахалкалакский уезд. Чачхиани в своем исследовании ссылается на газетные сообщения о достаточно кровопролитных боях за село



Троицкое 16 и 20 декабря (с потерями, составившими не менее 100 убитыми с обеих сторон), однако эти сведения не находят подтверждения в других имеющихся источниках“.

წარმოდგენილ ამონარიდში აშკარად არასწორია ავტორთა მიერ ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგების შესახებ მოყვანილი რიცხვი ცოცხალ ძალაში — 100 მოკლული. იგი გაცილებით ნაკლები იყო და სულ რამდენიმე კაცს შეადგენდა. რაც შეეხება სომეხთა დანაკარგებს, აქ ავტორები მართლები არიან — მხოლოდ მოკლულების სახით სომეხთა დანაკარგები მართლაც 100 მეომარს შეადგენდა, აღარაა საუბარი დაჭრილებსა და ტყვეებზე. საბრძოლო დანაკარგების ზუსტ რაოდენობებს ჩვენ ქვემოთ წარმოდგენილ უტყუარ დოკუმენტებში ვაჩვენებთ.

შენიშვნას სრულად ვიზიარებთ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ჩემს მონოგრაფიაში ახალქალაქის მახრაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ მხოლოდ იმდროინდელი პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით იყო სურათი წარმოდგენილი. მართლაც, მონოგრაფიაზე მუშაობის პერიოდში, საომარ მოქმედებათა ბორჩალოს თეატრისაგან განსხვავებით, ახალქალაქთან მიმართებაში, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ უტყუარ საარქივო პირველწყაროებს (საბრძოლო ბრძანებები, პატაკები, მოხსენებები ბარათები, შიფროგრამები, საომარ მოქმედებათა ყურნალიდან ამონაწერები და ა.შ.). ახალქალაქის მახრაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ მასალები მხოლოდ მოკლე ცნობების სახით იყო წარმოდგენილი იმდროინდელ პრესაში („საქართველო“ — 1918 წლის ქრისტეშობისთვის 20. №247 და „სახალხო საქმე“ — 1918 წლის 22 დეკემბერი. №414.). და ეს გასაგებიცაა. რამეთუ, იმ წლებში საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის საცავებში არსებული საარქივო მასალები არ იყო სრულყოფილად რესტავრირებული, კლასიფიცირებული და დალაგებული თემატიკისა და ქრონოლოგიის შესაბამისად. ეს მუშაობა და დოკუმენტების აღდგენის პროცესი დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს არქივის რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიებსა თუ განყოფილებებში.

ამ დოკუმენტებს ჩვენ უკვე მოგვიანებით, წიგნის გამოცემიდან ორი-სამი წლის შემდეგ მივაკვლიეთ სულ სხვა თემაზე მუშაობის დროს, სულ სხვა ფონდებსა და საქმეებში, მაგრამ მათი გამოქვეყნება გარკვეული მიზეზების გამო, დღემდე ვერ მოვახერხეთ.

მათ ჩვენ ამჯერად წარმოვადგენთ და მცირე კომენტარებსაც დავურთავთ.

საარქივო დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული საჯარისო ფორმირებების მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაკავებისათვის სამზადისსა და ძალთა კონცენტრაციის აღწერას ეხება. როგორც ცნობილია, 1918 წლის გაზაფხულზე ოსმალურმა შენაერთებმა ბრძოლებით დაიკავეს ისტორიული ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი, და მათ შორის თბილისის გუბერნიის ახალქალაქი-ახალციხის მაზრები. ქართველთათვის ეს მეტად წარუმატებელი ომი ბათუმის 1918 წლის 4 ივნისის საზავო ხელშეკრულების დადებით დასრულდა. ხელშეკრულების II სტატიით განისაზღვრა ოსმალთა იმპერიასა და ამიერკავკასიის ახლადშექმნილ რესპუბლიკებს შორის გამავალი ახალი სასაზღვრო ხაზიც, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი მდ. ჩოლოქზე, აბასთუმანსა და აწყურზე, შემდეგ კი, აღმოსავლეთით — ტბების (ტაბანყური, ფარავანი, საღამო, მადათაფა) რაიონზე გადიოდა. [3, 7-8]

ასეთი სურათი 1918 წლის ნოემბრამდე იქნა შენარჩუნებული, ე.ი. მანამდე, სანამ I მსოფლიო ომში დამარცხების გამო, თურქულმა მხარემ იძულების წესით არ დაიწყო აღნიშნული რაიონების დაცლა საკუთარი საოკუპაციო ჯარებისაგან. მიუხედავად ამისა, ქართული სამხედრო უწყების მიერ უკვე სექტემბრის დასაწყისიდან დაიწყო არა მარტო აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნებისათვის სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა, არამედ მისი აღსრულებისათვის სამზადისიც. საქართველოს სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძის მიერ გენერალ აბელ (ბალო) მაყაშვილისადმი გაცემულ მოკლე ბრძანებას შემდეგი სახე ჰქონდა:

ტელეგრამა 4142.

04. 09. 1918. 9 საათი და 47 წუთი.

1-ლი დივიზიის მეთაურს (გენერალ მაკაევს). საიდუმლო. ვუბრძანებ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ჯარებს სასწრაფოდ დაიკავონ აწყური-აბასთუმნის ხაზი.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე [1].

20 ოქტომბრისათვის, მოპოვებულ იქნა გარკვეული სადაზვერვო მონაცემები ოსმალთა სასაზღვრო ქვედანაყოფების რიცხოვნობისა და შეიარაღების შესახებ.

20. 10. 1198. 19 საათი და 10 წუთი.

ნერილი, პირადად.

საიდუმლო

გენერალ მაკაევს.

ჩემი აგენტისაგან მივიღე ცნობები, რომ საზღვარზე მხოლოდ ასი ასკერი დგას და ექვსასი ადგილობრივი მაცხოვრებელი, ახალციხეში კი მხოლოდ ოთხასი ადგილობრივი მაცხოვრებელია, რომლებსაც სწავლებებს უტარებენ. ეხლა საზღვარზე მხოლოდ ორი ქვემეხია, ახალქალაქში კი ცნობები არა გვაქვს. თქვენი ნებართვით ხვალ მე გავაგზავნი და შევიტყობ თუ რამდენი ტყვიამფრქვევია ახალციხესა და აწყურში.

და მთავარი — ადგილობრივი მუსულმანები სულმოუთქმელად გელიან.

ჯაფარიძე [4, 9].

29 ოქტობრისათვის დაზუსტებულ იქნა შემდგომი ამოცანები, ქართული საჯარისო შენაერთის სარდალს კი, შესაბამისი შიფროგრამა გაეგზავნა სამხედრო მინისტრის სახელით.

ტელეგრამა 239.

29. 10. 1918. 11 საათი და 10 წუთი.

გენერალ მაკაევს, გენშტაბის განყოფილებიდან. სასწრაფო.

თუ სწორად მაცნობეს რუხაძის მხრიდან, აუცილებელია მიიღოთ უფრო გადამწყვეტი ზომები. დატოვეთ ახალციხისათვის უმცირესი რაოდენობა, დანარჩენებთან ერთად კი გადაადგილდით ახალქალაქის მიმართულებით. თქვენი მხარდაჭერისათვის გორიდან, მიხაილოვოდან (დღევანდელილ ხაშური — ა. ჩაჩხიანი), ბორჯომიდან იგზავნება 200 სახალხო გვარდიელი და ქუთაისიდან 2 ასეული. ახალქალაქის მიმართულებით სწრაფი გადაადგილება აუცილებელია, მისი სხვა ძალებით დაკავების აღკვეთის მიზნით.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე [4, 4].

მინისტრ გიორგაძის შეშფოთება ახალქალაქის მაზრის „სხვა ძალებით“ დაკავების შესახებ, სრულიად გასაგებია. ამ „სხვა ძალებში“ დაშნაკური სომხეთი და მისი შეიარაღებული ძალები იყონაგულისხმევი. აქ არ მოვყვებით საქართველოსა და სომხეთის პირველი რესპუბლიკების მთავრობებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებების პოლიტიკური თუ ისტორიული მიზეზების კვლევას, რამეთუ ეს საკითხები საკმაო სიღრმითა გვაქვს განხილული ჩვენს მონოგრაფიაში, და იგი სრულადაა წარმოდგენილი სხვა ავ-

ტორთა ნაშრომებშიც. ვიტყვით მხოლოდ ერთს — ამ სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების მთავარი მიზეზი ის ტერიტორიული პრეტენზიები იყო, რაც დაშნაკური სომხეთის მთავრობამ წამოუყენა საქართველოს მთავრობასა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ისტორიულად და დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია, რომ სომხეთის დაშნაკური მთავრობა და მისი პირველი პირი, ბატონი ოვანეს კაჩაზნუნი „ხალხთა თვითგამორკვევისა და ეთნიკური პრინციპის თანახმად, ახალქალაქის მაზრას მთლიანად და ბორჩალოს მაზრის სომხურ ნაწილს ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიიჩნევდნენ სომხეთის კუთვნილებად, სადავოდ კი, მხოლოდ მდინარე ხრამის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს თვლიდნენ“ [5, 3].

უნდა აღინიშნოს, რომ ანტიქართულ მოქმედებებში აქტიურად ჩაებნენ არა მარტო სომხეთის პოლიტიკური და სამთავრობო წრეები, არამედ საქართველოს სომხური მოსახლეობაც. განსაკუთრებული აქტიურობით სომეხთა ეროვნულ საბჭოსთან დაახლოებული პირები და სომეხი სამღვდელოება გამოირჩეოდა, რომელთა მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ზომების გატარება უხდებოდა.

#### ტელეფონოგრამა 879

ბაკურიანიდან ბორჯომში. 31. 10. 1918. 1 საათი და 22 წუთი. გენერალ მაკაევს.

თქვენი ტელეგრამის შესაბამისად, სომეხთა ეროვნული საბჭოს რწმუნებული პროტერეი მალიანი დაპატიმრებულია და გადაგზავნილია ტიფლისში.

კომისარი ყორდანია [6, 73].

1918 წლის ნოემბრის თვიდან საქართველოს მთავრობა იწყებს გადაუდებელი ზომების გატარებას სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ქართული ჯარებით დასაკავებლად. მიმართულების სარდლად და მხარის გენერალ-გუბერნატორად გენერალი მაცაშვილი ინიშნება, მთავრობის საგანგებო რწმუნებულად — ლეო რუხაძე, უშუალოდ ახალციხის რაზმის უფროსად კი, პოლკოვნიკი ჯაფარიძე. მაცაშვილის შტაბი ბორჯომში ფუძნდება. იწყება ძალთა კონცენტრაცია აწყურში, რომლის ძირითად ნაწილს დასავლეთ საქართველოში დისლოცირებული I ქვეითი დივიზიის მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები შეადგენდნენ, რასაც ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი ადასტურებს.

### ტელეფონოგრამა 41

12 ნოემბერი 1918.

ანყური.

მე-4 ქვეითი პოლკის მე-2 ბატალიონის უფროსი.

ახალციხე-ახალქალაქის დროებით გენერალ-გუბერნატორს.

გთხოვთ ამიხსნათ მაქვს თუ არა უფლება შეტევით მოქმედებებში ჩავერთო სოფელ ანყურში განლაგებული მესაზღვრეები? ახლახანს მივიღეთ შემდეგი შინაარსის ტელეგრამა: „გენშტაბის უფროსის განკარგულებით ყველა განკარგულება რომელიც სასაზღვრო დაცვის ძალებს შეეხება, უნდა მომდინარეობდეს სასაზღვრო დაცვის უფროსის, მაკაევისაგან“. აქვე მოგახსენებთ, რომ თუ მათ არ ჩავთვლით, ჩემ რაზმში ავადმყოფებისა და არასამწყობროების გარდა იქნება 2 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი, მე-4 პოლკის მე-2 ბატალიონის 167 ხიშტი, 36 მოხალისე ბერდანკებით და 100 უიარალო მოხალისე. 1-ლი პოლკის ორი ასეული 160 ხიშტით კი ვაპირებ დავტოვო სოფელ ანყურში, რადგან ამ სოფლის მოსახლეობის უმეტესობა ჩვენს მიმართ კარგად არაა განწყობილი. რაზმი ძალიან პატარაა და წარმატებული შეტევისათვის საჭიროა მისი გაძლიერება. ამიტომაც გთხოვთ თქვენს განკარგულებებს, რითაც კი იქნება შესაძლებელი გაძლიერდეს ჩემი რაზმი თუნდაც გერმანელთა ორი ასეულით, ლეგიონებით, ნითელგვარდიელებითა და ქვემეხებით.

ჩემს ხელთ არსებული ცნობებით, ახალციხეში დგას სამბატალიონიანი ერთი თურქული პოლკი. ამ პოლკს შეიძლება მხარი დაუჭიროს მეორე ასეთივე პოლკმა, რომელიც აბასთუმანშია განლაგებული. ორივე პოლკში დაახლოებით 2000 კაცია.

ახალციხის რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი ჯაფარიძე [6, 36].

ჯარების გაძლიერება შემდეგშიც გაგრძელდა.

### ტელეფონოგრამა 73.

16. 11. 1918. 16 საათი და 14 წუთი. თბილისიდან, სასახლე. ბორჯომში, გენერალ მაყაშვილს.

მხოლოდ დღეს გამოვარკვიე, რომ მთავრობა გვაძლევს კიდევ 900 კაცს. ჯავშნიანი ავტომობილების საკითხი ჯერ ვერ გამოვარკვიე, ვინაიდან გერმანელებს ჯერ ჩვენი მთავრობისთვის არ გადმოუციათ. ვეცდები ესეც მოვაგვარო. ჯერ წამოსვლა არ მინდა, ვშიშობ ვაი თუ დაიგვიანოს ძალების გამოგზავნამ აქედან.

რუხაძე [6, 34].

ტელეფონოგრამა 1433

28. 11. 1198. 15 საათი და 40 წუთი.

ბორჯომი. გენერალ მაკაევს.

მიხაილოვოდან.

დღეს, 28 ნოემბერს ჩამოვალთ სალამოთი. ღამეს გავათევთ 31 ვაგონში.

გენერალ-მაიორი გელოვანი [6, 18].

ქართული საჯარისო ფორმირებების მზადებასთან პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობდა სომხეთის რეგულარული ჯარის გარკვეული ნაწილების გადმოჯგუფება მაზრის საზღვრებისაკენ. ახალქალაქისა და ახლციხის მაზრებში შემოხიზნული სომეხი მოსახლეობა კი, იარაღის ფარული შემოტანით იყო დაკავებული. ეს მოვლენები უწყურადღებოდ არ დარჩენილა ქართული მხარისათვის.

1918 წლის 5 დეკემბერს, ქართული ჯარის ნაწილები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში შედიან და იმავე დღეს ახალციხის მილიციის უფროსი გენერალ-გუბერნატორის შტაბიდან იღებს შემდეგი შინაარსის ტელეფონოგრამას.

ტელეფონოგრამა 516.

05. 12. 1918.

ახალციხე

გენერალ-გუბერნატორის კანცელარია.

ახალციხის მილიციის უფროსს.

გენერალ-გუბერნატორამდე მოსული ცნობებით სომეხი ლტოლვილები დაკავებულნი არიან იარაღის გადმოტანით. გენერალ-გუბერნატორი ბრძანებს დაანესოთ მკაცრი კონტროლი. დამნაშავეები გადაცემულ იქნებიან საველე სასამართლოს.

ადიუტანტი, პორუჩიკი მგალობლიშვილი [6, 128].

მეორე დღეს, 1918 წლის 6 დეკემბერს განისაზღვრა საგენერალ-გუბერნატორის ტერიტორიული გავრცელების ფაქტობრივი არეალიც და ქართული საჯარისო ნაწილების პასუხისმგებლობის ზონა.

ტელეგრამა 35

06. 12. 1918. ახლციხეში. გენშტაბიდან.

გენერალ მაკაევს.

გენშტაბის განყოფილების უფროსის ბრძანებულებით, გაცნობებთ რომ საზღვრად ჩათვალეთ ტიფლისის გუბერნიის საზღვარი.

პოლკოვნიკი ნაცვალოვი. [13]

ახლა კი, გენერალ მაცაშვილის 1918 წლის 14 დეკემბრით დათარიღებული მოხსენებითი ბარათი სამხედრო მინისტრს, სადაც სრულყოფილადაა აღწრილი სომხური ესკადრონის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპაციის პირველი მცდელობა და გენერალ მაცაშვილის მიერ გატარებულ საპასუხო ზომები.

სამხედრო მინისტრს. 14. 12. 1918.

...8 დეკემბერს, დაახლოებით 19 საათზე პორუჩიკ მგალობლიშვილის მოხსენებით სოფელი ბოგდანოვკა დაკავებულია სომხური ესკადრონის მიერ — დაახლოებით 130-150 მხედარი. ჩვენი რაზმი ბოგდანოვკამდე მისულია 3 ვერსზე და ელოდება ჩემს განკარგულებას. მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ ესკადრონის გარდა აქეთ მოძრაობს ორი პოლკი მთელი მაზრის დასაკავებლად, თითქოს მაზრა გადაეცა სომხეთს. მე ვუბრძანე ხაშურის გვარდიას, ფხაკაძის ასეულს და საარტილერიო ოცეულს კაპიტან კანდელაკის მეთაურობით გავიდნენ პორუჩიკ მგალობლიშვილის დასახმარებლად. თავიდან აწარმოონ მოლაპარაკებები, და იმ შემთხვევაში თუ ისინი ნებაყოფლობით არ გავლენ ბოგდანოვკიდან, მაშინ იარაღის გამოყენებით აიძულონ ისინი დაცალონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია.

პირადი ზეგავლენის მოხდენის მიზნით მე დავავალე გ. აბელიანს თან ახლდეს კაპიტან კანდელაკის რაზმს და დაარწმუნოს სომხური სარდლობა შეწყვიტონ ავანტიურა და დაემორჩილონ ჩემს მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დავემუქრე, რომ მოვექცევი დაუნდობლად ყველას, ვინც არ დაემორჩილება ჩემს მოთხოვნებს. დანარჩენ ჯარებს ვუბრძანე 9 დეკემბრის 8 საათზე გასვლა მხარდაჭერისათვის.

ამავე დროს ახალციხეში გავაგზავნე განკარგულება, რომ გამომიგზავნონ მე-4 პოლკის ბატალიონი მსუბუქი არტილერიის ოცეულითა და ჯავშნოსანი, თუ იგი უკვე იქაა. და თუ ჯერ კიდევ არაა იქ, სასწრაფოდ იქნას გამოგზავნილი ბორჯომიდან. ცხენოსანი მილიციონერებისა და მარხილების უქონლობის გამო ბატალიონი მხოლოდ 12 საათზე გამოვიდა. რომ მიმეცა მცირე დასვენების საშუალება, მე ვუბრძანე რაზმს ღამით დაესვენა სოფელ ჯიგრაშენში, ხოლო დილის 8 საათზე გასულიყო და შეერთებოდა კაპიტან კანდელაკის რაზმს. 9 დეკემბრის დილით მე თვითონ მიმდოდა შეერთებული რაზმს, მაგრამ 12 საათამდე ვერ შევძელი გადასაზი-

დი საშუალებების მოპოვება. ბენზინის მარაგი კი მხოლოდ ერთ გზაზე მაქვს საკმარი.

ჩავედი რა ბოგდანოვკაში საღამოთი, მე ვუბრძანე რაზმს რომ არ მიეცათ მონინალმდევისათვის გამაგრების საშუალება. მაგრამ ორლოვკის იქით სვლა შეუძლებელი იყო ცხენების გადაღლისა და გაძლიერებული ყინვების გამო — 20. ორლოვკიდან გორელოვკაში გავაგზავნე პოლკოვნიკი გველესიანი და გ. აბელიანი ესკადრონის მეთაურთან მკაცრი გაფრთხილებით, რომ სასწრაფოდ დაცალონ მაზრის ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევევაში დილიდან უკვე აღარ მოვითმენ მსგავს ქმედებებს. დაბრუნებულებმა მომახსენეს, რომ სომხური ესკადრონის მეთაური ელოდება დამატებით მითითებებს თავისი სარდლობის მხიდან, მაგრამ როგორც ჩანს, თვითონაც გრძნობს თავის უმართებულობას და დამატებითი განკარგულებების გარეშე აპირებს დატოვოს ეს ტერიტორიები.

დილით 9 საათზე, როცა ჩვენმა მენინავე ნაწილებმა გორლოვკასთან მიახლოება დაიწყეს, სომხები ჯაჭვში გაიშალნენ, და იგივე გააკეთა კაპიტანმა კანდელაკმაც. მალე გამოჩნდა პოდპოლკოვნიკი ხერხეულიძე, ამის შემხედვარე სომხური ესკადრონი მოიხსნა და სასწრაფოდ დაიწყო ეფრემოვკისა და ტროიცკოესკენ უკან დახევა. ასე, რომ მე უკვე არც ერთი სომეხი მხედარი ჩვენს ტერიტორიებზე აღარ მინახავს. სოფლების გადმოცემით, სომხურ რაზმში დიდი აურზაური იყო და ცდილობდნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ სოფელი, თავისი ავადმყოფების გადასაცვანად კი, სოფლებს ჩამოართვეს ცხენები და მარხილები.

14-თვის ჩვენს ტერიტორიაზე უკვე არც ერთი სომეხი ჯარისკაცი აღარ იყო. სოფლის ხალხი ძალიან გახარებულია ჩვენი ჯარების მოსვლით და ეს ეხება არა მარტო ქართველებსა და მუსულმანებს, არამედ თვით სომხებსაც კი, რომლებიც კარგს არაფერს არ მოელოდნენ სომხური ჯარის მათთან ყოფნით.

მე ვუბრძანე პოდპოლკოვნიკ ხერხეულიძეს განალაგოს თავისი რაზმი შემდეგი წესით:

ტროიცკოეში — ფხაკაძის რაზმი და ბორჯომის გვარდია;

ეფრემოვკაში — 1-ლი პოლკის ერთი ასეული;

გორლოვკაში — 1-ლი პოლკის ორი ასეული;

ბოგდანოვკაში — ბატარეა;

კარაზახში — ფხაკაძის ასეულები;

გარდა ამისა, გავეცი ბრძანება რომ შეკრიბონ მუსულმანი მოხალისეები, რომლებიც დადგებიან ტროიცკოეში, კარაზახში და



ახალქალაქში. მესაზღვრეების მოსვლისთანავე კი გადაადგილდეს მთელი რაზმი ახალქალაქში და დაიკავონ იქ არსებული ყაზარმები, ისე რომ არც ერთი ნაწილი და თუ ეს შესაძლებელი იქნება, არც ერთი სახელმწიფო შენობა არ იყოს ცარიელი და დაკავებული იყოს ჩვენი ჯარების მიერ, რათა მაქსიმალურად შევამციროთ შენობათა დაქირავების ხარჯები.

განწყობა და სულისკვეთება მაღალი არაა, გვარდიის ნაწილებში კი ძლიერადაა განვითარებული თვითგადარჩენის გრძნობები.

გენერალ-მაიორი კნიაზ მაკაევი [6, 121-122].

16 დეკემბერს გენერალ მაყაშვილს ახალქალაქის რაზმის უფროსის, პოდპოლკოვნიკ ხერხეულიძისაგან ეგზავნება ოპერატიული შეტყობინება, სადაც მონინაალმდეგის ძალთა კონცენტრაციაზეა საუბარი.

16. 12. 18. 20 საათი, გენერალ მაკაევის.

...დუხობორების გადმოცემით სომხები საზღვრებს იქით მაგრდებიან და თავს უყრიან ძალებს ალექსანდროპოლში. თურქები ცლიან ყარსსა და არდაგანს.

ახალქალაქის რაზმის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ხერხეულიძე [6, 132].

და იმავე დღეს, 1918 წლის 16 დეკემბერს, სომხური ქვედანაყოფები ახორციელებენ პირველ შეტევით მოქმედებას ქართული გარნიზონის წინააღმდეგ, 20 დეკემბერს კი, უფრო დიდი მასშტაბებით იმეორებენ მას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ხსენებული ავტორების, ენდრიუ ანდერსენისა და გეორგ ეგგეს (Andrew Andersen and Georg Egge) მიერ ინტერნეტ-პორტალზე უკვე ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულ იგივე ნაშრომში “Armeno-Georgian War of 1918 and Armeno-Georgian Territorial Issue in the 20<sup>th</sup> Century“, სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრაში, რუსულ ვერსიასთან შედარებით, განსხვავებულადაა წარმოდგენილი:

„16 დეკემბერს სომხურმა კავალერიამ შეტევა მიიტანა ქართულ პოზიციებზე სოფელ ტროიცკოესთან და აიძულა ისინი უკან დაეხიათ ეფრემოვკას მიმართულებით. დღის ბოლოსათვის ქართველებმა შეესება მიიღეს, განახორციელეს კონტრშეტევა და დაიბრუნეს ტროიცკოე. ქართველთა დანაკარგებმა მოკლულების,

უგზო-უკვლოდ დაკარგულებისა და დაჭრილების სახით, 60 კაცი შეადგინა.

ოთხი დღის შემდეგ, 20 დეკემბერს, სომხურმა ქვედანაყოფებმა, რომლებიც სოფელ კაზანჯიში იყვნენ თავმოყრილები, განაახლეს საომარი მოქმედებები და ისევ შეუტყეს ქართულ ქვედანაყოფებს სოფელ ტროიცკოესთან. შეტევა წარუმატებელი გამოდგა: ძლიერი ქარბუქისა და ქართველთა ტყვიამფრქვევების ინტენსიური ცეცხლის გამო, სომხებმა მძიმე დანაკარგები განიცადეს (დაახლოებით 100 მოკლული, მათ შორის 3 ოფიცერი) და ისინი უკუგდებულ იქნენ. თუმცა, თავის მხრივ, ძლიერი ქარისა და თოვლის გამო, ქართველებმაც ვერ შეძლეს კონტრშეტევის შემდგომი განვითარება. ამით, სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომის საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის ზონაში დასრულდა” [7].

ინგლისური ვერსიის ეს ვარიანტი რუსულ ვერსიასთან შედარებით უფრო ზუსტია და შეესაბამება საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის რეალურ სურათს, რაც ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტებით დასტურდება.

სომხებმა ძალების სანყისი თავმოყრა მართლაც სოფელ კაზანჯიში განახორციელეს, რაც მოგვიანებით სომეხი ტყვე ოფიცრის ქვემოთ მოყვანილი ჩვენებით დასტურდება.

სომხური პოლკის ტყვე ოფიცრის ჩვენება. 25. 12. 1919.

„სომხეთის არმიაში სამსახური მიმდინარე წლის იანვარში დავიწყე. ვმსახურობდი სხვადასხვა პოლკში. უკანასკნელ ხანს ვმსახურობდი 1-ლ ქვეით პოლკში. პოლკი იდგა ერივანში. 15 დეკემბერს მივიღეთ ბრძანება, რომ პირველი პოლკის ერთი ბატალიონი დაძრულიყო სოფელ კაზანჯიზე, რომელიც საქართველოს საზღვრებიდან 5-6 ვერსზე მდებარეობს. 18 რიცხვისათვის ხსენებული პოლკის 3 ბატალიონი უკვე სოფელ კაზანჯიში იყო. აქ ჩვენ დაგვხვდა ცხენოსანი დივიზიონი. სხვა ნაწილები იქ არ იდგა. აქვე მივიღეთ ბრძანება დაგვეკავებინა პოზიციები საზღვართან...” [8, 130]

სოფელ ტროიცკოესთან წარმოებული საბრძოლო მოქმედებები და მისი შედეგები კი, პოლკოვნიკ ჯაფარიძის მოხსენებაშია წარმოდგენილი.

ტელეფონოგრამა 29

ახალციხეში, ახალქალაქიდან. 20. 12. 1918. 8 საათი და 50 წუთი.

გენერალ მაკაევს.

1918 წლის 20 დეკემბერს 9 საათსა და 30 წუთზე პოზიციებზე მიმდინარეობს ძლიერი ბრძოლები ტყვიამფრქვევებისა და არტილერიის ცეცხლქვეშ. ბევრი სომეხია მოკლული, დანვრილებით მოგახსენებთ მოგვიანებით. მე ვიმყოფები ეფრემოვკაში.

პოლკოვნიკი ჯაფარიძე [8, 33].

#### ტელეფონოგრამა 430

ტიფლისი. ახალციხიდან, ოპერატიული. 18 საათი და 15 წუთი. სამხედრო მინისტრს.

ასლი არმიის სარდალს.

ბრძოლა 13 საათისათვის დასრულდა. ჩვენი კონტრშეტევის შედეგად სომხებმა გაქცევით უშველეს თავს. შემხვედრი ქარბუქის გამო დევნა შეწყვეტილ იქნა. ალაფის სახით ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიამფრქვევი, ტელეფონის აპარატი, დიდი რაოდენობით შაშხანები და ტყვია-წამალი... დათვლა გრძელდება. სომეხთაგან დაჭრილია 50 კაცი, მათგან ერთი ოფიცერია. მოკლულია არანაკლებ ასი კაცისა, მათ შორის 3 ოფიცერი. ჩვენ მხარეს დაჭრილია 2. სომხური რაზმი სამი გვარეობის ჯარისაგან შედგება.

კნიაზ მაკაევი [9, 41].

#### ტელეფონოგრამა 13

ტიფლისი, ახალციხიდან. 22. 12. 1918. 22 საათი და 11 წუთი.

ახალქალაქის ფრონტზე სინყნარეა. დაზვერვას ქარბუქი უშლის ხელს. ალაგებულია 98 სომეხის გვამი. მოკლულთა შორის 4 სომეხი ოფიცერია. 2 პრაპორშიკია, გაბრიელიანცი და ადამიანცი. ორი უცნობია. კაპიტანი ქოლოშვილი მიყენებული ქრილობების გამო ახალქალაქის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. პორუჩიკი ჩიქოვანი თავში მიყენებული მძიმე ქრილობების გამო, ასევე ჰოსპიტალში წევს.

პოლკოვნიკი გველესიანი [9, 47].

ახლა კი, რაც შეეხება ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგებს. ანდერსენისა და ეგგეს ნაშრომის რუსულენოვან ვერსიაში ამ კატეგორიაში მითითებულია 100 მხოლოდ მოკლული ქართველი ჯარისკაცი. როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, მოყვანილი ცნობა მცდარია და იგი ძალიან შორსა დგას რეალობისაგან. ეს დანაკარგები გაცილებით ნაკლები იყო და იგი სულ რამდენიმე კაცს შეადგენდა. ინგლისურენოვან ვერსიაში კი, ავტორთა მიერ უფრო ზუსტადაა წარმოდგენილი ქართული მხარის სრული საბრძოლო დანაკარგები, სადაც ნათქვამია, რომ „ქართველთა და-

ნაკარგებმა მოკლულების, უგზო-უკვლოდ დაკარგულებისა და დაჭრილების სახით, 60 კაცი შეადგინა''. ნაშრომის ინგლისურენოვან ვერსიაში, ავტორთა მიერ მცირე უზუსტობა მაინც არის დაშვებული გენერალ მაყაშვილის სახელთან დაკავშირებით. აქ იგი ილიად არის მოხსენიებული და არა აბელად, ან უკიდურეს შემთხვევაში, ბალოდ.

ახლა კი სიობრივი სახით წარმოვადგენთ ქართული მხარის სრულ საბრძოლო დანაკარგებს ცოცხალ ძალაში, მოკლულების, დაჭრილების, ტყვედ აყვანილებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულების სახით, 1918 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით.

ახალქალაქის ფრონტზე მოკლულების, დაჭრილების, ტყვე ოფიცრებისა და ჯარისკაცების სიები 1918 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით:

მოკლულები:

1. 1-ლი პოლკის კაპიტანი ჭოლოშვილი — 16-ში;
2. ხაშური გვარდიის რიგითი ფარლალუაშილი — 20-ში;

დაჭრილები:

1. 1-ლი პოლკის პორუჩიკი ჩიქოვანი — აყვანილია ტყვედ 16-ში;
2. 1-ლი პოლკის იუნკერი გუგუშვილი სერაფიონი — აყვანილია ტყვედ 16-ში;
3. მე-4 პოლკის უნტეროფიცერი პორუჩიკი გოგიშვილი — 20-ში;
4. მე-4 პოლკის ჯარისკაცი ჭანტურია ირაკლი — 20-ში;

უგზოუკვლოდ დაკარგულები:

1-ლი პოლკის მესამე ასეული:

1. ავდეიძე ფიოდორი;
2. ოთარია იპოლიტე;
3. ფრუიძე იოსები;
4. მეტრეველი გრიგოლ;
5. მეტრეველი თეოფანე;
6. გორდუზიანი ივანე;
7. ნონორია ილარიონი;

ფხაკაძის ცალკეული ესკადრონიდან:

1. მოდებაძე დავით;
2. მიროტაძე აკაკი;
3. თაბაგაური გრიგოლ;

1-ლი პოლკის მე-2 ასეულიდან უგზო-უკვლოდ დაიკარგა 44 კაცი, რომელთა გვარების დადგენა შეუძლებელია, რადგან ამ ასეულის პასუხისმგებელი პირები, კაპიტანი ჭოლოშვილი და პორუჩიკი ჩიქოვანი ასევე გამოსულები არიან მწყობრიდან. ერთი მოკლულია, მეორე კი, დაჭრილი აყვანილია ტყვედ. გამოვარკვევთ თუ არა, მოგახსენებთ.

ჯარების სარდალი, კნიაზ მაკაევი [8, 158].

მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სომეხ ტყვეებთან მიმართებაში, ქართველი კაცის ხასიათისა და ზოგადად მეომრის ზნეობრივი კოდექსიდან გამომდინარე, საომარ მოქმედებათა მთავარსარდალის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის მიერ გაცემულ იქნა ბრძანება ტყვეებთან მიმართებაში ჰუმანური მოპყრობის შესახებ.

#### ტელეფონოგრამა 254

გენშტაბიდან. გენერალ მაკაევს.

19. 12. 1918. 15 საათი და 20 წუთი.

მთავარსარდალი ბრძანებს უირაღო ტყვეების მიმართ რბილ დამოკიდებულებას, რათა ნათლად დავანახოთ მონინაალმდეგეს, რომ ქართველები ანარმოებენ ომს არა სომეხი ხალხის, არამედ შეიარაღებული მონინაალმდეგისა და აჯანყებული შეიარაღებული ბანდების წინააღმდეგ.

გენერალი იმნაძე [8, 24].

ტელეფონოგრამას ქართული მხარის მთავარი საველე შტაბის უფროსი, გენერალი ვლადიმერ იმნაძე აწერს ხელს.

დიდი ალტაცებით იქნა მიღებული ახალქალაქის გარნიზონის წარმატებული საომარი მოქმედებები I ქვეითი დივიზიის მეთაურის, გენერალ დავით ართმელაძის მიერ, რამეთუ ძირითადად სწორედ მისი დივიზიის ქვედანაყოფები იყო ჩართული გენერალ მაყაშვილის იმ საგარნიზონო ჯარებში, რომლებიც ახალქალაქის მაზრაში ანარმოებდნენ საბრძოლო მოქმედებებს.

#### ტელეფონოგრამა 540

ახალქალაქში ქუთაისიდან. 14 საათი და 05 წუთი.

გენერალ მაკაევს,

ასლი პოლკოვნიკ ხერხეულიძეს.

ღრმა ალტაცების გრძნობით აღვსილი ვარ 1-ლი პოლკის ბატალიონისა და საბადრაგო ესკადრონის ბრწყინვალე მოქმედებე-

ბით პოლკოვნიკ ხერხეულიძის მეთაურობით. ქედს ვიხრი სამშობლოსათვის დაღუპული გმირების წინაშე. დიდება ცოცხალ გმირებს, რომლებმაც გაამართლეს ჩემი იმედები. გზა დაგელოცოთ შემდგომი გამარჯვებებისაკენ. შევსება გეგზავნებათ.

გენერალი ართმელაძე [8, 63].

20 დეკემბრის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი ხასიათის საბრძოლო მოქმედებებს ახალქალაქის მაზრაში ადგილი აღარ ჰქონია.

20 დეკემბერსვე გამოიცა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანება სომხეთ-საქართველოს ომის საომარ მოქმედებათა თეატრებზე შეტევითი მოქმედებების შეწყვეტის, პოზიციებზე გამაგრებისა და აქტიურ თავდაცვაზე გადასვლის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ბრძანება 1 ჯარებისადმი.

რუკა დუიმში 1 ვერსი. 20. 12. 1918. დღის 12 საათი. ტიფლისი.

ეკატერინენფელდი-სადახლოს ფრონტზე მიმდინარე ბოლო ბრძოლების შემდეგ სომხურმა ნაწილებმა შეწყვიტეს შეტევითი მოქმედებები.

ბორჩალოს მაზრაში ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ მე-4 და მე-5 ქვეითი პოლკები კავალერიისა და არტილერიის თანხლებით. არის ცნობები სომხური ბატალიონის არსებობის შესახებ კერპილიში.

ახალქალაქის მაზრაში რამდენიმე მცდელობის შემდეგ რომ გამოსულიყვნენ ჩვენს ტერიტორიებზე, ისინი ისევ უკან არიან დაბრუნებულები. ამ რაიონში, ხელთ არსებული ცნობების თანახმად, მოქმედებს მცირე რაზმი სამივე გვარეობის ჯარებით. ყველგან რეგულარულ ნაწილებს უერთდებოდა სომხური მოსახლეობა.

თვითონ სომხეთში ყველგან მიმდინარეობს მობილიზაცია. გრძელდება ჩვენი მობილიზაციაც.

მე გადავწყვიტე მობილიზაციის ხელშეწყობისა და ჯარების კონცენტრაციისათვის დროებით შემოვიფარგლოთ თავდაცვით. ვბრძანებ:

გენერალ მაკაევის რაზმი:

- მე-4 ქვეითი პოლკის 3 ბატალიონი;
- 1-ლი ქვეითი პოლკის 1 ბატალიონი;
- ქართული ლეგიონის ნახევარი ასეული;
- სახალხო გვარდიის ერთნახევარი ასეული;
- 1 საარტილერიო ბრიგადა — 4 ქვემეხი;

- II საარტილერიო ბრიგადა — 4 ქვემეხი;
- საარმიო ბრიგადა — 2 ქვემეხი;
- ფხაკაძის ასეულის — ნახევარი ასეული;

სულ: 4 ბატალიონი, 10 ქვემეხი, 1/2 ასეული, დაფარონ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები მონინაალმდეგის შემოჭრის აღსაკვეთად. დაზვერვა აწარმოეთ საქართველოს საზღვრების მიმართულეებით.

გენერალ ახმეტელოვის რაზმი:

- სახალხო გვარდიის 2 ბატალიონი;
- სახალხო გვარდიის 1 ასეული;
- სახალხო გვარდიის 8 ქვემეხი;
- II საარტილერიო ბრიგადა — 1 ქვემეხი;
- სახალხო გვარდია — 1 ცხენოსანი ასეული;

სულ: 2 1/4 ბატალიონი, 9 ქვემეხი, 1 ასეული, დაიცვან ეკატერინენფელდი, აქტიური თავდაცვითი ღონისძიებები გაატარონ ვორონცოვკა-ეკატერინენფელდის მიმართულეებაზე. დაზვერვა აწარმოონ ვორონცოვკისა და კურჯიმარ-ალკერპის მიმართულეებით.

გენერალ მაზნიევის რაზმი:

- 1-ლი ქვეითი პოლკის 1 ასეული;
- მე-5 ქვეითი პოლკის 3 ასეული;
- მე-6 ქვეითი პოლკის 2 ასეული;
- ოფიცერთა რაზმი — 1 ასეული;
- საყარაულო ბატალიონი — 1 ასეული;
- საგუბერნიო ბატალიონი — 1/2 ასეული;
- II საარტილერიო ბრიგადა — 4 ქვემეხი;
- სამთო-ცხენოსანი ბატალიონი — 4 ქვემეხი;
- ჯავშანმატარებელი;
- მე-2 დივიზიის შტაბი — 1 ესკადრონი;
- 1-ლი ცხენოსანი პოლკი — 2 ესკადრონი;
- მე-2 ცხენოსანი პოლკის 1/2 ესკადრონი;

აწარმოოს აქტიური თავდაცვითი მოქმედებები შულავერის მიმართულეებასა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ. დაზვერვა აწარმოოს ალკერპის, ალავერდის, აირუმისა და კერპილის მიმართულეებით.

საერთო რეზერვი, პოლკოვნიკი მაჭავარიანი:

- სახალხო გვარდიის 1 ასეული;
  - ფედერალისტები C1/2 ასეული;
- განლაგდეს სადგურ სანდართან.

სასწრაფო მოხსენებები მომენოდოს დღეში სამჯერ: 9, 13, 19 საათებზე. სატელეფონო სადგურები მოქმედებს სადახლოში, ეკატერინენფელდში, აშალა სარალში, სანდარში.

მე შტაბთან ერთად ვიმყოფები ტიფლისში.

ჩემი მოადგილეები არიან — გენერალი მაზნიევი და გენერალი ახმეტელოვი.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-მაიორი გედევანოვი.

შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი იმნაძე [10, 242-244].

სომხეთ-საქართველოს ომში აქტიური საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრაში 20 დეკემბერს დასრულდა, სადახლო-შულავერისა და ეკატერინენფელდის ფრონტებზე კი, იგი კიდევ 11 დღე გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში, ორივე მხრიდან მნიშვნელოვანი ძალები ჩაერთვებიან საომარ მოქმედებებში და ბევრი სისხლიც დაიღვრება. ქართული შეიარაღებული ძალები შეძლებენ მძიმე მდგომარეობის გამოსწორებას, საომარ მოქმედებებში გარდატეხის შეტანას და ოპერატიული უპირატესობის მოპოვებას, თუმცა *status quo ante bellum*-ის აღდგენა ვეღარ მოესწრება. 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 24<sup>00</sup> საათზე ფრონტებზე ცეცხლი შეწყდება... ამ ომის შედეგები კი, ოდნავ მოგვიანებით, უკვე 1920-1921 წლებში ითამაშებს დიდ როლს საქართველოს ისტორიულად კუთვნილი ძირძველი მიწების ტერიტორიული გადანაწილების ახალ პროცესსა და მისი მოწყობის შემდგომ ბედზე, სომხეთისაზე კი — გადამწყვეტს... თუმცა ეს უკვე სულ სხვა თემა და სულ სხვა ისტორიაა...



## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Эндрыу Андерсен и Георг Эгге. „Армяно-Грузинская война 1918 г. и Армяно-Грузинский территориальный вопрос в XX в.” [http://expertclub.ge/portal/cnid3356/alias\\_Expertclub/lang\\_ru/tabid\\_2546/default.aspx](http://expertclub.ge/portal/cnid3356/alias_Expertclub/lang_ru/tabid_2546/default.aspx).
2. არჩილ ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, 2007.
3. Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеній. Тифлисъ. 1919.
4. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 20.
5. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 1, საქმე 32
6. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 3.
7. Andrew Andersen and Georg Egge, “Armeno-Georgian War of 1918 and Armeno-Georgian Territorial Issue in the 20<sup>th</sup> Century“, [http://www.conflicts.rem33.com/images/georgia/arm\\_geor\\_war/E9.html](http://www.conflicts.rem33.com/images/georgia/arm_geor_war/E9.html).
8. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 2.
9. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1969, ანაწერი 2, საქმე 109.
10. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1946, ანაწერი 1, საქმე 1

## **Archil Chachkhiani**

*Doctor of Historical Sciences, Colonel,  
Senior Instructor on the Course of the  
War and Military Art, Defense and Security,  
the Theory and Nature of War, at  
the CGSC of the David Agmashenebeli  
Georgian National Defense Academy*

### **Once more on the Armenia-Georgia War – Combat Activities in Akhalkalaki District in the Archival Documents**

#### **Summary**

This article specifies once again an episode from our monograph „Nationalist-Expansionist Dashnak Ideology and Armeno-Georgian War of 1918-1919“, edited in 2006, namely - combat activities in Akhalkalaki District according the archival documents.

The article represents clarification of one episode from the bilingual (Russian and English) high-level scholar work by Andrew Andersen and George Egge, emplaced in the internet-portal, “Armeno-Georgian War of 1918 and Armeno-Georgian Territorial Issue in the 20<sup>th</sup> Century“. One part of this work, referring immediately to the Armenia-Georgia war and its combat operations, is done mainly on the basis of my monograph mentioned above and the ones by two American authors – Firuz Kazemzadeh and Richard Hovannisian.

In the Russian-language version of the work by Andersen and Egge, the authors say: „Чачхиани в своем исследовании ссылается на газетные сообщения о достаточно кровопролитных боях за село Троицкое 16 и 20 декабря (с потерями, составившими не менее 100 убитыми с обеих сторон), однако эти сведения не находят подтверждения в других имеющихся источниках“. (In his work Chachkhiani appeals to the newspaper materials about rather blood-shedding battles at the village Troitskoe (December 16-20), in which the casualties from both sides amounted no less than 100 men, but this data are not confirmed from other available sources).

This article answers exactly to the above remark of Andersen and Egge and provides the trustful archival material about the discussed issue. ...

## ლელა სარალიძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### საქართველო-ინგლისის ურთიერთობის ისტორიიდან (1920 წ.)

ინგლისის ხელისუფლება დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდა ამიერკავკასიაში დამკვიდრებაზე. ამის რეალური შესაძლებლობა XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა ოსმალეთმა, 1918 წლის 30 ოქტომბერს, ინგლისთან მუდროსის დროებით ზავს მოაწერა ხელი, რომლის ძალით მოკავშირე ანტანტის ქვეყნებს ბათუმის დაკავების უფლება მიენიჭათ. 1918 წლის 3 დეკემბერს, ბათუმის პორტში ინგლისური კრეისერი „ლივერპული“, გამოჩნდა. ამიერკავკასიაში ინგლისელების გაბატონებას უდიდესი მიზანი ჰქონდა; სტრატეგიულად და გეოგრაფიულად კავკასია აერთიანებდა იმ ხიდს, რომელსაც შავი ზღვა არაბეთის ზღვასთან უნდა დაეკავშირებინა. ბაქოს ნავთობი, საქართველოს მანგანუმი და სხვა მრავალი წიაღისეული სიმდიდრე, ინგლისის მმართველ წრეებში დიდ ინტერესს იწვევდა. მიუხედავად ამისა, 1920 წლის ივლისში, ინგლისის ჯარმა ბათუმი დატოვა, რითაც რუსეთს ფაქტიურად ხელ-ფეხი გაეხსნა საქართველოზე აგრესიის განსახორციელებლად. რუსეთის წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის, ხოლო შემდეგ სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ოკუპაცია, ინგლისის მმართველ წრეებში, შეშფოთებას იწვევდა, რაც ნათლად ჩანს მათი საიდუმლო მიმოწერიდან. რუსული აგრესიის საფრთხე, საქართველოსთვის, კიდევ უფრო რეალური გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის წითელი არმია, 1920 წლის 4 დეკემბერს, სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ — ერევანში შევიდა.

ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის რწმუნებულის პოლკოვნიკ სტოუქსის (Colonel Claude Bayfield Stokes 1875-1948) [1] მიერ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ კურზონისადმი (The Earl Curzon of Kedleston 1859-1925) [2], თბილისიდან 1920 წლის 6 დეკემბერს გაგზავნილი წერილი, მრავალ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო

პოლიტიკის, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ. წერილი კონფიდენციალური ხასიათისაა და მასში საუბარია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაზე, ასევე, იმ მოსალოდნელ რისკებზე და აგრესიაზე, რაც რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 1921 წლის თებერვალში განახორციელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. აღნიშნული წერილი, ლორდ კურზონმა, 1921 წლის 3 იანვარს, ანუ რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმამდე, სულ რაღაც, ერთი თვით ადრე მიიღო. წერილი ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივშია დაცული. გთავაზობთ დოკუმენტის ინგლისურ ვარიანტს თარგმანთან ერთად.

**This document is the Property of His Britannic Majesty's Government  
No. 8 ARCHIVES**

EASTERN (Caucasus)  
CONFIDENTIAL

[ January 3 ]  
Section 6.

[E 55/55/58]

No. 1.

***Colonel Stokes to Earl Curzon. - (Received January 3, 1921.)***

(No. 132. Secret.)

My Lord.

***Tiflis, December 6. 1920.***

I HAVE the honour to submit the following observations on the situation in Georgia:-

***Foreign Relations***

The main object of the foreign policy of Georgia is to safeguard its newly-gained independence. The chief threat to that independence comes from Russia, whatever be the form of government that may exist in that country. Georgia cannot hope to withstand unaided an attack by Russia. She is therefore obliged to seek support. Until April 1920 neither of the two conflicting parties in Russia, the Bolsheviks and General Denikin's followers, was in a position to attack her. After the disappearance of General Denikin

and the Bolshevik occupation of Azerbaijan, Georgia was attacked by the Bolsheviks, but fought and concluded on the 7th May a treaty of peace with Soviet Russia. That treaty is still in force, but Georgia is well aware that it exists only until the Bolsheviks feel themselves strong enough to attack her. Meanwhile, the Bolsheviks are endeavouring by propaganda to facilitate the attainment of their object to incorporate Georgia in Soviet Russia. Their propaganda has so far made but little headway. The reasons for this comparative failure are not far to seek. Firstly, the idea of independence and the spirit of nationality have undoubtedly taken deep root in the minds of the Georgian people. Secondly, the Georgian people have watched at close quarters the working of the Soviet regime in Azerbaijan, and have found nothing in it to make Bolshevism attractive to them. Indeed, it may well be doubted that Bolshevism would have secured a single convert in Georgia but for the economic distress from which Georgia, in company with many other countries, is at the present moment suffering. the depreciation of Georgian money and the lack of manufactured goods, not articles of luxury but those of necessity, such as clothes and boots, combined with the high price of living, have rendered it impossible for all except the rich to make both ends meet. the resulting discontent has alone enabled Bolshevism to gain any footing at all in Georgia. That footing is still small; the policy of the Georgian Government and the spirit of the Georgian People remain anti-Bolshevik.

Situated, as Georgia is, in direct contact with Soviet Russia and dependent for oil supplies, essential to her existence, on soviet Russia, it is not surprising that she should endeavour to keep on friendly terms and should further conclude a commercial agreement with the latter, by the terms of which she receives oil supplies in return for merchandise.

Until October 1920 the sole menace to Georgia was from Soviet Russia, but in that month the Turkish Nationalists began their invasion of Armenia. Their advance brought them dangerously near to the frontiers of Georgia and, in view of the well-known claims of Turkey to the provinces of Batoum and Ardahan, produced a feeling of uneasiness in the mind of Georgian Government as to Turkish intentions towards Georgia. This feeling of uneasiness was increased by the knowledge that Turkish Nationalists were acting in conjunction with the Bolsheviks. At this moment the Georgian Government received from the Armenian Government a request to enter into a defensive military alliance. The Georgian Government was by

this request placed in a position of great difficulty, and called upon to take a decision of great moment.

By throwing in her lot with Armenia, Georgia would have been safeguarding herself, and, provided that the armed forces of both countries proved reliable, the twofold danger from Bolsheviks and Turks could probably have been met and warded off for a time. On the other hand, Georgia would by such action have incurred the hostility of the Bolsheviks, who would have refused to sign the agreement by which Georgia hopes to get oil supplies. She would also have incurred the hostility of the Turks, who would have retaliated by instigating risings amongst the Mahomedans of Georgia.

Another Factor which carried great weight was the deep-seated mistrust existing between Georgia and Armenia.

In 1919, when threatened by General Denikin, Georgia proposed to Armenia a defensive military alliance, but Armenia negatived the proposal, after consulting the British military authorities at Tiflis, who according to M. Khatissian, informed the Armenian Government that such an alliance, being anti-Denikin, would also be forthcoming from the Allies for Armenia. Georgia accordingly prolonged negotiations regarding a defensive military alliance with Armenia, and meanwhile Armenia collapsed.

The collapse of Armenia before the Nationalists, and the establishment of a Soviet Government in Armenia, has created a new situation, not less difficult than that described above for Georgia. On the one hand, the Bolsheviks undoubtedly intended to bring Georgia into their net, by propaganda or by force, although for the moment certain considerations induce them to refrain from any decisive action. On the other hand, the Turks not only covet the province of Batoum, but are bent upon securing the revision of the Treaty of Sevres by damaging the prestige of the Entente as much as possible, and are therefore urging Georgia to sever all connection with the Entente. The Bolsheviks and Nationalists are, in name at least, allies, but now that direct contact between them has been established in Armenia, the inevitable conflict of interests is beginning to make itself felt. So long as relations between them continue in their present uncertain state, it is probable that neither side will take any decisive action in furtherance of its aims in Georgia. Georgia has, therefore, a breathing space of uncertain duration in which to decide upon her future course of action. She may come to some arrangement with one or other of her two neighbours, and thereby endeav-

our to frustrate the aims of the other, but such a course is bound to imperil her relations with Allies, who are hostile to both Bolsheviks and Nationalists. It is imperative, therefore, for Georgia to know to what extent the Allies are willing and able to assist her. Failing such assistance, Georgia has to consider what European Power, apart from the Allies, can help her. Germany saved her from Turks in 1918 after the Allies had expressed their inability to do so, and as Germany is in close touch with Bolsheviks and is also on good terms with the Nationalists, she may well be prepared to save Georgia once more.

If the Allies, in particular His Majesty's Government attach sufficient importance to the continued existence of Georgia as an independent State to make them wish to save her, two main alternatives appear to be open to them. The Allies can decide to assist Georgia against the Bolsheviks and Nationalists combined or to come to terms with either the Bolsheviks or Nationalists and employ their new ally to support Georgia against the other.

If, on the other hand, the Allies either attach no importance to the fate of Georgia, or while anxious to save her, can find no means of doing so, it is only just to Georgia that she should be informed that this is the case and be allowed complete freedom to make any arrangements she can to preserve her independence.

As time is of the utmost importance, I have already, in my telegram No. 551, dated the 5th December, 1920, telegraphed to this effect to your Lordship.

***Internal Affairs.*** - The government of Georgia claims to be a Socialist Government, and it has endeavoured to model its legislation on advanced Socialistic principles. For example, it has nationalised various industries and has confiscated the land of large landowners and allotted it to peasants.

At the present moment the defects of such measures are more apparent than their merits. If we take, for instance, the land laws: these have created discontent amongst all the former landowners, while the contentment of the new peasant owners has not been secured owing to the institution of „zemstvos“ these local councils, to whom is given the monopoly of the sale of surplus produce of the peasants, generally abuse their powers by paying the peasant at a much lower rate than that at which they sell the produce. To aggravate matters, the Government has failed to import the articles of necessity of which the peasant stands in need, viz., clothes boots and

agricultural implements. the peasants are, therefore, equally with the land-owners, discontented.

In the various industries a similar state of discontent prevails, for while the Government monopolises the right of export of the produce and receives payment for its exports in foreign currency, it pays to the mine-owner or tobacco grower or silk producer a sum in Georgian roubles on the basis of 3,000 roubles for 11. when the market rate may be 15 000 roubles for 11. This amount is insufficient to enable the owner or producer to pay his workmen a living wage. the result is that the industry is brought to a standstill. Nearly all the Greeks engaged in the tobacco industry have emigrated, and I understand that little or no work is being done at the manganese mines. In fact, the Government has been living on the proceeds of produce already prepared for export before it introduced nationalisation. Again, it may be said with truth that no employee of the Government receives a living wage. The Government has neither the money with which to increase wages nor the ability to control ever-rising prices. The result is not only discontent, but inevitably widespread corruption. It may be of interest to state here that the foreign Socialists who recently visited Georgia are reported without exception to have told the Georgian Government that, while Socialism is suited to Western Countries capitalism is essential to Georgia.

Until the Georgian Government can secure a foreign loan there does not appear to me to be any likelihood of an amelioration in the state of affairs described above.

This state of general discontent is calculated to provide a fertile field for Bolshevik propaganda; nevertheless, that propaganda has not up to the present time made any great progress. At the same time, it is clear that the longer the Georgian Government is unable to improve the condition of the working classes the more converts Bolshevism is likely to make.

The other form of foreign propaganda which constitutes a menace to the internal peace of Georgia is that of the Turkish Nationalists. This is always rife, but up to the present time has led to no serious results, and it is improbable that any serious trouble, as for example, a rising, will occur unless Turkish troops actually invade Georgian territory.

***The Cabinet.*** - There has been considerable discontent with the methods and alleged incapacity of certain of the Ministers, and a prolonged Cabinet crisis has resulted in a reshuffling of portfolios, intended to curtail the powers of the Ministers of Finance and Supplies. The Minister of Inte-



rior , M. Ramishvili, is now also Minister of Communications. M. Lordkipanidze, formerly Minister of War, has become Minister of Public Instruction, a newly-created post. The real object of this is to add to the Cabinet a Minister who shall relieve the President of the greater part of his work. M. Jordania enjoys but poor health, and experience has shown that his work is rather too heavy for him. It is probable that he personally would not be unwilling to withdraw into private life, but his undoubted influence with people at large is an asset with which the Government cannot at present afford to part. M. Chichanadze, formerly Assistant Minister of the Interior has become Minister of War.

The result of these changes is to place practically all power in the hands of MM. Ramishvili and Lordkipanidze, and is accordingly to be commended.

***Financial Affairs.*** - The Government has no fixed sources of income, and the continually diminishing value of its paper money, the rate today is 15 000 roubles to 11. places it in a very difficult position. Practically all foreign money which comes into Georgia finds its way into the hands of the Government, but this money has not in the past always been wisely utilised, much of it having been spent on the despatch of special missions to foreign countries, which have given no return for the expenditure incurred on them. It is difficult to see how, unless she can obtain a loan abroad, Georgia can stabilise her currency.

***Communications.*** - The lack of suitable combustibles, e.g., fuel oil, has greatly hampered the railway, the services on which have been much curtailed. Some oil has now been received from Baku, under the recently-signed commercial agreement with Azerbaijan and Soviet Russia. If oil continues to be received regularly, it is possible that the normal railway services will be restored.

***Conclusion.***

An attempt has been made in the above paragraphs to give a brief description of the present state of affairs in Georgia. It is obvious that in many respects there is considerable room for improvement. But, having regard to the difficulties with which so young a State has been, and continues to be, beset, there is, in my opinion, no reason yet to despair of Georgia eventually emerging successfully from her present difficult and somewhat dangerous situation.

I have, &c  
C. B. STOKES, *Lieut.-Colonel*,  
*Chief British Commissioner for Transcaucasia.*

**ეს დოკუმენტი მისი უდიდებულესობის ბრიტანეთის  
მთავრობის საკუთრებაა  
№ 8 — არქივები**

აღმოსავლეთი (კავკასია)  
კონფიდენციალური

[3 იანვარი]  
მე-6 სექცია

[E 55/55/58]

No. 1

**პოლკოვნიკი სტოუკის გრაფ კურზონს —  
(მიღებულია 1921 წლის 3 იანვარს)**

( 132. საიდუმლო )

ტფილისი, 1920 წლის 6 დეკემბერი.

მილორდ,

მაქვს პატივი, მოგანოდოთ შემდეგი ცნობები საქართველო-  
უცხოეთის ურთიერთობების შესახებ, რაც შემდეგში მდგომარე-  
ობს:

**საგარეო ურთიერთობები**

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ საკითხს ახლად-  
მოპოვებული დამოუკიდებლობის დაცვა წარმოადგენს. ამ დამოუკი-  
დებლობას მთავარ საფრთხეს რუსეთი უქმნის, როგორი სახის მთავ-  
რობაც არ უნდა იყოს ამ ქვეყანაში. საქართველოს არ უნდა ჰქონდეს  
იმედი, რომ დაუხმარებლად მოიგერიებს რუსეთის შემოტევას; ამდე-  
ნად, იგი იძულებულია ეძებოს ეს დახმარება. 1920 წლის აპრილამდე  
რუსეთის ორი დაპირისპირებული პარტიიდან — ბოლშევიკებისა და  
გენერალ დენიკინის [3] მომხრეების, არც ერთს არ შეეძლო მისთვის  
შემოეცია. გენერალ დენიკინის გაუჩინარებისა და აზერბაიჯანის  
ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ბოლშევიკებმა საქართველოს შე-  
მოუტიეს, მაგრამ ქართველებმა იბრძოლეს და 7 მაისს საბჭოთა რუ-  
სეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადეს. ეს ხელშეკრულება ახ-  
ლაც ძალაშია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას კარგად ესმის,  
რომ ეს მანამ იარსებებს, სანამ ბოლშევიკები საკმაოდ არ მომძლავ-  
რდებიან, რათა კვლავ თავს დაესხან ქვეყანას. ამასობაში ბოლშევი-

კები პროპაგანდის საშუალებით ცდილობენ ადვილად მიაღწიონ თავის მიზანს — შეიყვანონ საქართველო საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში. მათმა პროპაგანდამ ჯერ მცირედ წაიწია წინ. ამ შედარებითი წარუმატებლობის მიზეზები, არც თუ შორსაა მოსაძიებელი. ჯერ ერთი დამოუკიდებლობის იდეა და ეროვნული სული უეჭველად ღრმადაა ფესვგადგმული ქართველი ხალხის გონებაში; მეორეც, ქართველმა ხალხმა ახლოდან იხილა მეზობელ აზერბაიჯანში საბჭოთა რეჟიმის საქმიანობა და ვერ დაინახა ბოლშევიზმის მიმზიდველობა. ნამდვილად საეჭვოა, რომ ბოლშევიზმს საქართველოში ერთი მომხრე მაინც გაეჩინა, რომ არ ყოფილიყო ეკონომიკური სიღუბე, რის გამოც საქართველო ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად იტანჯება: ქართული ფულის გაუფასურება და მანუფაქტურული ნაწარმის ნაკლებობა (არა ფუფუნების საგნების, არამედ იმის, რაც აუცილებელია, როგორცაა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი), რამაც მაღალ ფასებთან ერთად შეუძლებელი გახადა თავის გატანა. ეკონომიკური სიღუბნით გამონეწეულმა უკმაყოფილებამ, ბოლშევიკებს საშუალება მისცა ყოველივე ამით ესარგებლა და საქართველოში უკეთესი მდგომარეობისთვის მიეღწია, მაგრამ ეს დასაყრდენი ჯერაც ძალზე მცირეა, რადგან საქართველოს მთავრობის პოლიტიკა და ქართველი ხალხის განწყობა კვლავ ანტიბოლშევიკური რჩება.

მდგომარეობა, რომელშიც საქართველო იმყოფება — პირდაპირ კავშირშია საბჭოთა რუსეთთან: არსებობისთვის აუცილებელი ნავთობით მომარაგების გამო, საქართველო დამოკიდებულია საბჭოთა რუსეთზე; ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს და შემდგომში კომერციული შეთანხმება დადოს ამ უკანასკნელთან, რითაც საქონლის სანაცვლოდ მიიღებს ნავთობს.

1920 წლის ოქტომბრამდე ერთადერთი საფრთხე საქართველოსთვის საბჭოთა რუსეთი იყო, მაგრამ ამ თვეში თურქმა ნაციონალისტებმა სომხეთზე თავდასხმა დაიწყეს. მათმა წინსვლამ ისინი სახიფათოდ მიუახლოვა საქართველოს საზღვრებს. თუ გავითვალისწინებთ ბათუმის და არდაგანის პროვინციებთან დაკავშირებულ, ოსმალეთის მისწრაფებებს ნაციონალისტების წინსვლამ საქართველოს მთავრობას განგაშის განცდა გაუჩინა. ეს შიში გაძლიერდა მას მერე, რაც ცნობილი გახდა, რომ თურქი ნაციონალისტები ბოლშევიკებთან ერთად მოქმედებდნენ. ამ დროს, საქართველოს მთავრობამ სომხეთის მთავრობისგან მიიღო შეთავაზება თავდაცვით სამხედრო ალიანსში გაერთიანებულებიყვნენ. ამ შეთავაზებ-

ბამ, თურქების საქართველოს მიმართ არსებული სურვილის გამო, მთავრობა დიდი სიძნელის წინაშე დააყენა, რათა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიეღო. თუ საქართველო თავის ბედს სომხეთს დაუკავშირებდა და მათთან ერთად დაიცავდა თავს, ერთის მხრივ, საქართველო ბოლშევიკების მტრობას მიიღებდა, რომლებიც უარს იტყოდნენ ხელი მოენერათ ხელშეკრულებაზე, რომლითაც საქართველოს იმედი აქვს ნავთობი მიიღოს, ასევე, აიძვრებოდა თურქებს, რომლებიც შურს იძიებდნენ ქართველი მაჰმადიანების აჯანყებისკენ წაქეზებით. მეორე ფაქტორი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა, საქართველოსა და სომხეთს შორის არსებული ღრმად გამჯდარი უნდობლობა იყო.

1919 წელს, როცა გენერალ დენიკინის მუქარის შემდეგ, საქართველომ სომხეთს თავდაცვითი სამხედრო კავშირი შესთავაზა, სომხეთმა უარყო ეს შეთავაზება, მას შემდეგ, რაც სომხები თბილისში მყოფ ბრიტანეთის სამხედრო ხელმძღვანელობას მოეთათბირნენ. ბრიტანელებმა, ბატონ ხატისიანთან [4] შეთანხმებით, სომხეთის მთავრობას შეატყობინეს, რომ ასეთი ანტიდენიკინური ალიანსი, ასევე, ანტანტის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. საქართველოს ხელისუფლებამ შეშფოთებით დაუწყო თვალ-ყურის დევნება, თუ რა დახმარებას მიიღებდა სომხეთი ანტანტისგან. საქართველოს მთავრობა სათანადოდ აგრძელებდა მოლაპარაკებებს სომხეთთან თავდაცვითი კავშირის შესახებ, მაგრამ ამასობაში თავად სომხეთმა განიცადა მარცხი.

ნაციონალისტების წინაშე სომხეთის მარცხმა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ, საქართველოსთვის ახალი ვითარება შექმნა, არანაკლებ მძიმე, ვიდრე ის რაც ზემოთაა აღწერილი. ერთის მხრივ, ბოლშევიკებს სურდათ პროპაგანდით, ან ძალით საქართველო თავის ბადეში მოექციათ, თუმცა იმჟამად გარკვეული მოსაზრებები აიძულებდა მათ, თავი შეეკავებინათ ყოველგვარი გადაწყვეტი მოქმედებებისგან. ერთი მხრივ, თურქები ესწრაფვიან არამარტო ბათუმის ოლქის დაპატრონებას, არამედ სურთ მიაღწიონ სევრის ხელშეკრულების [5] გადასინჯვას, ანტანტის პრესტიჟის რაც შეიძლება მეტად შელახვას და ამიტომაც აიძულებდნენ საქართველოს ანტანტასთან ყოველგვარი ურთიერთობა განწყვიტოს. ბოლშევიკები და თურქი ნაციონალისტები მაინც არიან მოკავშირეები, მაგრამ ახლა მათ შორის უშუალო კონტაქტი დამყარდა სომხეთში. ინტერესთა გარდაუვალი კონფლიქტი იწყებს თავის წარმოჩენას,

რაც უკვე საგრძნობი ხდება. მანამ, სანამ მათ შორის ურთიერთობა კვლავ გაურკვეველი ხასიათისაა, სავარაუდოდ არც ერთი მხარე საქართველოში საკუთარი გეგმების დაჩქარებას არ განახორციელებს. ამდენად, საქართველოს გაურკვეველი ვადით ამოსუნთქვის საშუალება ეძლევა, რათა იფიქროს სამომავლო ქმედებებზე. მას შეუძლია წავიდეს ამ ორი მეზობლიდან რომელიმესთან გარკვეულ შეთანხმებაზე და ამით შეეცადოს ჩაშალოს მეორის გეგმები, მაგრამ ასეთი კურსი ურთიერთობას გაუფუჭებს ალიანსთან, რომელიც მტრულადაა განწყობილი, როგორც ბოლშევიკების, ასევე, ნაციონალისტებისადმი. ამდენად, საქართველოსთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა დოზით და რა შესაძლებლობითაა ალიანსი მზად მის დასახმარებლად. ასეთი დახმარების არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიაზროს, თუ რომელი ევროპული ძალა შეძლებს ამას ალიანსის გარეშე. გერმანიამ ის, 1918 წელს, თურქებისგან გადაარჩინა, [6] მას მერე, რაც ალიანსმა გამოიჩინა უუნარობა. გერმანია ახლო ურთიერთობაშია ბოლშევიკებთან, ასევე, კარგ ურთიერთობაშია ნაციონალისტებთან, ამდენად, შესაძლოა იგი კიდევ ერთხელ იყოს მზად საქართველოს გადასარჩინად.

თუ ალიანსი, კერძოდ, მისი უდიდებულესობის მთავრობა საკმაო მნიშვნელობას მიანიჭებს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მომავალ არსებობას და მოისურვებს მის გადარჩენას, მისთვის ორი ძირითადი ალტერნატივა იხსნება: ალიანსს შეუძლია დაეხმაროს საქართველოს ერთდროულად ბოლშევიკების და ნაციონალისტების წინააღმდეგ, შეუთანხმდეს ბოლშევიკებს, ან ნაციონალისტებს და გამოიყენოს მათი ახალი კავშირი საქართველოს დასახმარებლად მეორის წინააღმდეგ.

მეორე მხრივ, შესაძლოა ალიანსისთვის უმნიშვნელო იყოს საქართველოს ბედი ან სურდეს მისი გადარჩენა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდეს, ეს სწორედ ისაა, რაც უნდა ეცნობოს საქართველოს მთავრობას, რომ მას მიეცემა საშუალება თავისი სურვილით დადოს შეთანხმება, რათა დაიცვას ქვეყნის დამოუკიდებლობა.

რადგანაც დრო ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ თქვენს ბრწყინვალეობას, ამის შესახებ 1920 წლის 5 დეკემბრის ტელეგრამა 551-ით ვაუწყებ.

**საშინაო საქმეები** — საქართველოს მთავრობას აქვს პრეტენზია, რომ იგი სოციალისტური მთავრობაა. იგი ცდილობს კანონმდებლობა მოწინავე სოციალისტური პრინციპების მიხედვით გააფორმოს. მაგალითად, მოახდინა სხვადასხვა საწარმოების ნაციონალიზაცია,

მსხვილ მემამულეებს მიწები ჩამოართვა და გლეხებს გადაუნაწილა. ამჟამად, ღონისძიებათა მასშტაბების ნაკლი უფრო შესამჩნევია, ვიდრე მათი ხარისხი. მაგალითად, თუ ავიღებთ მიწის კანონს, მან ყველა ყოფილი მემამულის უკმაყოფილება გამოიწვია. ახალი მესაკუთრე გლეხის უფლებები არ იქნა დაცული „ზემსტვოს“, დადგინებიდან გამომდინარე. ლოკალური საბჭოები, რომელთაც გლეხის მიერ წარმოებული პროდუქტის გაყიდვის უფლება გადაეცათ, ძირითადად ბოროტად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს და გლეხებს გაცილებით დაბალ ფასს უხდიდნენ, ვიდრე ამ პროდუქტს თვითონ ყიდნენ. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ მთავრობამ ვერ უზრუნველყო იმ აუცილებელი საქონლის იმპორტი, რომელიც გლეხებს სჭირდებათ, კერძოდ: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სამეურნეო იარაღები. ამდენად, გლეხები, მიწათმფლობელების მსგავსად, უკმაყოფილოები არიან. მსგავსი უკმაყოფილება სხვადასხვა საწარმოშიც ჭარბობს, რადგან მთავრობა პროდუქციაზე ექსპორტის უფლებას ფლობს და მის გატანაში უცხოური ვალუტით იღებს საფასურს; მაღაროს მფლობელებს, თამბაქოს ფერმერებს, თუ აბრეშუმის მწარმოებლებს საფასურს ქართული ფულით უხდიან, შემდეგი შეფარდებით: 3 000 მანეთს 1 ფუნტში, მაშინ როდესაც საბაზრო ნორმაა 15. 000 1 ფუნტში. ეს ფასი არასაკმარისია, რომ მეპატრონემ ან მიმწოდებელმა შეძლოს აუნაზღაუროს თავის მუშას საარსებო საშუალება, შედეგად მრენველობა გაჩერებულია. თითქმის ყველა ბერძენი, რომელიც თამბაქოს წარმოებაში იყო დაკავებული, ემიგრაციაში წავიდა. მე მესმის, რომ მარგანეცის სარეზერვუარო მცირედ, ან სრულებით არ შესრულდა სამუშაოები. სინამდვილეში მთავრობა უკვე ნაციონალიზაციის გატარებამდე, საექსპორტოდ გამზადებული პროდუქციის შემოსავლით ცხოვრობს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის არც ერთი თანამშრომელი არ იღებს არსებობისთვის საჭირო ანაზღაურებას. მთავრობას არც ფული აქვს, რომ ხელფასები გაზარდოს და არც შესაძლებლობა, რათა მუდმივად მზარდი ფასები აკონტროლოს. ამის შედეგია არა მხოლოდ უკმაყოფილება, არამედ კორუფციის გარდაუვალი გავრცელება. ალბათ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ უცხოელმა სოციალისტებმა, რომლებიც ახლახანს სტუმრობდნენ საქართველოს, შეკამათების გარეშე ოფიციალურად განუცხადეს საქართველოს მთავრობას, რომ მაშინ, როცა სოციალიზმი ფეხს იკიდებს დასავლეთის ქვეყნებში, საქართველოსთვის კაპიტალიზმია არსებითი, აუცილებელი.

სანამ საქართველოს მთავრობას შეუძლია უცხოეთისგან სესხის მიღება, ჩემი აზრით, არ გაჩნდება წარმატების წანამძღვრე-

ბი იმ საქმეთა მდგომარეობაში, რაც ზემოთაა აღწერილი. ამ საყოველთაო უკმაყოფილების ვითარება, ბოლშევიკური პროპაგანდისტის, ნოყიერ ნიადაგს ქმნის; თუმცა ამ პროპაგანდას დღემდე საკმაო წარმატებისთვის ვერ მიუღწევია. ამავე დროს ნათელია, რომ რაც უფრო მეტხანს იქნება ქართული მთავრობა უძლური გამოასწოროს მშრომელი კლასის მდგომარეობა, მით უფრო სავარაუდოა ბოლშევიკების მხრიდან მათი გადაბირება.

უცხოური პროპაგანდის მეორე ფორმა, რომელიც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ქვეყნის შიდა სიმშვიდეს, თურქი ნაციონალისტების პროპაგანდაა. ეს ჩვეულებრივ ყოველთვის ასეც ხდება, მაგრამ პროპაგანდას დღემდე სერიოზული შედეგებისთვის არ მიუღწევია. წარმოუდგენელია რაიმე იმდენად სერიოზულად საგანგაშო მოხდეს, მაგალითად აჯანყება, რომ ოსმალეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრას.

**მინისტრთა კაბინეტი** – მნიშვნელოვანი უკმაყოფილება იყო მეთოდებთან და ზოგი მინისტრის საკმაო უსუსურობასთან დაკავშირებით. მინისტრთა კაბინეტის გახანგრძლივებულმა და აშკარა კრიზისმა პორტფელების გადაადგილება გამოიწვია. მხედველობაში მაქვს ფინანსთა და მომარაგების მინისტრების უფლებების შემცირება. შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი რამიშვილი, [7] ამჟამად კომუნიკაციების მინისტრობასაც ითავსებს, ბატონმა ლორთქიფანიძემ [8] წინათ სამხედრო მინისტრმა, სახალხო განათლების მინისტრის ახლადშექმნილი თანამდებობა მიიღო. ამ ყველაფრის ნამდვილი მიზეზი არის ის, რომ პრეზიდენტს საქმის დიდი ნაწილისგან გათავისუფლება სჭირდება. ბატონ ჟორდანიას [9] სუსტი ჯანმრთელობა აქვს და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს სამუშაო საკმაოდ მძიმეა მისთვის. სავარაუდოდ, ჟორდანიას არ იქნება წინააღმდეგი პირადი ცხოვრებით იცხოვროს. მისი უეჭველი პოპულარობა ხალხთა ფართო მასებში, არის ის ხარისხი, რასაც ამჟამად, მთავრობა გვერდს ვერ აუვლის. ბატონი ჭიჭინაძე, ადრე შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე, სამხედრო საქმეთა მინისტრი გახდა [10]. ამ ცვლილებების შედეგია, რომ მთელი ძალაუფლება მოექცა ბატონების რამიშვილის და ლორთქიფანიძის ხელში, რომლებიც შესაბამისად იქნენ რეკომენდებულნი.

**ფინანსური საქმეები** – მყარი შემოსავლების წყაროების უქონლობამ, ქალაქის ფულის ფასის მუდმივმა დაცემამ (დღეს შეფარდება ასეთია: 1 500 მანეთი = 1 ფუნტს), მთავრობა მძიმე დღეში ჩააყენა. ფაქტობრივად, მთელი უცხოური ფული, რომელიც

საქართველოში შემოდის მთავრობის ხელში გადადის, მაგრამ ეს ფული ყოველთვის გონივრულად არ მოიხმარებოდა: მათი უმეტესობა იხარჯებოდა უცხოეთის ქვეყნებში საგანგებო მისიებისთვის, [11] რაც არ ანაზღაურებდა მათზე განეულ ხარჯებს. ძნელია დაინახო, თუ როგორ შეძლებს საქართველო თავისი ვალუტის გამყარებას უცხოური სესხის გარეშე.

**ურთიერთობები** – სათანადო სანჯავის, მაგალითად, სანჯავი ზეთის (ნავთობის) ნაკლებობა აბრკოლებს რკინიგზის მუშაობას, რომლის მომსახურებაც ძალიან შემცირდა. ახლახანს მიიღეს ცოტა ნავთობი ბაქოდან, აზერბაიჯანთან და საბჭოთა რუსეთთან ახლად ხელმოწერილი კომერციული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ ნავთობის მიღება რეგულარულად გაგრძელდება, შესაძლებელი იქნება ნორმალური სარკინიგზო მომსახურების აღდგენა.

### **დასკვნა**

ზემოთ აღნიშნულ პარაგრაფებში იყო ცდა მოგვეცა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის მოკლე აღწერა. ნათელია, რომ ბევრი თვალსაზრისით შეიძლება საქმე უკეთესად იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ სირთულეებს, რომელშიც ეს ახალგაზრდა სახელმწიფო იმყოფება და განაგრძობს ყოფნას, ჩემი აზრით, ჯერ-ჯერობით არ იძლევა უიმედობის საფუძველს. საქართველო ბოლოს და ბოლოს წარმატებით გამოდის დღევანდელი სიძნელეებიდან და სახიფათო ვითარებიდან.

პატივისცემით

კ. ბ. სტოუქსი, პოდპოლკოვნიკი, ამიერკავკასიაში ბრიტანეთის მთავარი რწმუნებული.

### **კომენტარები:**

[1] კლოდ სტოუქსი (Colonel Claude Bayfield Stokes 1875-1948) – ამიერკავკასიაში დიდი ბრიტანეთის მთავარი რწმუნებული.

[2] კურზონი (The Earl Curzon of Kedleston 1859-1925) – ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი 1919-1924 წლებში.

[3] ანტონ ივანეს ძე დენიკინი (1872-1947 წწ.), გენერალ-ლეიტენანტი, პირველ მსოფლიო ომში მეფის რუსეთის არმიის დასავლეთის ფრონტის სარდალი იყო. 1918 წლის დასაწყისში „მოხალისეთა“ არმია ჩამოაყალიბა. 1920 წლის იანვრიდან „რუსეთის უმაღლ-



ლესი მმართველია,, 1920 წლის აპრილში ემიგრაციაში წავიდა. გარდაიცვალა ამერიკაში, 1947 წელს.

[4] ხატისიანი — ალექსანდრე ივანეს ძე ხატისიანი (Александр Иванович Хатисов/ Хатисянц) (1874-1945 წწ.), სომეხი საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ამიერკავკასიის ფედერაციის და ამიერკავკასიის სეიმის მინისტრი, 1918 წლის 28 მაისს, სომხეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, ა. ხატისიანმა, ივანე კაჩაზუნთან ერთად ხელი მოაწერა ბათუმის სამშვიდობო ხელშეკრულებას (1918 წლის 4 ივნისი), 1919 წლის ოქტომბრიდან დაინიშნა სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად, 1920 წელს სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი იყო. 1920 წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერა ალექსანდროპოლის ხელშეკრულებას და ხელისუფლება ბოლშევიკებს გადასცა. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, თბილისში დაბრუნდა. 1921 წლის შემდეგ ემიგრაციაშია, სადაც აქტიურ პროსომხურ საქმიანობას აგრძელებს. გარდაიცვალა 1945 წლის 10 მარტს, პარიზში, დაკრძალულია პერ ლაშეზის სასაფლაოზე.

[5] სევრის ხელშეკრულება — ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის ერთ-ერთი ხელშეკრულება. 1920 წლის 10 აგვისტოს, სევრში (პარიზის მახლობლად) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და ანტანტის წევრ სახელმწიფოებს შორის. ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთს ჩამოერთვა სირია, ლიბანი, პალესტინა და მესოპოტამია, რომლებიც ერთა ლიგის მანდატებით მიიღეს ინგლისმა (პალესტინა და მესოპოტამია) და საფრანგეთმა (სირია და ლიბანი). ოსმალეთი უარს ამბობდა თავის სამფლობელოებზე არაბეთის ნახევარკუნძულზე და ცნობდა იქ წარმოქმნილ ჰიჯაზის სამეფოს. ოსმალეთი ცნობდა სომხეთის დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა მის სასარგებლოდ საკუთარ სომხურ მიწებზე. ოსმალეთს ჩამოერთვა ქურთისტანი და უარს ამბობდა ეგვიპტის მიმართ ყველა თავის უფლებებზე და ცნობდა ინგლისის პროტექტორატს ამ ქვეყანაზე, აღმოსავლეთ თრაკია — ედირნეთი (ადრიანოპოლით), დარდანელის ევროპული ნაპირი და გალიპოლის ნახევარკუნძული, აგრეთვე იზმირი (სმირნა) გადაეცა საბერძნეთს. სრუტეების ზონა (ბოსფორი, მარმარილოს ზღვა, დარდანელი) ფორმალურად ოსმალეთის შემადგენლობაში რჩებოდა, მაგრამ ემორჩილებოდა სრუტეების საერთაშორისო კომისიის მმართველობას. სრუტეების ზონა მთლიანად უნდა განიარაღებულიყო და ცხადდებოდა ღიად ყვე-

ლა ქვეყნის სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის. ოსმალეთის არმიის როდენობა არ უნდა აღმატებოდა 50 ათას კაცს. სევრის ხელშეკრულება, ფაქტიურად, ოსმალეთს ყოველგვარ სუვერენიტეტს ართმევდა და მას კოლონიად აქცევდა.

[6] საუბარია გერმანიის როლზე 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში, რამაც საქართველო ოსმალეთის აგრესიისგან იხსნა.

[7] რამიშვილი — ნოე რამიშვილი (1881-1930 წწ.) იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარე, მანვე შეითავსა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. მან მალე დატოვა მთავრობის თავმჯდომარის პოსტი და შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს დასჯერდა. ეს სახელისუფლებო ცვლილება იმიტომ მოხდა, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა იყო: ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული საბჭო ნოე ჟორდანიას მეთაურობით, მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. 1918 წლის 24 ივნისს ხელი-სუფლება ნოე ჟორდანიას ხელში გადავიდა.

[8] ლორთქიფანიძე — გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881-1937წწ.), პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უყოყმანოდ ჩაადგა ქართული სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში, 1920 წელს გ. ლორთქიფანიძე ჯერ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, შემდეგ სამხედრო და განათლების მინისტრი გახდა. (მინისტრთა პირველ კაბინეტში სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე იყო, ხოლო განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი - ლ. ს.) ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის დროს, მთავრობის თავმჯდომარის დავალებით, მოლაპარაკებებს აწარმოებდა რევკომთან. 20-იან წლებში ბოლშევიკებმა გადაასახლეს, გარდაიცვალა „ჩეკას„ ჯურღმულებში 1937 წელს.

[9] ჟორდანია — ნოე ჟორდანია (1868-1953), სოციალ-დემოკრატი, 1918 წლის 24 ივნისიდან 1921 წლის 18 მარტამდე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების შემდეგ, ნ. ჟორდანიამ მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, თავი ჯერ ქუთაისს, შემდეგ ბათუმს შეაფარა. იმავე წლის 18 მარტს, მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, პოლიტიკურ

ემიგრაციაში, საფრანგეთში, გაემგზავრა. გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, 1953 წლის 11 იანვარს, პარიზში, დაკრძალულია ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

[10] იგულისხმება პარმენ ჭიჭინაძე. იგი 1919 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო 1920 წელს სამხედრო მინისტრი გახდა. ეს პოსტი მას ეკავა იმ დროს, როცა ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს.

[11] 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, საზღვარგარეთ დიპლომატიურ და საკონსულო დაწესებულებათა შესანახად გამოიყო 12. 000. 000 მანეთი, ხოლო უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენელთა მისაღებად 1. 500. 000 მანეთი. (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 234).

**Lela Saralidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior researcher scientist of the Department of Modern and Contemporary History*

### **From the History of Georgian-English Relation (1920)**

#### **Summary**

The work shows the interest of England about the current processes In Transcaucasia. A clear demonstration of it is the secret correspondence between English leaders. The work is based on the secret letter which was sent to the minister of Foreign Affairs, Lord Curzon (1859-1925) by Colonel Claude Bayfield Stokes (1875-1948) Who was the British charge in Transcaucasia. The letter was sent on 6th December 1920. This document is kept in the archive of the minister of Foreign Affairs of England. The work shows English and also Georgian translation of the letter. This document includes interesting information about Foreign and internal affairs of Georgia also financial condition of Georgia at that time. Document also discusses the future risks and aggressions which was conducted against Georgian Democratic Republic by Russian Bolshevik Government in February 1921.

## შოთა ვადაჭკორია

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.*

### მასა არაა, თაყაო!

(პასუხად ა. კოხრეიძეს)

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში მიმდინარე რთული პროცესებისადმი ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულების შესწავლა, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ჩემს მიერ გამოქვეყნებულ შრომებში გარკვეული ადგილი 1921-1923 წლების მოვლენებისადმი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა და ახალგაზრდათა ორგანიზაციების დამოკიდებულებას დაეთმო. დასმულ პრობლემასთან მიმართებაში, დასკვნის სახით, ჩემ მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი დებულება ა. კოხრეიძისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამ მხრივ მისი ყურადღება ორმა საკითხმა მიიქცია: 1) მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნის დროის განსაზღვრის სისწორემ და 2) მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის — პროსაბჭოური ორიენტაციის განმაპირობებელი მიზეზების ახსნამ.

საკითხთან მიმართებაში ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, თავისებური ფორმებით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია გამოირჩეოდა. ისიც ცნობილია, რომ მასში ორი ურთიერთდაპირისპირებული „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ ჯგუფები არსებობდა. თითოეული მათგანის ცალ-ცალკე პოლიტიკურ პარტიებად სამართლებრივად შექმნისა და მათი ორიენტაციის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტი-

ის VI კონფერენციის (1921 წლის 5 ივნისი) მასალებს ეძღვნება. როგორც ცნობილია, კონფერენციის მიერ სამი საკითხი იქნა განხილული: 1) მომენტი და ტაქტიკა; 2) პარტიის მთავარი კომიტეტის მოქმედება და 3) მიმდინარე საკითხები. კონფერენციის სტენოგრაფიულ ანგარიშში გამოკვეთილადაა ნაჩვენები ეროვნულ საკითხთან მიმართებაში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შიგნით არსებული ძირითადი უთანხმოება. ეს დაპირისპირება იმდენად უკომპრომისო ოყო, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტის შ. ნუცუბიძის ძალისხმევა — კონსესუსის საფუძველზე მოეხდინა მათი შერიგება — უშედეგო აღმოჩნდა. ეხებოდა რა ამ საკითხს, გაზეთი „ტრიბუნა“ ვანელის ფსევდონიმით დაბეჭდილ სტატიაში „პარტიული ცენტრისადმი“, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პოზიციას შემდეგნაირად ახასიათებდა: „მართალია, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები რევოლუციური ფრაზეოლოგიით ლაპარაკობენ, სოციალისტური რევოლუციის მიჯნურობას ჩემულობენ, მაგრამ მათში არსებითად ლაპარაკობს მენშევიზმი. ისინი, ერთის მხრივ, „შესაძლებლად“ სცნობენ საბჭოთა ძალაუფლების არსებობის ფარგლებში მუშათა ინტერესების დაცვას და, მეორეს მხრივ, კაპიტალიზმის ცხოველმყოფელობის დამტკიცებაში ხარჯავენ მთელს ერუდიციას, მთელ თავიანთ ძალღონეს“[1]. აღნიშნული ამონაწერის მიხედვით, „მემარჯვენე“ სოციალისტ-ფედერალისტების დახასიათებაში ურთიერთსაინანაღმდეგო თვალსაზრისია წინა პლანზე წამოწეული. მხედველობაში მაქვს: 1) სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური კურსისა და ქვეყნის კაპიტალიზმის გზით განვითარებისადმი მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა მხარდაჭერა; 2) საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, იმათი მხრიდან მუშათა ინტერესების „დაცვის“ შესაძლებლობის აღიარება. პოზიციის ასეთი ფორმით დაფიქსირება, წერილის ავტორს მხოლოდ იდეოლოგიური დატვირთვის თვალსაზრისით დასჭირდა. მის ამოცანას, ორმაგი სტანდარტებით შეზავებული პოლიტიკური კურსის უარყოფისკენ მოწოდების ფონზე, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრებისადმი საბჭოთა პლატფორმის აღიარების აუცილებლობის შესენება წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით იმავე წერილში ვკითხულობთ: „ან ბურჟუაზიასთან, ან მშრომელ დემოკრატიათთან, — უნდა აირჩიოს თავისი მუშაობის არენა ჩვენი პარტიის წევრებმა“[1]. როგორც ვხედავთ, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები გამოკვეთილად ემიჯნებოდნენ მემარჯვენეთა ანტისაბჭოურ პოზი-

ციას, აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და მასთან თანამშრომლობა აუცილებლობად მიაჩნდათ. ჩემს მიერ მოტანილი ფაქტები, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შიგნით არსებულ ორ დაჯგუფებას შორის უთანხმოებისა და დაპირისპირების განმაპირობებელ მიზეზებს ეხება. „ჩვენი მთლიანობა — წერდა გაზეთი „ტრიბუნა“ — სოციალისტური რევოლუციისა და ეროვნული თავისუფლების ორიენტაციით იქმნება. ასეთ მთლიანობას არამც თუ ვიცავთ, მისთვის ვცოცხლობთ,... მისთვის ვიტანთ ამდენ ზნეობრივ ტანჯვას... და შეურაცხყოფას. ყოველივე ეს იციან,... ამიტომ ვეუბნებით; დროზე მოდით გონს!“ [1]

ეს ციტატა, გარკვეული ფორმით, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთიანობისკენ მოწოდებას წარმოადგენდა. მაგრამ იმ ეტაპზე, პოლიტიკური მომენტის შეფასებისა და ტაქტიკის საკითხებში, „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ სოციალისტ-ფედერალისტების შეთანხმება უპერსპექტივოდ მოჩანდა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფების ერთი პოლიტიკური პარტიის შიგნით არსებობა შეუძლებელი იყო, რის გამოც მათი ორგანიზაციული გათიშვა აუცილებელი გახდა. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის საარქივო დოკუმენტებით და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება: ა) საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანების გზით დამყარებამდე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზოგიერთი „მემარცხენე“ პოზიციაზე მდგომი წევრი, მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში აკრიტიკებდა მმართველი პარტიის მიერ აღებულ ანტისაბჭოურ კურსს, მაგრამ იგი იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში არ გადაზრდილა; 2) იმავე „მემარცხენე“ ჯგუფს, იმჟამად არსებული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამისაგან განსხვავებული საპროგრამო დოკუმენტი არ შეუმუშავებია და პარტიის ერთიანობა არ დაურღვევია. აქედან გამომდინარე, 1921 წლამდე, „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ სოციალისტ-ფედერალისტთა პოლიტიკური პარტიების არსებობის მტკიცებაზე მსჯელობა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. ეს დებულება დასკვნის სახით ჩემს მიერ 1983 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში იქნა გამოთქმული [2, 97]. ამ დებულებას, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ა. კობრეიძე ეჭვით მოეკიდა და მისი დაზუსტების საჭიროების შესახებ დააყენა საკითხი. ა. კობრეიძის „მტკიცებით“ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია საქართველოს გასაბჭოებამდე იყო გათიშული „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ პარტიებად [3, 12]. ამ მოსაზრების გასამყარებლად მან ს. ხუნდაძის „ავ-

ტობიოგრაფიიდან“ ამონაწერი მოიტანა, სადაც შავით თეთრზეა მი-  
თითებული; „1917-1921 წლებში პარტიულ კონფერენციებზე მემარ-  
ცხენე ჯგუფის სახელით ვიცავდი საბჭოთა სისტემის პრინციპებს,  
ვაკრიტიკებდი დემოკრატიზმს და მოვითხოვდი მჭიდრო კონტაქტს  
კომუნისტურ ინტერნაციონალთან (1919 წ.).“ ს. ხუნდაძის „ავტობი-  
ოგრაფიიდან“ მოტანილი ეს ამონაწერი ა. კობრეიძეს ჩემი მტკიცების  
უარსაყოფად არ გამოადგება, რადგან მასში გასაგებადაა ნათქვამი,  
რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კონფერენციებზე ს. ხუნ-  
დაძე გამოდიოდა არა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარ-  
ტიის, არამედ „მემარცხენე ჯგუფის“ სახელით. თუ რას წარმოადგენ-  
და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში არსებული ეს „მემარცხე-  
ნე ჯგუფი“, ამის გასარკვევად მოვიშველიებთ მემარცხენე სოცია-  
ლისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის თ. ლლონცის  
წერილიდან ამონაწერს, სადაც ვკითხულობთ; „მე და რამდენიმე  
ჩვენს ამხანაგს შეგვეძლო ზურგი გვექცია ფედერალისტთა პარტი-  
სათვის 1919 წელშიაც... მაგრამ ეს იქნებოდა ორიოდ კაცის გამოს-  
ვლა, რასაც არავითარი პოლიტიკური ღირებულება არ ექნებოდა“ [4].  
აღნიშული ფაქტი სრულ შესაძლებლობას მაძლევს განვაცხადო, რომ  
„ორიოდ“ კაცისაგან შემდგარ „მემარცხენეთა ჯგუფზე“ დაყრდნო-  
ბით, საქართველოს გასაბჭოებამდე მემარცხენე სოციალისტ-ფედე-  
რალისტთა პარტიის არსებობაზე ლაპარაკი მიზანშეუწონელია. ამას  
თვით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი  
ლიდერი ს. ხუნდაძეც ადასტურებს. იგი მემარცხენე სოციალისტ-ფე-  
დერალისტთა პარტიის არსებობის ისტორიას საქართველოს გასაბ-  
ჭოებიდან იწყებს. ამასთან დაკავშირებით სოციალისტ-ფედერალის-  
ტთა პარტიის პირველი ყრილობის (1921 წლის 30 ოქტომბერი—3 ნო-  
ემბერი) დამთავრებისადმი მიძღვნილ სტატიასში ს. ხუნდაძე მიუთი-  
თებდა: „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის არსებო-  
ბის ისტორია ამ დღიდან (ყრილობის მოწვევიდან — შ. ვ.) არ იწყება,  
ამ დღეს ყრილობამ მხოლოდ სანქცია მისცა, ფორმალურად დადას-  
ტურა და აღიარა ის, რაც მთელი რვა თვის განმავლობაში ვითარდე-  
ბოდა, მაგრადებოდა და მტკიცდებოდა“ [5]. ამას ს. ხუნდაძე წერდა  
1921 წლის 5 ნოემბერს. თუკი ა. კობრეიძეს უკან თვლის მათემატიკუ-  
რი მოქმედების ელემენტარული ფორმის შესრულება ეხერხება, მხო-  
ლოდ მაშინ შეიძლება დამეთანხმოს, რომ 1921 წლის 5 ნოემბრიდან  
უკან რომ 8 თვე გადათვალოს ადამიანმა, 1921 წლის მარტი მოუწევს.  
ეს იმას ნიშნავს, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარ-  
ტიის არსებობის საწყისი ეტაპი საქართველოს გასაბჭოებას უკავშირ-

დება. ს. ხუნდაძისა და თ. ლლონტის წერილებიდან მოტანილ ფაქტებზე დაყრდნობით, ჩემს მიერ გაკეთებული დასკვნის სისწორეს ადასტურებს 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებული ფ. მახარაძის წერილი. მასში ვკითხულობთ: „მხოლოდ 1921 წლის დასაწყისიდან იწყება ამ პარტიაში (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში — შ. ვ.) ძირითადი გარდატეხის ხანა პარტიის ორ ნაწილად გაყოფაში, რომელთაგან ერთი შერჩა ისევ ძველ იდეოლოგიას, ... მეორე ნაწილი კი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახელწოდებით, დაადგა მუშათა რევოლუციის გზას“ [6].

ზემოაღნიშნული ფაქტების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები, ჩემ მიერ 1987 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომშიც იქნა შეტანილი. სამწუხაროდ, ა. კობრეიძემ მისი იგნორირება მოახდინა და 2005 წელს სიმონ ხუნდაძის შესახებ დაბეჭდილ ბროშურაში მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნის საკითხის ჩემი შეხედულება, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ისევ კითხვითი ნიშნის ქვეშ დააყენა [7, 12]. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლობა ზემოთ დამონმებული ფაქტების გაბათილების მიზნით, ა. კობრეიძისაგან შესაბამისი დოკუმენტური მასალების მოტანას საჭიროებდა. ამის გაკეთება მან ვერ შეძლო და მხოლოდ ზერელე განცხადებით დაკმაყოფილდა. თ. ლლონტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორიოდე კაცისაგან“ შემდგარ პატარა ჯგუფსა და პოლიტიკურ პარტიას შორის განსხვავებას რამდენადაც ა. კობრეიძე ვერ აკეთებს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნის დრო გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს.

ჩემს მიერ მოტანილი მასალები და მისი ანალიზი ცხადყოფს, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 1921 წელს შეიქმნა და ეს ფაქტი საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოებას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, ეს არავითარ საფუძველს არ იძლევა, რომ 1921 წლამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში უარვყოთ „მემარცხენე“ ჯგუფების არსებობა. მაგრამ, ყოვლად შეუძლებელია და შეცდომას წარმოადგენს „მემარცხენე ჯგუფისა“ და მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის იდენტიფიცირება. თუკი ა. კობრეიძე ამ შემთხვევაშიაც არ დამეთანხმება და თავისი „ჰიპოთეზის“ სისწორეში დარწმუნებული სახედარზე ამხედრებული ფორმით გზის გაგრძელებას შეეცდება, მას შემდეგ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა: მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თუკი საქართველოს პირველი რესპუბლიკის



პერიოდში ფუნქციონირებდა, მაშინ რა საჭირო იყო აღნიშნული პარტიის ხელმეორედ შექმნის შესახებ ოფიციალური დადგენილების მიღება? მხედველობაში მაქვს საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პირველი ყრილობა (1921 წლის 30 ოქტომბერი—3 ნოემბერი). ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებით სოციალისტ-ფედერალისტთა მემეაცხენე ფრთა (ჯგუფი), დამოუკიდებელ პარტიად გამოცხადდა და მას „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია“ ეწოდა [8, 404]. ამ რეორგანიზაციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ 1) სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ადრე არსებული „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ ჯგუფების ბაზაზე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი პოლიტიკური პარტია ოფიციალურად გაფორმდა; 2) თითოეული მათგანის მსოფლმხედველობა და პოლიტიკური მიმართულება გამოკვეთილი ფორმით იქნა გარკვეული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრული უფლება მაქვს განვაცხადო, რომ საქართველოში 1921 წლამდე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სახით მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია არსებობდა. ეს დასკვნა სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს და დაზუსტებას არ საჭიროებს. ვფიქრობთ, საკითხი გარკვეულია და კამათს არ უნდა იწვევდეს.

თუკი, ჩემს მიერ მოტანილი ფაქტები და მისი ანალიზი ა. კობრეიძეს ვერ დააკმაყოფილებს, კეთილი ინებოს და უფრო სანდო დოკუმენტაცია თავად წარმოადგინოს. ამის შემდეგ ექნება სრული უფლება, როგორც მოესურვება ისე „აზუსტოს“ ზემოაღნიშნული საკითხი. ამ შემთხვევაში პირს ვერავის ავუბამ და ქალღმერთს აიტანს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, იგი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერების მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის განმაპირობებელი მიზეზების გარკვევას უკავშირდება. ამის შესახებ ჩემს წიგნში ვკითხულობთ: „არალეგარულად მომქმედი პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, ლოიალური პოზიციით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია გამოირჩეოდა. ასეთი პოლიტიკური კურსი ძირითადად საქართველოს კომპარტიისაგან მატერიალურად დაფინანსებაში უნდა ვეძიოთ“ [9, 94-95]. ამ შეხედულების ერთ-ერთ არგუმენტად, ორი საარქივო დოკუმენტის მონაცემები მაქვს მოტანილი: 1) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1921 წლის 3 აპრილის დადგენილება— მემარ-

ცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისადმი ფინანსური დახმარების განევის შესახებ; 2) საქართველოს რევკომის იმავე წლის აგვისტოს დადგენილება, რომლის ძალითაც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას გაზეთის გამოცემის ნებართვა მიეცა. იმავე დოკუმენტით იგი სტამბითა და გაზეთის დასაბეჭდად საჭირო ტექნიკური საშუალებებით იქნა უზრუნველყოფილი [9, 95]. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმისადმი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაახლოება გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან მის ლიდერებს, შესაბამისი ხარკი უნდა გაეღო იმ მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ, რომელმაც მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთის გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფა მოახდინა. იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოთა ხელისუფლება გაზეთს არ დააფინანსებდა, მემარცხენე ფედერალისტები ბეჭდვითი ორგანოს გარეშე აღმოჩნდებოდნენ, რადგან მას იმ ეტაპზე სათანადო ფინანსური შესაძლებლობები არ გააჩნდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ა. კობრეიძე ჩემი წიგნიდან ამოგლეჯილი ციტატებით ჩემივე შეხედულების შეგნებულად დამახინჯებას ახდენს. ამის საილუსტრაციოდ მისი ბროშურიდან და ჩემი წიგნიდან შესაბამის ამონაწერებს მოვიტან და თავად მკითხველმა განსაჯოს, ა. კობრეიძის მიერ შეთხზული „ციტატის“ ტექსტი, რამდენად შეესაბამება ჩემს წიგნში დაბეჭდილ ტექსტს.

**შ. ვადაჭკორია** — „აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმისადმი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაახლოება გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. მიუხედავად ამისა, მისი ბეჭდვითი ორგანოს ფურცლებზე ბოლშევიკების დაუნდობელი სამხილი სტატიები ხშირად იბეჭდებოდა“ [9, 95].

**ა. კობრეიძე** — „მაგრამ მტკიცება, თითქოს ეს იყო მიზეზი ამ პარტიის პოზიცია გარკვეულად საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას რომ უახლოვდებოდა მცდარია. მსგავს შემთხვევაში ფედერალისტთა ორგანოს ფურცლებზე როგორც თავად ამ მტკიცების ავტორი შენიშნავს, მართლაც არ იქნებოდა ისეთი სტატიები, რომლებიც ბოლშევიკების დაუნდობელი მხილების ნიმუშს წარმოადგენდა“ [7, 20].

დაკვირვებული მკითხველი კარგად შეამჩნევს, რომ აღნიშნულ ციტატებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემი წიგნიდან მოტანილ ტექსტში მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთში, ბოლშევიკების დაუნდობე-

ლი სამხილი სტატიების დაბეჭდვის ფაქტია დადასტურებული. რაც შეეხება ა. კობხრეიძის ბროშურიდან მოტანილ ციტატას, რომლის ავტორობაც მე მომანერა, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანოში ბოლშევიკების დაუნდობელი სამხილი სტატიების ბეჭდვა (მართლაც არ იქნებოდა — ა. კობხრეიძე) შეგნებულადაა გაბუნდოვნებული და კითხვითი ნიშნის ქვეშ დაყენებული. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტია, რომელიც ხელისუფლების მხრიდან ფინანსდება, ნებსით თუ უნებლიედ დაფინანსების სამსახურში დგება. ყოველი შემთხვევისათვის მისი მოქმედება გარკვეული ჩარჩოთი იზღუდება. როცა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები ამ ჩარჩოს გაცდნენ, ხელისუფლებამ გაზეთი დაუხურა. ეს ისტორიული ფაქტია და ობიექტური მკვლევარი ვერსად გაექცევა. თუკი ა. კობხრეიძეს „აღმოჩენების“ სურვილი ამოძრავებს, მისეულად ისეთი დებულება უნდა გამოაცხადოს, რომელიც მკვლევართა ყურადღების ცენტრში არ მოქცეულა და შესწავლის ობიექტი არ გამხდარა. თორემ, რამდენიმე წლით ადრე დასაბუთებული ფორმით სტამბურად დაბეჭდილის „აღმოჩენად“ გასალება, მეცნიერულ მიღწევად ვერ ჩაითვლება.

გასული საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ფონზე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაფინანსების საკითხს როცა ვეხებით, ბუნებრივად ისმება კითხვა: რატომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაზე გაკეთდა იმ ეტაპზე არჩევანი და არა იმჟამად საქართველოში მოქმედ სხვა პოლიტიკურ პარტიებზე? ეს საკითხი ჩემი წიგნის 99-105 გვერდებზე საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი. დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ 1918-1921 წლებში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მყოფი მემარცხენე ჯგუფი საბჭოური ორიენტაციის მომხრე იყო და ამ მიმართულებით შესაბამის იდეოლოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. „სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში არსებული „მემარცხენე“ ჯგუფის ძირითადი საქმიანობა, — ვკითხულობთ იმავე წიგნში — მისი ჩამოყალიბების დღიდან, ბოლშევიკებთან თანამშრომლობისა და საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დასამყარებლად იყო მიმართული. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის რუსული ორიენტაცია საბჭოთა ხელისუფლების დროს არ ჩამოყალიბებუ-

ლა. იგი სათავეს დემოკრატიული საქართველოს არსებობიდან იღებს. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ამ პარტიის წევრთა სიმპათია, მარტო შიშსა და შემთხვევითობას არ უნდა მიენეროს, მისი მსოფლმხედველობის ფორმირება, ძირითადად გასაბჭოებამდე მოხდა. არსებული ფაქტის გათვალისწინება გვაფიქრებინებს, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ყოველგვარი საქმიანობა შეგნებულ მოქმედებასთან იყო დაკავშირებული. თუკი ეს ასეა, მაშინ ამ პარტიის საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და რუსული ორიენტაციისადმი მხარდაჭერა „ბუნებრივ“ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ“ [9, 106].

სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა საბჭოთა ხელისუფლების მესვეურების მხრიდან დაფინანსების მიზნით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებზე არჩევანის გაკეთება. ამ ნაბიჯით, საბჭოთა ხელისუფლებამ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ლიდერებს არსებული ხელისუფლების სამსახურში ჩადგომა ოფიციალურად დაავალა. თუ რამდენად ასრულებდნენ ისინი ამ მოთხოვნას, ამის შესახებ დანვრილებით მაქვს საუბარი იმავე ნაშრომში და სიტყვას არ გავაგრძელებ. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ა. კოხრეიძეს ჩემი ნაშრომის §7 ბოლომდე რომ წაეკითხა, მისთვის ნათელი გახდებოდა, რომ შ. ვადაჭკორიამ შესანიშნავად იცოდა, — მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაზე არჩევანის გაკეთება შემთხვევითობას რომ არ წარმოადგენდა და ხელისუფლების მხრიდან მისი დაფინანსება გარკვეულ ვალდებულებებთან იყო დაკავშირებული. ამა თუ იმ წიგნის ნებისმიერი პარაგრაფის ბოლომდე წაკითხვას და ავტორისეული შეხედულების სწორად გადმოცემის აუცილებლობას მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვდა. თუმცა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება, გარკვეული მიზეზების გამო, ა. კოხრეიძის მსგავს ადამიანებზე არ ვრცელდება.

### **დამონმებილი წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზ. „ტრიბუნა“ 1921. 15 ოქტომბერი. 47
2. შ.ვადაჭკორია. ახალგაზრდა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტ— ფედერალისტთა ორგანიზაციების წინაარმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის ისტორიიდან. კრებული „მეგობრობა“ IV. თბ. 1983.
3. ა.კოხრეიძე. მქუხარე სიცოცხლე. თბ. 1985.

4. აზ. „კომუნისტი“ 1923. 29 სექტემბერი 223
5. გაზ. „ტრიბუნა“ 1921. 5 ნოემბერი
6. გაზ. „ტრიბუნა“ 1923. 6 დეკემბერი
7. ა.კობრეიძე. სიმონ ხუნდაძე. თბ. 2005. გვ.12
8. გაზ. „ტრიბუნა“ 1921. 6 ნოემბერი 65; გ.ჯანგველაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და ნვრილბურჟუაზიული პარტიების იდეური და ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903— 1923 წწ.) თბ.1974. გაზ. „ტრიბუნა“ 1921. 9 ნოემბერი 67
9. შ.ვადაჭკორია. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე) წიგნი I. თბ. 2003.

**Shota Vadachkoria**

*Doctor of Historical Sciences, Tbilisi Javakhishvili State University, the Javakhishvili Institute of History and Ethnology, Main research scientist of the Department of Modern and Contemporary History*

### **It Is Not As You Think (Reply to A. Kokhreidze)**

#### **Summary**

On the basis of the documentary materials it is stated that 1) till 1921 the Socialist – Federalist Party was the only party in Georgia. 2) The split of the Socialist – Federalist Party into the Right and Left Socialist – Federalist Parties and thus, their formation as independent entities is connected with the Sovietisation of Georgia.

## ქეთი ჯიჯვიშვილი

პოლიტიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

### ახალი სახელმძღვანელო პოლიტიკურ მეცნიერებაში

ქართული პოლიტიკური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მაია ამირგულაშვილის ნაშრომი „პოლიტიკური ფილოსოფია“, რომელიც აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი საქართველოში დღემდე ნაკლებად ცნობილი მეცნიერების დარგის — პოლიტიკური ფილოსოფიის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე შექმნის პირველი ცდაა. ზოგადად, ყოველი პირველი სახელმძღვანელოს შექმნა მეცნიერულ პრობლემათა თეორიული განზოგადების შესაბამის დონეს საჭიროებს. ამ მხრივ ეჭვს არ იწვევს მისი ავტორის კვალიფიკაცია. იგი იდგა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პოლიტოლოგიური სკოლის ჩამოყალიბების სათავეებთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ სტუ-ში დაარსდა პოლიტოლოგიის პირველი კათედრა საქართველოს მასშტაბით და შეიქმნა პირველი სახელმძღვანელოები ამ დისციპლინაში. ამ პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო პროფ. მაია ამირგულაშვილი. იგი ახლაც ჩვეული პროფესიონალიზმით მიუდგა ამ საქმეს და დადო საკმაოდ დიდი მოცულობის ნაშრომი, რომელიც განკუთვნილია ჩვენი უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის, სოციალური და ჰუმანიტარული სპეციალობის სტუდენტებისათვის და აგებულია სიღაბუსით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით. ნაშრომის შექმნა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული, პირველი სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ პოლიტიკური ფილოსოფია მეცნიერული ცოდნის ახალი დარგია, მისი ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ დისკუსიურ ხასიათს ატარებს. თუმცა, ამ დისციპლინის ჩანასახები ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იკვეთება. აშშ-ის პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელი ჯ. კეტლინი ძველ ბერძენ ფილოსოფოსს სოკრატეს დასავლეთის პოლიტიკური ფილოსოფიის „ნათლიას“ უწოდებდა. ინგლისელი პოლიტოლოგი ნ. ბერნი კი მიუთითებდა, რომ პლატონის ნაშრომი „სახელმწიფო“ ესაა პოლიტიკური ფილოსოფიის „ყველაზე პირველი და ყველაზე ცნობილი სისტემა-

ტიზებული ტრაქტატი“. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ფილოსოფია უძველესი დროიდან არსებობს, იგი როგორც მეცნიერება მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ამ მიმართულებით გამოვიდა მხოლოდ 1987 წელს აშშ-ში სახელწოდებით „პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორია“.

თუმცა ამ გარემოებას ამავე დროს გააჩნია უპირატესობაც, რადგანაც, როგორც ამერიკელი მეცნიერი ვ. ვუდტი აღნიშნავდა, „ახლად წარმოშობილი დისციპლინა მძლავრ ბიძგს იღებს, რათა უზრუნველყოს თავისი მდგომარეობა შენაძენი ფაქტების სფეროდან და უფრო ზუსტად გაიაზროს თავისი ამოცანები მისი მოსაზრვრე სფეროებიდან გამიჯვნის გზით. თანაც ის აწონასწორებს სამომავლოდ დასახულ პრეტენზიებს და უფრო ზუსტად შემოსაზრვრავს მართლზომიერ პრეტენზიებს“ (ვ. ვუდტი. ხალხთა ფსიქოლოგია, 2002, გვ. 12).

მეორე სირთულე მდგომარეობს პოლიტიკური ფილოსოფიის დისციპლინათშორისო სტატუსში. პოლიტიკური ფილოსოფია სულ უფრო პოპულარული ხდება მათ შორის, ვინც პოლიტიკური მეცნიერების ენით საუბრობს და მათ შორისაც, ვინც ფილოსოფიის ენით მეტყველებს, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია კვლევების ემპირიული სფეროს ბუნების გაგებასა და თეორიის აგებისათვის.

იმისათვის, რომ მეცნიერული ცოდნის ახალი სფეროს ჩამოყალიბების პროცესში განხილვის დროს თავი აერიდებინა მეთოდოლოგიური შეცდომებისაგან, ავტორი ხელმძღვანელობს ძირეული პრინციპებით, რომელიც მოითხოვს მისი გენეზისის, ევოლუციისა და დღევანდელი მდგომარეობის თანმიმდევრულ განხილვას. მისი სახელმძღვანელო სწორედ ამ პრინციპის საფუძველზეა აგებული. მასში პოლიტიკური ფილოსოფიური აზრის განვითარება გადმოცემულია დინამიკაში დაწყებული ანტიკური პერიოდიდან თანამედროვეობის გლობალური პრობლემებით დამთავრებული.

ნაშრომში საკითხთა წრე განხილულია ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მასში არის შეჯერებული განსხვავებული მოსაზრებანი, რომელიც არსებობს პოლიტიკური ფილოსოფიის საგნისა და მისი განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ; აღსანიშნავია, რომ საკაცობრიო პოლიტიკური ფილოსოფიური აზროვნების ისტორიული გამოცდილების განხილვის კვალდაკვალ ავტორი წარმოგვიდგენს ქართული პოლიტიკური ფილოსოფიის ისტორიასაც, რაც უდავოდ ნაშრომის ღირსებას წარმოადგენს, და მეორე მხრივ, ნაშრომში ვრცლად არის გაანალიზებული პოლიტიკური სისტემის

ინსტიტუციონალური ხასიათი, რაც ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ფილოსოფიის კვლევის საგანს. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ეს კურსი კომპლექსურ ხასიათს ატარებს და სახელმძღვანელოში განხილული საკითხებიც გაფანტულია სხვადასხვა დისციპლინებში. მაგალითად, პრობლემატიკა, რომელიც განიხილება მოცემულ სახელმძღვანელოში თემებში: „პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეებისა და თეორიების ძირითად მიმდინარეობათა ფორმირება“, „სიცოცხლის ფილოსოფია და ეგზისტენციალიზმი“ და „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ ტრადიციულად მოქცეულია ფილოსოფიისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ფარგლებში;

თემები: „პოლიტიკური სისტემა, მმართველობის ფორმები. სახელმწიფო და რეჟიმები“, „ერები და ნაციონალიზმი“ „პოლიტიკური პარტიები და მსოფლიო პოლიტიკა“, „პოლიტიკა და იდეოლოგია. თეორიები და დოქტრინები“, „პოლიტიკა და თანამედროვეობის გლობალური პრობლემები“ და „საერთაშორისო ორგანიზაციები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ — უმეტესად პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა კურსების — პოლიტოლოგიისა და გლობალური პოლიტიკის ფარგლებში განიხილება. ხოლო თემები: „კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება“ ასევე „სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების მსოფლიო პროცესი და პოლიტიკა“ მოქცეულია კონსტიტუციური სამართლისა და პოლიტიკის ფარგლებში. თითოეული ზემოთ აღნიშნული თემების ფარგლებში ფაქტობრივად სხვადასხვა კუთხით შუქდება ერთი და იგივე პრობლემატიკა. ამ საკითხების ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში განხილვა შესაძლებლობას იძლევა მთლიანობაში იქნას გააზრებული პოლიტიკური სამყაროს განვითარების კანონზომიერებანი, მისი სულიერი, მსოფლმხედველობითი, ნორმატიული და ღირებულებითი საფუძვლები, პოლიტიკური იდეის, სახელმწიფოსა და ხელისუფლების ფორმირებისა და ურთიერთმიმართების საკითხები, სადაც აკუმულირებული იქნება თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის თუ საზოგადოებრივი წესრიგის ძირითადი პრინციპები.

სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული სამეცნიერო და სასწავლო მეთოდური ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე. სახელმძღვანელოში განხილული ძირითადი პრობლემატიკა დაეხმარება სტუდენტებს პოლიტიკური ფილოსოფიის საგნის, მეთოდისა და თეო-



რიული ნანამძღვრების გარკვევაში. იგი უდავოდ დაინტერესებს არა მარტო სტუდენტ-ახალგაზრდობას, არამედ ფილოსოფოსებს, პოლიტიკოსებსა და პოლიტიკის მეცნიერებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებასაც.

**Ketevan JiJeishvili**

*Doctor of Political Science, Professor  
of Georgian Technical University*

### **New Text-Book in Political Science**

#### **Summary**

Associated professor in GTU Maia Amirgulashvili's new text-book „Political Philosophy” has important role in Georgian Science. It is one of the first experiment as text-book of Political Philosophy in Georgian language. Book is composed from Georgian and f foreign scientific and educational methodical literature, it is for students from Social and Humanitarian faculties.

## დოდო ჭუმბურიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

### **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების (აჭარა) ოთხტომეული**

ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივის თავდადებული შრომით შექმნილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის რეგიონის ისტორიის ნარკვევები ოთხ ტომშია თავმოყრილი. გამოკვლევა დიაქრონულ ჭრილში გადმოგვცემს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ეთნოისტორიულ და ეთნოკულტურულ ყოფას, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისათვის მათ თავდადებულ ბრძოლას.

აჭარის ისტორია, უძველესი დროიდან დღემდე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მთელი რიგი თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ, ძირითად ხაზებში, ის მთლიანად შეესაბამება საქართველოს ისტორიული განვითარების ზოგად სქემას. ეს ბუნებრივია, რადგან აჭარა უძველესი დროიდან იყო და არის საქართველოს სისხლხორცეული ნაწილი და მისი სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე. გამონაკლისს წარმოადგენს ოსმალთა ბატონობის ხანა, როდესაც რეგიონი დროებით მონყდა ერთიან საქართველოს, მაგრამ მას არც ამ დროს შეუნწყვეტია კავშირი დედა-სამშობლოსთან.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ, დიდი კულტურული და სულიერი ტრადიციების მქონე აჭარაში ოსმალებმა ვერ შეძლეს ისე მტკიცედ ფეხის მოკიდება, როგორც სხვა დაპყრობილ ქვეყნებში, ვერ მოახერხეს აქ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დამკვიდრება, ვერ წაართვეს აჭარლებს მშობლიური ქართული ენა, ვერ მოსპეს მათი ეთნოკულტურული და ეთნოისტორიული ტრადიციები.

ოთხტომეულის საკმაოდ დიდტანიანი ნარკვევები მეცნიერული სიზუსტით ასახავს აჭარის ისტორიული განვითარების ეტაპებს. ცალკეული სტატიები ეძღვნება ქრისტიანობამდელ და მის შემდგომ პერიოდს, განხილულია არქეოლოგიური, წერილობითი წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მასალების მონაცემები, რაც ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს აჭარის ისტორიის შესწავლისათვის.

ნარკვევებში გამოყენებულია წყაროს მნიშვნელობის მქონე საველე-საექსპედიციო ეთნოგრაფიული მასალებიც, რომელთა შედარება-შეჯერებამ შესაბამისი ლიტერატურისა და ისტორიული წყაროების მონაცემებთან შესაძლებელი გახადა სრულად წარმოჩენილიყო შუა და გვიანი ფეოდალური ხანის აჭარის სამეურნეო ცხოვრება: მიწათმოქმედება-მემინდვრეობა, ტერასული და სარწყავი სისტემა, მევენახეობა-მელვინეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მრავალდარგოვანი ხელოსნობა (ხალხური მეტალურგია და მჭედლობა, ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადება, ქვის და ხის დამუშავება, კერამიკული წარმოება, ფეიქრობა და სხვ.).

ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში შესწავლილია დასახლების ფორმები აჭარაში, მატერიალური კულტურა, ხალხური ორნამენტი და დეკორატიული ხელოვნება, ქორწინების, ნათესაური ურთიერთობების, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის, სულიერი კულტურის, სათემო მიწათმფლობელობის და სხვა საკითხები.

გვიანსაუკუნეების აჭარის ისტორიის შესასწავლად ფართოდაა გამოყენებული ოსმალური წყაროები (დავთრები).

ოსმალთა ბატონობისაგან გამოსხნილი აჭარის ისტორიის კვლევა (1877-1920 წ. წ.) დაფუძნებულია საინტერესო და მრავალფეროვან საარქივო წყაროებზე, ქართული და რუსული პრესის მასალებზე, საერთაშორისო და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ-დიპლომატიურ დოკუმენტებზე, ისტორიული პროცესების მონაწილე პიროვნებათა მემუარებზე, მდიდარ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაზე. ეს მრავალფეროვანი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული მასალები საშუალებას აძლევს ნარკვევების ავტორებს, ცნობილ ისტორიკოს-მკვლევარებს: დავით ხახუტაიშვილს, მარიამ ლორთქიფანიძეს, ნოდარ შენგელიას, მიხეილ სვანიძეს, ნოდარ ლომოურს, აბელ სურგულაძეს, ალექსანდრე ბენდიანიშვილს, ვახტანგ შამილაძეს, მალხაზ სიორიძეს, ამირან კახიძეს, ნოდარ კახიძეს, ბიჭიკო დიასამიძეს, მიხეილ მახარაძეს, რამაზ სურმანიძეს, იური და ფრიდონ სიხარული-

ქებს, ნუგზარ მგელაძეს, როინ მალაყმაძეს, ერმილე მესხიას, თამაზ ფუტყარაძეს, ოთარ თურმანიძეს, რევაზ უზუნაძეს, ოთარ გოგოლიშვილს, ნუგზარ ზოსიძეს, მაია ჭიჭილეიშვილს, ნანა ხახუტაიშვილს და სხვებს — შეექმნათ ღრმა სამეცნიერო ნარკვევები აჭარის ისტორიის სხვადასხვა მოვლენებზე, გაეხადათ ოთხტომეული მიმზიდველი საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ყველა მკითხველისათვის.

იდეოლოგიზებული საბჭოთა პერიოდის მიუხედავად, მკითხველისთვის საინტერესო მასალებს მოიცავს ნარკვევების IV ტომიც (1921-1990 წ. წ.). მისი ავტორები არიან: ოთარ თურმანიძე, აბელ სურგულაძე, მურად ჩავლეიშვილი, თეიმურაზ კომახიძე, სერგო დუმბაძე, მამია ჯიჯეიშვილი, რამაზ სურმანიძე, იური ბიბილეიშვილი, სერგო ტაბალუა, როინ მალაყმაძე, უჩა ოქროპირიძე, ნაილა ჩელევაძე, გენადი მახარაძე და ვახტანგ წულუკიძე.

ნარკვევების ამ ნაწილში დაწვრილებითაა ასახული საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების პროცესი და აჭარაში 1921 წელს შექმნილი ვითარება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა და საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, ეკონომიკური რეფორმები და სახალხო მეურნეობა საბჭოთა აჭარაში, ანტისაბჭოთა გამოსვლები, 30-იანი წლების რეპრესიები და 40-80-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, დემოგრაფიული, კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიური საკითხები 1921-1990 წლების აჭარაში.

ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა — „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა)“ — სრულად ასახავს მხარის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპებს, მის მონაწილეობას და წვლილს საერთო-ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში, აჭარაში დამკვიდრებულ სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ ტრადიციებს.

ოთხტომეულის შექმნაში ძირითადად ბათუმელი მეცნიერები მონაწილეობდნენ, თუმცა, როგორც ავტორების, ასევე წიგნის რედაქტირება, რეცენზირება, სარედაქციო კოლეგიისა და საბჭოს შემადგენლობაც მრავალფეროვანია და ის პროფესიონალთა ფართო წრეს მოიცავს.

ყველაფერი ეს განაპირობებს ოთხტომეულის მაღალ სამეცნიერო დონეს, მის გამორჩეულ ღირებულებას ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაც, ჩვენი აზრით, იმსახურებს მაღალ ჯილდოს, — კრებულის საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე წარდგენას.

**Dodo Chumburidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief research scientist of the Department of modern and Contemporary History*

**South-Western Georgian History Essais — Adjara**

**Summary**

This paper presents a review of “South-Western Georgian History Essais \_ Adjara” Four-volume book, which belongs to the group of authors and reflect the region's history, from ancient times to the present day.

## АКАДЕМИК ЯНИС СТРАДИНЬШ ГЛАЗАМИ ГРУЗИНСКОГО УЧЕНОГО

Мне выпала большая честь познакомиться и сблизиться с пользующимся всемирной известностью латышским ученым, президентом Латвийской Академии наук в 1998-2004 годах, а ныне – председателем Сената ЛАН, академиком Янисом Страдиньшем. Он является иностранным членом академий наук многих стран, в том числе первым иностранным членом Национальной Академии Наук Грузии.

Сейчас, когда я пишу эти строки, перед о мной воочию возникают те незабываемые дни, когда мне довелось видиться и беседовать с ним.

В начале августа 2009 года, по приглашению посла Грузии в Латвии профессора Константина Коркеляя, я впервые посетил Латвию. Эта была научная командировка с целью сбора исторического материала для моей монографии «Очерки из истории грузино-балтийских взаимоотношений».

Стоял август и улицы полюбившейся мне Риги купались в солнечных лучах. В этот день, а именно 18 августа я впервые встретился с академиком Янисом Страдиньшем. Достойный наследник известного ученого Пауля Страдиньша оказался необычайно теплым и багородным человеком. Будучи в Латвии, я убедился, что он пользуется большим авторитетом не только в академических кругах страны, но и среди населения. Латыши не зря называют его – «совестью латвийской нации».

Господин Янис с большой любовью вспоминал Грузию, грузинских друзей и коллег, особенно уже ушедших от нас известных ученых – академика Джондо Ивановича Джапаридзе и Николая (Лаша) Симоновича Джанашиа.

Наша беседа касалась отдельных вопросов истории грузино-балтийских взаимоотношений, я познакомил его с проектом моего исследования. Он с вниманием выслушал меня, обещал содействия в моей работе и дал несколько полезных советов. Затем он передал мне свои труды, в которых исследована научная деятельность прямого потомка царя Карталини (Картли) Иэссея Первого, генерал-губернатора Петра Романовича (Ревазовича) Багратиони (1818-1876).

Он служил на этом посту в 1870-1876 годах, проживая в Риге, и оставив там довольно заметный след.

Со второй научной командировкой я посетил Латвию в сентябре 2010 года. Я представил ему итоги своего двухлетнего исследования и снова был потрясен его великодушием, решимостью, энергичностью и чувством ответственности. Он, как научный редактор, несмотря на традиционно перегруженный график, выискал время детального ознакомления с результатами моего труда.

По окончании встречи он, со свойственной ему теплой улыбкой, сказал: «Итоги вашего исследования не только удовлетворительны, но и приятно неожиданны. Удивительно, как вам удалось собрать так много нового материала в столь короткий срок. Особенно радует тот факт, что истоки грузино-балтийских взаимоотношений восходят не к XVII-XVIII вв., как это считалось до сих пор, а к X веку, что подтверждено результатами вашего исследования».

Окрыленный подобной оценкой, я с удесятиренной энергией принялся за работу и уже летом 2011 года издательство Тбилисского университета издало мою монографию, которую я сразу же послал моему уважаемому редактору.

В своем письме от 25 ноября того же года академик Янис Страдиньш писал: «Дорогой Нико... Это действительно капитальный и основополагающий труд, который я получил в августе с. г. от посла проф. Коркелю и который просмотрел с большим удовольствием. Желаю выхода книги и на английском или латышском языке. Я понимаю, какую большую задачу Вы уже разрешили, поздравляю Вас!»

С третьей научной командировкой я отправился в Ригу в конце лета 2013 года и оставался там до 9 сентября. Презентации моей книги состоялись в Академической библиотеке Латвийского государственного университета, в Институте истории и Военном музее при Министерстве обороны Латвии.

Следует сказать, что на этот раз я представил господину Янису материалы, разысканные мною уже после выхода книги, которые найдут место в новом издании. И на этот раз мой редактор дал мне несколько полезных советов, которые непременно будут учтены мною при подготовке нового издания.

5 сентября академик Я. Страдиньш пригласил меня к себе на ужин. Признаюсь, что это приглашение меня очень обрадовало и я

принял его как наилучший подарок. Я имел возможность познакомиться с супругой господина Яниса – необыкновенной госпожой Лаймой – матерью славных сыновей – Пауля и Петера Страдиньшей.

Хозяин дома пригласил меня в кабинет, где я осмотрел библиотеку ученого, в которой, кроме прочего, хранится раритет – старейшая книга, изданная на латышском языке.

Перед тем, как приступить к трапезе, господин Янис произнес молитву «Отче наш» на латышском языке, а я – на грузинском. Госпожа Лайма оказалась замечательной хозяйкой. Я провел в их семье несколько незабываемых часов.

В интересной беседе время пролетело незаметно и когда на улицах Риги замерцали фонари, я стал прощаться с любезными хозяевами. Перед тем как уйти, господин Янис оказал мне честь ознакомиться с пространной «книгой записей», которые по обычаю оставляли гости этой семьи, попросив и меня сделать запись. Я максимально старался следить за каллиграфией и, не скрою, мне было очень приятно видеть с каким нескрываемым интересом мои любезные хозяева смотрели на очертания грузинских букв.

Покидая дом Страдиньшей, расположенный на улице Кришьяна Валдемара № 99, я решил пройтись пешком. Медленно идя по красивым, теплым улицам Риги, забыть которые невозможно, я думал – как хорошо, что на свете еще существуют такие чудесные семьи...

После завершения моей научной командировки в Латвии, с 9 сентября я продолжил командировку в Литве.

В своем письме от 12 сентября сего же года академик Янис Страдиньш писал:

«Дорогой и глубокоуважаемый профессор Нико,

Надеюсь, письмо застанет Вас в Тбилиси по возвращении домой...

Надеюсь, что Ваше пребывание в Литве было столь же плодотворным, как и в Латвии.

Это короткое письмо пишу Вам, чтобы от души поздравить Вас с 41-летием со дня Вашего рождения, которое исполняется сегодня и которое Вы, вероятно, справляете в Литве. Желая от души доброго здоровья, счастья, новых научных находок. Ваша работа по грузино-прибалтийским связям нуждается в развитии, дополнении – она очень нужна всем нам в виде книги. Вы – наш «духовный посол» в Грузии,



может быть, когда – то будете и дипломатическим послом Грузии в Латвии, дай Бог!

Лайма также передает Вам сердечные поздравления и привет, с удовольствием вспоминаем нашу встречу в Риге.

С дружеским расположением и уважением, Ваш Янис Страдиньш».

Это теплое поздравление глубоко тронуло меня. Я еще раз убедился в великодушии и доброжелательности этого необыкновенного человека...

Я бережно храню у себя подаренные мне господином Янисом книги с его автографами и юбилейные монеты Латвии, отличающиеся изысканным, действительно образцовым дизайном. И это не удивительно, поскольку членом комиссии по установлению дизайна этих монет является сам академик Страдиньш, который и это делает на высоком профессиональном уровне.

Есть люди, которые олицетворяют всю нацию. Таковым, по моему убеждению, является господин Янис Страдиньш, который вот уже более полувека, не шадя сил, ведет активную научную и общественную деятельность.

Сегодня в Грузии отмечают большой религиозный праздник „Алавердоба“. Считается, что задуманное в этот день желание сбывается. И в этот торжественный день я хотел бы пожелать академику Я. Страдиньшу крепкого здоровья и бодрости духа во имя служения своей обожаемой отчизне!

Я глубоко убежден, что если бы древним грекам довелось присутствовать на юбилее 80-летия академика Яниса Страдиньша, они сказали бы о нем следующее: *«Боги уступили его людям. Люди, любите и берегите его!»*

***Николай (Нико) Георгиевич Джавахишвили***

*Доктор исторических наук, Профессор Тбилисского государственного университета имени Ивана Джавахишвили;*

*Главный научный сотрудник Института истории и этнологии имени Ивана Джавахишвили;*

*Первый лауреат научной премии «Цинандали» (в области гуманитарных наук)*

*„Алавердоба“, 28 сентября 2013 года,*

*Тбилиси, Грузия*

**პროფესორ ნიკო ჯავახიშვილის  
სამეცნიერო მივლინება ლატვიასა და ლიტვაში**

2013 წლის აგვისტო-სექტემბერში, ლატვიისა და ლიტვის ავტორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიწვევით, ამ ქვეყნებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნიკო ჯავახიშვილი. კერძოდ, 28 აგვისტოდან — 9 სექტემბრამდე იგი იმყოფებოდა ლატვიაში, ხოლო 9-17 სექტემბერს — ლიტვაში.

თსუ-ის გამომცემლობის მიერ გამოცემული მისი მონოგრაფიის: „ნარკვევები ქართულ-ბალტიური ურთიერთობის ისტორიიდან“ პრეზენტაციები შედგა ხუთ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში, კერძოდ: რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ ბიბლიოთეკაში (30 აგვისტოს); ლატვიის ისტორიის ინსტიტუტში (2 სექტემბერს); ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მუზეუმში (5 სექტემბერი); ლიტვიის ისტორიის ინსტიტუტსა (11 სექტემბერს) და ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (16 სექტემბერს).

ზემოთქმულის პარალელურად, პროფ. ნ. ჯავახიშვილმა პედაგოგიური საქმიანობაც აწარმოა. კერძოდ, 2-9 სექტემბერს, მან რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე წაიკითხა ლექციების მოკლე კურსი თემაზე: *„ქართულ-ლატვიური ორმხრივი ურთიერთობის ისტორიიდან“*, ხოლო 9-17 სექტემბერს, კაუნასის ვიტაუტას დიდის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა და დიპლომატიის კათედრაზე წაიკითხა ლექციების მოკლე კურსი თემაზე: *„ქართულ-ლიტვიური ორმხრივი ურთიერთობები: ისტორია და სამომავლო პერსპექტივები“*.

9 სექტემბერს, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის სენატის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა იანის სტრადინშმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მოსწერა: „Имею честь известить Вас о том, что я числился научным редактором монографии

профессора руководимого Вами университета, доктора исторических наук **Николая (Нико) Георгиевича Джавахишвили** «Очерки по истории грузино-балтийских взаимоотношений» (Тбилиси, 2011 г.).

Проф. Н. Джавахишвили находился в Латвии в рамках научной командировки трижды: в августе–сентябре 2009 года, в сентябре 2010 года, и в августе–сентябре 2013 года.

Н. Г. Джавахишвили прочитал несколько лекций в разных авторитетных научных центрах Латвии по исследуемой им тематике «Культурные и научные связи Грузии и Латвии», которые произвели благоприятное впечатление в кругах академической интеллигенции нашей страны.

Книгу Н. Джавахишвили я положительно оцениваю как по тематике и замыслу, так и по достигнутому, порою неожиданным результатам...

Издание монографии на английском языке (в пользу чего высказалось бывшее руководство Тбилисского государственного университета) внесет свою лепту в дело углубления традиционных дружественных связей народов Грузии и стран Балтии – Латвии, Литвы и Эстонии“.

12 სექტემბერს, ლიტვის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა რიმანტას მიკნისმა წერილობით მიმართა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, სადაც თავისი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა სახელით, მხარი დაუჭირა პროფ. ნ. ჯავახიშვილის მიერ ლიტვაში დაგეგმილ სამომავლო სამეცნიერო საქმიანობის გეგმას.


წერილში ვკითხულობთ: „Ученые нашего Института поддерживают высказанную на презентации идею о создании новой монографии под названием: «Очерки из истории грузино-литовских взаимоотношений».

Мы готовы сотрудничать с профессором Н. Г. Джавахишвили и надеемся, что он намерен осуществить эту идею так же успешно и на высоком академическом уровне, как он сделал это раньше, когда написал и издал выше упомянутую монографию.

Мы уверены, что издание этой монографии внесет свою лепту в благородное дело углубления традиционных дружественных связей Грузии и Литвы».

# ჯ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

## ც ა ც ა ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი ს ს მ ო ვ ნ ა ს



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ჩვენი კოლეგა და მეგობარი, ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ცაცა ჩხარტიშვილი. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ქართული კულტურის ისტორია, ბოლო დროს კი გამორჩეულად საქართველოს

ეკლესიის ისტორიის ცალკეულ პრობლემებს სწავლობდა. უსაზღვრო იყო მისი სიყვარული არჩეული პროფესიისადმი. მაშინაც კი, როდესაც გაძნელდა ამ პროფესიით არსებობა, მას აზრადაც არ გაუვლია მიეტოვებინა ეს დარგი და სხვა, უფრო პრაქტიკულად ხელსაყრელი საქმე წამოეწყო. არადა, ცაცას ნამდვილად ჰქონდა ორგანიზების, რომელიმე ახალი მიმართულების წამოწყების და განხორციელების ნიჭი, რაც მეტ ფინანსურ კეთილდღეობას და წარმატებას მოუტანდა. წლების მანძილზე, თავის ძირითად და საყვარელ საქმესთან ერთად, მან იმუშავა რამდენიმე კერძო უმაღლეს სასწავლებელში მონიწივე პოზიციებზე და ყველგან აჩვენა ამ კუთხით თავისი შესაძლებლობა. სხვადასხვა დროს, XX ს-ის 90-იანი წლებიდან დღემდე, მუშაობდა ქართულ-ბერძნული უნივერსიტეტის იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტის დეკანად, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პრორექტორად და სხვა.

ცაცა ჩხარტიშვილი ოზურგეთის რაიონის ისტორიულ სოფელ ჯუმათში დაიბადა. მისი მშობლები — სევერიან ჩხარტიშვილი და დედა — ლოლა დარჩია სოფლისთვის საყვარელი და გამორჩეული ავტორიტეტის მქონე ადამიანები, მედიცინის მუშაკები იყვნენ. სოფელში ოჯახი არ არის, სადაც ამ ადამიანებს არ განეკუთნოთ

დაავადებული, ან ახალშობილის მოვლინებაში წვლილი არ შეეტანოთ. ცაცა მათი ერთადერთი ქალიშვილი იყო. ომგამოვლილი და მრავალ სიძნელესთან ნაბრძოლი მამა განსაკუთრებით უფროთხილდებოდა შვილს, ყოველთვის უსიტყვოდ უგებდა. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც ქალიშვილმა მშობლებისგან ასე ნანატრი იურიდიული ფაკულტეტი დატოვა და ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა. სტუდენტობისას ეთნოლოგიამ, ეთნოტრადიციების შესწავლამ გაიტაცა. გურული საოჯახო ტრადიციებისა და კულტურის ამსახველი მასალების შესაკრებად, ჯუმათსა და მიმდებარე სოფლებში სტუდენტი შვილს მამა დაჰყვებოდა. ეს ვრცელი ეთნოგრაფიული ჩანაწერები ცაცას სურდა გამოეცა სხვა ისტორიულ მასალებთან ერთად და ამით სრულად აღენერა სოფელ ჯუმათის ისტორია, მისი ძველი და ახალი ტრადიციები, ჯუმათის საეპისკოპოსო ცენტრის, სკოლის დაარსების, აქედან ნასული ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ამბები, მისი სოფლის შესახებ XIX და XX საუკუნის პრესაში გამოქვეყნებული, საარქივო მასალებსა თუ ნარატივებში მოქცეული ყველა დეტალი გაეცოცხლებინა. ეს ძალიან კარგი საქმე იქნებოდა, რადგან ერთი მდიდარი წარსულის მქონე და კულტურულ-ისტორიული მისიის მატარებელი სოფლის ისტორია სრულყოფილად შეიქმნებოდა, რაც შეავსებდა საქართველოს ისტორიის ამ კუთხით წარმოებულ კვლევას. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ამ საქმის დასრულება.

გარდა XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართული კულტურის შესახებ გამოცემული კრებულისა, მას ეკუთვნის დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის შესახებ გამოცემული ნაშრომი, რომლის გამოსვლასაც ასევე ვერ მოესწრო. წიგნი ახლახან გამოვიდა და აუცილებლად დააინტერესებს ყველას, ვისაც სურს ქართული ეკლესიისათვის ურთულესი პერიოდის — XX საუკუნის პირველი მეოთხედისა და ასევე მრავალმხრივ საინტერესო, არაერთგვაროვნად მოაზროვნე და სხვებისაგან ასევე არაერთგვაროვნად შეფასებული დეკანოზ იოსებ ჩიჯავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულად გაცნობა. ნაშრომში იბეჭდება ასევე ჩიჯავაძის პირადი წერილები კირიონ მეორისადმი, რაც კიდევ უფრო ზრდის წიგნის ღირებულებას და საისტორიო-სამეცნიერო მნიშვნელობასთან ერთად, მას წყაროთმცოდნეობითი კუთხითაც გამოარჩევს.

ცალკე აღსანიშნავია ცაცა ჩხარტიშვილის, როგორც კოლეგის, მეგობრის, ჰუმანური ადამიანის სახე. მისი ცხოვრება მუდმივად სხვების სიყვარულის, თანაგრძნობისა და გვერდით დგომის

სურვილის განხორციელება იყო. ყოველთვის ცდილობდა სულ მცირედით მაინც გაეხარებინა თავისი ნაცნობ-მეგობრები, რომელთა რიცხვით მას ვერცერთი მისი კოლეგა ვერ შეედრებოდა.

წავიდა ჩვენგან ღირსეული ადამიანი, სიცოცხლის წყურვილითა და სიყვარულით სავსე პიროვნება, რომლის ხსოვნა არასდროს გაქრება და წაიშლება მისი ნაცნობებისა და ახლობელი ადამიანების გულში. დაე, ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული, ჩვენთვის ძვირფასო ადამიანო!..

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლები*

## ლევან ურუშაძის ბაზსენება



ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 2013 წლის ოქტომბერში ავტოკატასტროფაში დაიღუპა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ლევან ურუშაძე.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქვეყანათმცოდნეობის (ისტორიის) განყოფილების დამთავრების შემდეგ, 1986 წლიდან, აქტიურად მუშაობდა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, საქართველოს XVI-XX საუკუნეები-

სა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის საკვანძო საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ იგი წარმატებით იკვლევდა საქართველოს როგორც შუა საუკუნეების, ისე ახალი და უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს.

1990 წელს ლევან ურუშაძემ თემაზე „საქართველოს XV-XVIII საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის საკითხები XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიაში (წყაროთმცოდნეობითი ანალიზი)“ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ეს გახლდათ ამ საკითხზე დაცული პირველი დისერტაცია. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს ეძღვნება მეცნიერის 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფია „საქართველოს ისტორიის საკითხები XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიაში“ („მეცნიერება“, თბილისი; 1994).

უაღრესად მნიშვნელოვანია წერილობითი ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ზედმინევნითი ანალიზის საფუძველზე საქართველოს ისტორიისადმი თურქული ისტორიოგრაფიის მეტად ტენდენციური მიდგომების მიზანმიმართული, ზედმინევნით დასაბუთებული კრიტიკა, რასაც მწყობრი ხასიათი პირველად სწორედ ლევან ურუშაძის შრომებში მიეცა. მან ახლებულად წარმოაჩინა ბათუმში ოსმალთა ბატონობის ისტორიის, თურქეთის კავკასიური პოლიტიკის ისტორიისა და მთელი რიგი

სხვა საკითხებისა. სრულიად განსხვავებული პოზიციით არის განხილული 1548-1549 წლების ოსმალთა ლაშქრობისა და ირან-ოსმალეთის დროებითი ზავის დეტალები. საფუძვლიანად არის შესწავლილი XVI-XIX საუკუნეების ოსმალეთის სასულთნო კარზე ქართული წარმოშობის დიდებულთა მოღვაწეობა.

2006 წელს თემაზე „საქართველოსა და კავკასიის ისტორიის საკითხები ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში“, ლ. ურუშაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მსგავსად საკანდიდატო დისერტაციისა, ესეც იყო აღნიშნულ საკითხზე დაცული პირველი დისერტაცია. ამ საკითხებს ეძღვნება მისი 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები: „ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია“, „ბოლშევიზმ-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“, „ერის რაობისა და ერთა თვითგამორკვევის შესახებ“, „საქართველოსა და კავკასიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში“. აღსანიშნავია, აგრეთვე, ბატონი ლევანის მიერ შედგენილი და 1991 წელს მისივე შესავალი წერილითა და დანართით თბილისში გამოცემული კრებული „ანწყო, შობილი წარსულისაგან“ აქ მრავალი ახალი ფურცელია აღექსნდრე ბატონიშვილის, გ. დეკანოზიშვილის, სილ. ხუნდაძის, ვ. ლამბაშიძის, ივ. ჯავახიშვილის, ალ. ჩხეიძის, გრ. რობაქიძის, ექ. თაყაიშვილის, გ. მაჩაბელის, ვ. დუმბაძის, ქ. ჩოლოყაშვილისა და სხვა ქართველ მამულიშვილთა ბიოგრაფიიდან.

გამოკვლევაში „ერის რაობისა და ერთა თვითგამორკვევის შესახებ“ ბატონი ლევანი გვთავაზობს „ერი“-ის საკუთარ განმარტებას: „ერი (ნაცია) არის საერთო წარმოშობის, ისტორიის, ტრადიციების, სახელმწიფოებრიობის, კულტურის, ტერიტორიის, სალიტერატურო ენის მქონე ერთობა, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი უნიკალური ნიშან-თვისებები. მსოფლიოს ერთა კრებული ქმნის საერთაშორისო თანამეგობრობას, ეროვნულ კულტურათა კრებული კი, — მსოფლიო ცივილიზაციას“. ვფიქრობთ, ეს კიდევ ერთი საინტერესო და ანგარიშგასაწევი ნააზრევია ერის რაობის გარკვევის მიმართულებით.

საყურადღებოა ნაშრომი „უცნობი ნიკო კეცხოველი“ (2008), რომელშიც განხილულია სახელოვანი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ბიოგრაფიის ის დეტალები, რომლებიც მანამდე უცნობი იყო საზოგადოებისათვის.



აღსანიშნავია შვეიცარიელი მეცნიერის, დოქტორ თომას ჰო-  
იზერმანის თანაავტორობით ციურისში, გერმანულ ენაზე გამოქვეყ-  
ნებული ნაშრომი, რომელიც ეძღვნება XIX-XX საუკუნეების ქარ-  
თულ-შვეიცარულ ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს (1997).

ლ. ურუშაძის თაოსნობით ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელო-  
ვანი სამეცნიერო ფორუმი: საერთაშორისო კონფერენცია „კავკა-  
სიის ხალხთა გენოციდი“ (1998), „ქართული მეცნიერების კვირეუ-  
ლი“ (ევრომეცნიერების ეგიდით (2001), შვედურ-ქართული სამეც-  
ნიერო სესია (2004), მიხაკო წერეთლის დაბადებიდან 130-ე და ვახ-  
ტანგ ითონიშვილის დაბადებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო სესია (2008).

აქვე უნდა ითქვას, რომ ლ. ურუშაძის სამეცნიერო ნაშრომები  
გამოირჩევა მეცნიერული კეთილსინდისიერებით და ისტორიზმის  
პრინციპების ერთგულებით. იგი მაღალ დონეზე ფლობდა, როგორც  
კვლევის წყაროთმცოდნეობის მეთოდებს, ისე საკვლევ მასალას. მის  
მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია არაერთი მნიშვნელო-  
ვანი წყარო და ის დიდძალი ქართული ემიგრანტული ლიტერატურა,  
რომელიც დღემდე ხელმიუწვდომელია ქართველი მკვლევარი ის-  
ტორიკოსებისა და ფართო საზოგადოებისათვის. ბატონი ლევანი აქ-  
ტიურად იღწვოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩვენი ქვეყნის  
ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციისთვის.

უდროოდ, 49 წლის ასაკში შეწყდა ქეშმარიტი მამულიშვი-  
ლის მაჯისცემა. მრავალი სიტყვა დარჩა უთქმელი. დიდი ტკივილი  
დაგვიტოვა. სამუდამოდ დარჩება მისი ნათელი ხსოვნა მეგობრები-  
სა და კოლეგების გულში.

**ავთანდილ სონღულაშვილი**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



## გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge